აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Akaki Tsereteli State University

ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
FACULTY OF BUSINESS, LAW AND SOCIAL SCIENCES

ეკონომიკის დეპარტამენტი
DEPARTMENT OF ECONOMICS

საქართველოს ეკონომიკური პრობლემებისა და ქართული ეკონომიკური აზრის შემსწავლელი სტუდენტთა მუდმივმოქმედი სემინარი

Student Seminar on the Study of Economic Problems and the History of Economic Thought of Georgia

სტუდენტთა საუნივერსიტეტთაშორისო კონფერენცია - SIUEC 2018

ეძღვნება ნიკო ნიკოლაძის 175 წლის იუბილეს

Interuniversity Conference of Student - SIUEC 2017
Is dedicated to the 175th anniversary of Niko Nikoladze

ქუთაისი, საქართველო
KUTAISI, SAKARTVELO

8-9 დეკემბერი December 2018

კონფერენციის შრომების კრებულის სარედაქციო კომიტეტი

1. **შოთა ლომინაშვილი -** თავმჯდომარე, აწსუ, ასოც. პროფესორი, ეკონომიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი.
2. **აკაკი ბაკურაძე -** ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, აწსუ, ასოც. პროფესორი.
3. **ნანა შონია** - ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, აწსუ, პროფესორი.
4. **გოდერძი შანიძე** - ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, აწსუ, ასოც. პროფესორი.
5. **თამაზ გოგბერაშვილი** - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოც. პროფესორი.
6. **თამილა არნანია-კეპულაძე** - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორი.
7. **აზა იფშირაძე** - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოც. პროფესორი.
8. **ხათუნა თოდუა** -აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოც. პროფესორი.
9. **ნაირა ვირსალაძე** - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოც. პროფესორი.
10. **ალექსანდრე სიჭინავა** - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,პროფესორი.
11. **ვალერი მოსიაშვილი** - საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი, პროფესორი.
12. **მედეა ჭელიძე** - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოც. პროფესორი.
13. **თამარ დევიძე -** საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ასოც. პროფესორი.
14. **რევაზ მახვილაძე** - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, პროფესორი.
15. **ელინა ქრისტესიაშვილი** - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, პროფესორი.
16. **გრიგორ ხოფერია** - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, პროფესორი.

საორგანიზაციო კომიტეტი

თავმჯდომარე: **ეკა ლეჟავა,** ეკონომიკის დეპარტამენტის დოქტორანტი, აწსუ.

წევრები: ე.ა.დ. **გიორგი კეპულაძე, თეონა ბენდელიანი, ლაშა გუმბერიძე, ლევან გელაშვილი, მარიამ კინწურაშვილი, შორენა შენგელია, ამანდა ცუცქირიძე, ანი ტაბუცაძე, ბიძინა კვერნაძე, თამთა სვინტრაძე, მაკა კაკაბაძე, ანა კოპალაძე, ნინო ჯალაღონია, რომან ყურაშვილი, ნინი ჩიხლაძე** - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები. **ფატმან გოგრიჭიანი** - ეკონომიკის დეპარტამენტის სპეციალისტი.

Editorial Committee of the Conference Workshop

1. **Shota Lominashvili -** Chairman, Head of Economics Department, Akaki Tsereteli State University, Assoc. Professor.
2. **Akaki Bakuradze** - Dean of Faculty of Business, Law and Social Sciences, Akaki Tsereteli State University, Assoc. Professor.
3. **Nana Shonia** - Head of Quality Assurance Service of Faculty of Business, Law and Social Sciences, Akaki Tsereteli State University, Professor.
4. **Goderdzi Shanidze**- Head of Business Administration Department, ATSU, Assoc. Professor.
5. **Tamaz Gogberashvili** - Akaki Tsereteli State University, Assoc. Professor.
6. **Tamila Arnania - Kepuladze** - Akaki Tsereteli State University, Professor.
7. **Aza Ipshiradze** - Akaki Tsereteli State University, Assoc. Professor.
8. **Khatuna Todua** - Akaki Tsereteli State University, Assoc. Professor.
9. **Naira Virsaladze** – Akaki Tsereteli State University, Assoc. Professor.
10. **Aleqsandre Sichinava -** Georgian Technical University, Professor.
11. **Valeri Mosiashvili** - Georgian National University, Assoc. Professor.
12. **Medea Chelidze** – Ilia State University, Assoc. Professor.
13. **Tamar Devidze** - Georgian Technical University, Assoc. Professor.
14. **Revaz Makhviladze** - Georgian Technical University, Professor.
15. **Elina Kristesiashvili** - Georgian Technical University, Professor.
16. **Grigor Khoperia** - Georgian Technical University, Professor.

Organizing Committee

Chairman: **Eka Lezhava** , Doctoral student of ATSU.

Members: **PHD Giorgi Kepuladze, Teona Bendeliani, Lasha Gumberidze, Levan Gelashvili, Mariam Kintsurashvili, Shorena Shengelia, Amanda Tsutskiridze, Bidzina Kvernadze, Tamta Svintradze, Maka Kakabadze, Ana Kopaladze, Nino Jalaghonia, Roman Yurashvili, Nini Chikhladze –** Students of **Akaki Tsereteli State University.**

Patman Gogrichiani – Specialist of the Department of Economics.

ISBN 978-9941-484-01-8

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
მის.: თამარ მეფის 59. ტელ.: 240021
E-mail: atsugamomcemloba@gmail.com

კონფერენციის თემატიკა

1.ქართული ეკონომიკური აზრის ისტორია;
2.მსოფლიოს ხალხების ეკონომიკური აზრის ისტორია;
3.ეკონომიკის თეორია;
4.ეკონომიკური პოლიტიკა;
5.სოციალური სექტორის ეკონომიკა (ჯანდაცვა, განათლება, დაზღვევა და ა.შ.)
6.აგრარული სექტორის ეკონომიკა;
7.ტურიზმი-ეროვნული ეკონომიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სექტორი;
8.ბიზნესპროცესების მართვა;
9.ფინანსები და საბანკო საქმე,
10.სტატისტიკა და ეკონომიკური ანალიზი;
11.ინვესტიციები და ინოვაციები;
12.საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები;
13. აღრიცხვა და აუდიტი;
14.ეროვნული ეკონომიკის განვითარების პოლიტიკური, ისტორიული, ფილოსოფიური და სამართლებრივი ასპექტები.

Conference Topics

1. A History of Georgian Economic Thought;
2. History of world population Economic Thought.
3. Economic Theory;
4. Economic policy;
5. Economy of Social Sector (Health, Education, Insurance, etc.)
6. Economy of the Agriculture;
7. Tourism-One of the most important sector of National Economy.
8. Business Process Management;
9. Finances and Banking;
10. Statistics and Economic Analysis;
11. Investments and Innovations;
12. International Economic Relations;
13. Accounting and Audit;
14. Political, Historical, Philosophical, Legal Aspects of National Economy;

ს ა რ ჩ ე ვ ი

სექცია I : ნიკო ნიკოლაძე და ეკონომიკის ზოგად-თეორიული პრობლემები
Section I: Niko Nikoladze and general theoretical problems of economy

1. **ხუჯაძე გიორგი** - ნიკო ნიკოლაძის ეკონომიკური ხედვები, ხელ-ლი. ასოც. პროფ. **ნაირა ვირსალაძე,** აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი ----------11
Khujadze Giorgi - Niko Nikoladze's economic vision, Sup. Assoc.Prof. **Naira Virsaladze**, ATSU.
2. **კვარაცხელია შოთა** - ნიკო ნიკოლაძის ეროვნული კონცეფცია, ხელ-ლი.მოწვ. სპეც. *თამარ ხეცურიანი, აკაკი* წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი ----------16
Kvaratskhelia Shota - National Concept of Niko Nikolaze, Sup. Inv. Spec. *Tamari Khetsuriani,* ATSU.
3. **ურთმელიძე გიორგი, ქაშიბაძე მონიკა** - საქართველოს საერთაშორისო ეკონომიკური პოლიტიკა, გამოწვევები და პერსპექტივები, ხელ-ლი. ასოც. პროფ. ***ხათუნა თოდუა,*** აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი ----------20
Urtmelidze Giorgi, Kashibadze Monika - georgias foreign economic policy, difficulties and perspectives, Sup. Assoc. Prof. **Khatuna Todua,** ATSU.
4. **ბენდელიანი თეონა, ოქროპილაშვილი ეკა** - საქართველოს ეკონომიკური განვითარების გზები, ხელ-ლი. მოწვ. სპეც. **ქეთო შონია,** აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი ----------25
Bendeliani Teona, Okropilashvili Eka - Economic perspectives of Georgia, Sup. Inv. Spec. **Keto Shonia,** ATSU.
5. **დიდებაშვილი ციური** - საქართველოს ბუნებრივი რესურსები და სახელმწიფო რეგულირება, ხელ-ლი. ასოც. პროფ. **თამარ დევიძე,** საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ----------31
Didebashvili Tsiuri - Georgia's Natural Resources and State Regulation, Sup. Assoc. Prof. **Tamar Devidze,** Georgian Technical University.
6. **ბასილაძე გიორგი** - მიგრაციის სტატისტიკა საქართველოში, ხელ-ლი. ასოც. პროფ. **ნაირა ვირსალაძე,** აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი----------36
Basiladze Giorgi - Migration statistic in Georgia, Sup. Assoc. Prof. **Naira Virsaladze,** ATSU.
7. **კაშია თეკლა** - დასაქმების პრობლემებისა და დასაქმების სახეწლმწიფო პოლიტიკის შესახებ საქართველოში, ხელ-ლი. ასოც. პროფ. **ხათუნა თოდუა,** აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
Kashia Tekla - About Employment Problems and Employment Policy in Georgia, Sup. Assoc. Prof. **Khatuna Todua,** ATSU----------46
8. **ქარცივაძე მარიამ** - სოციალური და ეკონომიკური პრობლემატიკა ნიკო ნიკოლაძის ნააზრევში, ხელ-ლი. დოქტორანტი, მოწვ. სპეც., **თინათინ კოსტავა,** აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
Kartsivadze Mariam - Social and Economical plural problems in thought's of Niko Nikoladze,Sup. Inv. Spec. Doctoral student **Tinatin Kostava**, ATSU ----------55
9. **ხურციძე ნინო, გრძელიშვილი დავითი** - ნეოლიბერალური ეკონომიკური თეორიის თანამედროვე გამოვლინებები, ხელ-ლი. პროფ. **თამილა არნანია-კეპულაძე,** აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი ----------60
Khurtsidze Nino, Grdzelishvili Daviti - Modern manifestations of neo-liberal economic theory, Sup.Prof.**Tamila Arnania-Kepuladze**, ATSU.

10. **დეისაძე ნინო, ლომიძე მაია** - ნიკო ნიკოლაძე კაპიტალიზმის განვითარების შესახებ საქართველოში, ხელ-ლი. მოწვ. სპეც. **თამთა ჭეიშვილი,** აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
Deisadze Nino, Lomidze Maia – Niko Nikoladze about development of capitalism in Georgia. Sup. Inv. Spec. **Tamta Cheishvili**, ATSU ---------- 65
11. **გუბელაძე მაგდა** - საქართველოს პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის საკითხი ნიკო ნიკოლაძის ნააზრევში, ხელ-ლი. ასოც. პროფ. **თამაზ გოგბერაშვილი,** აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი ----------69
Gubeladze Magda - Issue of Political-State Orientation of Georgia in N. Nikoladze's Opinion, Sup. Assoc.Prof. **Tamaz Gogberashvili,** ATSU.
12. **ქიმაძე თამუნა** - ნიკო ნიკოლაძის პუბლიცისტური მოღვაწეობა, ხელ-ლი. ასოც. პროფ. **თამაზ გოგბერაშვილი,** აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი ----------75
Kimadze Tamuna - Niko Nikoladze's publicistic work, Sup. Assoc. Prof. **Tamaz Gogberashvili,** ATSU.
13. **ცხვედაძე თამარი** - სოციალური დაცვის სისტემის ანალიზი და სრულყოფის მიმართულებები საქართველოში, ხელ-ლი. ასოც. პროფ. **ვალერი მოსიაშვილი,** საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი.
Tskhvedadze Tamar - Analysis and development of Social protection systems in Georgia, Sup. Assoc. Prof. **Valeri Mosiashvili**, Georgian technical University ---------- 81
14. **ჯანაშია ეთერი, გეგეჭკორი გიორგი** - სოციალური სექტორის ეკონომიკა, ხელ-ლი. პროფ. **ვალერი მოსიაშვილი,** საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი ----------86
Janashia Eteri, Gegetchkori Giorgi - Social Sector Economy, Sup. Prof. **Valeri Mosiashvili,** Georgian National University.
15. **მერკვილაძე ქეთევან, ოქროპილაშვილი ციცინო** - იმერეთის რეგიონის მოსახლეობის დინამიკა 2008-2017 წლების მონაცემების მიხედვით, ხელ-ლი. ასოც. პროფ. **აკაკი ბაკურაძე,** აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი ----------90
Merkviladze Ketevan,Okropilashvili Tsitsino - Dynamics of Imereti region population according to data of 2008-2017, Sup. Assoc. Prof. **Akaki Bakuradze**, ATSU.
16. **კუჭუხიძე ნანი** - ადგილობრივი თვითმმართველობის როლი ინოვაციურ საქმიანობაში, ხელლი. ასოც. პროფ. **აზა იფშირაძე,** აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი -----97
Kuchukhidze Nani - The role of local self-government in innovative activity, Sup. Assoc. Prof. **Aza Ipshiradze**, ATSU.
17. **დენოსაშვილი მარიამი** - თანამედროვე ეკონომიკური სისტემები და საქართველო, ხელ-ლი. ასისტ. პროფ. **ნანა ლუხუტაშვილი,** აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
Denosashvili Mariami – Modern Economic Systems and Georgia, Sup. Assist. Prof. **Nana Lukhutashvili**, ATSU---------- 102

სექცია II: საფინანსო ურთიერთობები და ინვესტიციები
Section II: Financial relations and investments Chairman

1. **სანდუხაძე თეონა, სურმავა მარიამი** - ინფლაცია საქართველოში და ცენტრალური ბანკის როლი ინფლაციის კონტროლში, ხელ-ლი. ასოც. პროფ **ჯამბულ ბიწაძე,** აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი ----------107
Sandukhadze Teona, Surmava Mariami - Inflation in Georgia, central bank's role in controlling inflation, Sup. Assoc. Prof. **Jambuli Bitsadze**, ATSU.

2. **კინწურაშვილი მარიამი, შენგელია შორენა** - ფულის ფსიქოლოგია, ხელ-ლი. მოწვ. სპეც. **ქეთო შონია,** აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი ----------115
Kintsurashvili Mariam, Shengelia Shorena - Psychology of money, Sup. Inv. Spec. **Keto Shonia,** ATSU.
3. **ფანჩულიძე მარიამი, აბჟანდაძე ოთარი** - ბანკები და საკრედიტო ურთიერთობები, ხელ-ლი. მოწვ. სპეც. **ქეთო შონია**, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი ----------118
Panchulidze Mariami, Abzhandadze Otari - Banks and credit relationships, Sup. Inv. Spec. **Keto Shonia**, ATSU.
4. **ჭანკვეტაძე ნინო, კიკნაძე მარიამ** - ინვესტიციები და ინოვაციები, ხელ-ლი. მოწვ. სპეც. **ქეთო შონია,** აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი ----------128
Tchankvetadze Nino, Kiknadze Mariam - investicion and inovation, Sup. Inv. Spec. **Keto Shonia,** ATSU.
5. **კაიშაური ანი** - ეკონომიკური მართვის ინდიკატორების სისტემების დამუშავების აუცილებლობა დეველოპმენტის საინვესტიციო პროექტის ეფექტურობის დასაბუთებისათვის. ხელ-ლი. სრული პროფესორი **გრიგორ ხოფერია,** საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ----------133
Kaishauri Ani - The need for the development of systems of economic management indicators for the efficiency of development investment project, Sup. Prof. **Grigor Khoperia**, Georgian National University.
6. **გიქოშვილი მარიამი** - ფინანსური განათლება - საზოგადოების თანამედროვე მწვავე გამოწვევა, ხელ-ლი. პროფ. **ვალერი მოსიაშვილი,** საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი ----------137
Gikoshvili Mariami - Financial education - the modern acute challenge of society, Sup. Prof. **Valeri Mosiashvili**, Georgian National University.
7. **კვერენჩხილაძე მაია** - სახელმწიფო ვალის მართვის პოლიტიკა მიმდინარე ეტაპზე, ხელ-ლი. პროფ. **ვალერი მოსიაშვილი**, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი ----------142
Kverenchkhiladze Maia - State debt management policy at the current stage, Sup. Prof. **Valeri Mosiashvili,** Georgian National University.
8. **მჭედლიშვილი თამუნა** - დაკრედიტების ძირითადი პრინციპები და ფულად-საკრედიტო პოლიტიკა თანამედროვე ეტაპზე, ხელ-ლი. პროფ. **ვალერი მოსიაშვილი,** საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი. ----------149
Mtchedlishvili Tamuna - Basic principles of lending and monetary credit policy in the modern stage, Sup. prof. **Valeri Mosiashvili**, Georgian National University
9. **ბარბაქაძე ანა, ქუთათელაძე ნატა** - საგარეო დავალიანების პრობლემები თანამედროვე საქართველოში, ხელ-ლი. ასოც. პროფ. **აზა იფშირაძე,** აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
Barbakadze Ana, kutateladze Nata - Foreign debt problems in modern Georgia, Sup. Assoc. Prof. **Aza Ipshiradze**, ATSU. ----------154

სექცია III : საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები და გლობალიზაცია
Section III: International economic relations and globalization

1. **ფილია სალომე** - საქართველოს საგარეო-სავაჭრო პოლიტიკა და ექსპორტ-იმპორტის დინამიკა, ხელ-ლი. ასოც. პროფ. **ნაირა ვირსალაძე**, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი ----------159
Philia Salome - Foreign Trade Policy of Georgia and Export-Import dynamics, Sup. Assoc. Prof. **Naira Virsaladze,** ATSU.
2. **ქვაჩაკიძე მარიამი, სვინტრაძე თამთა** - ჩინეთის ეკონომიკური „სასწაული", ხელ-ლი. პროფ. თამილა არნანია-კეპულაძე, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი ------163
Kvachakidze Mariami, Svintradze Tamta - China's economic miracle, Sup. Prof. Tamila Arnania-Kepuladze, ATSU.
3. **წულაია აკაკი, დარსალია ვალერი** - თავისუფალი ინდუსტრიული ზონების ფუნქციონირების თავისებურებები საქართველოში, ხელ-ლი. პროფ. **თამილა არნანია-კეპულაძე,** აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი ----------169
Tsulaia Akaki, Darsalia Valeri - The peculiarities of functioning of free industrial zones in Georgia, Sup. Prof. **Tamila Arnania-Kepuladze,** ATSU.
4. **ჩომახიძე ნათია** - გლობალიზაცია და დეგლობალიზაცია თანამედროვე მსოფლიოში,ხელ-ლი. ე.ა.დ. მოწვ. სპეც. **ციცინო ძოწენიძე,** აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
Chomakhidze Natia - Globalization and DE-globalization in the modern world, Sup. Inv. Spec. **Tsitsino Dzotsenidze**, ATSU ----------175
5. **ობოლაძე მარიამი, კოპალაძე ანა** - „ინდოეთი-სიღარიბიდან განვითარებამდე", ხელ-ლი. პროფ. **თამილა არნანია-კეპულაძე,** აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი -------181
Oboladze Mariami, Kopaladze Ana -India - From Poverty To Development, Sup. Prof. **Tamila Arnania-Kepuladze,** ATSU.
6. **კვაჭაძე თინათინი, სანიკიძე მარიამი** - სამხრეთ კორეის ეკონომიკის განვითარების საიდუმლო, ხელ-ლი. პროფ. **თამილა არნანია-კეპულაძე,** აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი ----------191
Kvatchadze TinaTini, Sanikidze Mariami - South Korea's Economic Development Secret, Sup. Prof. **Tamila Arnania-Kepuladze**, ATSU.
7. **მოლაშხია ქრისტინა, ბობოხიძე მარიტა** - მოთხოვნა ღვინოზე და მეღვინეობის განვითარება საქართველოში, საქართველოს ღვინის ბაზრები, ხელ-ლი. ასოც. პროფ. **ნაირა ვირსალაძე,** აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი ----------199
Molashkhia kristina, Bobokhidze Marita - Demand for wine and wine development in Georgia, Georgian wine markets, Sup. Assoc.Prof. **Naira Virsaladze**, ATSU.
8. **გენებაშვილი სოფიო** - საქართველო და გლობალიზაცია, ხელ-ლი. ე.ა.დ. ასოც. პროფ. **თამარ დევიძე,** საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ----------205
Genebashvili Sophio - Georgia and Globalization, Sup. Assoc. Prof. **Tamar Devidze,** Georgian Technical University.
9. **გურეშიძე გიორგი** - გლობალიზაციის პროცესები პატარა ქვეყნის განვითარებაში, ხელ-ლი. ე.ა.დ. ასოც. პროფ. **თამარ დევიძე,** ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
Gureshidze Giorgi - Globalization processes in the development of a small country, Sup. Assoc. Prof. **Tamar Devidze,** Ivane Javakhishvili Tbilisi State University ----------208
10. **გონაშვილი ლაშა, მაჩიტიძე მარიამი** - იაპონური მენეჯმენტის წარმატების საიდუმლო, ხელ-ლი. ე.ა.დ. პროფ. **ვალერი მოსიაშვილი,** საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი.
Gonashvili Lasha, Machitidze Mariam - The Secret of Japanese Management Success, Sup. Doctor of Economics Prof. **Valeri Mosiashvili**, Georgian National University----------211

სექცია IV : დარგობრივი ეკონომიკის პრობლემები
Section IV: Problems of sectoral economy

1. **ბოჭორიშვილი თეა, ცუცქირიძე ამანდა** - ქართული მარკეტინგის განვითარება, ხელ-ლი. ასოც. პროფ. **ნარგიზა ქარქაშაძე,** აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი ----------217
Botchorishvili Tea, Tsutskiridze Amanda - Development Of Georgian Marketing, Sup. Assoc. Prof **Nargiza Karkashadze,** ATSU.
2. **გუმბერიძე ლაშა, კაპანაძე გუგა** - უმუშევრობა: სახეები და გამოწვევები, მიზეზები, ხელ-ლი. მოწვ. სპეც. **ქეთო შონია,** აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი ----------222
Gumberidze Lasha, Kapanadze Guga - Unemployment: Types and Causes, Sup. Inv. Spec. **Keto Shonia,** ATSU.
3. **რევია ნინო** - ფირმის მარკეტ-სტრატეგია, ხელ-ლი. ასოც. პროფ. **თამარ დევიძე,** საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ----------227
Revia Nino – Market Strategy for the factory, Sup. Assoc. Prof. **Tamar Devidze,** Georgian Technical University.
4. **ფახურიძე ხატია, ლეჟავა ანა** - სოციალური სექტორის ეკონომიკური ანალიზი, ხელ-ლი. მოწვ. სპეც. **ქეთო შონია,** აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი ----------230
Pakhuridze Khatia, Lezhava Ana - Economic analysis of the social sector, Sup. **Keto Shonia**, ATSU.
5. **გორდულაძე მაია** - ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების სისტემის სრულყოფა და მისდამი ახლებური მიდგომა, ხელ-ლი. მოწვ. სპეც. **ქეთო შონია,** აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
Gorduladze Maia - Perfection of the State Regulation System of Economics and New Approach About That, Sup. **Keto Shonia,** ATSU ----------237
6. **თევდორაძე გივი, ვარდოსანიძე დიანა** - მონოპოლია, ხელ-ლი. მოწვ. სპეც. **ქეთო შონია,** აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი ----------242
Tevdoradze Givi, Vardosanidze Diana - Monopoly, Sup. Inv. Spec. **Keto Shonia,** ATSU.
7. **ტორაძე ლანა, კოპალიანი ლანა** - რეკლამა-ჩვენი წარსული, აწმყო და მომავალი. ხელ-ლი. ასისტ. პროფ. **სოფო მიქაბაძე,** აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი ----------247
Toradze Lana, Kopaliani Lana - Advertisment-Our past present and future, Sup. Assist. Prof. **Sofo Miqabadze**, ATSU.
8. **ზაქაშვილი დავითი, ქრისტესიაშვილი ელინა** - შენობების სერთიფიცირება-გამკაცრებული მოთხოვნები მათი დაპროექტებისას და ექსპლოატაციისას, ხელ-ლი. პროფ. **რევაზ მახვილაძე,** საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ----------252
Kristesiashvili Elina, Zakashvili Daviti - CERTIFICATION FOR BUILDINGS – TOUGHENING OF REQUIREMENTS AT THEIR DESIGN AND OPERATION, Sup. Prof. **Revaz Makhviladze,** Georgian Technical University.
9. **მახვილაძე რევაზი, სიხარულიძე რევაზი** - მრავალსართულიანი შენობებისათვის ენერგოეფექტური სამფენიანი სართულშუა გადახურვის ფილების ტექნიკურ-ეკონომიკური ეფექტურობა, ხელ-ლი. პროფ. **მურმან ბაქრაძე,** საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ----------257
Makhviladze Revaz, Sikharulidze Revaz – Technical-economic efficiency of energy efficient tower building floor slabs, Sup. Prof. **Murman Bakradze**, Georgian Technical University.
10. **შენგელია შორენა, კინწურაშვილი მარიამი** - ახალგაზრდების დასაქმების პრობლემები საქართველოში, ხელ-ლი. ასოც. პროფ. **ნაირა ვირსალაძე,** აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
Shengelia Shorena, Kintsurashvili Mariam - Problems of youth employment in Georgia,

Sup. Assoc. Prof. **Naira Virsaladze,** ATSU ----------264

11. **ჯინჭარაძე ნინო** - ტყიბულის რაიონის განვითარების პერსპექტივები თანამედროვე ეტაპზე, ხელ-ლი. ასოც.პროფ. **ნაირა ვირსალაძე,** აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი ----------266
Jintcharadze Nino - Tkibuli district development prospects in the modern stage, Sup. Assoc. Prof. **Naira Virsaladze,** ATSU.
12. **ნოზაძე ლიკა** - სამეწარმეო გარემოს განვითარების ტენდენციები საქართველოში, ხელ-ლი. პროფ. **მურმან ბაქრაძე,** საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ---------- 271
Nozadze Lika - Trends of Entrepreneurial Environmental Development in Georgia, Sup. Prof. **Murman Baqradze,** Georgian Technical University.
13. **ღამბარაშვილი ხატია, ღამბარაშვილი ხათუნა** - მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდასაჭერი ევროპული გამოცდილება,ხელ-ლი. ასოც.პროფ. **მედეა ჭელიძე,** ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.
Ghambarashvili Khatia, Ghambarashvili Khatuna - European experience of small and medium business support, Sup. Assoc. Prof. **Medea Chelidze,** Ilia State University ----- 276
14. **სააკიანი ჯემმა** - სათამაშო ბიზნესის ეკონომიკური და სოციალური ასპექტები, ხელ-ლი. **ლია ბერიკაშვილი,** საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ---------- 281
Saakyan Jemma - Economic and Social aspects of Gambling Business, Sup.Assoc. Prof. **Lia Berikashvili,** Georgian Technical University.
15. **ქართველიშვილი ბაქარი** - საქართველოში პერსონალის დაქირავებისა და მასთან მუშაობის ტექნოლოგია საერთაშორისო სტანდარტებთან მიმართებით, ხელ-ლი. ე.ა.დ. ასოც. პროფ. **თამარ დევიძე,** საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ----------285
Kartvelishvili Bakari - The technology of hire and working with personnel in Georgia in relation to international standards, Sup. Assoc. Prof. **Tamar Devidze,** Georgian Technical University.
16. **აფაქიძე ლიანა** - HR-ბრენდინგი ბიზნესის წარმატების ძირითადი მნიშვნელოვანი ფაქტორი, ხელ-ლი. პროფ. ვალერი მოსიაშვილი, საქართველოს **ეროვნული უნივერსიტეტი** ----------290
Apakidze Liana - HR-branding- a key factor in business success, Sup. Assoc. Prof. **Valeri Mosiashvili,** Georgian National University.
17. **ივანიაძე მათე** - თანამედროვე მარკეტინგის უახლესი პრობლემები, ხელ-ლი. პროფ. **ვალერი მოსიაშვილი,** საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი ----------296
Ivaniadze Mate - The Newest Problems of Modern Marketing Systems, Sup. Doctor of Economics prof. **Valeri Mosiashvili,** Georgian National University
18. **ჭანტურიძე ნინო, გელიაშვილი თამარი** - ტურიზმის ინდუსტრია - მოსახლეობის დასაქმებისა და შემოსავლების ზრდის ხელშემწყობი ფაქტორები, ხელ-ლი. პროფ. **ვალერი მოსიაშვილი,** საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი ----------300
Tchanturidze Nino, Geliashvili Tamar - Tourism industry – as a main facilitating factory of growing incomes and employment of population, Sup.Doctor of Economics Prof. **Valeri Mosiashvili**, Georgian National University.
19. **გოლიაძე შორენა** - ტურიზმის გავლენა ქვეყნის ფინანსურ მაჩვენებლებზე, ხელ-ლი. ე.ა.დ. პროფ. **ვალერი მოსიაშვილი,** საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი ----------306
Goliadze Shorena - Tourism impact on the country's financial indicators, Sup. Doctor of Economics Prof.**Valeri Mosiashvili,** Georgian National University.
20. **მამისაშვილი ნინო** - დანაკარგები მშენებლობაში და მათი საგადასახადო ხარჯად აღიარების პრობლემები, ხელ-ლი. პროფ. **ელინა ქრისტესიაშვილი,** საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი.
Mamisashvili Nino - Losses in construction and problems of recognizing them in tax expenses, Sup. Prof. **Elina Kristesiashvili,** Georgian National University ----------311

21. **მჭედლიშვილი ლანა** - ურბანული მიწის ნაკვეთების ღირებულებითი მართვის ასპექტები მშენებლობის დარგის მდგრადი განვითარებისათვის და ეფექტური ეკონომიკური მართვის გადაწყვეტილებისათვის. ხელ-ლი. პროფესორი **გრიგორ ხოფერია,** საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ----------314
Mtchedlishvili Lana - Valuation Management of Urban Land Plots for Sustainable Development of the Field of civil engineering,Sup. Prof. **Grigor Khoperia**,Georgian National University.
22. **ლეჟავა გიორგი** - უძრავი ქონების განვითარებისათვის (დეველოპმენტისათვის) ფინანსირების მიზნებისათვის შეფასება 2017 წლის საერთაშორისო შეფასების სტანდარტების საბჭოს მიერ გამოქვეყნებული შსს-410-ს "დეველოპმენტის პროცესში მყოფი უძრავი ქონება"-ს ცალკეული სტანდარტების მოთხოვნის ჩარჩოებში, ხელ-ლი. პროფ. **გრიგორ ხოფერია,** საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ----------318
Lezhava Giorgi - For the purpose of financing for real estate development, the standard of the MIA410 published by the International Standards Assessment Bureau of 2017 requires a separate standard of "Real Estate in Development Prospect", Sup. Prof. **Grigor Khoperia,** Georgian National University.

■■■■

ნიკო ნიკოლაძის ეკონომიკური ხედვები

Niko Nikoladze's economic vision

*ავტორი - **გიორგი ხუჯაძე**, ხელმძღვანელი - ასოც. პროფ. **ნაირა ვირსალაძე**, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

Author - Giorgi Khujadze, Supervizor – Assoc. Prof. Naira Virsaladze, Akaki Tsereteli State University

Abstract

Niko Nikoladze belongs to a plethora of great Georgian figures who fought hard for the spiritual, cultural and material revival of the Georgian nation in the second half of the nineteenth and early twentieth centuries, leading the national liberation movement.

The socio-political, economic and philosophical view of Niko Nikoladze is still relevant today. He raised several problems with the reasonable arrangement of the Georgian state.

Niko Nikoladze, one of the first to feel the crucial importance of reviving the economy in saving the nation and leaving an unfavorable footprint in the economic development of Georgia and the Caucasus.

ნიკო ნიკოლაძე იმ დიდ ქართველ მოღვაწეთა პლეადას ეკუთვნის, რომლებიც XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში თავდადებით იბრძოდნენ ქართველი ერის სულიერი, კულტურული და მატერიალური აღორძინებისათვის, სათავეში ედგნენ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას.

ნიკო ნიკოლაძის სოციალურპოლიტიკური, ეკონომიკური და ფილოსოფიური თვალთახედვა დღესაც აქტუალურია. მან დასვა ქართულისახელმწიფოს გონივრულ მოწყობის რამდენიმე პრობლემა.

ნიკო ნიკოლაძემ ერთ-ერთმა პირველმა იგრძნო ერის გადარჩენაში ეკონომიკის აღორძინების გადამწყვეტი მნიშვნელობა და წარუშლელი კვალი დატოვა საქართველოსა და კავკასიის ეკონომიკის განვითარების საქმეში.

მას საქართველოსთვის ევროპული განვითარების კურსი მიაჩნდა იდეალურ ვარიანტად, რასაც ასე ხსნიდა:"ერთი და იგივე ძალა მართავს ქვეყნიერების ფიზიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებას, ის, რომელიც მთვარეს აბრუნებს დედამიწის ირგვლივ და მათ ორივეს მზის გარშემო,... ორიენტაცია შთაგონებით არ ხერხდება, ხალხი, როგორც ყოველი ცოცხალი არსება, თავისთავად მუდამ იქეთ იქცევს პირს, საიდანაც მზე სხივს ჰფენს და ღვივის. საქართველო წარსულში ორიენტაციას ყოველთვის იქეთ მიმართავდა ხოლმე, საიდანაც სინათლე და მოძრაობა მოდიოდა. შემცდარია, ვინც ფიქრობს, ვითომც რომელიმე მეფეს, წოდებას ან თაობას თავის ნებაზე შეძლებოდეს საქართველოს აქეთ და იქეთ მიბრუნება. სანამ განათლება და ცხოვრება ბიზანტიაში ენთო, საქართველოსაც მზესუმზირასავით თვალი იქეთ ეკავა, როცა სპარსეთი აყვავდა ინდოეთის კულტურაზე დაწაფებით, ჩვენი აღორძინებაც მისკენ მიიმართა, აზრი მისკენ გვქონდა, პეტრე დიდისა და ეკატერინე მეორის ამაგმა რუსეთი რომ გააჩაღა, საქართველოც ძალაუნებურად მან წარიტაცა ფიზიკის კანონით. როცა სხვადასხვა ძალა ერთ და იმავე საგანს თავისკენ უქაჩავებს, ამ საგნის მდებარეობას სწყვეტს მებრძოლი ძალების უძლიერესობა, საგანს, უნდა თუ არ უნდა, ყოველთვის მომრევი გადითრევს." მათი ქვეყნის სიკეთედ გარდაქმნისათვის გაევროპელება კი არა, ტექნიკური პროგრესის მიღწევების გაზიარება იყო საჭირო. ერთი საქმეა მიჰბაძო სხვას, მეორე შემოქმედებითად მიუდგე ეკონომიკისა და სოციალური პროგრესის მიმართულებებს და შენს ეროვნულ უპი-

რატესობებად აქციო ისინი, ხოლო მერე უკან დაუბრუნო მოწინავე ქვეყნებს ნაციონალური გამორჩეულეობის ნიმუშებად. ნიკო ნიკოლაძე ამ თვალსაზრისით დღემდე რჩება უნიკალურ შემოქმედად და ნოვატორად.

ნიკო ნიკოლაძეს მუდამ აწუხებდა კითხვა: *"როგორი ადამიანი სჭირდება ახალ დროს?" დროა შეიგნონ, რომ პატიოსნება, გულწრფელობა, გატაცება, ერთგულება, მაგრამ არა ოქროსადმი, არამედ კაცობრიობის მაღალი იდეალებისადმი.* დანაშაული კი არა, არამედ ძალაა აუცილებელი სახელმწიფოსათვის, სასარგებლო საქმეა ხალხის.

ნიკო ნიკოლაძე ახალი თაობის იდეური მეთაური და გზის გამკვალავი იყო. ახალმა დრომ ახალი ამოცნები დააყენა ქვეყნისა და ხალხის წინაშე. "ხალხმა და საზოგადოებამ იგრძნო და დაინახა, რომ საზოგადოებრივი წესი და წყობა ადამიდამ შეუცვლელი და ხელუხლებელი კი არ ყოფილა, ის, თურმე, კაცის ხელით შექმნილა და კაცის ხელითვე შეიცვლება."

ქართული პოლიტიკური აზროვნების ისტორიაში ნიკო ნიკოლაძე ქართული ბურჟუაზიული ინტელიგენციის მეთაურად და წინამძღოლად არის მიჩნეული.ქართულ ჟურნალისტიკაში ის ერთ-ერთი პირველთაგანია, ვინც ვაჭრობა აღებ-მიცემობის განვითარების პროპაგანდას ეწეოდა. ვაჭრობა იმ ბერკეტად მიაჩნდა, რასაც უნდა შემოებრუნებინა მრეწველობა, განევითარებინა ადგილობრივი სოფლის მეურნეობა, წინ წაეწია საზოგადოება და გაეძლიერებინა ეკონომიკა. *"სანამ ჩვენ არ მოვარხებთ ისე მოვაწყოთ საქმე, რომ მეტი ღირებულების საქონელი გავიტანოთ, ვიდრე შემოვიტანოთ, მანამდე ჩვენი ვალუტა იქნება სუსტი და დაცემული."* ყველაფრისადმი მეცნიერული მიდგომა ჰქონდა, იცოდა დემოკრატიის ფასი და ქვეყნის პრიორიტეტად დემოკრაკრატიული მენტალიტეტის მასაზრდოებელ ძალად მეცნიერების გამოცხადება მიაჩნდა. ამტკიცებდა, რომ *"დემოკრატია შექმნა ბურჟუაზიამ... ყველაფერი, რაც არსებობს რესპუბლიკის საფუძვლებში, ეს შექმნა ბურჟუაზიამ თავისი შენაძენი უფლებების დასაცავად".*

ქართველ მოაზროვნეთაგან იგი ერთ-ერთი პირველია, რომელმაც წინა პლანზე წამოსწია პრაქტიკული საკითხები, ერის განვითარებაში საკუთარი წარმოების აღორძნების აუცილებლობა, ეროვნული ვაჭრობისა და ეროვნული მრეწველობის განვითარება, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის აუცილებლობა, მეზობელ ქვეყნებთან კავშირის გაუმჯობესება, საქართველოში დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბებისათვის გადამწყვეტ ფაქტორად ნ. ნიკოლაძე სამამულო მაღალგანვითარებული ეკონომიკის ჩამოყალიბებას ასახელებს. "ამ გასაჭირში, როცა არ გვაბადია წარმოება და არც შემოსავალი, ვერ გვიხსნის ვერავითარი გადასახადი, წარმოების გაჩაღება არის ერთადერთი ჩვენი ხსნა, უნდა მოვახერხოთ გარეთ მეტი გავიტანოთ გასაყიდი, ვიდრე უცხოეთს ვთხოვდეთ საყიდ საქონელს". ამტკიცებდა, რომ "ფინანსურმა სამრეწველო კაპიტალი უნდა შეცვალოს, გაიხსნას უამრავი ფაბრიკა_ქარხანა."

მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საქართველოს გათავისუფლებასა და თავისუფალი რესპუბლიკის დემოკრატიული ინსტიტუტების ჩამოყალიბებაში, როგორც დეპუტატმა როგორც დიპლომატმა, როგორც ფინანსისტმა და ეკონომისტმა, როგორც მებრძოლმა ჟურნალისტმა, როგორც მეწარმემ და როგორც ახალი, დიდი და მასშტაბური პროექტების ავტორმა და შემოქმედმა.

ნიკოლაძე აქტიურ მონაწილეობას იღებდა თურქეთთან და გერმანიასთან მოლაპარაკებაში, რასაც მოჰყვა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება დემოკრატიულ რესპუბლიკად და ამ სახელმწიფოებთან დიპლომატიური ურთიერთობების დამყარება.განსაკუთრებულია ნიკო ნიკოლაძის ღვაწლი ბანკის დაარსებისათვის ბრძოლაში.

ნიკო ნიკოლაძე ეჭვქვეშ აყენებდა სოციალისტური საზოგადოებრივი წყობის ჩამოყალიბების შესაძლებლობებს. მისთვის მიუღებელი და არარეალური, ქვეყნისათვის დამღუპველიც კი იყო *"სოციალ-დემოკრატების ყველაზე თამამი და დღემდე არსად არ განხორციელებული იდეალი სიმდიდრის კოლექტიური წარმოება, როგორც კაპიტალიზმის წინააღმდეგ მიმართული საშუალება…"* მას მიაჩნდა, რომ *"საზოგადოებრივი წყობილების შეცვლა, ხალხის პოლიტიკური კულტურის დონის ამაღლებით, მისი ზნეობრივი და გონებრივი განვითარების წყალობით უნდა მოხდეს."* ნიკოლაძე თვლიდა, რომ სახელმწიფო და ეროვნული ინტერესები ყველაზე და ყველაფერზე მაღლა უნდა იდგეს. ამის მაგალითად იგი ინგლისს ასახელებდა: "ვიგები და ტორები ადვილი შესაძლებელია ასჯერ შეიცვალონ ბრიტანეთის მთავრობის საჭესთან, მაგრამ ინგლისის ინტერესები ამით ოდნავადაც არ შეიცვლება და მისი უდიდებულესობის ქვეყნის დედოფლის მთელი ძალისხმევა მუდამ ერთი მიზნისკენ ინება მიმართული,

ცნობილი საზოგადო მოღვაწე აღნიშნავდა, რომ დიდი ქვეყნები მცირერიცხოვან ქვეყნებს იგნორირებას უკეთებენ, ძარცვავენ მათ და ართმევენ ტერიტორიებსა და სიმდიდრეს, საარსებო რესურსებს. ის აფრთხილებდა საქართველოს მოქალაქეებს: "იმავე მიზეზის ძალით, რომლითაც მე და შენ, ჩემო კარგო მკითხველო, ვერ ვგრძნობთ საკუთარ უსამართლობას, დანაშაულობას და სისაძაგლეს, როცა უმანკო კრავს ან ხბოს ვკლავთ ან ვაკვლევინებთ, ჩვენის კუჭის გასაძღომად, ევროპელი ხალხი – ჩვენთვის ერთობ საჭიროა გავიგოთ, გონებაში ჩავიბეჭდოთ და ნიადაგ გვახსოვდეს ეს გარემოება – ევროპელი ხალხი-მეთქი, სწორედ იმ თვალით უყურებს ყოველს სხვა უკანჩამორჩენილს, უძლურს და უმეცარ ხალხს, როგორითაც ჩვენ თვითონ ცხვრის ფარას დავცქერით".

იმისთვის რომ აიცილო მესამეხარისხოვანი ქვეყნის ბედი, ყოველმხრივ გაძლიერებაა საჭირო – ეკონომიკურად, სოციალურად, კულტურულად, სამხედრო თვალსაზრისითაც კი. გვერდში რომ ამოუდგე ევროპულ ქვეყნებს, იგივე გზა უნდა გაიარო, რაც გაიარეს სხვებმა.

ნიკო ნოკოლაძეს სახელმწიფო მოწყობის მნიშვნელოვან საფუძვლად მიაჩნდა სახელმწიფოს ზომიერი, კონკრეტული ჩარევა ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში (ანუ თანამედროვე ის ნეოლიბერალურ დღის წესრიგს უპირისპირდებოდა. უფრო მეტიც, ილია ჭავჭავაძესთან მისი დაპირისპირების მთავარი საგანი სწორედ ეკონომიკური პოლიტიკა იყო – ილია თავისუფალი ვაჭრობის მომხრე იყო [ანუ ფრიტრეიდერობას ემხრობოდა], ხოლო ნიკო ნიკოლაძე პროტექციონიზმს და სახელმწიფოს აქტიური ჩარევას უჭერდა მხარს ეკონომიკაში.)

"სახელმწიფო გეზს უნდა აძლევდეს ქვეყნის მრეწველობის განვითარებას, გარკვეულად არეგულირებდეს ფასებს, არ უშვებდეს მონოპოლიწების წარმოქმნას და კვეცავდეს ვაჭრობის მიერ კლიენტების შეუზღუდავ ძარცვას."

ნიკოლაძის აზრით, ამ ყველაფრით მხოლოდ საზოგადოება მოიგებს, საჭიროა, რომ სახელმწიფომ თანაბარი სასტარტო პირობები შეუქმნას ყველას: "საზოგადოება შედგება ცალ-ცალკე პირებისგან და თავის საკუთარი სარგებლიანობისთვის მთელი საზოგადეობა უნდა ცდილობდეს,

რომ არცერთი მისი წევრი არ დაიჩაგროს, არ წახდეს, სწორედ ისე, როგორც კაცი თითოეულ თავის თითს ან სხეულის ნაწილს უფრთხილდებოდა. საზოგადოება უნდა ცდილობდეს, რომ თუ ამ ბრძოლის მოშლა და ჰარმონიის გამართვა ჯერჯერობით არ შეიძლება, ბრძოლა ისე მაინც მოდიოდეს, რომ ყოველი მებრძოლი ერთნაირად იყოს დაიარაღებული."

ნიკო ნიკოლაძეს მოჰყავდა იტალიის მაგალითი, რომ მან მანამ ვერ მოიპოვა დამუკიდებლობა, სანამ ეკონომიკურად არ აღორძინდა – საქართველოს ამ გზას უნდა დადგომოდა. **"ყოველი ერის საფუძველი, ძალა, მომავალი უფრო მის მეურნეობაზე დამყარებული, მის მწარმოებლურობაზე. სხვა ყველაფერი თითქმის უმნიშვნელოა ამასთან შედარებით, ერი, რომლის წარმოებაც შეფერხდა და სხვა ქვეყნების წარმოებასთან შედარებით ხეირიანად ვეღარ აჯილდოვებენ მწარმოებელს, სხვის მსხვერპლადაა გამზადებული. თუ იმან ვერ მოახერხე თავისი წარმოების გაუმჯობესება, გაიაფება, გაადვილება და გახვიანება, მისი საქმე წასული და დაღუპულია."**

ჯერ კიდევ XIX საუკუნის 80-იან წლებში ნიკო ნიკოლაძე ამტკიცებდა, რომ *ქვეყნის გადარჩენისათვის აუცილებელი იყო ქვეყანაში მრავალპარტიული მმართველობის არსებობა.* იქნებოდა ეს თბილისის, ქუთაისის, ფოთის თუ სხვა დიდი ქალაქების თვითმმართველობის სხვადასხვა ფორმა მუნიციპალიტეტი, სარებულო, დუმა და სხვა.მხოლოდ დემოკრატიული, მრავალპარტიული არჩევნების შედეგად მმართველობის სათავეში მოსულ საკრებულოსა თუ მსგავს ხელმძღვანელ ორგანოს, უწყებას შეუძლია აზრთა ჭიდილში შობილი ჭკვიანური, ქვეყნისა და ხალხისათვის მისაღები, სასარგებლო საქმეები აკეთოს, მიიღოს ასევე საჭირო და სასარგებლო დადგენილებები და კანონები და გაატაროს ისინი ნიკო ნიკოლაძე ხელისუფლებისაგან საქართველოს სუვერენიტეტის მეტი სიმტკიცით დაცვას მოითხოვდა, ზოგჯერ ეჭვიც ეპარებოდა მთავრობის უნარსა და შესაძლებლობებში. ის ურჩევდა მმართველ პარტიას მჭიდროდ ეთანამშრომლა კაპიტალისტურ ქვეყნებთან და გაეთვალისწინებია მათი გამოცდილება.

ნიკო ნიკოლაძეს კარგად ესმოდა სიტყვის თავისულების ფასი, მისი გამოსვლები დამფუძნებელ კრებებზე ყოველთვის საქმიანი და კონსტრუქციული იყო: "ბატონებო, ჩვენს ფრაქციას სულ სხვანაირად ესმის თანამშრომლობა დამფუძნებელ კრებაში, ვიდრე თქვენს ფრაქციას. ჩვენ გვგონია, რომ როდესაც ვლაპარაკობთ, ვლაპარაკობთ არა იმიტომ, რომ გითხრათ, ჩამოდექით და ჩვენ დავსხდებით თქვენს სკამებზეო, ჩვენ გვაინტერესებს ჩვენი მამულის და თავისუფლების განმტკიცება, ჩვენ მტრულად კი არ ვლაპარაკობთ, ვლაპარაკობთ ძმურად!.."

დიდ რეფორმატორს საქართველოს დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის ქვეყნის ეკონომიკური დამოუკიდებლობა და გაძლიერება მიაჩნდა უპირველეს პრიორიტეტად. ის გამუდმებით ფიქრობდა ქვეყანაში სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებისა და საზღვარგარეთ გატანის საქმეზე, რკინიგზებისა და ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობაზე. "… როგორც დაარსდა ჩვენი ქვეყანა, როგორც გამოცხადდა ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობა, უნდა დაგვეწყო ფიქრი იმაზე, თუ როგორ შევქმნათ ნამდვილი დამოუკიდებლობა ჩვენი რკინიგზის, მიმოსვლის, ჩვენი მრეწველობისა და მეურნეობის განვითარებით!.."

მას მიაჩნდა, რომ ჩვენი ქვეყნის ბუნებრივი ჰიდრორესურსების წყალობით და მათი გეგმაზომიერი ათვისებით შესაძლებელი იქნებოდა "აუცილებელი რევოლუცია ეკონომიკურ წეს-წყობაში, რევოლუცია ფინანსებში, მრეწველობაში…"

"დღესასწაული მოელის ჩვენს მთიან ქვეყანას!.." წერდა იგი ჯერ კიდევ XIX საუკუნის 80-იან წლებში, "აი, მაშინ გაუთენდება აღდგომა ჩვენს მთებს! რამდენი მთის მდინარე, რამდენი ჩანჩქერი, რამდენი მოძრავი ძალა გვაბადია! ეს ყველაფერი გამოიყენება. ეს აუარებელ ჩარხებს, დაზგებს, მანქანებს აამოძრავებს. მილიონ ოჯახში, რომელნიც შინაურ ხელობას, შინაურ ცხოვრებას დაუბრუნდებიან…

აქამდის ხალხი ჩვენი წინაპრების სადგომიდან მთებიდან ძირს მიელტვოდა ვაკეს დასაკავებლად, სადაც ხვნა-თესვა უფრო უადვილდებოდა. ეხლა კი პირიქით, ვაკედან მთებისკენ, მოძრავ ძალისკენ ავა."

ამავე ჰიდრორესურსების წყალობით შესაძლებელი გახდება რკინიგზის დამოუკიდებელი დენის წყაროთი უზრუნველყოფაც. ნიკოლაძე თვლიდა, "… როცა ის გვექნება ხელში, მაშინ ჩვენ გვექნება ნამდვილი ეკონომიკური და პოლიტიკური დამოუკიდებლობა…"

ნიკო ნიკოლაძე ამტკიცებდა, რომ ქვეყნის გაძლიერებისათვის აუცილებელია ბაქო-ბათუმისა და გროზნო-ფოთის ნავთობსადენის მშენებლობა ისე, რომ ორივე ნავთობსადენმა აუცილებლად გაიაროს საქართველოს ტერიტორიაზე. მისი სიტყვით: "ჩვენ უნდა გავაკეთოთ მილი გროზნომდის იმისთვის, რომ ბაქოს სათამაშონი არ გავხდეთ, როგორც დღესა ვართ." ნ. ნიკოლაძის ამ და სხვა პრაქტიკულ პროექტებს სკეპტიკურად და ირონიულადაც კი უყურებდნენ მთავრობის წარმომადგენლები, მაგრამ ის მაინც დაუღალავად შრომობდა და ეძებდა უცხოელ ინვესტორებს.

ამ თვალსაზრისითაც ნიკო ნიკოლაძე ჩვენი თანამედროვეა. ფოთი და მისი ნავსადგური დღესაც საერთაშორისო ეკონომიკურ და სატრანსპორტო პროექტებშია ჩართული, თვით „ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის" ცნობილ სისტემაში.მან სწორად შეაფასა ფოთის პორტის პერსპექტივა ქვეყნის შემდგომი განვითარებისთვის. ფოთიდან შესაძლებელი იქნებოდა მარგანეცის, ქვანახშირის, ნედლი მერქანის, ღვინოს გატანა. ფოთში უნდა შემოსულიყო რკინიგზა სადგურ „პროხლადნაიდან" კავკასიის მთავარი ქედის გავლით, რომლის პროექტიც თვითონ შეიმუშავა ისევე, როგორც ფოთიდან ირანის გავლით ინდოეთის ოკეანისაკენ მატარებლის მოძრაობის მარშრუტები. მასვე ეკუთვნის რკინიგზის გაყვანის ტექნიკური ვარიანტი ბზიფის ტყის ექსპორტული შესაძლებლობების ასათვისებლად, აგრეთვე მდინარე ბზიფის ჰიდროენერგიის გამოყენების ტექნიკური ნამუშევრები.

ნიკო ნიკოლაძე პარიზში ეძებდა ინვესტიციებს ტყიბულის ქვანახშირის მაღაროების ასამუშავებლად.მეთაურობდა ჭიათურის მანგანუმის საექსპორტო საზოგადოებას საზღვარგარეთ, ძნელია ჩამოვთვალოთ ყველა მისი ინიციატივა და ექსპერიმენტი. ის ერთნაირი გატაცემით ქმნიდა სულიერ და მატერიალურ ღირებულებებს.

მან პირველმა შექმნა ობლიგაციის პრეცედენტი საქართველოში, საფუთო მოსაკრებელი მარგანეცისა და ქვანახშირის ჩასატვირთი ელევატორის ასაშენებლად. ქვეყნის გარედან სამშობლოში შემოჰქონდა მცენარეთა, ფრინველთა და ცხოველთა ჯიშები, ეწეოდა მათ გამოცდებს ადგილობრივ პირობებთან შესაგუებლად. მერე იწყებოდა საპირისპირო პროცესი-ნიკოლაძისეული პროდუქციის ექსპორტი, რომელიც მოიცავდა არა მარტო საქონელსა და მასალებს, არამედ სამეცნიერო ნამუშევრებს, საინჟინრო ნახაზებსა და პროექტებს.

ნიკო ნიკოლაძეს აზრით ხალხს რომ ძალაუფლება ჰქონდეს, ქვეყანაში საშუალო ფენა უნდა არსებობდეს. საშუალო ფენა საზოგადოებრივი ელიტის მიმყოლია, მისი ძალაუფლებაა, ხელისუფლების მაკოტროლებელი და მაორიენტირებელია. გვახსოვს უახლოესი წასულიდან, რომ იყო საქართველოში საზოგადოებრივი ელიტა ცნობილი მეცნიერების, განათლების მუშაკების, ხელოვნების, კულტურის, სპორტის სახელოვანი ადმიანების სახით, რომელიც ნაციონალური ღირებულებების, ეროვნული ინტერესების ხელყოფას არ პატიებდა ხელისუფლებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1.https://luciuslibrary.wordpress.com
2.http://www.nplg.gov.ge
3.http://european.ge

■■■■

ნიკო ნიკოლაძის ეროვნული კონცეფცია

National Concept of Niko Nikoladze

ავტორი - შოთა კავარაცხელია, ხელმძღვანელი - სოციალურ მეცნიერებათა დოქტორანტი, **თამარი ხეცურიანი,** აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

Author - **Shota Kvaratskhelia,** *Supervizor* – **Tamari Khetsuriani,** PHD Student of Social Sciences ***Akaki Tsereteli State University***

Niko Nikoladze was truly unique person in the history of the country. The study of his bestseller activities has always been a matter of interest, if any of his ideas and opinions, even more than a century ago, still do not lose its actuality. During his long life and work, Niko Nikoladze was not only an active participant in national and public affairs, he also was main initiator of them. His ideas and opinions are so modern, so familiar and familiar to everyone that it is impossible to see his foresight. In his writings and thoughts we find answers to the important questions of today. It is precisely in its essay that we see the vision of economic development of Georgia and the Caucasus in general. Issues that are challenging today and demanding specific actions are still reviewed and analyzed by Niko Nikoladze. He, with his entire life, was connected with Poti sea port and considered his main duty to take care of it. Niko Nikoladze wrote letters where he laid out not only the plan of economic resurgence of Poti port, but the explicit task of economic development of South Caucasus, that incorporated transport capabilities of town and the necessity of fishery development. This would have an enormous social impact not merely on the town but on the whole country. Niko Nikoladze supported evolutional transformation of all spheres of social development. Moreover, he was a practical and active man. He valued the ideas and opinions according to thier viability. This pathos is injected in the majority of his works.

საკვანძო სიტყვები: ეკონომიკური ინდიკატორი, გეოსტრატეგია, ერობა, საზღვაო, ინფორმაციული უზრუნველყოფა, მოდერნიზაცია, ეკონომიკური იმედები.

❖შესავალი

„ულმობელი საქმის კაცი"- ასეთი ეპითეტით შეამკო არჩილ ჯორჯაძემ ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე დიდი მოაზროვნე, ნიკო ნიკოლაძე. საოცარია, რომ ამ სამადსამ სიტყვაში ბრწყინვალედ ჩაატია მთელი მისი პოლიტიკურ-ეკონომიკური, სოციალურ-კულტურული და საზოგადოებრივი მოღვაწეობა. ნიკო ნიკოლაძის ერთ-ერთი მთავარი ღირსება, ბევრი თეორეტიკოსისგან განსხვავებით, იყო სიტყვის საქმედ ქცევა, თეორიული შეხედულებების პრაქტიკული ხორცშესხმა. თავისი ხანგრძლივი ცხოვრებისა და მოღვაწეობის მანძილზე ნიკო ნიკოლაძე ეროვნული, საქვეყნო საქმეების არამხოლოდ აქტიური მონაწილე, არამედ ბევრი მათგანის ინიციატორი, სულის ჩამდგმელი და განმახორციელებელი იყო. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ თუ საქართველომ დღეს განვითარების გარკვეულ საფეხურს მიაღწია ამაში თავისი წვლილი, უდავოდ, ნიკო ნიკოლაძესაც მიუძღვის. მის მიერ 100 წლის წინ გააზრებული და სამსჯელოდ გამოტანილი ნარკვევების მრწამსი და იდეები დღეს იმდენად თანამედროვე, ყველასთვის ნაცნობი და ახლობელია, რომ შეუძლებელია არ დაინახო მისი შორსმჭვრეტელობა. მის ნაწერებსა და ნააზრევში ვპოულობთ პასუხს დღევანდელობის მნიშვნელოვან კითხვებზე. მთელი ცხოვრება აზრთა გაცვლა-გამოცვლაში, პაექრობა-დისკუსიაში გაატარა. დისკუსია მისი ნააზრევისა და ნამოღვაწარის ირგვლივ ახლაც გრძელდება, მაგრამ მისი ნაშრომების წამკითხველი კარგად გაიგებს, რომ მის მიერ წამოჭრილი საკითხების დიდი უმრავლესობა ახლაც თანადროულია, თითქოს ნიკოლაძე დღევანდელი საჭირბოროტო საკითხების განხილვაშია ჩაბმული. მიუხედავად იმისა, რომ საუკუნეზე მეტი ხნის წინ მისი სამრეწველო-ეკონომიკური პროექტები ბევრს არარეალურად და მიუწვდომლად მიაჩნდა, იგი მაინც ახერხებდა, თეორიული ნააზრევი საქმიან რეალობად ექცია.

❖ეკონომიკური მდგომარეობის მთავარი ინდიკატორები

ნიკო ნიკოლაძე საკმაოდ ბევრს წერდა და საუბრობდა ქვეყნის ეკონომიკურ მგომარეობაზე, ეკონომიკის განვითარების პერსპექტივებზე. იგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა სოფლის მეურნეობის, მრეწველობისა და ვაჭრობის განვითარებას. აგრეთვე ქვეყანაში აღრიცხვის მოწესრიგების საკითხებს, რაც დღესაც აქტუალურია. საქართველომ 1990–იანი წლებიდან მკაფიოდ გამოხატა ჩვენი ქვეყნის სამომავლო განვითარებაში დასავლური ორიენტაცია. ამ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ამოცანის შესასრულებლად სხვა მრავალ საკითხთა შორის ერთ–ერთი აუცილებელი ფაქტორია ისეთი ახალი ინდიკატორების შემუშავება და დანერგვა, როგორიცაა ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის ობიექტურად და კომპლექსურად დახასიათება და მოცემული პარამეტრების შინაარსისა და მეთოდოლოგიის შესაბამისობა ევროპულ და ზოგადად დასავლურ მოთხოვნილებებთან. მოცემული პრობლემა არა მარტო ჩვენი ქვეყნის, არამედ მსოფლიოს მრავალი ქვეყნის პრობლემაცაა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც გახშირდა ეკონომიკური კრიზისები, საომარი მოქმედებები, კლიმატური კატაკლიზმები, და სხვა ანომალური მოვლენები. ამჟამინდელი მშპ, მეპ–ი და რიგი სხვა მაჩვენებლები არ არის საკმარისი ეკონომიკის განვითარებისა და მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის სრულყოფილად დახასიათებისათვის.

საჭიროა შეიქმნას ახალი ინდიკატორები, რომლებიც გაითვალისწინებენ მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების გამოცდილებას. ამჟამად მსოფლიოს ცნობილი ეკონომისტები აღარ დაობენ იმის თაობაზე, რომ დროა ეკონომიკის განვითარებისა და სოციალური მდგომარეობის შეფასების მაჩვენებელთა სისტემაში მეტი ყურადღება დაეთმოს მოსახლეობის კეთილდღეობის, ანუ ხალხის ცხოვრების დონის დახასიათებას. ეს არ ნიშნავს მთლიან შიდა პროდუქტსა (მშპ) და წარმოების მაჩვენებლებზე უარის თქმას, რადგანაც ისინი უშუალოდ ახასიათებს საბაზრო წარმოებას და დასაქმებას. ამოცანა მდგომარეობს იმაში, თუ როგორ მოვახერხოთ მშპ–ს შევსება სხვა ინდიკატორებით, რათა უფრო ზუსტად დავახასიათოთ საზოგადოებრივი ზრდის რეალური მდგომარეობა. მოცემული დილემა კარგა ხანია დგას სტატისტიკის წინაშე. გლობალიზაციის მაღალმა ტემპებმა დღის წესრიგში დააყენა საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნების სოციალური და ეკონომიკური განვითარების ტრანსფორმაციისა და მოდერნიზაციის მრავალმხრივი პროცესების ინფორმაციული უზრუნველყოფის ამოცანა. ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ ზემოაღნიშნულ სტანდარტებზე, ინფორმაციულ უზრუნველყოფაზე თავის დროზე დიდ ყურადღებას ამახვილებდა ეკონომიკური პრობლემების ჩინებული ნიკო ნიკოლაძე, რაც მის არაერთ ნაშრომშია მოცემული.

❖ ფოთის საზღვაო პორტის გეოსტრატეგიული მნიშვნელობა და მისი როლი ქვეყნის ეკონომიკაში

ფოთის აკვატორიის უდიდეს გეოსტრატეგიულ და ეკონომიკურ მნიშვნელობას მუდამ გრძნობდნენ რეგიონში პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესების მქონე სახელმწიფოები. თურქეთი, რუსეთის იმპერია, დიდი ბრიტანეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი, ჩრდილოკავკასიის ხალხებიც კი სხვადასხვა მიზეზებითა თუ სხვადასხვა მიზნით ამ უმნიშვნელოვანესი არტერიის ხელში ჩაგდებას ცდილობდნენ. ფოთის უმნიშვნელოვანეს გეოსტრატეგიულ მდებარეობას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა და ქართველი ერის სოციალურ-ეკონომიკური აღორძინების საქმეში მუდმივად მის ჩაყენებას ცდილობდა ნიკო ნიკოლაძე. პროგრესული საზოგადო მოღვაწე ხომ წლების განმავლობაში იყო ფოთის ქალაქის თავი. ფოთის პორტის დღევანდელი მდგომარეობა ამ საკითხს განსაკუთრებით აქტუალურს ხდის. საქართველოს პირველი რესპუბლიკის გამოცხადება, პოლიტიკური და ეკონომიკური იმედები, რომლებიც უმალვე ჩამოყალიბდნენ და მოითხოვდნენ რეალიზაციას, ნიკო ნიკოლაძის ყურადღების გარეშე არ დარჩენილა. ფოთის პორტის მომავალზე ზრუნვა, მისი იმჟამინდელი ფიქრისა და განსჯის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენდა. რა ვითარებაში შეხვდა ფოთის საზღვაო პორტი საქართველოს დამოუკიდებლობას და როგორ ახერხებდა საქართველოს დემოკრატიული მთავრობა მისი დახმარებით იმ ეკონომიკური ამოცანების შესრულებას, რასაც ქვეყნისთვის სწრაფი სოციალური განვითარების საფუძველი უნდა შეექმნა? შექმნილი რთული პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობა დიდ გავლენას ახდენდა ფოთის მშრომელებზე, რომელთა რადიკალურ შეხედულებებს აპირობებდა გაუსაძლისი ეკონომიკური ყოფა, ხელფასების დაგვიანება და ხშირი გაუცემლობა. ეს იწვევდა სოციალურ პროტესტს, გაფიცვებს, დემონსტრაციებს. სწორედ ამ რთულ ვითარებაში ნიკო ნიკოლაძე წერს წერილებს, რომლებშიც მოცემულია არა მარტო ფოთის პორტის ეკონომიკური აღორძინების გეგმა, არამედ მთელი სამხრეთ კავკასიის ეკონომიკური განვითარების კონკრეტული ამოცანა, რაც აერთიანებს როგორც სატრანსპორტო შესაძლებლობებს, ასევე თევზჭერის განვითარების აუცილებლობას, რასაც უდიდესი სოციალური შედეგი ექნებოდა არა მხოლოდ

ქალაქისათვის, არამედ მთელი ქვეყნისათვის. ამ კონტექსტში აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ნიკო ნიკოლაძის თვალსაზრისი, რომელიც გულისხმობდა ეკონომიკის ეფექტური განვითარებას, ამავე დროს მნიშვნელოვნად უწყობდა ხელს ნაყოფიერი ნიადაგის შექმნას სამხრეთკავკასიის ხალხების დაახლოებისა და ურთიერთთანამშრომლობისათვის.

❖ ერობისა და საქალაქო თვითმმართველობის შემოღების მცდელობა საქართველოში

ბატონყმობის გაუქმების შემდეგ რუსეთის იმპერიაში კაპიტალისტურმა წარმოებამ და ბურჟუაზიულმა ურთიერთობებმა სწრაფად დაიწყო განვითარება. ამ ახალ ეკონომიკურ ფაქტორებს თან უნდა მოჰყოლოდა ,,შესაფერისი'' ცვლილება საზოგადოებრის ყველა დონეზე. საქართველო, როგორც რუსეთის გუბერნია მოკლებული იყო ყველა სიკეთეს. მეფის მთავრობამ რუსეთში ერობა შემოიღო, თუმცა საჭიროდ არ ჩათვალა მსგავსი რეფორმის გატარება საქართველოში. ევროპაში განათლებამიღებულმა ნ. ნიკოლაძემ ყველაზე კარგად იცოდა თვითმმართველობის ფასი და მიუხედავად იმისა, რომ რუსული ერობა იმის ნახევარსაც არ იძლეოდა, რასაც ევროპული ნამდვილი თვითმმართველობა, მან მაინც დაიწყო ერობის აქტიური პროპაგანდა საქართველოში. მას ერობა თუნდაც იმიტომ მოსწონდა, რომ მასში თვითმმართველობის, ანუ საკუთარი თავის მოვლის გასაღები იდო. იგი ვარაუდობდა, რომ თუ მას საქართველოშიც შემოიღებდნენ, ქვეყნის წინსვლაში მნიშვნელოვანი გარდატეხა მოხდებოდა. სამწუხაროდ, მის ამ იდეას ილია ჭავჭავაძემაც არ დაუჭირა მხარი და ერობამ განვითარება ვერ ჰპოვა. თუმცა ნიკო ნიკოლაძეს ბრძოლა ამ მიმართულებით არ შეუწყვეტია და შეძლო ერობის შემოღება ფოთში.

❖ შეჯამება

თავისი ხანგრძლივი ცხოვრების განმავლობაში ნიკო ნიკოლაძე მრავალი საზოგადოებრივი, ეროვნული თუ უფრო მასშტაბური საქმის თაოსანი, მესვეური, თვითმხილველი და რაც მთვარია მონაწილე ყოფილა. მისი მარავალმხრივი საქმიანობის შესწავლა ყოველთვის წარმოადგენდა და წარმოადგენს ინტერესის ის საგანს, რამე თუ მისი იდეები და შეხედულებები, დღესაც არ კარგავს აქტუალობას. ზოგადად დიდი ადამიანები, მხოლოდ თავისი გენიის გამო კი არ იყვნენ დიდები, არამედ მათ რამდენიმე ათეული და ასეული წლით ადრე შეძლეს გაეაზრებინათ მომავალი. დიდი ადამიანები, როგორც წესი, ბევრად უსწრებდნენ დროს. სწორედ ასეთ მოაზროვნეთა სიაშია ნიკო ნიკოლაძე. ამასთან, არა მარტო საქართველოში, არამედ თუნდაც მთელს ევროპაში თითზე ჩამოსათვლელია იმ დიდი ადამიანების სახელები, რომლებმაც თავიანთი თეორიული იდეების პრაქტიკული განხორციელება შეძლეს. "ნიკო ნიკოლაძე ხომ დროს გასწრებული მოაზროვნე იყო. იგი თვითონ ქმნიდა დროს".

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საერთაშორისო სამეცნიეროკონფერენციის შრომათა კრებული - ნიკო ნიკოლაძე 170
2. ევგენი ბურჯანაძე, ალექსანდრე ამილახვარი - ნიკო ნიკოლაძე
3. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, თბილისი, 1972.
4. გ. თოდუა - ნიკო ნიკოლაძე და ეკონომიკური თეორიის აქტუალური საკითხები, თსუ, 1996.
5. https://www.marketer.ge/niko-nikoladze/

6. https://burusi.wordpress.com/2009/09/12/niko-nikoladze-2/
7. Georoyal.ge

■■■■

საქართველოს საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები,

პრობლემები და პერსპექტივები

Georgia's international economical relations, difficulties and perspectives

ავტორი - **გიორგი ურთმელიძე, მონიკა ქაშიბაძე,** *ხელმძღვანელი* - ასოც. პროფ. **ხათუნა თოდუა,** აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

Author - **Giorgi Urtmelidze, Monika Qashibadze**, *Supervizor* –Assoc. Prof. **Khatuna Todua**, *Akaki Tsereteli State University.*

Abstract
In the modern world a countries' economical industry is unimaginable without its' foreign economical policies. Georgia as a post soviet country is relatively new subject to the market economy. Georgia's geographical location allows it to be economically active in the region, and its' foreign policy has been free trade deals and direct foreign investments. Georgia is actively involved in the modern space of political and economical integration, which involves almost all countries on our planet. Georgia's economical goal is to reach the position of a well balanced wealth and a stable social-economical structure.

Key words: international relations, free trade deal, economical structure, direct foreign investments.

ისტორიული-ლიტერატურული წყაროებით ირკვევა, რომ ევროპისა და აზიის ქვეყნებთან საქართველოს უძველესი დროიდან აქტიური ეკონომიკური ურთიერთობა ქონდა, იქნებოდა ასეთი: ინდოეთი, საბერძნეთი, ირანი, ბიზანტია და ა.შ. მაგრამ საინტერესოა თუ რა როლი უჭირავს აქართველოს თანამედროვე გლობალურ პოლიტიკურ-ეკონომიკურ ურთიერთობებში?

მას შემდეგ რაც საქართველოს დამოუკიდებლობა მოიპოვა 1991 წლის 9 აპრილს, სტრატეგიული ინტერესებიდან გამომდინარე აქტიურად ჩაერთო ტანამედროვე მსოფლიოს გლობალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური პრობლემების ახლებურად გააზრება გადაწყვეტის პროცესში რომე-

ლიც თავისთავად მოიცავდა სოციალისტური ეკონომიკური სისტემიდან გადასვლას თანამედროვე საბაზრო ეკონომიკურ სისტემაზე, ამ დროიდან საქართველო აქტიურად მოღვაწეობს თანამედროვე პოლიტიკური და ეკონომიკური ინტეგრაციის სვრცეში. საქართველოში შემუშავებულია სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გრძელვადიანი სტრატეგიული გეგმა, რომლის მიზანია ეროვნული სახელმწიფოებრიობის განმტკიცებისა და ქვეყნის მოქალაქეტათვის თანამედროვე ცივილიზაციის შესაფერისი ცხოვრების დონის მატერიალური გარანტიების შექმნა, რომელიც მსოფლიო სამეურნეო კავშირებში ინტეგრირებული ეკონომიკური სისტემის საფუძველზეა შესაძლებელი. აღნიშნული სტრატეგიული მიზანი ეკონომიკური მიმაღტულებით გულისხმობს:

- საბაზრო ეკონომიკის პრინციპების დამკვიდრებას

- წარმოების განვითარებისათვის ახალი სტიმულების შექმნას და ამ პროცესების რეგულირებას.
- ღარიბი ფენებისათვის სოციალური დახმარების აღმოჩენას და შრომისუნარიანი მოსახლეობის სრულ დასაქმებას.

- შრომის მასტიმულირებელი სისტემის შექმნას.

საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობა აქვს დამყარებული მსოფლიოს ყველა მაღალგანვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებთან იგი თავის მომავალს მსოფლიოს სახელმწიფოთა თანამეგობრობაში, მათთან მჭიდრო პოლიტიკურ-ეკონომიკურ თანამშრომლობაში ხედავს. საქართველო ნელ ნელა იმკიდრებს თავს მსოფლიო ეკონომიკურ ასპარეზზე, მას ინტენსიური ეკონომიკური ურთიერთობა აქვს სამხრეთ კავკასიის, შუა აზიის, ახლო აღმოსავლეთისა და ევროპის სახელმწიფოებთან. განსაკუთრებიტ აღსანიშნავია ურთიერთთანამშრომლობა, აშშს, ევროკავშირთან და ჩინეთთან.

ბოლო წლებში საქართველოს მთავარი ეკონომიკური სტრატეგია ემყარებოდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვას გადასახადების შემცირების გზით. თანამედროვე ეკონომიკური შეხედულებების შესაბამისად, მიუხედავად იმისა რომ მოცემული ეკონმომიკური სტრატეგია მიმზიდველია ისეთი განვითარებადი ქვეყნებისთვის როგორიც საქართველოა რადგან მას სწრაფ პირველად ეკონომიკურ ზრდას აღუქვამს საწყის ეტაპზე, ქვეყნის განვითარებისთვის საჭიროა ყოვლისმომცველი ეკონომიკური სტრატეგია. იმედი იმისა რომ პირდაპირი ეკონომიკური ინვეტიციებით ქვეყანა განვითარდება აბსურდულია, რამეთუ პირდაპირი ინვესტიციები მყარ საფუძველს ქმნიან ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური ურთიერთობებისთვის, გრძელვადიან პერსპექტივაში კი პირდაპირი უცხოური ინვესტიციებით შემოსული მოგება ქვეყნიდან გადის და მას ინვესტორი ქვეყანა მოიხმარს. მათ ქვეყანაში არ შემოაქვთ უახლესი ტექნოლოგიები და კმაყოფილდებიან მხოლოდ იმით რაც მათ ბიზნეს სტრატეგიაში ჯდება, ასევე აღსანიშნავია ისიც რომ ყველა დამატებითი ღირებულების შემქმნელი ატივობა, როგორიცაა: კვლევა, მარკეტინგი, ბრენდინგი რჩება სათავო ოფისში, ხოლო კონკურენცია ადგილობრივ ფირმებთან სახელმწიფოს პოლიტიკის შედეგად პრობლემურია, რადგან ხშირად ბაზარი გადახრილია უცხოური ფირმების სასარგებლოდ.

საქსტატის მონაცემებით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში სულ ოფრო და უფრო მზარდია, რაც საფრთხეს უქმნის, ზემოთ აღნიშნულ ადგილობრივ ფირმებსა და წარმოებებს.

ჩვენი და ასევე ბერლინის სამართლისა და ეკონმომიკის სკოლის პროფესორის, ჰანსიორგ ჰენრის აზრით მოცემული პრობლემის მოსაგვარებლად უცხოურ ინვესტიციებს მიმართულებას უნდა აძლევდეს მთავრობა. ჩინეთის მაგალითზე დაყრდნობით რომელიც მიზანმიმართულად უჭერს მხარს იმ ინვესტიციებს რომელებიც ეკონომიკურ განვითარებაზე იყო ორიენტირებული ხოლო დანარჩენზე უარს ამბობდა.

მეტწილად ეკონომისტები თანხმდებიან თავისუფალი ვაჭრობის მნიშვნელობაზე, დღეისათვის საქართველოს თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება აქვს, ჩინეთთან, ევროკავშირთან, დსთს ქვეყნებთან და თურქეთთან. ხოლო ამჟამად საქართველოს მთავრობა მუშაობს თავისუფალი ვაჭ-რობის ხელშეკრულებაზე ინდოეთთან და ისრაელთან. ერთი შეხედვით თავისუფალი ვაჭრობა სრულიად დადებითი მოვლენა უნდა იყოს საქართველოსთვის, მაგრამ არასწრმუნოა მოსაზრება რომ თავისუფალი ვაჭრობა სრულფასოვან ეკონომიკურ განვითარებამდე მიგვიყვანს, მართალია ეკონომიკურად თანაბარ სახელმწიფოების შორის თავისუფალი ვაჭრობა ორივესთის თანაბრად მომგებიანია. მაგრამ, ჩვენი აზრით, თავისუფალი ვაჭრობა ვერ იქნება სამართლიანი განვითარე-ბულ და განვითარებად ქვენებს შორის. განვითარებადი ქვეყნისთვის შრომის კონცენტრირება დაბალკვალიფიციურ და დაბალტექნოლოგიურ წარმოებაზე, მოკლევადიან პერსპექტივაში ეკო-ნომიკური მდგომარეობა უმჯობესდება, მაგრამ გრძელვადიან პერსპექტივაში ვნებს განვითარე-ბადი სახელმწიფოების ეკონომიკას. თავისთავად ცხადია თავისუფალი ვაჭრობა სახელმწიფოს აქტიური პოლიტიკის გარეშე ქვეყანას მოიმწყვდევს დაბალტექნლოგიური განვითარების ქვაკუ-თხედში. ისტორია გვიჩვენებას რომ სახელმწიფოს განვითარება ტექნოლოგიურ პროგრესთან პირდაპირკავშირშია.

ცხრილი 1: პირდაპირი უცხოური ინვესტიციები

მლნ. აშშ დოლარი

წელი	**სულ**	**I კვ**	**II კვ**	**III კვ**	**IV კვ**
2005	**452.8**	88.6	104.8	79.6	179.7
2006	**1 171.2**	145.2	318.0	332.4	375.5
2007	**1 752.6**	330.8	366.5	468.9	586.4
2008	**1 569.7**	539.5	605.4	134.9	290.0
2009	**664.2**	113.3	177.1	179.0	194.8
2010	**845.1**	176.1	211.4	236.4	221.2
2011	**1 129.9**	222.5	270.9	306.8	329.6
2012	**1 022.9**	295.5	246.8	219.5	261.2
2013	**1 020.5**	290.3	216.4	265.8	248.0
2014	**1 817.7**	326.6	209.7	740.5	540.9
2015	**1 665.6**	335.0	483.0	515.9	331.7
2016	**1 565.8**	378.8	411.5	491.7	283.7
2017	**1 894.5**	393.6	355.8	622.8	522.2

2018*	**676.2**	287.0	389.2	

www.geostat.ge

2017 წლის 13 მაისს საქართველოსა და ჩინეთს შორის გაფორმდა თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება, ხოლო 2018 წლის 1 იანვრიდან ხელშეკრულება ძალაში შევა, რის შედეგადაც ქართული პროდუქციისს 94% განთავისუფლდება საბაჟო გადასახადისგან, ამასთან ქართულს სერვისსა და პროდუქციას გაეხსნება 1.4 მილიარდიანი ბაზარი. საქართველო პირველი ქვეყანაა რეგიონში რომელსაც თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება ჩინეთთან აქვს გაფორმებული. ხოლო 2014 წელს გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულება ევროკავშირთან ასევე მოიცავს ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო სივრცის შექმნას, მოცემული ხელშეკრულება ძალაში 2016 წლეს შევიდა. ხოლო მსგავსი ხელშეკრულება თურქეთთან 2007 წლეს გაფორმდა ხოლო 2008 წლეს ძალაში შევიდა.

ცხრილი 2: საგარეო სავაჭრო ბრუნვა

მლნ. აშშ დოლარი)

	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018 იანვა-რი-ოქტომ-ბერი*
საგარეო სავაჭრო ბრუნვა	6913.3	9258.7	10433.0	10933.1	11462.9	9505.0	9407.7	10674.7	10305.9
საქონლის რე-გისტრირებული ექსპორტი (FOB)	1677.3	2186.4	2376.6	2910.3	2861.0	2204.7	2112.9	2735.5	2751.0
საქონლის რე-გისტრირებული იმპორტი(CIF)	5236.0	7072.3	8056.4	8022.7	8601.8	7300.3	7294.0	7939.2	7555.0
საგარეო ვაჭრო-ბის სალდო	-3558.7	-4885.8	-5679.7	-5112.4	-5740.8	-5095.6	-5181.1	-5203.7	-4804.0
ექსპორტი რეექ-სპორტის გარეშე	1380.3	1693.0	1606.4	1812.1	1873.3	1637.4	1657.1	2070.0	1912.1

www.geostat.ge

მოცემული მონეცემებიდან გამომდინარე საქართველოს საგარეო ვაჭრობის სალდო ყოველი წლისთვის უარყოფითია, ევროკავშირთან დადებული ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგაც კი.

მიუხედავად გასულ საუკუნეში მიმდინარე ტენდენციებისა, რომლის მიხედვითაც ეკონომიკაში სახელმწიფოს მინიმალური ჩარევა სახელმწიფოს ყველაზე დიდ მოგებას სთავაზობდა, ჩვენი აზრით თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე პროცესებმა, რომელიც მსოფლიოს პროტექციონისტული ეკონომიკისაკენ უბიძგებს, საქართველო მიიყვანა იმ რეალობამდე, რომ საჭიროა მთავრობის მიერ გარკვეულწილად პროტექციონისტული პოლიტიკის გატარება, რათა საქართველოს მიიღოს მაქსიმალური ეკონომიკური სარგებელი საერთაშორისო ვაჭრობიდან და ეკონომიკური კეთილდღეობა ქვეყნის მოსახლეობაზე აისახოს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გურამ ჯოლია - საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები.
2. გრეგორი მენქიუ - ეკონომიკის პრინციპები

3. საქსტატის მასალები: http://www.geostat.ge/?action=page&p_id=133&lang=geo
4. http://www.geostat.ge/?action=page&p_id=2230&lang=geo

■■■■

საქართველოს ეკონომიკური განვითარების გზები

Ways of economic development of Georgia

ავტორი - **თეონა ბენდელიანი, ეკა ოქროპილაშვილი,** *ხელმძღვანელი* - მოწვეული სპეციალისტი, **ქეთო შონია,** აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

*Author - **Teona Bendeliani, Eka Okropilashvili**, Supervizor – Inv. Spec. **Keto Shonia** , Akaki Tsereteli State University.*

Abstract

Introduction to the Report and Purpose of Research: Economic development should be considered in frame of economic and non-economic factors. Often the conflict zones are named as the major hindrance for economic development of Georgia, however, this is not the main reason why "Rkatsiteli" and "Borjomi" do not have the door open on the global market, the reason is the closed economy. Whether globalization is coming, and in terms of real conditions, the economy is a locked system where only economic factors do not work. Priority directions should be developed for the development of Georgia, these includes: intellectual capital growth, rational use of natural capital, agriculture support, energy sector development. Energy security in Georgia, high intellectual capital, liberal economics and economic integration of the country in the North-Atlantic area is the preferred environment for foreign investments. One of the most important indicators that the country's economic position is to discuss is GDP which is defined as the market value of all the final goods and services produced within the country in a given time period. The purpose of the work is to assess the economic situation in Georgia based on specific economic indicators (Gross Domestic Product, Unemployment Level, Foreign Trade Indicator, Export Indicator, Inflation, Direct Foreign Investments).

Research methodology. Georgia's economy has gone through many stages of development. According to the survey, from the 90's until today there are several economic stages: 1991-1994 - economic catastrophe; 1995-1997 - signs of waking up; 1998-2000 _ Asian financial crisis; 2001-2003 - accelerating growth; 2004-2007 - Rapid growth; 2008-2009 _ Crisis; 2010-2012 _ Stability; 2013 - Effect of change of Government; Going forward slowly 2014-2017. Existing economic and geopolitical factors influences the Georgian economy at this stage.

Results and implications: As a result of studying the obtained information, showed up the ways of economic development, which Georgia has passed since the 90s to the present day. Nowadays, the Georgian economy is the economy of challenges. Georgia's economy is developing in very difficult

conditions today. We all understand that we have open and small economy, but we also understand that we are not in a position to blame foreign factors. There are some internal moments that impede the rapid development of the economy and the challenges should be answered.

Conclusion: So, as we have mentioned, Georgia's economy has gone through several stages of development. Today, the Georgian economy is the economy of challenges - on the one hand it is obvious that the growth potential is only partially taken into consideration, on the other hand, there are serious challenges with regional and major trading partners, which reflect our economy.

ეკონომიკა _ სოციალური მეცნიერებაა, რომელიც შეისწავლის საქონლისა და მომსახურების წარმოებას, განაწილებას, გაცვლასა და მოხმარებას. ეკონომიკა ზოგადად მოიაზრება, როგორც:

1. საზოგადოების ეკონომიკური ბაზისი, საწარმოო ურთიერთობათა ერთობლიობა;
2. მოცემული ქვეყნის ან მისი ნაწილის მეურნეობა, წარმოების დარგებისა და სახეობების ჩათვლით;
3. მეცნიერების დარგი, რომელიც შეისწავლის საწარმოო ურთიერთობებს და მათ სპეციფიკურ მხარეებს საზოგადოებრივი წარმოებისა და გაცვლის განსაზღვრულ სფეროში.

ეკონომიკური განვითარებისთვის უნდა განვიხილოთ როგორც ეკონომიკური, ასევე არაეკონომიკური ფაქტორები. საქართველოს განვითარებისთვის უნდა გამოიყოს პრიორიტეტული მიმართულებები. ესენია: ინტელექტუალური კაპიტალის ზრდა, ბუნებრივი კაპიტალის რაციონალური გამოყენება, სოფლის მეურნეობის მხარდაჭერა, ენერგოსექტორის განვითარება. საქართველოში ენერგოუსაფრთხოება, მაღალი ინტელექტუალური კაპიტალი, ლიბერალური ეკონომიკა და ქვეყნის ეკონომიკური ინტეგრაცია ჩრდილო-ატლანტიკური მასშტაბით სასურველი გარემოა უცხოური ინვესტიციებისთვის. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მაჩვენებელი, რომლის მიხედვითაც შესაძლებელია ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე მსჯელობა არის მშპ ანუ მთლიანი შიდა პროდუქტი, რომელიც განიმარტება, როგორც დროის მოცემულ პერიოდში ქვეყნის შიგნით წარმოებული ყველა საბოლოო საქონლისა და მომსახურების საბაზრო ღირებულება.

„ქართული ეკონომიკა დღეს არის გამოწვევების ეკონომიკა. ჩვენი ეკონომიკის იდეოლოგია გახლავთ თავისუფალი ბაზრის პრინციპი და ჩვენ კარგად გვესმის, რომ ეს არის ერთადერთი საშუალება ამ ქვეყანაში იყოს ძლიერი კერძო სექტორი. სექტორი, რომელმაც უნდა შექმნას სამუშაო ადგილები, რომელმაც უნდა მიიღოს ყველაზე მნიშვნელოვანი წვლილი ეკონომიკის სწრაფ ზრდაში. გამომდინარე აქედან, ჩვენ გვესმის, რომ ამის ფუნდამენტი გახლავთ მაკროეკონომიკური სტაბილურობა, საკუთრების უფლების განუხრელი დაცვა და თავისუფალი, კონკურენტული გარემოს შექმნა. საქართველოს ეკონომიკას, დღეს საკმაოდ მძიმე პირობებში უწევს განვითარება. ჩვენ ყველას გვესმის, რომ გვაქვს ღია და მცირე ეკონომიკა, თუმცა ასევე გვესმის, რომ ჩვენ არ ვართ იმ მდგომარეობაზე, რომ ყველაფერი საგარეო ფაქტორებს დავაბრალოთ. არსებობს გარკვეული შიდა მომენტები, რომელიც აფერხებს ეკონომიკის სწრაფ განვითარებას და ამ გამოწვევებსაც შესაბამისი პასუხი უნდა გაეცეს. ქართული ეკონომიკა დღეს არის გამოწვევების ეკონომიკა _ ერთი მხრივ, აშკარაა, რომ ზრდის პოტენციალი მხოლოდ ნაწილობრივ არის გათვალისწინებული, ხო-

ლო, მეორე მხრივ, არის სერიოზული გამოწვევები რეგიონსა და ძირითად სავაჭრო პარტნიორებთან, რაც ასახვას ჰპოვებს ჩვენს ეკონომიკაში“ _ განაცხადა ეკონომიკის მინისტრობის კანდიდატმა გიორგი გახარიამ.

საქართველოს ეკონომიკამ განვითარების მრავალი ეტაპი განვლო. კვლევის თანახმად, 90-იანი წლებიდან დღემდე აღინიშნება რამდენიმე ეკონომიკური ეტაპი:

❖1991-1994: ეკონომიკური კატასტროფა

კალიფორნიის უნივერსიტეტის კვლევის მიხედვით, მეორე მსოფლიო ომში დამარცხების შედეგად გერმანიაში ერთ მოსახლეზე შემოსავალი $ 6,000 _ დან $ 2,500 _ მდე შემცირდა (დაახლოებით 60%-ით). საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაცემებით, 1991 წელს საქართველოში ერთ მოსახლეზე საშუალო წლიური შემოსავალი $ 5,550 იყო. 1994 წლისთვის ეს მაჩვენებელი $ 2, 466 _ მდე (61%-ით) შემცირდა. ანუ 90-იანი წლების დასაწყისში საქართველოში შემოსავლების ვარდნა უტოლდებოდა მეორე მსოფლიო ომში განადგურებული გერმანიის მდგომარეობას. 1990-იანი წლების საქართველოს ეკონომიკური კატასტროფა მრავალმა ფაქტორმა განაპირობა. რთულია, გამოყო რომელი ფაქტორი უფრო დამანგრეველი იყო: სამოქალაქო ომი, ტერიტორიული მთლიანობისთვის ომი, კორუფცია, კრიმინალი, საბაზრო ეკონომიკის არცოდნა, ჰიპერინფლაცია თუ ენერგეტიკული კრიზისი.

❖1995-1997: გამოღვიძების ნიშნები

1995 წლიდან საქართველოში ეკონომიკურმა სიტუაცია გამოსწორება დაიწყო, მშპ 2,6%-ით გაიზარდა. 1996-1997 წლებში ზრდა 10.6% იყო, რაც განაპირობა შედარებით სტაბილურმა პოლიტიკურმა ვითარებამ, ომის დასრულებამ და 1995 წლის სექტემბერში განხორციელებულმა მონეტარულმა რეფორმამ, როდესაც კუპონი ლარით ჩანაცვლდა. 1995 წელს ჰიპერინფლაციის ტემპი 57%-მდე შემცირდა, ხოლო 1997 წელს უკვე 7.2% იყო. ლარის კურსი დოლარის მიმართ სტაბილური იყო და 1.3-ის ფარგლებში მცირედით მერყეობდა. 1996-1997 წლებში საქართველოს ექსპორტი 57%-ით გაიზარდა. 1997 წელს $ 243 მილიონის პირდაპირი უცხოური ინვესტიციები შემოვიდა, როცა 1996 წელს ინვესტიციები მხოლოდ 4 მილიონი დოლარი იყო.

❖1998-2000: აზიის ფინანსული კრიზისი

მეოცე საუკუნის ბოლოს მსოფლიოში დაიწყო აზიის ფინანსური კრიზისი, რომელმაც განსაკუთრებით აზიის ქვეყნები დააზარალა, მათ შორის _ რუსეთიც. რადგან ამ პერიოდში საქართველოს რუსეთზე ეკონომიკური დამოკიდებულების დონე მაღალი იყო, კრიზისმა საქართველოზეც მნიშვნელოვანი გავლენა იქონია. 1998-2000 წლებში საქართველოს ეკონომიკური ზრდის ტემპი 2.5%-მდე დაეცა. ლარი საგრძნობლად გაუფასურდა, ერთი დოლარის ფასი 2 ლარს გადასცდა. წლიური ინფლაციის ტემპი 11%-მდე ამაღლდა.

❖2001-2003: ზრდის დაჩქარება

აზიის ფინანსური კრიზისის შემდეგ საქართველოს ეკონომიკური ზრდის ტემპი თანდათან ამაღლდა. 2003 წელს ეკონომიკა 11.2%-ით გაიზარდა. 2003 წლის მაღალი ზრდა ძირითადად ვაჭრობისა და სოფლის მეურნეობის ზრდამ განაპირობა. ასევე მნიშვნელოვანი პოზიტიური გავლენა ჰქონდა ბაქო - ჯეიჰანის მილსადენის მშენებლობას.

2003 წელს ბიუჯეტის შემოსავლები მილიარდ ლარს გადასცდა, ხოლო სახელმწიფო ვალმა 5.4 მილიარდ ლარს მიაღწია.

2003 წელს არსებული დადებითი ეკონომიკური ტენდენცია არ გახდა საკმარისი ვარდების რევოლუციის შესაჩერებლად, რადგან რევოლუციის მთავარი ლოზუნგი კორუფციის წინააღმდეგ

ბრძოლა იყო. მსოფლიო ბანკის 2002 წლის მონაცემებით, საქართველო ჩრდილოვანი ეკონომიკის სიდიდით მსოფლიოში პირველ ადგილზე იყო.

❖2004-2007: სწრაფი ზრდა

2004-2007 წლები მნიშვნელოვანი რეფორმების წლებია. შემცირდა კრიმინალი, კორუფცია. საგრძნობლად შემცირდა ბიზნესის კეთების ხელის შემშლელი რეგულაციები. შემცირდა გადასახადების სახეები და განაკვეთები. ყველაფერი ეს სხვადასხვა საერთაშორისო ეკონომიკურ რეიტინგში აისახა. ამას ერთვოდა ისიც, რომ რომ მსოფლიოშიც ეკონომიკური ბუმის პერიოდი იდგა.

2004 წელს საქართველოს ეკონომიკა 5.8%-ით გაიზარდა, ხოლო 2007 წელს _ 12.6%-ით. თუმცა, მაღალი იყოინფლაციის ტემპი - წლიურად საშუალოდ 8.4%-ის დონეზე. ბიუჯეტის შემოსავლები 4-ჯერ გაიზარდა და 5 მილიარდ ლარს მიაღწია. სახელმწიფო ვალი 4.3 მილიარდ ლარამდე შემცირდა.

2007 წელს საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების უმაღლესი მაჩვენებელი - $ 2 მილიარდი დაფიქსირდა და დღემდე რეკორდად რჩება.

❖2008-2009: კრიზისი

2008 წლის პირველ ნახევარში ეკონომიკა 10%-ით გაიზარდა. 2008 წლის ბოლოს მსოფლიოში გლობალური ფინანსური კრიზისი დაიწყო. საქართველოს ეკონომიკის ზრდა აგვისტოში, რუსეთ - საქართველოს ომის დროს შეჩერდა.

2009 წლიდან საერთაშორისო თანამეგობრობამ საქართველოს $4 მილიარდზე მეტის დახმარება და შეღავათიანი კრედიტები გამოუყო. თუმცა 2009 წელს საქართველოში შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები - 58%-ით, ექსპორტი - 24%-ით, ქვეყნის ეკონომიკა კი 3.7%-ით შემცირდა.

გაიზარდა ბიუჯეტის დეფიციტი და აქედან გამომდინარე ქვეყნის სახელმწიფო ვალი. 2 წელიწადში ვალი 3 მილიარდი ლარით გაიზარდა და მშპ-ის 41%-ს გაუტოლდა. ლარი დოლარის მიმართ 1.8-მდე გაუფასურდა.

❖2010-2012: კრიზისიდან გამოსვლა

2010-2012 წლებში საქართველოს ეკონომიკა საშუალოდ 6.6%-ით იზრდებოდა. ზრდაში მნიშვნელოვან როლს თამაშობდა უცხოური დახმარებები და კრედიტები. 2010-2011 წლებში ბიუჯეტის დეფიციტი მაღალი იყო, მთავრობა დეფიციტური ხარჯვით ეკონომიკური ზრდის ტემპს ამაღლებდა. შედეგად, სახელმწიფო ვალი კიდევ 2 მილიარდი ლარით გაიზარდა და 9 მილიარდს გადააჭარბა. 2010 წელს ინფლაციამ 11.2% შეადგინა, შემდეგ წლებში კი შემცირდა.

ექსპორტი წლიურად საშუალოდ 29%-ით იზრდებოდა. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები წელიწადში საშუალოდ $ 950 მილიონის დონეზე იყო. ეკონომიკის სექტორებიდან ყველაზე მაღალი ტემპით მშენებლობა, ვაჭრობა, საფინანსო საქმიანობა, სასტუმროებისა და რესტორნების ბიზნესი იზრდებოდა. შემცირდა სოფლის მეურნეობის სექტორი.

❖2013: ხელისუფლების ცვლილების ეფექტი

2013 წელს ახალმა ხელისუფლებამ წინა ხელისუფლების ეკონომიკური პოლიტიკის გადახედვა დაიწყო, შეაჩერა ზოგიერთი ინფრასტრუქტურული პროექტი, გაურკვეველი იყო, მთავრობა ეკონომიკის განვითარების რა გზას აირჩევდა. ეკონომიკური ზრდის ტემპი 3.4%-მდე შემცირდა. ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების ბალანსი „გაირღვა“. განსაკუთრებით შემცირდა ინფრასტრუქტურული ხარჯები.

2013 წელს, ყველაზე მეტად, 11.3%-ით გაიზარდა სოფლის მეურნეობის სექტორი, რადგან მთავრობამ ხალხს ხვნა - თესვის ვაუჩერები დაურიგა. ყველაზე მნიშვნელოვანი შემცირება კი მშენებლობის სექტორში იყო - 10%.

❖**2014-2017: წინ ნელი სვლით**

2014-2016 წლებში ეკონომიკა საშუალოდ 3.4%-ით იზრდებოდა. 27%-ით შემცირდა საქართველოს ექსპორტი, რაც ძირითადად რუსეთსა და აზერბაიჯანში არსებული კრიზისით იყო გამოწვეული. 22%-ით შემცირდა საზღვარგარეთიდან ფულადი გზავნილები. 2014-2016 წლებში დაეცა ტურიზმის ზრდის ტემპიც. შემცირებულმა საგარეო შემოსავლებმა ლარის გაუფასურება გამოიწვია, კურსმა დოლარის მიმართ 2.8-საც კი მიაღწია. ბოლო 4 წელიწადში ინფლაციის მაჩვენებელი საშუალოდ 3.7%-ია. სახელმწიფო ვალი მშპ-ის მიმართ 44%-მდე გაიზარდა.

აღნიშნულ წლებში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ყველაზე მეტი 2014 წელს იყო - $ 1.8 მილიარდი. მომდევნო წლებში კი საშუალოდ $ 1.6 მილიარდის ინვესტიცია შემოვიდა.

2017 წელს ეკონომიკა 4 – 4.5% - ით გაიზარდა, რაც ძირითადად ექსპორტის, ფულადი გზავნილების, ტურიზმისა და ინფრასტრუქტურის მშენებლობის ზრდას ემყარება. ერთ მოსახლეზე წლიური შემოსავალმა 10,000 PPP (ერთ მოსახლეზე საშუალო წლიური შემოსავალი) დოლარს გადააჭარბა.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ 2018-2021 წლების ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტი გამოაქვეყნა, რომლის მიხედვით ირკვევა, რომ 2019, 2020 და 2021 წლებში საქართველოს ეკონომიკა წლიურად 6% - ით გაიზრდება.

თანამედროვე საქართველოსთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ისეთ ეკონომიკურ განვითარებას, რომელიც დაეფუძნება ინკლუზიურ ეკონომიკურ ზრდას. ბოლო პერიოდში საქართველოში დაფიქსირდა ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპი. კერძოდ, 2017 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 2018 წლის მაისში რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპმა 7.5%, ხოლო 2018 წლის პირველი 5 თვის საშუალო რეალური ზრდის ტემპმა კი 6.1% შეადგინა. მიუხედავად ამისა, ქვეყანაში აშკარად იკვეთება მოსახლეობის უკმაყოფილება შექმნილი ეკონომიკური და სოციალური სირთულეების გამო. კერძოდ, მსოფლიო ბანკის მონაცემების თანახმად, საქართველოს რეგიონებში ფაქტობრივად ყოველივე მეორე ადამიანი უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრობს, შედარებით უკეთესი მდგომარეობაა თბილისში, სადაც დაახლოებით ყოველი მეხუთე ადამიანი შიმშილის ზღვარზე. გაეროს ბავშვა ფონდის მიხედვით, საქართველოში ყოველი მეხუთე ბავშვი სიღარიბის ზღვარს მიღმა ცხოვრობს, ხოლო ყოველი მეექვსე ბავშვი საარსებო მინიმუმზე ნაკლებს მოიხმარს; იმავდროულად, 2017 წელს სამი და მეტი ბავშვის მქონე ოჯახების 33.4%, ხოლო ერთი ან ორი ბავშვის მქონე ოჯახების 24.1% აბსოლუტურ სიღარიბეში ცხოვრობს.

იბადება ლოგიკური კითხვა: თუ ქვეყანაში ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი მაღალია, მაშინ რა იწვევს მოსახლეობის უკმაყოფილებას, ხომ არ არის ეს საქართველოს ეკონომიკის არასწორი მიმართულებით განვითარებით გამოწვეული?

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად აუცილებელია დავახასიათოთ ის ეკონომიკური მოდელი, რომლის კულტივირებაც ხდება საქართველოში.

საქართველოს ეკონომიკის შესაბამის სტატისტიკურ ინფორმაციაზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქვეყანაში ჩამოყალიბდა ეკონომიკის მომხმარებლური მოდელი. ამის დასტურად საკმარისია აღვნიშნოთ, რომ იმპორტი, სამწუხაროდ, უკვე არაერთი წელია სტაბილურად

3.5-ჯერ აღემტება ექსპორტს, ხოლო სამომხმარებლო კალათაში ისევე, როგორც სასურსათო კალათაში იმპორტული საქონლის ხვედრითი წილი ასევე სტაბილურად 80%-ია. სხვა სიტყვებით, ჩვენ უფრო მეტს მოვიხმართ, ვიდრე ვაწარმოებთ.

მაშინ როდესაც ასეთი სურათი ისახება, საქართველო დარგების სწორი გადახარისხებით და პრიორიტეტების გამოყოფით უნდა დაინტერესდეს. ფისკალური პოლიტიკა უნდა იყოს დომინანტი მონეტარულთან მიმართებაში, ვალუტის კურსის ხელოვნურ გამყარებაზე და ინფლაციის თარგეთირებაზე დაბალი განაკვეთით, უფრო მნიშვნელოვანია ამ ეტაპზე სწრაფი ეკონომიკური განვითარება რის დროსაც მაღალი ინფლაცია გარდაუვალია, ასევე ქვეყანას ექსპორტისათვის აწყობს დაბალი ეროვნული სავალუტო კურსი.

საქართველომ საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივებზე გათვლით უნდა უზრუნველყოს უმუშევრობის დაძლევა, რეალური მშპ-ს სწრაფი ტემპით ზრდა და დადებითი სალდო სხვა ქვეყნებთან ვაჭრობის დროს. ამისათვის პრიორიტეტული დარგების გამოყოფა და მათი განვითარების დიდი ხელშეწყობაა საჭირო. ერთ-ერთი ასეთი დარგი, ჩემი აზრით, არის სოფლის მეურნეობა, რომელიც მართალია დიდი მწარმოებლურობით და უკუგებით არ გამოირჩევა, მაგრამ თვითდასაქმების საკმაოდ დიდ სექტორს ქმნის. დღეს ეს დარგი ცუდ მდგომარეობაშია, მწირე რაოდენობით მიწები გამოიყენება. ასევე დიდ ტექნიკურ პრობლემას აწყდება, მაგალითად კომპანია საქართველოში მოქმედ „ბარამბოს“ საწარმოს თხილი თურქეთიდან შემოაქვს, იმის გამო რომ საქართველოში არ არის ხარისხის (ამ შემთხვევაში თხილის გულის ვარგისიანობის) შემმოწმებელი ქარხანა, ხოლო ქართული თხილი თურქეთში გადის დასამუშავებლად. სახელმწიფომ უნდა შეიმუშაოს სოფლის მეურნეობის განვითარების ერთიანი-ერონული პროგრამა.

დღესდღეობით ცოდნის ეკონომიკისა და ინფორმაციის ერის ეპოქაში სიმდიდრის შექმნის და განაწილების მთავარ რესურსად და იარაღად ინტელექტუალური კაპიტალი იქცა. ინტელექტუალური კაპიტალის ზრდა, ინვესტიციები განათლებისა და მეცნიერების სფეროში, ძალიან მნიშვნელოვანია და ისეთი ქვეყნისათვის როგორიც საქართველოა უპირველესი პრიორიტეტი უნდა იყოს. უზრუნველყოფს ინოვაციებს, ახალ პროდუქტსა თუ ტექნოლოგიებს, ის მთავარი წარმმართველია დღევანდელ ეკონომიკაში. თანაც გარკვეულ სფეროებში მას ზემოთხსენებული ეკონომიკის ჩაკეტილობა ვერ ეხება, ვირტუალური და ფინანსური საქმიანობების ზრდასთან ერთად მისი მნიშვნელობა კიდევ უფრო იზრდება. სახელმწიფომ უნდა დაიცვას ინტელექტუალური საკუთრების უფლება, დაეხმაროს მეცნიერულ კვლევებს, მხარი დაუჭიროს ცოდნის ეტაპობრივ განახლებას.

ქვეყნის განვითარებისთვის ბუნებრივ კაპიტალსაც უნდა მიექცეს ყურადღება, საქართველოს საკმაოდ დიდმოცულობითი და მრავალფეროვანი რესურსები გააჩნია, უნდა მოხდეს მათი სწორი გამოყენება. რეკრეაციული ზონების, ბუნებრივი რესურსების ეფექტიანი გამოყენება მნიშვნელოვანია, მაგალითად საქართველოში უხვადაა თერმული წყლები,რომლებიც ტყვილად იღვრება, შეიძლება მათთან აშენდეს სათბურები, საშრობი მარცვლეულისა და ხილ-ბოსტნეულისათვის და ა.შ. ეს ერთ-ერთი მაგალითია გამოუყენებელი რესურსისა. სახელმწიფომ უნდა აღრიცხოს მაქსიმალურად ეს რესურსები და ეფექტიანად გამოიყენოს.

ენერგეტიკის დარგის განვითარება, ასევე კარგი ნაბიჯია ეკონომიკური წინსვლის გზაზე. საქართველოს ამის საკმაოდ დიდი პოტენციალი გააჩნია. ამ მამოძრავებელი ბერკეტის სრულყოფა დიდ ეფექტს იქონიებს, თუნდაც წარმოების გამოცოცხლების მხრივ.

დასკვნა

მოპოვებული ინფორმაციის შესწავლის შედეგად გამოიყო ეკონომიკური განვითარების გზები, რომლებიც საქართველომ განვლო 90-იანი წლებიდან დღემდე. დღესდღეობით ქართული ეკონომიკა არის გამოწვევების ეკონომიკა. საქართველოს ეკონომიკას დღეს საკმაოდ მძიმე პირობებში უწევს განვითარება. ჩვენ ყველას გვესმის, რომ გვაქვს ღია და მცირე ეკონომიკა, თუმცა ასევე გვესმის, რომ ჩვენ არ ვართ იმ მდგომარეობაზე, რომ ყველაფერი საგარეო ფაქტორებს დავაბრალოთ. არსებობს გარკვეული შიდა მომენტები, რომლებიც აფერხებს ეკონომიკის სწრაფ განვითარებას და ამ გამოწვევებსაც შესაბამისი პასუხი უნდა გაეცეს.

ამრიგად, ამრიგად, როგორც აღვნიშნეთ, საქართველოს ეკონომიკამ განვლო განვითარების რამდენიმე ეტაპი. დღეს კი ქართული ეკონომიკა არის გამოწვევების ეკონომიკა _ ერთი მხრივ აშკარაა, რომ ზრდის პოტენციალი მხოლოდ ნაწილობრივ არის გათვალისწინებული, ხოლო, მეორე მხრივ, არის სერიოზული გამოწვევები რეგიონსა და ძირითად სავაჭრო პარტნიორებთან, რაც ასახვას ჰპოვებს ჩვენს ეკონომიკაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Wikipedia.org
2. მსოფლიო ბანკის მონაცემები
3. ეკონომიკის მინისტრობის კანდიდატის, გიორგი გახარიას, მოსაზრება არსებულ თემასთან დაკავშირებით
4. კალიფორნიის უნივერსიტეტის კვლევა
5. Forbes.ge

■■■■

საქართველოს ბუნებრივი რესურსები და სახელმწიფო რეგულირება

Georgia's Natural Resources and State Regulation

ავტორი - **ციური დიდებაშვილი,** *ხელმძღვანელი* - ასოც. პროფ. **თამარ დევიძე,** საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი.

Author - **Tsiuri Didebashvili,** *Supervizor* – Assoc. Prof. **Tamar Devidze,** Georgian Technical University.

„პროფესიონალიზმი -- ეს არის პატრიოტიზმი“

რეზო თაბუკაშვილი

In the process of regulating the use of mineral resources, there are problems on the part of the state, both in the regulation of power and in their implementation. The rule of granting the use of minerals in the last 20 years has changed several times. Most of the amendments envisaged modification of the right of granting the right to use. This simplifies the licensing process, but has negatively influenced the environmental issues.

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების რეგულირების პროცესში სახელმწიფოს მხრიდან პრობლემები არსებობს როგორც რეგულაციების ხარისხში, ასევე მათ აღსრულებაში. სასარგებლო წიაღისეულით სარგებლობის უფლების მინიჭების წესი ბოლო 20 წლის განმავლობაში რამდენჯერმე შეიცვალა. ცვლილებათა უმეტესობა ითვალისწინებდა სარგებლობის უფლების მინიჭების უფლებამოსილების მქონე უწყების შეცვლას. აღნიშნულმა გაამარტივა ლიცენზირების პროცესი, თუმცა უარყოფითი გავლენა მოახდინა აღნიშნულ პროცესში გარემოს დაცვის საკითხების გათვალისწინებაზე.

საკვანძო სიტყვები: საქართველოს ბუნებრივი რესურსები, სახელმწიფო რეგულირება

ძირითადი ტექსტი

ბუნებრივი რესურსები ბუნებრივი გარემოს შემადგენელი ბუნებრივი ელემენტებია, რომლებსაც იყენებენ საწარმოო ძალთა განვითარების მოცემულ ეტაპზე ადამიანთა საზოგადოების მატერიალურ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. ბუნებრივი რესურსების ძირითადი სახეობებია: წიაღისეული, კლიმატური, წყლის, ნიადაგის, მცენარეული, ფაუნისტური, ატომური, პლანეტურ-კოსმოსური რესურსები, ზღვის მიმოქცევისა და სხვა ენერგიის წყაროები.

მატერიალური დოვლათის წარმოების პროცესში ადამიანი აქტიურად ზემოქმედებს ბუნების ცალკეულ ელემენტზე და ცვლის ბუნებრივი რესურსების მთელ კომპლექსს. ბუნებრივი რესურსების ერთი ნაწილი ულევადია, რადგან მათ სწორი ექსპლუატაციის კვალდაკვალ თვითგანახლებაც ხდება. არის ისეთი ბუნებრივი რესურსებიც, რომელთა მარაგი თანდათან კლებულობს და საბოლოოდ ამოიწურება. ამიტომ ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება კაცობრიობის უპირველესი საზრუნავია.

საქართველოს, თავისი ტერიტორიის სიმცირის მიუხედავად, მეტად მრავალფეროვანი და უნიკალური ბუნებრივი რესურსები გააჩნია. ნებისმიერი ქვეყნის წიაღისეული სიმდიდრეებიდან მნიშვნელოვანია სათბობ-ენერგეტიკული რესურსები: ნავთობი, ქვანახშირი, ბუნებრივი აირი და ტორფი.

ნავთობის დაზვერილი მარაგი საქართველოში მხოლოდ 13 მლნ ტონას შეადგენს, თუმცა მაღალია მისი ხარისხი. სავარაუდო რეზერვი 580 მლნ ტონაა. ძალზე პერსპექტიულად ითვლება ტარიბანის ნავთობის საბადო, სადაც, წინასწარი გათვლებით, ერთი მილიარდი ბარელი ნავთობის მარაგია. ქვანახშირის მრეწველობას საქართველოში თითქმის ორი საუკუნის ისტორია აქვს. დღეისათვის

საქართველოში ქვანახშირის არსებული რეზერვი 450 მლნ ტონაა, რომელიც შეიძლება კიდევ 700 მილიონი ტონით გაიზარდოს. სამწუხაროდ, ქვანახშირის უმეტესი ნაწილი შედარებით დაბალი ხარისხისაა.

ნავთობის თანმხლები ბუნებრივი აირის მოპოვება წარმოებს სამგორ-პატარძეულსა და თელეთის საბადოებზე. აღსანიშნავია, რომ შავი ზღვის საქართველოს შელფურ ზონაში ბუნებრივი აირის მარაგი 1,8 მლრდ კუბ. მ-ია.

მანგანუმს ჭიათურასა და საჩხერეში მოიპოვებენ. იგი შავი მეტალურგიის განვითარებისათვის მეტად საჭირო ნედლეულია. პერსპექტიული თვალსაზრისით, საყურადღებოა ჩხარი-აჯამეთის საბადო ქუთაისისა და თერჯოლის მიდამოებში, აგრეთვე შქმერის, აგარისა და ჯავის საბადოები. სულ საქართველოში გამოვლენილი მანგანუმის სავარაუდო მარაგი 0,5 მლრდ ტონას შეადგენს.

რკინის მადნის საბადოებიდან ყველაზე მძლავრია ფოლადაურის საბადო და მაგნეტიტური ქვიშები გურიის ზღვისპირა ზოლში. აქ რკინის მარაგი 150-200 მლნ ტონაა. აღსანიშნავია, აგრეთვე, ძამის საბადო, რომლის მარაგი 20 მლნ ტონას შეადგენს.

საქართველოში ფერადი ლითონების საბადოებია: სპილენძ-ტყვია-თუთიის (მადნეული), ტყვია--თუთიის (კვაისა), დარიშხნის (ცანის და ლუხუნის).

საქართველოში მოიპოვებენ მოსაპირკეთებელ ქვებს: აქატს (ახალციხის მუნიციპალიტეტი), საიუველირო აქატს (მარნეულის მუნიციპალიტეტი), ობსიდიანს (ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი). მათ ზუსტი ხელსაწყოების, საათების წარმოებასა და საიუველირო საქმეში იყენებენ.

საქართველოს მინერალურ რესურსებში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მინერალურ წყლებს. ზოგიერთი მათგანი (ბორჯომი, წყალტუბო და სხვ.) მსოფლიო მნიშვნელობისაა. ჩვენში მინერალური წყლების გამოვლინების ორი ძირითადი რეგიონია, კერძოდ: კავკასიონის სამხრეთ კალთებისა და მცირე კავკასიონის. ჯერჯერობით, მინერალური წყაროების უმრავლესობა არასაკმარისადაა შესწავლილი.

წყლის რესურსები: საქართველოს ტერიტორიაზე მიედინება 26060 მდინარე, რომელთა საერთო სიგრძე 60 ათას კმ-ს აღწევს. საქართველოს წყალსაცავებში დაგროვილია საერთო წყლის რესურსების მნიშვნელოვანი ნაწილი. დღეისათვის ექსპლუატაციაში 44 წყალსაცავია, რომელთა მოცულობა 0.5 მლნ მ3-ს აღემატება. წყალსაცავების წყლის ზედაპირის საერთო ფართობი 163 კმ2-ია, რაც საქართველოს ტერიტორიის 0.23%-ს შეადგენს. დასავლეთ საქართველოს წყალსაცავები, ძირითადად, ენერგეტიკული დანიშნელებისაა, აღმოსავლეთ საქართველოს წყალსაცავთა უმეტესობის დანიშნულება კი ირიგაციაა.

კომპლექსური დანიშნულების წყალსაცავები რამდენიმე ფუნქციას ასრულებენ, მაგალითად: ჟინვალის წყალსაცავის დანიშნულებაა ელექტროენერგიის გამომუშავება, მორწყვა, სასმელი წყლით მომარაგება და, ნაწილობრივ, თბილისის წყალსაცავის წყლით უზრუნველყოფა. წყალსაცავები, ძირითადი დანიშნულების გარდა, ასევე, გამოიყენება თევზის მეურნეობისთვის, რეკრეაციისა და წყალდიდობის შედეგების შესასუსტებლად. მათი უმეტესობა შექმნილია მდინარის ჩამონადენის სეზონური და მრავალწყლიანი რეგულირების მიზნით.

საქართველოს მინერალურ სიმდიდრეთა შორის მნიშვნელოვამი ადგილი უკავია მიწისქვეშა წყლებს, რომელთა რესურსებზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ქვეყნის ეროვნული მეურნეობის განვითარება. საქართველოს წიაღი მდიდარია თერმული წყლებით, რომლებიც გარდა სასოფლო-სამეურნეო და კომუნალური დანიშნულებისა, პერსპექტიულია ენეტგეტიკული თვალსაზრისითაც.

საქართველოს შედარებით მცირე ტერიტორიაზე დედამიწის ზედაპირზე არსებული ჰავის თითქმის ყველა ზონაა დაწყებული ნოტიო სუბტროპიკულიდან, დამთავრებული მარადი თოვლისა და მყინვარების ზონით. საქართველოს ჰავის ნაირგვარობას განსაზღვრავს ერთი მხრივ, მისი მდებარეობა სუბტროპიკული ზონის ჩრდილოეთ საზღვარზე შავსა და კასპიის ზღვებს შორის, მეორე მხრივ, მისი რელიეფის განსაკუთრებული სირთულე: ჰავის ჩამოყალიბებაში დიდ როლს თამაშობს სხვადასხვა მიმართულებისა და სიმაღლის ქედი. ადგილობრივ ჰავას ქმნის შავი ზღვა და კავკასიონი. უკანასკნელი საქართველოს იცავს ჩრდილოეთიდან ცივი ჰაერის მასების უშუალო შემოჭრისაგან, ხოლო შავი ზღვა აზომიერებს ტემპერატურის მერყეობას და ხელს უწყობს ნალექების დიდ რაოდენობით მოსვლას, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში.

ზემოთ მოყვანილი ინფორმაციით დასტურდება, რომ საქართველო მდიდარია ბუნებრივი რესურსებით. თუმც,ა ისინი არასწორადაა გამოყენებული, მაშინ, როდესაც საქართველო წყლის ქვყანაა, მრავლადაა მინერალური წყლები, თუმცა დიდი განსხვავებაა საქართველოს ტერიტორიაზე გასაყიდ წყალსა და ექსპორტისათვის დამზადებულ წყალს შორის. ქვეყანაში არ ხდება რესურსების სწორი მართვა-რეგულირება, რაც ეკონომიკის შესუსტებას იწვევს. სავსებით შესაძლებელია იმ პროდუქციის იმპორტი შემცირდეს რაც ქვეყანაშივე მოიპოვება, ხოლო ქვეყნიდან გავიდეს პროდუქციის ის რაოდენობა, რაც ნამეტი იქნება. ეს ეკონომიკას გააძლიერებს. საზოგადოებას აქვს განუსაზღვრელი მოთხოვნები, რომელთა დაკმაყოფილება შეზღუდული რესურსების პირობებში უნდა მოხდეს. ამიტომ, სტრატეგიულად გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ამ რესურსების სწორ გამოყენებას.

საქართველოს კანონი „წიაღის შესახებ“ განსაზღვრავს იმ ზოგად პრინციპებს, რომლებიც დაცული უნდა იქნას სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების პროცესში. კანონის მიხედვით, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების სფეროში სახელმწიფო მართვა უნდა უზრუნველყოფდეს წიაღისა და გარემოს დაცვას და უნდა უზრუნველყოფდეს წიაღის კომპლექსურ და რაციონალურ გამოყენებას.

გარემოსდაცვითი მენეჯმენტის საფეხურები წიაღისეულის მოპოვების პროცესში:

1.გარემოზე ზემოქმედება უნდა იყოს იდენტიფიცირებული და რანჟირებული უარყოფითი ზემოქმედების სიმძლავრის მიხედვით;

2.დაგეგმოს და განახორციელოს ყველა შესაძლო გონივრული ნაბიჯი გარემოზე ნეგატიური ზემოქმედების თავიდან ასარიდებლად;

3.უარყოფითი ზემოქმედება, რომლის თავიდან არიდება შეუძლებელია უნდა მინიმიზდეს/შერბილდეს შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებით;

4.მინიმიზებისა და შემარბილებელი ღონისძიებების შედეგად დარჩენილი მავნე ზემოქმედების შედეგები უნდა გამოსწორდეს აღდგენისა და კომპენსირების მექანიზმების გამოყენებით.

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება ექვემდებარება ლიცენზირებას, ლიცენზიის მოქმედების ვადა განსხვავდება ლიცენზიის ტიპისა და სალიცენზიო ფართობის ზომის მიხედვით. ინერტული მასალების მოპოვების ლიცენზიები, რომლებიც მყარი სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიების უმეტესობას შეადგენს, ძირითადად 3-5 წლის ვადით გაიცემა, ხოლო დიდი ფართობის მქონე ლიცენზიები საშუალოდ 15-20 - წლიანი ვადით არის გაცემული. სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების მიზნით მომპოვებელ პირებს/კომპანიებს შეუძლიათ ორი ტიპის ლიცენზიის მიღება:

• შესწავლა - მოპოვების ლიცენზია გაიცემა იმ შემთხვევაში, როდესაც არ არსებობს დაზუსტებული ინფორმაცია სასარგებლო წიაღისეულის მარაგების შესახებ;

• მოპოვების ლიცენზია - გაიცემა, როდესაც არსებობს შედარებით ზუსტი ინფორმაცია სასარგებლო წიაღისეულის მარაგების შესახებ და კომპანია ენდობა არსებულ ინფორმაციას.

კერძო პირები/კომპანიები გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარადგენენ სალიცენზიო განაცხადს კონკრეტულ ტერიტორიაზე სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების/შესწავლა-მოპოვების მიზნით. შემოსული განაცხადი ეგზავნება გეოლოგიის დეპარტამენტს, რომელიც შეისწავლის მოთხოვნილ ფართობს და სააგენტოში დაცულ ფონდში არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით და ტერიტორიის ვიზუალური შეფასების შედეგად ადგენს გეოსაინფორმაციო პაკეტს, რომელიც მოიცავს წიაღის შესახებ რაოდენობრივ და ხარისხობრივ ინფორმაციას. გეოსაინფორმაციო პაკეტი ეგზავნება ლიცენზირების დეპარტამენტს.

საჭიროების შემთხვევაში, სააგენტო აგროვებს ინფორმაციას სხვა სახელმწიფო უწყებებიდან და მუნიციპალიტეტებიდან სალიცენზიო ფართობზე მოპოვებითი სამუშაოების მათთან შეთანხმების მიზნით. ყველა პროცედურის გავლის შემდეგ, ცხადდება ელექტრონული აუქციონი, სადაც ყველა დაინტერესებულ კომპანიას შეუძლია მიიღოს მონაწილეობა.

აუქციონის გამოცხადებიდან ერთი თვის შემდეგ, გამოვლინდება გამარჯვებული, რომელსაც გადაეცემა ლიცენზია და ოფიციალური ბრძანება. ლიცენზიისა და ბრძანების მიხედვით განსახორციელებელი ქმედებები სავალდებულოა, რომ აღწერილი იყოს წიაღით სარგებლობის პროექტში. კომპანია ვალდებულია შეიმუშაოს აღნიშნული დამუშავების პროექტი და იქონიოს ის წიაღისეულის მოპოვების ადგილზე.

არსებული რეგულაციის მიხედვით, ისეთი სამუშაოების განსახორციელებლად, რომლებიც აზიანებენ ნიადაგს, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიმუშაოს ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ტერიტორიის რეკულტივაციის გეგმა. რეკულტივაციის გეგმის მიზანია სალიცენზიო ფართობზე არსებული ნიადაგის საფარის აღდგენა. აღნიშნული გეგმა თანხმდება სამინისტროს წიაღისა და მიწის სამმართველოსთან და განცალკევებულია დამუშავების პროექტისაგან.

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება დაკავშირებულია გარემოზე ინტენსიურ უარყოფით ზემოქმედებასთან. გარემოს ეროვნულ სააგენტოში არსებული პროცედურები და სააგენტოს რესურსები არ არის საკმარისი პოტენციური ეკოლოგიური რისკების კომპლექსური შეფასებისათვის. არ ხდება შეფასება, რა პოტენციურ უარყოფით ზემოქმედებას მოახდენს მოპოვებითი საქმიანობა გარემოს სხვა კომპონენტებსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე: ადგილობრივ მოსახლეობაზე, ატმოსფერულ ჰაერზე, ნიადაგზე, ზედაპირულ და მიწისქვეშა წყლებსა და ადგილობრივ ბიომრავალფეროვნებაზე. შესაბამისად, ვერ გამოვლინდება რისკები სრულად, რაც თავიდან არიდების

ღონისძიებების დანერგვის საშუალებას არ იძლევა. იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების პროცესში გარემოს გარკვეულ კომპონენტებზე უარყოფითი ზემოქმედების თავიდან არიდება შეუძლებელია, აღნიშნული ზემოქმედების მინიმიზება გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს. გარემოზე მიყენებული ზიანის შეფასებიდან გენერირებული თანხები არ მიიმართებოდა მიზნობრივად გარემოს აღდგენის ღონისძიებებისაკენ. შესაბამისად, არსებული პრაქტიკა იწვევს იმას, რომ სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების პროცესში გარემოზე მიყენებული ზიანის აღმოფხვრა არ ხდება. მთლიანობაში, მინიმიზების კუთხით არსებული ნაკლოვანებები მნიშვნელოვან უარყოფით ზემოქმედებას ახდენს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების პროცესში გარემოს ადეკვატურ დაცვაზე.

ყველა მთავრობისათვის უმნიშვნელოვანეს საფიქრალს უნდა წარმოადგენდეს ისეთი პოლიტიკის შემუშავება, რომელიც პირდაპირ იქნება მიმართული ქვეყანაში უმწვავესი ეკონომიკური პრობლემების მოგვარებისაკენ. ხშირად სახელმწიფოს მთავრობებს არ გააჩნიათ მკაფიოდ განსაზღვრული მიზნები და ისინი უბრალოდ გადმოიღებენ ხოლმე პოლიტიკას სხვა ქვეყნებიდან ან ბრმად მისდევენ საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ შედგენილ გეგმას. აქედან გამომდინარე, უმეტეს შემთხვევაში, ამგვარად შედგენილი სამოქმედო გეგმა უშედეგოა, არავითარი სარგებელი არ მოაქვს და მხოლოდ დანახარჯებთანაა დაკავშირებული.

გამოყენებული ლიტერატურა:

1.აბრალავა ა. ეროვნული მეურნეობის უსაფრთხო და მდგრადი განვითარება გლობალიზაციის ეპოქაში ჟურნ. ,,მაცნე", №3. 2003.
2. ასათიანი რ. საით მიდის საქართველო? სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კონცეპტუალური ანალიზი. თბ., 2014.
3. ასათიანი რ. საქართველოს ეკონომიკა. თბ., 2012.
4. კვერღელიძე ნ., ჭულუხაძე ნ. საქართველოს ბუნებრივი რესურსები და გარემოს დაცვა. სტატისტიკური პუბლიკაცია. თბ., 2012.
5.www.bpn.ge (,,ბიზნეს პრეს ნიუსი" 2018)

■■■■

მიგრაციის სტატისტიკა საქართველოში
Migration statistics in Georgia

ავტორი - გიორგი ბასილაძე, ხელმძღვანელი - ასოც. პროფ. ნაირა ვირსალაძე, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
Author - Giorgi Basiladze, Supervizor – Assoc. Prof. Naira Virsaladze , Akaki Tsereteli State University.

Abstract

Migration is a demographic process and it have large effect on the composition of a population. Every year people migrate from one country to another or move from one area to another within a nation. The factors that encourage people to leave geographic location can be ranging from economic and social to personal.

Moreover, migration is observed by related disciplines such as: demography, sociology, statistics, history, economics, political science, anthropology, psychology, public health, and environmental science. We cannot manage the migration process with only demographic parameters , because all above mentioned sciences are necessary to investigate the results.

In Georgia economical and social factors have become prominent in activating emigration process, according to this processes I want to analyze statistics of:

- Number of immigrants and emigrants by age and sex.
- Number of immigrants and emigrants by years.
- Dynamic migration process and territory analyzing.

Research methodology: this article is based on the dialectic observation ,economical complex analysis of migration etc.

Implications: to show the dynamic, it's very important to start complex analyzing of migration.

In addition it is highly recommended to start regular social-economical researches by organization such as:National Statistics office of Georgia or to organize and finance independent organizations focused on:

- Immigrant integration.
- Reintegration of returned migrants.
- Eco-migrants Integration.
- Refugee integration.
- Relationship between migration and development.
- Migration dynamics.
- Development of marketing and immigrant.
- Migration and health.
- Migration within the country.
- Children and old people leaved by migrants.

Keywords: Migration, economics, emigrants, population.

მიგრაციის ზოგადი მიმოხილვა

ტერმინი მიგრაცია წარმოდგება ლათინური სიტყვისაგან - migration, რაც გადასახლებას ნიშნავს. მოსახლეობის მიგრაცია წარმოადგენს ადამიანთა გადაადგილებას მოცემული ტერიტორიის საზღვრებს გარეთ საცხოვრებლის მუდმვად ან დროებით შეცვლის მიზნით. განხორციელების მიხედვით განასხვავებენ ნებაყოფლობით და იძულებით მიგრაციას, ხოლო დროითი განზომილების მიხედვით - მუდმივსა და დროებითს.

მოსახლეობის მიგრაცია წარმოადგენს რთულ დემოგრაფიულ პროცესს. ყოველწლიურად ადამიანთა დიდი ნაწილი იცვლის საცხოვებელ ადგილს, გადადის ერთი ქვეყნიდან მეორეში, ქალაქიდან ქალაქში, სოფლიდან ქალაქში და ა.შ. მიგრაცია განპირობებულია მთელ რიგი სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური თუ სხვა ფაქტორებით.

მიგრაციის ფუნქციას წარმოადგენს უზრუნველყოს მოსახლეობის მობილურობის გარკვეული დონე. კერძოდ მიმართოს მიგრაციული ნაკადები საჭიროების ადგილზე. რიგ შემთხვევებში მიგრაციამ შეიძლება უარყოფითი როლი ითამაშოს როგორც წამოსვლის, ისე ჩასახლების ადგილის ეკონომიკურ, სოციალურ, პოლიტიკურ თუ სხვა სიტუაციაზე.

მიგრაცია არის მრავალმხრივი პროცესი, რომელსაც სწავლობს მრავალი მეცნიერება: დემოგრაფია, სტატისტიკა, სოციოლოგია, გეოგრაფია, ისტორია და სხვა. თითოეულ მეცნიერებას მიგრაცია აინტერესებს გარკვეული კუთხით, ე.ი აქვს ანალიზის და შესწავლის საკუთრი საგანი. მაგრამ, როგორც წესი ხშირ შემთხვევაში აუცილებელი ხდება მიგრაციის კომპლექსური ანალიზი. ამის შედეგია, რომ დემოგრაფია თავისი უშუალო მიზნის მისაღწევად, კერძოდ მოსახლეობის რიცხოვნობის ფორმირებაზე და მოსახლეობის აღწარმოებაზე მიგრაციის გავლენის შესასწავლად, ახდენს მიგრაციის რაოდენობრივ და თვისებრივ ანალიზს ზემოთხსენებული მეცნიერებების მიჯნაზე. მიგრაციის შესასწავლდ უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოებაც, რომ მიგრაციის განხორციელებას წინ უსწრებს ინდივიდის ან ინდივიდთა ჯგუფის მიგრაციული განწყობა- გარკვეული მზადყოფნა საცხოვრებელი ადგილის შეცვლისადმი, რომელსაც პოტენციურ მიგრაციასაც უწოდებენ. გარკვეული ხელშემწყობი პირობების შემთხვევაში პოტენციური მიგრაცია რეალიზდება. ამის შემდეგ შესწავლის ინტერესს წარმოადგენს მიგრაციის შედეგი- მიგრანტთა დაფუძნება ახალ საცხოვრებელ ადგილზე. კერძოდ, რამდენი მიგრანტი დარჩება ახალ საცხოვრებელ ადგილზე მუდმივად და რამდენი რა მიზეზით დატოვებს ახალ საცხოვრებელ ადგილს. მოცემული ტერიტორიის მოსახლეობა იყოფა ორად: 1) ვინც მოცემულ ტერიტორიაზე ცხოვრობს დაბადებიდან, და 2) ვინც ცხოვრობს არადაბადებიდან, ანუ მოსახლეობა რომელიც წარმოადგენს მოცემულ ტერიტორიაზე მოსულებს.

მოსახლეობის მიგრაციის ანალიზის მიზნით ხდება მოსახლეობის მიგრაციის კლასიფიკაცია რიგი ნიშნების მიხედვით, როგორიცაა დამოკიდებულება საზღვრის გადალახვის მიმართ, მიგრაციის მიმართულება, დროის ნიშანი, მიზეზები, რეალიზაციის ფორმა გადაწყვეტილების ხასიათი.

საზღვრის გადალახვის მიმართ დამოკიდებულებაში განასხვავებენ გარე და შიგა მიგრაციას. გარე მიგრაციის შემთხვევაში სახელმწიფო საზღვარი გადაიკვეთება. საზღვარგარეთ წასულებს ეწოდებათ ემიგრანტები, პროცესს კი - ემიგრაცია. საზღვარგარეთიდან შემოსულებს კი ეწოდებათ იმიგრანტები, პროცესს კი - იმიგრაცია. შიგა მიგრაცია წარმოადგენს მოსახლეობის გადაადგილებას ქვეყნის შიგნით ადმინისტრაციულ რაიონებს შორის. გარე მიგრაცია წარმოადგენს საერთაშორისო მიგრაციას, რომლის ფორმებია : შრომითი მიგრაცია, ოჯახის წევრების შეერთება, ლტოლვილთა და პოლიტიკური თავშესაფრის მაძიებელთა მიგრაცია, არალეგალური მიგრაცია და სხვა.

ზოგადად, მიგრაციისა და თავისუფლად გადაადგილების უფლება ნებისმიერ ადამიანს აქვს, მაგრამ აქ მთავარ პრობლემას წარმოადგენს უკონტროლო და არალეგალური მიგრაცია, რამაც უამრავი პრობლემის წინაშე დააყენა მრავალი სახელმწიფო. საინტერესოა რა ხდება მიგრაციის მხრივ საქართველოში. როგორც ვიცით, მიგრაცია საქართველოში ძალიან დიდი ხნის პრობლემაა, მრავალმა ადამიანმა დატოვა ქვეყანა და გაემგზავრა საზღვარგარეთ. ეს კი ძირითადად იყო შრომითი მიგრაცია. ხალხი მიდის საზღვარგარეთ შემოსავლების მიღების მიზნით. ეს კი რა თქმა უნდა

უარყოფით ზემოქმედებას ახდენს ქვეყნის განვითარებზეც. წარმოიქმნა ისეთი პრობლემები, როგორიცაა დემოგრაფიული მდგომარეობის დამძიმება, კვალიფიციური კადრების გადინება და ინტელექტუალური პოტენციალის გაფლანგვა.

მიგრაციული პროცესები დინამიკაში

2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობამ (ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობის გარდა) 3 729,6 ათასი კაცი შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით 0,1 პროცენტით მეტია. აღსანიშნავია, რომ მოსახლეობის რაოდენობის გაზრდაზე გავლენა მოახდინა 2017 წლის ბუნებრივი მატების მაჩვენებელმა და გარე მიგრაციის უარყოფითმა სალდომ. 2017 წელს ემიგრანტების რიცხოვნობამ 85,4 ათასი კაცი შეადგინა, რაც 2016 წლის მაჩვენებელზე 13 პროცენტით ნაკლებია. იმავე პერიოდში იმიგრანტების რიცხოვნობა წინა წელთან შედარებით 7,7 პროცენტით შემცირდა და 83,2 ათასი კაცი შეადგინა. შედეგად, 2017 წელს მიგრაციული სალდოს (სხვაობა იმიგრანტებისა და ემიგრანტების რიცხოვნობას შორის) უარყოფითი მაჩვენებელი -2,2 ათასი კაცის დონეზე დაფიქსირდა.

მიგრაციის სტატისტიკური ანალიზი იწყება მისი ნაკადების გამოთვლით. მიგრაციული ნაკადები ორი სახისაა: წლის განმავლობაში შემოსულები და წლის განმავლობაში წასულები. ამ ორ სიდიდეს შორის სხვაობა გვაძლევს მიგრაციულ მატებას. ვნახოთ, როგორი იყო მიგრაციული მატება (მიგრაციული სალდო) საქართველოში 2013-2016 წლებში:

ცხრილი1. ემიგრანტთა და იმიგრანტთა რაოდენობა წლების მიხედვით

	2014		2015		2016		2017	
	ემიგრანტი	იმიგრანტი	ემიგრანტი	იმიგრანტი	ემიგრანტი	იმიგრანტი	ემიგრანტი	იმიგრანტი
სულ	**88,704**	**82,161**	**95,965**	**92,557**	**98,288**	**90,228**	**85,451**	**83,239**
-1	680	961	782	939	1,217	1,517	1,141	1,485
1-4	3,017	3,120	3,334	3,263	3,235	3,088	2,903	3,095
5-9	2,410	2,321	2,790	2,709	2,787	2,464	2,332	2,282
10-14	1,795	1,515	2,016	1,848	2,283	1,751	1,658	1,596
15-19	5,474	4,167	5,439	4,146	5,985	4,550	5,349	4,498
20-24	12,680	9,136	12,562	9,692	12,409	9,943	11,099	8,857
25-29	12,954	10,982	13,833	12,458	14,534	12,767	12,216	11,665
30-34	10,669	9,534	11,340	11,167	11,812	10,587	10,475	9,963
35-39	8,845	8,073	9,877	9,335	9,824	8,794	8,874	8,332
40-44	7,436	6,804	8,268	8,068	8,366	7,380	7,576	7,029
45-49	6,718	6,325	7,248	7,391	7,165	6,845	6,496	6,091
50-54	6,151	6,509	6,778	7,215	6,851	6,825	5,796	6,025
55-59	4,384	4,836	4,928	5,700	4,853	5,412	4,186	5,063
60-64	2,321	3,397	2,884	3,819	2,902	3,679	2,311	3,332
65-69	1,091	1,721	1,557	2,117	1,703	2,130	1,256	1,921

70-74	809	1,186	894	1,112	817	1,010	581	751
75-79	715	878	812	919	859	860	648	711
85-84	384	448	401	433	417	361	356	338
85+	171	248	222	226	269	265	198	205
სალ-დო	-6,543		-3,408		-8,060		-2,212	

*საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

2014 წელი: 82,161-88,704= -6,543

2015 წელი: 92,557-95,965= -3,408

2016 წელი: 90,228-98,288= -8,060

2017 წელი : 83,239-85,451= -2,212

როგორც ვხედავთ, ბოლო ოთხი წლის განმავლობაში მიგრაციული მატება უარყოფითია, რაც იმას ნიშნავს, რომ ქვეყნიდან წასულთა რიცხვი აღემატება შემოსულების რიცხვს. გარდა მიმდინარე პერიოდის სალდოსა, მნიშვნელოვანია აღნიშნული მაჩვენებელი განვიხილოთ დინამიკაში რაც ნათლად დაგვანახებს თუ როგორ იცვლებოდა იგი წლების მანძილზე.

ზოგადად, მიგრაციული სალდოს დადებით თუ უარყოფით მნიშვნელობას განაპირობებდა ქვეყანაში არსებული პოლიტიკური ვითარება. ცხრილში და გრაფიკზე ნათლად ჩანს, რომ მიგრაციული სალდო ყველაზე მაღალია 2005 წელს, რაც სავარაუდოდ განპირობებული იყო იმით, რომ 2004 წელს საქართველოში პოლიტიკური სისტემა შეიცვალა და ახალი პარტია მოვიდა ქვეყნის სათავეში, რამაც ქვეყნიდან წასულ ემიგრანტებს დაბრუნების სტიმული მისცა. როგორც ცხრილში ვხედავთ, ბოლო ოთხი წლის განმავლობაში გვქონდა უარყოფითი მიგრაციული სალდო, რომელიც ყველაზე მაღალი იყო 2012 წელს. თუმცა შემდგომ წლებში შეინიშნება კლებადობის ტენდენცია და 2016 წელს 2012 წელთან შედარებით 3,1ჯერ გაიზარდა მიგრაციული სალდო და სწორედ ამის გამო მოსახლეობის რიცხოვნობაც მკვეთრად, 772.3 ათასი კაცით შემცირდა 2017 წელს 2013 წელთან შედარებით (2013 წელს - 4 483.8 ათასი, 2017 წელს - 3 3718.2 ათასი ადამიანი, პირველი იანვრის მონაცემებით). რაც რა თქმა უნდა უარყოფითი მოვლენაა, და ქვეყანაში შექმნილი ეკონომიკური და პოლიტიკური სიტუაციით არის გამოწვეული.

გრაფიკი 1. მიგრაციის სალდო დინამიკაში 2001-2016 წლები



როგორც, მოცემული გრაფიკიდან ჩანს მიგრაციის სალდო დადებითი იყო მხოლოდ 2004, 2005, 2009, 2010, 2011 წლებში, ხოლო დანარჩენ წლებში ის უარყოფითი იყო.

მიგრაციის შეფარდებითი მაჩვენებლები

მოსახლეობის მიგრაციის რაოდენობრივი ანალიზისათვის სარგებლობენ სტატისტიკური მეთოდებითა და მაჩვენებლებით, როგორიცაა: ინფორმაციის მოპოვება მიგრაციის შესახებ, ინფორმაციის დაჯგუფება, აბსოლიტური და შეფარდებითი, სტრუქტურის და საშუალო სიდიდეები, ინდექსები, დინამიკური მწკრივის საანალიზო მაჩვენებლები და სხვა.

საერთოდ, აბსოლუტური სტატისტიკური მაჩვენებლები და შესაბამისად, მიგრაციის აბსოლუტური მაჩვენებლებიც შემეცნების თვალსაზრისითსეღუდულია, რამდენადაც ისინი ვერ გვიხასიათებენ მოვლენის ინტენსივობას. ამიტომ სარგებლობენ მიგრაციის შეფარდებითი მაჩვენებლებით. საქართველოს მაგალითზე გავიანგარიშოთ მიგრაციის ზოგადი ზოგადი კოეფიციენტები, რომელიც პრომილეებში გამოისახება.

2016 წლის მონაცემებზე დაყრდნობით გავიანგარიშოთ აღნიშნული კოეფიციენტები. წელი	2015
მოსახლეობა წლის დასაწყისში	3 713,7
მოსახლეობა წლის ბოლოს	3 720,4
ემიგრანტები	98,288
იმიგრანტები	92,228

ამისათვის პირველ რიგში უნდა გავიანგარიშოთ საშუალო მოსახლეობა 2016 წელს შემდეგი ფორ-მულით;

$$\bar{S} = \frac{S_0 + S_1}{2} \qquad \frac{3\,720{,}4 + 3\,713{,}7}{2} = 3717{,}05$$

ამის შემდგომ კიშეგვიძლია გავიანგარისოთ მიგრაციის შეფარდებითი მაჩვენებლები.

1)შემოსვლის კოეფიციენტი - გვიჩვენებს, თუ რამდენია შემოსულთა რიცხვი მოცემული ტერი-ტორიის ყოველ ათას მცხოვრებზე. იგი გამოისახება პრომილეში.

$$K_{V^+} = \frac{V^+}{\bar{S}} \times 1000,$$

სადაც V+ არის იმიგრანტთა რიცხვი მოცემულ პერიოდში.

$$K_{V^+} = \frac{92{,}228}{3717.05} \times 1000 = 24{,}8‰$$

ეს ნიშნავს იმას, რომ ქვეყანაში მცხოვრებ ყოველ 1000 მოსახლეზე მოდის შემოსულთა 24,8‰

2)წასვლის კოეფიციენტი - გვიხასიათებს წასულების რიცხვს მოცემული ტერიტორიის ყოველ 1000 მცხოვრებზე გაანგარიშებით.

$$K_{V^-} = \frac{V^-}{\bar{S}} \times 1000$$

$$K_{V^-} = \frac{98.288}{3717.05} \times 1000 = 26.4‰$$

სადაც, V- არის ემიგრანტთა რიცხვი მოცემულ პერიოდში.

3)მიგრაციული მატების კოეფიციენტი - გვიხასიათებს მიგრაციულ მატებას მოცემული ტერიტო-რიის ყოველ 1000 მცხოვრებზე გაანგარიშებით.

$$K_{\Delta} = \frac{V^+ - V^-}{\bar{S}} \times 1000$$

$$K_{\Delta} = \frac{92{,}228 + 98{,}288}{3717.05} \times 1000 = -1{,}63‰$$

მიგრაციული მატების კოეფიციენტი ასევე გაიანგარიშება, როგორც სხვაობა შემოსვლისა და წას-ვლის კოეფიციენტებს შორის:

$$K_{\Delta} = K_{V^+} - K_{V^-}$$

$$K_{\Delta} = 24{,}8‰ - 26{,}4‰ = -1{,}6‰$$

*4)*მიგრაციის საერთო ბრუნვის კოეფიციენტი - გვიხასიათებს რამდენი შემოსული და გასული მო-დის მოცემული ტერიტორიის ყოველ 1000 მცხოვრებზე:

$$K = \frac{V^+ + V^-}{\bar{S}} \times 1000$$

$$K = \frac{92.228 + 98.288}{3717.05} \times 1000 = 51.25‰$$

*5)*მიგრაციის ეფექტიანობის კოეფიციენტი: გვიჩვენებს საერთო მიგრაციის რამდენი პროცენტი მოდის მიგრაციულ მატებაზე.

$$K_{\text{ეფ.}} = \frac{V^+ - V^-}{V^+ + V^-} \times 100 \text{ ან } K_{\text{ეფ.}} = \frac{K_{V^+} - K_{V^-}}{K_{V^+} + K_{V^-}} \times 100$$

$$K_{\text{ეფ.}} = \frac{92{,}228 - 98{,}288}{92{,}228 + 98{,}288} \times 100 = -3{,}18\%$$

მიგრანტთა განაწილება ასაკის მიხედვით

როგორც ყველა სხვა დემოგრაფიული პროცესები მიგრაციაც გვხვდება ცალკეულ ასაკობრივ ჯგუფებში. მოსახლეობის მიგრაცია რა თქმა უნდა მკვეთრად განსხვავდება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, ამიტომაც საჭიროა მიგრაციის კერძო, ასაკობრივი ინტენსივობის კოეფიციენტის გამოთვლა, როგორც შემოსული, ისე გასული მოსახლეობისათვის და ორივესთვის ერთად. ზოგადად მიგრაციის კერძო კოეფიციენტს ასეთი სახე აქვს:

$$K_x = \frac{V_x}{\bar{S}_x} \times 1000$$

სადაც, K_x არის მიგრაციის კერძო კოეფიციენტი;

V_xმიგრანტთა რიცხვი მოსახლეობის მოცემულ ასაკობრივ ჯგუფში;

$\bar{S}_x$ მოცემული ასაკობრივი ჯგუფის მოსახლეობის საშუალოწლიური რიცხვი.

ასაკობრივი ჯგუფები	მოსახლეობის რიცხოვნობა 2015 წელს	მოსახლეობის რიცხოვნობა 2016 წელს	ემიგრანტები	იმიგრანტები	საშუალო მოსახლეობა
-1	52.6	58.9	1,217	1,517	55.75
1 - 4	203.5	201.9	3,235	3,088	202.7
5 - 9	231.7	243.7	2,787	2,464	237.7
10 - 14	206.3	205.7	2,283	1,751	206
15 - 19	225.6	220.4	5,985	4,550	223
20 - 24	263.4	246.8	12,409	9,943	255.1
25 - 29	277.8	278.9	14,534	12,767	278.35
30 - 34	262.8	268.3	11,812	10,587	265.55
35 - 39	249.1	249.4	9,824	8,794	249.25
40 - 44	243.7	243.0	8,366	7,380	243.35
45 - 49	238.9	237.0	7,165	6,845	237.95
50 - 54	271.6	263.3	6,851	6,825	267.45
55 - 59	246.4	253.6	4,853	5,412	250
60 - 64	211.7	215.0	2,902	3,679	213.35
65 - 69	156.9	172.7	1,703	2,130	164.8
70 - 74	121.5	104.0	817	1,010	112.75
75 - 79	136.3	141.2	859	860	138.75

80 - 84	71.0	71.1	417	361	71.05
85+	42.9	45.5	269	265	44.2

თუ შევხედავთ პირველ ცხრილს, ვნახავთ, რომ მიგრაცია ყველაზე მაღალია 25-29 წლის მოსახლეობაში, შემდეგ მოდის 20-24 წლის მოსახლეობა. ხოლო ის ასაკობრივი ჯგუფი, რომელშიც მიგრაცია ყველაზე ნაკლებია, არის 85 და მეტი წლის მოსახლეობა. ვნახოთ, რამდენია მიგრაციის კერძო კოეფიციენტი ყველა ასაკობრივი ჯგუფის მიგრანტისათვის და გაანგარიშების შედეგად მივიღებთ შემდეგ მაჩვენებლებს:

ასაკი	ემიგრაციის კერძო კოეფიციენტი	იმიგრაციის კერძო კოეფიციენტი
-1	21.8	27.2
1 - 4	16.0	15.2
5 - 9	11.7	10.4
10 - 14	11.1	8.5
15 - 19	26.8	20.4
20 - 24	48.6	39.0
25 - 29	52.2	45.9
30 - 34	44.5	39.9
35 - 39	39.4	35.3
40 - 44	34.4	30.3
45 - 49	30.1	28.8
50 - 54	25.6	25.5
55 - 59	19.4	21.6
60 - 64	13.6	17.2
65 - 69	10.3	12.9
70 - 74	7.2	9.0
75 - 79	6.2	6.2
80 - 84	5.9	5.1
85+	6.1	6.0

მართლაც, როგორც აღმოჩნდა, ემიგრაცია ყველაზე მაღალი ინტენსივობით ხასიათდება 25-29 წლის მოსახლეობაში, შემდეგ ადგილზეა 20-24 და 30-34 წლის მოსახლეობა. ხოლო ემიგრაცია ყველაზე დაბალია 85 და მეტი ასაკის მოსახლეობაში. ამას უფრო ნათლად გვიჩვენებს შემდეგი გრაფიკი(აგებულია ემიგრანტებისთვის):



რაც შეეხება იმიგრანტებს, იმიგრაცია ყველაზე მაღალია 25-29 წლის მოსახლეობაში, მას ოდნავ ჩამორჩება 30-34 წლის მოსახლეობა. ხოლო იმიგრაცია ყველაზე დაბალია 85 და მეტი ასაკის მოსახლეობაში:



რეკომენდაციები

მიგრაციის მონაცემთა კომპლექსური ანალიზისათვის აუცილებელია საფუძველი ჩაეყაროს მიგრაციის მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის რეგულარულ პრაქტიკას, რათა შესაძლებელი გახდეს მათი დინამიკის შესწავლა. ამ თვალსაზრისით, რეკომენდებულია რეგულარული სოციალურ- ეკონომიკური კვლევების პრაქტიკის დანერგვა შემდეგ სფეროებში (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის გაძლიერების ან დამოუკიდებელი კვლევითი ორგანიზაციებისთვის დაფინანსების საშუალებით):

- იმიგრანტთა ინტეგრაცია;
- დაბრუნებულ მიგრანტთა რეინტეგრაცია;
- ეკომიგრანტთა ინტეგრაცია;
- იძულებით გადაადგილებულ პირთა ინტეგრაცია;
- მიგრაციისა და განვითარებას შორის არსებული ურთიერთკავშირი;

- მიგრანტთა ნაკადების დინამიკა;
- იმიგრაცია და შრომის ბაზრის განვითარება;
- მიგრაცია და ჯანმრთელობა;
- შიდა მიგრაცია;
- მიგრანტთა მიერ დატოვებული ბავშვები და ხანდაზმულები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. დემოგრაფია - მ.ხმალაძე
2. http://migration.commission.ge
3. http://www.geostat.ge

■■■■

დასაქმების პრობლემებისა და დასაქმების სახელმწიფო პოლიტიკის შესახებ საქართველოში
About Employment Problems and Employment Policy in Georgia

ავტორი - **თეკლა კაშია,** *ხელმძღვანელი* - ასოც. პროფ. **ხათუნა თოდუა,** აკაკი წერეთლის სახელ-მწიფო უნივერსიტეტი.

Author - **Tekla Kashia,** *Supervizor* – Assoc.Prof, **Khatuna Todua,** *Akaki Tsereteli State University.*

Abstract

The law degree of development of the labor market in Georgia seriously hinders the country's progress. The One of the most severe problems of our country is the high scale of unemployment. One of the main reasons for unemployment is that the current amount of investments is not enough to defeat unemployment. The all abovementioned mean that the problem is complex and requires a serious approach. First of all, it is necessary to create a state structure that will register the unemployed, which is an effective way to increase the level of employment and create favorable conditions for business, since business is one of the driving forces of the economy, as well as it is an important source of employment., it will create additional jobs.

საქართველოს სახელმწიფოს მიერ გატარებული დასაქმების პოლიტიკის და მისი შედეგებით და-ინტერესება განაპირობა იმ გარემოებამ, რომ სახელმწიფოს მხრიდან დასაქმების ხელშემწყობი ღონისძიებების გატარება განაპირობებს სამუშაო ბაზრის ეფექტურ სტიმულირებას, რაც თავის

მხრივ დადებითად აისახება მოქალაქეების შემოსავლებზე და აუმჯობესებს მათ ეკონომიკურ და სოციალურ მდგომარეობას.

სამუშაო ძალის ბაზარზე სახელმწიფოს ჩარევის პოლიტიკა განისაზღვრება ორი მიმართულებით: აქტიური და პასიური პოლიტიკა. აქტიური პოლიტიკის მიზანია დასაქმებისა და ხელფასების გაზრდა მათთვის, ვინც ვერ ახერხებს სტაბილურ დასაქმებას ან დასაქმებულთა რიგებში შესვლას და მოიცავს შემდეგ ინსტრუმენტებს: საჯარო დასაქმების მომსახურებებს,პროფესიული გადამზადების პროგრამებს,დასაქმების წახალისებას,შრომის უნარს მოკლებული სამუშაო ძალის მხარდაჭერას და რეაბილიტაციას,ახალი სამუშაო ადგილების შექმნას და სტაჟირების წახალისებას.პასიური პოლიტიკა კი ორიენტირებულია არახელსაყრელ მდგომარეობაში აღმოჩენილი უმუშევრობის კეთილდღეობის უზრუნველყოფაზე და მოიცავს შემდეგ ინსტრუმენტებს:უმუშევრობის დაზღვევას და ვადამდელ პენსიას.სახელმწიფოს არჩევანი - ქვეყანაში გაატაროს აქტიური თუ პასიური პოლიტიკა - განპირობებულია ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური ფაქტორებით.

საქართველოში უმუშევრობა სოციალურ-ეკონომიკური თუ პოლიტიკური საკითხების ნუსხაში პირველ ადგილს იკავებს. უმუშევრობის გამო ხდება საწარმოო პოტენციალის არასრული გამოყენება, ანუ იკარგება პროდუქცია, რომლის მიღება შესაძლებელი იქნებოდა უმუშევართა დასაქმების შემთხვევაში. საქართველოში ხელისუფლება არანაირ უმუშევრობის კომპენსაციას არ იხდის და უმუშევრობის ტვირთი მხოლოდ უმუშევრებს აწვება, მათი შემოსავალი იკლებს, ხოლო უნარ-ჩვევები, დროთა ვითარებაში, რეგრესს განიცდის.

ცხრილი 1.



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

კვლევების შედეგად ვლინდება, რომ საქართველოში უმუშევრობა ძირითადად სტრუქტურული ხასიათისაა. სტრუქტურული უმუშევრობის გამომწვევი მთავარი მიზეზი კი უმაღლესი განათლების მქონე სამუშაო ძალის მიწოდებასა და მასზე მოთხოვნას შორის თვალშისაცემი სხვაობაა. საქართველოს ეკონომიკის სექტორული სტრუქტურიდან გამომდინარე, შედარებით ნაკლებია იმ

სამუშაო ადგილების რაოდენობა, რომელიც უმაღლეს განათლებას მოითხოვს. კერძოდ, დასაქმების დიდი წილი მოდის სოფლის მეურნეობასა და მომსახურების სექტორებზე, ამ სექტორებში კი მოთხოვნა უმაღლეს განათლებაზე საკმაოდ დაბალია.

უმუშევრობის ერთ-ერთი ტიპი, რომელიც საყურადღებოა საქართველოს რეალობაში, ციკლური უმუშევრობაა. ამ ტიპის უმუშევრობა მოკლევადიანია და თავს იჩენს, როცა ეკონომიკური აქტივობა იკლებს და წარმოების ციკლზე ბაზარზე მოთხოვნის კლება აისახება. აგრეთვე,ყურადღებამისაქცევია სტრუქტურული უმუშევრობაც; ამ ტიპის უმუშევრობა გრძელვადიანია, იგი ძირითადად გამოწვეულია მუშახელის უნარ-ჩვევების შეუსაბამობით ბაზარზე არსებულ სამუშაოსთან. მისი მიზეზითაა, რომ სტატისტიკური ანალიზის შედეგების მიხედვით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში ვერ ახდენს გავლენას დასაქმებაზე ჩვენთვის სასურველი მასშტაბით. უმუშევრობის დონე საქართველოში ევროკავშირის ქვეყნებისას 1,6-ჯერ აღემატება, თუმცა, იმის გამო, რომ ამ ქვეყნებში დაქირავებით დასაქმების დონე საქართველოსთან შედარებით მაღალია (თანაფარდობა გამოიხატება პროპორციით - 4/1 - თან) დასაქმების პრობლემა ჩვენთან გაცილებით მწვავედ დგას. 25 ქვეყანას შორის საქართველო უმუშევრობის დონით მე-19 ადგილს იკავებს, ბოლო ადგილზე უმუშევართა დაახლოებით 33 %-ით ბოსნია-ჰერცოგოვინაა, ხოლო პირველ ადგელზე - ბელორუსი. საქართველოს გვერდით რეიტინგებშია ლიტვა, ლატვია, ხორვატია და ესტონეთი. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველო უმუშევრობის დონის გამოთვლას იმავე მეთოდოლოგიით აწარმოებს, როგორითაც სომხეთი, აზერბაიჯანი, უკრაინა და რუსეთი, ამასთან, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კანონმდებლობა ითვლის დასაქმებულ და თვითდასაქმებულ ადამიანებს. ამავე კანონმდებლობით, უმუშევრად ითვლება 15 წლის და უფროსი ასაკის ადამიანი, რომელსაც კვლევამდე 7 დღე არ უმუშავია არც ერთი საათი, ხოლო სამსახურს 4 კვირის გამნავლობაში ეძებდა. დასაქმებულად ითვლება ის ადამიანიც, რომელიც პირუტყვს უვლის ან საკუთარ ბაღში შრომობს. აქედან გამომდინარე, უმუშევრობის რეალური დონე სოფლად გაცილებით მაღალია, ვიდრე ქალაქად.

ტრადიციულად, დასაქმებულთა უმრავლესობას თვითდასაქმებულები წარმოადგენენ, თუმცა ბოლო ოთხი წლის განმავლობაში თვითდასაქმებულთა წილის კლების ტენდენცია ფიქსირდება.

2017 წელს თვითდასაქმებულთა წილი დასაქმებულებში 51.7 პროცენტს შეადგენდა, რაც 1.5 პროცენტული პუნქტით ნაკლებია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით.

ცხრილი 2.



წყარო: საქსტატი (დასაქმება და უმუშევრობა საქართველოში)

საქართველოში დასაქმებულთა საერთო რაოდენობის 50% სოფლის მეურნეობაშია, ამ დროს კი სოფლის მეურნეობის წილი ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის მხოლოდ 9 %-ს შეადგენს.

სოფლად უმუშევრობის დონე 7,9 %-ია, ქალაქად კი - 27,2 %-ს აღწევს, გარდა ამისა, სოფლად მთლიანად დასაქმებულთა 80% თვითდასაქმებულია.

დასაქმებულთა განაწილება ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით, 2017

	ათასი კაცი
სულ დასაქმებულები 2017 წლის მონაცემებით	**1,706.6**
სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა	735.9
მრეწველობა	142.0
მშენებლობა	82.8
საბითუმო და საცალო ვაჭრობა	171.6
ტრანსპორტირება და დასაწყობება	68.8
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები	37.3
ინფორმაცია და კომუნიკაცია	21.3
საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები	30.7
უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები	3.0
პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები	21.6
ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები	18.2
სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა; სავალდებულო სოციალური დაცვა	88.3
განათლება	156.4
ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები	66.8
ხელოვნება, გართობა და დასვენება	26.4
სხვა სახის მომსახურება	20.7
შინამეურნეობების, როგორც დამქირავებლის, საქმიანობები; არადიფერენ-ცირებული საქონლის და მომსახურების წარმოება შინამეურნეობების მიერ საკუთარი მოხმარებისათვის	14.2
ექსტერიტორიული ორგანიზაციების და ორგანოების საქმიანობები	0.5
არაიდენტიფიცირებული	0.2

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოში 2015 წლოდან ფუნქციონირებს დასაქმების პროგრამების დეპარტამენტი .საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2014 წლის 29 დეკემბრის #01-359/ო ბრძანების საფუძველზე. დეპარტამენტის ფუნქციონირებისათვის გათვალისწინებულია შემდეგი ბიუჯეტი

35 05	შრომისა და დასაქმების სისტემის რეფორმების პროგრამა	2015 წელი	2016 წელი	2017 წელი	2018 წელი
35 05 01	შრომის ბაზრის ანალიზის, ინფორმაციული სისტემის დანერგვა/განვითარება	700 000	785 000	785,000.0	960 000
35 05 02	დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარება	350 000	676,000.0	676,000.0	700 000
35 05 03	შრომის პირობების ინსპექტირება	1 000 000	550 000	575,000.0	750 000
35 05 04	სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება	1 900 000	2 014 000	2 014 000	2 090 000

სააგენტო სამუშაოს მაძიებლებს დასაქმების ხელშეწყობის მიზნით სთავაზობს მომსახურების შემდეგ სახეებს:

1.სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებას და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამა ,რომელიც ითვალისწინებს მოთხოვნად პროფესიებში სამუშაოს მაძიებელთა პროფესიულ მომზადება-გადამზადებას კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით.

2. ინდივიდუალური და ჯგუფურ კონსულტაციებს სამუშაო მაძიებლებისთვის ანუ სააგენტოს სპეციალისტები სთავაზობენ კონსულტაციებს შემდეგი მიმართულებებით: სამუშაოს მოძიების ტექნიკის განვითარება, საკუთარი შესაძლებლობებისა და პიროვნული თვისებების სწორი შეფასება, CV-ის / ავტობიოგრაფიის შედგენა, სამოტივაციო წერილის შედგენა, დამქირავებელთან გასაუბრებაზე ქცევის წესები.

3. შრომის ბაზრის ინფორმაციის მართვის სისტემას www.worknet.gov.ge რომელიც ერთ სივრცეში აერთიანებს შრომის ბაზრის ორ სუბიექტს, სამუშაოს მაძიებელსა და დამსაქმებელს. სამსახურის მაძიებელს შეუძლია დარეგისტრირდეს საიტზე და შექმნას საკუთარი პროფილი, განათავსოს მონაცემები,ვებ-გვერდზე დარეგისტრირება და ინფორმაციის განთავსება შეუძლია

დამსაქმებლებსაც. მათ ასევე ეძლევათ საშუალება პროტალზე დარეგისტრირებულ სამუშაოს მაძიებელთა შორის ეძებონ სასურველი კანდიდატურა.

4. პროფესიული კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის მომსახურებას, რომელიც ხელს უწყობს სამუშაოს მაძიებელს, პროფესიის არჩევაში ან შეცვლაში და არჩეულ პროფესიაში კარიერული წარმატების მისაღწევად საჭირო უნარ-ჩვევების შეძენაში.

5. დასაქმების ფორუმებს,რომლის მიზანია ქვეყანაში უმუშევრობის შემცირებისა და დასაქმების ხელშეწყობის მიზნით, დამსაქმებლებს და სამუშაოს მაძიებლებს შორის უშუალო კონტაქტის დამყარება დროის მცირე მონაკვეთში.

6. მხარდაჭერითი დასაქმებას, რომელიც გულისხმობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ანაზღაურებადი სამუშაოს მოძიებასა და მის შენარჩუნებაში დახმარების გაწევას.

2013 წლიდან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შემუშავებული აქვს პროფესიული განათლების განვითარების სტრატეგია 2013-2020 წლებისთვის და გულისხმობს შრომის ბაზრის შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო ქსელის შექმნას, კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას როგორც შიდა ისე საერთაშორისო ბაზრისათვის და ეკონომუკურად აქტიური მოსახლეობის მომზადებას დასაქმებისა თუ თვითდასაქმებისათვის.
საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო ახორციელებს მოსწავლე-ახალგაზრდების პროფესიული ორიენტაციის ხელშეწყობის პროგრამას: პროგრამის ფარგლებში შექმნილია პროფ-საკონსულტაციო ვებგვერდზე www.myprofession.gov.ge, სადაც განთავსებულია პროფ-ორიენტაციისათვის განკუთვნილი ფსიქოლოგიური ადაპტირებული ტესტები, პროფესიების შესახებ შექმნილი ვიდეორგოლები და სხვადასხვა სარეკომენდაციო და საკითხავი მასალა მოსწავლე-ახალგაზრდებისთვის. ასევე არასრულწლოვან პატიმართა რესოციალიზაციის მიზნით განხორციელებული პროფესიული გადამზადების პროგრამებს , სადაც 2014 წელს მასში მონაწილეობა მიიღო 100 ბენეფიციარმა, 2015 წელს - 65 ბენეფიციარი, 2016 წელს - 25 ბენეფიციარი.
საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ 2014 წელს დაამტკიცა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია „საქართველო 2020“. მეწარმეობის განვითარების სააგენტოს მიერ 2014 წლიდან ხორციელდება მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების ხელშემწყობი სახელმწიფო პროგრამა „აწარმოე საქართველოში“. ნაწილი პროექტებისა ხორცილდება სოფლის მეურნეობის პროექტების მართვისა და სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოების ჩართულობით.
სსიპ მეწარმეობის განვითარების სააგენტო ახორციელებს შემდეგ პროექტებს:

•"მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამა“
•სასტუმრო ინდუსტრიის განვითარება: კომპონენტი "უმასპინძლე საქართველოში“
•კინოინდუსტრიის განვითარება: კომპონენტი "გადაიღე საქართველოში“
•ინდუსტრიის განვითარების ხელშეწყობა: ფინანსებზე ხელმისაწვდომობის კომპონენტი

2014-2015 წლებში სააგენტოს მიერ განხორციელდა ჯამში 133 პროექტი, რომლის მოსალოდნელი ჯამური ინვესტიცია შეადგენდა 355 600 000 ლარს, და რომლის განხორციელების შედეგად შეიქმნა 6759 ახალი სამუშაო ადგილი. 2016 წელს ფინანსური მხარდაჭერის დახმარება 3370 პირ-

მა მიიღო გაცემული სესხების ოდენობა 232მლენ. ლარი შეადგინა ,ხოლო ახალმა სამუშაო ადგილებმა 15000 ს გადააჭარბა ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტომ განახორციელა მიკრო გრანტების პროგრამა (2015-2017): ჯამში გაცემულია 170 გრანტი, ჯამური ბიუჯეტი 528 000 ლარი. საგრანტო პროგრამების მხარდაჭერით შეიქმნა 30 სტარტაპი. სტარტაპ საქართველო (2016): 149 განაცხადი, 50 შერჩეული გუნდი, 20 დაფინანსებული სტარტაპი. ბიუჯეტი: 1.5 მლნ ლარი. სტარტაპ საქართველოს ფარგლებში შეიქმნა 109 სტარტაპი.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ 2014 წელს კოოპერატივის სტატუსი მიენიჭა 464 სუბიექტს, რომელიც აერთიანებდა 3450 მეპაიეს. კოოპერატივში მობილიზებული კაპიტალის მოცულობა შეადგენდა 7 666 559,5 ლარს. 2015 წელს ზუგდიდის მუნიციპალიტეტში აშენდა და შესაბამისი ტექნიკა-დანადგარებით აღიჭურვა თხილის საშრობი და სასაწყობე ინფრასტრუქტურა, თხილის გაშრობის წარმადობა იყო დღეში 24 ტონა და სასაწყობე მეურნეობის წარმადობა შეადგენდა 500 ტონამდე. აღნიშნული ინფრასტრუქტურა კოოპერატივს, რომელიც აერთიანებდა 599 მეპაიეს, გადაეცა სიმბოლურ ფასად 1 ლარად 5 წლიანი იჯარით. 2016 წელს 207 სასოფლო-სამეურნეო სტატუსის მქონე კოოპერატივი დაკმაყოფილდა 265 აგროკომპლექსით. სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოs პროგრამა „შეღავათიანი აგრო კრედიტი“-ს ფარლებში. 2014 წელს გაიცა 18 333 კრედიტი, გაცემული სესხის ოდენობა შეადგენდა 480 416 394 ლარს, რითაც დაფინანსდა 105 საწარმო (აქედან 5 საწარმო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში) 2015 წელს გაცემულია 3986 სესხი 186 731 375 ლარის და 58 607 572 აშშ დოლარის ოდენობით. 20132015 წლებში დაფინანსებულია 128 ახალი საწარმო, მათ შორის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში 5 ახალი საწარმო. 2016 წელს ჯამში გაცემულია 1891 სესხი, საიდანაც 1056 სესხის ღირებულება შეადგენს 73 663 191 ლარს, ხოლო 835 სესხის ღირებულება - 52 379 899 აშშ დოლარს.

საჯარო ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელებისას, დამსაქმებლად გვევლინება კერძო სამართლის იურდიული პირი, რომლისგანაც სამინისტროს დაწესებულებამ შეისყიდა მომსახურება ან სამუშაო. სამინისტროს არ აქვს უფლებამოსილება დაავალდებულოს ტენდერში გამარჯვებული კომპანიები ობიექტებზე წარმოქმნილი ვაკანსიების შესახებ მიაწოდოს ინფორმაცია სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს. აღნიშნული წარმოადგენს კონტრაქტორი კომპანიების შიდა რეგულირების სფეროს და ისინი თავისუფალნი არიან შრომითი ურთიერთობების წარმართვისას.

მიუხედავად საქართველოს მთავრობის ძალისხმევისა, 2017 წლის მდგომარეობით უმუშევრობის მაღალი მაჩვენებელი ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად რჩება, როგორც სახელმწიფოსთვის, ისე მოქალაქეებისთვის შეიძლება დაძლეულ იქნეს შემდეგი რეკომენდაიების გათვალისწინების შემთხვევაში:სახელმწიფომ უნდა შეიმუშავოს დასაქმების ერთიანი სახელმწიფო სტრატეგია, სოციალური მომსახურების სააგენტომ უნდა გაზარდოს ძალისხმევა უმუშევართა სარეგისტრაციო პროცესების დახვეწის მიზნით, საქმიანობის განხორციელებაში პრიორიტეტები უნდა დალაგდეს რომ არ მოხდეს ბაზარზე პროცესების დუბლირება და შესაბამისად რესურსების არაეფექტური ხარჯვა ასევე,სახელმწიფო დასაქმების პროგრამა უნდა ითვალისწინებდეს მოსახლეობის მოტივაციას ჩაერთნონ სამუშაო ძალაში, სამუშაოს მაძიებელთა დიფერენცირების დროს უნდა მოხდეს ისეთი ჯგუფების ჩამოყალიბება როგორიცაა ახალგაზრდები, ქალაბატონები და ხარგძლივად უმუშევრად მყოფი პირები. ეს ის ჯგუფებია, რომელთა რიგებში ყველაზე მაღალია უმუშევრობა და რომლებიც აწყდებიან ყველაზე რთულ ბარიერებს სამუშაო ბაზარზე თავის დამკვიდრების

დროს. როგორც მსოფლიო გამოცდილებამ აჩვენა დასაქმების ხელშემწყობი პროგრამების ეფექტურობა ყველაზე მაღალი აღნიშნულ ჯგუფებში.

სოციალური მომსახურების სააგენტომ უნდა გაზარდოს დასაქმების სახელმწიფო სერვისების ცნობადობა რეგიონებში და მომსახურება ხელმისაწვდომი უნდა გახდეს მათთვისაც, ვისაც ხელმისაწვდომი არ არის თანამედროვე ტექნოლოგიები.

ფაქტია, რომ საქართველოში არსებობს ჭარბი განათლების სინდრომი,რომელიც მიუთითებს განათლების სამინისტროს მხრიდან რეფორმების გატარების აუცილებლობაზე. საჭიროა მოსწავლეებმა ჯერ კიდევ სკოლაში შეიძინონ პროფესიის დაგეგმვის ელემენტარული უნარ-ჩვევები, სახელმწიფომ განათლების ბაზარზე უნდა მოხდინოს დეფიციტური პროფესიების პოპულარიზაცია და წახალისება.

უმუშევრობის დაძლევისთვის აუცილებელია დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნა. ამ მხრივ საქართველოსთვის სასარგებლო იქნებოდა ჩეხეთის რესპუბლიკის წარმატებული გამოცდილების გათვალისწინება მეწარმეების წახალისების კუთხით. კერძოდ სახელმწიფომ მოსახლეობას უნდა შესთავაზოს ისეთი წამახალისებელი პროგრამები,როგორც ახალი საქმის წამოწყების მხარდაჭერაზე, ისე არსებული საწარმოების გაძლიერებაზე. მნიშვნელოვანია გაგრძელდეს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების და სოფლის მეურნეობის სამინისტროების მიერ განხორციელებული მეწარმეობის ხელშემწყობი პროგრამები. პროგრამების შინაარსი და მიზნობრიობა სასურველია განახლდეს ყოველწლიურად ბაზარზე არსებული საჭიროებების გათვალისწინებით.

მაღალმწარმოებლური სამუშაო ადგილების შექმნა საჭიროა როგორც სამეწარმეო სექტორში, ისე სოფლის მეურნეობის დარგშიც, რათა ქვეყანამ შეძლოს ისეთ გამოწვევებთან გამკლავება როგორიცაა შემოსავლების უთანაბრობა და სიღარიბე. მაღალმწარმოებლური სექტორის განვითარების ხელშეწყობის მიზნით შეიქმნა ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო. საჭიროა სააგენტომ გააფართოვოს საქმიანობა და მიწოდებული სერვისების სახეები, რათა მოიცვას ბენეფიციართა უფრო ფართო სპექტრი და შესაბამისად გაიზარდოს შედეგიანობა, ასევე სახელმწიფომ უნდა გააძლიეროს დასაქმების ბაზრის ემპირიული კვლევები, სტატისტიკური მონაცემების შეგროვება, დასაქმების კუთხით სახელმწიფო ხარჯების აღრიცხვა და შეფასება იმისთვის რომ ქვეყანამ დროულად უპასუხოს დასაქმების ბაზარზე არსებულ გამოწვევებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. დასაქმების სახელმწიფო პოლიტიკის ანალიზი საქართველოსა და ევროპის ქვეყნებში. ადამიანის უფლებების კვლევითი ინსტიტუტი 2017წ.
2. დასაქმების პრობლემები და სახელმწიფო პოლიტიკა დასაქმების სფეროში, საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი 2018წ.
3. საქსტატი (დასაქმება და უმუშევრობა საქართველოში 2017
4. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამა. ა. თვალჭრელიძე

■■■■

სოციალური და ეკონომიკური პრობლემატიკა ნიკო ნიკოლაძის ნააზრევში
Social and Economic Problems in Niko Nikoladze's Thinking

ავტორი - **მარიამ ქარცივაძე,** *ხელმძღვანელი* - მოწვეული სპეციალისტი, **თინათინ კოსტავა,** აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
Author – Mariam Kartsivadze, *, Supervizor – Inv. Spec.* ***Tinatin Kostava ,*** *Akaki Tsereteli State University.*

Niko Nikoladze was the real discovery of Georgian history of the nineteenth century, He intuitively felt the importance of Poti and the port of Poti for the development of Georgian and Caucasus economy.
His name is associated with many inventions, which are discussed in detail in the work.
Today, Georgia needs such people. People with extraordinary talents, minds, knowledge, a sense of reality and a futuristic ability to foresee the future.

პუბლიცისტი, კრიტიკოსი, საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე – ეს ნიკო ნიკოლაძის საქმიანობათა არასრული ჩამონათვალია. ის იყო მამულიშვილი, რომელიც თავისი აზროვნებითა და საქმისადმი მიდგომით ნამდვილად უსწრებდა დროს. ნიკო ნიკოლაძე დაიბადა ქუთაისში, 1843 წლის 27 სექტემბერს, იაკობ ნიკოლაძის ოჯახში, და-ძმას შორის ყველაზე უფროსი იყო.

ნიკოს მამამ კარგად იცოდა განათლების ფასი. იაკობ ნიკოლაძე ქუთაისში ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც აღებ-მიცემობის საქმეს მიჰყო ხელი: ჯერ ხე-ტყით ვაჭრობა დაუწყია, შემდეგ, ქალაქის ხელმძღვანელობის დაკვეთით, აშენებდა საცხოვრებელ სახლებს. მოგვიანებით, ფოთიდან ხის კუნძებს უცხოელებზე ყიდდა. იყო ერთ-ერთი პირველი კომერსანტიც, ერთხანს გერმანიაში წავიდა ზღვით და ქუთაისში გასაყიდად ქსოვილები ჩამოიტანა. ნიკო ნიკოლაძე ქუთაისის გიმნაზიაში სწავლობდა. მამა თავის თანაშემწედ ზრდიდა და შესაბამისად, ტექნიკურ განათლებას იღებდა.

ნიკო ნიკოლაძემ დაარწმუნა მამა, რომ გიმნაზიის ჰუმანიტარული მიმართულებით დამთავრების და შემდეგ, საინჟინრო საქმის შესწავლის ნაცვლად, პეტერბურგში, იურიდიულ ფაკულტეტზე შესვლის ნება მიეცა. ასეც მოხდა – 1861 წელს, 2 მეგობართან ერთად, ქუთაისიდან პეტერბურგში გაემგზავრა. ამ დროისთვის ნიკო ნიკოლაძე ფლობდა ფრანგულ, რუსულ, ენებს. მოგვიანებით შეისწავლა ინგლისური, იტალიური და გერმანული. 1863 წელს საქართველოში დაბრუნდა, თუმცა, დიდხანს არც აქ გაჩერებულა. სწავლა პარიზში, სორბონას უნივერსიტეტში განაგრძო. იქ ძალიან ბევრს შრომოდა, სწავლობდა, კითხულობდა, ეცნობოდა ფრანგულ სოციალიზმს. თუმცა, დიდად მოხიბლული არ დარჩენილა. მოგვიანებით წერდა, დიდი არაფერი ყოფილა ეს „ფრანცეული სოციალიზმი“, ვზივარ, 18 საათს ვმუშაობ ბიბლიოთეკაში, ძალიან ბევრი შრომა მიწევსო.

მკვლევარი ზაზა აბზიანიძე წერს, რომ ნიკო ნიკოლაძე პარიზში ბევრ საინტერესო ადამიანს შეხვდა. მას ნაცნობობა, თანამშრომლობა თუ მიმოწერა აკავშირებდა ჯუზეპე გარიბალდისთან, ვიქ-

ტორ ჰიუგოსთან, ალფონს დოდესთან, ემილ ზოლასთან, პოლ ლაფარგთან. ამავე პერიოდში, შეხვდა კარლ მარქსს, რომელმაც ნიკოლაძეს შესთავაზა, ამიერკავკასიაში პირველი ინტერნაციონალის წარმომადგენელი ყოფილიყო, რაზეც დელიკატური უარი მიიღო. როგორც ნიკოლაძე იგონებს, მას არ ესმოდა, ვერ წარმოედგინა სამშობლოში გაეტარებინა მარქსის იდეები და ასეთ რამეს ვერაფრით დაეთანხმდებოდა.

ნიკო ნიკოლაძე იყო თავისი დროის მოწინავე აზროვნების ადამიანი, რომელმაც მიღებული განათლების, ნიჭისა და გამჭრიახობის წყალობით, ევროპული ცხოვრების ბევრი საუკეთესო მაგალითი შეისწავლა და ცდილობდა, შესაძლებლობების ფარგლებში, საქართველოში დაემკვიდრებინა. ევროპული ცხოვრების წესი თუ ტექნიკის მიღწევა გადმოეტანა თავის ქვეყანაში, ოღონდ მხოლოდ ის, რომელიც პროგრესული იყო და იცოდა, საქართველოს სასიკეთოდ წაადგებოდა.

ნიკო ნიკოლაძე საფრანგეთიდან შვეიცარიაში გაემგზავრა. ამბობდა, „უფრო მეტად მაინტერესებს შვეიცარია, რესურსებით ასეთი ღარიბი ქვეყანა რატომ არის მდიდარი, მთიანი და რესურსებით მდიდარი საქართველო კი რატომ არის ასეთი ღატაკიო. წავიდა კიდეც და ჟენევისა და ციურიხის უნივერსიტეტებში სწავლობდა. იქ დაიცვა სადოქტორო დისერტაცია.ნიკო ნიკოლაძე იყო პირველი ქართველი, ვინც სადოქტორო დისერტაცია ევროპაში დაიცვა. ჟენევაში 1868 წელს გამოქვეყნებული მისი სადიპლომო ნაშრომი, როგორც მაშინ „სადოქტოროს“ უწოდებდნენ, „განიარაღება და მისი ეკონომიკურ-სოციალური შედეგები“ დღესაც დიდ ინტერესს იწვევს. აღსანიშნავია, რომ მოგვიანებით (1873 წელს), მისი რჩევით, ჟენევაში დაარსდა ქართული საგანმანათლებლო საზოგადოება „უღელი“. მანამდე, პარიზში ცხოვრებისას (1864) მე-19 საუკუნის ერთ-ერთი რუსი მოაზროვნის გერცენის თხოვნით წერდა წერილებს „კოლოკოლისთვის“. ეს იყო არალეგალური გაზეთი, რომელიც გამოდიოდა ინგლისში და ხელნაწერის სახით ვრცელდებოდა რუსეთში.

1869 წლის ბოლოს ნიკო ნიკოლაძე საქართველოში დაბრუნდა და სურდა, მთელი ცოდნა და გამოცდილება საკუთარი ქვეყნისთვის გამოეყენებინა. ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი, მისთვის, განათლება იყო. ძალიან წუხდა, რომ ქართული საზოგადოების უმრავლესობას განათლება არ ჰქონდა. ამბობდა, უცოდინრობით არაფერი გამოვა, ცოდნის გარეშე მუდამ მონა იქნები, ვერ იარსებებ, ცოდნით კი იმას დანერგავ, რაც შემოსავალს და პროგრესს გააჩენსო. ამიტომ, ყველანაირად უწყობდა ხელს ქვეყანაში განათლების გავრცელებას და ეს არ ეხებოდა მხოლოდ მდიდარ ფენას ან მამაკაცებს. 1872 წელს თავისი დები ოლიმპიადა და ეფროსინე, ოლიკო გურამიშვილი (შემდგომში ნიკო ნიკოლაძის მეუღლე) და ორი დეიდაშვილი ბიჭურად ჩაცმულები, გემით შვეიცარიაში გააპარა. ნიკოს სურდა მათ განათლება მიეღოთ. ეს ის პერიოდია, როდესაც ქალები ან პედაგოგიურ, ან გინეკოლოგიურ ფაკულტეტზე სწავლობენ. დანარჩენი მათთვის ხელმიუწვდომელია, მით უმეტეს საზღვარგარეთ სწავლა. ნიკო ნიკოლაძის ასეთ საქციელს უარყოფითი რეაქციები მოჰყვა თავად-აზნაურობის მხრიდან, მათთვის წარმოუდგენელი იყო ქალებისთვის საზღვარგარეთ სწავლის ნება მიეცათ.

1870-იან წლებში ნიკო ნიკოლაძე ძირითადად საქართველოშია და აქტიურ მუნიციპალურ და საზოგადოებრივ საქმიანობას ეწევა. მან წამოაყენა რამდენიმე იდეა, განახორციელა არაერთი ისეთი პროექტი, რომელიც გარდამტეხი გახდა საქართველოსთვის. ნიკოლაძის აზრით, ძალიან მნიშვნელოვანი იყო, ვაჭრობის განვითარება. ის კარგად გრძობდა, რომ ქვეყნის წინ წამწევი ძალა ეკონომიკური ცხოვრების მოწესრიგებაში გამოიხატებოდა,რომ აღებ-მიცემობის განვითარება აუცილებელი პირობა იყო ერის წარმატებისა და წინსვლისათვის. ქართველ ახალგაზრდებს მოუწოდებდა

ევაჭრათ, ოღონდ, კეთილსინდისიერად. გლეხებს ეხვეწებოდა, ჩამოეტანათ ქალაქში პროდუქტი, თუ ღვინო ღირდა 1 კაპიკი, 10 კაპიკად მიეყიდათ ადგილობრივებისთვის და არა 1 მანეთად, როგორც ამას სირაჯები აკეთებდნენ. მაგრამ მაშინ ვაჭრობას ქართველების უმეტესობა არ კადრულობდა, ეთაკილებოდა. ნიკო ნიკოლაძეს კი სამარცხვინოდ ვაჭრობის მტაცებლური მეთოდები მიაჩნდა. ფიქრობდა, რომ ვაჭრობისა და მრეწველობის განვითარებით, შესაძლებელი იყო კაპიტალიზმის დანერგვა. ევროპაში ცხოვრებისას მან კარგად დაინახა, რა როლს ასრულებდა ქვეყნის განვითარებასა და წინსვლაში საბანკო საქმე და ვაჭრობა. სწორედ ამიტომ სურდა, საქართველოც იმავე გზით განვითარებულიყო. ნ. ნიკოლაძე ყურადღების გარეშე არ ტოვებდა ფოთს. მისი აზრით ფოთს უპირატესობა გააჩნდა ბათუმთან შედარებით, რადგან იგი გამოსადეგია როგორც შიდა, ასევე საგარეო ვაჭრობის განვითარებისათვის. პრობლემას ქმნიდა ის გარემოება, რომ ფოთის ნავსადგური ჯერ კიდევ აუშენებელი იყო და უცხოური გემები ღია რეიდზე დგომას, ბათუმის ნავსადგურში შესვლას ამჯობინებდნენ. ნ. ნიკოლაძის მოწოდებამ შედეგი გამოიღო, ხელისუფლებამ მნიშვნელოვანი ყურადრება დაუთმო შავი ზღვის ქართული ქალაქების სავაჭრო-ეკონომიკური პოტენციალის რეალიზებას. XIX ს-ის 80-იან წლებში ქ. ბათუმი და ქ.ფოთი გადაიქცა რუსული ნედლეულის გასაღების ერთ-ერთ უმთავრეს პუნქტად.

1883 წელს გაყვანილი იქნა ბაქო-ბათუმის რკინიგზის ხაზი, რომლითაც ხორციელდებოდა ბაქოს ნავთობ პროდუქტების ექსპორტი საზღვარგარეთ. ქ. ბათუმი გადაიქცა ამიერკავკასიის ძირითადი ნედლეულის-ნავთობის ევროპაში ექსპორტირების ცენტრად, რაც მნიშვნელოვან ცვლილებებს ახდენდა ქალაქის სოცილურ- ეკონომიკურ განვითარებაზე.

მომდევნო საკითხი, რომლისთვისაც ნიკო ნიკოლაძე იბრძოდა, იყო ერობა, ადგილობრივი მმართველობა. ფაქტობრივად, იყო პირველი, ვინც ერობის, ანუ თვითმმართველობის შექმნის აუცილებლობაზე საუბრობდა. მას მიაჩნდა, რომ თემს უნდა აერჩია განათლებული, ხელმძღვანელი წევრები, რომლებსაც გადაუხდიდა ხელფასს და მათ დააკისრებდა ხალხის სამსახურს, ხოლო თუ ამ მოვალოეობას ვერ შეასრულებდნენ, გადააყენებნდნენ და სხვას აირჩევდნენ. სხვათაშორის, ნიკო ნიკოლაძეს თვლიდა, რომ თვითმმართველობის შემოღება უნდა ეთხოვათ 1871 წელს აქ ჩამოსული იმპერატორის, ალექსანდრე II-ისათვის. იმ დროს ეს არ მოხერხდა, თუმცა, 1913 წელს თავად-აზნაურებმა სწორედ ამ თხოვნით მიმართეს მაშინდელ იმპერატორს, ნიკოლოზ II-ს.

და ბოლო, რაც ასევე ძალიან მნიშვნელოვნად მიაჩნდა, იყო უნივერსიტეტის გახსნა, თუმცა, მისი აზრით, ეს უნდა ყოფილიყო ტექნიკური უნივერსიტეტი. თვლიდა, რომ კლასიკური განათლება კი არა, ხალხს წინსვლისთვის, რეალური განათლება და შესაბამისი სკოლები სჭირდებოდა. საბოლოოდ, გადაწყდა, რომ უნდა გახნილიყო ჰუმანიტარული უნივერსიტეტი, რაც აბსოლუტურად განსხვავდებოდა მისი მოსაზრებისგან. მის სახელთან არის დაკავშირებული არაერთი მიღწევა და მშენებლობა, რომელიც მისი თაოსნობით განხორციელდა საქართველოში და მისი კვალი დღემდე თვალსაჩინოა და დასაფასებელია.

ნიკო ნიკოლაძე განსაკუთრებით აკრიტიკებდა ცარიზმის რეჟიმს იმის გამო, რომ რეფორმის შემდეგ, განსხვავები რუსეთის გლეხობისაგან, ქართველი გლეხობა გაცილებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. მათ არ ჰქონდათ უფლება მემამულის ნებართვის გარეშე მიწის გამოსყიდვისა. მისი აზრით მთავრობას ის მაინც უნდა ექნა, რომ რაიმე დაეკანონებინა გამოსყდვების შესახებ და ამასთანავე ხელი შეეწყო გლეხებისათვის ფულის სესხებით. პროფესორ ს. ხუნდაძის შენიშვნით: „ნ.ნიკოლაძემ ნათლად და სისწორით გამოხატა მაშინდელი გლეხობის მისწრაფებანი“. მართლაც

გლეხს მაშინ მიწა სჭირდებოდა დ ადმინისტრაციის თვითნებობისაგან უზრუნველყოფა . ერთი სიტყვით , მიწა, კარგი მოხელე და თავისუფალი შრომა- აი ეს იყო ნ. ნიკოლაძის მაშინდელი აგრარული პროგრამის ძირითადი მიმართულება.

ნ. ნიკოლაძე სახელმწიფოს მოუწოდებდა ხელახალი რეფორმებისაკენ, რომელიც გამოასწორებდა უკვე არსებულ მანკიერებებს. იგი ფიქრობდა, რომ მთავრობამ უნდა დააკანონოს მიწის მფლობელობის თემური ფორმა და თანდათან ხელი შეუწყოს მიწის გადასვლას სოფლის საზოგადოების ხელში. ამ პროცესების უკეთ განხორციელებისათვის მისი აზრით სახელმწიფომ უნდა შეიმუშაოს კანონმდებლობა სათემო მეურნეობის შესახებ. ნ. ნიკოლაძე ითხოვს გლეხებისათვის მიწების გადაცემას, მაგრამ არა უფასოდ. მისი მთავარი აზრი იმაში გამოიხატება, რომ ეს გადაცემა უნდა მოხდეს არა ძალმომრეობითა და რევოლუციური ბრძოლით, არამედ სრულიად მშიდობიანი გზით, თავად-აზნაურთა და გლეხთა უფლებების სრული დაცვითა და გათვალისწინებით. ეს კი სხელმწიფომ უნდა უზრუნველყოს. ასეთია ნ.ნიკოლაძის აგრარული პროგრამა.

„ნიკო ნიკოლაძემ 4 ფორმაციაში იცხოვრა: დაიბადა ბატონყმობის დროს, ცხოვრობდა და მოღვაწეობდა საქართველოში, როცა ის რუსეთის გუბერნია იყო, მოესწრო საქართველოს პირველ დემოკრატიულ რესპუბლიკას და გარდაიცვალა საბჭოთა სინამდვილეში. ნიკო ნიკოლაძე ყველა ამ ეტაპზე იყო პროგრესული, ევროპულად მოაზროვნე და თავის ქვეყანის წარმატებისთვის დაუცხრომლად მებრძოლი ადამიანი “ .

ნიკო ნიკოლაძის ცხოვრება და შემოქმედება ბრწყინვალე მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა ემსახუროს სამშობლოს, ერს თანამედროვე ჰუმანისტი, დემოკრატი, მწერალი და კრიტიკოსი, პუბლიცისტი და რედაქტორი.

ნიკო ნიკოლაძემ ერთ-ერთმა პირველმა იგრძნო ერის გადარჩენაში ეკონომიკის აღორძინების გადამწყვეტი მნიშვნელობა და სათავეში ჩაუდგა ქალაქ ფოთისა და მისი ნავსადგურის აღმშენებლობას.

მან ამ დარგში წარუშლელი კვალი დატოვა საქართველოს ისტორიაში, საოცარი ინტუიციით იგრძნო ფოთისა და მისი ნავსადგურის მნიშვნელობა საქართველოსა და კავკასიის ეკონომიკის განვითარების საქმეში.

ნიკო ნიკოლაძე იყო ჭეშმარიტი ახალი ადამიანი მეცხრამეტე საუკუნის საქართველოს ისტორიაში - სულით ხორცამდე ქართველი, ცხოვრებისა და საქმიანობის ევროპული ყაიდით, ტოლერანტული თავის შინაგანი ბუნებით.

გამორჩეული ნიჭით, გონებით, ცოდნით, რეალობის მძაფრი შეგრძნებით და მომავლის განჭვრეტის შესანიშნავი უნარით. დღეს ძალიან სჭირდება საქართველოს ასეთი ადამიანები! ნიკო ნიკოლაძე გამონაკლისს არ წარმოადგენდა. შემთხვევითი არ იყო, რომ ილია ჭავჭავაძემ ერის გადასარჩენად ბანკი გახსნა და ფინანსებს მოჰკიდა ხელი, ხოლო აკაკი წერეთელი ჭიათურის მანგანუმის მაღაროს შექმნას და ამუშავებას ცდილობდა.

ნიკო ნიკოლაძე ყველას აცვიფრებდა გაბედული გეგმებითა და პროექტებით. საინჟინრო-ეკონომიკური აზროვნების სიღრმითა და ორიგინალურობით. იგი არ ჩამოუვარდებოდა თავისი დროის დიდ მეცნიერებს – ტექნიკური პროგრესის მამამთავარი იყო საქართველოში.

ნიკო ნიკოლაძე ცხოვრობდა ორი სასტიკი და მრისხანე საუკუნის მიჯნაზე, ისტორიული ქარტეხილების დროს, ცარიზმის, რუსეთის ე. წ. სამი რევოლუციის პერიოდში, მენშევიკურ საქართველოში. იყო გადასახლებაში, ემიგრაციაში, იჯდა პეტერბურგის ციხეში, ცხოვრობდა საქართველოში, როცა ის ცარიზმის იმპერიის ორ გუბერნიას წარმოადგენდა. იმ პერიოდში, როცა აღსდგა საქართველოს სახელმწიფოებრიობა,მას არასდროს დაუკარგავს სწორი ორიენტირი, შორსმჭვრეტელობა, ყველა ეპოქაში დიდ ქართულ ეროვნულ საქმეებს აკეთებდა, ერისთვის ყოველთვის საჭირო კაცი იყო, განზე არ გამდგარა, წუწუნი არ დაუწყია, უკეთეს დროს არ დალოდებია. რაც უფრო მეტ წინააღმდეგობას აწყდებოდა, მით უფრო ძლიერი ენერგიით ემსახურებოდა თავის ხალხს.

ნიკო ნიკოლაძე 1928 წლის 5 აპრილს გარდაიცვალა. თბილისის ყველა ეკლესიაში ამ დღეს გლოვის ზარი ისმოდა. უკანასკნელ გზაზე ოჯახის წევრებთან ერთად, საქართველოს იმჟამინდელმა კათოლოკოს-პატრიარქმა კალისტრატე ცინცაძემ გააცილა. ნიკო ნიკოლაძე ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა მთაწმინდის პანთეონში დაკრძალეს. ნიკო ნიკოლაძის მრავალმხრივი განათლების, თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული საქმიანობიდან გამომდინარე, სპეციალური განკარგულებით გადაწყდა, რომ მისი ტვინი მეცნიერულ დონეზე, ერთ-ერთ სამედიცინო დაწესებულებაში შეესწავლათ. ნიკო ნიკოლაძის გვერდით დაკრძალულია მისი მეუღლე. ოლღა გურამიშვილის ნეშტი 1956 წლის 10 სექტემბერს დიდუბის პანთეონიდან მთაწმინდაზე გადაასვენეს.

1948 წელს სოფელ დიდ ჯიხაიშში დაარსდა ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%99%E1%83%9D_%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%AB%E1%83%94
2. https://burusi.wordpress.com/2009/09/12/niko-nikoladze-2/
3. https://www.marketer.com/niko-nikoladze/
4. ნიკო ნიკოლაძის მკვლევარი, პროფესორი დალი ჩიკვილაძე
5. ბასილაძე გ., ნიკო ნიკოლაძის ეროვნული კონცეფცია და მისი საზოგადოებრივ-პუბლიცისტური მოღვაწეობა XIX საუკუნის 70-80-იან წლებში .

■■■■

ნეოლიბერალიზმის გამოწვევები თანამედროვე ეპოქაში

The Challenges Of Neoliberalism In The Modern Era

ავტორი - დავით გრძელიშვილი, ნინო ხურციძე, *ხელმძღვანელი - პროფ.* ***თამილა არნანია-კეპულაძე,*** *აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი.*

Author - Daviti Grdzelishvili, Nino khurtsidze, *Supervizor – Prof.* ***Tamila Arnania-Kepuladze,*** *Akaki Tsereteli State University.*

In the economic thinking of the world's well-developed nations, the main issue has already been the researches and development of economic and political ideologies.

The source of all the ideologies is a unique approach of humanity about the specific issues. This approach is the subject of research of different economic and political schools. In this work, we examine one of the most common liberal views and challenges in the modern era.

The term neoliberalism consists of two main words - Neo (Greek neos - new) and "liberalism" (French Liberalism). Therefore, if we understand what is liberal ideology and general liberal views, it is easy to understand the reason for the word formation. The direct translation of this word is "freedom" based on all the views and ideas that the liberals "preach".

The work has also reviewed the examples of the countries that have solved economic problems, with the help of liberal views and approaches.

KeyWords: Neoliberalism; Liberal economy; Ideology; Economic school; Economic Growth; Neo-austrian economics school; Chicago school of economics; Freiburg school of economics; Economic order; Invisible hand of the market; Supply-Demand;

შესავალი

ტერმინი ნეოლიბერალიზმი შედგება ორი ძირითადი სიტყვისგან - „ნეო"-სა (ბერძნ. Neos - ახალი) და „ლიბერალიზმი"-სგან (ფრანგ. Liberalisme). შესაბამისად, მარტივად აღსაქმელია რას უნდა ნიშნავდეს იგი თავისი შინაარსით თუ კარგად გვესმის რა არის ლიბერალური იდეოლოგია და ზოგადი ლიბერალური შეხედულებები. პირდაპირი თარგმანი, ამ სიტყვისა, არის „თავიუსფლეგა", რომელიც ეფუძვნება ყველა იმ შეხედულებას თუ აზრს რასაც ლიბერალები „ქადაგებენ".

ნეოლიბერალიზმი - ეკონომიკური მეცნიერების და სამეურნეო საქმიანობის ისეთი მიმართულებაა, რომელიც ეფუძვნება ეკონომიკის თვითრეგულირებისა და სახელმწიფოს ზედმეტი პროტექციონიზმისგან თავისუფლების პრინციპებს.

იდეოლოგიად ჩამოყალიბებულ ამ მიმართულებას თანამედროვე მსოფლიოში საკმაოდ ბევრი მიმდევარი ჰყავს, საინტერესოა ამ ადამიანების მმოტივაციები, თუ რატო ირჩევენ ამ გზას, რადგან თავისმხრივ ლიბერალიზმის მოწინააღმდეგეების რიცხვიც თვალშისაცემია. ყველაზე საინტერესო ამ საკითხში ისაა, რომ თითქმის საქმე გვაქვს რადიკალურად განწყობილ ბანაკებთან. ზოგადად ასეთ მიდგომას სასიკეთო არაფერი მოუტანია მსოფლიოში სიმშვიდის დასამკვიდრებლად, საინტერესოა რა საკითხში პოულობენ ისინი კონსენსუსს და როგორ თანაცხოვრობენ ერთ სოციუმში.

ნაშრომში მიმოვიხილავთ ცალკეული ქვეყნების მაგალითებს, რომლებმაც ეკონომიკური განვითარება, მეტწილად, ლიბერალური ხედვების და მიდგომების გატარებით გადაწყვიტეს.

ნეოლიბერალიზმის აღმოცენება და ზოგადი დახასიათება

იდეოლოგია ჩამოყალიბდა XX საუკუნის 20-იან წლებში და ფართოდ გავრცელდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგომ პერიოდში. ნეოლიბერალისტური სკოლები გაჩნდა გერმანიში, ავსტრიაში, შვეიცარიაში, საფრანგეთში, ინგლისში და სხვა მსოფლიოს დიდ თუ პატარა ქვეყნებში.

ლიბერალიზმი, როგორც ეკონომიკური შეხედულებათა სისტემა, თავდაპირველად ჩამოყალიბდა ინგლისელი კლასიკოსების ადამ სმიტის და დავიდ რიკარდოს მიერ და ეფუძვნება ინდივიდუალური საქმიანობის წამყვანი როლისა და ამ საქმიანობის სახელმწიფოს ჩარევის შეზღუდვის იდეას. ლიბერალიზმის სხვა წყაროს წარმოადგენს გერმანიის ისტორიული სკოლა, რომლის წამომადგენლებმა პირველმა დაიწყეს პოლიტიკური ეკონომიის, როგორც ეროვნული მეურნეობის შემსწავლელი მეცნიერების, განხილვა.

თანამედროვე ლიბერალიზმი იგივე ნეოლიბერალიზმი ეფუძვნება ორ ტრადიციულ დებულებას:

1.ისინი თვლიან რომ ბაზარი როგორც მეურნეობის ყველაზე ეფექტური ფორმა, ქმნის ეკონომიკური ზრდის საუკეთესო პირობებს;
2.პრიორიტეტულ მნიშვნელობას ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებთა თავისუფლებას ანიჭებს.

ნეოლიბერალური მიმათულება თავის თავში აერთიანებს:

•ფრაიბურგის სკოლას (ვ. ოიკენი);
•ნეოავსტრიულ სკოლას (ფ. ჰაიეკი);
•ჩიკაგოს სკოლა (მ. ფრიდმენი)

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში დასალვეთი გერმანიის სწრაფმა განვითარებამ „გერმანული ეკონომიკური სასწაულის“ სახელმწოდება მიიღო. ამ პროცესს, პირველ რიგში, ხელი შეუწყო ფრგ-ს ეკონომიკური რეფორმირების გეგმამ, რომელსაც საფუძვლად ნეოკლასიკური თეორიის განსაკუთრებული ვარიანტი, ე.წ. ორდოლიბერალიზმი (თავისუფლება წესრიგის ფარგლებში) დაედო. მის ფუძელმდებლად ვალტერ ოიკენი (1891-1950 წწ) ითვლება. იგი 1927 წლიდამ ცხოვრები ბოლომდე მუშაობდა ფრაიბურგის უნივერსიტეტში, ამიტომ ეწოდა ამ სკოლას

ფრაიბურგის სკოლა. ის მრავალი ნაშრომის ავტორია და მისი ნაშრომები რა თქმა უნდა სრულიად ეფუძვნება ორთოდოლიბერალიზმს. ამ მიმართულებამ შექმნა საკუთარი მოძღვრება სახალხო მეურნეობის განვითარებისა და გაძღოლის შესახებ. ტრადიციულ ლიბერალიზმსა და ორდოლიბერლაიზმს აკავშირებს წარმოების პროცესში წარმოების პროცესში ინდივიდუალური თავისუფლების იდეა.

ვ. ოიკენი ზრუნავდა „სამეურნეო წესრიგის“-ს მიღწევაზე რომელიც უზრუნველყოფს თითოეული ადამიანის თავისუფლებებს, უფლებებს და ღირსებას. „სამეურნეო წესრიგში“ ოიკენი გულისხმობდა მეურნეობის გაძღოლის თაობაზე დაწერილ და დაუწერელ წესებს, ხოლო უშუალოდ ტერმინში „წესრიგი“ ის ვარაუდობდა გარკვეულ სოციალურ-ეკონომიკურ სისტემას.

სამეურნეო წესრიგი = მეურნეობის გაძღოლის თაობაზე დაწერილ და დაუწერელი წესები

„წესრიგი“ = სოციალურ-ეკონომიკური სისტემას.

1974 წლის ნობელის პრემიის ლაურეატს, ავსტრიელ-ამერიკელ მეცნიერს ფრიდრიჰ ჰაიეკს (1899-1992) ხშირად ნეოლიბერალიზმის მამას უწოდებენ. მისი აზრით, ეკონომიკა იმდენად რთული მეცნიერებაა, რომ ადამიანი გონებას არ შეუძლია შეიცნოს ეკონომიკის ობიექტური კანონები. სწორედ ამის გამო ეკონომიკის რეგულისრების საუკეთესო საშუალებაა სმიტისეული „ბაზრის უხილავი ხელი“. ჰაიეკი სოცილაიზმის მხურვალე კრიტიკოსი და თავგამოდებული ანტიმარქსისტი იყო, თმცა არც სპონტარულ საბაზრო წესს აიდეალიზებდა. იგი თვლიდა, რომ სახელმწიფოს ჩარევას „დამღუპველი თვითდაჯერებულობა“ უწოდა. იგი ასახელებდა „ბაზრის უხილავი ხელის“ შემდეგ დადებით თვისებებს:

•„ბაზრის უხილავი ხელი“ შეესაბამება ადამიანთა ინდივიდუალურ თავისუფლებას;
•ხელს უწყობს რესურსების უფრო რაციონალურ განაწილებას;
•იძლევა ობიექტურ ინფორმაციას მოთხოვნა-მიწოდებაზე, ფასწარმოქმნაზე.

თანამედროვე ეკონომიკურ ლიტერატურაში, ტერმინი „მონეტარიზმი“ 1968 წელს კარლ ბრუნერმა შემოიტანა. თუმცა ამის მიუხედავად, მონეტარიზმის ლიდერად მილტონ ფრიდმენი ითვლება. მისი აზრით, მონეტარიზმი სხვა არაფერია, თუ არა ფულის რაოდენობრივი თეორია. იგი წერდა: „იმას, რასაც ჩვენ შევეჩვევით ფულის რაოდენობრივი თეორია ვუწოდოთ, ახლა მონეტარიზმი ჰქვია“. მონეტარისტთა შეედულებით, ფული განსაკუთრებულ გავლენას ახდენს რეალური შემოსავლის, დასაქმებუსა და ფასების საერთო დონის ცვლილებაზე.

ფულის როლის პრიორიტეტიდან გამომდინარე, მონეტარისტული ეკონომიკური დოქტრინა ძირითად პრობლემას ფასისმიერი სტაბილურობისა და ფულადი ერთეულის მდგრადობის უზრუნველყოფაში ხედავდა. სწორედ ამის გამო მონეტარისტები მოითხოვდნენ ფულადი მასის ტემპების ზრდას არაუმეტეს 5%-ით წელიწადში და ამ ტემპის შენარჩუნებას ეკონომიკური მაჩვენებლების ცვლილების მიუხედავდ. წინააღდეგ შემთხვევაში, მათი აზრით, დაირღვევა კერძო მეწარმეობის ფუნქციონირების მექანიზმი და საზოგადოება ეკონომიკური კრიზისის საფრთხის წინაშე აღოჩნდა.

თანამედროვე ნეოლიბერალური მიდგომებიბი აერთიანებს არა კონცეპტუალურ ხედვას, არამედ ეკონომიკური პრობლემების კვლევისადმი ერთიან მიდგომას.

ლიბერალური ეკონომიკის პრაქტიკული გამოვლინებები

ვერცერთ იდეოლოგიას ვერ ჩავთვლით ამ სტატუსის მატარებლად თუ მისი დანერგვა არ მომ-ხდარა პრაქტიკულ ცხოვრებაში. თეორიული მტკიცებები ფურცელზე დაწერილ „ბრტყელ–ბრტყელ“ სიტყვებად რჩება, როცა გამოცდის დრო დგება და რელსების მიმართულება იცვლება.

განვიხილოთ რამდენიმე ქვეყნის მაგალითი სადაც ეკონომიკური თავიუსფლება დაიტესტა და კონკრეტული სოციალური – ეკონომიკური შედეგი დაიდო.

სინგაპური

სინგაპური მალაიზიისა და ინდონეზიის მეზობლად მდებარეობს, მისი ფართობი დაახლოებით 700 კვ.კმ.-ს შეადგენს და თბილისის ფართობზე მხოლოდ 2 – ჯერ მეტია. იგი ერთ დიდ, მთავარ კუნძულსა და 30-ზე მეტ პატარა გარშემომდებარე კუნძულებს შეიცავს. სინგაპურის მოსახლეობა 5 მილიონს აჭარბებს, აქედან დაახლოებით 77% – ჩინელები, 12% – მალაიზიელები და 8% – ინ-დოელები, დანარჩენი კი – სხვადასხვა ეთნიკური უმცირესობებია. ოფიციალური ენებია: ინგლი-სური, მანდარინული (ჩინ.), მალაიური და ტამილური (ინდ.).

მე–20 საუკუნის დასაწყისში სინგაპურში უმწვავესად იდგა ეკონომიკის პრობლემები. ცხოვრების დონით (გაზომილი საშუალო რეალური მშპ-ს მიხედვით) იმჟამინდელი სინგაპური თითქმის 2-ჯერ ჩამოუვარდებოდა დღევანდელი საქართველოს. ამასთან, ბრიტანელების ჯერ კიდევ მოქმე-დი სამხედრო ბაზა სინგაპურის მშპ-ის 20%-ს ქმნიდა, ამიტომ სასწრაფოდ უნდა მოძებნილიყო ამ ბაზის მოახლოებული გაუქმების შემდეგ უმუშევრად დარჩენილი ხალხის დასაქმების გზები (მით უფრო, რომ ამის გარეშეც, უმუშევრობის დონე უკვე 14%-ს აღემატებოდა!). წინააღმდეგ შემ-თხვევაში, სოციალური აფეთქება გარდაუვალი იქნებოდა. პრობლემას ართულებდა ისიც, რომ სინგაპურის მთავრობის მიერ 1959-65 წლებში გატარებულმა, იმ დროს მსოფლიოში გავრცელე-ბულმა, მაგრამ ძირეულად მცდარმა „იმპორტის ჩანაცვლების პოლიტიკამ”, კიდევ უფრო შეასუს-ტა ქვეყნის კონკურენტუნარიანობა.

სინგაპურის ეკონომიკურ წარმატებაში დიდი წვლილი შეიტანეს ევროპიდან მოწვეულმა ექსპერ-ტეტ–ეკონომისტებმა, მათშორის კი გამორჩეული წვლილი ჰოლანდიურმა დესანტმა შეიტანა ალ-ფრედ ვინსემიუსის მეთაურობით. ყველაზე მნიშვნელოვანი ამ პროცესში ადგილობრივი პოლი-ტიკური ელიტის მზაობა გამოდგა, მიეღოთ ცვლილებები, რაოდენ მტკივნეული არ უნდა ყოფი-ლიყო იგი ადრეულ ეტაპზე. ექსპერტთა რეკომენდაცია პირველ რიგში სავაჭრო ბარიერების შემ-ცირების და სხვადასხვა საგადასახადო შეღავათების დაწესებისკენ გამომდინარეობდა, რასაც ხე-ლი უნდა შეეწყო უცხოური ინვესტიციების მოზიდვისათვის. მთავრობას მეტი გასაქანი უნდა მი-ეცა თავისუფალი ბაზრისთვის და იმავდროულად, თავი შეეკავებინა დეფიციტური ხარჯვის ქე-ინსური პოლიტიკისგან, რაც მხოლოდ მოკლევადიანი ეფექტის მქონდე პოპულისტური ნაბიჯი იქნებოდა და არა გრძელვდიანი წარმატების მომტანი.

1966 წელს, მოხდა ახალ რელსებზე გადასვლა. ყველაზე კარგი ინდიკატორი მიღებული პრაქტი-კული გამოცდილების რაღათქმაუნდა ეკონომიკასთან კარგად დამეგობრებული ციფრებია, რო-მელიც დღეს ასე გამოიყურება: მშპ – 452 686$ მილიარდი, ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებიტ – 82 762$ (მე–3 მაჩვენებელი მსოფლიოში) აღნიშნული ციფრი მინიმუმ 40 ჯერ მეტია ვიდრე ახა-ლი რეფორმების გატარებას გადაწყვეტდნენ სინგაპურში.

ესტონეთი

ესტონეთი ბალტიის ზღვის აუზის ქვეყანაა, იგი მოსახლეობით ერთ–ერთი ყველაზე მცირეა ევროპაში და სულ რაღაც 1.3 მილიონ ადამიანს აერთიანებს. ესტონეთი მსგავსად მისი მეზობელი ლიეტუასა და ლატვიისა საბჭოთა სოციალისტური სისტემის ერთ–ერთი რგოლი და შემდგომში პოსტსაბჭოთა სტატუსის, ოღონდ არატიპური გაგებით, მატარებელი გახდა. ეს საკრალური ეპითეტი, რომელსაც აგერ უკვე 30 წელია ვერ იცილებს მრავალი ქვეყანა ესტონეთმა ყველაზე ეფექტურად დათმო და რეგიონში გახდა წარმატები საწინდარი და მისაბაძი მეზობელი თუ სხვა განვითარების გზაზე დამდგარი „მესამე მსოფლიოს“ სახელმწიფოთათვის. 1992 წლიდან, როცა ოფიციალურად გაფორმდა საბჭოთა სოციალისტურ სახელმწიფოთა გაერთიანების დაშლა, ლამის ამავე დღიდან ქვეყნის მოსახლეობამ დაიწყო ახალ რელსებზე გადასვლის პროცესი. თუ გავითვალისწინებთ მარწუხების მასშტაბს, რომელიც კომუნისტურ შეხედულებებით იყო საზოგადოებებზე მოხვეული ეს პროცესი არცთუისე მარტივი იქნებოდა და ბევრი წინააღმდეგობაც შეხვდებოდა.

სახელმწიფოს მთავარი ძალისხმევა გამოვლინდა ეკონომიკური სისტემის ლიბერალიზაციაში, მათ აირჩიეს საგადასახადო ვალდებულებების შემცირების გზა. მოხდა საგადასახადო განაკვეთების დაწევა, ბევრი უმოქმედო გადასახადის გაუქმება, გაუნაწილებელი მოგების დაბეგვრისგან გათავისუფლება, რამაც ქვეყანა ინვესტიციების თვალსაზრისით მიმზიდველი გახადა. მიღებული რეფორმების FEED BACK – ი შეუქცევად ეკონომიკურ ზრდაში აისახა და ფაქტობრივად სასწაული მასშტაბს მიაღწია, ამ ბუნებრივი რესურსებით არცთუისე გამორჩეული ქვეყნის წარმატებამ.

დღეს ესტონეთის მშპ 30 მილიარდ ამერიკულ დოლარამდეა (2014 წლის მონაცემებით), რომელიც ერთ სულ მოსახლეობაზე გაანგარიშებით 23 213$ უდრის დაიგი ამ მაჩვენებლით 47–ეა მსოფლიოში.

დასკვნა

საკითხზე მუშაობამ აჩვენა, რომ ტერმინი „ლიბერალიზმი“ თანაბარი დატვირთვით გამოიყენება როგორც ეკონომიკურ ისე სოციალური თვალსაზრისით. და ამ ტერმინს ხშირად იყენებენ მაშინ როცა საქმე რაიმეს გამარტივებას, დერეგულირების და კონტროლის მექანიზმების შესუსტებას ეხება. ყოფიერ ცხოვრებაში გვხვდება ისეთი ტერმინები როგორიცაა „ნარკო დანაშაულის ლიბერალიზაცია“, „საკითხისადმი ლიბერალური მიდგომა“ და ასე შემდეგ.

განხილულმა მაგალითებმა ცხადყო, რომ მსოფლიოს სხვადსხვა ქვეყანაში საკმაოდ პოპულარული იყო და არის ეკონომიკაში ჩაურევლობის, ანტიპროტექციონისტული პოლიტიკა, თუმცა ეს არ ნიშნავს ანარქიზმისკენ მიდრეკილებას და სახელმწიფო კონტროლის სრულად მოშლას. წარმატებული მოდელის აღება და მეორე მიმართულებით გამოყენება არ შეიძლება იყოს აპრიორი წარმატების საწინდარი. ამ მრავალფეროვან მსოფლიოში, რთულია და შეუძლებელიც კი, იპოვნო ანალოგიური რესურსების, სოციუმის თუ ტერიტორიის მქონე სახელმწიფოები, ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ თეორიული ვარაუდის და დასაბუთების შემდეგ ავირჩიოთ ასეათუის გადაწყვეტილება როგორი პრინციპით მივიროთ.

საბოლოოდ, ყველა იდეოლოგიური მიმართულების მთავარ მიზანს ადამიანთა კეთილდღეობის უზრუნველყოფა წარმოადგენს, მათშორის თანამედროვე ლიბერალური მოძღვრებაც თავის ორიენტირად აღნიშნულს ისახავს. ამ უკანასკნელის მაკრიტიკებლებიც და მიმდევრებიც ერთხმად აღიარებენ იმ სიკეთეებს, რომელიც მან მოიტანა თანამედროვე მსოფლიოში, განსაკუთრებით პოსტ მეორე მსოფლიო ომის პერიოდში, თუმცა საკითხის რადიკალიზაციას არავისთვის მოუტანია კარგი, ამიტომ საჭიროა მუდმივი ბჭობა და მსჯელობა, თუ კონკრეტულ მომენტში როგორი მიდგომა სჯობს ამა თუ იმ საკითხთან მიმართებით. „იდეოლოგებს" ჩვევიათ გარკვეული შეხედულებების აკვიატება და ისენი ხშირად თავისივე სტერეოტიპებად ჩამოყალიბებული აზრების მსხვერპლნი ხდებიან, სწორედ ამ პროცესში შეუქცევადია ეკონომიკური პოლიტიკის მკვლევართა მნიშვნელობა, რომლებიც სამეცნიერო ანალიზის მეშვეობით საზოგადოებას ახალ – ახალ ალტერნატივებს სთავაზობენ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. https://www.theoryculturesociety.org/william-davies-a-bibliographic-review-of-neoliberalism/
2. https://library.iliauni.edu.ge/wp-content/uploads/2017/03/phridrikh-ogiust-phon-haieki.pdf
3. https://www.britannica.com/topic/liberalism
4. http://european.ge/neoliberalizmi-ideologia-yvela-problemis-sataveshi/
5. http://www.tabula.ge/ge/story/59414-fridrix-haieki-didi-damabneveli

■■■■

ნიკო ნიკოლაძე კაპიტალიზმის განვითარების შესახებ საქართველოში
Niko Nikoladze about development of capitalism in Georgia

*ავტორი - **ნინო დეისაძე, მაია ლომიძე,** ხელმძღვანელი - ისტორიის დოქტორი, **თამთა ჭეიშვილი,*** აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
*Author - **Nino Deisade, Maia lomidze,** Supervizor – Doctor of History, **Tamta Tcheishvili, Akaki Tsereteli State University.***

The theme of our conference is about Niko Nikoladze and his ideas about development of capitalism in Georgia. Niko Nikoladze was famous Georgian publicist,economist,public and political man in the 19th century.We will discuss his thoughts and ideas about economical development of country.He thougt that trade was the best way to improve economics. He said:"Nothing is shameful in the world besides idleness.Trade is as respectable as other labour".

In adittion to this, Niko Nikoladze thought that export was very important.If you want your country to be indipendent and free, it is necessary it would be economically resurgent.So it is important to export more,than import.

Niko Nikoladze considered that mineral getting,railway and hydro-electric power stations building was very useful and important for country's currency.He did his bit for establishment Banks with Ilia Chavchavadze

So,Niko Nikoladze was very important and respactable person of our country.He did his bit for development of Georgia as deputy,as diplomat,as economist,as author and maker of many important and big projects.

საკვანძო სიტყვები:

ეკონომიკა, მრეწველობა, ვაჭრობა, ბანკები, ეკონომიკური კეთილდღეობა, ვალუტა, ბუნებრივი რესურსები, ბურჯუაზია, კაპიტალი, ექსპორტი და იმპორტი

ნიკო ნიკოლაძე დიდი მასშტაბის პუბლიცისტი, პროგრესულად მოაზროვნე, საზოგადო და ეროვნული მოღვაწე იყო, რომელიც გასცდა ეროვნულ ჩარჩოებს და საყოველთაო აღიარება ჰპოვა. ნ.ნიკოლაძემ თავისი მოღვაწეობის ასპარეზად მსოფლიო პოლიტიკური აზროვნების არენა აირჩია და წარმატებითაც გაართვა თავი, თავისი ერუდიციის გამო. იგი ერთბაშად რუსეთისა და მთელი ევროპის საზოგადოებრივი ცხოვრების ცენტრში მოექცა. "დროს გასწრებული მოაზროვნე" - ნიკო ნიკოლაძე დიდი ენთუზიაზმით ეხმიანებოდა მსოფლიოში მიმდინარე ყველა პროცესს და მყის ებმებოდა მასში, სწავლობდა და სწორად, ხშირად კრიტიკულად აშუქებდა ყველა პოლიტიკურ მოვლენას.

ეპოქამ ნიკო ნიკოლაძეს დიდი ტვირთი დააკისრა , ამიტომ მისი მოღვაწეობაც , ეპოქასთან კავშირში, კონკრეტულ-ისტორიულ მოვლენებთან ურთიერთობაში უნდა განვიხილოთ. იმ სოციალურ-ეკონომიკურ ამოცანებთან მჭიდრო კავშირში, რომელიც საზოგადოებრივი განვითარების ობიექტურმა მსვლელობამ წამოაყენა.

1861წლის რეფორმამ ბატონყმობის გაუქმების შესახებ ბიძგი მისცა მეურნეობის კაპიტალისტურ განვითარებას. ცხოვრება სწრაფი ტემპით მიემართებოდა კაპიტალისტური განვითარების გზით - იბადება მრეწველობა, ქალაქები, აღებ-მიცემობა, ახალი კლასები და ა.შ. ბუნებრივია, სოციალურ-ეკონომიკურ ცვლილებებს, რომელიც ცხოვრებაში მოხდა, მოჰყვა ცვლილებები აზროვნებაში, იდეოლოგიაში. სწორედ ამ ცვლილებების შედეგი იყო ის გონებრივი მოძრაობა, რომელსაც ადგილი ჰქონდა 1860-იანი წლების საქართველოში. სწორედ ასეთ ვითარებაში გამოდის პოლიტიკური მოღვაწეობის ასპარეზზე ახალი თაობის ინტელიგენცია, რომელიც თავისი აზროვნებით, პოლიტიკური მრწამსით, პროგრამული მოთხოვნებით და პრაქტიკული საქმიანობით ახლადშობილ, ახალგაზრდა ბურჟუაზიას ამოუდგა გვერდით. სწორედ ამ თაობას მიეკუთვნებოდა „თერგდალეულები", მათ შორის ნიკო ნიკოლაძე.

ნიკო ნიკოლაძისა და საერთოდ თერგდალეულთა პროგრამულ შეხედულებებში, მჭიდროდ არიან დაკავშირებული და ერთმანეთზე გადაჯაჭვული ხალხის ეკონომიკური კეთილდღეობის, პოლიტიკური თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობის საკითხები. ისინი მხარს უჭერდნენ განვითარების კაპიტალისტურ გზას. ნიკო ნიკოლაძე სამოციანელთა იმ მცირერიცხოვანთა

ჯგუფს ეკუთვნოდა, რომლებმაც ნათლად დაინახეს თავადაზნაურულ-ბატონყმური საქართველოს აღსასრული. მან მთელი არსებით იგრძნო ახალი საქართველოს დაბადების ეს პროცესი და ყველაზე ნათლად დაინახა ახალი ბურჯუაზიული ურთიერთობის კანონზომიერება და დამკვიდრების ისტორიული აუცილებლობა - სწორედ ეს გარემოება დაედო საფუძვლად მის სამოღვაწეო პროგრამას.

ნიკო ნიკოლაძემ სამრეწველო განვითარების აუცილებლობა და საჭიროება ეროვნული კუთხითაც განიხილა და 80-იან წლებში მკვეთრად დააყენა საკითხი ეროვნული კაპიტალის შექმნის შესახებ. მან კარგად დაინახა, რომ ეკონომიკურად ჩამორჩენილი ქვეყანა ტექნიკურ-ეკონომიკურად უფრო ძლიერი ქვეყნის მონობისთვისაა განწირული და მისი ექსპლუატაციის მსხვერპლი ხდება. ამიტომ, მას მიაჩნდა, რომ ვისაც ერის თავისუფლება და დამოუკიდებლობა სურდა, ყურადღება უნდა მიექცია ერის ეკონომიკური აღორძინებისთვისაც. ნ. ნიკოლაძის აზრით , ბუნებრივი სიმდიდრით ბარაქიანი ქვეყანა, ტექნიკის უქონლობის გამო ხელუხლებელი იყო, ყველაფერს უცხოეთიდან ელოდნენ და კაპიტალის გადაქაჩვაც იქით ხდებოდა, თავისი შემოსავლით უცხოეთს ამდიდრებდენ - ვყიდდით იაფად და ვყიდულობდით ძვირად ჩვენივე ნედლეულით დამზადებულ საქონელს. გამოსავალი კი მისი აზრით, მრეწველობისა და აღმშენებლობის განვითარებაში იყო.

ქართული პოლიტიკური აზროვნების ისტორიაში ნიკო ნიკოლაძე ქართული ბურჟუაზიული ინტელიგენციის მეთაურად და წინამძღოლად არის მიჩნეული. ქართულ ჟურნალისტიკაში ის ერთ-ერთი პირველთაგანია, ვინც ვაჭრობის, აღებ-მიცემობის განვითარების პროპაგანდას ეწეოდა. იგი ქართველ ახალგაზრდებს მოუწოდებდა ევაჭრათ, ოღონდ კეთილსინდისიერად. მაგრამ იმ დროში ვაჭრობას ქართველების უმეტესობა არ კადრულობდა. ნიკო ნიკოლაძე ფიქრობდა, რომ ვაჭრობისა და მრეწველობის განვითარებით შესაძლებელი იყო კაპიტალიზმის დანერგვა. ვაჭრობა მას იმ ბერკეტად მიაჩნდა, რასაც უნდა შემოებრუნებინა მრეწველობა, განევითარებინა ადგილობრივი სოფლის მეურნეობა და გაეძლიერებინა ეკონომიკა. იგი ამბობდა: "სამარცხვინო და სათაკილო ქვეყანაზე მარტო უსაქმურობა და მუქთა პურის ჭამაა. ვაჭრობა შრომაა და ისევე პატივსაცემია,როგორც ყოველნაირი შრომა. სანამ ჩვენ არ მოვახერხებთ ისე მოვაწყოთ საქმე, რომ მეტი ღირებულების საქონელი გავიტანოთ, ვიდრე შემოვიტანოთ მანამდე ჩვენი ვალუტა იქნება სუსტი და დაცემული".

ქართველ მოაზროვნეთაგან იგი ერთ-ერთი პირველია, რომელმაც წინა პლანზე წამოსწია პრაქტიკული საკითხები, ერის განვითარებაში საკუთარი წარმოების აღორძინების აუცილებლობა, ეროვნული ვაჭრობისა და ეროვნული მრეწველობის განვითარება, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის აუცილებლობა, მეზობელ ქვეყნებთან კავშირის გაუმჯობესება. საქართველოში დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბებისათვის გადამწყვეტ ფაქტორად ნ. ნიკოლაძე სამამულო მაღალგანვითარებული ეკონომიკის ჩამოყალიბებას ასახელებს: "იმ გასაჭირში, როცა არ გვაბადია წარმოება და არც შემოსავალი,ვერ გვიხსნის ვერავითარი გადასახადი, წარმოების გაჩაღება არის ერთადერთი ჩვენი ხსნა, უნდა მოვახერხოთ გარეთ მეტი გავიტანოთ გასაყიდი, ვიდრე უცხოეთს ვთხოვდეთ საყიდ საქონელს. ფინანსური სამრეწველო კაპიტალი უნდა შეიცვალოს, გაიხსნას უამრავი ფაბრიკა-ქარხანა".

ნიკო ნიკოლაძე რეალისტი კაცი იყო, ამიტომ სხვებისგან განსხვავებით მან უკეთ დაინახა მომავალი კაპიტალიზმი, მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია, რასაც უნდა მოჰყოლოდა ადამიანთა

ქონებრივი განთავისუფლება და ზნეობრივი ამაღლება, სწამდა, რომ მთელ საზოგადოებას თანაბრად გაუნაწილდებოდა მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის მთელი ეროვნულ-კლასობრივი კუთვნილებისა. იგი აგრარულ საკითხებშიც უფრო რადიკალური იყო, ვიდრე ილია ჭავჭავაძე. განსაკუთრებულია ნიკო ნიკოლაძის ღვაწლი ბანკის დაარსებისთვის ბრძოლაში. ვაჭრობის განვითარების მეხოტბე ბანკს ანიჭებს პრიორიტეტს და სხვადასხვა ტიპის ბანკების პროგრამებს აცნობს თანამედროვეთ. „1871-1873 წლებში რამდენიმე ყმაწვილს, რამდენი მეცადინეობა დაგვჭირდა, რომ ილია ჭავჭავაძისთვის სახელმწიფო სამსახურისთვის ხელი აგვეღებინებინა, ბანკის დაარსება იერიშით აგვეღო,

ბანკი განახლების ბანკად გვექცია და შიგ ჭავჭავაძე ძალდატანებით ქართული საქმის სათავეში ჩაგვეყენებინაო“ - იგონებდა ნიკო მოგვიანებით.

ნიკო ნიკოლაძე გამუდმებით ფიქრობდა ქვეყანაში სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებისა და საზღვარგარეთ გატანის საქმეზე, რკინიგზებისა და ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობაზე. მას მიაჩნდა, რომ ჩვენი ქვეყნის ბუნებრივი ჰიდრორესურსების წყალობით და მათი გეგმაზომიერი ათვისებით შესაძლებელი იქნებოდა: “აუცილებელი რევოლუცია ეკონომიკურ წეს-წყობაში, რევოლუცია ფინანსებში, მრეწველობაში. “იგი ჯერ კიდევ XIX საუკუნის 80-იან წლებში წერდა: “დღესასწაული მოელის ჩვენს მთიან ქვეყანას! აი, მაშინ გაუთენდება აღდგომა ჩვენს მთებს! რამდენი მთის მდინარე, რამდენი ჩანჩქერი, რამდენი მოძრავი ძალა გვაბადია!ეს ყველაფერი გამოიყენება. ეს აუარებელ ჩარხებს, მანქანებს აამოძრავებს. მილიონ ოჯახში, რომელნიც შინაურხელობას, შინაურ ცხოვრებას დაუბრუნდებიან...“

მაშასადამე, ილია ჭავჭავაძისა და მისი მცირე, მაგრამ ძლიერი რაზმის „თერგდალეულთა“ მიერ დაწყებული საქმე ნიკო ნიკოლაძემ თავისი პოლიტიკური საქმიანობით განამტკიცა. სწორედ მან „თერგდალეულთა“ „უკანასკნელმა მოჰიკანმა“ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საქართველოს გათავისუფლებისა და რესპუბლიკის დემოკრატიული ინსტიტუტების ჩამოყალიბებაში , როგორც დეპუტატმა, დიპლომატმა, მებრძოლმა ჟურნალისტმა და მასშტაბური პროექტების ავტორმა და შემოქმედმა. იგი იყო ერთ-ერთი პირველი მოაზროვნე, რომელმაც საქართველოს მომავალი ქვეყანაში კაპიტალიზმის დამკვიდრებასა და განვითარებას დაუკავშირა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ევგენი ბურჯანაძე- „ნიკო ნიკოლაძე“
2. ზაზა აბზიანიძე - „ნიკო ნიკოლაძე“
3. მაია დარსაველიძე-„ნიკო ნიკოლაძე დემოკრატიული საქართველოს მშენებლობის სათავეებთან“.

■■■■

საქართველოს პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი ორიენტაციის საკითხი ნიკო ნიკოლაძის ნააზრევში
Issue of Political-State Orientation of Georgia In Niko Nikoladze's Opinion

ავტორი - **მაგდა გუბელაძე,** *ხელმძღვანელი* - ასოც. პროფ. **თამაზ გოგბერაშვილი,** აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

Author – Magda Gubeladze, *Supervizor – Assoc. Prof.* ***Tamaz Gogberashvili,*** *Akaki Tsereteli State University.*

Like every representative of a large generation of tergades, discussion on the political and state orientation problem of Georgia Niko Nikoladze's publicity has taken a very important place. Determining the future state fate of our country has been the subject of its special interest from the very beginning and the foundation of the worldview belief.

During the thoughtful minded great enthusiasm resembled all the ongoing processes in the world and was stuck in it. He studied and often criticized the political phenomenon. Nico Nikoladze was maximalist However, he preferred to be moderate in everything , especially in resolving national and political problems of the country." The goal of Georgians is achieved only through moderation" said Great Democracy."wise man or the nation acquires freedom and autonomy that's the way to manage your home, then the industrial, then the public, finally, through political affairs, will solve the highest state issue."

N.Nikoladze's whole life and work was first inspired by this noble purpose: motherland love and service with a strong desire to stir up feeling, which was to be the eternal point of the worldly existence for every true patriarch.

keywords: Determation of *Determination of Georgia's future fate*, *Coexistence with Russia*, Restoration of Georgia's independence.

მსგავსად თერგდალეულთა დიდი თაობის ყოველი წარმომადგენლისა,საქართველოს პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი ორიენტაციის პრობლემაზე მსჯელობამ ნიკო ნიკოლაძის პუბლიცისტიკაშიც მეტად მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა.ჩვენი ქვეყნის სამომავლო სახელმწიფოებრივი ბედის განსაზღვრა თავიდანვე იქცა მისი განსაკუთრებული ინტერესის საგნად და მსოფლმხედველობრივი მრწამსის საფუძველთა საფუძვლად.

დროსგასწრებული მოაზროვნე დიდი ენთუზიაზმით ეხმიანებოდა მსოფლიოში მიმდინარე ყველა პროცესსა და მყის ებმებოდა მასში, სწავლობდა და ხშირად კრიტიკულად აშუქებდა პოლიტიკურ მოვლენას. ნიკო ნიკოლაძე მაქსიმალისტი იყო,თუმცა ყველაფერში ზომიერებას ანიჭებდა უპირატესობას,განსაკუთრებით ქვეყნის ეროვნული და პოლიტიკური პრობლემების მოგვარების საქმეში. „ქართველობის მიზნები მარტო ზომიერების გზით მიიღწევინება“ გვმოძღვრავდა დიდი

დემოკრატი და იმასაც ამატებდა , რომ გადაჭარბებული რადიკალიზმი დამღუპველი იყო და იქ-ნება ქვეყნისთვის.: „გონიერი კაცი თუ ერი თავისუფლებას და ავტონომიას მით იძენს, რომ ანგა-რიშიანი მართვით ჯერ თავის შინაურ, მერე სამრეწველო , შემდეგ საზოგადო,ბოლოს პოლიტი-კური საქმეების საშუალებით იგვარებს უმაღლეს სახელმწიფო საკითხს.“

თავის პუბლიცისტურ წერილებში ნიკოლაძე წერდა და აშუქებდა საფრანგეთსა და ინგლისში მიმდინარე პოლიტიკურ და ეკონომიკურ გარდაქმნებზე იმ იმედით, რომ თავის სამშობლოში გათვალისწინებული იქნებოდა ის შედეგები რაც ფრანგული და ინგლისური დემოკრატიული სა-ზოგადოების შენებას მოჰყვა . მას საქართველოსთვის ევროპული განვითარების კურსი მიაჩნდა იდეალურ ვარიანტად , რასაც ასე ხსნიდა: „ერთი და იგივე ძალა მართავს ქვეყნიერების ფიზიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებას , ის რომელიც მთვარეს აბრუნებს დედამიწის ირგვლივ და მათ ორი-ვეს მზის გარშემო, ორიენტაცია შთაგონებით არ ხერხდება, ხალხი როგორც ყოველი ცოცხალი არსება თავისთავად მუდამ იქეთ იქცევს პირს, საიდანაც მზე სხივს ჰფენს და ღვივის. საქართვე-ლო წარსულში ორიენტაციას ყოველთვის იქეთ მიმართავდა ხოლმე, საიდანაც სინათლე და მოძ-რაობა მოდიოდა , შემცდარია ვინც ფიქრობს ვითომც რომელიმე მეფეს, წოდებას ან თაობას თავის ნებაზე შეძლებოდეს საქართველოს აქეთ და იქეთ მიბრუნება.“ სანამ განათლება და ცხოვრება ბი-ზანტიაში ენთო, საქართველოსაც მზესუმზირასავით თვალი იქეთ ეკავა, როცა სპარსეთი აყვავდა ინდოეთის კულტურაზე დაწაფებით,ჩვენი აღორძინებაც მისკენ მიიმართა, პეტრე დიდისა და ეკატერინე მეორის ამაგმა რუსეთი რომ გააჩაღა , საქართველოც ძალაუნებურად მან წარიტაცა ფი-ზიკის კანონით . როცა სხვადასხვა ძალა ერთ და იმავე საგანს თავისკენ უქაჩავებს , ამ საგნის მდე-ბარეობას სწყვეტს მებრძოლი ძალების უძლიერესობა_ საგანს უნდა თუ არ უნდა ყოველთვის მომრევი გადითრევს.“

ამთავითვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტი რომ საქართველოს სახელმწიფოებრივი განვითარების ოპ-ტიმალურ გზათა ძიებამ ნ.ნიკოლაძე, ბევრი მისი თანამედროვის მსგავსად,რუსეთთან თანაცხოვ-რების აუცილებლობის აღიარებამდე მიიყვანა.ისტორიული ვითარებისა და თანადროული სი-ნამდვილის საფუძვლიანმა განსჯა-გაანალიზებამ მას თანდათანობით განუმტკიცა რწმენა იმისა, რომ საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბება შორეული პერსპექტივა იყო, რის გამოც აუცილებლად თვლიდა სხვა ქვეყნის მფარველობის ქვეშ თავის შეფარებას და მისი ეროვნული პრობლემების ამ სახელმწიფოს შემადგენლობაში თანაცხოვრებით გადაჭრას. ასეთ ქვეყნად ნიკოლაძე რუსეთს მიიჩნევდა . მისი აზრით, ჩვენი წინაპრების დიდი ნაწილის მიერ გა-კეთებული არჩევანი ამ თვალსაზრისით ერთადერთ სწორ გადაწყვეტილებას წარმოადგენდა და საქართველოს სამომავლო განვითარება ყველაზე მეტად პირველ ყოვლისა სწორედ ამ გზით იყო შესაძლებელი.

ნ.ნიკოლაძის ეს თვალსაზრისი არამც და არამც არ არის კონიუნქტურული განსჯის შედეგი. ამ დასკვნის გამოტანამდე იგი მოვლენათა საფუძვლიანმა გაანალიზებამ მიიყვანა. თუმცა ყოველივე ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს ნ.ნიკოლაძე იმთავითვე მორჩილად და სიტყვის უთქმელად შე-ურიგდა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაკარგვას და ამ თვალსაზრი-სით ყოველგვარი პერსპექტივა ფუჭი ოცნების საგნად მიაჩნდა. რასაკვირველია, არა. შემოქმედებით ასპარეზზე გამოსვლის პირველივე წლებში , მისი დიდი თანამედროვეების მსგავ-სად, ნ.ნიკოლაძეც რომანტიკული გულანთებულობით ოცნებობდა ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო-

ებრივი დამოუკიდებლობის აღდგენაზე, მაგრამ ცხოვრებისეული სინამდვილის არსში ჩაღრმავებამ და რეალური სინამდვილის საფუძვლიანმა გაანალიზებამ იგი თანდათანობით დაარწმუნა იმაში, რომ იმხანად ამის გაკეთება შეუძლებელი იყო.

რასაკვირველია,ამ აზრთან შეგუება მისთვის, როგორც თავის ქვეყანაზე უსაზღვროდ შეყვარებული პიროვნებისთვის იოლი საქმე არ იქნებოდა.არც შეგუებია და ამიერიდან მისი ცხოვრების უმთავრეს მიზანსწრაფვად რუსეთის იმპერიაში საქართველოს თანაცხოვრების ყველაზე ოპტიმალური ფორმის ძიება იქცა. უმთავრესი შედეგი რითაც ეს ძიება დაგვირგვინდა, საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ავტონომიის მოთხოვნა იყო, იდეა, რომელსაც მე-19, მე-20 საუკუნეების სხვა დიდი ქართველი მამულიშვილებიც უჭერდნენ მხარს.

1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციისა და მის ირგვლივ განვითარებულ მოვლენათა შემდგომ, რასაც რუსეთის იმპერიის დანგრევა მოჰყვა, საქართველოს სამომავლო სახელმწიფოებრივ სტატუსთან დაკავშირებით ნ.ნიკოლაძემ აზრი შეიცვალა და უკვე აქტიურად უჭერს მხარს რუსეთის იმპერიის შემადგენლობიდან ჩვენი ქვეყნის სრულად გამოყოფასა და დამოუკიდებელ ქვეყნად ჩამოყალიბებას. ეს თვალსაზრისი ნათლად ვლინდება 1918 წლიდან გამოქვეყნებულ წერილებში;საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ კი მწერალი უკვე პრაქტიკულადაც ერთვება ჩვენი ქვეყნის წინაშე მწვავედ მდგარი სახელმწიფოებრივი პრობლემების გადაჭრის პროცესში.

ერთ-ერთი პირველი წერილი, რომელშიც ნათლად და მკაფიოდ გამოიკვეთა ნ.ნიკოლაძის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მრწამსის არსებითი მხარეები, იყო 1865 წელს გაზეთ „კოლოკოლში“ გამოქვეყნებული სტატია „გლეხთა განთავისუფლება საქართველოში“. უმთავრესი ნიშანი, რითაც ჩვენთვის საინტერესო პრობლემის ნ. ნიკოლაძისეული გააზრება ხასიათდება, მოვლენათა კრიტიკულ-რეალისტური განსჯაა. იგი ყოველთვის ცდილობს და ახერხებს კიდეც სიღრმისეულად დაანახოს მკითხველს ვითარების გათვალისწინებით ეძებოს ყველაზე გონივრული გზა ქვეყნის სამომავლო განვითარებისა.

პუბლიცისტის მთელი შემოქმედებითი ნააზრევისათვის მკაფიოდ დამახასიათებელი ეს ტენდენცია დასახელებულ სტატიაშიც გამოვლინდა მძაფრი ფორმით. ნ.ნიკოლაძე მკითხველის ყურადღებას თავიდანვე მიაპყრობს იმ გარემოებას,რომ ბევრი მისი თანამედროვისგან განსხვავებით-,საქართველოს სვე-ბედის საკითხის განხილვის დროს, იმის გასარკვევად, ჩვენი ქვეყანა რუსეთს რომ არ შეერთებოდა, რა იქნებოდა და როგორ იქნებოდა „მკითხაობას“ არ მოჰყვებოდა. იგი შეგნებულად უვლის გვერდს პრობლემის ამგვარად დასმასაც კი; თუმცა, როგორც თავადვე ამბობს, ამით სრულებითაც არ აპირებს, რომ პეტერბურგის მთავრობას „ცოდვათა მიტევება დაუდასტუროს“.

ისტორიული ვითარების რეალისტურმა გაანალიზებამ ნ.ნიკოლაძე იმის აღიარებამდე მიიყვანა, რომ 1801 წელს ჯერ ქართლ-კახეთის დაპყრობით, შემდგომში კი საქართველოს სხვა მხარეების დამორჩილებით, რითაც რუსეთმა ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივ არსებობას საფუძველი გამოაცალა, თბილისსა და პეტერბურგის მმართველ წრეებში სავსებით ლოგიკურად დაისვა საკითხი იმის შესახებ, „ როგორ მიეკერებინათ ქართველი ხალხი რუსეთის იმპერიისათვის.“ იმპერიული ხელისუფლებისა და მისი დამქაშების საქმიანობის უმთავრესი მიზანი ამ შემთხვევაში ის კი არ

იყო, რომ მათ „საქართველოსთვის შეტკიოდათ გული და მისი ახალ-ახალი სისხლის ღვრისაგან დაცვა სურდათ," არამედ პეტერბურგის სამეფო კარის ინტერესების დაცვა.

ნ.ნიკოლაძის შეფასებით, ეს უმწვავესი პრობლემა ხელისუფლებამ თავად ქართველების, უწინარეს ყოვლისა კი თავადაზნაურების ხელით გადაჭრა. კერძოდ მან ყველაფერი გააკეთა იმისათვის, ქართველი მოსახლეობის ეს პრივილეგირებული ფენა რუსეთის მთავრობის ერთგული რომ გაეხადა.ამ მზაკვრული მიზნის მისაღწევად ხელისუფლებამ მოხერხებულად გამოიყენა როგორც „საკუთრების ინტერესები,ჩინები,საჩუქრები და ჯამაგირი," ისე „რუსული ხიშტები და ზარბაზნები" და ამ გზით გადაწყვიტა რუსეთისადმი საქართველოს გაერთგულების საკითხი.

მართალია, რუსეთთან საქართელოს შეერთებამ, ძველ დროსთან შედარებით, საქართველოში მშვიდობა კი დაამყარა, მაგრამ ნ.ნიკოლაძის თქმით, ამის მისაღწევად „ქართველი ხალხი რუსეთის მთავრობას იმდენსავე ხარჯს უხდიდა, რამდენსაც ძველად აზნაურებს უხდიდა და შეიძლება მტერსაც."

იმის გამო, რომ ჩემი მიზანი ნ.ნიკოლაძის ეროვნულ-პოლიტიკური თვალთახედვის წარმოჩენაა, სტატიაში მწვავედ დასმულ სოციალურ საკითხებზე ყურადღებას აღარ გავამახვილებ. ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ, ნ.ნიკოლაძის შეფასებით, თავადაზნაურობის ეროვნული ისტორიის მისიის ზემოთ ხაზგასმულმა დამცირება-დაკნინებამ ქართველი ხალხის ეს ნაწილი რუსეთის მთავრობის ერთგულ მოკავშირედ აქცია და თავგამოდებით იცავდა „რუსეთის წყობილების საქართველოში დამამყარებელ კანონმდებლობათა არამარტო საერთო ხასიათს, არამედ ყოველ წვრილმანსაც კი. ყველას, ვინც ოდნავ წინააღმდეგობასაც გაუწევდა რუსულ მმართველობას, მთავრობა უმკაცრესად სჯიდა. მეორეს მხრივ, მეფურად ასაჩუქრებდა იმას, ვინც ხელს უწყობდა რუსული ხასიათის კანონების დანერგვას. აზნაურობას კარგად ესმოდა თავისი მდგომარეობა,აფასებდა მთავრობის გულუხვობას, თავგამოდებით იცავდა მას და ხელში აძლევდა ყველას, ვისაც კი უკმაყოფილება დაებადებოდა რუსეთის ბატონობისა ან იმ სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წყობილების მიმართ, რომელიც რუსებმა დაამკვიდრეს და რუსის ხიშტების წყალობით არსებობდა. ღალატი არც ერთსა და არც მეორე მხარეს არ გამოუჩენია. პირიქით, აზნაურობა რუსეთის მთავრობას სიყვარულით შეჰხაროდა და მადლობის მოჭარბებული გრძნობებისაგან თვალები ენამებოდა. იგი ამ თვალებით გამოხატავდა იმდენ ძაღლურ ერთგულებას, რომ ამ უკანასკნელს არ შეეძლო თავზე ხელი არ გადაესვა თავისი ასეთი მორჩილი ძისათვის" საქართველოს პოლილტიკურ-სახელმწიფოებრივი ორიენტაციის პრობლემაზე მსჯელობის დროს ნ.ნიკოლაძე აშკარად და არაორაზროვნად უსვამს ხაზს იმ გარემოებას,რომ ევროპულ სახელმწიფოებრივ სივრცეში ჩვენი ქვეყნის მოხვედრა ჩვენთვის აშკარად უპერსპექტივო და ნაკლებად სასარგებლო საქმე იქნებოდა. ამით იგი დაუპირისპირდა მე-19 საუკუნის იმ დიდ მამულიშვილებს (ი.ჭავჭავაძე, ა.წერეთელი..), რომელთაც ევროპის ქვეყნებთან საქართველოს დაახლოება ჩვენი სამომავლო განვითარების ყველაზე პერსპექტიულ გზად მიაჩნდათ.

ნ.ნიკოლაძის თვალთახედვის ერთგვარ პარადოქსულობას კიდევ უფრო აძლიერებს ის გარემოება, რომ ამ შეხედულებას ევროპული ცხოვრებისეული სინამდვილის ღრმად და საფუძვლიანად მცოდნე პიროვნება გამოთქვამდა,წლობით თავადაც ევროპაში ნაცხოვრები დიდი მოაზროვნე. ევროპასთან საქართველოს დაკავშირების მიზანშეუწონლობაზე საუბარს ნ.ნიკოლაძე რუსეთთან თანაცხოვრების პოზიტიურ მხარეთა დახასიათებით განაგრძობს.მისი აზრით, „რუსეთის მფლო-

ბელობის უპირატესობას ევროპის მფლობელობასთან შედარებით“ უპირველეს ყოვლისა რუსეთ-ში არსებული საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების ის ფორმა წარმოადგენდა, რომელსაც შეეძლო ნამდვილი სარგებლობა მოეტანა საქართველოსთვის.

ერთ-ერთი უმთავრესი არგუმენტი, რითაც ნ.ნიკოლაძე რუსეთის შემადგენლობაში საქართველოს ყოფნას ამართლებდა, იმაში მდგომარეობდა, რომ იგი რუსეთს, ამერიკასთან ერთად, მე-20 საუკუნის ყველაზე პერსპექტიულ და მძლავრ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებას უწინასწარმეტყველებდა. ნ.ნიკოლაძის მტკიცებით, მე-20 საუკუნეში სწორედ ეს სახელმწიფოები გახდებოდნენ კაცობრიობის მბრძანებლები.

ნ.ნიკოლაძის ნააზრევში, მკვეთრად გამოხატული პრორუსული პოზიცია არამარტო იმ უმძიმესი საგარეო პოლიტიკური ვითარებით არის ახსნილ-დასაბუთებული,რომელიც მე-18 საუკუნის საქართველოში შეიქმნა,არამედ წინარე საუკუნეების რთული მოვლენებითაც და ჩვენი ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობითაც. „ქვეყნის პოლიტიკას_წერდა იგი,1913 წელს,_ როგორც მის ბუნების ნამდვილ ძალებს_ადამიანის ხალხის სურვილი კი არა ამ ქვეყნის მდგომარეობა სჭედს. პოლიტიკა ახალი მოდური შლიაპკა კი არაა, რომლის ცვლა ჩვენს ქეიფზე ჰკიდია, ისეთივე ტრადიციული,უცვლელი,მამაპაპური განძია,როგორც ენა,ეროვნება,სარწმუნოება... სანამ შავი ზღვიდან გასავალი სრუტე ოსმალოს ხელშია, სანამ სამხრეთით ოსმალეთი და სპარსეთი გვაკრავს, აღმოსავლეთით ლეკი და თათარი, ჩრდილოეთით რუსი, ბევრი რომ ვიწრიალოთ, იმ პოლიტიკას ვერ ავცდებით, რომელიც აურჩევიათ საქართველოს უაღრეს გმირებს, ბევრი ცდის, ძებნის და მსხვერპლის შემდეგ. უკეთესი რომ შესაძლო ყოფილიყო, განა მათ დაემალებოდა? ჩვენზე ცოტად სწყუროდათ ვითომ დამოუკიდებლობა?ჩვენზე ნაკლებ უყვარდათ საკუთარი გვირგვინი? სანამ საბოლოო გზას დაადგებოდნენ, სანამ გვირგვინს ერის არსებობას შეწირავდნენ, ყოველი საშუალება სინჯეს, ყოველი ღონისძიება იხმარეს, თვით სარწმუნოების შეცვლასაც შეჰპირდნენ რომის პაპს და ფრიდრიხ დიდს. უცრემლოდ ვერ გადაიკითხავს კაცი ამ სამი საუკუნის მეცადინეობის აღწერას მატეანეში. რაც ამდენს ამისთანა თაობას აუგია, აუცილებლად უცვნიათ, იმას ერთი ჯგუფი, გინდ ერთი თაობა ვერ შეცვლის. სანამ ოსმალოს ან სპარსეთის ადგილს რომელიმე სხვა რასსა ან მეფობა არ დაიჭერს, საქართველოსათვის არავითარი სხვა პოლიტიკა არ იარსებებს, იმის გარდა,-რომლითაც ხელმძღვანელობდნენ იძულებით საქართველოს უგონიერესი პატრონები... რა ძალამ და აუცილებლობამ ეს მდევები გასტეხა, ის ახლაც უცვლელად არსებობს, მას ვერც ჩვენ მოვერევით.. ბუნების წინააღმდეგ ყოველი ცდა ამაოა და სასტიკად ისჯება.“

რუსეთის შემადგენლობაში საქართველოს ავტონომიური სახელმწიფოებრივი სტატუსის ძიებამ ნ.ნიკოლაძე, მე-19 საუკუნის მეორე ნახევრისა და მე-20 საუკუნის დასაწყისის არაერთი ქართველი მამულიშვილის მსგავსად, ფედერალიზმის პრინციპის აღიარებამდე მიიყვანა. იგი თვლიდა, რომ რეალურად არსებული ვითარების გათვალისწინებით, სწორედ ეს იყო ერთადერთი ყველაზე მეტად მისაღები და მართებული გზა :მრავალ-სჯულიანობით, მრავალ-ენიანობითა და მრავალ-მოდგმობით“ გამორჩეული ჩვენი ქვეყნისათვის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების დაკმაყოფილებისა.

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობისადმი ნ.ნიკოლაძის დამოკიდებულება არსებითად და რადიკალურად შეიცვალა მას შემდეგ, რაც რუსეთის იმპერია დაინგრა და რეალურად მომზადდა საფუძველი ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის აღსადგენად. ნ.ნიკოლაძის მსოფლმხედველობაში

მომხდარი ამ გარდატეხის არსში გასარკვევად განსაკუთრებით საინტერესოა გაზეთ „საქართველოს“ 1918 წლის ნომრებში რიონელის ფსევდონიმით გამოქვეყნებული მისი წერილი „რუსეთის დამხობა და საქართველოს ბედი“ განსხვავებით მანამდელი პუბლიკაციებისაგან, სადაც მწერალი აქტიურად ცდილობდა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში ჩვენი ქვეყნისათვის ყველაზე მეტად მისაღები და სასარგებლო სახელმწიფოებრივი სტატუსის მოპოვებასა და დამკვიდრებას, რადიკალურად შეცვლილი რეალობიდან გამომდინარე, მისმა პოლიტიკურმა თვალთახედვამ უკვე არსებითად განსხვავებული სახე მიიღო და ნ.ნიკოლაძემ ამჯერად კატეგორიულად და ყოველგვარი მიკიბვ-მოკიბვის გარეშე დასვა საკითხი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის სრულად აღდგენის შესახებ.

ხსენებული პუბლიკაცია უაღრესად საინტერესო იმითაა,რომ მწერლის მანამდელი წერილებისაგან განსხვავებით, მასში უკვე ღიად და ბოლომდე ნიღაბახდილი სახითაა წარმოჩენილი ის ნეგატიური მხარეები,რაც რუსეთის კოლონიად გადაქცევამ მოუტანა ჩვენს ქვეყანას.თუ თავის ადრინდელ პუბლიკაციებში ნ.ნიკოლაძე ამ მოვლენაზე გარკვეული თავშეკავებით საუბრობდა, ახალ პოლიტიკურ ვითარებაში მან პოზიცია რადიკალურად შეიცვალა და უკვე არამარტო სიტყვიერად გამოდიოდა საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების მოთხოვნით, არამედ აქტიურ პრაქტიკულ მონაწილეობასაც ღებულობდა ამ საქმის რეალურად განხორციელებაში.

მიუხედავად იმისა , რომ რუსეთის კოლონიური პოლიტიკისადმი ნეგატიური დამოკიდებულება ნ.ნიკოლაძეს თავისი ცხოვრების ყველა ეტაპზე ჰქონდა, თავისი ანტირუსული თვალთახედვა ასეთი მკვეთრი რადიკალიზმით მას ფაქტობრივად მანამდე არასოდეს გამოუხატავს.მწერლის მსოფლმხედველობაში მომხდარი ამგვარი რადიკალური გარდატეხა პირდაპირი შედეგი იყო 1917-1918 წლებში რუსეთსა და საქართველოში განვითარებული იმ უმნიშვნელოვანესი მოვლენებისა, რომელთაც არსებითად შეცვალეს ამ ქვეყნების იმჟამინდელი რეალობაცა და სახელმწიფოებრივი მომავალიც.

ეროვნული ტრადიციებისადმი პატივისცემა იმას არამც და არამც არ ნიშნავს, ჩვენს ნაჭუჭში ჩავიკეტოთ, ჩვენზე განვითარებული ქვეყნების გამოცდილების გაზიარებაზე უარი ვთქვათ და მუდმივად ახლის საძიებლად არ ვიყოთ შემართულნი. ასე რომ, ჩვენი სულიერი ფასეულობების შესწავლასთან ერთად, თუკი სხვათა ნააზრევს არ შევისაწვლით და მათს გამოცდილებას არ გავიზიარებთ,მარტო ძველი ტრადიციების ერთგულებით დიდ წარმატებას ვერ მივაღწევთ. ნ.ნიკოლაძის მთელი ცხოვრება და მოღვაწეობა პირველ ყოვლისა სწორედ ამ კეთილშობილური მიზნით იყო შთაგონებული, მამულის სიყვარულისა და მსახურების იმ წმინდა და ამაღლებული გრძნობის გაღვივების მძაფრი სურვილით, რომელიც ყოველი ჭეშმარიტი მამულიშვილისათვის უნდა ყოფილიყო ქცეული ამქვეყნიური ყოფის მარადიულ აზრად და იდეალად.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. *ავთანდილ ნიკოლეიშვილი* „ორტომეული“_ საგამომცემლო ცენტრი ქუთაისი 2014
2. burusi.wordpress.com, *მაია დარსაველიძე*_“ნიკო ნიკოლაძე დემოკრატიული საქართველოს მშენებლობის სათავეებთან“

3. *ვ.დონაძე* „ნიკო ნიკოლაძის სოციოლოგიური და ისტორიული შეხედულებანი.“ თბილისი,1987წ.

■■■■

ნიკო ნიკოლაძის პუბლიცისტური მოღვაწეობა

Niko Nikoladze's publicistic work

ავტორი **- თამუნა ქიმაძე,** *ხელმძღვანელი -* ასოც. ხელმ. **თამაზ გოგბერაშვილი,** აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
Author **- Tamuna Qimadze,** *Supervizor – Assoc. Prof.* **Tamaz Gogberashvili,** *Akaki Tsereteli State University.*

საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი საინტერესო პერიოდს წარმოადგენს XIX საუკუნის ბოლო და XX საუკუნის პირველი მეოთხედი. ამ ეპოქის ქართველ მოღვაწეთა შორის საპატიო ადგილი დაიმკვიდრა ნიკო ნიკოლაძის ნააზრევმა, რომელსაც თავისი თეორიული და პრაქტიკული ღირებულება დღემდე არ დაუკარგავს. ჩვენი საკვლევი თემის ძირითად შინაარს წარმოადგენს ნიკო ნიკოლაძის პუბლიცისტური მოღვაწეობის შესწავლა. საინტერესოა, რომ მისი პუბლიცისტური მემკვიდრეობა ინტერესს იწვევდა საქართველოს გასაბჭოებამდე და საბჭოთა პერიოდის ქართულმა ისტორიოგრაფიამაც გარკვეული ადგილი დაუთმო ნიკო ნიკოლაძის პუბლცისტურ მოღვაწეობას.

ჩემს თემაში შეძლებისდაგვარად ავსახე ნიკო ნიკოლაძის როგორც რევოლუციამდელი და ისე რევოლუციის შემდეგი პერიოდის პუბლიცისტური მოღვაწეობა ქართულ, რუსულ და ფრანგულ პრესაში.

One of the interesting periods of Georgian history is the first quarter of the XIX century and XX century. Among the Georgian figures of this era was the honorary place of Niko Nikoladze, who did not lose his theoretical and practical value. The main content of our research topic is to study the publicist activities of Niko Nikoladze. Interestingly, his publicistic heritage was of interest to Georgia before Sovietization and Georgian historiography of the Soviet period gave some space to Niko Nikoladze's publicist work.

As far as we can imagine, Niko Nikoladze's revolutionary predecessor and the next period of revolutionary publicism in Georgia, Russian and French press.

დიდი ქართველი საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი და მოაზროვნე ნიკო იაკობის ძე ნიკოლაძე (1843-1928) სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდა XIX საუკუნის 60-იან წლებში. აღნიშნული პერიოდი საქართველოს ისტორიაში მნიშვნელოვანი მიჯნაა, როგორც სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის რეფორმების, ისე ეროვნული მოძრაობის აღმავლობის თვალსაზრისით. ამ დროიდან ეროვ-

ნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მესვეურად გვევლინებაა „თერგდალეულთა“ დიდი თაობა (ი.ჭავჭავაძე, აკ.წერეთელი, ნ.ნიკოლაძე, ი.გოგებაშვილი, გ.წერეთელი, ს.მესხი და სხვ.), რომელთა ხანგრძლივი, თავდადებული და მრავალმხრივი მოღვაწეობა ქართველობისა და საქართველოს გადაჩენისთვის დაწყებულ ბრძოლაში მნიშვნელოვან წარმატებათა საწინდრად იქცა.

საქართველოს ისტორიის ამ უაღრესად საინტერესო ეპოქის შექმნაში დიდი წვლილი ნიკო ნიკოლაძემაც შეიტანა. მან, თერგდალეულთაგან ყველაზე დიდხანს, თითქმის ექვსი ათეული წლის მანძილზე, ერის იდეურ მესვეურთა მხარდამხარ საზოგადო მოღვაწის მძიმე ტვირთი ზიდა, რითაც სამარადჟამოდ დაიმკვიდრა საპატიო ადგილი ღირსეულ ქართველთა შორის.

ეპოქა, როდესაც მოღვაწეობდა ნ.ნიკოლაძე, იმჟამინდელი საზოგადოებისათვის სოციალური, სამართლებრივი და ეკონომიკური თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესი გარდაქმნების ხანა იყო. ასეთივე ძირეული ცვლილებების პერიოდში უწევს დღეს ჩვენს ხალხს ცხოვრება. ის პრობლემები, რომლებიც მთელი სიმწვავით იდგა ქართველი საქოგადოების წინაშე XIXს-ის მეორე ნახევარში, დღესაც საკმაოდ აქტუალურია. მაგალითად, ნ.ნიკოლაძის ნააზრევში წინა პლანზეა წამოწეული ისეთი საკითხები, როგორიც იყო: ქართული ეკონომიკის მშენებლობა, ეროვნული თვითშეგნების განმტკიცება, ჯანსაღი სოციალური და სამართლებრივი გარემოს ჩამოყალიბება, ეროვნული განათლებისა და გამოცდილების მიღების აუცილებლობა, ტექნიკური, რეალური სასწავლებლების დაარსება, ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობათა როლის ზრდა ქვეყნის დემოკრატიული განვითარების საქმეში და სხვა, რაც უდავოდ ინარჩუნებს აქტუალურობას თანამედროვე ეტაპზე. აქედან გამომდინარე, ცოდნა იმისა, თუ რას ფიქრობდა საქვეყნო პრობლემებზე XIX ს-ის მეორე ნახევრის ქართული საზოგადოებრიობა, რომლის უდაოდ გამორჩეული წევრი ნიკო ნიკოლაძე იყო, საგრძნობლად შეუწყობს ხელს თანამედროვე ქართული სახელმწიფოებრიობისა და სამოქალაქო საზოგადოების ფორმირების პროცესს.

ნიკო ნიკოლაძის ეროვნული კონცეფციისა და პუბლიცისტური მოღვაწეობის შესწავლა თანამედროვე ეტაპზე აქტუალურია იმის გამოც, რომ მისი მრავალმზრივი ნაღვაწის შესახებ არსებულ ისტორიოგრაფიაში აშკარად სჭარბობს საბჭოთა

პერიოდში გამოქვეყნებული ნაშრომები, როცა ავტორები იძულებულნი იყვნენ დაქვემდებარებოდნენ გაბატონებულ მარქსისტულ-ლენინურ მეთოდოლოგიას და თავიანთ შრომებში მხოლოდ ისეთი პრობლემატიკისთვის გაესვათ ხაზი, რომელიც მკაცრად შეესაბამებოდა კომუნისტურ მსოფლმხდველობას. ეს კი, ასეთ ნაშრომებს მნიშვნელოვნად აშორებდა ობიექტურობასა და ჭეშმარიტებასთან.

ნ.ნიკოლაძის მოღვაწეობა და მისი პუბლიცისტური მემკვდრეობა ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევდა რიგ საზოგადო მოღვაწეთა და მკვლევართა შორის. აღსანიშნავია, რომ საბჭოთა ეპოქის ქართულმა ისტორიოგრაფიამ სათანადო ადგილი დაუთმო ნ. ნიკოლაძის საზოგადოებრივი მოღვაწეობის შესწავლას. მიუხედავად ამისა, მის მრავალმხრივი და საინტერესო პუბლიცისტური მოღვაწეობის სწორად და სრულად აღქმა დასრულებული არ არის. ისტორიულ მეცნიერებაზე კომუნისტური, ტოტალიტარული რეჟიმის ზეწოლამ ხელი შეუშალა ქართველი საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწის ნააზრევის ობიექტურ შეფასებას, რაც ნ. ნიკოლაძის იდეურ მემკვიდრეობაზეც აისახა.

საქართველოში ვაჭრობისა და მრეწველობის განვითარებას დიდ ყურადღებას უთმობდა ნიკოლაძე. ის კარგად გრძნობდა, რომ ქვეყნის წინ წამწევი ძალა ეკონომიკური ცხოვრების მოწესრიგებაში გამოიხატებოდა, რომ აღებ-მიცემობის განვითარება აუცილებელი პირობა იყო ერის წარმატებისა და წინსვლისთვის.

რაც შეეხება, ნიკო ნიკოლაძის პუბლიცისტურ მოღვაწეობას, მისი ჟურნალისტური მოღვაწეობა სტუდენტობის პერიოდში იწყება. ეს არ იყო მისი პირველი ნაბიჯები ჟურნალისტიკაში. ეს არ იყო მისი პირელი ნაბიჯები ჟურნალისტიკაში. ჯერ კიდევ პეტერბურგში ყოფნისას, იგი თანამშრომლობს რუსულ გაზეთებთან. 1864 წლის მარტში მან პატარა წერილი - „ბოკლი და ქალთა საკითხი“ გაზეთ „народное богатство“-ში (სახალხო სიმდიდრე). იმავე წლის აგვისტოში ნ. ნიკოლაძემ ჟურნალ „Современник“-ში (თანამედროვე) გამოაქვეყნა ვრცელი მოთხრობა „პროვინციული სურათები“, რომელიც მაშინდელ საზოგადოებაში ქალის როლსა და მდგომარეობას ეხებოდა. ამგვარად პირველი ნაბიჯები ჟურნალისტიკაში ნიკომ პეტერბურგში გადადგა.

ნ. ნიკოლაძემ პრესასთან აქტიურ თანამშრომლობას აგრძელებს საფრანგეთში სწავლის პერიოდშიც. 1865 წლის იანვარში, პარიზში გარდაიცვალა უტოპისტ-სოციალისტი პიერ ჟოზეფ პრუდონი. ნიკოლაძე პრუდონის შეხედულებებს არ იზიარებდა, მაგრამ „მოსწონდა კაცი, რომელიც გულწრფელად იღვწოდა იმისათვის, რომ ადამიანთა საზოგადოება უკეთესი გამხდარიყო“. ამიტომ იგი წერს ნარკვევს - „პიერ ჟოზეფ პრუდონი“, რომელიც 1865 წლის 21 იანვარს იბეჭდება„С-Петербургская Ведомость“-ში (სანკტ-პეტერბურგის ფურცელი).

1865 წლის იანვარში ნ.ნიკოლაძეს პარიზში სტუმრად ეწვია ალექსანდრე გერცენი, რომელმაც მას შესთავაზა „Колокол“-ში (ზარი) თანამშრომლობა და დაუკვეთა სტატია „კავკასიაში მიმდინარე საგლეხო რეფორმის შესახებ. ეს სტატია დაიბეჭდა „Колокол“-ის რედაქციაში მიღებისთანავე.

პარიზში პირველი წარმატებული სტატიის შემდეგ, ნ. ნიკოლაძემ 1865 წლის 1 აგვისტოსა და 15 სექტემბრის „კოლოკოლ“-ის ნომრებში კიდევ ორი სტატია გამოაქვეყნა: „Наши будушие адвокаты перед Московскими ведомостями“ და „Июньские дни в Тифлисеი“.

საფრანგეთის შემდეგ ნიკო ნიკოლაძე ჟურნალისტურ საქმიანობას ეწევა შვეიცარიაში. 1866 წელს რუსულ ენაზე გამოიცა მისი წიგნი - „მთავრობა და ახალი თაობა“. ეს წიგნი წარმოადგენს ავტორის იმ პერიოდის პოლიტიკურ შეხედულებათა დაჯამებას, რომელსაც მიზნად აქვს პოლიტიკური შეეფასება მისცეს ერთი მხრივ - მთავრობის, მეორე მხრივ ახალგაზრდა ემიგრაციის საქმიანობას.

1868 წლიდან ნიკოლაძე ლ.მეჩნიკოვთან ერთად იწყებს ჟურნალ „Современность“-ის (თანამედროვეობა) გამოცემას. ამ ჟურნალში ნიკოლაძემ გამოაქვეყნა ცნობილი წერილები: „Русская эмиграция“, „Два пакаления“, „Жизн Европы“, „Народное дело“, „Ролб революционеров“.

ამგვარად, ევროპაში სწავლების პერიოდში ნ. ნიკოლაძე აქტიურ ჟურნალისტურ საქმიანობას ეწევა. მისი სტატიები ეხება იმ პერიოდის მნიშვნელოვან პოლიტიკურ თუ სოციალურ საკითხებს და ცხოველ ინტერესს იწვევს მკითხველში.

სწავლის დასრულების შემდეგ, ევროპიდან საქართველოში დაბრუნებული ნ.ნიკოლაძე, ს.მესხთან ერთად 1870 წლის გაზაფხულზე იწყებს გაზეთ „დროება“-ში მოღვაწეობას.

დროება დაარსებული იქნა 1866 წლის 4 მარტს გიორგი წერეთლის რედაქტორობით. ეს იყო პირველი პოლიტიკური გაზეთი, რომელშიც აქტიურად განიხილებოდა ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის მწვავე საკითხები. გაზეთი გაჟღენთილი იყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სულისკვეთებით. მთავრობა ეჭვითა და უნდობლობით ეკიდებოდა გაზეთს, მკითხველი კი მოითხოვდა მამხილებლურ და მომწოდებლურ სტატიებს.

ნ. ნიკოლაძე არასოდეს არ ყოფილა გაზეთ „დროების“ ოფიციალური რედაქტორი, მაგრამ თუ ეს გაზეთი მაშინდელი მსოფლიოს საუკეთესოს გამოცემათა დონეზე

იდგა, პირველ რიგში სწორედ მისი დამსახურება იყო. „თავისი პრინციპების, ეროვნული და სოციალური მრწამსის, პროფესიული ღირსების დასაცავად ნ.ნიკოლაძე არაერთხელ წარბშეუხრელად დამდგარა ბარიერთან და მკერდი მიუშვირია გატენილი დამბაჩისათვის“.

გაზეთ „დროებაში“ გამოქვეყნებულმა კრიტიკულმა პუბლიცისტურმა სტატიებმა, ნ.ნიკოლაძეს სახალხო აღიარება და სიყვარული მოუპოვა. მისი წერილები გამოირჩეოდა თემატიკის მრავალფეროვნებითა და ფართო ერუდიციით. ნიკოლაძე „დროების“ ფურცლებზე დიდ ყურადღებას უთმობს როგორც საზოგადოების სოციალუ-ეკონომიკური პრობლემების განხილვას („ძველი ჩინოვნიკის გულისტკივილი“; „ჩვენი საზოგადო საქმეები“; „მამია გურიელის საქმე“; „ქალაქის საზოგადო გამგეობაზე“; „სასოფლო სასამართლოები და ჩვენი აზნაურობა“; „ჩვენი ახალგაზრდობა“ და სხვ...) ასევე საერთაშორისო პოლიტიკური პრობლემების ანალიზს („გერმანიის მდგომარეობა“, „ომი საფრანგეთსა და გერმანიას შუა“, „პრუსიის გაძლიერება გერმანიაში“; „ ომის გავლენა ევროპაზე“; „იმპერარტორი ნაპოლეონი დაატყვევეს“ და ასე შემდეგ...).

სამწუხაროდ, მალე იჩინა თავი უთანხმებამ ს.მესხსა და ნ.ნიკოლაძეს შორის. ისინი მორგეობით იწყებენ „დროების“ ნომრების მომზადებას. ასე გამოდიოდა გაზეთი რამოდენიმე თვის განმავლობაში, რაც ცხადია დიდხანს ვერ გაგრძელდებოდა. ამიტომ ნ.ნიკოლაძე თხოვნით მიმართავს კავკასიის მეფისნაცვალს, რომ მიეცეს უფლება რუსულენოვან გაზეთ „Обзор“-ის (მიმოხილვა) გამოცემისა. ეს თხოვნა, როგორც პოლიტიკურად არასაიმედო პირისა, არ დააკმაყოფილებს. მაშინ ნიკომ სხვა გამოსავალი იპოვა. მან დაითანხმა გიორგი წერეთელი და მისი სახელით გამოითხოვა ჟურნალ „კრებულის“ გამოცემის უფლება.

ჟურნალი „კრებული“ ნ. ნიკოლაძის რედაქტორობით გამოდიოდა 1871 წლის ზაფხულამდე. პარალელურად იგი აგრძელებს ნაყოფიერ მოღვაწეობას „დროებაში“.

1872 წლის გაზაფხულზე ნ. ნიკოლაძე ტოვებს საქართველოს და ტყიბულის ქვა-ნახშირის საქმეების მოსაგვარებლად საფრანგეში მიემგზავრება. უცხოეთში ყოფნის მიუხედავად, იგი არ წყვეტს კავშირს „დროებასთან“, აქვეყნებს მასში სტატიებს, ასევე ზრუნავს „კრებულის“ მასალების მოსამზადებლად.

პარიზში ყოფნისას 1873 წლის პირველ აპრილს, ნიკოლაძე იწყებს ნაბეჭდი ქართული გაზეთ „დროშას“ გამოცემას. ეს გაზეთი სულ ათი ნომერი გამოვიდა. გამოდიოდა 1 აპრილიდან 11 აპრილამდე და იყო მოცულობით ოთხი გვერდი.

1873 წლის მაისში ნ.ნიკოლაძე საქართველოში ბრუნდება. ამ პერიოდში იგი ერთდროულად სამ ბეჭდვით ორგანოსთან „დროებაში“, „Тифлиский Вестник“ -სა

(თბილისი მაცნე) და ჟურნალ „კრებულში“ თანამშრომლობს. მისი სტატიები დიდ მოწონებას იმსახურებს და განსაკუთრებულ გავლენას ახდენს ახალგაზრდობაზე.

1873 წლის ნოემბერში ნ.ნიკოლაძე კვლავ საფრანგეთში გაემგზავრა. საზღვარგარეთ ყოფნის მიუხედავად, იგი აგრძელებს საქართველოში არსებულ ჟურნალ-გაზეთებთან თანამშრომლობას. 1874 წელს მან ორი სტატია „დროებაში“, ცხრა კი „ტიფლისკიი ვესტნიკ“-ში გამოაქვეყნა. მაგრამ იმავე წლის თებერვლიდან ნიკომ შეწყვიტა „დროებასთან“ თანამშრომლობა და 1876 წლის მარტამდე არცერთი წერილი არ დაბეჭდილა „დროების“ ფურცლებზე (თუ მხედველობაში არ მივიღებთ 1875 წლის 2 თებერვალს „დროებაში“ დაბეჭდილ ნიკოლაძის წერილს „სხვათაშორის“-გ.ბ.). სამაგიეროდ გრძელდება მისი თანამშრომლობა „Тифлиский Вестник“ -თან.

1875 წლის შემოდგომაზე ნ.ნიკოლაძე საქართველოში ბრუნდება. მისი მეშვეობით „ტიფლისკიი ვესტნიკ“-ი ყოველდღიურ ორგანოდ იქცა. მალე ნიკო კვლავ უბრუნდება გაზეთ „დროების“ ფურცლებს. 1876 წლის 10 მარტს ისევ გამოჩნდა „დროებაში“ მისი სტატია სათაურით „სალამი“.

1877-1878 წლებში რუსეთსა და ოსმალეთს შორის მორიგი ომი დაიწყო. 1877 წლის აპრილში ნ.ნიკოლაძე ამ ომში კავკასიის ფრონტზე გაემგზავრა, როგორც ჰავასის სააგენტოსა და „Тифлиский Вестник“-ის სპეციალური სამხედრო კორესპონდენტი . გაზეთ „Тифлиский Вестник“-ს ნ.ნიკოლაძე ფრონტის ხაზიდან აწვდიდა მეტად საინტერესო წერილებს სათაურით „Походные письма“ („ლაშქრობის წერილები“-სულ 12) და „Походный дневник“ (ლაშქრობის დღიური - 3 წერილი). ამ გაზეთთან თანამშრომლობა დიდხანს არ გაგრძელებულა.

1877 წლის ივნისიდან ნ.ნიკოლაძე წყვეტს გაზეთ „Тифлиский Вестник“-თან ურთიერთობას და თავს ანებებს მის სპეციალურ კორესპონდენტობას. მაგრამ, იმავე წლის სექტემბრიდან ოქტომბრის პირველ რიცხვებამდე, ნ.ნიკოლაძე კვლავ ომის ფრონტზე ვხედავთ, როგორც გაზეთ „Голос“-ის (ხმა) სამხედრო კორესპონდენტს.

გაზეთ „Голос“-ის ფურცლებზე ნიკოლაძის წერილები ქვეყნდებოდა საერთო რუბრიკის “სამხედრო განყოფილება”-ის ქვეშ. სულ თორმეტი წერილი იქნა გამოქვეყნებული. ნ.ნიკოლაძესთან ერთად ამ ომში, გაზეთ „Голос“-ის სპეციალურ კორესპონდენტად იმყოფებოდა გიორგი წერეთელი.

ამგვარად, ნ.ნიკოლაძე წარმატებით აგრძელებს თავის მოღვაწეობას და აქტიურად თანამშრომლობს როგორც ქართულ, ასევე რუსულენოვან გაზეთებში. მიუხედავად წარმატებისა მას კვლავ სურს საკუთარი ბეჭდვითი ორგანოს დაარსება, 1877 წლის 23 ივნისს ნიკოლაძემ კავკასიის მეფისნაცვლის თანაშემწეს თხოვნით მიმართა, რათა

მიეცათ უფლება მისთვის საკუთარი გაზეთის გამოცემისა. ამჯერად თხოვნა დაუკმაყოფილეს. 1878 წლის 23 ივნისს ნიკოლაძემ კავკასიის მეფისნაცვლის თანაშემწეს თხოვნით მიმართა, რათა მიეცათ უფლება მისთვის საკუთარი გაზეთის გამოცემისა. ამჯერად თხოვნა დაუკმაყოფილეს. 1878 წლის პირველ იანვარს გამოვიდა ნიკოლაძის საკუთარი გაზეთის „Обзор“-ის (მიმოხილვა) პირველი ნომერი, რომელიც იყო პოლიტიკურ-ლიტერატურული გაზეთი, გამოდიოდა ნიკოლაძის რედაქტორობით, თბილისში. ცენზურა მკაცრად ადევნებდა თვალს ნიკოლაძესა და მის გაზეთს.

„Обзор“-ის დაარსებიდან რამოდენიმე თვეში, მთავრობამ გაზეთი ოპოზიციურ ორგანოდ მიიჩნია და მისი რედაქტორი სამართალში მისცა. 1880 წლის ივლისში ხელისუფლებამ გაზეთი „Обзор“

დახურა, ხოლო მისი რედაქტორი სტავროპოლში გადაასახლა. ნ.ნიკოლაძე გადასახლებაში 1881 წლამდე იმყოფებოდა. იგი არც აქ წყვეტს პუბლიცისტურ საქმიანობას და ახერხებს სტავროპოლიდან გაზეთ „გოლოს"-ში (ხმა) სტატიების გამოქვეყნებას.

1881 წელს ნიკოლაძემ უფლება მიიღო დაეტოვებინა სტავროპოლი, მაგრამ აეკრძალა საქართველოში დაბრუნება. ამიტომ იგი გამეგზავრა პეტერბურგში და იქ 1886 წლამდე დარჩა. პეტერბურგში ნიკოლაძე იწყებს რკინიგზის სამმართველოში, რაც აძლევს საშუალებას, სამსახურეობრივი მოვალეობით ზოგჯერ საქართველოც მოინახულოს, ამ პერიოდში იგი თანამშრომლობს ჟურნალებში - „უსტოი" (ბურჯი) და ოტეჩესტვენნიე ზაპისკი" (სამამულო ჩანაწერები). ამ უკანასკნელშაი იგი კრიტიკის განყოფილების გამგე ხდება.

1887 წელს ნ. ნიკოლაძე პეტერბურგიდან თბილისში დაბრუნდა. იგი კვლავ ერთვება აქტიურ ჟურნალისტიკაში. ამ წელიწადს მან თბილისის საოლქო სასამართლოს და თბილისის სასამართლო პალატის წევრის, ნაფიც მსახულ ა. სტეპანოვისგან შეიძინა გაზეთი „Новое обозрение" (ახალი მიმოხილვა). 1887-1891 წლებში, ოთხი წლის მანძილზე, ნ.ნიკოლაძე „Новое обозрение" -ს რედაქტორიც იყო და წამყვანი პუბლიცისტიც. გაზეთის ფურცლებზე დაიბეჭდა ნიკოლაძის წერილების სერია, რომელშიც პუბლიცისტიი მკაცრად აკრიტიკებდა ი.ჯაბადარს. ნ.ნიკოლაძე გაზეთ „Новое обозрение" -ს ოთხი წლის განმავლობაში ედგა სათავეში. 1891 წელს მან გაზეთი ძმებ თუმანიშვილებს მიჰყიდა. იგი არც ამის შემდეგ წყვეტს გაზეთთან თანამშრომლობას და დრო და დრო აქვეყნებს საინტერესო სტატიებს სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით.

„Новое обозрение"-დან წასვლის შემდეგ ქართველი პუბლიცისტი პრაქტიკულად ჩამოშორდა აქტიურ ჟურნალისტიკას. იგი მომდევნო წლებშიც აგრძელებს სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებთან თანამშრომლობას, მაგრამ ნაკლები ინტენსივობით ვიდრე XIX ს-ის 70-80-იან წლებში.

გამოყენებული ლიტერატურა

1.ბასილაძე გ. (2018). ნიკო ნიკოლაძის ეროვნული კონცეფცია და მისი საზოგადოებრივ-პუბლიცისტური მოღვაწეობა XIX საუკუნის 70-80-იან წლებში. ქუთაისი

■ ■ ■ ■

სოციალური დაცვის სისტემის ანალიზი და სრულყოფის მიმართულებები საქართველოში

Analysis end development of Social protection sistem in Georgia

ავტორი - **თამარ ცხვედაძე,** *ხელმძღვანელი* - **ასოც. პროფ. ვალერი მოსიაშვილი,** საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი.

Author **- Tamar Tskhvedadze,** *Supervizor – Assoc. Prof.* **Valeri Mosiashvili, Georgian Technical University.**

Summary

For Georgia it's highly motivated managing social policies, with sharing of developed countries century experience and modern trends, the parts of this policy social defense, social security and social insurance conversion in one system and formation of national social system. The fight against poverty for each country constantly accompanying process. It's true that high and low developed countries poverty isn't expressing equally and haven't the same scales, but its absolute uproot couldn't be skilled even in social equally countries.

On the background of international tendecies, Georgian social condition enough alarmingly. The illusion of equality expreince by the country in last two decenary shaped social background became very painful.

საკვანძო სიტყვები: სოციალური დაცვის მოდელები; სოციალური დაცვა, სოციალური დაზღვევა, სოციალური რისკი; აბსოლიტური სიღარიბე; შეფარდებითი სიღარიბე

Keywords: social security models; social defence, social insurance, social risk, absolute poverty, relative poverty.

თანამედროვე მსოფლიოში სოციალური პრობლემატიკა მზარდი აქტუალობით გამოირჩევა. სოციალური პოლიტიკა სულ უფრო და უფრო მნიშვნელოვან ადგილს იკავებს. ეს განსაკუთრებით ითქმის სოციალური საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებზე, სადაც სოციალური განზომილება ყველაზე მაღალ რეგისტრშია აყვანილი და სადღეისოდ ამ სფეროს განვითარება განახლებისა და აღორძინების ცნებებთან ასოცირდება. საუბარია ევროკავშირის ქვეყნებზე,რომელთათვისაც სოციალური სფერო ალბათ ყველაზე პრიორიტეტულია,მათი სახელმწიფოებრივი მდგომარეობიდან და სოციალურ თანასწორობაზე აგებული კეთილდღეობის მოდულებიდან გამომდინარე.

ცხრილი 1. სოციალური კეთილდღეობის ობიექტები (სახალხო და კერძო)[1]

სახალხო დახმარების მიმღები ინსტიტუტები	295
ხანდაზმულთა კეთილდღეობის ინსტიტუტები	5,228
ფიზიკურად უნარშეზღუდულთა რეაბილიტაციისა და დახმარების ობიექტები	4753
ქალთა დამცავი ობიექტები	46
ბავშვთა კეთილდღეობის ინსტიტუტები	33,711
გონებრივად შეზღუდულთა დამხმარე ინსტიტუტები	1318
ქალთა და ბავშვთა კეთილდღეობის ობიექტები	61
გონებრივად შეზღუდულთა რეაბილიტაციის ობიექტები	419
სხვა სოციალური კეთილდღეობის ინსტიტუტები	8,133

მიუხედავად იმისა,რომ ევროკავშირის ყველა სახელმწიფო განვითარების ერთნაირ დონეზე არ იმყოფება და არც იდენტური სოციალური სისტემა გააჩნიათ, მათთვის საერთოა ევროპული ღირებულებები,რომელთა შორისაც სოციალურ ფასეულობებს ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი უკავია. კერძოდ: ადამიანთა კეთილდღეობაზე ზრუნვა,მათთვის თანაბარი პირობების შექმნა მუშაობისა და ცხოვრებისთვის,ხანგრძლივი და სიცოცხლისთვის სათანადო პირობებით უზრუნველყოფა.

სიღარიბესთან ბრძოლა ნებისმიერი ქვეყნისთვის მუდმივად თანხმლები პროცესია. მართალია, დაბალ და მაღალგანვითარებულ ქვეყნებში სიღარიბე ერთნაირად არ გამოიხატება და არც ერთნაირი მაშტაბები აქვს,მაგრამ მისი სრული აღმოფხვრა თვით ყველაზე მაღალი სოციალური თანასწორობის მქონე ქვეყნებშიც კი ვერ მოხერხდა.

ამგვარად,საერთაშორისო ტენდენციების ფონზე საქართველოს სოციალური მდგომარეობა საკმაოდ საგანგაშოდ მოჩანს. თანასწორობის ილუზიაგამოვლილი ქვეყნისთვის ბოლო ორ ათწლეულში შექმნილი სოციალური ფონი განსაკუთრებით მტკივნეული აღმოჩნდა. გასული საუკუნის 90-იან წლებში და მიმდინარე საუკუნის პირველ ათწლეულში გადატანილი ომებისა და ეკონომიკის სრული კრახის შედეგად, ძალიან ბევრი ადამიანი აღმოჩნდა სიღარიბის ზღვარს ქვემოთ. სახელმწიფოს კი თითქმის არანაირი მექანიზმი არ გააჩნდა ამ სენთან საბრძოლველად.

საქართველოსთვის უაღრესად მნიშვნელოვანია სოციალური პოლიტიკის წარმართვა განვითარებული ქვეყნების საუკუნოვანი გამოცდილებისა და თანამედროვე ტენდენციების გაზიარებით,ამ პოლიტიკის შემადგენელი ნაწილების - სოციალური დაცვის, სოცუზრუნველყოფისა და სოციალური დაზღვევის ერთიან სისტემაში მოქცევა და ეროვნული სოციალური სისტემის ფორმირება.

ნებისმიერი ქვეყნის სოციალური დაცვისადმი მიდგომები განპირობებულია შემდეგი ფაქტორებით: ისტორია, ტრადიციები, ფასეულობათა სისტემა, პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობა. აქედან გამომდინარე, სოციალური დაცვის სისტემის შინაარსი ქვეყანაში მიმდინარე პროცესების შესაბამისად მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდის. ზოგადად, სოციალური დაცვის სისტემები არ არის მიმართული ცხოვრების მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად, იგი გამიზნულია მხოლოდ გარანტირებული მინიმუმის შესაქმნელად.

[1] https://www.ge.emb-japan.go.jp/files/japan_fact_sheet/Welfare.pdf გადამოწმებული ქნა 20.11.2018.

ცხოვრების მაღალი ხარისხი ინდივიდუალური ზრუნვის საგანია,ხოლო სოციალური დაცვის სისტემის დანიშნულება კი ისაა, რომ შექმნას სოციალური რისკების მართვის მექანიზმები და დაიცვას მოსახლეობა სიღარიბისგან. განვითარებული ქვეყნების სტანდარდებით სახელმწიფო ვალდებულია, დაიცვას სოციალური საფრთხის წინაშე მდგომი მოსახლეობა. ევროპის სოციალური დაცვის კოდექსი და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 102-ე კონვენცია ადგენს სოციალური დაცვის მინიმალურ სტანდარტებს. ორივე დოკუმენტში თითქმის იდენტური სოციალური რისკების ჩამონათვალი ერთნაირად ავალდებულებს სახელმწიფოებს მათ დაცვას.

სოციალური დაცვა არის ფართო ცნება,რომელიც მოიცავს როგორც სოციალური უსაფრთხოების-,ისე მაშველი სოციალური ბადის ღონისძიებებს. სოციალური დაზღვევა არის იმ ღონისძიებათა მექანიზმი, რომელიც მიმართულია გარკვეული რისკების გადანაწილების პრინციპით უარყოფითი შედეგების შერბილებისა და კომპენსაციაზე, განურჩევლად იმისა, სახელმწიფო ახდენს დაფინანსებასა და ადმინისტრირებას, თუ კერძო სექტორი. სოციალური დაზღვევა ფინანსირდება სადაზღვევო შენატანებით.

სოციალური დახმარება მოაზრება,როგორც საზოგადოებრივი რესურსების განაწილების სისტემა, რომელიც მიმართულია გაჭირვებაში მყოფი იმ ადამიანების ყოფის გაუმჯობესებისკენ,რომლებსაც ემუქრებათ სიღარიბეში ჩავარდნა.

სიღარიბე - ადამიანის ან ოჯახის ისეთი მდგომარეობაა,რომელშიც ის მოკლებულია თავისი ძირითადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შესაძლებლობას, უსახსრობის ანდა, დაბალი შემოსავლების გამო.

განასხვავებენ აბსოლუტურ და შეფარდებით სიღარიბეს.

აბსოლუტური სიღარიბე ნიშნავს საბაზისო საჭიროებების არქონას, რაშიც იგულისხმება საცხოვრებელი,საკვები,წყალი,ჰიგიენა,ტანსაცმელი და ჯანდაცვა. ეს ცნება ყველა ქვეყანაში ერთნაირად განიზასღვრება.

ფარდობით სიღარიბე ნიშნავს, როდესაც ინდივიდი ვერ სარგებლობს ცხოვრების იმ მინიმალური დონით,რომელიც განსაზღვრულია მთავრობის მიერ და რომელიც განსხვავდება ქვეყნების მიხედვით. სიღარიბე შეიძლება იყოს ქრონიკული (მუდმივი) ან დროებითი და საზოგადოდ, ის უკავშირდება უთანასწორობას, რომელიც თავის მხრივ არის ქონების მიხედვით, შემოსავლისა და მოხმარების მიხედვით.

საქართველოში სოციალური დაცვა მოიაზრება როგორც ყოვლისმომცველი ცნება,რომელიც თავის თავში აერთიანებს: სოციალურ დაზღვევას, სოციალურ დახმარებას, შემწეობას, შეღავათებს, სოციალურ სერვისებს,ოჯახების განვითარებას და სხვა.

საქართველოში სოციალური დაცვის საკითხებს კურირებს საქართველოს შრომის,ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. მის დაქვემდებარებაში შედის სოციალური მომსახურების სააგენტო,რომელიც ადმინისტრირებას უწევს რამდენიმე ათეულ სოციალურ და ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამას.

სოციალურ დახმარებებს სახელმწიფო ძირითადად გასცემს სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფ მოსახლეობაზე.

საქართველოში სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის წილი.

ნახ. 1. სიღარიბის აბსლუტურ ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის წილი (%)[2]



* სიღარიბის ზღვრის გააზგარიშების საბაზისო წელი

საქართველო,რომლის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი უკიდურესი სიღარიბის პირობებში ცხოვრობს, გამართული და მდგრადი სოციალური დაცვის სისტემის შექმნას დაუყოვნებლივ საჭიროებს. წლების განმავლობაში ჩატარებული კვლევების მიხედვით ეს პრობლემა მუდამ შედიოდა საზოგადოებისათვის უმნიშვნელოვანეს საკითხთა სამეულში.

საქართველოს სოციალური დაცვის პოლიტიკა ეფუძნება მისამართულ დახმარება. სოციალური დახმარების მთავარ პრინციპად რჩება სახელმწიფოს მიერ რესურსების მიწოდება შეფასების სისტემის მიერ გამოვლენილი ყველაზე გაჭირვებული ადამიანებისათვის. ამავე დროს, სახელმწიფოს ამოცანაა გააუმჯობესოს მისამართულობა და ამისთვის გამოიყენოს მრავალფეროვანი საშუალებები.

ბოლო პერიოდში შეიცვალა სოციალური დახმარების გაცემის სისტემა. ეს ხდება რეგისტრირებული ოჯახების შემოწმებით და მონაცემების დამუშავების შემდეგ დახმარება გაიცემა სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფ ოჯახებზე. აგრეთვე იმ ადამიანებზე,რომლებიც რომელიმე კატეგორიის წევრები არიან. ამ რეფორმის შედეგად მნიშვნელოვნად ამაღლდა საქართველოს მოსახლეობის სოციალური დაცვის სისტემის ეფექტურობა.

ცენტრელური ბიუჯეტიდან სოციალური მიზნით დახარჯული თანხის ზრდა და მისი სტრუქტურული შემადგენლობის სრულყოფა ბუნებრიბია,განაპირობებს ქვეყანაში სიღარიბის დონის შემცირებას.ამ მიზნის მისაღწევად,უპირველეს ყოვლისა,აუცილებელია,რომ სოციალური ტრანსფერი მიიროს მოსახლეობის ყველაზე დაბალშემოსავლიანმა ნაწილმა.რა თქმა უნდა,სისტემას ჯერ უამრავი ხარვეზი გააჩნია და აუცილებელია მისი სრულყოფისკენ კიდევ მრავალი ნაბიჯის გადადგმა.ამავე დროს, გასათვალისწინებელია ისიც,რომ სოციალური დახმარების სიდიდემ არ

[2] http://geostat.ge/?action=page&p_id=187&lang=geo გადამოწმებული იქნა 16.11.2018.

უნდა გამოიწვიოს შრომისუნარიანი ადამიანის დემოტივირება და პასიურ მდგომარეობაში დასრჩენის სტიმულირება.სოციალური ბენეფიტები არ უნდა იყოს დასაქმებით მირებული პოტენციური შემოსავლი ტოლი ან მასზე მეტი,რაც დაწევს შრომითი საქმიანობის მოტივაციას.

ნახ. 2. რეგისტრირებული და საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახების რაოდენობა (ათასი)[3]



საქართველოში სოციალური სისტემი მომავალი განვითარებისთვის მნიშვნელოვანია სათანადო სოციალური ბაზის შექმნა.დღესდღეობით,მიუხედავად სოციალურ –ეკონომიკური სტრატეგიის შექმნის უდიდესი მნიშვნელობისა და აუცილებლობისა,ქართულ რეალობაში,სამწუხაროდ ეს საკითხი თითქმის არ ისმის საზოგადოებრივ დისკუსიებში და შესაბამისად,არც პოლიტიკოსთა დღის წესრიგში დას.არადა,სოციალურ–ეკონომიკური მოდელის არჩევაზეა დამოკიდებული ის-,თუ როგორ დემოკრატიას ააშენებს საქართველო.ამ ნაკლის აღმოსაფხვრელად,ჩემი აზრით,ისევ და ისევ სახელმწიფომ უნდა იზრუნოს,ძლიერი სახელმწიფოებრივი ინსტიტუტების შექმნით და იმავდროულად არასახელმწიფო სექტოეის წახალისებით.ამასთანავე,ჩემი აზრით,ანგარიშგასაწევია ის ფაქტიც,რომ სამთავრობო სტრუქტურების მიერ ახალი კონცეფციების შექმნისას უნდა მოხდეს სამეცნიერო წრეების,ასევე მოსახლეობის სხვადასხვა ფენების მოსაზრებების გათვალისწინება,ანუ მთავრობამ აქტიურად უნდა გამოიყენოს ევროკავშირში აპრობირებული სოციალური დიაგნოსტიკის პრაქტიკა.

ამგვარად,ქვეყნის ეკონომიკურ ზრდასა და სტაბილურ განვითარებაზე,ასევე მიზანმიმართულ და მეცნიერულად ჩამოყალიბებულ სტრატეგიაზე დაფუძნებული სოციალური პოლიტიკა იქნება მხოლოდ მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდისა და თანამედროვე ცივილიზებული ქვეყნების ცხოვრების დონესტან მიახლოების გარანტი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. როუზენი ჰ.ს., საჯარო ფინანსები, ტომი პირველი, თბილისი, 2006.
2. ცერცვაძე ა., ხანთაძე გ., ვეკუა დ., სადაზღვევო საქმე თბილისი, 2015.
3. Welfare Economics, Editors Paul E. Weston, Robert N. Townsend, Nova Science Publishers, Inc. New York, 2008.
4. http://www.businessdictionary.com/definition/poverty.html გადამოწმებულ იქნა 07.10.2018

[3] http://geostat.ge/?action=page&p_id=199&lang=geo გადამოწმებული იქნა 16.11.2018.

5. https://www.ge.emb-japan.go.jp/files/japan_fact_sheet/Welfare.pdf გადამოწმებული ქნა 20.11.2018.
6. http://geostat.ge/?action=page&p_id=199&lang=geo გადამოწმებული იქნა 16.11.2018.

■■■■

სოციალური სექტორის ეკონომიკა
Social Sector Economy

ავტორი - **ეთო ჯანაშია, გიორგი გეგეჭკორი,** *ხელმძღვანელი* - **პროფ. ვალერი მოსიაშვილი,** საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი.

Author - **Eto Janashia, Giorgi Gegechkori,** *Supervizor –Prof.* **Valeri Mosiashvili,** Georgian National University.

Social progress is due to economic growth. Economists are critically evaluating or drifting economically and socially well from each other. There are other opinions on which many research has been conducted, based on research, we can discuss the relationship between economic growth and social indicators. Social progress is a prerequisite for economic advancement and its neglect may lead to undesirable consequences. It is noteworthy that the priority of social issues is relatively large compared to economics in both developed and developing countries. Based on the survey, education, access, health care, and safety of financial well-being are put forward. If the specific country takes into consideration the results of the Social Progress Index and the priorities in the decision-making process, it will necessarily reflect on the welfare of the citizens and, on the other hand, will provide serious political dividends. The same can be done with corporate social campaigns in the business sector: Targeted social activities increase awareness of organizations and attract more loyal customers.

In the last decade, Georgia's economy has grown significantly, mainly due to the inflow of direct foreign investments, increased foreign debt and large volumes of migrants. These factors contributed to a sharp increase in bank lending, as a result of the increase in internal demand in the country, which largely contributed to the increase in imports. In the given period there was an inadequate growth of the economy. No new jobs have been created, developing new and high-tech industries with direct foreign investments, which has significantly reduced competitiveness and integration of the country's economy into a global and regional context. Georgia's social economic policy is based on three main principles. The first principle is to provide a fast and effective economic growth oriented towards the development of a real (manufacturing) sector of the economy. The second principle is to carry out economic policies that support inclusive economic growth. The third basic principle is the rational use of natural resources in the economic development process, ensuring ecological safety and sustainability and preventing risks of natural cataclysms. The economic efficiency of the insurance is reflected in the state's exemption from

additional financial expenditures that will compete for the consequences of adverse events. In the market economy, the state can not be the only advocate of the risks of entrepreneurs and individuals.Due to the socio-democratic values of Georgia's progressive forum is the priority of formation of an educational system that is equally available to all Georgian citizens. Equitable access to education enables people to become free and independent citizens and plays an important role in both private and public well-being. Education is a fundamental factor of development and it is impossible to sustain sustainable economic development without investing in human capital. Only the strong and socially equitable educational system can be solved in the country's social, cultural and economic challenges. It should be noted that in the educated society there is a high sense of civic self-consciousness. Educational system should be established in the country that provides quality and access to education at all stages of education (general, professional and higher). There is a great potential for Georgia's development and competitiveness. This is achieved by eliminating the challenging factors of competitiveness and taking into account the perspectives of development that the country has at this stage. The high rate of economic growth, the results of which will be available to the wider layer of the population, the competitive private sector will provide.

Keywords: social progress, social economy, insurance efficiency, risk, socio-democratic value

სოციალურ პროგრესს ეკონომიკური ზრდა განაპირობებს. ეკონომისტები კრიტიკულად აფასებენ ან საერთოდ მიჯნავენ ეკონომიკურ და სოციალურ კეთილდღეობას ერთმანეთისგან. არსებობს სხვა მოსაზრებებიც, რომლის საფუძველზე ჩატარებულია უამრავი კვლევა, კვლევის საფუძველზე კი შეგვიძლია ვიმსჯელოთ ეკონომიკურ ზრდასა და სოციალურ ინდიკატორებს შორის კავშირზე.აღსანიშნავია, რომ სოციალური საკითხების პრიორიტეტულობა ეკონომიკურთან შედარებით მნიშვნელოვნად დიდია როგორც განვითარებულ, ასევე განვითარებად ქვეყნებში. გამოკითხვის საფუძველზე ფინანსურ კეთილდღეობაზე წინ განათლებას, დაზღვევას, ჯანდაცვას და უსაფრთხოებას აყენებენ.

საქართველოს სოციალურ ეკონომიკური პოლიტიკა ემყარება სამ უმთავრეს პრინციპს. პირველი პრინციპი ეკონომიკის რეალური სექტორის განვითარებაზე ორიენტირებული სწრაფი და ეფექტიანი ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფაა. მეორე პრინციპია ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის ხელშემწყობი ეკონომიკური პოლიტიკის გატარება. მესამე ძირითად პრინციპს ეკონომიკური განვითარების პროცესში ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება, ეკოლოგიური უსაფრთხოებისა და მდგრადობის უზრუნველყოფა და ბუნებრივი კატაკლიზმების რისკების თავიდან აცილება წარმოადგენს. საქართველოს პროგრესული ფორუმი მიიჩნევს, რომ ჯანმრთელობა წარმოადგენს ადამიანის ფუნდამენტურ უფლებას და სახელმწიფო ვალდებულია თითოეული მოქალაქე უზრუნველყოს ეფექტური და ხარისხიანი სამედიცინო მომსახურებით. ამიტომაც, ორგანიზაცია თვლის, რომ აუცილებელი იყო ქვეყანაში არსებული ჯანდაცვის სისტემის რეფორმირება და საყოველთაო ჯანდაცვის პრინციპებზე დაყრდნობით და საერთაშორისო გამოცდილების გათვალისცინებით, ხარისხიანი და ხელმისაწვრომი სისტემის შექმნა, რომლის ძირითადი ამოცანებიც იქნებოდა სამედიცინო მომსახურებაზე თანაბარი ხელმისაწვდომობის მიღწევა, სამედიცინო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება, პაციენტის უფლებების დაცვა, დაავა-

დებათა პრევენცია, ეპიდემიებსა და კატასტროფების რისკების და მათზე საპასუხო რეაგირებისადმი მზადყოფნა, ჯანდაცვის მართვის სისტემების სრულყოფა და სექტორის სრული მოდერნიზაცია.

დაზღვევის ეკონომიკური ეფექტიანობა ვლინდება სწორედ სახელმწიფოს გათავისუფლებაში დამატებითი ფინანსური ხარჯებისაგან, რომელიც გაიწევა არახელსაყრელი მოვლენების შედეგების კომპენსაციისათვის. საბაზრო ეკონომიკაში სახელმწიფო ვერ იქნება როგორც მეწარმეების, ასევე ცალკეული ადამიანების სხვადასხვა რისკებისაგან ერთადერთი დამცველი.

სოციალ-დემოკრატიული ღირებულებებიდან გამომდინარე საქართველოს პროგრესული ფორუმისათვის პრიორიტეტულია ქვეყანაში ისეთი საგანმანათლებლო სისტემის ფორმირება, რომელიც თანაბრად ხელმისაწვდომია საქართველოს ყველა მოქალაქისთვის. თანაბრად ხელმისაწვდომი განათლება შესაძლებლობას აძლევს ადამიანს ჩამოყალიბდეს თავისუფალ და დამოუკიდებელ მოქალაქედ და მნიშვნელოვან როლს თამაშობს, როგორც კერძო, ასევე საზოგადოებრივი კეთილდღეობის შექმნაში. განათლება განვითრების ფუნდამენტური ფაქტორია და ადამიანურ კაპიტალში ინვესტირების გარეშე შეუძლებელია მდგრადი ეკონომიკური განვითრების მიღწევა. მხოლოდ ძლიერი და სოციალურად სამართლიანი საგანმანათლებლო სისტემის პირობებშია შესაძლებელი ქვეყანაში არსებული სოციალური, კულტურული და ეკონომიკური გამოწვევების გადაჭრა. აღსანიშნავია, რომ განათლებულ საზოგადოებაში მაღალია სამოქალაქო თვითშეგნება. ქვეყანაში უნდა შეიქმნას საგანმანათლებლო სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს განათლების ხარისხსა და ხელმისაწვდომობას განათლების ყველა საფეხურზე (ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი). სოციალური პროგრესის ინდექსის არქიტექტურა სამ განზომილებაში იშლება:

1. **ადამიანის ბაზისური საჭიროებები**, რაშიც გაერთიანებულია შემდეგი კომპონენტები: კვება და პირველადი სამედიცინო დახმარება; ჰაერი, წყალი და სანიტარული ნორმები; საცხოვრისზე ხელმისაწვდომობა; პერსონალური უსაფრთხოება.

2. **კეთილდღეობის საფუძვლები**, რაც გაზომილია ბაზისურ განათლებაზე, ინფორმაციასა და საკომუნიკაციო არხებზე ხელმისაწვდომობით, მდგრადი ეკოსისტემის, ჯანმრთელობისა და ჯანსაღი ცხოვრების დონით.

3. **შესაძლებლობები,** რაც გულისხმობს ადამიანის უფლებებს, უმაღლეს განათლებაზე ხელმისაწვდომობას, არჩევანისა და თავისუფლების ხარისხს, თანასწორობასა და ჩართულობას.სოციალური პროგრესის ინდექსი, მიუხედავად იმისა, რომ საერთოდ არ იყენებს ტრადიციულ ეკონომიკურ ინდიკატორებს, საშუალებას გვაძლევს განვითარება დავინახოთ ახალ პრიზმაში, ზუსტად დავადგინოთ ქვეყნის კეთილდღეობის განმსაზღვრელი ფაქტორები და კონკრეტული ცვლადების გაუმჯობესებით მივაღწიოთ მდგრად და უწყვეტ განვითარებას.თუ კონკრეტული ქვეყანა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში გაითვალისწინებს სოციალური პროგრესის ინდექსის შედეგებს და პრიორიტეტებს შესაბამისად დასახავს, ეს, ერთი მხრივ, აუცილებლად აისახება მოქალაქეების კეთილდღეობაზე და, მეორე მხრივ, სერიოზული პოლიტიკური დივიდენდების მომტანი იქნება. იმავე წარმატებით შეიძლება დაიგეგმოს კორპორაციული სოციალური კამპანიები ბიზნესსექტორში: მიზანმიმართული სოციალური აქტივობები ორგანიზაციების ცნობადობას

ზრდის და მეტ ლოიალურ მომხმარებელს იზიდავს. არასამთავრობო სექტორისთვის კი ამ ინდექსის შედეგებზე ორიენტირი ვიტალური მნიშვნელობისაა. ის პირდაპირ ეხმიანება მათ ძირითად საქმიანობას და შედეგებს გლობალურად ზომავს.

განათლება

ძნელია, თანამედროვე ცივილიზებული საზოგადოება განათლების გარეშე წარმოვიდგინოთ-.ვიცით, რომ "ცოდნა-ძალაა" და ამ ძალას მოკლებული ადამიანი უძლური იქნება ორიენტირება იპოვოს წინააღმდეგობებით აღსავსე XXI საუკუნეში. საინტერესოა, რა ფუნქცია აკისრია განათლებას.ჩვენ უნდა შეგვძლოს განათლების საზოგადოებასთან დაკავშირება და მათი ერთად განხილვა, რადგან ეს ანალიზის უკეთეს საშუალებას მოგვცემს განვითარებისთვის. განათლების როლზე საქართველოს, როგორც ქვეყნის, კონკურენტუნარიანობის შეფასებაში ძალიან საინტერესო ინფორმაციას იძლევა კონკურენტუნარიანობის ინდექსი (GCI). ეს ინდექსი ახდენს იმ ფაქტორების ანალიზს, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყანაში ბიზნესკლიმატის შექმნასა და მწარმოებლურობისა და კონკურენტუნარიანობის ზრდაში.თუ ცალკეული მიმართულებების მიხედვით გადავხედავთ, სიტუაცია ასეთია: ჯანდაცვისა და დაწყებითი განათლების კომპონენტში საქართველოს საკმაოდ მაღალი ქულა აქვს პირველადი განათლების კუთხით .

ჯანდაცვა

ჯანდაცვის ეკონომიკა შეისწავლის ჯამრთელობის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად შეზღუდული რესურსების ოპტიმალური გამოყენებით მაქსიმალური შედეგების მიღწევას. იგი არის მკაცრად ჩამოყალიბებული ლოგიკური სისტემა, რომლის მიზანია ჯანდაცვის მუშაკებს, ხელმძღვანელ პირებს და საერთოდ საზოგადოებას დაეხმაროს არსებული რესურსების ოპტიმალურად გამოყენებაში.ჯანდაცვის სექტორიც მოითხოვს გარკვეული არჩევანის გაკეთებას: რა სამედიცინო და მომსახურება ვაწარმოოთ? როგორ რავაწარომოოთ სამედიცინო მომსახურება?ეს კითხვები დაკავშირებული ალოკაციურ ეფექტურობასთან ანუ რა რესურსების განაწილების ყველაზე საუკეთესო გზა მოხმარების სხვადასხვა გამოყენებიდან?

ჯანდაცვის მსოფლიო ბაზარი რამდენიმე სეგმენტად იყოფა: 1.სამედიცინო საქონლის სეგმენტი - სამკურნალო საშუალებებისა და სამედიცინო ტექნიკის ბაზრები . 2. სამედიცინო და სასწავლო-- საგანმანათლებლო მომსახურების სეგმენტი სამედიცინო მომსახურების სეგმენტი შედგება სამი ნაწილისგან

- სასწრაფო და გადაუდებელი სამედიცინო დახმარება
- დაავადებათა მკურნალობა
- პროფილაქტიკა

დაზღვევა

ზოგადად, ჯანმრთლობის სოციალური დაზღვევვის სისტემებში დაზღვევა სავალდებულოა. განსაზღვრული მოსახლეობისთვის. ჩვეულებრივ, სანამ მთელ მოსახლეობაზე გავრცელდებოდა. ჯამრთელობის სოციალური დაზღვევა, ბევრმა ქვეყანამ განვლო გზა არსებული, დამქირავებ-

ლებზე დაფუძნებული სადაზღვევო სადაზღვევო სქემიდან სავალდებულო სქეიმისაკენ სპეციფიური დასაქმების ჯგუფებისათვის (როგორიცაა სახელმწიფო მოხელეები, მრეწველობის მუშაკები)

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ასათიანი.მ ჯანმრთელობის დაზღვევის მოთხოვნდა და მიწოდება,
2. საზოგადოებრივი ჯანდაცვის სკოლა თბილისი 2008წ
3. http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0ekonomik--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-------0-1l--11-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8-00&cl=CL4.1&d=HASH3be4aa50d695fefe16d112.5&gt=1
4. https://mof.ge/images/File/Georgia-The%20Outlook_GEO_Jan-2018.pdf

■■■■

იმერეთის რეგიონის მოსახლეობის დინამიკა 2008-2017 წლების მონაცემების მიხედვით

Dynamics of imereti region population according to data 2008-2017

ავტორი - **მერკვილაძე ქეთევან, ოქროპილაშვილი ციცინო,** *ხელმძღვანელი - ასოც. პროფ.* **აკაკი ბაკურაძე,** აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
*Author - **Ketevan Merkviladze, Tsitsino Okropilashvili,** Supervizor – Assoc. Prof. **Akaki Bakuradze,** Akaki Tsereteli State University.*

Constant shift and renewal of human generations, so procreation of population is constantly going on earth. The natural increase shows what connection is between birth and mortality indicators in a certain period of time. Two directions of studying regional demographic problems are allocated in Georgia. The first studying the differences and peculiarities of the development of individual demographic processes in the regional context whereas the second the demographic situation in a separate region.
The goal of the topic: considering of demographic peculiarities of the population in Imereti region. The aggravation of the demographic situation is clearly demonstrated in such indicators, such as decreased birth rate, mortality growth, and logical outcome, the fall of natural growth rates, which finds its final expression in the depopulation.
Keywords: population, procreation, natural increase, region, demography, depopulation.

იმერეთის რეგიონის მოსახლეობის დინამიკა 2008-2017 წლების მიხედვით

დედამიწაზე ადამიანის თაობათა მუდმივი ცვლა და განახლება, ანუ მოსახლეობის აღწარმოება მიმდინარეობს. ბუნებრივი მატება გვიჩვენებს, რა მიმართებაა შობადობისა და სიკვდილიანობის მაჩვენებლებს შორის დროის გარკვეულ მონაკვეთში. დაბალი ან უმნიშვნელო მატებისას იმაზე ოდნავ მეტი ადამიანი იბადება, ვიდრე კვდება - მოსახლეობის როდენობა თითქმის არ იცვლება, ოდნავ იმატებს, ამიტომ თაობათა ასეთ აღწარმოებას მარტივს უწოდებენ. თაობათა ცვლის მეორე სახეა გაფართოებული აღწარმოება. იგი ბუნებრივი მატების მაღალ მაჩვენებელს გულისხმობს. განსაკუთრებით მკვეთრი და სწრაფი მატება დაიწყო XX საუკუნის მეორე ნახევრიდან აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის განვითარებად ქვეყნებში. ამ პროცესს ხატოვნად ,,დემოგრაფიული აფეთქება“ უწოდეს. არსებობს აღწარმოების მესამე ტიპიც - შეზღუდული. ამგვარი აღწარმოების დროს ნაკლები ადამიანი იბადება ვიდრე კვდება - მოსახლეობის რაოდენობა იკლებს.

საქართველოს დემოგრაფიული განვითარება და მიმდინარე დემოგრაფიულ პროცესთა ტენდენციები ქართველ დემოგრაფთა მიერ, ძირითადად, განხილულია ზოგადად, მთელი ქვეყნის მასშტაბით. ამ ფონზე, შედარებით ნაკლებადაა წარმოჩენილი რეგიონული დემოგრაფიის მიმართულებით შესრულებული გამოკვლევები. მიუხედავად ამისა, მაინც გამოიყოფა რეგიონული დემოგრაფიის პრობლემების შესწავლის ორი მიმართულება. პირველი შეისწავლის უშუალოდ ცალკეულ დემოგრაფიულ პროცესთა განსხვავების თავისებურებებს და თავისებურებებს რეგიონულ ჭრილში და მეორე უშუალოდ ცალკეულ რეგიონში არსებულ დემოგრაფიულ ვითარებას.

დემოგრაფიული ვითარების გაუარესება ჩვენს ქვეყანაში ჯერ კიდევ გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან დაიწყო, რომელიც 90-იანი წლების დასაწყისიდან აშკარა დემოგრაფიულ კრიზისში გადაიზარდა. დემოგრაფიული ვითარების გამწვავება ნათლად ვინდება ისეთ მაჩვენებლებში, როგორიცაა შობადობის კლება, მოკვდაობის ზრდა და როგორც ყოველივე ამის ლოგიკური შედეგი, მოსახლეობის ბუნებრივი მატების ტემპების დაცემა, რაც დეპოპულაციაში ჰპოულობს თავის საბოლოო გამოხატულებას.

საქართველოში მწვავე დემოგრაფიული ვითარების არსებობაზე, მრავალ სხვა გარემოებასთან ერთად, ისიც მეტყველებს, რომ შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტით მსოფლიოს საშუალოს ჩამოვრჩებით 1,4-ჯერ, მათ შორის განვითარებად რეგიონებს 1,5-ჯერ, ხოლო ეკონომიკურად ძალიან სუსტად განვითარებულ ქვეყნებს 2,6-ჯერ. დღეისათვის საქართველოში მწვავედ დგას არა მარტო მეორე, არამედ პირველი შვილის გაჩენის პრობლემაც. ამის ნათელი მაჩვენებელია ცოცხლად დაბადებულ ბავშვთა დაბადების რიგითობის სტრუქტურაში მიმდინარე რადიკალური ცვლილებები.

ასეთია დემოგრაფიული განვითარების საერთო ტენდენციები საქართველოში. რაც შეეხება ქვეყნის რეგიონებს, ამ მხრივ თითოეულ მათგანში გარკვეული თავისებურებები შეინიშნება,რომელიც ასახულია ქვემოთ მოტანილ ცხრილში :

მოსახლეობის რიცხოვნობა რეგიონებისა და თვითმმართველი ერთეულების მიხედვით, 1იანვრის მდგომარეობით (ათასი კაცი)

რეგიონი თვითმმართველი ერთეული	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018
საქართველო	3847,6	3829	3799,8	3773,6	3739,3	3718,4	3716,9	3721,9	3728,6	3726,4	3729,6
თბილისი	1103	1105,4	1100	107,7	1091,2	1092	1101,2	1115,7	1132	1145,5	1158,7
აბხაზეთის არ	1,5	–	–	–	–	–	–	–	–	–	–
აჭარის არ	333	332	333	332	332	333	333	337	340	343	346
გურია	118	118	117	117	116	115	114	113	112	112	111
იმერეთი	582	576	569	559	551	543	538	531	524	514	507
კახეთი	335	332	329	326	323	321	320	319	318	316	315
მცხეთა-მთიანეთი	93,1	92,1	92,5	93,1	93,4	93,5	94,1	94,1	94,1	93,9	93,9
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	37,9	37,3	36,3	35,4	34,4	33,5	32,7	32,2	31,5	30,8	30,2
სამეგრელო-ზემო სვანეთი	379	374	365	357	347	340	335	332	328	324	321
სამცხე-ჯავახეთი	173	172	170	167	165	163	162	160	159	157	156
ქვემო ქართლი	421	424	423	423	422	421	423	425	428	430	432
შიდა ქართლი	271	267	266	266	265	264	264	263	262	260	259

წყარო: საქსტატი

ცხრილში მოცემულია მოსახლეობის რიცხოვნობა რეგიონების და თვითმმართველი ერთეულების მიხედვით 2008-18 წლების პირველი იანვრის მდგომარეობით. ცხრილი ცხადყოფს, რომ თბილისი ყველა წლებში ამ მხრივ ლიდერობს. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ იმერეთი მეორე ადგილს იკავებს, თუმცა ყოველწლიურად რეგიონში მოსახლეობის კლების ტენდენცია შეინიშნება.

იმ ფაქტორთა შორის,რომელთაც ძალუძთ როგორც საქართველოში მთლიანად, ისე მის თითოეულ რეგიონში დემოგრაფიული ვითარების რამდენადმე მაინც გაჯანსაღება, აღსანიშნავია - ოჯახში ოპტიმალური ოდენობით ბავშვთა ყოლის მოთხოვნილების ფორმირება და შესაბამისი რეპროდუქციული განწობისა და ქცევის ჩამოყალიბება. მეტწილად ობიექტური ფაქტორებით განპირობებულობის გამო, ეს უაღრესად ძნელად მისაღწევი და შედეგის მოგვიანებით მომტანი, მაგრამ ამავე დროს შობადობის ოპტიმიზაციის ყველაზე ეფექტიანი მიმართულებაა; მოსახლეობის რიცხოვნობის გადიდების მატერიალური სტიმულირება, რომელშიც ძირითადად შობადობის გაზრდისათვის სახელმწიფოს მხრივ ერთჯერადი და ყოველთვიური ფულადი დახმარების გაწევა იგულისხმება.

ამ საკითხზე მსჯელობისას არ უნდა დაგვავიწყდეს ერთი საგულისხმო გარემოებაც, კერძოდ ის, რომ შობადობის მატერიალურ სტიმულირებასა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას რეალური შედეგის მოტანა შეუძლია საქართველოში და მისნაირ მდგომარეობაში მყოფ სხვა ქვეყანაში, მაგრამ არა გერმანიაში, საფრანგეთში,იტალიაში, შვედეთსა თუ სხვა ეკონომიკურად მაღალ განვითარებულ ქვეყნებში. ეს იმით აიხსნება, რომ ჩვენთან ოჯახში შვილების მოსალოდნელი რიცხოვნობა საგრძნობლად ჩამორჩება მის სასურველ რიცხოვნობას, ეკონომიკური ხელმოკლეობის მიზეზით, შვილების სასურველი ოდენობით გაჩენა - აღზრდისგან თავის შეკავების გამო. მდიდარ ქვეყნებში კი ოჯახში,

როგორც წესი, იმდენი შვილი ჰყავთ, რამდენიც სურთ და ეს ორი მაჩვენებელი მეტწილად ემთხვევა ერთმანეთს. აქედან დასკვნა : მატერიალური სტიმულირების მოქნილი სისტემის გამოყენებასა და კეთილდღეობის ამაღლებას ყველგან და ყოველთვის არა, მაგრამ ჩვენს კონკრეტულ პირობებში ნამდვილად შეუძლია შობადობის გადიდების უაღესად რეალური რეზერვის ამოქმედება; - საცხოვრისით უზრუნველყოფა. ცხადია, ოჯახები, რომლებიც განიცდიან საცხოვრებელი ფართის დეფიციტს და რამდენიმე თაობის წარმომადგენლებს ერთ ოჯახად უწევთ ცხოვრება, ამ ვითარებასთან დაკავშირებული სირთულეების გამო, დიდი სურვილის არსებობის შემთხვევაშიც თავს იკავებენ მრავალშვილიანობისგან და კმაყოფილდებიან ერთი ან ორი შვილით. ამ პრობლემის გადაჭრა სახელმწიფოს პრეროგატივაა, რაც ნათლად უნდა აისახოს მის სამოქმედო პროგრამაში.

ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნობა რეგიონებისა და თვითმმართველი ერთეულების მიხედვით :

რეგიონი თვითმმართველი ერთეული	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017
საქართველო	52,442	56,568	55,230	51,565	49,969	49,657	60,635	59,249	56,569	53,293
თბილისი	17,072	17,852	17,382	16,133	15,481	15,180	18,048	17,509	16,784	14,906
აფხაზეთის არ	10	-	-	-	-	-	-	-	-	-
აჭარის არ	4,875	5,521	5,314	4,871	4,820	4,917	6,305	6,299	5,977	6,108
გურია	1,300	1,489	1,446	1,416	1,309	1,291	1,577	1,559	1,535	1,471
იმერეთი	7,056	7,821	7,851	7,312	7,129	6,874	8,593	8,515	7,784	7,574
კახეთი	4,086	4,386	4,263	3,999	4,105	4,185	5,261	5,212	4,870	4,722
მცხეთა--მთიანეთი	1,221	1,356	1,350	1,304	1,201	1,202	1,329	1,280	1,180	1,205
რაჭა--ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	258	296	306	296	266	256	379	367	327	341
სამეგრელო--ზემო სვანეთი	4,118	4,448	4,258	3,862	3,816	3,821	5,200	4,998	4,797	4,436
სამცხე-ჯავახეთი	2,476	2,494	2,370	2,333	2,243	2,224	2,315	2,268	2,349	2,178

ქვემო ქარ-თლი	6,456	7,013	6,875	6,478	6200	6,245	7,354	7,103	6,892	6,693
შიდა ქარ-თლი	3,514	3,892	3,815	3,561	3,399	3,462	4,274	4,139	4,074	3,659

წყარო : საქსტატი

ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნობის მიხედვითაც იმერეთის რეგიონი მეორე ადგილ-ზეა. საშუალოდ ყოველწლიურად იმერეთის რეგიონში 7650 ბავშვი ცოცხლად იბადება, რაც საერთო ცოცხლად დაბადებულთა რიცხვის 14%-ს შეადგენს.

გარდაცვლილთა რიცხოვნობა რეგიონებისა და თვითმმართველი ერთეულების მიხედვით :

რეგიო-ნი თვით-მმარ-თველი ერთე-ული	**2008**	**2009**	**2010**	**2011**	**2012**	**2013**	**2014**	**2015**	**2016**	**2017**
საქარ-თველო	50490	50794	51066	49818	49347	48564	49087	49121	50771	47822
თბი-ლისი	13416	12694	11622	12286	12456	12354	12403	12377	12720	11976
აფხა-ზეთის არ	17	-	-	-	-	-	-	-	-	-
აჭარის არ	3576	3464	3684	3280	3274	3290	3386	3475	3622	3480
გურია	1718	1768	1900	1974	1926	1910	1820	1786	1832	1861
იმერე-თი	8858	8892	9136	9018	8868	8694	8822	8725	9102	8733
კახეთი	5444	5316	5316	5338	4966	4922	5074	4957	5099	4806
მცხე-თა--მთია-ნეთი	1394	1338	1388	1438	1516	1420	1378	1464	1416	1370
რაჭა--ლე-ჩხუმი და ქვე-მო სვა-ნეთი	730	818	960	850	892	766	778	840	823	736
სამეგ-რე-ლო--ზემო სვანე-თი	4961	5956	6240	5476	5413	5346	5369	5397	5532	5119
სამ-ცხე-ჯა-ვახეთი	1990	2110	2384	2166	2162	2072	2067	2086	2053	1941

ქვემო ქარ-თლი	4484	4680	4730	4304	4438	4278	4377	4444	4855	4351
შიდა ქარ-თლი	3902	3758	3706	3688	3436	3512	3613	3570	3717	3449

წყარო : საქსტატი

აღსანიშნავის ის ფაქტი, რომ იმერეთის რეგიონი გარდაცვლილთა რაოდენობის მიხედვითც მეორე ადგილზე იმყოფება თბილისის შემდეგ. იმერეთის რეგიონში გარდაცვლილთა რაოდენობა დაახლოებით 8885 კაცია ყოველწლიურად, რაც საქართველოში გარდაცვლილთა წლიური მაჩვენებლის დაახლოებით 17%-ია.

რაც შეეხება ბუნებრივ მატებას, ეს არის მოსახლეობის რაოდენობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელი, რომელიც გაიანგარიშება, როგორც სხვაობა შობადობისა და მოკვდაობის ზოგად კოეფიციენტებს შორის. თუ სხვაობა დადებითია, ბუნებრივი მატების კოეფიციენტიც შესაბამისად დადებითი იქნება და პირიქით.

ბუნებრივი მატება რეგიონების მიხედვით :

რეგი-ონი	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017
საქარ-თველო	1952	5774	414	1747	622	1093	11548	10128	5798	5471
თბი-ლისი	3656	5158	5760	3847	3025	2826	5645	5132	4064	2930
აფხა-ზეთის არ	-7	-	-	-	-	-	-	-	-	-
აჭარია არ	1299	2057	1630	1591	1546	1627	2919	2824	2355	2628
გურია	-418	-279	-454	-558	-617	-619	-243	-227	-297	-390
იმერე-თი	1802	1071	1285	1706	1739	1820	-229	-210	1318	-1159
კახეთი	1358	-930	1053	1339	-861	-737	187	255	-229	-84
მცხე-თა--მთია-ნეთი	-173	18	-38	-134	-315	-218	-49	-184	-236	-165
რაჭა--ლე-ჩხუმი და ქვე-მო სვა-ნეთი	-472	-522	-654	-554	-626	-510	-399	-473	-493	-395
სამეგ-რე-ლო--ზემო	-843	1508	1982	1614	1597	1525	-169	-399	-735	-638

სვანეთი										
სამცხე-ჯავახეთი	486	384	-14	167	81	152	248	182	296	237
ქვემო ქართლი	1972	2333	2145	2174	1762	1967	2977	2659	2037	2342
შიდა ქართლი	-388	134	109	-127	-37	-50	661	569	357	210

წყარო : საქსტატი

ცხრილში წარმოდგენილია ბუნებრივი მატების მაჩვენებლები ბოლო 10 წლის განმავლობაში საქართველოს რეგიონების მიხედვით. მონაცემების მიხედვით უმეტეს რეგიონში ბუნებრივი მატების კოეფიციენტი უარყოფითია, რაც იმის მაჩვენებელია, რომ ამ რეგიონებში გარდაცვლილთა რიცხვი სჭარბობს დაბადებულთა რიცხვს.

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, მართალია, დღესდღეობით შობადობის ზოგადი კოეფიციენტი ქვეყანაში მოსახლეობის მარტივი აღწარმოების დონესთან ახლოს იმყოფება, მაგრამ უკანასკნელ წლებში შეიმჩნევა მისი კლების ტენდენცია. შობადობის სფეროში არსებულ მდგომარეობას ართულებს არასტაბილური დასაქმება, უმუშევრობა, ოჯახთა არასაკმარისი შემოსავლების პირობებში საცხოვრებლისა და ბავშვის მოვლა - მომსახურების მიუწვდომლობა. 2050 წლისათვის საქართველოს მოსახლეობა შესაძლოა 28%-ით ანუ 1,1, მილიონ ადამიანზე მეტით შემცირდეს. ეს ძირითადად ეთნიკურ ქართველებს შეეხებათ. მოსალოდნელი დემოგრაფიული კატასტროფების თავიდან ასაცილებლად აუცილებელია ზომების დაუყოვნებლივ მიღება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. http://mastsavlebeli.ge/?p=1042&fbclid=IwAR2tGPVPtQk-IO0DLsyY6H1rtzV60D9m1S3LVYo5nZPWz9h6WYoesQ3Z-EY
2. https://bpn.ge/finansebi/44887-saqarthveloshi-mosakhleobis-raodenoba-gaizarda.html?device=xhtml&lang=ka-GE&fbclid=IwAR1bvcbcYqo-SKvluZbgJ1sZreBTsl0Xf5DDcRqWqo_zWMRWo_yTtvYRKPY
3. https://at.ge/2018/08/17/demografia/?fbclid=IwAR3kkvNo2FBQEJi3drzZsXlnl6I_pCbci1axi9NJc5paYc3l2P4tMOWJTn0
4. http://geostat.ge/

■■■■

ადგილობრივი თვითმმართველობის როლი ინოვაციურ საქმიანობაში
The role of local self-government in innovative activity

ავტორი - **კუჭუხიძე ნანი,** *ხელმძღვანელი* - ასოც. პროფ. აზა იფშირაძე, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
Author - **Nani Kutchukhidze,** *Supervizor* – Assoc. Prof. **Aza Ifshiradze,** *Akaki Tsereteli State University.*

The existence of strong democratic institutions in the regions is the key for the successful democratic reforms in the country. In this regard, the strong local self-government is the bases for the future democratic developments in the regions.

Local Self-government is the management and governance of local affairs by a local body or authority. Local government may be loosely defined as a public organization, authorized to decide and administer a limited range of public policies within relatively small territory which is a subdivision of a regional or national government. Local Government provides public amenities and services which are necessary for the convenience, healthful living and welfare of the individual and the community. Breaking down of municipal services means the entire dislocation of social and economic life of the community. If these services were suddenly to cease, we should relapse into chaos. Though at times, the self-government bodies especially in villages inflict a rule of man than a rule of law, we cannot deny the fact that they are the grassroots of our democracy.

The self-government in Georgia is organized according to the Constitution of Georgia and the Organic Law of Georgia on Local Self-Government, the latest version of which was adopted in 2014. In the Autonomous Republic of Adjara, it further regulated by the Constitutional Law of Georgia on the Status of the Autonomous Republic of Adjara. The Georgian law defines the breakaway entities of Abkhazia and South Ossetia as occupied territories, where the question of self-government should be resolved after the restoration of Georgian sovereignty.

The world experience of economic development has undoubtedly proved that the efficient and sustainable development of the business activities in the field of business is achieved at the expense of large scale innovations that provide the most advantageous, strategic competitiveness of the market.

Implementation of innovation policy requires the cooperation of numerous participants of the innovation system in advance directions, which is a difficult task to organize. Regional and local authorities play a decisive role here. Their functions are:

* Initiating the development of regional policy, its participation in the process of implementation and implementation of goals.

* Enhance Innovation Infrastructure Development. It can be expressed in the allocation and transfer of land plots and other real estate.

განვითარებულ და დემოკრატიულ სახელმწიფო მმართველობის სისტემაში ადგილობრივ თვითმმართველობას ერთ-ერთი უმთავრესი ადგილი უკავია, როგორც სახელმწიფოს უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ შემადგენელ ელემენტს. ქვეყნის შემდგომი განვითარებისთვის მნიშვნელოვანია ადგილობრივი თვითმმართველობის მკაფიოდ ჩამოყალიბებული პოლიტიკის და სტრატეგიის არსებობა. ჩვენს ქვეყანაში დღეისათვის შექმნილი ვითარების გათვალისწინებით დღის წესრიგში დგას ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმირება, რათა იგი შესაბამისობაში იქნას მოყვანილი ევროპულ სტანდარტებთან. ქვეყანაში უნდა ჩამოყალიბდეს ევროპულ ფასეულობებზე დაფუძნებული ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემა, რისთვისაც აუცილებელია ინოვაციური პროცესების განვითარების დაჩქარება.

ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარება ერთ-ერთ ძირითად ადგილს იკავებდა ნიკოლაძის სამოღვაწეო პროგრამაში. 1864 წელს რუსეთში „ერობის“ შემოღებამ ხელი შეუწყო რუსეთის საზოგადოებრივი ცხოვრების გაუმჯობესებას. ეს ცვლილება არ შეხებია საქართველოს, რაც ქართული ინტელიგენციის გულისწყრომას იწვევდა. შესაბამისად ნიკო ნიკოლაძე ეწეოდა ერობის საკითხების პროპაგანდას. ამ მხრივ საინტერესოა მისი წერილი „ერობა, მისი დანიშნულება და წესდება.“ ნიკო ნიკოლაძე აანალიზებდა საზოგადოების გამგეობის დაყოფას სოფლის, მაზრის და სახელმწიფოს გამგეობებად და აღნიშნავდა, რომ სოფლისა და მაზრის გამგეობათა საზოდაგოებას არანაირი უფლება არ ჰქონდა საკუთარი აზრის გამოთქმისა. რუსეთის შიდა გუბერნიებში მდგომარეობა უკეთესობისკენ შეიცვალა 1864 წელს, იმპერატორ ალექსანდრე II-ის ბრძანებით. ნიკოლაძე იმედს გამოთქვამდა საქართველოსაც შეეხებოდა ეს ცვილებები. საქართველოში საქალაქო თვითმმართველობების რეფორმების გატარება 1874 წელს დაიწყო. მესამე წოდებას საშუალება მიეცა აქტიურად ჩართულიყო ეკონომიკური ცხოვრების მოწესრიგების საქმეში.

ნიკოლაძე ერობის ყველაზე მნიშვნელოვან მიღწევად მიიჩნევდა „საერობო ბანკების: დაარსებას. ასეთი ბანკები მეტი ნდობითა და უფლებით გამოირჩეოდნენ. მათი შემწეობით მაღლდება ადგილობრივი მეურნეობა და აღებ-მიცემობა.

გარდა ადგილობრივი თვითმმართველობის შექმნის პროპაგანდისა ნიკო ნიკოლაძე ცდილობდა ამ ორგანიზმთა სრულყოფას, ამის გამო ის ხშირად აკრიტიკებდა ქალაქების თვითმმართველობების საქმიანობას, მან 1875 წელს თბილისის თვითმმართველობა დაადანაშაულა საბიუჯეტო ხარჯების არაპროპორციულ გადანაწილებაში დღევანდელ რეალობაში აშკარა არის ის ფაქტი რომ, ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარება მათ შორის ინოვაციური საქმიანობის ხელშეწყობა ვერ მოხდება ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტის სწორად და მიზანმიმრთულად ფორმირების გარეშე. რადგან, ადგილობრივი ფინანსების მთვარ რგოლს წარმოადგენს ადგილობრივი ბიუჯეტი. როგორც ცნობილია, ადგილობრივი ბიუჯეტების უმთავრეს წყაროს წარმოადგენს ტრანსფერი. მაგალითისათვის მოცემულ ცხრილებში მოყვანილია ქალაქ ქუთაისის ბიუჯეტისათვის გამოყოფილი ტრანსფერები და ბიუჯეტის შემოსავლები ბოლო სამი წლის მონაცემებით

ცხრილი №1

	2016 წ.	**2017 წ.**	**2018 წ.**
მიზნობრივი ტრანსფერი	220 000	220 000	220 000

გათანაბრებითი ტრანსფერი	21 278 000	19 578 000	25 678 000
სპეციალური ტრანსფერი	12 816 000	8 899 000	511 000

ცხრილი №2

ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები		
2016	*2017*	*2018*
69 098	*67 932*	*54 070*

ქ.ქუთაისის **შემოსავლების** ანალიზი გვაძლევს იმის თქმის საშუალებას რომ ქ.ქუთაისის ბიუჯეტის შემოსავლები განიცდის ქრონიკულ დეფიციტს.

$$y = \frac{\sum Y}{n} = \frac{59\ 747\ 000 + 59\ 305\ 000 + 48\ 321\ 000}{3} = 55\ 791\ 000$$

შესაბამისად 2016-2018წ საშუალოდ წელიწადში შემოსავლები შეადგენდა 55791000 ლარს.

ცხრილი 3

წლები	მატება(კლება)
2016 – 2017	Δ_1=59 305 000-59 747 000= -442 000
2017 – 2018	Δ^2=48 321 000-59 305 000= -10 984 000
სულ	∑Δ= -5 713 000

ესე იგი 2016-2018 წლებში ქუთაისის მუნიციპალიტეტის შემოსავლების საშუალო წლიური აბსოლუტური კლება შეადგენს 5 713 000 ლარს.

იმ ფონზე , როდესაც ადგილობრივი ბიეუჯეტი დინამიკაში ზრდის ნაცვლად აბსოლუტურ საშუალოწლიურ კლებას განიცდის ძნელია ილაპარაკო ინოვაციურ განვითარებაზე. 1995 წლის საქართველოს კონსტიტუცია ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხებს ძალზედ მწირედ განსაზღვრავდა, მას შემდეგ საქართველომ მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია ადგილობრივი თვითმმართველობების ინსტიტუტების ხელახლა ფორმირებაში. ამის მიუხედავად, როგორც ვხედავთ, მუნიციპალიტეტები ჯერ კიდევ სუსტები არიან ბევრი მიზეზის გამო.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საქართველომ ხელი მოაწერა ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპულ ქარტიას, რომლის მეშვეობითაც უნდა მოხდეს ადგილობრივი თვითმმართველობების დემოკრატიის გაუმჯობესება და მოსახლეობისთვის საზოგადოებრივი სერვისების მიწოდების უზრუნველყოფა.

2018 წლის 5 მარტს საქართველოს პარლამენტის სხდომათა დარბაზში ადგილობრივი თვითმმართველობის სტრატეგიული ხედვის პრეზენტაცია გაიმართა, საქართველოს პარლამენტისა და მთავრობის მიერ შემუშავებული დეცენტრალიზაციისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ახალი ეროვნული ხედვა მეტ შესაძლებლობებს ანიჭებს ადგილობრივ თვითმმართველობებს, როგორც გადაწყვეტილების მიღებაში ასევე ფინანსური რესურსების განკარგვის საკითხებში.

ამ ყველაფრის განხორციელება 2025 წლისთვის იგეგმება, შედეგად ადგილობრივ თვითმმართველობებს უნდა გაუჩნდეთ ყველა ბერკეტი ეკონომიკური და სოციალური საკითხების გადასაწყვეტად.

რაც შეეხება საინოვაციო პოლიტიკის განხორციელებას, რომლის გარეშეც წარმოუდგენელია რეგიონული განვითარება, მოითხოვს საინოვაციო სისტემის მრავალრიცხოვან მონაწილეთა თანამშრომლობას წინასწარ დასახული მიმართულებებით, რისი ორგანიზებაც რთული ამოცანაა. რადგან, ინოვაციური საქმიანობა - ეს არის სიახლეების დამუშავება და საქმიანობა სიახლეთა ძიების მატერიალიზაციის თვალსაზრისით. ინოვაციური საქმიანობის მეშვეობით ხორციელდება საზოგადოების ტექნოლოგიური განვითარების დაჩქარება, სამეცნიერო-ტექნოლოგიური პრეგრესის მთელი მიღწევების უსწრაფესი დანერგვა.

ინოვაციური პოლიტიკის მთავარი მიზანია ეკონომიკური, სამართლებრივი, ფინანსური და ორგანიზაციული პირობების შექმნა წარმატებული ინოვაციური საქმიანობის განხორციელებისათვის. აქ გადამწყვეტ როლს თამაშობს რეგიონული და ადგილობრივი ხელისუფლება. მათი ფუნქციებია:

* რეგიონული პოლიტიკის შემუშავების ინიცირება, მისი მონაწილეობა მიზნების დასახვაშემუშავებასა და შესრულებაში.

* საინოვაციო ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა (ტექნოპარკები, ბიზნეს-ინკუბატორები, საკონსულტაციო და ტექნოლოგიის გადაცემის ცენტრები, კერძო სექტორის და უნივერსიტეტების თანამშრომლობის სქემების განვითარება და სხვა). იგი შეიძლება გამოიხატებოდეს მიწის ნაკვეთებისა და სხვა უძრავი ქონების გამოყოფაში და გადაცემაში, ცენტრალურ ხელისუფლებასთან შუამდგომლობაში რეგიონული საკითხების ცენტრალიზებულ გეგმებში გათვალისწინების შესახებ და სხვა. რეგიონული პროექტების დაფინანსებაში მონაწილეობა. ამ მიმართულებით შესაძლებლობები დამოკიდებულია ქვეყნის ტიპებზე-თვითმმართელობის უფლებებზე. მაგალითად ფედერალური მოწყობის ქვეყანაში როგორიცაა გერმანია, მიწების საფინანსო და ფისკალური შესაძლებლობები გაცილებით დიდია ვიდრე პროვინციებისა ცენტრალიზებულ სახელმწიფოებში. ყვლა მიმართულებით რეგიონულ ინიციატივებს მხარს უჭერენ ევროპული და ეროვნული მრთვის ორგანოები. რეგიონული ხელისუფლების მხრიდან საინოვაციო პროცესების მხრიდან ხელისუფლების შესაძლებლობების შესაბამისად შეიძლება იყოს ხისტი ან რბილი. უნდა ავღნიშნოთ რომ ზემოთ ჩამოთვლილი ამოცანების შესრულება რეგიონული ხელისუფლებისგან მაღალ და სპეციფიურ კომპეტენციას მოითხოვს. ევროკავშირში ეს კომპეტენცია მიღწეულია როგორც კადრების შერჩევით ასევე მათი სისტემური გადამზადებით.

რეგიონული გეგმების შემუშავებასა და მათი შესრულების მონიტორინგში ადგილობრივ ხელისუფლებას ეხმარება რეგიონული კვლევითი სისტემა, პირველ რიგში - რეგიონული უნივერსიტეტები. სხვა სიტყვებით, კვლევითი სისტემა მონაწილეობს არა მარტო საინოვაციო ღონისძიებების შესრულებაში, არამედ მთლიანად სტრატეგიის შემუშავებაში. ადგილობრივი მმართველობა რეგიონული საინოვაციო პოლიტიკის ინიციატორია.

მეოცე საუკუნეში ის ქვეყნები განვთარდნენ რომლებმაც სახელმწიფო მართვა სამეცნიერო ექსპერიმენტზე დააფუძნეს, ხოლო ეკონომიკური პროცესები ინოვაციური გზით წარმართეს. ინოვაცი-

ის გზით განვითარება ნიშნავს საინოვაციო პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებას მართვის ყველა დონეზე - როგორც ქვეყნის, ასევე რეგიონის. ამ მიმართულებით საქართველოში რეგიონთან შედარებით ცენტრალური ხელისუფლების დონეზე უფრო მეტია გაკეთებული.

საქართველოს მთავრობამ რეგიონალური საინოვაციო სტრატეგია მიიღო უფრო ადრე, ვიდრე ქვეყნის ინოვაციის სტრატეგია. 2010 წელს მთავრობამ მიიღო დადგენილება „საქართველოს რეგიონული განვითარების 2011-2017 წწ. სახელმწიფო სტრატეგიის შესახებ". 2013 წელს საქართველოს ხელისუფლების დამოკიდებულება საინოვაციო გარემოს მიმართ სწრაფად შეიცვალა უკეთესობისკენ. პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს სტრატეგიებზე დაფუძნებული განვითარების აღიარება. თუმცა მიუხედავად ამ პოზიტიური ნაბიჯებისა დღემდე ნაკლებად შეიმჩნევა არსებითი წინსვლა რეგიონებში ინოვაციური განვითარების თვალსაზრისით.

მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც დადებით გავლენას მოახდენს საინოვაციო

გარემოზე ზოგადად, კერძოდ კი, რეგიონულ პოლიტიკაზე არის ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება, რომელშიც ყურადღების ცენტრშია კვლევისა და ინოვაციის საკითხები ეკონომიკის მრავალი მიმართულებით (სოფლის მეურნეობა, ენერგეტიკა, ტრანსპორტი, წიაღისეულის მოპოვება, მეთევზეობა , ზღვის პრობლემები და სხვა)

საჭიროა რომ მიმდინარე მოვლენებს რეგიონებმა თვალი ადევნონ და ახლადწარმოქმნილი შესაძლებლობები ეფექტიანად გამოიყენონ. რეგიონალური საინოვაციო პოლიტიკა ხომ რეგიონიების სოცლაიურ- ეკონომიკური განვითარების აუცილებელი წინაპირობაა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. კაკულია რ. გაბელაშვილი კ. - ფინანსების თეორია (2012)
2. ჩანტლაძე ვ. - ფინანსების თეორია
3. შატბერაშვილი ო. - საინოვაციო პოლიტიკა ევროკავშირსა და საქართველოში:
4. რეგიონული პოლიტიკა
5. https://www.inovdev.ge/uploads/files/94261Shatberashvili-2-CD-Stat..pdf
6. https://gita.gov.ge/geo/static/7

■■■■

თანამედროვე ეკონომიკური სისტემები და საქართველო

Modern economic systems and Georgia

ავტორი - ***მარიამ დენისაშვილი,*** ხელმძღვანელი - *ასისტ.- პროფ.* ***ნანა ლუხუტაშვილი,*** აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

Author - **Mariam Denosashvili,** Supervizor – Asist. Prof. ***Nana Lukhutashvili,*** Akaki Tsereteli State University.

On the basis of economic analysis and comparison there are reviewed the essence of the economic system, the criteria of the economic periodization, development stages of productive relationships. There are analyzed different types of economic system in the world: traditional, planned, market and mixed economic systems.

There is described economic system in Georgia and at the end of the article there is talked about that today the economic system of Georgia is based on private ownership, where a large part of the factor of production is in the hand of the citizens and not the "central planner". And on the agenda the problem of stabilization and further growth of the economy is raised.

საკვანძო სიტყვები: ეკონომიკური სისტემა, ეკონომიკური სისტემის კრიტერიუმები, ტრადიციული ეკონომიკური სისტემა, ადმინისტრაციულ-მბრძანებლური ეკონომიკური სისტემა; საბაზრო ეკონომიკური სისტემა; შერეული ეკონომიკური სისტემა;

Key words: Economic systems, Traditional economic system, market economy, Mixed economy; Planned economy

ეკონომიკური სისტემა საზოგადოების სამეურნეო ცხოვრების ორგანიზების წესია, რომლის ძირითად ნიშნებს წარმოადგენს ეკონომიკურ რესურსებზე საკუთრების ტიპი და ეკონომიკის მონაწილეთა კოორდინაციის, რეგულირების მექანიზმი. (სამადაშვილი 2009:54)

ეკონომიკური სისტემის პროცესი სათავეს უძველესი დროიდან იღებს და დღემდე გრძელდება. პროფ. ა. სისვაძე ეკონომიკის პერიოდიზაციის შემდეგ კრიტერიუმებს გამოყოფს: (სისვაძე 2006: 97).

- •პირველი - თვისებრივი ნახტომი - წარმოების საშუალებების განვითარებაში;
- •მეორე - წარმოებით ურთიერთობათა რევოლუციური ცვლა;
- •მესამე - რევოლუციური ცვლილებები ადამიანის ინტელექტისა და ცივილიზე-ბულობის დონეში.

აქედან გამომდინარე, წარმოებითი ურთიერთობის განვითარებაში გამოყოფენ სამ სტადიას:

- •**პრეინდუსტრიულ-აგრარული** (დომინირებდა ნატურალური წარმოება);
- •**ინდუსტრიული** (უკავშირდება XX საუკუნეში კორპორაციების ჩამოყალიბებას);
- •**პოსტინდუსტრიული** (განაპირობა მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის განვითარებამ).

ნებისმიერ ეკონომიკურ სისტემაში წარმოება თამაშობდა და თამაშობს მნიშვნელოვან როლს. ეკონომიკური სისტემის განვითარების თითოეულ სტადიაზე წარმოების ფაქტორები უცვლელი რჩებოდა. წარმოების ნებისმიერი დონე გარკვეულ ელემენტთა ერთობლიობას მოიცავდა, რომელშიც შედიოდა: სამუშაო ძალა, ბუნებრივი პირობები და წარმოების საშუალებები.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიუხედავად, ქვეყნების გარკვეული ნაწილი სწრაფად ვითარდება, ნაწილი კი კვლავ ჩამორჩენილია. შესაბამისად, მსოფლიოში ეკონომიკური სისტემის სხვადასხვა ტიპები ჩამოყალიბდა. კერძოდ, თანამედროვე ეკონომიკურ სისტემებს განეკუთვნება:

- ტრადიციული ეკონომიკა;
- ადმინისტრაციულ-მბრძანებლური ეკონომიკა;
- საბაზრო ეკონომიკა;
- შერეული ეკონომიკური სისტემა;

ეკონომიკურად ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში არსებობს **ტრადიციული ეკონომიკური სისტემა**. იგი ძირითადად ორიენტირებულია მოძველებულ ტექნოლოგიებისა და მართვის სხვადასხვა ფორმების გამოყენებაზე. ეკონომიკური სისტემის ეს ტიპი დაფუძნებულია კერძო საკუთრებაზე, მწარმოებლურ რესურსებზე და მფლობელის კერძო შრომაზე. იმ ქვეყნებში, სადაც ტრადიციული ეკონომიკური სისტემაა გავრცელებული, მცირე წარმოება წარმოდგენილია მცირერიცხოვანი ხელოსნებითა და გლეხებით, რომლებიც ეკონომიკაში დომინანტურ როლს ასრულებენ. სუსტად განვითარებულ ეროვნულ წარმოებაში უცხოურ კაპიტალს დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

ტრადიციული ეკონომიკური სისტემისთვის დამახასიათებელია სახელმწიფოს აქტიური როლი ეკონომიკაში, ბიუჯეტის შედგენისას შემოსავლების დიდი ნაწილი ხმარდება ინფრასტრუქტურას და სოციალურ დახმარებას მოსახლეობის ღარიბი ფენებისთვის.

ადმინისტრაციულ-მბრძანებლური სისტემის ძირითად დამახასიათებელ ნიშნებს უნდა მივაკუთვნოთ:

- საზოგადოებრივი (სინამდვილეში სახელმწიფო) საკუთრება პრაქტიკულად ყველა ეკონომიკურ რესურსზე;
- ეკონომიკის მონოპოლიზაცია და ბიუროკრატიზაცია;
- მეურნეობის ცენტრალიზებული დაგეგმვა და მართვა, როგორც ეკონომიკური მექანიზმის საფუძველი;
- წარმოების გიგანტური მონოპოლიზაციის შედეგად კონკურენციის ჩახშობა, რაც იწვევს პროგრესის შეფერხებას;
- რესურსებისა და პროდუქციის გათანაბრებითი განაწილება, რამაც ჩაკლა შრომის სტიმულები და დასცა ეფექტიანობა (ქვაჩახია....2000: 84).

საბაზრო ეკონომიკური სისტემა წარმოადგენს ყველაზე ეფექტურ სისტემას დღემდე ცნობილ ეკონომიკურ სისტემათა შორის. მას გააჩნია გარკვეული ღირსებები, რომელთაგან შეიძლება აღვნიშნოთ შემდეგი:

- საბაზრო ეკონომიკა ხელს უწყობს რესურსების ეფექტურ განაწილებას, რამდენადაც იგი რესურსებს წარმართავს იმ საქონლისა და მომსახურების წარმოებისაკენ, რომელიც საზოგადოებას ყველაზე მეტად სჭირდება.
- ხელს უწყობს წარმოების ახალი და უფრო ეფექტიანი ტექნოლოგიების შემუშავებასა და დანერგვას.
- საბაზრო ეკონომიკა ეყრდნობა პირადი თავისუფლების როლს. იგი ხელს უწყობს ნებაყოფლობითი თანამშრომლობის განვითარებას.

საბაზრო ეკონომიკაში მთავარი ფიგურაა მომხმარებელი, მეწარმე აწარმოებს იმას, რაც აუცილებელია მომხმარებლისთვის და ღებულობს მოგებას მისი მოთხოვნების მაქსიმალურად დაკმაყოფილების გზით. მის ფუნდამენტს წარმოადგენს: კერძო საკუთრება, კონკურენცია და ფასწარმოქმნის სისტემა.

საბაზრო ეკონომიკა წარმატებით წყვეტს სრული დასაქმების, ეკონომიკური ზრდის, ფასების სტაბილურობის, ეკონომიკური თავისუფლების, ეკონომიკური უსაფრთხოებისა და წონასწორობის პრობლემებს.

მსოფლიოში არსად არ არსებობს „წმინდა“ საბაზრო ეკონომიკა, სადაც ყველა საკითხი გადაწყდებოდა აბსოლუტურად თავისუფალ ბაზარზე. საბაზრო ეკონომიკის ნებისმიერი სახე წარმოადგენს **„შერეულს“,** რამდენადაც ნებისმიერ თანამედროვე საზოგადოებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს სახელმწიფო, გამოხატავს რა მთელი საზოგადოების ინტერესებს. (მაღლაკელიძე 2005:36)

იმ ქვეყნებში, სადაც შერეული ეკონომიკური სისტემა მოქმედებს, ბაზარი განსაზღვრავს ფასებისა თუ წარმოების დონეს, ხოლო სახელმწიფო მართავს ეკონომიკას გადასახადების, დაბეგვრისა თუ ფულად-საკრედიტო რეგულირების მეშვეობით. ასე რომ, ბაზრის ორივე მონაწილე - სახელმწიფო და ბაზარი - მნიშვნელოვან როლს თამაშობს ეკონომიკის ნორმალური ფუნქციონირებისათვის. შერეული ეკონომიკა, თავის თავში გულისხმობს სახალხო მეურნეობის პროპორციულობას, საბაზრო და სახელმწიფო რეგულირების ოპტიმალურ შეხამებას

(გოგოხია 2004: 11).

თანამედროვე შერეული ეკონომიკური სისტემა არც კაპიტალისტურს წარმოადგენს და არც სოციალისტურს. მასში სახელმწიფო და კერძო სექტორი ერთმანეთთან ურთიერთქმედებენ როგორც განუყოფელი ნაწილები ქვეყნის ეკონომიკური პრობლემების წარმატების გადასაჭრელად. სხვაგვარად რომ ვთქვათ, შერეული ეკონომიკური სისტემა არც სახელმწიფოებრივს წარმოადგენს და არც კერძოს, იგი ორივეს ნარევია.

ნებისმიერი ეკონომიკური სისტემის კლასიფიკაციის დროს ხაზი უნდა გავუსვათ იმ გარემოებას, რომ ეკონომიკური პრობლემის გადაწყვეტის ერთი, საყოველთაოდ მიღებული გზა არ არსებობს.

ეკონომიკური პრობლემების გადასაწყვეტად სხვადასხვა საზოგადოება სხვადასხვა ინსტიტუტების დახმარებას იყენებს. აქედან გამომდინარე, დღესდღეობით ყურადღება უნდა გავამახვილოთ ორი ტიპის ეკონომიკურ სისტემაზე.

პირველი ტიპის ეკონომიკურ სისტემას მიეკუთვნება ისეთი საბაზრო სისტემა, სადაც დამკვიდრებულია საკუთრების მრავალფეროვნება, ხოლო, თვით კერძო საკუთრება განმსაზღვრელ როლს თამაშობს. ამ ჯგუფს უნდა მივაკუთვნოთ საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნები ერთიმეორისგან განსხვავებული მოდელით.

მეორე ჯგუფს უნდა მივაკუთვნოთ ყოფილი სოციალისტური ქვეყნები, რომლებიც სხვადასხვა გზით ცდილობენ საბაზრო სისტემაზე გადასვლას, თუმცა ამ პროცესში მათ გარკვეული სიძნელეები გააჩნიათ.

საქართველოს აქვს ისტორია, სადაც ყველანაირი ეკონომიკური სისტემა არსებობდა:

- ფეოდალური
- 1917-1921 წლებში - შერეული
- 1921-1991 წლებში - ადმინისტრაციულ-მბრძანებლური
- 1991 წლიდან დღემდე - შერეული სისტემის ელემენტებით.

საქართველო ფეოდალური წყობისას ისევე ღარიბი იყო, როგორიც მსოფლიოს სხვა დანარჩენი ქვეყნების უდიდესი ნაწილი. XIX საუკუნის დასაწყისისათვის საქართველოში კვლავინდებურად დომინირებდა პატრიარქალური, საოჯახო მრეწველობა და სოფლის მეურნეობა. 30-იანი წლებიდან ინტენსიურად ვითარდებოდა ხელოსნობა, მევენახეობა, ვაჭრობა, გაჩნდა პირველი მანუფაქტურები, პირველი სააქციო საზოგადოებები. (შენგელია 2017:35)

1921 წლიდან საქართველოს ეკონომიკა იძულებით საბჭოთა ეკონომიკის განუყოფელ ნაწილად იქცა. საბჭოთა ეკონომიკა წარმოადგენდა XX საუკუნის პარადოქს. ყველა ხილული წარმატება მიღწეული იყო უდიდეს ფასად, მთელ დედამიწაზე წამყვანი საზოგადოების ილუზიის შესაქმნელად.

ლოზუნგით „დავეწიოთ და გავუსწროთ დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებს“, კონცენტრირდებოდა გიგანტური ფინანსური, მატერიალური და ადამიანური რესურსები. საბჭოთა ეკონომიკის მბრძანებლურ-ადმინისტრაციული მოდელი სრულად შეესაბამებოდა პოლიტიკურ რეჟიმს-აბსოლუტური ძალაუფლების, ერთი ადამიანის, ერთი იდეის, ერთი პარტიის, ერთი გეგმის რეჟიმს. წარმოების ზრდის ტემპების დაცემა და ამგვარი ეკონომიკური სისტემის აგონია თავის მხრივ იქცა ტოტალიტალური პოლიტიკური სისტემის შერყევისა და განადგურების მთავარი ფაქტორად. მიუხედავად ამისა, კომუნისტური პროპაგანდა საბჭოთა ეკონომიკას წარმოადგენდა, როგორც მზარდ ეკონომიკას, რომელიც დასავლეთის ქვეყნებს თითქმის არცერთ სფეროში არ ჩამორჩებოდა. რეალურად კი ეს იყო ეკონომიკა, რომელშიც მწარმოებელი არ იყო დაინტერესებული მოსახლეობის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებით, ხოლო მომხმარებელი შეზღუდული იყო თავის საჭიროებებში, რადგან სახალხო მოხმარების საქონელი მუდამ დეფიციტს წარმოადგენდა.

დროსთან ერთად საბჭოთა ეკონომიკამ არაეფექტურობისა და გამფლანგველობის გამო ეროზია განიცადა და საბოლოოდ დაინგრა.

გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან, საქართველო, ისევე როგორც პრაქტიკულად ყველა პოსტკომუნისტური სახელმწიფო, ეკონომიკური რეფორმების მანამდე უცნობ გზას დაადგა. სამწუხაროდ, საქართველოსათვის, სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით, ეს პროცესი განსაკუთრებულ სირთულეებთან იყო დაკავშირებული. არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ, უპირველეს ყოვლისა, არაეკონომიკური ფაქტორების გამო. უკანასკნელი 28 წლის განმავლობაში, საქართველომ გადაიტანა როგორც სამამულო, ასევე სამოქალაქო ომები, კრიმინოგენული ვითარების უკიდურესად გამწვავება, ენერგეტიკული და სატრანსპორტო ბლოკადები, რევოლუცია და ა.შ.

სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით, საქართველო ერთდროულად აშენებდა როგორც დამოუკიდებელ ეკონომიკურ სისტემას, ისე დამოუკიდებელ სახელმწიფოს. ეკონომიკური რეფორმების სწორად განხორციელების ალბათობა კი ამგვარ ვითარებაში დაბალი იყო, ამას აძლიერებდა ისიც, რომ მსოფლიოს სხვა ქვეყნებში შესაბამისი გამოცდილება არ არსებობდა.

ეკონომიკური რეფორმების განხორციელება საქართველოში რამდენიმე მიმართულებით დაიწყო. „შოკური თერაპიას" (1992 წ. თებერვალი), რომელიც გულისხმობდა ფინანსურ სტაბილიზაციას, ფასების ლიბერალიზაციას, ბიუჯეტის დეფიციტის შემცირებას, მკაცრი საკრედიტო პოლიტიკის გატარებას, ზომიერი საგადასახადო სისტემის დანერგვასა და სახელმწიფო ხარჯების შემცირებას, სამწუხაროდ, რაიმე განსაკუთრებული ეფექტი არ ჰქონია.

1995 წლიდან, საქართველოს ეკონომიკაში დიდი წარმატებების სამწლიანი ეტაპი დაიწყო. ქვეყანაში შეიქმნა საბაზრო ეკონომიკის პრინციპების შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა, ჩამოყალიბდა ორიარუსიანი საბანკო სისტემა, საგადასახადო და საბაჟო სამსახურები, მოხერხდა ფინანსური სტაბილიზაცია და საკუთარი ეროვნული ვალუტის შემოღება, აღდგენილ იქნა წესრიგი და საშემსრულებლო დისციპლინა, ძირითადად, დამთავრდა ე.წ. „მცირე პრივატიზაციის" პროცესი, განხორციელდა ფასების, ვაჭრობისა და საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობათა ლიბერალიზაცია. ყოველივე ამის საფუძველზე, ქვეყანაში ჩამოყალიბდა მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობისათვის ელემენტალურად აუცილებელი ეკონომიკური გარემო, რამაც, თავის მხრივ, უზრუნველყო ქვეყნის ეკონომიკის შემდგომი დაჩქარებული განვითარება.

სამწუხაროდ, 1998 წლიდან, ეკონომიკური რეფორმების განხორციელებაში შეფერხებები იწყება, რამაც ეკონომიკური ზრდის მიღწეული ტემპები შეამცირა და ქართულ ეკონომიკაში „უძრაობამ" დაისადგურა.

2003 წლის ნოემბერში, საქართველოში მომხდარმა „ვარდების რევოლუციამ" დაასრულა „უძრაობის ხანა" და ეკონომიკური პროცესები, მათ შორის რეფორმირება, სწრაფი ნაბიჯებით განვითარდა. შეიცვალა ეკონომიკური რეფორმების იდეოლოგიური საფუძველიც. ქვეყანა „სოციალურ საბაზრო ეკონომიკის" შენებიდან, ლიბერალური და ლიბერტარიანული იდეოლოგიების განხორციელებას შეუდგა.

რუსულ-ქართული ომისა (2008 წ. აგვისტო) და განსაკუთრებით გლობალური ფინანსური კრიზისის გამო ეკონომიკის ზრდის მაღალი ტემპები მკვეთრად შეჩერდა.

დღეს საქართველოს ეკონომიკური სისტემა დამყარებულია კერძო საკუთრებაზე, სადაც წარმოების ფაქტორების დიდი ნაწილი მოქალაქეების ხელშია და არა „ცენტრალური მგეგმავის". დღის წესრიგში კი ისევ დგას ეკონომიკის სტაბილიზაციისა და შემდგომი ზრდის პრობლემა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. სამადაშვილი უ.- **ბიზნესის საფუძვლები** - თბილისი, 2009 წ. გვ. 367
2. სისვაძე ა. - **ეკონომიკური თეორია** ნაწ.1 - თბილისი, 2006 წ. გვ 399
3. ქვაჩახია ირ., ქუტიძე რ. -**ეკონომიკური თეორია** (დამხმარე სახელმძღვანელო არაეკონომიკური თეორიის სტუდენტებისათვის) -თბილისი, 2006 წ. გვ 403
4. მაღლაკელიძე შ. -**ეკონომიკური თეორია** (მოკლე კურსი)- თბილისი 2005 გვ. 224
5. გოგოხია რ. - **შერეული ეკონომიკური სისტემა: არსი, მოდელი, განვითარების ტენდენციები** - თბილისი 2004 გვ. 298
6. შენგელია თ. **ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები** - თბილისი 2017 გვ.602

7. ხადური ნ. **ეკონომიკური სისტემა საქართველოში** http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0ekonomik--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-------0-1l--11-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8-00&cl=CL2.6&d=HASH01102d428fe5f220a31b5580.4&gc=1

■■■■

ინფლაცია საქართველოში, ეროვნული ბანკის როლი ინფლაციის კონტროლში

Inflation in Georgia, the role of the National Bank in inflation control

ავტორი - **სანდუხაძე თეონა, სურმავა მარიამი,** *ხელმძღვანელი* - ასოც. პროფ. **ჯამბულ ბიწაძე,** აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

Author - **Teona Sandukhadze, Mariam Surmava**, *Supervizor* – **Assoc.Prof. Jambul Bitsadze**, ***Akaki Tsereteli State University.***

Abstract

Inflation is an economic event, the devaluation of money or sustained increase in the general price level of goods and services in an economy over a period of time.

During the social-economic transformation inflation was one of the most important problems in Georgia. The '90s of the past century is characterized by dramatic increase of prices. This fact reflects how disfunctioned the market was. Because of its social and economic importance inflation is interesting topic for every citizen. We need to investigate what causes inflation and what kind of result it has.

GDP inflation rate=CPIyear2-CPI1/CPIyear1

Georgian consumer basket contains 12 categories. According to the data (2017) food and non alcoholic drinks have the highest weight in the Georgian consumption basket. This is natural for developing countries.

The National Bank of Georgia is only institution which is responsible to control and regulate inflation. Since 2009 the monetary policy of Georgia is inflation targeting. The inflation target for 2018-2020 is set to 3%.

We discussed about inflation, got familiar with issues which are connected to our main matter. We reviewed monetary policy of the national bank of Georgia and its regimes.

We share the opinion which is offered by numerous economists, that inflation related problems can only be solved on macroeconomic level. In addition to this we believe that the operation of the central bank must be durable and fully independent.

შესავალი

ინფლაცია, ეს არის ეკონომიკური მოვლენა რომელიც გულისხმობს ფულის გაუფასურებას, მისი მსყიდველობითი უნარის დაქვეითებას, ახასიათებს ფასების საერთო დონის ზრდა. პირდაპირ თარგმანში ტერმინი ინფლაცია ნიშნავს გაბერვას ე.ი მიმოქცევის არხებში ხდება ქაღალდის ფულის მოჭარბება, რომელიც არ არის უზრუნველყოფილი შესაბამისი საქონლის მასის ზრდის ნორმით. ბოლო 20-30 წლის განმავლობაში ინფლაცია მრავალი ქვეყნის ეკონომიკის ქრონიკულ დაავადებად გადაიქცა.

სოციალურ ეკონომიკური გარდაქმნის პერიოდში საქართველოს ერთ ერთი ცენტრალური პრობლემა სწორედ ინფლაცია გახდა. გასული საუკუნის 90-იანი წლები ხასიათდება სასაქონლო ჯგუფების უმეტეს ნაწილზე ფასების კატასტროფული ზრდით. ეს მოვლენა ასახავდა სამომხმარებლო ბაზრის მოშლას. ამ პროცესებით მოხდა სამრეწველო წარმოების მნიშვნელოვანი დაქვეითება. ინფლაცია დღესაც ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გამოწვევაა. იგი თავისი სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობით აქტუალურია, როგორც ეკომომიკურ სექტორში, ასევე საქართველოს რიგითი მოქალაქისთვის.

კერძოდ, რა იწვევს ინფლაციას და როგორი შედეგები ახლავს მას?

გამომწვევი მიზეზები:

- სახელმწიფოს შემოსავლებსა და ხარჯებს შორის პროპორციულობის დარღვევა
- თავისუფალი ბაზრისა და კონკურენციის არსებობა
- იმპორტირებული ინფლაცია
- ინფლაციური მოლოდინი

ინფლაციის შედეგია:

1. შემოსავლისა და სიმდიდრის გადანაწილება
2. ეკონომიკური ინფორმაციის უზუსტობა და არასტაბილურობა
3. რეალური პროცენტის დაცემა და ა.შ.

ფულის მასა ინფლაციის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორია, ამიტომ ეროვნული ბანკისთვის მნიშვნელოვანია იცოდეს ბაზარზე საჭირო ფულის მასის რაოდენობა და ამ მონაცემის შესაბამისად გამოიყენოს ქვეყანაში ეკონომიკური სტაბილურობისთვის მის ხელთ არსებული ინსტრუმენტები.

$$\textbf{ფულის რაოდენობა} = \frac{\text{ფჯ} - \text{ს} + \text{გ} + \text{უდ}}{\text{ფულის მიმოქცევის სიჩქარე}}$$

სადაც,- ფჯ არის გაყიდულ საქონელთა ფასების ჯამი

ს-კრედიტით გაიდული საქონელი

გ- ვადადამდგარი გადასახადები

უგ- ურთიერთდამფარავი გადასახადები

1.ინფლაციის გამოთვლა საქართველოში

ინფლაციის დონე გამოითვლება შემდეგი ფორმულით:

$$\text{ინფლაციის დონე II წელს} = \frac{\text{სფი II წელი} - \text{სფი I წელი}}{\text{სფი I წელი}} \times 100$$

ფორმულიდან ჩანს, რომ ინფლაციის დონის გასაგაანგარიშებლად არსებობს ერთადერთი მაჩვენებელი- სამომხმარებლო ფასების ინდექსი (სფი).

საქართველოში სამომხმარბლო ფასების რეგისტრაცია ხორციელდება ყოველი თვის 10-დან 20 რიცხვის ჩათვლით ექვს ქალაქში: თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, გორში, თელავსა და ზუგდიდში.

სამომხმარებლო ფასების ინდექსი მოიცავს 12 სასაქონლო ჯგუფს, სადაც გაერთიანებულია ქვეყანაში ყველაზე ხშირად მოხმარებადი 305 დასახელების საქონელი და მომსახურება, რომელთაც მინიჭებული აქვთ შესაბამისი წონა. ინდექსის გამოქვეყნების ვადაა ყოველი თვის 3 რიცხვი. ინფლაცია ქვეყნდება საქსტატის ვებ-გვერდზე.

საქართველოს ეროვნული ბანკი ყოველწლიურად არაუგვიანეს 1-ლი მაისისა საქართველოს პარლამენტს წარუდგენს წლიურ ანგარიშს. ამ მონაცემებზე დაყრდნობით წარმოგიდგენთ დიაგრამას სადაც ნათლად ჩანს საქართველოში გასული წლის სამომხმარებლო კალათაში სხვადასხვა სასაქონლო ჯგუფის პროცენტულ წილი:

გასული წლის მონაცემებით საქართველოს სამომხმარებლო ფასების ინდექსში ყველაზე მაღალი წილი სურსათსა და უალკოჰოლო სასმელებზე მოდის(30,3%), სურსათის ასეთი მაღალი წილი სამომხმარებლო კალათაში დამახასიათებელია განვითარებადი ეკონომიკის ქვეყნებისათვის. ვინაიდან სურსათის ფასი ხასიათდება მერყეობით, იგი ამახინჯებს ფასების საერთო ზრდის ტენდენციის სურათს. ინდექსი ასევე შეიცავს: ტრანსპორტს(12,6) ჯანმრთელობის დაცვას (8,6%), საცხოვრებელ სახლს, წყალს,ელექტროენერგიას, აირის და სათბობის სახეებს(8,5%) ალკოჰოლურ სასმელებს,თამბაქოს (6,7%), ავეჯს, საოჯახო ნივთებსა და მორთულობას, სახლის მოვლა-შეკეთებას(6.4%), დასვენებას გართობას და კულტურას (5,8%) სხვადასხვა საქონელსა და მომსახურებას (5,1%) განათლებას (4,6%) სასტუმროებს, კაფეებს და რესტორნებს (4,0%), კავშირგაბმულობას (3.9%). ტანსაცმელსა და ფეხსაცმელს (3.6%).

2.ინფლაციასთან დაკავშირებული სტატისტიკური მონაცემები

განვიხილოთ რამდენიმე სტატისტიკური მონაცემი საქართველოში ინფლაციის შესახებ.

არსებული	წინა თვის	უმაღ-ლესი	უდაბლესი	პერიოდი	ერთეული	სიხშირე
1,9	2,3	59,31	-3,30	1996-2018	პროცენტი	თვე

ცხრილზე წარმოდგენილია საქართველოში მიმდინარე და წინა თვის ინფლაციიის მაჩვენებლე-ბი, ასევე ინფლაციის ისტორიული მიმუმი და მაქსიმუმი.

საქართველოში სტაბილური ფასების მისაღწევად მნიშვნელოვანია ლარის სტაბილური კურსი, რადგან მოხმარებული პროდუქციის 65%-მდე იმპორტირებულია. მაგალითად, 2018 წლისათვის არსებული ინფლაციის შედეგად საწვავის ფასმა საგრძნობლად მოიმატა. თუმცა, აქვე უნდა აღი-ნიშნოს, რომ საწვავის იმპორტი წინა წლებთან შედარებით მცირდება, რადგან ქვეყნის მასშტაბით იზრდება ჰიბრიდული ავტომობილების იმპორტი, რასაც ერთის მხრივ დადებითი ეფექტი ექნება (ეკოლოგია). როდესაც ლარი უფასურდება, იმპორტიორი ცდილობს, ლარებში უფრო ძვირად გა-ყიდოს პროდუქცია. გარდა ამისა, ჯერჯერობით დაბალია კონკურენციის დონე, საქონელსა და მომსახურებას გაცილებით მეტი კომპანია უნდა ოპერირებდეს. ამას კი დრო და ბაზრის მაქსიმა-ლურად გახსნა სჭირდება.



არის თუ არა დაკავშირებული ინფლაციის დონის ზრდა ეკონომიკის ზრდასთან?

მოგეხსენებათ, მაღალი ინფლაცია რიგ შემთხვევაში შეიძლება დაკავშირებული იყოს ეკონომიკის ზრდის მაღალ ტემთან. 2010-2018 წლების ინლაციისა და ეკონომიკური ზრდის ანალიზი საშუა-ლებას მოგვცემს პასუხი გავცეთ კითხვას არის თუ არა საქართველოში ინფლაცია ეკონომიკის განვითარების ნიშანი, თუ იგი რაიმე ნეგატიური მოვლენის შედეგია.

3.საქართველოს მონეტარული პოლიტიკა და მონეტარული პოლიტიის რეჟიმი(თარგეთირება)

ფასების სტაბილურობა, ინფლაციის პროგნოზირებადი და ხელსაყრელი დონის არსებობა ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში დიდ როლს თამაშობს. ეროვნული ბანკის ერთ-ერთი უმთავრესი მისია სწორედ ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფაა, რისთვისაც ის იყენებს მის ხელთ არსებულ სხვადასხვა ბერკეტს. მათ შორის, საქართველოს ეროვნული ბანკის ძირითადი ინსტრუმენტია ერთკვირიანი რეფინანსირების სესხები, რომელიც კომერციულ ბანკებზე გაიცემა აუქციონის მეშვეობით. ერთის მხრივ, ეროვნული ბანკის ეს ინსტრუმენტი კარგია კომერციული ბანკებისათვის, რათა მათ უზრუნველყონ მოსახლეობის დაკმაყოფილება საჭირო რაოდენობის თანხით, მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამას შესაძლოა მოჰყვეს ჭარბი რაოდენობის ფულის მიმოქცევაში გაშვება, რაც თავის მხრივ იწვევს ინფლაციას.

ეროვნული ბანკის ზემოხსენებული ფუნქციების შესრულება განსაზღვრულია ორგანულ კანონში „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“. ხოლო ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი და მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტები მოცემულია „ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებში“ რომელიც ყოველწლიურად მუშავდება ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის მიერ და მტკიცდება საქართველოს პარლამენტის მიერ.

2018 წლის მონეტარული პოლიტიკა საქართველოში მოკლედ შეიძლება შემდეგნაიად ჩამოვაყალიბოთ:

- ●მონეტარული პოლიტიკის მიზანია შეინარჩუნოს დაბალი და სტაბილური ინფლაცია.
- ●გრძელვადიან პერიოდში სამომხმარებლო ფასების ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელია 3%.
- ●მონეტარული პოლიტიკის გადაწყვეტილებები ქვეყნის ეკონომიკაზე გავლენას ეტაპობრივად ახდენს მისი ეფექტი პიკს 4-6 კვარტლის შემდეგ აღწევს.
- ●მონეტარული პოლიტიკის მთავარი ინსტრუმენტია რეფინანსირების განაკვეთი.
- ●მოეტარული პოლიტიკის გადაწყვეტილებების შესახებ ინფორმაცია მოსახლეობას მიწოდება პრესრელიზით.

2009 წლიდან საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის რეჟიმი არის იფლაციის თარგეთირება.

ინფლაციის თარგეთირების რეჟიმი გულისხმობს ცენტრალური ბანკის მიერ საშუალოვადიანი პერიოდისთვის ინფლაციის სამიზნე მაჩვენებლის (თარგეთის) დადგენას. ამ შემთხვევაში ცენტრალური ბანკი საკუთარ თავზე აღარ იღებს ვალდებულებას სხვა სახის მიზნობრივი ორიენტირების მიღწევაზე. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ 2018-2020 წლების მიზნობრივ ინფლაციად 3% გამოცხადდა.

დიაგრამაზე შედარებულია 2009 წლიდან დღემდე ინფლაციის თარგეთისა და შესაბამისი წლის ფაქტობრივი ინფლაცია. აღსანიშნავია, რომ ერთადერთი წელი როდესაც ზემოხსენებული მაჩვენებლები ერთმანეთს დაემთხვა არის 2015 წელი.

ინფლაციის თარგეთირების რეჟიმი პირველად 1989 წელს დაინერგა ახალ ზელანდიაში, მას შემდეგ მრავალმა განვითარებულმა თუ განვითარებადმა სახლმწიფომ დანერგა იგი. მათ შორის: სომხეთმა, თურქეთმა და რუსეთმაც. სომხეთის ცენტრალური ბანკის მიერ თარგეთირებული ინფლაციის დონე 4%-ია, თურქეთში-5%, რუსეთში კი - 4%.

ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები

ინფლაციას ადამიანთა კეთილდღეობასა და ეკონომიკურ მდგრადობაზე ძალიან დიდი ზეგავლენა აქვს, ამიტომ სახელმწიფომ უნდა შეძლოს მისი რეგულირება: ერთის მხრივ ინფლაციის მაჩვენებელი არ უნდა იყოს უარყოფითი მაჩვენებლით წარმოდგენილი, განსაკუთრებით, განვითარებადი ეკონომიკის ქვეყანაში როგორიც საქართველოა, რადგან ეს ქვეყნის ეკონომიკურ წინსვლას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს. მეორე მხრივ, სახელმწიფომ არ უნდა დაუშვას ინფლაციის ძალიან მაღალი ტემპი. რაც განსაკუთრებით რთულია სახელმწიფოში, სადაც ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობა ავტომატურად აისახება სამომხმარებლო ფასებზე.

უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში საქართველოში დაფიქსირდა როგორც მაღალი-6,9 პროცენტიანი წლიური ინფლაცია, ასევე ორი წლის(2012, 2013წ) მანძილზე ეკონომიკის განვითარებას აფერხებდა დეფლაციაც, ამის მიუხედავად ჩვენი აზრით რთულია ეროვნული ბანკის ამ პროცესებში დადანაშაულება.

პირველ რიგში, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ დროდადრო აფერხებდა რთული ეკონომიკური თუ პოლიტიკური მდგომარეობა. ამ მხრივ აღსანიშნავია 2008 წელი, როდესაც ქვეყანამ ორმაგი შოკი გადაიტანა ომისა და მსოფლიო ფინანსური კრიზისის სახით.

2009 წლიდან ეროვნული ბანკის პრეზიდენტის თანამდებობა გიორგი ქადაგიძემ დაიკავა, რომლის მიღწევები და წარმატებები არიარებულია არაერთი საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ. მეტიც, The Bankers-ის მიერ იგი 2014 წლის ცენტრალური ბანკის საუკეთესო მმართველად დასახელდა. 2014 წელს ნამდვილად შეინიშნებოდა დადებითი ეკონომიკური ტენდენციები: სახელმწიფომ გადალახა ორწლიანი დეფლაცია და ინფლაციის დონემ 3,1 %-ი შეადგინა, ხოლო ეკონომიკური ზრდის ტემპის მაჩვენებელმი წინა წელთან შედარებით 1,5%-ით გაიზარდა და 4,6%-ი შეადგინა.

2016 წლიდან ბანკის პრეზიდენტი კობა გვენეტაძე გახდა, რომელსაც საერთაშორისო საფონდო ბირჟაზე მუშაობის დიდი გამოცდილება აქვს. მისი ხელმძღვანელობის პერიოდში აღსანიშნავ პროექტთა შორის ერთ-ერთი მთავარია ლარიზაციის პროგორამა, რომელიც ცენტრალურმა ბანკმა საქართველოს პარლამენტთან ერთად შეიმუშავა. ლარიზაცია მიმოქცევაში ეროვნული ვალუტის წილს განსაზღვრავს. ლარიზაციის მაღალი დონე ეკონომიკური მდგრადობისთვის ნამდვილად სასარგებლო შედეგებს მოიტანს, თუმცა ეს პროცესი მყისიერად ვერ მოახდენს დადებით ეფექტს ქვეყნის ეკონომიკაზე. ლარიზაცია გათვლილია შედარებით გრძელვადიანი პერიოდისთვის.

ჩვენ განვიხილეთ მიმოქცევისთვის ფულის მასის ფორმულაც, ვახსენეთ ეკონომიკური ზრდაც. გავეცანით ქვეყანაში არსებულ ინფლაციასთან დაკავშირებულ საკითხებს, მიმოვიხილეთ ცენტრალური ბანკის მონეტარული პოლიტიკა და მისი რეჟიმი.

რაც შეეხება ინფლაციასთან ბრძოლას, ჩვენ ვიზიარებთ რიგ ეკონომისტთა აზრს, რომლის მიხედვითაც ინფლაციასთან ბრძოლა შეიძლება მხოლოდ მაკროეკონომიკურ დონეზე, ხოლო ქვეყნის შიგნით ეროვნული ბანკის მოქმედება უნდა იყოს გამჭირვალე და ბოლომდე დამოუკიდებელი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. *ლორწკაია თ. ღურწკაია კ. „მაკროეკონომიკა“*
2. *გოცირიძე ლ. ვანიშვილი მ. ნოზაძე მ. „ფინანსების თეორია ქართული პრაქტიკით“*
3. *http://www.geostat.ge/ საქართველოს სტატისკის სააგენტო*
4. *https://mof.ge/ ფინანსთა სამინისტრო*
5. *https://www.nbg.gov.ge/index.php?m=2 საქართველოს ეროვნული ბანკი*
6. *http://forbes.ge/ ფორბს საქართველო*
7. *https://tradingeconomics.com/ სავაჭრო ეკონომიკა*
8. *http://www.worldbank.org/ მსოფლიო ბანკი*
9. *https://www.imf.org საერთაშორისო სავალუტო ფონდი*

■■■■

ფულის ფსიქოლოგია

Psychology of money

ავტორი - **მარიამ კინწურაშვილი, შორენა შენგელია,** *ხელმძღვანელი* - მოწვეული სპეციალისტი, **ქეთო შონია,** აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

Author - **Mariam Kintsurashvili, Shorena Shengelia,** *Supervizor – Inv. Spec.* ***Keto Shonia , Akaki Tsereteli State University.***

Given topic is about money and it's role in economical psychology. Also, there are discussed national peculiarities of attitude with money, Those are represented by the examples of East Europe, Japan, Belarus and Russia. Furthermore, topic pays attention to the positive and negative stereotypes, which are formed in society about the wealth and the money. Finishing up, we find out how to reach something, which in this case is money.

საკვანძო სიტყვები: კუპიურა,კვალიფიკაცია,ფასდაკლება,კრედიტი,ჯილდო,საბაზრო ურთიერთობა.

Keywords: Kuppura, Qualification, Discount,Credit, Award, Market Communication.

ფული არის საბაზრო ურთიერთობების სავიზიტო ბარათი,ბიზნესის წარმოების საშუალება,პირობა და მიზანი.იგი ეკონომიკის ფუნქციონირების აუცილებელი ატრიბუტია.

ფსიქოლოგიაში ფული განიხილება,როგორც მძლავრი კულტურული სიმბოლო,რომელშიც აკუმულირებულიამრავალი წინააღმდეგობრივი და რაციონალური კოლექტიური წარმოდგენა,რწმენა და განწყობა.ამჟამად,მრავალი ადამიანისთვის,შორეულ წინაპართა მსგავსად,ფული წარმოადგენს რაღაც მისტიურს,რომელსაც შეუძლია ყველაზე სიღრმისეულ,ადამიანისეულ შრეებში შეღწევა და სიხარბის,ეჭვიანობის,შურისა და შიშის გამოწვევა.თავის აბსტრაქტული და უნივერსალური ბუნების

წყალობით ფულს შეუძლია ადამიანების გათანაბრება.ფულის ენა მუსიკისა და მათემატიკის მსგავსად,გასაგებია ყველასათვის და ყველგან,მას თარჯიმანი და შუამავალი არ სჭირდება.ფულის თვისებაა ადამიანები დააკავშიროს ერთმანეთთან,მოახდინოს ინდივიდის თვითიდენტიფიკაცია და საზოგადოებაში ინტეგრაცია.

ფული ყოფითი ცნობიერების ჩამოყალიბების,და შესაბამისად,სოციალური ქცევის წყაროა.ფული გავლენა მხოლოდ ეკონომიკით არ შემოიფარგლება.ის ძლიერ ზეგავლენას ახდენს მორალის ფორმირებაზე,საზოგადოებრივი თუ ინდივიდუალური ასეულობების იერარქიაზე.

ეკონმიკურ ფსიქოლოგიაში ფულს ისეთივე განმსაზღვრელი როლი უკავია,როგორც ცენტრალრ ნერვულ სისტემას ადამიანის ორგანიზმში.ფულის ფსიქოლოგია-ესაა მიმდინარეობა ფსიქოლოგიაში,-რომელიც შეისწავლის ფულადი ფაქტორების გავლენას ადამიანის ქცევაზე,კერძოდ,გადაწყვეტილების მიღებაზე.

ფულის შესახებ დ ფულის გამოო ხშირი კამათი ის გვერდითი არხია,რომლითაც უარყოფითი ემოციებისა და განცდებისაგან გათავისუფლება ხდება.თუმცა ზოგჯერ ადამიანის გაუბედაობა-დიდ ხელფასზე პრეტენზიის გამოთქმა,საკუთარ შესაძებლობებზე მის შეზღუდულ შეხედულებებს უკავშიირდება.მაგალითად, „მე არა მაქვს სათანადო კვალიფიკაცია,რომ პრეტენზია მქონდეს ასეთ ხელფასზე"; „კიდევ კარგი ჩემი სამუშაო მომწონს.შეიძლება უარესიც ყოფილიყო". ამ დროს მხედველობის მიღმა რჩება ის გარემოება,რომ უმეტესწილად ბიზნესში ადამიანი იღებს არა იმას,რასაც იმსახურებს,არამედ რაზეც მოახერხებს მოლაპარაკებას.

ეროვნული ფულადი თავისებურებების კვლევისას ფსიქოლოგბმა რამდენიმე საინტერესო მომენტი აღმოაჩინეს.კერძოდ,რაც უფრო ღარიბია ქვეყანა,მით უფრო მსხვილ კუპიურას იყენებს ის.

აღმოასავლეთში ბავშვები ფულად უერთიერთობებში ადრეული ასაკიდანაა ჩართული,ამიტომ იქ ნებისმიერი საუბარი ფულის პრიზმაში წარმოებს.მასში შეინიშნება შემდეგი თავისებურება:თავისიანებს ყოველთვის დიდ ფასდაკლებას უკეთებენ,ხეირს კი უცხოებზე ნახულობენ.მათთვის ხელსაყრელია ბევრი მეგობრის ყოლა,ურთიერთობების დამყარება,ამიტომ აღმოსავლელი ადამიანები ურთიერთობებში ღია და გულუხვი მასპინძლები არიან.მათი აზრით,მომავალში ამან შეიძლება სერიოზული ხეირი მოუტანოთ.

ევროპაში,მისგან განსხვავებით,მასპინძელი ნახევრად მშიერი ტოვებს სტუმარს.იქ ფულის გამომუშავების მთავარი მოტივაცია ყველაფრის სახლში,ოჯახში მიტანაა.ყველანი ინდივიდუალისტები არიან.ამავე დროს მათში საკმაოდაა განვითარებული ქველმოქმედებაც.

იაპონელები საარაკო სიძუნწით აგროვებენ თანხებს საპენიოდ,რათა შემდგომი დრო მოგზაურობას დაუთმონ.

ბელორუსების თავისებურება მდგომარეობს დამალონ,ფარულად ხარჯონ ფული,რომ მეზობლებმა შურით არ დაუწყონ ცქერა.

რუსეთში ფულისადმი დამოკიდებულება ყველაზე მსუბუქია.ფულს დაუდევრად და ხშირად ყოველგვარ სისულელეზე ხარჯავენ.სპეციალისტები თვლიან,რომ ეს გარკვეულწილად ერის გენეტიკურ მახსოვრობას უკავშირდება,რომ შეიძლება ყველაფერი ჩამოართვან,როგორც ეს იყო 1917 წლის რევოლუციისა და მოგვიანებით 1920-იანი წლების ბოოს,როდესაც,საბჭოთა კავშირში,შეძლებული გლეხობა (კულაკობა) როგორც კლსი,მოსპეს.ეს დასტურია იმისა,რომ არამარტო ერის ისტორიული

მეხსიერება,არამედ გარკვეულწილად გვაროვნული ფულადი კოდიც არსებობს.ადამინაები ქეცნობიერად საკუთარი წინაპრების ფულადი ქცევის სცენარს იმეორებენ.თუ მათ ფინანსური პრობლემები ჰქონდათ,ეს გამოცდილება გენეტიკურად გადადის და გავლენას ახდენს მათზე.

ბენჟემენ ფრანკლინის დარიგებები ახალგაზრდებსადმი:

-დრო ფულია;

-კრედიტი-ფულია'

-ფული თავისი ბუნებით ნაყოფის მომტანია და შეუძლია ახალი ფული შვას.

ფულისა და სიმდიდრისადმი საზოგადოებაში ჩამოყალიბებული „ცუდი" და „კარგი" სტერეოტიპები.

„ცუდი" სტერეოტიპები:

-მდიდარია-ესე იგი ცუდია,რადგან კარგი და წესიერი ადამიანი ვერ გამდიდრდება.

-სიმდიდრე ეწინააღმდეგება ბედნიერებას.

-არ უნდა იყო გამორჩეული და სხვებს თვალებში არ უნდა ეჩხირებოდე.

-შური-მიიჩნევენ,რომ კარგია,როცა შენი შურთ.ბევრი ისწრაფვის წარმატებსიკენ საკუთარი შურიანობის გამო.ცნობილი ანეგდოტია: „ღმერთმა ერთ კაცს უთხრა: „ინატრე რაც გინდა იმას გიბოძებ,მაგრამ იცოდე,რომ შენს მეზობელს ორჯერ მეტს მივაგებ". -ღმერთო,ცალი თვალი ამომთხარე"! -შესძახა ამ კაცმა.

„კარგი" სტერეოტიპები:

უნდა დაეყრდნო არსებულ პოზიტივს,კარგს,თუ არა და ეძებო ის:

-პატივს სცემენ მათ,ვინც საკუთარ ფეხზე დგომას შეძლო.ამიტომ საჭიროა და უნდ მოუყვე სულ ცოტა,საკუთარ თავს,რა რთული გზის გავლა მოგიხდათ.

-პატივს სცემენ ცოდნას,ჭკუას,უყვართ სწავლა.მდდარი ადამიანები მთელი ცხოვრება სწავლობენ-,შეუძლიათ დასვან კითხვები და მოისმინონ პასუხები.

-პრაქტიკული ალღო,უნარი,არაფრისგანაც კი რაღაც გააკეთო,შემოქმედები თი ჟინი,არასტანდარტული აზროვნება.

იმისათვის, რომ რაიმეს მიაღწიოთ აუცილებელია ნათელი წარმოდგენა იქონიოთ რა გინდათ ზუსტად. თუ ეს რაღაც არის ფული, მაშინ ჯერ აიღეთ სუფთა ფურცელი, კალამი და დაწერეთ ის თანხა, რომლის გამომუშავებაც გსურთ თვის მანძილზე გახსოვდეთ, ეს თანხა – არ არის არც საფულეში ჩალაგებული ფული და არც საბანკო ანგარიშზე არსებული თანხა. ეს არის იმის სიმბოლო, რომ ადამიანები მზად არიან ფულის ეს რაოდენობა გადაცვალონ იმ მომსახურებაზე, რომელსაც თქენ მათ შესთავაზებთ. საქმე, რომელსაც თქვენ აკეთებთ არის სარგებლის მომტანი ადამიანებისთვის? თუ ასეა მაშინ ისინი ყოველთვის მზად იქნებიან გადაგიხადონ ფული, თან ისე, რომ არც კი დაფიქრდებიან თანხის რაოდენობაზე, რადგან თქვენი მომსახურება დაიმსახურებს შესაბამის ჯილდოს.

იფიქრეთ იმაზე, თუ როგორ შეგიძლიათ დაეხმაროთ ადამიანებს, ასე თქვენი ქონებაც გაიზრდება. ამის შემდეგ თქვენ გააცნობიერებთ, რომ რაც უფრო მეტად ეხმარებით სხვებს, მით უფრო მეტ ფულს შოულობთ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. InterMedia.ge
2. http://www.nplg.gov.ge
3. https://edu.aris.ge
4. netgazeti.ge

■■■■

ბანკები და საკრედიტო ურთიერთობები

Banks and credit relationships

ავტორი - **მარიამ ფანჩულიძე, ოთარი აბჟანდაძე,** *ხელმძღვანელი* - მოწვეული სპეციალისტი, **ქეთო შონია,** აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

Author - Mariam, Panchulidze, Otari Abzhandadze , *Supervizor – Inv. Spec.* ***Keto Shonia ,*** *Akaki Tsereteli State University.*

The report introduction and a purpose of the research: The credit market consists of financial institutions which play an important role in the accumulation and distribution of monetary resources. Further development and improvement of financial institutions depends largely on the development and improvement of the banking sector management.

The bank management is the management of the relations associated with the strategic planning, regulation and control of the bank's activities. In the developed and developing countries, the credit market has expanded significantly. At the same time, its structural and infrastructural elements have been transformed, which have a substantial impact on overall economic growth.

Within the framework of the strategy developed on the basis of modern world experiences, a country can address the credit market management issues it faces. Namely: Improve access to credit for entrepreneurs, discuss key approaches to credit market, ensure effective management of credit market financial institutions, and form a credit institution management mechanism for the credit market.

საქართველოს საბანკო საქმიანობის რეგულირების მექანიზმების საკითხების შესწავლას განსაკუთრებულ აქტუალობას ანიჭებს მართვის თანამედროვე ეტაპზე ბანკების როლის გაძლიერება. საბანკო საქმიანობა გულისხმობს შესაბამის ინსტიტუტთა ერთობლივ მუშაობას, ამიტომ მასზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ქვეყნის ეკონომიკური გარდაქმნების ტემპების დაჩქარება, მისი განვითარების მიმართულებებისა და ეფექტურობის განსაზღვრა. საბაზრო ეკონომიკის პირობებში საბანკო საქმიანობის მნიშვნელობა განპირობებულია ასევე იმ როლით, რომელსაც იგი ასრულებს ეკონომიკის ტრანზაქციური დანახარჯების საერთო დონის შემცირებასა და კაპიტალის გადინების პროცესის შეზღუდვაში. სახელმწიფოს მიერ საბანკო სისტემის საქმიანობის რეგულირება, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს რეფორმების თანმიმდევრულ განხორციელებას, იურიდიულ-სამართლებრივი საკანონმდებლო აქტების დროული მიღების საფუძველზე საბანკო სისტემის განვითარებისა და ფუნქციონირებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნას.

უკანასკნელ პერიოდში შეიმჩნევა საბანკო სისტემის სფეროში მთელი რიგი დადებითი ტენდენციები: ინფლაციური პროცესების მართვა; ლარის გაცვლითი კურსის სტაბილურობა; ბანკების კონსოლიდაცია და გამსხვილება; მინიმალური საწესდებო კაპიტალისა და სხვა მაჩვენებლებისადმი მოთხოვნების გამკაცრება, რითაც მნიშვნელოვნად შეიცვალა საბანკო სისტემაში ძალთა განლაგება.

ქვეყნის საფინანსო-საკრედიტო სისტემაში მნიშვნელოვან სამართლებრივ ელემენტს წარმოადგენს საბანკო რეგულირება, რომელიც, თავის მხრივ, არის ბანკების მიმართ მოთხოვნათა დაცვის სპეციფიკური სისტემა. იგი განსახვავდება იმ მოთხოვნებისაგან, რომელიც წაეყენებათ სხვა იურიდიულ პირებს. კონტროლი იმ სპეციფიკური მოთხოვნების დაცვაზე, რომელებიც ბანკებს ეკისრებათ, წარმოადგენს საბანკო ზედამხედველობის არსს ფართო გაგებით, ხოლო ვიწრო გაგებით საბანკო ზედამხედველობა, განვითარებული ქვეყნების საკანონმდებლო აქტებიდან გამომდინარე, ეს არის - იმ ღონისძიებათა ერთობლიობა, რომლითაც სახელმწიფო რწმუნებული ორგანო არეგულირებს და კონტროლს უწევს საკრედიტო ორგანიზაციებისთვის დაწესებული ეკონომიკური ნორმატივების დაცვას, კერძოდ, აქტივების, ვალდებულებებისა და საკუთარი სახსრების მდგომარეობას.

საბანკო რეგულირებისა და ზედამხდეველობის მთავარი მიზანია საბანკო სისტემის სტაბილურობის შენარჩუნება, კომერციული ბანკების საიმედოობის და მდგრადობის უზრუნველყოფა, შესაძლო რისკის თავიდან აცილება და ამ გზით კომერციული ბანკების, მეანაბრეთა და სხვა კრედიტორთა, აგრეთვე საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს ინტერესების მაქსიმალურად დაცვა. საბანკო ზედამხედველობის მარეგულირებელი ორგანოს ამოცანაა, ასევე მომხმარებლის უფლებათა დაცვა, ვინაიდან მომსახურების ხარისხობრივი მაჩვენებელი არის კომერციული ბანკების მომსახურეობა ან არასაბანკო საკრედიტო დაწესებულებების საიმედოობა. ამრიგად, საბანკო ზედამხედველობის მთავარი ამოცანაა არა კონკრეტული კრედიტების და მეანაბრებიის დაცვა, არამედ საბანკო სისტემის სტაბილურობის შენარჩუნება. საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს აქვს უფლებამოსილება, რომ ზედამხედველობა გაუწიოს კომერციულ ბანკებს, კერძოდ, ეროვნული ბანკის ორგანულ კანონში აღნიშნულია, რომ სააგენტო ერთადერთი სახელმწიფო ორგანოა, რომელიც უწევს ზედამხედველობას კომერციული ბანკებისა და არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების საქმიანობას. იგი მოიცავს: ლიცენზიების გაცე-

მასა და გაუქმებას, შემოწმებასა და რეგულირებას, შეზღუდვებისა და სანქციების დაწესებას. ხოლო, კომერციული ბანკების შესახებ კანონის თანახმად, თითოეული კომერციული ბანკი და მისი შვილობილი ორგანიზაცია ექვემდებარება ინსპექტირებას, რომელსაც ახორციელებენ სააგენტოს ინსპექტორები ან სააგენტოს მიერ დანიშნული აუდიტორები. გარდამავალი ეკონომიკის პირობებში მოსახლეობის ბანკებისადმი ნდობის დაქვეითება გამოწვეულია ინსტიტუციალური სფეროს მკვეთრი ცვლილებით, რომელშიც ხორცილედება საკრედიტო და საანგარიშსწორებო ოპერაციები. საბჭოურ პერიოდში ბანკების გაკოტრება ფაქტობრივად შეუძლებელი იყო, ხოლო დაკრედიტების და საანგარიშსწორებო ინსტრუმენტები პრიმიტიულ ხასიათს ატარებდნენ.

საქართველოში 1991 წლიდან შეიქმნა სათანადო საკანონდებლო და ნორმატული ბაზა, რის შედეგადაც ჩამოყალიბდა ორსაფეხურიანი უნივერსალური საბანკო სისტემა, *ერთი მხრივ,* საქართველოს ეროვნული ბანკი, როგორც მონეტარული პოლიტიკის წარმმართველი და საბანკო სისტემის მარეგულირებელი ორგანო, *მეორე მხრივ* კი, კომერციული ბანკები. ორსაფეხუროვანი საბანკო სისტემის შექმნამ გამოიწვია საფინანსო-საკრედიტო ოპერაციებზე პასუხისმგებლობის გადატანა სახელმწიფოდან კომერციულ ბანკებზე.

საქართველოს საფინანსო-საკრედიტო სისტემის გარდაქმნის პროცესი მძიმე ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისის ფონზე მიმდინარეობდა. მკვეთრად შემცირდა წარმოების მოცულობა, ქვეყანა უმწვავეს ფინანსურ კრიზისში აღმოჩნდა.

1992-1995 წელში საბანკო კრიზისები საქართველოში განპირობებული იყო, როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური მიზეზებით, თუმცა აღნიშნულის შესახებ სწორი ინფორმაციის არარსებობამ მეანაბრეებს არ მისცა საშუალება გაეკეთებინათ რაციონალური დასკვნები ამა თუ იმ ბანკის საიმედოობის შესახებ. ასეთი სიტუაციის შედეგი გახდა კერძო საკრედიტო რესურსების ძალზე ნელი ჩაბმა საბანკო მიმოქცევაში. ამ წლებში რეგისტრირებულმა 7 ბანკმა და 34 კომპანიამ ზარალი მიაყენა 62 ათას მეანაბრეს 31 მლნ. აშშ დოლარის ოდენობით. ანაბარზე შეტანილი მინიმალური თანხა შეადგენდა 4 აშშ დოლარს, მაქსიმალური კი 300 ათას აშშ დოლარს და ამ თანხებზე საპროცენტო განაკვეთი 5-30% ფარგლებში მერყეობდა. ხელისუფლებამ ამ მოვლენების არდაშვებისათვის არავითარ ღონისძიებებს არ მიმართა.

საბანკო სისტემის სახელმწიფო რეგულირება აუცილებელია, ვინაიდან მისი არარსებობა, საბოლოო ჯამში, მიგვიყვანს არამდგრადი საკრედიტო ორგანიზაციების განთესვისაკენ. მაგრამ საბაზრო შერჩევის ხარჯები ამ შემთხვევაში ძალიან დიდი იქნება, თავად პროცესი საბაზრო შერჩევისა - მიუღებლად ხანგრძლივი. მსოფლიო ბანკის მონაცემებით, საბანკო კრიზისების უშუალო ხარჯები შესაძლებელია აღწევდეს ქვეყნის საბითუმო პროდუქციის ნახევარს. საბანკო საქმის განვითარების ისტორია გვიჩვენებს, რომ საბაზრო შერჩევა საბანკო სისტემაში, რომელსაც თან ახლავს სისტემური კრიზისები და მეანებრეთა დანაკარგები, შეიძლება საუკუნეების მანძილზე გაგრძელდეს.

გარდა ამისა, მეორე ფუნდამენტალური ფაქტორი, რომელიც საზოგადოების ნდობას ბანკების მიმართ ამცირებს, ესაა მოსახლეობის დაბალი ინფორმირება, ჩვენი აზრით, აღნიშნული მიზეზი არ შეიძლება სავსებით ლიკვიდირებული იქნეს მოვლენათა ბუნებრივი განვითარების შედეგად. რა თქმა უნდა, საზოგადოების ფინანსური კულტურის ზრდა საზოგადოებში, კლიენტებს საშუალე-

ბას აძლებს უკეთესად მოახდინონ ორიენტირება ბანკების ფინანსურ ანგარიშგებაში და შეადგინონ კრედიტუნარიანობის საკუთარი რეიტინგები, მაგრამ ბევრისთვის ეს პროცესი ძალზე რთულია. საზოგადოების ინფორმირების ამაღლება მიიღწევა საინფორმაციო ანალიტიკური მომსახურების ბაზრის განვითარებით, უპირველესად საკრედიტო რეიტინგების განვითარებით. საკრედიტო რეიტინგებში იგულისხმება სპეციალიზირებული სარეიტინგო სააგენტოები, რომლებიც ინფორმაციას აწვდიან საზოგადოებას ბანკების საიმედოობის შესახებ. ამასთან სარეიტინგო აგენტების დამოუკიდებლობა წარმოშობს საზოგადობის ნდობის ეჭვის ქვეშ დაყენების საკითხს.

ამრიგად, გარდამავალი ეკონომიკის პირობებში სუბიექტი, რომელსაც შეუძლია უსწრაფესად და ეფექტურად უზრუნველყოს მოსახლეობის ნდობა ბანკებისადმი, არის მხოლოდ სახელმწიფო, რომელიც დაინტერესებულია: 1. რესურსების საბანკო ბრუნვაში ჩაბმაში; 2. ეკონომიკის სტაბილიზაციის ამაღლებაში და 3. საბანკო სექტორში კრიზისული მოვლენების აღმოფხვრაში.

საბანკო საქმიანობის მსოფლიო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ საბანკო გარანტიები შედარებით ახალი სამართლებრივი ფენომენია, რომელიც გამოჩნდა ამერიკის შიდა ბაზარზე 60-იანი წლების შუა ხანებში, მაგრამ საერთაშორისო საბანკო ოპერაციებში შესამჩნევი ადგილი მხოლოდ 70-იანი წლების დასაწყისში დაიკავა. საბანკო გარანტიები შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როგორც წმინდა საფინანსო, ასევე არასაფინანსო კონტრაქტების უზრუნველყოფის მიზნით. სხვადასხვა ქვეყნის კანონდებლობა სხვადასხვანაირად განსაზღვრავს იმ პირთა წრეს, ვისაც საბანკო გარანტიის გაცემა შეუძლია. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ესენი არიან "ბანკები, სხვა საკრედიტო დაწესებულება ან სადაზღვევო ორგანიზაცია".

საბანკო გარანტიების ყველაზე დიდი თავისებურებაა მათი ძირითადი კონტრაქტისაგან დამოუკიდებლობა, ხოლო მისი მიზანია დაიცვას კრედიტორი დანაკარგებისაგან და პარალელურად ძირითადი მოვალის გადახდისუუნარობის შემთხვევაში შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება. ასე, მაგალითად, აშშ-სა და კანადაში სადაზღვევო კომპანიები ხშირად ახორციელებენ საგარანტიო მომსახურეობას ისევე, როგორც სპეციალურ ფასიან ქაღალდებთან მომუშავე კომპანიები. ამ ქვეყნებში გარანტიები შეიძლება გასცეს ნებისმიერმა დაწესებულებამ, ფიზიკურმა ან იურიდიულმა პირმა. კრედიტის თვალსაზრისით არასაბანკო და არასადაზღვევო კომპანიების მიერ გაცემული გარანტიები ნაკლებად საიმედოა არა მხოლოდ იმიტომ, რომ ამგვარი დაწესებულებების ფინანსური მდგომარეობა შეიძლება არამყარი იყოს, არამედ უფრო იმიტომ, რომ როგორც წესი, ეს კომპანიები ფინანსურად და კომერციულად ძირითად მოვალესთან არიან დაკავშირებულნი. ამიტომ კრედიტორები, მოითხოვენ ბანკებისა და სხვა მდგრადი ინსტიტუტების მიერ გაცემულ გარანტიებს.

საბანკო გარანტია გულისხმობს მხარეებს შორის რისკის განაწილებას, რომელიც უმეტესად დამოკიდებულია გარანტიის გადახდის ტიპის შერჩევასა და პირობებზე. საბანკო გარანტიების ძირითად ფუნქციას წარმოადგენს: ჯერ ერთი, ფინანსური და არაფინანსური ვალდებულებების უსაფრთხოება. ეს მიზანი მიიღწევა კრედიტორისათვის ძირითადი მოვალის მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში ფინანსური კომპენსაციის უზრუნველყოფით და მეორე, ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფა შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის კომპენსირების შემთხვევაში.

თანამედროვე პირობებში მოსახლეობის ბანკების მიმართ ნდობისა და პასუხისმგებლობის მექანიზმის ამაღლებისათვის, საბანკო საქმიანობაში რისკის ფაქტორისა და კორუფციის შესაძლებლობის მინიმუმამდე დასაყვანად, მიზანშეწონილად მიგვაჩნია საიმედოობისა და მდგრადობის განმსაზღვრელი ფაქტორებისა და პირობების გამოკვლევა, მათი განხილვა საბანკო საქმიანობის სტრატეგიისა და ტაქტიკის გამომუშავების საფუძველზე. რაც, თავის მხრივ, საშუალებას მოგვცემს, რომ განვსაზღვროთ სხვადასხვა ფაქტორები, მათ შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის ურთიერთქმედების ზეგავლენა მთელი საბანკო სისტემის მდგრადობაზე.

როგორც პრაქტიკა მოწმობს, კომერციული ბანკების მდგრადობაზე, ნეგატიურ გავლენას ახდენს, *ერთი მხრივ*, საბანკო საკანონმდებლო ბაზის განუვითარებლობა და *მეორე მხრივ*, მიღებული კანონების უმოქმედობა. ეს ეხება, როგორც საგადასახადო კანონმდებლობას, ასევე კანონს გაკოტრების შესახებ, ანტიმონოპოლიურ და სხვა საკანონმდებლო აქტებს.

ბანკების ეფექტურ ფუნქციონირებას ხელს უშლის ისეთი ნორმატიული აქტების არარსებობა როგორიცაა - ჰიპოთეკის მარეგულირებელი კანონი. საბანკო საქმიანობაში ჰიპოთეკის გამოყენებას კი, ჩვენი აზრით, ხელს უშლის უძრავ ქონებაზე უფლებების რეგისტრაციის კანონის არარსებობა, მიწის კანონმდებლობის არასრული მდგომარეობა. აღსანიშნავია, ასევე დეპოზიტების დაზღვევის კანონმდებლობისა და საბანკო სფეროში ანტიმონოპოლიური საქმიანობის კანონმდებლობის არარსებობა. ამიტომ აუცილებელია ამ კანონების დამუშავებისა და პარლამენტის მიერ მათი მიღების პროცესის დაჩქარება.

თანამედროვე ეტაპზე საბანკო სისტემის საიმედოობისა და მდგრადობის უზრუნველყოფის ამაღლება ასევე გულისხმობს მეანაბრეებისა და კრედიტორების მიერ კომერციული ბანკების საქმიანობაზე კონტროლის განხორციელების აუცილებლობასაც, რაც თანამედროვე პირობებში, სამწუხაროდ, ნაკლებად ხორციელდება. ამიტომ, ჩვენი აზრით, ამ მდგომარეობის გამოსწორებისათვის სასურველია განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნების გამოცდილების შესწავლა და განხორციელება ჩვენი ქვეყნის თავისებურებების და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების გათვალისწინებით.

მსოფლიო საბანკო პრაქტიკის ანალიზმა გვიჩვენა, რომ ბანკების რესურსების ბაზის გამაგრება არის როგორც მეანაბრეების დეპოზიტების მოცულობის გაზრდის, ასევე მოზიდული სახსრების, ვალდებულებების, განვითარების პრიორიტეტების საიმედოობის უზრუნვეოლყოფა. უცხოელი ბანკირების აზრით, სადეპოზიტო სერთიფიკატებს ვადიან ანაბრებზე სახსრების აკუმულაციასთან შედარებით ის უპირატესობა აქვს, რომ დეპონირებული თანხები განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში მოთხოვნილი არ იქნება. ჩვეულებრივ ვადიან ანაბრებთან შედარებით, სადეპოზიტო სერთიფიკატები მიმზიდველია ინვესტორებისთვისაც, რადგან ამ სერტიფიკატების ფულად გადაქცევა მათ ნებისმიერ მომენტში შეუძლიათ.

საზღვარგარეთის საბანკო პრაქტიკაში აგრეთვე გამოიყენება მომსახურების ისეთი ფორმა, როგორიცაა ორგანიზაციებსა და კერძო პირებთან ანგარიშების გახსნის შესახებ ხელშეკრულების გაფორმება ხელფასებისა და სხვა გადასახადების გადასარიცხად.

კომერციული ბანკები სახსრების ნაკლებობის შესავსებად თავისუფალ ბაზარზე „ყიდულობენ ფულს“. საქარათველოში ეს ბაზარი წარმოდგენილია ბანკთაშორისი საკრედიტო რესურსების

ბაზრის სახით. ბანკში სახსრების მოზიდვის გადამწყვეტი ფაქტორია აგრეთვე ბანკის რეპუტაცია და მისი ოპერატიულობა მომსახურების მრავალსახეობებთან ერთად.

საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკების აქტივები ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ზრდის ტენდენციით ხასიათდება. მიუხედავად ამისა, მაინც მცირეა ამ აქტივებში, როგორც გრძელვადიანი დაკრედიტების, ასევე ფასიან ქაღალდებში ინვესტიციების წილი. 2000 წლის განმავლობაში საბანკო სისტემის მთლიანი აქტივები 20%-ით გაიზარდა და 725 მლნ ლარი შეადგინა, რომლის ძირითადი შემადგენელი ნაწილი - საკრედიტო დაბანდება 38%-ით გაიზარდა წინა წელთან შედარებით და 428 მლნ ლარი შეადგინა. ზრდის ტემპი დაფიქსირდა კომერციულ ბანკებში მოზიდული უცხოური ინვესტიციების ანგარიშზეც.

2007 წელს საბანკო სექტორი დინამიკურად ვითარდებოდა და მისი ზრდის ტემპი მნიშვნელოვნად აღემატებოდა ეკონომიკის სხვა სექტორების ზრდას. 2007 წლი 31 დეკემბრის მდგომარეობით საბანკო სექტორის მთლიანი აქტივები წლის დასაწყისთან შედარებით 2 980 მლნ ლარით (71%) გაიზარდა და 7 208 მლნ ლარი შეადგინა. ზრდა მეტწილად განპირობებული იყო ბანკებში მთლიანი აქტივების 61% შეადგენდა წმინდა სესხები, 19%-ს - ფულადი სახსრები, 8%-ს - ძირითადი საშუალებები და არამატერილური აქტივები, 6% -ს - ფასიანი ქაღალდები. საბანკო სექტორის საკრედიტო პორტფელი 71%-ით გაიზარდა და შეადგინა 4.589 მლნ ლარი. ბანკების საკრედიტო საქმიანობა კონცენტრირებული იყო კერძო სექტორის დაფინანსებაზე, რომლის ხვედრითმა წილმა საკრედიტო პორტფელის 99% შეადგინა.

საბანკო ზედამხედველობის პრაქტიკაში საკრედიტო ორგანიზაციების მდგრადობის შეფასების შემოღებამ კაპიტალის საკმარისობის ნორმატივის საშუალებით გარკვეული შედეგი გამოიღო, კერძოდ, გავითარებული ქვეყნების საკრედიტო ორგანიზაციების კაპიტალის ადეკვატურობის მაჩვენებელი 9.3%-დან 11.2%-მდე გაიზარდა.

მსოფლიო საბანკო პრაქტიკა მოწმობს, რომ საბანკო სისტემის საიმედოობისა და მდგრადობის განმტკიცებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება დეპოზიტების დაზღვევის სისტემას. აშშ-ს მსხვილი ბანკები ფუნქციონირებენ დეპოზიტების დაზღვევის ფონდის საფუძველზე სხვა ბანკების მიერ მოზიდული დეპოზიტური სახსრების მეშვეობით. საქართველოს საბანკო სისტემაში ამერიკელებთან შედარებით მთლიანი კაპიტალის შეფარდება მთლიან ვალდებულებებთან მაღალია.

თანამედროვე ეტაპზე საქართველოში უნდა დაჩქარდეს მუშაობა დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შექმნის მიმართულებით. მიუხედავად იმისა, რომ ანაბრებისა და დეპოზიტების დაზღვევის ფონდის შექმნა აუცილებლობას წარმოადგენს, მისი საქმიანობა კლიენტების დანაკარგების ანაზღაურებასთან ერთად, ბანკების მუშაობის საიმედოობის უზრუნველყოფა და გადახდისუნარიანობის აღდგენა უნდა გახდეს. მან უნდა აიღოს ბანკის კრედიტორის უფლებამოსილება მისი აქტივების დაბრუნებაში. აუცილებლად უნდა მოხდეს გაკოტრებული ბანკების მეანაბრეების ანაზღაურება დაზღვევის დაწესებულ დონემდე. დეპოზიტების დაზღვევის ფონდი საბოლოო ფორმირებამდე, აუცილებელია ცენტრალური სადაზღვევო სტრუქტურების ჩამოყალიბების პროცესის დაჩქარება, რომლებიც ნებაყოფლობით გააერთიანებს ბანკებს და შექმნის სადაზღვევო ფონდს მონაწილეების შენატანების ხარჯზე.

საქართველოს საბანკო სისტემაში, საქართველოს ეროვნული ბანკის ორგანული კანონის საფუძველზე, ეროვნული ბანკი განისაზღვრება, როგორც ქვეყნის მთავარი ბანკი და ბოლო ინსტანციის კრედიტორი. როგორც განვითარებული ქვეყნების პრაქტიკა გვიჩვენებს, შესაძლებელია საბანკო საქმიანობის რეგულირების შემდეგი ფორმულის გამოყენება - რწმუნებული უწყებების მიერ გარკვეული დებულებების, ბრძანებების და ა.შ. კონკრეტული უფლებების დადგენა მოქმედ კანონმდებლობაზე დაყრდნობით, რომელიც საბანკო საქმის სტრუქტურასა და სახეობებს განსაზღვრავენ. ეს კანონები, დებულებები და ბრძანებულებები საბანკო სისტემისათვის ქცევის ისეთ ჩარჩოებს ქმნიან, რომლებიც ხელს უწყობს მის საიმედოობასა და მდგრადობის განმტკიცებას.

განვიხილოთ საქართველოში ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ინსტრუმენტები, მათი მოქმედების ნაკლოვანებები და მდგომარეობის გაუმჯობესების გზები. ორ-იარუსიანი საბანკო სისტემის პირობებში ეროვნული ბანკი ძირითად ფულად-საკრედიტო პოლიტიკის შემდეგ ინსტრუმენტებს იყენებდა: კომერციული ბანკების რეფინანსირებას, - სავალდებულო რეზერვების ნორმების განსაზღვრას, სახელმწიფო ფასიანი ქაღალდებით ოპერაციების განხორციელებას ღია ბაზარზე.

როგორც ცნობილია, 1992-1993 წლებში საქართველოს ეროვნული ბანკი ე.წ. „ლიბერალურ“ ფულად-საკრედიტო პოლიტიკას ანხორციელებდა. ეს პერიოდია, როდესაც ინტენსიურად ხდებოდა საბანკო სისტემის დაკრედიტება ეროვნული ბანკის მიერ გაცემული სესხებით, რომლებზეც საპროცენტო განაკვეთი დაახლოებით 40% იყო მაშინ, როდესაც ქვეყანაში, 1993 წლის დეკემბრის მდგომარეობით წლიური ინფლაციის მაჩვენებელი 7487,9%-ს შეადგენდა. ასეთმა ფულად-საკრედიტო პოლიტიკამ ქვეყნის ეკონომიკაზე ნეგატიური გავლენა იქონია, რის შედეგადაც დღის წესრიგში დადგა საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების (საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკი და ა.შ.) ხელშეწყობით და მონაწილეობით ანტიკრიზისული ღონისძიებების შემუშავება და რეალიზაცია.

საქართველოში 1994 წლის დასაწყისში დამტკიცდა მაკროეკონომიკური სტაბილიზაციისა და სისტემური ცვლილებების ანტიკრიზისული პროგრამა, რომლის ფარგლებშიც საქართველოს ეროვნულმა ბანკმა დაიწყო მკაცრი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარება, რამაც შესაძლებელი გახადა ჰიპერინფლაციის შეჩერება და მისი კონტროლირებად საზღვრებში მოქცევა. აღნიშნული პროგრამის თანმიმდევრული განხორციელების შედეგად წლიური ინფლაციის დონე 8500%-დან (1994წ.) 57.4%-მდე შემცირდა (1995წ.), გაუქმდა კომერციული ბანკების პირდაპირი დაკრედიტება. საქართველოს ეროვნული ბანკი 1995-1997 წლებში საერთაშორისო სავალუტო ფონდთან შეთანხმებული ლიმიტების ფარგლებში რეფინანსირებას მხოლოდ ბანკათაშორისი საკრედიტო რესურსების აუქციონის მეშვეობით განხორცილებდა, სადაც საკრედიტო რესურსებზე საპროცენტო განაკვეთები მნიშვნელოვან რყევებს განიცდიდა. ასეთ ვითარებაში ეროვნული ბანკის ინტერვენციები ხშირად სწორედ, საპროცენტო განაკვეთების რყევების შერბილებას ემსახურებოდა.

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მთვარობის დაფინანსება წარმოებდა, როგორც გრძელვადიანი (5 წლამდე ვადით, ბიუჯეტის დეფიციტის დასაფინანსებლად), ასევე მოკლევადიანი (1 წლის განმავლობაში დაფარვის ვადით) სესხებით. 1995 წელს ინფლაციის დონე 57.4% იყო, ხოლო ფინანსთა სამინისტროზე სებ-ის მიერ გაცემული სესხი 92.4 მლნ. ლარი შედგინა. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 1995 წლის 30 დეკემბრის №48 ბრძანების „ბანკების მიერ ეროვ-

ნულ ბანკში მოთავსებული მინიმალური სარეზერვო მოთხოვნის შესახებ'' თანახმად, კომერციული ბანკისათვის დაწესებული მინიმალური სარეზერვო მოთხოვნები, როგორც ფულად-საკრედიტო პოლიტიკის არაპირდაპირი ინსტრუმენეტი, ბანკების მოზიდულ სახსრებით განისაზღვრება და ექვემდებარება ეროვნულ ბანკში სავალდებულო შენახვას და უზრუნველყოფს კომერციული ბანკების ლიკვიდობას. 1995 წლისათვის მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების ნორმა იყო 18%. დღევანდელ ეტაპზე მინიმალური რეზერვების ანგარიშზე ეროვნულ ვალუტაში მოზიდული სახსრებისათვის სარეზერვო ნორმა არის დადგენილი 13%-ის ოდენობით (რომლის დაცვა საშუალო მაჩვენებლით უნდა მოხდეს), ხოლო მინიმალურ სავალდებულო რეზერვებისათვის უცხოურ ვალუტაში ნორმა ასევე განსაზღვრულია 13%-ია, თუმცა ეს უკანასკნელი ბლოკირებულია ეროვნულ ბანკში გახსნილ შესაბამის ანგარიშზე. მინიმალური სავალდებულო რეზერვების ანგარიშზე აკუმილირებულ ნაშთებზე უცხოურ ვალუტაში ბანკებს ერიცხებათ 2% სარგებელი.

1996-1997 წლებში ბანკთაშორისი საკრედიტო რესურსების აუქციონი საქართველოს ფინანსური ბაზრის განვითარების საუკეთესო მაგალითად გვევლინება, რომელსაც კომერციული ბანკების ლიკვიდურობის დასარეგულირებლად აქტიურად იყენებდნენ. იმატა ჭარბი ლიკვიდურობის მქონე ბანკების რიცხვმა, მაშინ როდესაც აუქციონის ჩამოყალიბების პირველ ეტაპზე რესურსებს მხოლოდ სებ-ი ყიდდა. ამ პერიოდისათვის სებ-ის მიერ საქართველოს ფინანსათა სამინისტროზე დიდი მოცულობის სესხები (მათ შორის მოკლევადიანი) იქნა გაცემული, მაგრამ აღნიშნულს უარყოფიდად არ უმოქმედია ქვეყნის ფინანსურ მდგომარეობაზე. 1996 წელს წინა წლებთან შედარებით, ინფლაციის დონე გაცილებით დაბალი იყო და 13,5% შედგინა, ხოლო მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების ნორმა 15%-ია.

1997 წლის დასაწყისში საპროცენტო განაკვეთები კვლავ დაბალი და თითქმის უცვლელი იყო, რაც სებ-ის მხრიდან აქტიური ინტერვენციებით იყო განპირობებული, მაგრამ წლის მეორე ნახევარში საკრედიტო პოლიტიკა შეიცვალა ეროვნული ბანკის წინაშე მდგარი ამოცანის გათვალისწინებით. საგრძნობლად შემცირდა ინტერვეციები, რამაც, თავის მხრივ, გაზარდა საპროცენტო განაკვეთები საკრედიტო რესურსებზე. ამ პერიოდში სებ-მა ფინანსთა სამინისტროზე 180.4 მლნ. ლარი ოდენობის სესხი გასცა. წლის ბოლოს ქვეყანაში ინფლაციის დონემ წინა წელთან შედარებით 2.9 პუნქტით ნაკლები იყო. ამასთან ამ პერიოდისათვის მინიმალური სარეზერვო მოთხოვნები 12-მდე შემცირდა და ქვეყანაში ფუნქციონირება დაიწყო ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ახალმა ინსტრუმენტმა ოპერაციებმა ღია ბაზარზე. ამრიგად, საქართველოს სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ბაზარმა განვითარება დაიწყო 1997 წლის მეორე ნახევრიდან, როდესაც ფინანსთა სამინისტრომ განახორციელა მოკლევადიანი 28 და 91 დღიანი დაფარვის ვადის მქონე სახაზინო ვალდებულებების ემისია, რომლებსაც სებ-ი პირველადი აუქციონებზე ყიდდა. ამ აუქციონებში მონაწილეობის მიღება შეეძლოთ კომერციულ ბანკებს და მათი მეშვეობით რეზიდენტ და არარეზიდენტ ინვესტირებს. 1997 წელს სახაზინო ვალდებულებებით სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის შევსების მაჩვენებელმა 5.8 მლნ. ლარი შეადგინა. საფინანსო ბაზარზე ახალი ინსტრუმენტის გამოჩენას ინტერესით შეხვდნენ, როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოელი ინვესტორები. საყურადღებოა, რომ ემისიათა მოცულობები თავიდანვე შეზღუდული იყო და თითოეული საშუალოდ 1.5-2.0 მლნ. ლარის ფარგლებში მერყეობდა.

2001 წელს საქართველოს ეროვნული ბანკი კომერციული ბანკების დაკრედიტებას საკრედიტო აუქციონების მეშვეობით ახორციელებდა. საკრედიტო აუქციონებში ეროვნული ბანკის მონაწილეობის უმთავრესი ამოცანა კომერციულ ბანკებს შორის ლიკვიდურობის ეფექტიანად გადანაწილების ხელშეწყობა იყო. წლის განმავლობაში ეროვნულმა ბანკმა მხოლოდ ერთხელ, 29 დღიან აუქციონზე გაყიდა 0,1 მლნ ლარი. შესყიდვებმა 8,7 მლნ ლარი შეადგინა, რაც მთლიანი ბრუნვის (17,3 მლნ ლარი) ნახევარია და გაცილებით ნაკლებია წინა წელთან შედარებით. 7 დღიან აუქციონზე ეროვნულმა ბანკმა იყიდა 4,3 მლნ ლარი (ბრუნვის 77%), 29 დღიან აუქციონებზე 1 მლნ ლარი (17,9%), ხოლო 90 დღიან აუქციონებზე 3,4 მლნ ლარი (54,5%).

2001 წლის განმავლობაში საქართველოს ეროვნულმა ბანკმა თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე 35,5 მლნ აშშ დოლარი შეიძინა. ეს გაცილებით (40 მლნ დოლარი) ნაკლებია წინა წელთან შედარებით, რაც ისევ და ისევ საგადამხდელო ბალანსის გაუარესების შედეგად ქვეყანაში უცხოური ვალუტის შემოდინების კლებას უკავშირდება. სავალუტო რეზერვები 50 მლნ ლარით გაიზარდა და 159,3 მლნ ლარს გაუტოლდა.

2007 წლის განმავლობაში საქართველოს ეროვნული ბანკის პოლიტიკა მართვადი მცურავი გაცვლის კურსის რეჟიმის ფარგლებში ხორციელდებოდა. საქართველოს ეროვნული ბანკის ინტერვენციები თბილისის ბაკთაშორის სავალუტო ბირჟაზე მიზნად ისახავდა ლარის კურსის მკვეთრი კონიუქტურული რყევების თავიდან აცილებას, 2007 წელს საქართველოს ეროვნული ბანკი მეტწილად უცხოური ვალუტის შესყიდვას ახდენდა. საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2007 წლის 12 თვის განმავლობაში თბილისის ბაკთაშორის სავალუტო ბირჟაზე 252.2 მლნ. აშშ დოლარი გაყიდა და 918.2 მლნ. აშშ დოლარი შეისყიდა. სავალუტო ბაზარზე მკვეთრი კონიუქტურული რყევების თავიდან აცილების მიზნით, უცხოური ვალუტის მოთხოვნა-მიწოდებას შორის სხვაობის დაბალანსება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ხდებოდა. მხოლოდ ნოემბრის თვეში მკვეთრად იმატა აშშ დოლარზე მოთხოვნამ კომერციული ბანკების მხრიდან და თბილისის ბაკთაშორის სავალუტო ბირჟაზე უცხოური ვალუტის გაყიდვებმა შესყიდვებს მკვეთრად გადააჭარბა. აღნიშნული განპირობებული იყო იმ პერიოდისათვის ქვეყანაში არსებული არასტაბილური პოლიტიკური სიტუაციით, რის შედეგადაც კომერციული ბანკების მხრიდან გაჩნდა აშშ დოლარზე ჭარბი მოთხოვნა. თუმცა დეკემბრიდან აშშ დოლარის მიწოდებამ კვლავ გადააჭარბა მოთხონვას. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ თბილისის ბაკთაშორის სავალუტო ბირჟაზე უცხოური ვალუტის შესყიდვების ყველაზე დიდ მოცულობას სექტემბერში, ოქტომბერსა და აგვისტოში ჰქონდა ადგილი, შესაბამისად 106.6 მლნ აშშ დოლარი, 100.3 მლნ აშშ დოლარი, 104.8 მლნ აშშ დოლარი, ხოლო გაყიდვებმა მაქსიმუმს ნოემბერში მიაღწია - შესაბამისად, 109.8 მლნ აშშ დოლარი. თბილისის ბაკთაშორის სავალუტო ბირჟის საერთო ბრუნვამ 2007 წელს 1.34 მლრდ აშშ დოლარი და 1.77 მლნ ევრო შეადგინა.

დასკვნა

ამრიგად, ზემოდ გაანალიზებული ქვეყანაში გატარებული ფულად-საკრედიტო პოლიტიკიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ 1. დაჩქარდეს საქართველოში ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად სადისკონტო პოლიტიკის დანერგვა, რომელიც წარმოადგენს რა სასესხო კაპიტალის ბაზარზე რეგულირების ოპერატიულ ინსტრუმენტს, ამასთანავე გადამწყვეტ როლს თა-

მაშობს განვითარებულ საბაზრო ეკონომიკის ქვეყნების ცენტრალური ბანკების ფულად-საკრედიტო რეგულირების მეთოდებს შორის; 2. დაჩქარდეს საბანკო პოლიტიკის სტრატეგიის განსაზღვრა, რომელიც, თავის მხრივ, წინააღმდეგობას გაუწევს ეროვნული ბანკის მიერ გასატარებელ ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ზეწოლას, არასაკმარის შიდა რესურსებისა და საფინანსო ბაზრის განუვითარებლობას არგადახდების მოცულობის ზრდას; 3. საკრედიტო პოლიტიკის აქტივიზაცია უნდა განხორციელდეს მკაცრი საკანონდებლო-სამართლებრივი რეჟიმის შემოღების საფუძველზე, ცენტრალიზებულ კრედიტებზე საპროცენტო განაკვეთების რეგულირებით, ცვლილებებზე კონტროლის გაძლიერებით და ანტიმონოპოლური კანონების დაცვით; 4. ეკონომიკის განვითარების მოთხოვნებიდან გამომდინარე, ეროვნული ბანკის მიერ ისეთი რეფინანსების პოლიტიკის გატარებაა საჭირო, რომელიც მიზნად დაისახავს რეალური დაბალანსებულ მოთხოვნა-მიწოდების საფუძველზე ცენტრალიზებულ კრედიტების რეგულირებას; 5. საქართველოში ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარების სტიმულირებისათვის ეროვნული ბანკის მიერ საზღვარგარეთის გამოცდილების გათვალისწინებით, შემოღებულ უნდა იქნეს სააღრიცხვო საპროცენტო განაკვეთი, რომლის მიხედვითაც მოხდება კომერციულ ბანკებზე სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების უზრუნველყოფით გაცემა კრედიტების ფორმით; 6. სააღრიცხვო საპროცენტო განაკვეთის შემოღება ხელს შეუწყობს საკრედიტო ბაზარზე საპროცენტო განაკვეთების რეგულირებასა და ქვეყანაში რეალური სექტორის დაკრედიტებას; 7. აუცილებელია გაიზარდოს სახაზინო ვადებულებებისადმი ბაზრის მონაწილეთა რაოდენობა ნდობის ფაქტორის გაძლიერების საფუძველზე, რათა შესაძლებელი გახდეს სახაზინო ვალდებულებების ემისიების მოცულობის, ვადიანობის და ფასიანი ქაღალდების ბაზარზე მონაწილე კომერციული ბანკის რაოდენობის ზრდა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მსოფლიოს ეკონომიკური ფორუმის დასკვნები
2. www.nplg.gov.ge
3. www.wikipedia.org
4. მსოფლიოში მოქმედი სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციის კვლევები
5. ihow.ge/როგორ-მუშაობს-საკრედიტო სისტემა/

■■■■

ინვესტიციები და ინოვაციები

INVESTICION AND INOVATION

ავტორი - **ნინო ჭანკვეტაძე, მარიამ კიკნაძე,** *ხელმძღვანელი* - მოწვეული სპეციალისტი, ქეთო შონია, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

*Author – **Nino Tchankvetadze, Mariam KIknadze**, Supervizor – Inv. Spec. **Keto Shonia ,** Akaki Tsereteli State University.*

An investment is an inseraple part of modern economics.The word investment comes from Latin that means to invest money in the different fields of economica for a long period. At the same time there exists several explanations(interpretation) of this term. According to W. Sharp (an American economist) and his co-author an investmens means to be separated from money today in the hope of getting more tomorrow.As for Russian scientist A.S. Selishev explains that investment is to use savings in order to restore the old one and to create new manufacturing capacilities and other capital holdings.

The main things wgat we should know about investment Is that if supports manufacturing, innovative and social projeqts implementation(realization) and if takes part to grow effectiveness of social manufacturing. Investment is to distribute money in the expectation of some benefits in the future. It is the most important opportunity during the crisis in the state.

An investor is a person or a company that makes decisions what kind of investment to implement in the field of bussines. Investors have different views on the business strategies so there are various types of investments and investing styles.

ინვესტიციები თანამედროვე ეკონომიკის განუყოფელი ნაწილია. სიტყვა ინვესტიცია ლათინური წარმოშობისაა და ნიშნავს კაპიტალის ხანგრძლივ დაბანდებას ეკონომიკის სხვადასხვა დარგში. ამასთან არსებობს ინვესტიციების მრავალი განმარტება, კერძოდ, უილიამ შარპისა და მისი თანაავტორების აზრით, ინვესტიცია ეს არის **„ფულთან განშორება დღეს, ხვალ უფრო მეტის მიღების მიზნით“.** ხოლო რუსი მეცნიერის, ა.ს. სელიშევის განმარტებით **ინვესტიციები არის დანაზოგის გამოყენება ძველის აღსადგენად და ახალი საწარმოო სიმძლავრეების და სხვა კაპიტალური აქტივების შექმნის მიზნით.**

ჩვენ რაც უნდა ვიცოდეთ მათ შესახებ კი არის ის, რომ: ინვესტიციები ხელს უწყობენ საწარმოო, ინოვაციური და სოციალური პროექტების რეალიზაციას, მონაწილეობენ წარმოების მოცულობის ზრდისა და საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის შემდგომი ამაღლების საქმეში. სახელმწიფოს კრიზისის პირობებში ინვესტიციები წარმოადგენენ ყველაზე მნიშვნელოვან საშუალებას სოციალური და საწარმოო პოტენციალის სტრუქტურული გარდაქმნისა და მისი ბაზრისადმი დაქვემდებარების გზაზე.

ნებისმიერი ინვესტირების, მთავარი მოქმედი პირი ინვესტორია. **ინვესტორი არის პირი ან კომპანია, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას, ბიზნესის რომელ სფეროში რა სახის ინვესტირება განახორციელოს.**

ინვესტორებს განსხვავებული შეხედულებები აქვს სტრატეგიებზე და ამის გამო ინვესტიციების მრავალი სახე არსებობს. ინვესტიციების ძირითადი სახეებია:

- **რეინვესტირება,**
- **პირდაპირი ინვესტიციები,**
- **რეალური ინვესტიციები,**
- **ფინანსური ინვესტიციები,**
- **ვენჩერული ინვესტიციები,**
- **გრძელვადიანი ინვესტიციები,**
- **მოკლევადიანი ინვესტიციები.**

ინვესტიციები იყოფა ასევე ფორმების მიხედვით:

- მატერიალური ინვესტიციები (მიწა, უძრავი ქონება, აღჭურვილობა-ტექნიკა);
- არამატერიალური ინვესტიციები (საავტორო უფლებები, ლიცენზიები);
- ფინანსური ინვესტიციები (ფასიანი ქაღალდები).

ინვესტირების როლი თანამედროვე ეკონომიკის განვითარებაში ძალიან დიდია. *ინვესტიციები მნიშვნელოვანია ნებისმიერი კომერციული საქმიანობის ეფექტური ფუნქციონირებისა და დინამიური განვითარებისათვის.*

ინვესტიციები ასევე ხასიათდება ორი ურთიერთდაკავშირებული პარამეტრით.ესენია: ***რისკი და მოგება.*** *როგორც წესი რაც უფრო დიდია რისკი მით უფრო მაღალია მოსალოდნელი მოგებაც.*

ინვესტიციების ეკონომიკური შინაარსი

ახალი ეკონომიკური სისტემის მშენებლობის პროცესში საქართველო ურთულესი პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური პრობლემების წინაშე აღმოჩნდა. საუბარია სრულფასოვანი რეფორმის გატარებაზე, რომელიც გულისხმობდა სტაბილიზაციას, ინფლაციის დაძლევას, საფინანსო-საბანკო სისტემის გამყარებას და ეროვნული ვალუტის დამკვიდრებას

ამ ამოცანების გადაწყვეტასთან ერთად, საქართველოში შეიქმნა საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისათვის და შემდგომი განვითარებისათვის აუცილებელი პირობები. ამასთან, ეკონომიკური რეფორმების მიმდინარე ეტაპი სრულიად ახლებურ მოთხოვნებს აყენებს საფინანსო და საკრედიტო სფეროების მიმართ. კერძოდ, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქვეყანაში საინვესტიციო პროცესების სრულფასოვან განვითარებას, რომელიც საბოლოო ჯამში მიმართული იქნება ქვეყნის ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად.

ახალ ეკონომიკურ სისტემაში საინვესტიციო პროცესის ანალიზი შეუძლებელია ინვესტიციის არსის განსაზღვრის გარეშე. მრავალი გამოკვლევის მიუხედავად, ამ საკითხის მიმართ ჯერ კიდევ არ არის შემუშავებული ერთიანი მეთოდურ-თეორიული მიდგომა.

ინვესტიციების ყველაზე უფრო განზოგადებული განსაზღვრება არის ის, რომ იგი წარმოადგენს ინვესტირებული სახსრების მეშვეობით დღევანდელი მოთხოვნილების დაკმაყოფილების გაცვლის აქტს მოთხოვნის სამომავლო დაკმაყოფილებაზე, ანუ ინვესტიცია ნიშნავს: დღეს გაიმეტო ფული იმისათვის, რომ მომავალში უფრო მეტი მიიღო ზოგადად თანამედროვე ეკონომიკურ ლიტერატურაში ინვესტიციები განიხილება, როგორც გრძელვადიანი კაპიტალდაბანდება ნებისმიერი (ფულადი სახსრები, მიზნობრივი საბანკო ანაბრები, პაი, აქციები და სხვა ფასიანი ქაღალდები, ინტელექტუალური ფასეულობები და ა.შ.) ფორმით საკუთარ ქვეყანაში ან საზღვარგარეთ, სხვადასხვა პროფილის საწარმოში, სამეწარმეო პროექტებში, სოციალურ-ეკონომიკურ პროგრამებში, ინოვაციურ პროექტებში მოგების მიღების მიზნით დაბანდებიდან გარკვეული ვადის შემდეგ. საქართველოს კანონმდებლობით „ინვესტიციად მიიჩნევა ყველა სახის ქონებრივი და ინტელექტუალური ფასეულობა ან უფლება, რომელიც დაბანდდება და გამოიყენება შესაძლო მოგების მიღების მიზნით საქართველოს ტერიტორიაზე მთლიანად და უპირობოდ არის დაცული ინვესტიციებში იგულისხმება ეკონომიკურ სისტემაში მოქმედი კაპიტალის მოცულობის ზრდა. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ინვესტიცია წარმოადგენს სხვადასხვა ინსტრუმენტებით განხორციელებული გარკვეული ხარჯების ერთიანობას აწმყოში და შესაძლო გაფართოებულ მოთხოვნას მომავალში.

ამგვარად, შეიძლება დავასკვნათ, რომ არსებობს ინვესტიციის ორგვარი განსაზღვრა: პირველი, ეკონომიკური ანუ არსობრივი, რომლის მიხედვითაც ინვესტიცია არის სამომავლო მოთხოვნილებების და კმაყოფილების აქტი გაზრდილი მოცულობით და მეორე, ტექნიკური, რომლის მიხედვითაც ინვესტიცია დანახარჯების ჯამია. ორივე ეს ასპექტი მჭიდროდ არის დაკავშირებული ერთმანეთთან და ურთიერთს განსაზღვრავს.

განსაზღვრა იმისა, რომ ინვესტიცია სახელმწიფო ეკონომიკური ზრდის თვალსაწიერიდან წარმოადგენს არა იმდენად დანახარჯებს, რამდენადაც სამომავლო კაპიტალდაბანდებას, დაგვეხმარება უფრო ოპტიმალურად წარიმართოს საინვესტიციო პროცესი და მოძიებულ იქნას შესაბამისი ფინანსური რესურსები. ამასთან, სამომავლო გაფართოებული მოთხოვნის სიდიდე პირდაპირ არის დამოკიდებული მიმდინარე დროში საინვესტიციო დანახარჯების ეფექტიანობაზე. როგორც ნებისმიერი სხვა ეკონომიკური კატეგორია, ინვესტიციაც იყოფა მარტივ შემადგენლებზე, რომლებიც სრულად ასახავენ საინვესტიციო საქმიანობის მნიშვნელოვან მახასიათებლებს და საშუალებას იძლევიან რეალურად იქნეს შეფასებული მთელი პროცესის ხარისხი.

თანამედროვე საბაზრო ეკონომიკა ეფუძნება ინოვაციებს, ინოვაციურ მეწარმეობას. იმისათვის, რომ მეწარმეებმა ბაზარზე კონკურენციას გაუძლონ უნდა ჰქონდეთ ერთი მხრივ, უმაღლესი ხარისხის საქონელი და მეორე მხრივ, უფრო მცირე, ვიდრე სხვა მეწარმეებს, ინდივიდუალური დანახარჯები.

ინტელექტუალური ინვესტიციების ეკონომიკური არსი მდგომარეობს მათ შესაძლებლობაში: პირველი, კაპიტალის აღწარმოების სფეროში მინიმალური დანახარჯებით და დაბანდებული კაპიტალის სწრაფი უკუგებით განახორციელონ უახლესი ტექნოლოგიების დანერგვა; მეორე, მშენებარე და რეკონსტრუქციას დაქვემდებარებული ობიექტების მატერიალიზაცია და დაფინანსება; მესამე, მოქმედ საწარმოებში ოპტიმალურ ვადაში წარმოების საშუალებების აღწარმება; მეოთხე, დაბანდებული თანხების მაღალი ანაზღაურებადობის უზრუნველყოფა.

ინვესტიციების ეკონომიკური არსის დახასიათების შემდეგ, მეტად მნიშვნელოვანია განისაზღვროს ის ეტაპები, რომლებსაც გადიან ინვესტორები სახსრების დაბანდების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდგომ: პირველი ეტაპი, მიმართულია კაპიტალის სწრაფი ზრდისკენ, რაც დაკავშირებულია იმ ფაქტთან, რომ ინვესტიციების განხორციელების საწყის ეტაპზე ინვესტორებს, როგორც წესი, აქვთ შეზღუდული რაოდენობის თანხები, ამიტომაც მიისწრაფიან სახსრების სწრაფი მიღებისაკენ დროის შედარებით მოკლე განაკვეთში; მეორე ეტაპი, რომლის განმავლობაშიც მნიშვნელოვანი ხდება კაპიტალის ზრდის ხარისხი და ინვესტიციისაგან მიმდინარე შემოსავლის მიღება; მესამე ეტაპი, მოიცავს კაპიტალის შენარჩუნებასა და მდგრადი და ამასთან მაღალი შემოსავლის მიღებას.

როგორ აისახება ინვესტირება და საქართველოს ეკონომიკაზე მთლიანად, იქნება თუ არა სახელმწიფოს მაყურებლის როლით შემოფარგვლა საინვესტიციო პროცესის ეფექტურობის საკმარისი პირობა?

რა როლი უნდა დაკისროს სახელმწიფოს ეკონომიკაში და, კერძოდ, საინვესტიციო პროცესში, ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად განვიხილოთ ის მოსაზრებები რომლებიც უკავშირდება ინვესტიციების მოქმედების განმსაზღვრელ დეტერმინანტებსა და სახელმწიფოს როლს საინვესტიციო პროცესებში.

საინვესტიციო პროცესის რეგულირების მექანიზმი განხილულ უნდა იქნას საინვესტიციო საქმიანობის მასტიმულირებელ ელემენტებთან ურთიერთკავშირში, რომელთაგან აღსანიშნავია საინვესტიციო აქსელერატორისა და მულტიპლიკატორის დამოკიდებულება ერთობლივი მოთხოვნა-მიწოდების სიდიდესთან და ეროვნული შემოსავლების ზდასთან

დასკვნა

ინვესტიციური აქტიურობა დამოკიდებულია არა ვინმეს(სახელმწიფოს, ფიზიკური და იურიდიული პირების) სუბიექტურ ნება სურვილზე და ძალისხმევაზე, არამედ ქვეყანაში საბირჟო ვაჭრობის (სასაქონლო და ფასიანი ქაღალდების) ბაზრის განვითარების შესაძლებლობაზე, რაც ბუნებრივად იზიდავს ინვესტიციებს პერსპექტიულ და პრიორიტეტულ დარგებში, რომელთა აქციებზე და ობლიგაციებზე არის მაღალი მოთხოვნილება. ასეთი ბირჟები ფაქტიურად ქვეყნის მთავარი ეკონომიკური სცენებია სადაც თამაშდება ეკონომიკური სპექტაკლები და მიმდინარეობს კონკურენციის ჯანსაღი პროცესი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ელ.ვერსია;
2. დელტა კაპიტალის საზოგადოებრივი კვლევა.

■■■■

ეკონომიკური მართვის ინდიკატორების სისტემების დამუშავების აუცილებლობა დეველოპმენ-ტის საინვესტიციო პროექტის ეფექტურობის დასაბუთებისათვის

The need for the development of systems of economic management indicators for the efficiency of development investment project

ავტორი - **ანი კაიშაური,** *ხელმძღვანელი* - **პროფ.** გრიგორ ხოფერია, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი.

Author - **Ani Khaishauri,** *Supervizor* – Prof. **Grigor Khoperia,** Georgian Technical University.

Instead of the effective economic directive planning of an Investment-Construction Project in the work proposed by the authors, which required initially justified decisions on implementation or denial of the project. Instead of the above mentioned project, the Index planning process on the economic management of the same project, which implies stimulus and restrictions in the planning and development of project-planning project in the development of the project and the use of its results in the customer's terms.

ავტორების მიერ შემოთავაზებულ ნაშრომში, საინვესტიციო-სამშენებლო პროექტის ეფექტური ეკონომიკური დირექტივული დაგეგმარების ნაცვლად, რომელიც აუცილებელია თავდაპირველად დასაბუთებული გადაწყვეტილებებისათვის, პროექტის განხორციელებისა ან უარყოფის თაობაზე. ზემოთ ხსენებულის მაგივრად, ამავე პროექტის ეკონომიკური მართვის საკითხზე ინდიკატორული დაგეგმარების პროცესი, რომელიც გულისხმობს საინვესტიციო-სამშენებლო პროექტის დაგეგმარებაში სტიმულებისა და შეზღუდვების განსაზღვრას პროექტის განვითარებაში და მომხმარებლების თვალსაზრისით მისი შედეგების გამოყენებაში.

პრობლემა. უძრავი ქონების ბაზრის ანალიზისას საინვესტიციო-სამშენებლო პროექტის ეფექტურობის დასასაბუთებლად ურთულეს ამოცანად რჩება ის გარემოება, რომ ანალიზის შესრულებისას გადასამუშავებელი არის სხვადასხვაგვარი ინფორმაციის დიდი მასივები, რომლებიც მიეკუთვნებიან არა მარტო უშუალოდ უძრავი ქონების ბაზრებს, არამედ ლოკალურ, რეგიონალურ, ნაციონალურ და ტრანსნაციონალურ სოციალურ-ეკონომიკურ ზოგად ტენდენციებს. დასაბუთებული შედეგების მიღება პრაქტიკაში შეუძლებელია ნათელი და მკაფიო ანალიზის შესრულების სტრუქტურულ - ლოგიკური სქემის გარეშე. მისი სქემა უნდა სისტემურად იკვლევდეს დეველოპმენტისათვის ან ინვესტორისათვის, რომლის შედეგად გაეცემა პასუხები შემდეგზე:

- •პროექტის საბაზრო რისკებზე, მათზე დასაბუთებული წარმოდგენის კუთხით;
- •პროექტში და მის კონცეფციაში აუცილებელი ცვლილებების შეტანაზე, მათი განხორციელების კუთხით.
- • ფულად ნაკადებზე მონაცემები, პროექტის ფინანსური მიზანშეწონილობის კუთხით.

საინვესტიციო ობიექტის სახეობის მიუხედავად კვლევის ამოცანებია:

1). ზოგადი ტენდენციების განსაზღვრა, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ მომხმარებლების სურვილებზე და ინვესტიციის საბოლოო პროდუქციის მახასიათებლებზე;

2). გრძელვადიანი მიზიდულობის განსაზღვრა საინვესტიციო ობიექტის კონკრეტული ადგილმდებარეობის მიმართ.

3). საბაზრო მოთხოვნასა და მიწოდებას შორის პოტენციური ფარდობის პროგნოზირება;

ზემოთქმულიდან გამომდინარე, საინვესტიციო-სამშენებლო პროექტების მართვის ეკონომიკურად დასაბუთებული გადაწყვეტილებების მიღებისათვის საჭიროა არსებითი მონაცემთა ბაზის მოპოვება, დამუშავება და მიღებული შედეგების გაანალიზება, პროექტის ეფექტური რეალიზებისათვის. ამგვარად ანალიზის პროცესი რთულია და შრომატევადია, ამასთან ის ითხოვს ადამიანის პოტენციალისა და ფინანსური რესურსების მოზიდვას, რაც ფრიად აძვირებს მსგავს კვლევებს.

პრობლემის გადაჭრის გზები. პრობლემის ანალიზის შედეგად სტატიის ავტორები თვლიან, რომ აღწერილ ანალიზზე დაფუძნებული საინვესტიციო-სამშენებლო პროექტის ეფექტური ეკონომიკური მართვა (დირექტივული მართვა) გრძელვადიანია, რაც საბაზრო ეკონომიკის პირობებში ძვირი ფუფუნებაა და შემაფერხებელი ფაქტორია გადაწყვეტილების მიღებისთვის: შესრულდეს თუ არა კონკრეტული პროექტი. გამოსავალს სტატიის ავტორები ხედავენ დირექტივული დაგეგმარებიდან ინდიკატურ დაგეგმარებაზე გადასვლაში. ინდიკატური დაგეგმარებაა, რომელიც

ოპერირებს მაჩვენებლებით - ინდიკატორებით, სადაც ისინი განსაზღვრავენ რაიმე ჩარჩოებს „დერეფნებს“, რომელშიც უნდა მდებარეობდნენ შერჩეული ინდიკატორები. იმ შემთხვევაში, თუ ინდიკატორი ცდება დადგენილი დერეფნის ჩარჩოებს, საგანგაშოა დეველოპმენტისათვის ან ინვესტორისათვის და მოითხოვს კორექტირებული მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღებას პროექტის ეკონომიკურ ნაწილში ზოგადად ან მის ქვესისტემაში, რომელსაც ეკუთვნის კონკრეტული ცვლილებას დაქვემდებარებული მაჩვენებელი.

ამგვარად ინდიკატორული დაგეგმარება პარამეტრების (ინდიკატორების) ერთობლიობაა ეკონომიკის მართვისათვის, რათა მათ მიაღწიონ ან იმყოფებოდნენ დერეფნებში იმისათვის, რომ ეკონომიკა მდგრადად ვითარდებოდეს დასახული მიზნენისაკენ . მათზე ზემოქმედების მექანიზმებიდან გამომდინარე.

მახასიათებლების- ინდიკატორების სისტემის შექმნა.

მახასიათებლების-ინდიკატორების შემუშავებამდე სტატიის ავტორებმა ჩამოაყალიბეს რიგი კრიტერიუმები (პრინციპები), რომლებმაც უნდა დააკმაყოფილონ ინდიკატორების სისტემა. ესენია:

- •კომპლექსური ხასიათი (უნდა ასახავდნენ საინვესტიციო-სამშენებლო პროექტის რეალიზების ყველა ეტაპს და ქვეეტაპებს);
- •სრული მოცულობა უნდა ეხამებოდეს პირობით სიმარტივეს;
- •სისტემის დასაბუთებული ინფორმაციით გაჯერებისა და მაჩვენებლების შეპირისპირების შესაძლებლობა დროში და სივრცეში;
- •სივრცითი და დროებითი საზღვრების შემდგომი გაფართოების შესაძლებლობა;
- •სისტემის გამჭირვალობა მომხმარებლებისათვის
- •მაჩვენებლების ინტერპრეტაციის ერთმნიშვნელიანობა.

ამასთან ერთად, ინდიკატორების სისტემის ჩამოყალიბების საფუძველია დირექტივული დაგეგმარებისათვის შემუშავებული ამოცანების და შედეგების ნუსხა. ამ სტატიაში ასევე მოყვანილია ცოდნა, თუ რა აუცილებელი ნაწილები და მათემატიკური საშუალებებია საჭირო სისტემური კვლევისას დირექტივული დაგეგმარებისათვის: ესენია:

- ✓ბაზრის ზოგადი ანალიზი (ეროვნული, რეგიონალური, ლოკალური მაკროეკონომიკური და მიკროეკონომიკური მაჩვენებლების საშუალებით);
- ✓უძრავი ქონების ბაზრის ანალიზი (გრძელვადიანი პროგნოზით მოთხოვა მიწოდების ფარდობის შესახებ და ვარაუდებით საინვესტიციო პროდუქტის მიმართ);
- ✓საინვესტიციო ობიექტის პოზიციონირების ანალიზი (მიწოდების მოკლევადიანი პროგნოზირება ბაზრის წვრილ სეგმენტზე მშენებლობა დაწყებულ და აშენებული ობიექტების ანალიზის საფუძველზე და მიწოდების გრძელვადიანი პროგნოზირება მოკლევადიანი მიწოდების ექსტრაპოლაციით ფინანსირების ხელმისაწვდომობაზე, ობიექტების პოტენციალზე, რომლებიც ექვემდებარება რეკონსტრუქციას, ასევე უძრავი ქონების ბაზრის ციკლურობაზე დაკორექტირების გზით) ;
- ✓საუკეთესო ეფექტური საინვესტიციო-სამშენებლო პროექტების შერჩევა UNIDO-ს მათემატიკური მეთოდების საფუძველზე და სხვა.

ძირითადი ტექსტის გადმოცემა. დეველოპმენტის პროექტის ეფექტურობის დასაბუთებისთვის ავტორების მიერ შემუშავდა ინდიკატორების (ჯგუფების) სისტემა, რომლებიც ჩამოყალიბდა შემდეგი კლასიფიკაციის მიხედვით:

1). ბაზრის ეკონომიკური მდგომარეობის დიაგნოსტიკისთვის;

2). პროექტში მონაწილე ობიექტების პოზიციონირების უძრავი ქონების ბაზარზე;

3). პროექტის ეფექტიონობის დიაგნოსტიკისათვის ალტერნატიურ პროექტებთან შედარებით;

4) ინდიკატორები, რომლებიც ასახავენ მიღებული დასაბუთებული გადაწყვეტილებების ეფექტებს.

ქვემოთ დაწვრილებით განვიხილოთ ინდიკატორების ჯგუფები:

I. ეკონომიკური ბაზრის ინდიკატორების ჯგუფი -*1). მოსახლეობის სიცოცხლის დონე-მოიცავს 6 ინდიკატორს.*

1.1. სამომხმარებლო კალათის ღირებულება (გამოისახება აბსოლუტური სიდიდით) = 2016 წ. (...) 2017 (...) და 2018 (ნოემბრის თვე 2018 წ.); მონაცემების მიღება შესაძლებელია საიტზე www. Geostat.ge - დადებითი შედეგია ზრდა;

1.2. საშუალო თვიური ხელფასი ერთ მომუშავეზე (გამოისახება აბსოლუტური სიდიდით) = 2016წ. (...), 2017 წ (...) da 2018წ (ნოემბრის თვე 2018 წ.). მონაცემების მიღება შესაძლებელია საიტზე www. Geostat.ge - დადებითი შედეგია ზრდა;

1.3. შემოსავლის საშუალო პროცენტი, დახარჯული საცხოვრებლის იჯარაზე ან კომუნალურ მომსახურებაზე (წლის განმავლობაში),%-ში = 2016წ. (...), 2017 წ (...) მონაცემების მიღება შესაძლებელია საიტზე www. Geostat.ge - დადებითი შედეგია კლება;

1.4. საცხოვრისის 1$მ^2$ ფართის ღირებულების შეფარდება საშუალო თვიურ ხელფასთან (გამოსახულია %-ში). ამ ინდიკატორის გაანგარიშებისათვის გარდა სტატისტიკური მონაცემებისა შემოსავლებზე გამოიყენება საველე კვლევები ამ სექტორის უძრავი ქონების მონაცემები გაყიდვებზე მიღებული იუსტიციის სახლიდან- დადებითი შედეგია წლების მიხედვით კლება.

გარკვეული მოცულობითი ჩარჩოების დაწესების გამო, სტატიის ავტორები არ ასახავენ დანარჩენი ინდიკატორების ჯგუფების ფაქტორებს, რაც სრულად გამოქვეყნდება მომავალში.

ინდიკატორული დაგეგმარება უზრუნველყოფს მმართველობითი გადაწყვეტილებების გადაჭრის მრავალ ვარიანტს, მობილობასა და ახალ შესაძლებლობებს შემდეგი მიმართულებებით:

1. დეველოპმენტისათვის ან ინვესტორისათვის საინვესტიციო - სამშენებლო პროექტის ეფექტურობის გასაგები და დასაბუთებული მონაცემების საშუალებით.

2. სწორი მმართველობითი გადაწყვეტილებების ხელის შეწყობა;

3. ალტერნატიული და განსახორციელებები საინვესტიციო - სამშენებლო პროექტების შედარება ერთმანეთთან;

4. პროექტის განვითარების დინამიკზე თვალის მიდევნება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Bengs Ch. Planning theory for the naive?// The European Journal of Spatial Development ქსელური ურნალი 2005. URL: http://www.nordregio.se/EJSD/
2. Castells M. End of Millennium, The Information Age: Economy, Society and Culture. Vol. III. Cambridge MA. Oxford. UK. Blackwell. Second edition, 2000.
3. 12. Klosterman R. Arguments for and against planning. Readings in Planning Theory (Fainstein S. and Campbell S. (eds.)). Cambridge and Oxford: Blackwell Publishers. 1996.

■■■■

ფინანსური განათლება - საზოგადოების თანამედროვე მწვავე გამოწვევა

Financial education - the modern acute challenge of society

ავტორი - **მარიამ გიქოშვილი,** *ხელმძღვანელი* - **პროფ. ვალერი მოსიაშვილი,** საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი.

Author - **Mariam Gikoshvili,** *Supervizor –Prof.* **Valeri Mosiashvili,** Georgian National University.

The financial understanding is more and more important in the life of each citizen, the issue is more relevant in Georgia, especially in the light of a small part of the population affected by banking and financial institutions. Each of us is willing to manage personal finances, mostly determining our financial stability and success. In Georgia, society has never seen this vital knowledge in general, a general idea of how to plan and manage a personal loan, what kind of conditions to choose insurance, deposit or other

financial services. Many people depend on the consciousness of a citizen because the financial decision is made daily and these decisions can influence the lives of any of us.

However, while studying the problem of financial education, one of the most important issues is the existence of the financial system of the time developed for the country. At what level is the financial sector in Georgia, we can assume that the branches of the bank are widely distributed in the capital and the auto-teller machines are a clear sign of this. However, data indicate that Georgia has a smaller financial sector than its territorial size. One of the measures that are used to assess the economic development or financial depth of the economy are the ratio of deposits to the GDP. According to the International Monetary Fund (IMF), this ratio was 40.3% in 2015 - one of the lowest rates among other economies on the same level of development. What are the reasons for such low level of financial development? Likely to focus on financial education - one aspect of financial depth and its possible determinant.

Financial education means financial consciousness and knowledge. It implies not only the knowledge of financial products, institutions and concepts, but also financial skills, such as calculating difficult interest taxes; In general, it includes financial skills in terms of money management and financial planning. This type of knowledge is an instrument of credibility in financial institutions that can increase financial activity and loan support for economic growth and development.

inancial education programs are rapidly becoming a key component of reforming financial policy around the world. However, it is interesting how measured the financial education? This is usually done through research, in which questions are addressed to the difficult interest, real interest rate and risk diversification. Together with the Institute for Economic Research and Development, we conducted financial research using an internationally established methodology. Compared to the results of research in Georgia compared with similar analog indicators.

Keywords: financial education, economic opportunity, bank transaction, interest rate, difficult interest, real interest rate

ფინანსური განთლება მასშტაბით უფრო და უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს თითოეული მოქალაქის ცხოვრებაში, საკითხი კიდევ უფრო აქტუალურია საქართველოში, განსაკუთრებით იმ ფონზე, როდესაც საზოგადოების არც თუ ისე მცირე ნაწილი დაზარალდა საბანკო-საფინანსო ინსტიტუტებთან თანამშრომლობის შედეგად. თითოეული ჩვენთაგანის მზადყოფნა, მართოს პირადი ფინანსები, უმეტესწილად განსაზღვრავს ჩვენს ფინანსურ სტაბილურობას და წარმატებას. საქართველოში საზოგადოებას დღეს როგორც არასდროს სჭრიდება ეს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ცოდნა, ზოგადი წარმოდგენა, თუ როგორ დაგეგმოს და მართოს პირადი სესხი, როგორი პირობები აირჩიოს დაზღვევიშ, ანაბრის თუ სხვა ფინანსური სერვისის გამოყენებისას. მოქალაქის ცნობიერებაზე ბევრია დამოკიდებული, რადგან ფინანსური გადაწყვეტილების მიღება ყოველდღიურად ხდება და ამ გადაწყვეტილებებს დიდი ზეგავლენის მოხდენა შეუძლია

თუმცა ფინანსური განათლების პრობლემის კვლევისას რა თქმა უნდა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია ქვეყნის განვითარებული, დროის შესატყვისი საფინანსო სისტემის არსებობა. თუ რა

დონეზეა საქართველოში განვითარებული საფინანსო სექტორი, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ დედაქალაქში ფართოდ გავრცელებული ბანკის ფილიალები და ავტომატურ რეჟიმში მთხრობელი მანქანები სწორედ ამის ნათელი ნიშანია. მაგრამ მაინც, მონაცემები მიუთითებენ, რომ საქართველოს თავის ტერიტორიულ ზომასთან შედარებით მცირე ფინანსური სექტორი აქვს. ერთ-ერთი მიახლობითი საზომი, რომელსაც ეკონომიკის ფინანსური განვითარების ან ფინანსური სიღრმის შესაფასებლად იყენებენ არის დეპოზიტების მთლიან შიდა პროდუქტთან თანაფარდობა. საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) მონაცემებით, ეს თანაფარდობა საქართველოში 2015 წელს 40,3%-ის ტოლი იყო - ერთ-ერთი ყველაზე დაბალი მაჩვენებელი განვითარების ანალოგიურ ეტაპზე მყოფ სხვა ეკონომიკების შორის. რა მიზეზები შეიძლება არსებობდნენ ფინანსური განვითარების ასეთი დაბალი დონის უკან? სავარაუდოდ ყურადღება უნადა გავამახვილოთ ფინანსურ განათლებაზე - ფინანსური სიღრმის ერთ-ერთ ასპექტზე და მის შესაძლო განმსაზღვრელზე.

ფინანსური განათლება ნიშნავს ფინანსურ ცნობიერებასა და ცოდნას. იგი გულისხმობს არა მხოლოდ ფინანსური პროდუქტების, ინსტიტუტებისა და ცნებების ცოდნას, არამედ ფინანსურ უნარებს, როგორიცაა რთული საპროცენტო გადასახადების გამოთვლა; და ზოგადად, იგი მოიცავს ფინანსურ უნარებს ფულის მენეჯმენტისა და ფინანსური დაგეგმვის თვალსაზრისით. ამ ტიპის ცოდნა ფინანსურ ინსტიტუტებში რწმენის შემქმნელი საშუალებად გვევლინება, რომელსაც შეუძლია გაზარდოს ფინანსური საქმიანობა და სასესხო მხარდაჭერა ეკონომიკური ზრდისა და განვითარებისთვის.

ფინანსური განათლების პროგრამები სწრაფად ხდება მთელი მსოფლიოს მასშტაბით ფინანსური პოლიტიკის რეფორმირების მთავარი შემადგენელი კომპონენტი. თუმცა, საინტერესოა, როგორ იზომება ფინანსური განათლება? ეს ხდება ჩვეულებრივ, კვლევების მეშვეობით, რომელშიც შეკითხვებია დასმული რთული პროცენტის, რეალური საპროცენტო განაკვეთითსა და რისკის დივერსიფიკაციის შესახებ. ეკონომიკის კვლევის და განვითარების ინსტიტუტთან ერთად, საერთაშორისოდ დადგენილი მეთოდოლოგიის გამოყენებით ფინანსური განათლების კვლევა ჩავატარეთ. საქართველოში კვლევის შედეგად მიღებული შედეგები შევადარეთ უცხოეთის ანალოგიურ მაჩვენებლებს.

საკვანძო სიტყვები: ფინანსური განათლება, ეკონომიკური შესაძლებლობა, საბანკო ტრანზაქცია, საპროცენტო განაკვეთი, რთული პროცენტი, რეალური საპროცენტო განაკვეთი.

ფინანსური სტაბილურობა

ფინანსურ სტაბილურობაში უპირველესად მოიაზრება ადამიანის ცხოვრების ნებისმიერ ეტაპზე - ახალგაზრდობიდან პენსიის ასაკის ჩათვლით - მისი მიზნებისა და საჭიროებებისათვის აუცილებელი ფულის ხელმისაწვდომობა. რა ეკონომიკურ საქმიანობასაც არ უნდა ვეწეოდეთ (დაქირავებული შრომა, მეწარმეობა, შემოქმედება თუ სხვა), შეუძლებელია შემოსავლები ყოველთვის ზუსტად აკმაყოფილებდეს ფინანსურ მოთხოვნებს. პირველ რიგში შემოსავლები ყოველთვის სტაბილური არ არის, მეორეს მხრივ, შესაძლოა გაჩნდეს დაუგეგმავი ფინანსური გასავალი, გამოწვეული გაუთვალისწინებელი ხარჯით (მაგალითად, სახლში დაზიანების შეკეთება, სამედიცინო საჭიროება თუ სხვა), ან მიმზიდველი ეკონომიკური შესაძლებლობით, მაგალითად უძრავი

ქონების შეძენა ან მცირე ბიზნესში ინვესტირება. ამიტომ აუცილებელია იმ ფინანსური პროდუქტების ცოდნა და მათი გონივრული გამოყენება, რომელიც დაგეხმარებათ ხელი მიგიწვდებოდეთ საჭირო დონის, საჭირო რაოდენობის ფინანსებზე.

ფინანსური მომსახურების ყველაზე გავრცელებული სახეებია:

- გადახდები
- ანაბრები
- სესხები
- დაზღვევა
- ინვესტირება

ამ მომსახურებათა ცოდნა და იმ ორგანიზაციებთან სწორი ურთიერთობების დამყარება, რომლებიც ამ მომსახურებების მიმწოდებლებს წარმოადგენენ ჩვენი ინტერესების დაცვისა და ფინანსური სტაბილურობის მიღწევის წინაპირობაა.

დაგეგმვა და ბიუჯეტირება

რამდენად ვაცნობიერებთ, რომ უმეტესწილად სწორედ ჩვენზეა დამოკიდებული, რა ბედი ეწევა ჩვენ ფინანსებს? ფული, რომელსაც ვშოულობთ, შეგვიძლია:

ა) დავხაროჯოთ, ანუ მოვიხმაროთ ამა თუ იმ საჭიროებისათვის;

ბ) დავზოგოთ, ანუ გავდადოთ მომავლისთვის და

გ) მოგების მიღების მიზნით დავაბანდოთ, ანუ განვახორციელოთ ინვესტიცია.

ყველა აღნიშნულ ეტაპზე ფინანსების სწორი მართვა დიდწილადაა დამოკიდებული პირადი ფინანსების დეტალურ ცოდნასა და კონტროლზე. ამისათვის კარგად უნდა ვერკვეოდეთ ჩვენს შემოსავლებსა და ხარჯებში და მუდმივად ვაწარმოოთ დაკვირვება საკუთარ ფინანსებზე.
ბიუჯეტი არა მხოლოდ შემოსავლებისა და ხარჯების დაგეგმვას მოიცავს, არამედ გულისხმობს ფინანსური გეგმის შესრულებაზე კონტროლს. ბიუჯეტირებისას ყველა რეგულარული ხარჯის ცოდნა და მათი ანალიზი გვმართებს. რამდენად აუცილებელია ეს ხარჯი? რა სარგებელს გვაძლევს ის? შესაძლებელია თუ არა ნაკლები ხარჯით იგივე სარგებლის მიღება? ასეთი კითხვები გვეხმარება ზედმეტი ხარჯების შემცირებასა და ფინანსების უფრო ეფექტურად გამოყენებაში. ბიუჯეტი ისე უნდა შევადგინოთ, რომ ჩვენი შემოსავლებით ვახერხებდეთ ხარჯების დაფარვას. წინააღმდეგ შემთხვევაში შემოსავლის დამატებით წყაროებზე ზრუნვა, ან შემოსავლის მომატებამდე ჩვენი ცხოვრების სტილის შემოსავლებზე მორგება მოგვიწევს.

დაზოგვა

დაზოგვა ფინანსების მართვის უმნიშვნელოვანესი ნაწილია და ფინანსური წარმატების საწინდარს წარმოადგენს. რაც არ უნდა მცირე იყოს ჩვენი შემოსავალი, უნდა ვეცადოთ საკუთარ ბიუჯეტში გავითვალისწინოთ დანაზოგის გაკეთება - სასურველია შემოსავლების 10%-ის ფარგლებში მაინც. კარგია, როცა დაზოგვა ჩვევად გვექცევა და

ამას მუდმივად ვაკეთებთ. დაზოგვისთვის, კარგია, თუ შემოვიღებთ წესს, რომ შემოსავლიდან პირველ რიგში (ვალის გასტუმრებამდე და ხარჯების გაწევამდე) დანაზოგისთვის გადავდებთ ფულს.

რისკების მართვა და დაზღვევა

რისკი არის იმ არასასურველი მოვლენების ალბათობა, რომელსაც შეუძლია უარყოფითად იმოქმედოს თქვენს ფინანსურ მდგომარეობაზე. რისკებმა შესაძლოა გავლენა იქონიონ ჩვენს შემოსავლებზე მათი შემცირების ან საერთოდ შემოსავლის წყაროს დაკარგვის სახით. რისკები ასევე შეიძლება დაემუქროს ჩვენს ქონებას, დანაზოგს, როცა ადგილი აქვს აღნიშნული აქტივის დაზიანებას, დაკარგვას ან გაუფასურებას. რასაკვირველია რისკებმა შესაძლოა დაუგეგმავი ხარჯებიც გამოიწვიოს.

შეუძლებელია ყველა რისკის განჭვრეტა და თავიდან მათი სრული აცილება, მაგრამ შესაძლებელია რისკების შემცირება და მართვა. ამისთვის პირველ რიგში უნდა მოვახდინოთ კონკრეტული სიტუაციის, გარემოს და რისკების გაანალიზება და დავადგინოთ ხომ არ შეგვიძლია რაიმე მოქმედებებით ან რამეს შეცვლით შევამციროთ რისკი. მეორეს მხრივ, არსებობს აქტუალური რისკებისგან თავის დაზღვევის შესაძლებლობა. სადაზღვევო პროდუქტების გონივრული გამოყენებით ხარჯთ-ეფექტურად შეგვიძლია ფინანსური გეგმის არასასიამოვნო მოულოდნელობისგან დაცვა.

სადაზღვევო პროდუქტებიდან ფართოდ გავრცელებული და ბაზარზე უკვე აპრობირებულია ჯანმრთელობის, ქონების, ავტომობილის და მოგზაურობის დაზღვევა.

სესხების მართვა

რა დროს ვიღებთ სესხს? როგორც წესი, მაშინ, როცა ფინანსური ამოცანის დროულად დაფინანსებას ვერ ვახერხებთ საკუთარი სახსრებით. სესხის აღებისას კრედიტორს ვაძლევთ უფლებას და უპირატესობას მიიღოს ჩვენი მომავალი შემოსავლის ნაწილი, რომელიც დასჭირდება სესხის თავნის და პროცენტის გასტუმრებას. თუ სესხის ოდენობა დიდია, მაშინ სავარაუდოდ გვიწევს მისი გირაოთი უზრუნველყოფა. ეს კი გულისხმობს კრედიტორის უფლებას, საჭიროების შემთხვევაში, გაყიდოს გირაოში ჩადებული ჩვენი ან ჩვენი ახლობლის ქონება. სესხის გადახდის გრაფიკის დარღვევა კრედიტორს საშუალებას აძლევს გამოაცხადოს დეფოლტი და მოითხოვოს სესხის სრული თანხის (ჯარიმა, პროცენტი, თავნი) სასწრაფო დაბრუნება, რისთვისაც შეუძლია გირაოში ჩადებული ქონების რეალიზაცია მოახდინოს.

საკრედიტო მიზანი მრავალფეროვანია. სხვადასხვა სასესხო პროდუქტი შეგვიძლია მივიღოთ ისეთი დაწესებულებებიდან, როგორიცაა კომერციული ბანკები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები, ლომბარდები და საფინანსო ორგანიზაციები. ფულის სესხება ასევე შესაძლებელია კერძო პირებისგანაც. ნებისმიერ აქ ჩამოთვლილ მომავალ კრედიტორთან ხელშეკრულების ხელმოწერამდე ყურადღებით უნდა გავეცნოთ ისეთ პირობებს, როგორიცაა:

სესხის მოცულობა, ვალუტა და საპროცენტო განაკვეთი, სესხის ვადა და გადახდის გრაფიკი, მოთხოვილი თანამონაწილეობა (ხშირია იპოთეკურ სესხებზე), გირაო ანუ უზრუნველყოფა, ჯარიმის და პირგასამტეხლოს პირობები, საკომისიოს, დოკუმენტაციის გაფორმების ხარჯები, სესხის მისაღებად საჭირო, დროსა და დამატებით მოთხოვნები, როგორიცაა მაგალითად გირაოში ჩადებული ქონების დაზღვევა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ცაავა გ., ხანთაძე გ., საბანკო საქმე თბილის 2015
2. www.sabanko.com
3. www.nbg.g

■■■■

სახელმწიფო ვალის მართვის პოლიტიკა მიმდინარე ეტაპზე

STATE DEBT MANAGEMENT POLICY AT THE CURRENT STAGE

ავტორი - **მაია კვერენჩხილაძე,** *ხელმძღვანელი* - **პროფ. ვალერი მოსიაშვილი,** საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი.

Author - ***Maia Kverenchkhiladze,*** *Supervizor – Prof.* **Valeri Mosiashvili,** Georgian National University.

We discussed these current issues related to the state debt in the present work, specifically, we have focused on issues such as: the State Credit location and the role in Financial Relations System, classification of State Loans, the methods and principles of state debt management, the modern condition of State Debt. The State Foreign Debt in most cases is mainly preferential. The state foreign debt of Georgia is mostly preferential. A large part of loans received from foreign

sources are used for construction rehabilitation and development of vital projects at the current stage of development of the country to fund vital projects at the current stage.

საკვანძო სიტყვები: სახელმწიფო ვალი. სახელმწიფო კრედიტი, ბიუჯეტის დეფიციტი, საერთაშორისო საკრედიტო ინსტიტუტი, ფინანსური ურთიერთობა.

Keywords: State debt. State Credit, Budget Deficit, International Credit Institution, Financial Relations.

შესავალი. მხოლოდ საბიუჯეტო შემოსავლებით თანამედროვე საზოგადოებრივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება ზოგჯერ შეუძლებელი ხდება, რა მიზეზითაც სახელმწიფო მიმართავს იურიდიული და ფიზიკური პირების დროებით თავისუფალი ფულადი სახსრების ბიუჯეტში მობილიზაციას სახელმწიფო (სესხის) კრედიტის მეშვეობით.

სახელმწიფო ვალი წარმოადგენს დაუფარავი სახელმწიფო სესხების (პროცენტის ჩათვლით) მთელ თანხას, რომელიც სახელმწიფომ უნდა დაფაროს დროის გარკვეული პერიოდისთვის. სახელმწიფო ვალი, როგორც ფინანსური ურთიერთობა, ავსებს ქვეყნის ცენტრალიზებულ ფულად ფონდებს - მაშასადამე, ემსახურება ბიუჯეტისა და სახელმწიფო სპეციალური ფონდების ფორმირებასა და გამოყენებას.

გადასახადებისაგან განსხვავებით, სახელმწიფო ვალი, როგორც საკრედიტო ურთიერთობა, ნებაყოფლობითია.

სახელმწიფო, შედის რა საკრედიტო ურთიერთობებში, ნებით თუ უნებლიეთ, მაღალი ან დაბალი ხარისხით, გავლენას ახდენს ფულის მიმოქცევაზე, სასესხო კაპიტალის ბაზარზე ჩამოყალიბებული საპროცენტო განაკვეთის სიდიდეზე, წარმოებასა და დასაქმებაზე. სახელმწიფოს მიერ სახელმწიფო კრედიტის - როგორც ეკონომიკური რეგულირების ინსტრუმენტის, შეგნებული გამოყენების მიზნით ხელისუფლებას შეუძლია გამოიყენოს ესა თუ ის ფინანსური და ფულადი პოლიტიკა.

ძირითადი ნაწილი. შეიძლება ითქვას, რომ დღევანდელ პირობებში საქართველოს სახელმწიფო საკრედიტო რეიტინგის პოზიტიურ მხარედ ითვლება ის, რომ სახელმწიფოს მიერ აღებული საგარეო ვალის საპროცენტო განაკვეთები შედარებით დაბალია და თავად დავალიანება (საგარეო ვალი) გამოირჩევა მდგრადობით.

არსებული სიტუაცია აღიარებულია უკანასკნელ პერიოდში საქართველოსთან თანამშრომლობის პროცესში მყოფი საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოების მიერ („Standard & Poor's"-ის, „Fitch" –ის და „Moody's"-ის მიერ). ყოველივე ზემოთ აღნიშნული მიღწეულ იქნა წლების მანძილზე სახელმწიფო საგარეო ვალის პრაგმატული, დროის შესატყვისი მართვის შედეგად, აგრეთვე მიერ მოზიდული სასესხო რესურსის ეროვნული ეკონომიკის განვითარების და საინვესტიციო პრიორიტეტების შესაბამისად მართებული გამოყენების მეშვეობით.

ამჟამად, საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალი უმეტესწილად შეღავათიანია. საზღვარგარეთიდან მიღებული ფინანსური რესურსები გამოიყენება მოძველებული და დაზიანებული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის, ქვეყნის განვითარებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სხვადასხვა პროექტების დასაფინანსებლად.

მიმდინარე ეტაპზე, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო არის ერთადერთი სახელმწიფო უწყება, რომელიც უფლებამოსილია მოიზიდოს სახელმწიფო სესხები უცხო ქვეყნების მთავრობებიდან, რეგიონული და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებიდან.

საერთაშორისო საფინანსო, საკრედიტო ორგანიზაციები და პარტნიორი ქვეყნების მიერ დადებითი შეფასება მიიღო, საქართველოს სახელმწიფოს მიერ, ისტორიაში პირველად (2008 წლის აპრილი), სადებიუტო ევროობლიგაციების ემისიამ და განთავსებამ ლონდონის საფონდო ბირჟაზე (მისი ჯამური მოცულობა იყოს 5000 მილიონი აშშ დოლარი). განთავსება უზრუნველყო ორმა ცნობილმა ბანკმა *JP MORGAN* და *UBS* .

ევროობლიგაციების გამოშვების ოფიციალური გაცხადებული მიზანი იყო მოზიდული თანხების დახარჯვა იმ პერიოდისთვის პრიორიტეტად მიჩნეულ სფეროში - გაზსაცავის მშენებლობასა და მაღალი ძაბვის ელექტროგადაცემის ხაზების ინვესტირებაში. დაფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი 7,5 პროცენტი შეადგინა[4].

2008 წლის ომის შემდგომი კრიზისის კვალობაზე ეს რესურსი გამოყენებულ იქნა სახელმწიფო ბიუჯეტის მიმდინარე ხარჯების დასაფინანსებლად. შეიძლება ითქვას, რომ ევროობლიგაციებიდან მიღებული სასხრები უყაირათოდ იქნა გამოყენებული და საქართველოს საგარეო ვალის მორიგ ზრდაში გამოიხატა.

თუმცა, 2011 წლის აპრილში საქართველოს მთავრობამ 500 მილიონი აშშ დოლარის მოცულობის ათწლიანი ობლიგაციების ემისია განახორციელა (საქართველომ ახალი 500 მილიონიანი ევროობლიგაციები გამოუშვა[5]:), საპროცენტო განაკვეთი 6.9 პროცენტის დონეზე დაფიქსირდა. მთავრობამ გადაფარა 2008 წლის ევროობლიგაციები 417 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით; საგარეო ვალი 83 მილიონი დოლარით გაიზარდა.

სახელმწიფო საგარეო ვალის პორტფელი არსებული მდგომარეობით (14 ნოემბრის 2018 წ.) შეადგენს მთლიანი სახელმწიფო ვალის 78 პროცენტს. როგორც ოფიციალი წყაროები მეტყველებს, ზემოაღნიშნული საკრედიტო რესურსის საკმაოდ სოლიდური ნაწილი მიღებულია მრავალმხრივი და ორმხრივი დონორებისგან და უმეტეს შემთხვევაში საშეღავათო პირობებით გამოირჩევა.. სახელმწიფო საგარეო ვალის არსებული შედარებით სა-

[4] http://www.reuters.com/article/2011/04/07/georgia-bond- idUSLDE7361VC20110407 გადამოწმებული იქნა 30.11.2018.

[5] http://civil.ge/geo/article.php?id=23886 გადამოწმებული იქნა 30.11.2018.

შეღავათო/ხელსაყრელი სტრუქტურა ჩვენს ქვეყანას საშუალებას აძლევს იძლევა მიღწეული იქნას მნიშვნელოვნად მცირე საპროცენტო განაკვეთი (მხედველობაშია საშუალო შეწონილი) მხოლოდ *წლიური 2.03 პროცენტის ფარგლებში.*

ბოლო წლებში დაფიქსირებული დადებითი ტენდენცია - პერმანენტულად მზარდი საბიუჯეტო შემოსავლები, დაბალი საშუალო საპროცენტო განაკვეთი (სახელმწიფო კრედიტზე) და ვალის დაფარვის საკმაოდ შეღავათიანი გრაფიკი ძირითადი თანხების დაბალი და ადვილად ხელმისაწვდომი ყოველწლიური გადასახდელებით - არის იმ ფაქტორების ჩამონათვალი, რომლებიც უზრუნველყოფენ მთავრობის საგარეო ვალის მომსახურების კოეფიციენტების სტაბილურად დაბალ დონეს და კლებად ტენდენციას. ყოველი საბიუჯეტო/ფისკალური წლის განმავლობაში სახელმწიფო ვალის მომსახურებაზე (პროცენტის გადახდაზე) მიიმართება საბიუჯეტო შემოსავლების მხოლოდ ძალიან მცირე ნაწილი, რაც საშუალებას იძლევა რომ საბიუჯეტო დანახარჯები მაქსიმალურად იყოს ორიენტირებული დროის კონკრეტულ მონაკვეთში ქვეყნის მიერ პრიორიტეტულად მიჩნეული სფეროების/დარგების დაფინანსებაზე.

უკანასკნელი წლების მანძილზე საქართველოს ევროობლიგაციების მეორადი ბაზრის ფასი ძირითადად აღემატება ნომინალურ ფასს, ხოლო შემოსავლიანობა მნიშვნელოვნწილად შემცირდა. ფასის/შემოსავლიანობის ეს დადებითი ცვლილებები ადასტურებს საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები, საზოგადოების ნდობას ქვეყანაში ჩამოყალიბებული პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური დინამიკის მიმართ.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო არის წამყვანი უწყება საერთაშორისო დონორებთან თანამშრომლობის და მათი მხარდაჭერის კოორდინაციის კუთხით. დონორთა კოორდინაციის ძირითადი ამოცანაა დონორთა, პარტნიორი ქვეყნების, საფინანსო-საკრედიტო ორგანიზაციების მხარდაჭერის ეფექტიანობის კიდევ უფრო გაზრდა და მათ მიერ დაფინანსებული პროექტების და პროგრამების მორგება ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების პრიორიტეტებზე. ამასთან, ფინანსთა სამინისტროს ერთ-ერთ მთავარ მიზანს საერთაშორისო დონორი ორგანიზაციებისაგან მაქსიმალურად შეღავათიანი პირობებით ფინანსური რესურსის მოზიდვა წარმოადგენს, რათა ამ ეტაპზე შენარჩუნებული იქნას, ხოლო პერსპექტივაში კიდევ პოზიტიურად შეიცვალოს სახელმწიფო ვალის არსებული ხელსაყრელი პარამეტრები.

საქართველოს ფინანსური მხარდაჭერის სტრუქტურა დონორების მიხედვით, საჯარო სექტორში გაფორმებული თანხები, რომელიც მიღებული იქნა ბრიუსელში, დონორთა საერთაშორისო კონფერენციაზე[6]:

[6] https://mof.ge/saxelmwifo_vali გადამოწმებული იქნა 03.11.2018.



ნახ. 1 ფინანსური მხარდაჭერის სტრუქტურა დონორების მიხედვით

საქართველოს მხარდასაჭერად გაიმართა დონორების საერთაშორისო კონფერენცია (ქალაქ ბრიუსელში), სადაც მონაწილეობდა ოცდათხუტმეტზე მეტი სახელმწიფო სტრუქტურა და საერთაშორისო საფინანსო-საკრედიტო დონორმი ორგანიზაცია (ქ. ბრიუსელი, 2008 წ. ოქტომბერში.) საქართველოს სახელმწიფომ კონფერენციაში მონაწილე დონორებისგან მიიღო საკმაოდ ხელსაყრელი, შეღავათიანი ფინანსური მხარდაჭერის დაპირებები ჯამური 4.5 მილიარდი აშშ დოლარი, საქართველოს ეკონომიკის მდრგარდი და სტაბილური ზრდის უზრუნველყოფის, განვითარების ხელშეწყობის, კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესების ხელშეწყობისთვის.

საქართველოს მთლიანი საგარეო ვალის ზოგადი მიმოხილვა[7]**.** არსებული სტატისტიკური ინფორმაციის ანალიზი გვაძლევს საშუალებას აღინიშნოს, რომ, საქართველოში *მთლიანი საგარეო ვალის სტრუქტურა ჰარმონიზებულია საგადასახდელო ბალასის სტატისტიკურ პარამეტრებთან. თავის თავში მოიცავს - სახელმწიფო და კერძო სექტორის საგარეო ვალს. საგარეო ვალის სტატისტიკა წარმოებულია საერთაშორისოდ აღიარებული (კერძოდ კი საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ შემუშავებული და დამტკიცებული) მეთოდოლოგიის, "საგარეო ვალის სტატისტიკა, სახელმძღვანელო შემდგენელთათვის და მომხმარებლებისათვის" – 2003, შესაბამისად.*

საქართველოს მთლიანმა საგარეო ვალმა, 2018 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, 17.4 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა[8], რაც მთლიანი შიდა პროდუქტის 114.7 % პროცენტია.

[7] https://www.nbg.gov.ge/index.php?m=306#sagareoseqtori გადამოწმებული იქნა 03.11.2018.
[8] https://www.nbg.gov.ge/index.php?m=306#sagareoseqtori გადამოწმებული იქნა 03.11.2018.

სსფ-ს (საერთაშორისო სავალუტო ფონდი) აღმასრულებელ დირექტორთა საბჭომ „გაფართოებული დაფინანსების მექანიზმის“ ფარგლებში[9] გამოხატა რა თანადგომა საქართველოს სახელმწიფოსადმი, მოიწონა ეკონომიკის და სოციალურ სფეროში გატარებული რეფორმები, საქართველოს დაუმტკიცა 285.3 მილიონი აშშ დოლარის დახმარების პროგრამა:

- პროგრამის დამტკიცების პირველ ეტაპზე ქვეყნისთვის ხელმისაწვდომი ხდება 30 მილიონი SDR (ეს.დე.ერ-ი, დაახლოებით 40.7 მილიონი აშშ დოლარი).

- პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი თანხები უნდა გაიხარჯოს ისეთი დარგების განვითარებისთვის, როგორიცაა: განათლება, საგზაო ინფრასტრუქტურა, საჯარო მმართველობის გაუმჯობესება.

- საშუალოვადიან პერიოდში - ფისკალური კონსოლიდაცია ემსახურება სახელმწიფო ვალის მინიმუმ არსებულ დონეზე შენარჩუნებას, პერსპექტივაში შემცირებას, უმეტესი ხარჯების მიმართვას პრიორიტეტული ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებაზე.

2017 წლის 12 აპრილს სსფ-ს (საერთაშორისო სავალუტო ფონდი) აღმასრულებელ დირექტორთა საბჭომ ქვეყნის ხელისუფლების ეკონომიკური რეფორმის მხარდასაჭერად საქართველოს ("გაფართოებული დაფინანსების მექანიზმით" მხარდაჭერილი პროგრამის ფარგლებში) 210.4 მილიონი ეს.დე.ერ-ი (SDR - ნასესხობი (სესხები) სპეციალური უფლება) (დაახლოებით 285.3 მილიონი აშშ დოლარი; ქვეყნის ქვოტის სრული მოცულობა - 100 პროცენტი) დაუმტკიცა.

პროგრამამ საქართველოს სახელმწიფოში ხელი უნდა შეუწყობს ეკონომიკური პრობლემების შემცირებას, ახალი გამოწვევების გამკლავებას, კოორდინირებული პოლიტიკის განახორციელებას ეკონომიკის ზრდია/განვითარების მიმართულებით, ბიზნეს გარემოს შემდგომ გაუმჯობესებას, რათა კერძო სექტორი ქვეყნის ეკონომიკური ზრდის მამოძრავებელი გახდეს.

ნახ.2 სახელმწიფო ვალის მდგომარეობა საანგარიშსწორებო პერიოდი-2018 წლის ოქტომბერი[10]

[9] https://www.nbg.gov.ge/index.php?m=339&n&newsid=3072 გადამოწმებული იქნა 17.11.2018.
[10] https://www.mof.ge/4410 გადამოწმებული იქნა 24.11.2018

ათასი ლარი	ნაშთი პერიოდის დასაწყისში	ნაშთი პერიოდის ბოლოს	ნაშთის გადახრა წინა თვესთან	ათვისებული/ შემოსული თანხა პერიოდში	ძირითადი თანხის დაფარვა პერიოდში	გადახდილი საპროცენტო ხარჯი პერიოდში ***
სახელმწიფო საგარეო ვალი *	13,441,870.00	13,789,341.12	347,471.12	39,184.37	32,068.06	58,515.79
USD	$5,140,097.89	$5,102,061.32	$(38,036.57)	$14,611.56	$12,148.83	$22,296.60
სახელმწიფო საშინაო ვალი **	3,080,090.96	3,077,671.97	(2,418.99)	154,148.41	156,567.40	25,407.73
სულ სახელმწიფო ვალი	16,521,960.96	16,867,013.10	345,052.14	193,332.78	188,635.45	83,923.52

* საგარეო ვალის ნაშთის გადახრაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს სავალუტო კურსების ცვლილება საანგარიშსწორებო პერიოდის ბოლოს. „ათვისებული თანხა" და „ძირითადი თანხის დაფარვა" ლარში გაანგარიშებულია ტრანზაქციის თარიღში არსებული ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსებით, ხოლო ვალის ნაშთის გაანგარიშება ხდება პერიოდის ბოლოს დადგენილი სავალუტო კურსებით.
** სახელმწიფო საშინაო ვალი არ მოიცავს ე.წ "ისტორიულ ვალს", ვინაიდან ამ კატეგორიის უმეტესი ნაწილი დასაზუსტებელია.
*** გადახდილი საპროცენტო ხარჯი მოიცავს სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების კუპონს და დისკონტს.



ნახ. 3. სახელმწიფო ვალის სტრუქტურა 2018 წლის 30 ივნისის მდგომარეობით[11]

ნახ.4 საქართველოს სახელმწიფო ვალისა და საქართველოს მოსახლეობის სტატისტიკური მაჩვენებელი

	მლნ აშშ დოლარი	მლნ ლარი	მოსახლეობის ერთ სულზე (აშშ დოლარი)	მოსახლეობის ერთ სულზე (ლარი)	პროცენტობით მშპ-სთან
მიმდინარე სახელმწი-ფო ვალი	-	644.0	-	172.7	-

[11] https://www.mof.ge/images/File/Public-Sector-Debt-Statistical-Bulletin-N10-GE.pdf გადამოწმებული იქნა 20.112018.

სახელმწი-ფო საგარეო ვალი[12]	5 102	13 789	1 368	3 700	33,6% USD 36,2% GEL
მთლიანი სახელმწი-ფო ვალი[13]	17 400	42 700	4665.4	11448.9	114.7 % USD 112.2 % GEL
მშპ	15164.5	38042.2	4067.7	10204.4	-

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ასლანიშვილი დ., სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები საქართველოში: გამოწვევები და პერსპექტივები. დისერტაცია. თბილისი 2015.
2. მოსიაშვილი ვ., ჭელიძე მ., ფინანსები, თბ 2016.
3. ცაავა გ., ხანთაძე გ. საჯარო ფინანსები, თბ 2013.
4. https://www.nbg.gov.ge/index.php?m=611 გადამოწმებული იქნა 24.11.2018.
5. http://mof.ge/4794 გადამოწმებული იქნა 24.05.2018.
6. https://www.nbg.gov.ge/index.php?m=557 გადამოწმებული იქნა 04.11.2018.
7. https://www.nbg.gov.ge/index.php?m=340&newsid=2922 გადამოწმებული იქნა 18.11.2018.
8. http://www.londonstockexchange.comsearchengine/search.html=0&y=0&q=georgian+eurobonds გადამოწმებული იქნა 18.11.2018.

■■■■

დაკრედიტების ძირითადი პრინციპები და ფულად–საკრედიტო პოლიტიკა თანამედროვე ეტაპზე

Basic principles of lending and monetary credit policy in the modern stage

ავტორი - **თამუნა მჭედლიშვილი,** *ხელმძღვანელი* - **პროფ. ვალერი მოსიაშვილი,** საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი.

[12] https://www.mof.ge/images/File/sagvalebi/External-Debt-10-2018.pdf გადამოწმებულ იქნა 14.11.2018
[13] https://www.nbg.gov.ge/index.php?m=340&newsid=3463 გადამოწმებულ იქნა 14.11.2018

Author - **Tamuna Mtchedlishvili,** *Supervizor – Prof.* **Valeri Mosiashvili,** Georgian National University.

The main aspects of financial policy are defined by the monetary policy, which has a significant impact on the social and economic development of the country. The transition economies of the monetary policies of the major trends can be defined depending on what we want to be in the financial system, credit, budget, and tvitanazghaurebisa cash resources to satisfy the needs of enterprises mekanizmi.pulad-credit policy is organically related to the government's budgetary policies d Experiencing the impact of the latter.

In terms of market economy, the monetary credit policy, as part of the country's macroeconomic regulation, is the primary goal of creating a normal financial condition for market functioning, stabilizing the economy and achieving economic growth.

საკვანძო სიტყვები: დაკრედიტება, ფულად–საკრედიტო პოლიტიკა, კრედიტი, საფინანსო სისტემა.

Key Words: lending, money-credit policy, credit, financial system

საფინანსო პოლიტიკის ძირითად ასპექტებს განსაზღვრავს ფულად-საკრედიტო პოლიტიკა, რომელიც მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე. გარდამავალი ეკონომიკის პირობებში ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები შეიძლება განისაზღვროს იმის მიხედვით, თუ როგორი გვინდა იყოს თვით საფინანსო სისტემა, საკრედიტო, საბიუჯეტო, თვითანაზღაურებისა და ფულადი რესურსებით საწარმოთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მექანიზმი. ფულად-საკრედიტო პოლიტიკა ორგანულადაა დაკავშირებული ქვეყნის საბიუჯეტო პოლიტიკასთან და განიცდის ამ უკანასკნელის ზეგავლენას.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ფულად საკრედიტო პოლიტიკის, როგორც ქვეყნის მაკროეკონომიკური რეგულირების შემადგენელ ნაწილის, უპირველესი მიზანია ბაზრის ფუნქციონირებისათვის ნორმალური ფინანსური პირობების შექმნა, ეკონომიკის სტაბილიზაციისა და ეკონომიკური ზრდის მიღწევა. ფულად – საკრედიტო პოლიტიკის ამოცანებია: ფულზე მოთხოვნისა და მიწოდების დაბალანსება, ფულის ბაზარზე წონასწორობის შენარჩუნება, მიმოქცევის სფეროში ფულადი მასის რეგულირება და კონტროლი; ეროვნული ვალუტის კურსის რეგულირება; ინფლაციის დონის რეგულირება; ეკონომიკური ციკლის რეგულირება; იაფი საკრედიტო რესურსებით ეკონომიკის რეალური სექტორის უზრუნველყოფა, ფინანსური გაჯანსაღება და ინვესტორების სტიმულირება; ეკონომიკური სუბიექტების ინტერესების სტიმულირება.

ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ამოცანაა, ისეთი მოქნილი საკრედიტო პოლიტიკის რეალიზაცია, რომელიც უზრუნველყოფს ფულის მასის ისეთ დინამიკას, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია როგორც ინფლაციური პროცესების შეჩერება, ისე წარმოების განვითარების სტიმულირება. ამის მიღწევა ძირითადად შესაძლებელია მოქნილი საპროცენტო პოლიტიკის გატარებით, ბანკთაშორისი დაკრედიტების განვითარებით, უპერსპექტივო საბიუჯეტო დაფინანსების შეწყვეტით და საკრედიტო ემისიის რაციონალური მართვით.

ქვეყნის მაკროეკონომიკურ რეგულირებაში ფულად – საკრედიტო პოლიტიკას დიდი როლი აკისრია. სწორედ ფულად – საკრედიტო სისტემის ადეკვატური პოლიტიკის განხორციელებაა სახელმწიფოს ერთ – ერთი უმნიშვნელოვანესი ფუნქცია და მისი განვითარება, უპირველეს ყოვლისა ცენტრალური ბანკის პრეროგატივაა. სწორედ მასზეა დამოკიდებული ფულად – საკრედიტო სისტემის სიმყარის ხარისხი, უფრო ზუსტად კი იმაზე თუ რამდენად ეფექტურად იყენებს საქართველოს ეროვნული ბანკი საბაზრო პრინციპებზე დაფუძნებულ ფულად – საკრედიტო რეგულირების ისეთ არაპირდაპირ ინსტრუმენტებს როგორიცაა: დისკონტის პოლიტიკა, ოპერაციები ღია ბაზარზე და სესხის შესაძლო დანაკარგებზე სავალდებულო რეზერვების შექმნის პოლიტიკა.

90-იანი წლების დასაწყისამდე საქართველოს ფაქტიურად არ გააჩნდა საკუთარი ფულად – საკრედიტო სისტემა და არც პოლიტიკა. ამიტომ ახალი – საბაზრო ეკონომიკის პირობებში მათი ჩამოყალიბება განსაკუთრებული მნიშვნელობის ამოცანაა.

ფულად-საკრედიტო პოლიტიკა წარმოადგენს საკრედიტო რესურსების მობილიზაცია-გამოყენებას, ნაღდი ფულის მიმოქცევაში გაშვებისა და მისი შეუფერხებელი მიმოქცევის უზრუნველსაყოფად ხელისუფლების მიერ დასახულ და განხორციელებულ ღონისძიებათა სისტემას. სამწუხაროდ საქართველოს ფულად – საკრედიტო პოლიტიკა, საფრთხეს ქმნის არა მარტო ეკონომიკის, არამედ სოციალურ სფეროშიც. იგი ვერ ახდენს ფულზე მოთხოვნისა და მიწოდების დაბალანსებას.

ფულად-საკრედიტო რეგულირების მეთოდებს შორის ეროვნული ბანკი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ოფიციალურ სადისკონტო განაკვეთის რეგულირებას. ეს განაკვეთი საფუძვლად უდევს საბაზრო საპროცენტო განაკვეთს; ამასთან ის განსაზღვრავს კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხებისა და დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთებს.

საბანკო კრედიტი წარმოადგენს სესხის ხელშეკრულების სპეციალურ სახეს, რომლის მხარეები არიან ერთი მხრივ სპეციალური სუბიექტი – ბანკი ან სპეციალური ლიცენზიის მქონე ორგანიზაცია და მეორე მხრივ მსესხებელი, რომელიც შეიძლება იყოს ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირი.

ფულად-საკრედიტო პოლიტიკის სწორად განსაზღვრა, უმნიშვნელოვანესია იმ მნიშვნელოვან პრობლემებს შორის, რომლებიც გავლენას ახდენენ საქართველოს საბანკო სისტემის ფორმირების პროცესში ეროვნული ეკონომიკის აღორძინებაზე. ფულად-საკრედიტო პოლიტიკა მოწოდებულია გადაწყვიტოს ისეთი ამოცანები, როგორიცაა: ქვეყნის ეკონომიკური ზრდა; ეროვნული ვალუტის სტაბილურობა; მოსახლეობის რაციონალური დასაქმება; ოპტიმალური საგადასახადო ბალანსის ფორმირება და ა.შ.

საკრედიტო პოლიტიკის შემუშავება ბანკის მმართველობითი ორგანოს მიერ მოითხოვს საკრედიტო მიზნების ფორმულირებასა და განსაზღვრას, თუ რამდენად ემთხვევა მოცემული მიზნები ბანკის საერთო სტრატეგიულ მიზნებსა და ამოცანებს.

საკრედიტო მიზნების საფუძველზე ბანკი შეიმუშავებს საკრედიტო პოლიტიკას და პარალელურად დაკრედიტების სტანდარტებსა და ინსტუქციებს.

ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მთავარი ამოცანა უნდა იყოს ისეთი ღონისძიებების შემუშავება და მათი პრაქტიკული რეალიზაციისათვის შესაბამისი მექანიზმების შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს ფულის მასის მოძრაობის ოპტიმალურ დინამიკას, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი იქნება, როგორც ინფლაციური პროცესების შეჩერება, ასევე წარმოების განვითარების სტიმულირება. აღნიშნულის მისაღწევად აუცილებელია მოქნილი ბანკთაშორისი დაკრედიტების განვითარება, უპერსპექტივო საბიუჯეტო დაფინანსების შემცირება და საკრედიტო ემისიის რაციონალური მართვა. აუცილებელია საკრედიტო პოლიტიკის სისტემატიური განახლება და დამატებების შეტანა, რათა ზუსტად აჩვენოს მოცემული ბანკის როგორც შიდა, ისე მთლიანი საბანკო სისტემის ცვლილებები. ამიტომ საკრედიტო პოლიტიკის შესაბამისი ინსტრუქციებისა და სტანდარტების კორექცია საბაზრო კონიუნქტურის ცვლილებების გათვალისწინებით უნდა მოხდეს.

საკრედიტო პოლიტიკა განსაზღვრავს საკრედიტო საქმიანობის ძირითად მიმართულებებს, რომლებზეც შეიძლება ვიმსჯელოთ როგორც სისტემაზე, რომელიც ახორციელებს საკრედიტო პოლიტიკის მიმართულებების რეალიზაციას. საკრედიტო პოლიტიკა უნდა მოიცავდეს შემდეგ საბაზისო მომენტებს:

- საკრედიტო საქმიანობის ორგანიზება;
- საკრედიტო პორტფელის მართვა;
- დაკრედიტებაზე კონტროლი;
- უფლება - მოვალეობების განაწილების პრინციპები;
- კრედიტების შერჩევის საერთო კრიტერიუმები;
- კრედიტზე მიმდინარე მუშაობის პრინციპები;
- ცალკეული მიმართულებების დაკრედიტების ლიმიტები;
- რეზერვი კრედიტის შესაძლო დანაკარგის ასანაზღაურებლად.

თუ როგორი ხასიათის სესხია ბანკისათვის უკეთესი, უნდა გადაწყვიტოს ბანკის ხელმძღვანელობამ. ერთ - ერთი ყველაზე არსებითი მოსაზრება რომელსაც ითვალისწინებენ გადაწყვეტის დროს, არის რისკი დაკავშირებული სესხის სხვადასხვა სახესთან, რისკის განაწილებისათვის დივერსიფიკაციის აუცილებლობა, ლიკვიდობის საჭიროება, ბანკის კლიენტის კატეგორია, პერსონალის კვალიფიკაცია და რა თქმა უნდა სხვადასხვა კრედიტის შედარებითი მომგებიანობა. ამის განსახორციელებლად ბანკები ყოფენ საკრედიტო პორტფელს სესხის ფართო წრეებს შორის - სამრეწველო, სავაჭრო, სამომხმარებლო და ისწრაფიან ამ ჯგუფებს შიგნით ფართო დივერსიფიკაციისაკენ.

დივერსიფიკაცია ნიშნავს დაბანდებების გახლეჩას და რისკის შემცირებას ერთ მხესხებელზე ან ურთიერთდაკავშირებულ მსესხებლთა ჯგუფზე, ზედმეტი საკრედიტო კონცენტრაციების შეწყვეტის ხარჯზე.

იმისათვის, რომ დაჩქარდეს სესხის გაფორმება, შემცირდეს რისკი და უზრუნველყოფილი იქნეს ერთიანი შემოსავალი, აუცილებელია ბანკის საკრედიტო პოლიტიკაში იმის გათვალისწინება, თუ რა არის მისაღები უზრუნველყოფად და კრედიტუნარიანად. თუ რომელიმე სესხზე საჭირო გახდა უზრუნველყოფის მოთხოვნა, ბანკის მუშაკს უნდა ჰქონდეს ორიენტაცია თუ რა შეიძლება

ჩაითვალოს მისაღებ გირაოდ. მაგალითად, ზოგიერთ ბანკს შეუძლია უზრუნველყოფის სახით მიიღოს დებიტორული ანგარიშები, მხოლოდ იმ პირობით თუ გადამხდელს შეატყობინებენ ანგარიშების ბანკზე გადაცემის შესახებ, ანდა არ იქნეს მიღებული სამომხმარებლო საქონელი, როგორც სესხის უზრუნველმყოფელი, გარდა ამისა, ბანკს შეუძლია უარყოფითად შეხვდეს სამომხმარებლო სესხს, რომელიც გარანტირებულია მსესხებლის მეგობრებისა და ნათესავების მიერ, ბანკებს შეუძლიათ თავიდან აიცილონ სესხების გაცემა სპეციალური დანიშნულების შენობების დაგირავებით. ბანკებს შეუძლიათ ერთი მსესხებლისათვის სამომხმარებლო კრედიტის ოდენობის შეზღუდვა, მისი წლიური შემოსავლის განსაზღვრული პროცენტით გადასახადების გამოკლების შემდეგ. იმ შემთხვევაში თუ გირაო მისაღებია, ბანკის მუშაკმა აუცილებლად უნდა იცოდეს ამ უზრუნველყოფის ქვეშ არსებული კრედიტის საორიენტაციო თანხის რაოდენობა.

ბანკები ბევრ საკრედიტო განაცხადს იღებენ იმ პირებისა და ფირმებისაგან, რომლებსაც არა აქვთ სათანადო კრედიტუნარიანობა. იმისათვის, რომ დაიზოგოს ბანკის საკრედიტო განყოფილებისა და შესაბამისი მუშაკის დრო, მიზანშეწონილია ითქვას თუ რა შეიძლება ჩაითვალოს მისაღებ უზრუნველყოფად. შეიძლება შეიზღუდოს სამომხმარებლო კრედიტის გაცემა იმ პირების ვიწრო წრით, რომელთაც მოცემულ მომენტში აქვთ სამუშაო და იმუშავეს განსაზღვრული დრო, აქვთ გარანტირებული შემოსავალი და კარგი რეპუტაცია მსესხებლის სახით. ფირმებზე კრედიტების გაცემა არ უნდა შეიზღუდოს მათთვის, ვინც განსაზღვრული დროის განმავლობაში ფუნქციონირებენ და დაამტკიცეს, რომ აქვთ რომელიმე სახის პროდუქციის და მომსახურების წარმოების უნარი.

დამუშავებული საკრედიტო პოლიტიკა, რასაკვირველია, უნდა მოიცავდეს კრედიტის ვადების საკითხსაც. ეს ვადები ზეგავლენას ახდენენ ბანკის ლიკვიდობასა და რისკის დონეზე, რომლებიც სესხებთან არის დაკავშირებული.

იმისათვის რომ სესხის ხარისხი და ლიკვიდურობა შენარჩუნებულ იქნას სათანადო დონეზე, ბანკმა სესხის დაფარვის ნაწილში უნდა გაატაროს შესაბამისი პოლიტიკა. სესხის მრავალ გზის პროლონგაცია ცუდად მოქმედებს საკრედიტო პორტფელის ლიკვიდობაზე და ამასთან ზრდის რისკს. ზოგიერთი ბანკი საწარმოო ფირმებისაგან ითხოვს სესხის დაფარვას სულ ცოტა წელიწადში ერთხელ მიანც, რომ არ ჰქონდეს ბანკის დავალიანება განსაზღვრული დროის მანძილზე.

ბანკები მსესხებლისაგან მოითხოვენ, რომ ანაბრები მათთან შეინახონ, ლოგიკურია, რომ დეპოზიტები მოთავსებული უნდა იყოს მსესხებლის მომსახურე ბანკში. "საკონპენსაციო ნაშთი" ნიშნავს უმეტეს წილად საქმიანი საწარმოს ანგარიშზე საჭირო ოდენობის ნაშთის არსებობას, რომელსაც სხვა ფაქტორებს შორის ითვალისწინებენ კრედიტის გაცემის დროს. დამტკიცებულია, რომ ბანკი საკონპენსაციო ნაშთს იყენებს დაცვითი ღონისძიების სახით. თუ მსესხებელი ფინანსურ სიძნელეს განიცდის და არ გადახდა გარდაუვალია, ბანკს შეუძლია სესხის დაფარვა კლიენტის ანგარიშზე არსებული თანხით.

სხვადასხვა ბანკის მოთხოვნა საკონპესაციო ნაშთზე სხვადასხვანაირია და დამოკიდებულია ფულის ბაზრის მდგომარეობაზე, ხშირ შემთხვევაში, ამჯობინებენ კრედიტზე უფრო მაღალი სარგებლის დაწესებას, ვიდრე საკონპენსაციო ნაშთის არსებობის მოთხოვნას.

აღნიშნული საკითხები ბანკის საკრედიტო საქმიანობის ორგანიზაციისა და სტაბილური შემოსავლიანობის ძირითად ფუნდამენტს ქმნიან, და საკრედიტო პორტფელის საერთო მდგომარეობას განსაზღვრავენ, რაც საბოლოოდ ბანკის რეალურ ფინანსურ მდგომარეობას წარმოაჩენს.

საბანკო სისტემაში დაკრედიტების პროცესი მოიცავს ხუთ საფეხურს:

•ფულადი ბაზრის წინასწარი ანალიზი და საკრედიტო ოპერაციების სტრატეგიის გამომუშავება.

•მსესხებლის განაცხადის განხილვა.

•მსესხებლის კრედიტუნარიანობის განსაზღვრა და რისკის შეფასება.

•საკრედიტო ხელშეკრულების მომზადება და გაფორმება.

•ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე და სესხის დაფარვაზე კონტროლი.

გამოყენებული ლიტერატურა :

1. ცაავა გ. - საბანკო საქმე, ლექციების კურსი. თბილისი, გამომცემლობა „აფხ. მეცნ. აკადემია“, 2005.
2. ცაავა გ., ხანთაძე გ. – საბანკო მენეჯმენტი, სახელმძღვანელო. გამომცემლობა „დანი“, 2014. საქართველოს კომერციული ბანკის ფინანსური ანგარიშგების ინსტრუქცია. www.nbg.ge გადამოწმებულ იქნა 21.11.2018.
3. საქართვეოს კანონი „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“. www.nbg.ge გადამოწმებულ იქნა 10.11.2018.
4. http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=9903 გადამოწმებულ იქნა 17.10.2018.

■■■■

საგარეო დავალიანების პრობლემები თანამედროვე საქართველოში

Foreign debt problems in modern Georgia

*ავტორი - **ანა ბარბაქაძე, ნატა ქუთათელაძე,** ხელმძღვანელი - ასოც. პროფ. **აზა იფშირაძე,*** აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

Author - Ana Barbakadze, Nata Qutateladze, *Supervizor – Assoc. Prof.* ***Aza Ipshiradze,*** *Akaki Tsereteli State University.*

The development of modern states holds a great deal of state debt. Today there is no state , which does not have a state debt, in particular a foreign debt. The "trend" is not the exception to the world's leading states: United States, Japan, Germany, Great Britain and others.

For many, this topic is unknown and many believe that the trend is a state of crushing and facing the worst debt of Western states. Of course, there are opposite opinions, that are opposing opponents and justify the state external debt for some reason.

To see, how fairly appropriate, in this case, the foreign debt taken by the state is considered by the Asian state, South Korea. This country is a real example of being one of the leading economic players in the world at the poverty line.

Discussion of the Korean economic miracle will clearly reflect the outcome of the external debt, and will also help us determine the challenges and shortcomings in Georgia's economic policy.

სახელმწიფო ვალში იგულისხმება ქვეყნის სავალო ვალდებულებები ფიზიკური და იურიდიული პირების, უცხო სახელმწიფოთა, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და საერთაშორისო სამართლის სხვა სუბიექტების წინაშე. სახელმწიფო ვალის უზრუნველყოფა ხდება სრულიად და უპირობოდ ქვეყნის საკუთრებაში არსებული მთელი ქონებით. სახელმწიფო ვალის ზრდის უშუალო შედეგია ამ ვალის მართვის სისტემის ორგანიზაცია, რომელშიც იგულისხმება სახელმწიფო მოქმედების ერთობლიობა, დაკავშირებული სასესხო კაპიტალის ბაზრის კონიუქტურის შესწავლასთან, ახალი სესხების გამოშვებასთან, ადრე გამოშვებული სესხების დაფარვასთან.

ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად, სახელმწიფო ვალის მართვა მოიცავს რიგ ორგანიზაციულ მეთოდებს: სახელმწიფო საგარეო სესხების გაცემის, ასევე, საგარეო კრედიტების მოზიდვის, სხვა მსესხებლებისთვის გარანტიების მიცემის ხელშეკრულებებს. თავდებობის ხელშეკრულებების დადების უფლება აქვს მთავრობის მიერ კანონმდებლობით უფლებამოსილ აღმასრულებელი ხელისუფლების რომელიმე ორგანოს.

სახელმწიფო ვალის მომსახურება გულისხმობს, ჯერ ერთი, სავალო ვალდებულებათა განთავსების ოპერაციათა განხორციელებას, მეორე, მათზე საპროცენტო გადასახდელების გაცემას, მესამე, ვალის მთლიან ან ნაწილობრივ დაფარვას გეგმის შესაბამისად.

სახელმწიფო ვალის სიმძიმე, უპირველეს ყოვლისა, განსაზღვრავს:

1. რა სახისაა იგი - სახელმწიფო საშინაო ვალია თუ სახელმწიფო საგარეო ვალი;

2. სახელმწიფო ვალის სიდიდე ან სიმცირე იზომება და განისაზღვრება ქვეყნის მეპ-სა და მშპ-ს სიდიდესთან შეფარდებით;

3. სახელმწიფო ვალის სიდიდე დამოკიდებულია აღებული ვალის სარგებლის დონეზე;

4. სახელმწიფო ვალის ტვირთი დიდადაა დამოკიდებული აღებული სესხის მიზნობრივ ან ეფექტიან გამოყენებაზე.

სწორედ ამ კრიტერიუმების გამოყენებით უნდა განიხილებოდეს როგორც სახელმწიფო საშინაო ვალი, ისე სახელმწიფო საგარეო ვალის პრობლემა. არსებობს მოსაზრება, რომ საგარეოსთან შედარებით საშინაო ვალი ქვეყნისათვის ნაკლები ტვირთია, რადგან იგი შეიძლება განხილულ იქნებს როგორც ვალი, რომელიც მას თვითონ მართებს, რომლის დაფარვის დროს ქვეყანაში შექმნილი პროდუქციის გატანა არ ხდება.

დღეისათვის ყველაზე მეტად გავრცელებულია საგარეო დავალიანების შეფასების განმსაზღვრელი შემდეგი სტანდარტული კრიტერიუმები:

1. ვალის შეფარდება ექსპორტთან;

2. ვალის შეფარდება მთლიან ეროვნულ პროდუქტთან;

3. ვალის მომსახურებისთვის გადასახდელების საერთო თანხის შეფარდება ბიუჯეტის შემოსავლებთან;

4. ვალის მომსახურების თანხების შეფარდება ექსპორტთან.

რაც უფრო სწრაფი ტემპით მომდინარეობს ფინანსური გლობალიზაციისა და ქვეყნების ეროვნული ეკონომიკის საზღვრების გახსნის პროცესი, მით უფრო იზრდება საგარეო ვალების მოცულობა. შეიძლება ითქვას, რომ საგარეო ვალების აღება და საგარეო დავალიანება თანამედროვე ეკონომიკის ფუნქციონირების მექანიზმის განუყოფელი ელემენტია.

ეროვნულ ანგარიშთა სისტემაში საგარეო ვალის მომსახურების ხვედრითი წილის განსაზღვრისათვის არსებობს შემდეგი ინდიკატორი - რესურსების წმინდა გადინება კრედიტორიდან მოვალეზე (RT). ეს ინდიკატორი გამოითვლება, როგორც ქვეყნის მიერ მიღებული ახალი კრედიტების მოცულობებს (L) გამოკლებული მის მიერ გადახდილი პროცენტები და ძირითადი თანხა (S), ასევე ნებისმიერი ფორმით ქვეყნიდან კაპიტალის წმინდა გადინება (O). ანუ - RT=L-S-O.

საგარეო ვალის მოცულობა ერთ სულ მოსახლეზე - იგი გვიჩვენებს, რა სიდიდის ვალი აქვს დასაბრუნებელი ქვეყნის თითოეულ მოქალაქეს, ბავშვებისა და მოხუცების ჩათვლით.

როგორც საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ არის ცნობილი, ვალის მდგრადობის შესანარჩუნებლად განვითარებული ქვეყნებისთვის ვალი მშპ-ის 60%-ს არ უნდა აღემატებოდეს, ხოლო განვითარებადი ქვეყნებისთვის – 50%-40%. რაც უფრო დიდი ეკონომიკა აქვს ქვეყანას, მით მეტი ვალის მომსახურება შეუძლია. საქართველოში კანონით არის განსაზღვრული, რომ სახელმწიფო ვალი მშპ-ის 60%-ს არ უნდა აღემატებოდეს. საქართველოს ვალი 60%-იან ნიშნულამდე არ მისულა, თუმცა შიდა ვალის ზრდისა და ლარის გაუფასურების გამო მას სწრაფად მზარდი ტენდენცია აქვს. მსოფლიო მასშტაბით საქართველო საშუალო დავალიანების მქონე ქვეყანაა და არ დგას გადახდის უუნარობის წინაშე, მაგრამ საკითხი ძლიერ აქტუალურია, რადგან ვალი წლიდან წლამდე იზრდება, ხოლო მისი მომსახურება კი მცირდება. **იხ.(დანართი 1)**

თუმცა ხშირ შემთხვევაში, საქართველოში სახელმწიფო ვალი წარმოქმნილია როგორც ბიუჯეტების დეფიციტების დასაფინანსებლად, ასევე საქართველოს ტერიტორიაზე დაკარგული ტვირთების ღირებულების ანაზღაურებისათვის (მაგალითად, სომხური ვალის ნაწილი), ან მოხმარებული ბუნებრივი აირის (თურქმენული ვალი) გადაუხდელი საფასურისგან, აგრეთვე ე.წ. სასაქონლო კრედიტის მიღებისაგან (მაგალითად, ჩინური ან თურქული კრედიტი).

საქართველოს საერთო საგარეო ვალი მოიცავს 17,2 მლრდ. აშშ დოლარს (44.6 მლრდ. ლარი) 2017 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით. ის შეადგენს მშპ-ს 113.5%-**ს.იხ(დანართი 2)**

რა ზომებს იღებს აღნიშნული პრობლემის გადასაჭრელად სახელმწიფო? ფინანსთა სამინისტრო 2018 წლიდან სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების პირველად ბაზარზე ე.წ. ბენჩმარკ ბონდების რეგულარულ ემისიას იწყებს.

აღნიშნული ინსტრუმენტი წარმოადგენს გამსხვილებულ ემისიებს წინასწარ ცნობილი პერიოდულობით და თანაბარი მოცულობებით."ბენჩმარკ ბონდები" გაზრდის ინვესტორების დაინტერესებას საქართველოს მთავრობის ფასიანი ქაღალდების მიმართ და ხელს შეუწყობს ბაზრის განვითარებას, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს ფასიანი ქაღალდების ლიკვიდურობის ზრდას.

იმისათვის რომ უკეთ დავინახოთ ჩვენი დღევანდელი მდგომარეობ, ჩვენი ბაზრის პრობლემები და კერძოდ საგარეო ვალის დანაწილების პრობლემა, ჩვენ გადავწყვიტეთ საქართველოსთან მიმართებაში განგვეხილა ისეთი ქვეყანა, რომელმაც საგარეო ვალის გამოყენება პრაქტიკაში შეძლო და მიაღწია კიდეც არნახულ შედეგებს. ასეთი ქვეყანა გახლავთ „აზიური ვეფხვების" წარმომადგენელი, სამხრეთ კორეა.მან მოახერხა მსოფლიოში შექმნა წარმატების უნიკალური პრეცენდენტი. შეიძლება ითქვას, რომ დღევანდელ რეალობაში მსოფლიოსთვის ფენომენალურია სამხრეთ კორეა და მისი ეკონომიკური პოლიტიკა, ზოგადად პოლიტიკა და განსაკუთრებული ყურადღებისქვეშ ექცევა ეკონომიკური ზრდა, ქვეყნის მედგრობა კრიზისების მიმართ. მან შეძლო 60-იან წლებიდან 40 წელიწადში ორ უკიდურესობში ყოფილიყო, ყველაზე დაბალგანვითარებული აგრარული ქვეყნიდან მსოფლიოს ეკონომიკურ ორბიტაზე, ყველაზე მაღალ განვითარებულ ინდუსტრიულ ქვეყნათა სიაში. კორეის რესპუბლიკა საბაზრო ეკონომიკის მქონე მსოფლიოს სიდიდით 15-ე ქვეყანა ანომინალური მთლიანი შიდაპროდუქტის მაჩვენებლით. ის არის მსოფლიოს დიდი G20 საპატიო წევრი. სამხრეთ კორეა დღესაც განვითარების პროცესშია, აქტიურად ავითარებს ბაზრებს გლობალური მიმართულებით, ატარებს რეფორმებს და უზრუნველყოფს მაღალ ეკონომიკურ შემოსავალს.

გენერალი პაკ ჩონ ხი (1961-1979წ.წ.), რომელიც ხელისუფლებაში სამხედრო გადატრიალების გზით მოვიდა, გახლავთ „ავტორი" კორეის „ეკონომიკური სასწაულისა". სწორედ მან გააკეთა ფსონი ეკონომიკის ინდუსტრიალიზაციაზე, ექსპორტის მოცულობის ზრდის გათვალისწინებით. სწორედ ამ მიდგომამ გამოიწვია უმსხვილესი ინვესტორები დაეინტერესებინა ქვეყანაში კაპიტალდაბანდებების განსახორციელებლად.

სახელმწიფომ ფაქტიურად თავისთავზე აიღო ეკონომიკის მართვა. ქვეყანაში მუშავდებოდა გრძელვადიანი 5 წლიანი ეკონომიკური განვითარების გეგმები. პირადად პაკ ჩონ ხიმ რამოდენიმე ათეული პერსპექტიული კორეული ფირმა შეარჩია, სხვადასხვა დარგში. ქვეყნის მმართველობამ სწორედ ამ კომპანიებზე გააკეთა აქცენტი და გამოუცხადა აქცენტური, ღია მხარდაჭერა - სახელწიფო შეკვეთებით, სახელმწიფო გარანტიებით, უცხოელ კრედიტორებთან და ინვესტიციებთან კავშირების დამყარების ხელშეწყობით. სახელმწიფოს მეთაურმა განსაკუთრებული აქცენტი გააკეთა საოჯახო წარმოებაზე, დაეხმარა მათ შეექმნათ უმსხვილესი ჰოლდინგები „ჩებოლები".

როგორც ვხედავთ, სამხრეთ კორეამ შეძლო და გაარღვია „სიღარიბის ჯადოსნული წრე". ეს კი მოახერხა დაგეგმილი, გაწერილი, მიზანმიმართული პოლიტიკით. მათ საგარეო სესხის მიზანმი-

მართული დაბანდებით და პრიორიტეტული სფეროების სწორად არჩევით მოახერხეს ჩამოეყალიბებინათ მსოფლიო ბაზარზე ერთ-ერთო ყველაზე მაღალკონკურენტუნარიანი სახელმწიფო, მყარი ეკონომიკით.

სამხრეთ კორეის მაგალითი მოწმობს, რომ შეუძებელი არაფერია. საქართველოს აქვს განვითარების პოტენციალიც და შესაძლებლობაც. მხოლოდ საჭიროა მიზანმიმართული, დაგეგმილი პოლიტიკის გატარება და თითოეული გამომუშავებული თუ მოპოვებული ლარის მიზანმიმართული ხარჯვა. საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებითა და სწორი პოლიტიკით ნამდვილად შევძლებთ შევქმნათ მყარი ეკონომიკური სისტემა, რომელიც შეძლებს გაუძლოს კრიზისებს და ჩვენი ქვეყანა ისევე მყარად დააყენოს საერთაშორისო ასპარეზზე, როგორც დღეს სამხრეთ კორეა დგას.

დანართი 1



დანართი 2

გამოყენებული ლიტერატურა:

1)სახელმწიფო აუდიტის ანალიტიკური პორტალი. 2017 - www.budgetmonitor.ge

2)საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. სახელმიფო ვალი. www.mof.ge

3)თოხაძე ნ. საქართველოს სახელმწიფო ვალი და მისი ზეგავლენა ეკონომიკაზე. 10 აპრილი, 2014. www.forbes.ge

4)სამხრეთ კორეის ეკონომიკრი განვითარება და რჩევები საქართველოს. 23 ოქტომბერი, 2017. www.european.ge

5)Top 10 Countries with Largest National Debt-to-GDP in 2018. www.learn.stashinvest.com

6)Bundesministerium der Finanzen. www.bundesfinanzministerium.de

7)Внешний долг стран мира на 2018 год. www.finbazis.ru

■■■■

საქართველოს საგარეო სავაჭრო პოლიტიკა და ექსპორტ-იმპორტის დინამიკა

Foreign Trade Policy of Georgia and Export-Import Dynamics

ავტორი - **სალომე ფილია,** *ხელმძღვანელი* - პროფ. ასოც. ნაირა ვირსალაძე, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

Author - **Salome Pilia**, *Supervizor – Assoc.* Prof. **Naira Virsaladze,** *Akaki Tsereteli State University.*

Abstract

My topic concerns the existing trade regimes in Georgia, international agreements, export and importing countries of Georgia. One of the main principles of Georgia's economic policy is the liberal foreign trade policy. The Government of Georgia has implemented both the tariff policy, as well as technical regulation reform, as a result Georgia has got one of the most liberal foreign trade policy in the world, which includes a simplified foreign trade regimes and customs procedures, lower import tariffs and minimal non-tariff regulations.

There will also be mentioned about export and import tariff policy in the topic.

According to the Tax Code of Georgia , the rates of added tax and equity tax are equal to local and imported products.

Key words: Foreign trade, export, import

საკვანძო სიტყვები: საგარეო სავაჭრო პოლიტიკა, ექსპორტი, იმპორტი

საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში საქართვ- ელოს საგარეო სავაჭრო ბალანსში გამოიკვეთა გაუარესების ტენდენცია.საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ყოფილ რესპუბლიკებში წარმოების ტემპის მკვეთრმა დაცემამ და მათ შორის ტრადიციული ეკონომიკური კავშირების რღვევამ, შეამცირა მოთხოვნა ქართულ პროდუქციაზე.საქარ-

თველოს ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურა არ იყო ორიენტირებული დამოუკიდებელ ფუნქციონირებაზე. საქართველო არ იყო მზად დაეკმაყოფილებინა შიდა ბაზრის მოთხოვნილებები.-შედეგად,საქართველოს საგარეო ვაჭრობაში ჩამოყალიბდა უარყოფითი ტენდენციები,რაც გამოიხატა ექსპორტთან შედარებით იმპორტის წინმსწრები ტემპით.

ამჟამად,საქართველო,ისევე როგორც მრავალი სხვა ქვეყანა დაინტერესებულია ჰქონდეს მყარი და ხანგრძლივი ურთიერთობები როგორც ახლო, ისე შორეულ ქვეყნებთან.

საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთ ძირითად პრინციპს წარმოადგენს ლიბერალური საგარეო სავაჭრო პოლიტიკა. საქართველოს მთავრობის მიერ განხორციელებულ იქნა როგორც სატარიფო პოლიტიკისა, ასევე ტექნიკური რეგულირების სფეროს რეფორმა, რის შედეგადაც საქართველოს დღეისათვის გააჩნია მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ლიბერალური საგარეო სავაჭრო პოლიტიკა, რაც გულისხმობს გამარტივებულ საგარეო ვაჭრობის რეჟიმსა და საბაჟო პროცედურებს, დაბალ საიმპორტო ტარიფებსა და მინიმალურ არასატარიფო რეგულირებას.

საქართველოში მოქმედი სავაჭრო რეჟიმები და საერთაშორისო ხელშეკრულებები:

უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი- საქართველოს სავაჭრო პარტნიორების უმეტესობა არის ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრი და შესაბამისად,164 ქვეყანასთან ერთად სავაჭრო ურთიერთობები ხორციელდება უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის საფუძველზე.

პრეფერენციათა განზოგადებული სისტემა- პრეფერენციების განზოგადებული სისტემის ძირითადი არსია ბენეფიციარი ქვეყნებიდან იმპორტირებულ საქონელზე საბაზო საიმპორტო ტარიფის შემცირებული განაკვეთების დაწესება, რაც აადვილებს განვითარებადი ქვეყნების საქონლის

შეღწევას განვითარებული ქვეყნების ბაზარზე.საქართველო არის შემდეგი ქვეყნების პრეფერენციათა განზოგადებული სისტემის რეჟიმის ბენეფიციარი: აშშ, იაპონია, კანადა.

თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი - გულისხმობს შეთანხმების მონაწილე მხარეებს შორის ვაჭრობის გათავისუფლებას საბაჟო-საიმპორტო გადასახადისაგან, გარდა ურთიერთშეთანხმებული გამონაკლისებისა.საქართველოს თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი აქვს დსთ-ს ყველა ქვეყანასთან, თურქეთთან და ევროკავშირთან, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან და ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციასთან.

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრ ქვეყნებთან, გარდა რუსეთის ფედერაციისა, თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი რეგულირდება „თავისუფალი სავაჭრო ზონის შექმნის შესახებ“ დსთ-ს 1994 წლის მრავალმხრივი შეთანხმებით და ასევე ორმხრივ ფორმატში იმ ქვეყნებთან, რომლებთანაც საქართველოს გაფორმებული აქვს ასეთი სახის ორმხრივი შეთანხმება.საქართველო ასევე არის დემოკრატიისა და ეკონომიკური განვითარების ორგანიზაცია „თავისუფალი სავაჭრო ზონის შექმნის შესახებ“ 2002 წლის მრავალმხრივი შეთანხმების მონაწილე ქვეყანა.

2014 წლის 1 სექტემბრიდან ამოქმედდა ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო ზონის შექმნის შესახებ შეთანხმება.

საქართველოს ორმხრივი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებები გაფორმებული აქვს შემდეგ ქვეყნებთან : რუსეთის ფედერაცია, აზერბაიჯანი, სომხეთი, უკრაინა, მოლდოვა, ყაზახეთი, უზბეკეთი, თურქმენეთი, თურქეთი.

2016 წლის 27 ივნისს ხელი მოეწერა საქართველოსა და ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციას შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებას. 2017 წლის სექტემბრიდან შეთანხმება ძალაში შევიდა ნორვეგიისთვის და ისლანდიისთვის, ხოლო შვეიცარიასა და ლიხტენშტეინთან 2018 წლის პირველი მაისიდან.

თავისუფალი ინდუსტრიული ზონა - ქვეყანაში საინვესტიციო გარემოს კიდევ უფრო ლიბერალიზაციისა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მიზნით, მიღებულ იქნა კანონი „თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შესახებ“ ,რომლის თანახმადაც ასეთი ზონა შესაძლოა შეიქმნას 10 ჰექტარზე მეტ ტერიტორიაზე. ზონაში მოქმედებს განსხვავებული საგადასახადო რეჟიმი ,გამარტივებულია რეგისტრაციისა და სხვა პროცედურები.თავისუფალი ზონების დაარსება და ფუნქციონირება ხელს შეუწყობს თანამედროვე ტექნოლოგიების შემოდინებას, გააჩენს მოთხოვნას კვალიფიციურ შრომით ძალაზე და დადებითად აისახება როგორც რეგიონის, ასევე ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე.

სატარიფო პოლიტიკა იმპორტზე - 2006 წლის 1 სექტემბრიდან საიმპორტო ტარიფების 16 სატარიფო განაკვეთი შემცირდა 3 განაკვეთამდე.საიმპორტო ტარიფები გაუქმდა პროდუქციის დაახლოებით 85 %-მდე. აღარ არსებობს სეზონური ტარიფები.იმპორტულ საქონელზე ტარიფი დადგენილია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 28-ე თავის შესაბამისად.

სატარიფო პოლიტიკა ექსპორტზე - საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, ექსპორტი ან რეექსპორტი საქართველოდან გათავისუფლებულია საბაჟო გადასახადისაგან.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად , დამატებული ღირებულების გადასახადის და სააქციზო გადასახადის განაკვეთები ადგილობრივ და იმპორტირებულ პროდუქციაზე თანაბარია.

ექსპორტის სტრუქტურა მსხვილი სასაქონლო ჯგუფის

მიხედვით (მლნ. აშშ დოლარი)

	2012წ	2014წ	2017წ
სპილენძის მადნები	54	248	422
მსუბუქი ავტომობი-ლე-ბი	587	518	235
ფეროშენა-დნობები	261	286	306
ღვინო	65	180	171
მედიკამენ-ტები	52	92	141

იმპორტის სტრუქტურა მსხვილი სასაქონლო ჯგუფის

მიხედვით (მლნ. აშშ დოლარი)

	2012წ	2014წ	2016წ
ნავთობი	951	918	697
მსუბუქი ავტომობილ.	663	715	477
სპილენძის მადნები	0	165	338
სამკურ. საშუალებები	233	315	345
ნავთობის აირები	318	369	303

საქართველოს ექსპორტ-იმპორტის დინამიკა (მლნ. აშშ დოლარი)

	2015	2016	2017
ექსპორტი	2204.7	2112.9	2735.5
იმპორტი	7300.3	7294.0	7939.2
საგარეო სავაჭრო ბრუნვა	9505.0	9407.7	10674.7
სავაჭრო სალდო	-5095.6	-5181.1	-5203.7

როგორც ცხრილიდან ჩანს,საგარეო სავაჭრო ბრუნვა 2015-2017 წლებში 9505 მლნ. აშშ დოლარიდან გაიზარდა 10674 მლნ. აშშ დოლარამდე.საანგარიშო პერიოდში საგარეო სავაჭრო სალდო ხასიათდება უარყოფითი მაჩვენებლით, ვინაიდან ქვეყნის ექსპორტის მაჩვენებელი საგრძნობლად ჩამორჩება იმპორტის დონეს.

ამრიგად, საგარეო ვაჭრობა, როგორც საგარეო ეკონომიკუ-რი ურთიერთობების ძალზედ აქტიური და სწრაფად მზარდი სეგმენტი, ყოველთვის იყო და დღემდე რჩება განსაკუთრებუ-ლი ინტერესის სფეროდ.ანალიზმა დაგვანახა რომ საქართველოს საგარეო ვაჭრობა ხასიათდება უარყოფითი სავაჭრო ბალანსით.საქართველოდან გაცილებით მეტი ვალუტა გაედინება, ვიდრე შემოედინება,რაც უარყოფითად აისახება ქვეყნის ეკონომიკაზე.

საგარეო ვაჭრობის გააქტიურების მიზნით ხელისუფლებამ უნდა იზრუნოს ქვეყანაში სამეწარმეო საქმიანობის გაუმჯობესებაზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბაკურაძე ა., ვირსალაძე ნ, სტატისტიკა ეკონომიკასა და ბიზნესში (ნაწილი 2), ქსუ, ქუთაისი 2008
2. ვირსალაძე ნ. „საქართველო მსოფლიო ეკონომიკურ ურთიერთობათა სისტემაში“, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, ქუთაისი, 2009
3. www.geostat.ge
4. www.economy.ge

■■■■

ჩინეთის ეკონომიკური „სასწაული“

China's economic „miracle“

ავტორი - თამთა სვინტრაძე, მარიამ ქვაჩაკიძე, ხელმძღვანელი - პროფ. თამილა არნანია-კეპულაძე,
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

Author - Tamta Svintradze, Mariam Kvachakidze, *Supervizor –* ***Prof. Tamila Arnania-Kepuladze,*** *Akaki Tsereteli State University.*

Abstract

China economic reforms and their experience deserve to be studied. Right now China has the status of the second biggest economy in the world and firmly maintains its positions. China has immense goals too – to become the first superpower. Chinese civilization is one of the oldest in the world and exactly this cultural resource is the source of Chinese people`s belief in their potential and economic success of implemented reforms.

Not a very long time ago many experts doubted that China economy would manage to satisfy internal demands. But China progress in changing economic orientation is becoming impressive. There is no doubt that China economy has grown after starting economic reforms in 1978. There are some of the most important ones:

1.Orientation on the national traditions and China peculiarities in the development of socialism;

2.Fighting against dogmatism;

3.The main focus on the development of science and technology;

4.Orientation on the longevity of reforms;

5.Using market economy in social principles of governing;

6.Creating special economic zones as a mode of attracting foreign capital and advanced technologies;

7.Political openness principle for outer world.

Chinese economic experience showed us that many steadfast provisions of economic science became revisable. China created a quite effective model of state-guided capitalism. It is not Keynesianism but pure Chinese economic specifics. Entrepreneurial capitalism is totally supported. China is the second biggest economy in the world and soon it will turn out that it is already a long time since China has been the first economy in the world and hidden it. It is because the pace of Chinese economic growth is unprecedented in history.

The biggest achievement for an economy is the quality of economic development and not its growth. China managed to combine astonishingly these two components, by which it made a big jump towards economic development. Studying and understanding its "magic formula" is important for many developing countries of the world, including for Georgia too.

Key words: China, economy, Chinese miracle, reforms, modernization and development.

შესავალი

ჩინეთი სიდიდის მიხედვით მსოფლიოში მესამე ქვეყანაა რუსეთისა და კანადის შემდეგ. მისი ფართობი 9,572 მლნ კვ კმ-ია, მოსახლეობა _ 1,3 მლრდ კაცი. პეკინში დაახლოებით 12,5 მლნ კაცი ცხოვრობს. სხვა მსხვილი ქალაქებია _ შანხაი (7 860 000 კაცი), ტიანძინი (5 900 000 კაცი). ჩინეთი

დაყოფილია 23 პროვინციად, ტაივანის, 5 ავტონომიური რაიონის და 3 ცენტრალური დაქვემდებარების ქალაქის (პეკინი, შანხაი, რიანძინი) ჩათვლით. პროვინციები და ავტონომიური რაიონები იყოფა ოლქებად, მაზრებად და თემებად.

ამჯამად ჩინეთს მსოფლიოს მეორე ეკონომიკის სტატუსი გააჩნია და მყარად ინარჩუნებს პოზიციებს.მიზნებიც მაშტაბური აქვს, ესაა პირველ ზესახელმწიფოდ გადაქცევა. ჩინეთის ცივილიზაცია მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ძველია და სწორედ ეს ცივილიზაციური რესურსია ჩინელი ხალხის საკუთარი ძალების და განხორციელებული რეფორმების ეკონომიკური წარმატების რწმენის წყარო.

ამერიკელი ნობელიანტი ეკონომისტი ჯოზეფ შტიგლიცი აღნიშნავს, რომ „მსოფლიოს არ ახსოვს ისეთი საუცხოო ეკონომისტური ტრანსფორმაცია, როგორიც ეს ჩინეთმა გამოიარა“ მართლაც ჩინეთის ეკონომიკურმა სასწაულმა შეამცირა სიღარიბის დონე მსოფლიოში. ამ ქვეყანამ სულ რაღაც 40 წელიწადში მოახერხა 800 მილიონი ადამიანი ამოეყვანა სიღარიბიდან. 1978-2014წლებში მისი ეკონომიკა საშუალოდ 10%-ით იზრდებოდა. მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე კი 49-ჯერ გაიზარდა.



ეკონომიკის მთავარი მიღწევა არის ეკონომიკური განვითარების ხარისხი და არა სიჩქარე.ჩინეთმა კი ამ ორი კომპონენტის საოცარი შეთავსება მოახდინა, რითაც დიდი ნახტომი გააკეთა ეკომიკური აღმავლობისაკენ. მისი „ჯადოსნური ფორმულის“ შესწავლა და გააზრება მნიშვნელოვანია მსოფლიოს მრავალი განვითარებადი ქვეყნისათვის. მათ შორის საქართველოსთვისაც.

ჩინეთის ეკონომიკური რეფორმები

მსოფლიოს ეკონომისტები დღემდე მსჯელობენ ჩინური სასწაულის შესახებ და შეთანხმება მისი სწრაფი განვითარების შესახებ არ არსებობს და სავარაუდოდ არც არასდროს იარსებებს. თუმცა

შეიძლება გამოვყოთ რამდენიომე პოლიტიკა, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი ითამაში ჩინეთის მეორე ეკონომიკად გახდომაში:

1.განვითარების თანმიმდევრული (გრადუალისტური) მიდგომა.

ჩინეთმა საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის სხვა გზა აირჩია. პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებმა შოკური თერაპიის მეშვეობით სწრაფი ტემპით გაყიდეს არსებული საწარმოები და ამის გამო ხშირად სწრაფად გაიყიდა მძლავრი ქარხნები. ჩინეთი მნიშვნელოვან პირობებს უდებდა კერძო კომპანიებს.მაგალითად ასეთი იყო : საწარმოს პროფილის შენარჩუნება, დასაქმებულთა რაოდენობის შემცირებაზე უარის თქმა და ექსპორტზე ორიენტირება. ამის შედეგად ბევრმა ადამიანმა სამუშაო ადგილები შეინარჩუნდა და გარდამავალმა პერიოდმა შედარებით უმტკივნეულოდ ჩაიარა.

2.ჩინური საინვესტიციო პოლიტიკა.

დღეს საყოველთაოდ აღიარებული დოგმაა, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები კარგია ეკონომიკისთვის და შესაბამისად ქვეყნისთვის, თუმცა ჩინელები ასე არ ფიქრობდნენ. აქაც ჩინეთმა თანმიმდევრული გზა აირჩია. პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს გზა თანდათან გაუხსნა. უცხოური ინვესტიციები ჩინურმა პოლიტიკურმა ელიტამ რამდენიმე სეგმენტად დაჰყო:

1.ეს იყო სექტორები, რომელსაც ჩინეთის მთავრობა ახალისებდა;
2.ეს იყო სექტორები,სადაც პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ჩადება დაშვებული იყო.
3.ეს იყო სექტორები, სადაც პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ჩადება აკრძალული იყო.

ჩინეთის მთავრობა ახალისებდა ისეთ ინვესტიციებს ქმნიდა სამუშაო ადგილებს და გააჩნდა მაღალტექნოლოგიური წარმოების პოტენციალი.

3.კონკურენტული უპირატესობა ჩინურად.

დღეს ეკონომიკურ სახელმძღვანელოებში ვკითხულობთ რომ ჩვენ უნდა ვაწარმოოთ ისეთი პროდუქტები, რაც უკეთ გამოგვდის ანუ რაშიც გვაქვს კონკურენტული უპირატესობა. ,,როცა თითოეული ინდივიდი სპეციალიზდება იმ პროდუქტის წარმოებაზე, რაშიც მას აქვს კონკურენტული უპირატესობა, საერთო წარმოება იზრდება... და ამით ყველა მოგებული რჩება“. თუმცა ჩნელებმა აქაც გადაუხვიეს დამკვიდრებულ დოგმას და ბრინჯის წარმოების პარალელურად დაიწყეს სწრაფი ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკა. ამ პოლიტიკის ფარგლებში ჩინეთის მთავრობა გასცემდა სუბსიდირებულ ანუ იაფ სესხებს, აძლევდა საგადასახადო შეღავათბს მაღალტექნოლოგიურ კომპანიებს, სატარიფო და არასატარიფო ბარიერებით იცავდა ადგილობრივ მეწარმეებს იმპორტისგან. უცხოურ კომპანიებს უწესებდა მოთხოვნას, რათა მათ ადგილობრივი ფირმებისგან შეესყიდათ წარმოებული ნედლეული.

ჩინეთის მთავრობა ასევე აქტიურად იყენებდა სახელმწიფო შესყიდვების პოლიტიკას, რათა წაეხალისებინა ისეთი კომპანიები, რომლებიც ქმნიდნენ ინოვაციურ პროდუქტებს და დასაქმებას.

4.ჩინური დეცენტრალიზაცია.

დღეს ხშირად ვსაუბრობთ საქართველოში დეცენტრალიზაციისა და თვითმმართველობის შესახებ, თუმცა ეს საუბარი ფიქციური დემოკრატიზაციის იდეას ვერ ცდება. ჩინეთმა კი დეცენტრალიზაცია ეკონომიკის განვითარების სამსახურში ჩააყენა. 80-იანი წლებიდან მოყოლებული ჩინეთმა დაიწყო რეგიონებში ე.წ. ,, ფისკალური დეცენტრალიზაციის" განხორციელება, რითიც რეგიონებს მისცა საშუალება დაეტოვებინათ აკრეფილი გადასახადების დიდი ნაწილი. ჩინეთის ცენტრალური მთავრობა ადგილობრივ მმართველებს აფასებდა იმით, თუ რამდენად აუმჯობესებდნენ ისინი ადგილობრივ ეკონომიკას და თუ რამდენად გაზრდიდნენ რეგიონების შემოსავლებს. ამის შედეგად ადგილობრივ ელიტებს გაუჩნდათ უფრო უკეთესად მუშაობის სტიმული.

5.სპეციალური ეკონომიკური ზონები.

შეიძლება ითქვას, რომ ჩინეთი ყველაზე წარმატებულად იყენებს სპეციალური ეკონომიკური ზონების ინსტრუმენტს. დღეს მსოფლიოში 4500 სპეციალური ეკონომიკური ზონა არსებობს 140 ქვეყანაში,რომლებშიც დასაქმებულია 66 მილიონი ადამიანი. აქედან 30 მილიონი ადამიანი ჩინეთშია დასაქმებული. ამგვარი ზონის კარგი მაგალითია ქალაქი შენჟენი. შენჟენი 1980 წელს პატარა დასახლება იყო, სადაც მეტწილად მეთევზეები ცხოვრობდნენ, მოსახლეობის რაოდენობა კი 30 ათასი ადამიანი იყო. დღეს კი მოსახლეობის რაოდენობა ამ ქალაქში 10 მილიონს აღწევს. 1980 წელს შენჟენს სხვა 4 რეგიონთან ერთად ჩინეთის მთავრობამ სპეციალური ეკონომიკური ზონის სტატუსი მიანიჭა. 1980-1984 წლებში ჩინეთის ეკონომიკური ზრდა საშუალოდ 10 % იყო, ხოლო ამ რეგიონში ეკონომიკა საშუალოდ 58 %-ით იზრდებოდა. შენჟენის ლიდერები აქტიურად იყენებდნენ ინდუსტრიულ პოლიტიკას და ასევე ახალისებდნენ კლასტერულ წარმოებას. შენჟენში მთავარი აქცენტი კეთდებოდა ერთის მხრივ, უცხოურ ინვესტორებსა და მეორე მხრივ, ადგილობრივ მწარმოებლებსა და ინვესტორებს შორის კავშირების ხელშეწყობაზე, რაც საბოლოო ჯამში, ცოდნისა და ტექნოლოგიების გადაცემას ემსახურებოდა.

6.ჩინური დიასპორა

ჩინურმა დიასპორამ ქვეყნის ეკონომიკის აღმავლობაში უზარმაზარი როლი შეასრულა. ქვეყნის ფარგლებს გარეთ მსოფლიოს 140 ქვეყანაში, დაახლოებით 80 მლნ. ჩინელი ცხობრობს. ისინი ყველგან ქმნიან იზოლირებულ საზოგადოებებს თავისი წეს-ჩვეულებებითა და ფასეულობებით. განსაკუთრებით უძლიერესია აზიური ჩინელების _ ხუაცაოს _ კლანი. აზიურ ქვეყნებში მცხოვრებ ჩინელთა საერთო რაოდენობა 51 მლნ. აღწევს. აზიაში ჩინელმა ემიგრანტებმა გიგანტური ფინანსური იმპერიები შექმნეს. აზიელ მილიარდერთა შორის 39 წარმომავლობით ჩინელია, ამასთან 12 ოჯახი ფლობს ქონებას, რომელიც 5 მლრდ. დოლარს აჭარბებს. მალაიზიაში ჩინელები წამყვანი კომპანიების 62%-ს ფლობენ, ტაილანდში _ 80%-ს. ინდოეთში ეთნიკური ჩინელები მოსახლეობის დაახლოებით 4%-ს შეადგენენ; ისინი კერძო საწარმოთა 70%-ს ფლობენ. სინგაპურის ეკონომიკა თითქმის სრულად ექვემდებარება ჩინური დიასპორის წევრების კონტროლს. მთლიანობაში ჩინური დიასპორა 2 ტრლნ. დოლარის საკუთრებას აკონტროლებს, რაც ჩსრ-ის მშპ-ს 2-ჯერ აჭარბებს. ჩინეთში ხუაცაოს წილად ყველა უცხოური ინვესტიციის დაახლოებით 75% მოდის. მთავარია, ინვესტიციათა მნიშვნელოვანი ნაწილი მოდიოდეს ჰონკონგის და მაკაოს უკვე მიერთებული ტერიტორიებიდან, აგრეთვე ჯერჯერობით დამოუკიდებელი ტაივანიდან. ჩინეთის სრული გაერთიანების შემდეგ ყველა ეს ყოფილი უცხოური ინვესტიცია გახდება შიდა და ქვეყნის საგარეო ვალდებულებები თითქოსდა გაქრება.

7.ეფექტური ფინანსურ - სავალუტო სისტემა

რეფორმების პერიოდში ჩინეთმა მოახდინა ორი გიგანტური და ფრიად ეფექტიანი ფინანსურ-სავალუტო სისტემის ორგანიზება. უპირველეს ყოვლისა, ყველა ფინანსური ბერკეტი სახელმწიფოს რჩებოდა. ჩსრ-ში იურიდიულ და ფიზიკურ პირებს მხოლოდ ჩინური ბანკები ემსახურება. ამასთან, მთელი საბაკო სისტემის 70%-ს 4 სახელმწიფო ბანკი აკონტროლებს. მთლიანობაში ფინანსური სფეროს დახლოებით 90% სახელმწიფოს განკარგულებაშია. რეფორმების პერიოდში ფინანსური ბერკეტები აქტიურად გამოიყენებოდა. წლიური განაკვეთები ანაბრებზე 3-დან 9%-მდე იცვლებოდა. ზოგჯერ სახელმწიფო ფულადი მასის გაზრდაზე მიდიოდა _ წელიწადში 16%-მდე ან ხელფასებს 40%-ით უზრდიდა სახელმწიფო მოხელეებს. ჩინეთი ხელს უწყობს დოლარის კონვერტაციას იუანში, ხოლო უკუოპერაცია განსაზღვრულ სირთულეებთან არის დაკავშირებული. ჩინეთში ვალუტის შემოტანა შეზღუდული არაა, გატანა კი მრავალსაფეხურიან ნებართვებს და თანხმობებს საჭიროებს. სადაც მოუხერხდება მსურველს, ცდილობს იუანის გაცვლას დოლარებზე და მათ გატანას, ამ მიზნით ხან ჩინურ საქონელსაც აჩეჩებენ გასატანად. უცხოური მონაწილეობით საწარმოების შესახებ კანონის თანახმად, საქონლის 70% აუცილებლად უნდა გადიოდეს ჩინეთიდან და მხოლოდ 30% შეიძლება გაიყიდოს შიდა ბაზარზე. ჩსრ-ის მოქალაქეებს უფლება აქვთ დოლარები მიიღონ საზღვარგარეთიდან, შეინახონ ვალუტა ბანკებში და მათი საშუალებით იუანები იყიდონ. დოლარების ყიდვა კი არ შეიძლება. ჰონკონგის მიერთების შემდეგ ჩამოყალიბდა არაკონვერტირებადი იუანის უზარმაზარი მასის ურთიერთმოქმედების საინტერესო მოდელი ჰონკონგის შეზღუდული მასის სრულიად კონვერტირებად დოლარებთან, რომლებიც აშშ-ის დოლარებთან მყარად იყო მიბმული. ამ შეკვრას, რომელიც ორიენტირებულია ორ ნაკლებადდაკავშირებულ წყაროზე და განმტკიცებულია ჩსრ-ის სავალუტო მარაგების 160 მლრდ. დოლარისა და ჰონკონგის სავალუტო მარაგების 100 მლრდ. დოლარით, მდგრადობის დიდი საფუძველი გააჩნია სხვადსხვა სახის კრიზისული მოვლენების მიმართ.

ჩინეთის რეფორმებმა უზრუნველყო არა მარტო ფენომენალური ეკონომიკური შედეგები, არამედ ხელი შეუწყო ადამიანური განვითარების ყველა მაჩვენებლის არსებით გაუმჯობესებას.

რეფორმებმა ბევრად გააძლიერა მუშათა და გლეხთა საწარმოო აქტიურობა, გაათავისუფლა და განავითარა სოციალურ-მწარმოებლური ძალები, ხელი შეუწყო ჩინეთში მატერიალური კეთილდღეობის სწრაფ ზრდას, საწარმოო მოწყობილობების განახლებასა და საწარმოო ტექნოლოგიების ზრდას.

დასკვნა

არც ისე დიდი ხნის წინ ბევრ ექსპერტს ეჭვი შეჰქონდა იმაში, რომ ჩინეთის ეკონომიკა შეძლებდა შიდა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. მაგრამ, ჩინეთის პროგრესი ეკონომიკის ორიენტაციის შეცვლის საქმეში შთამბეჭდავი ხდება. უდაოა, რომ ჩინეთის ეკონომიკა გაიზარდა მას შემდეგ, რაც 1978 წელს დაიწყო ეკონომიკის რეფორმები. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანია:

1. ორიენტაცია ეროვნულ ტრადიციებსა და ჩინეთის თავისებურებებზე სოციალიზმის მშენებლობისას;

2.ბრძოლა დოგმატიზმთან;

3.უმთავრესი ყურადღება მეცნიერებასა და ტექნიკის განვითარებას;

4.ორიენტირება რეფორმების ხანგძლივ ხასიათზე;

5.საბაზრო ეკონომიკის გამოყენება საერთო სოციალისტური პრინციპების მართვისას;

6.სპეციალური ეკონომიკური ზონების, როგორც უცხოური კაპიტალის და მოწინავე ტექნოლოგიების მოზიდვის საშუალების შექმნა;

7.პოლიტიკური გახსნილობის პრინციპი გარე სამყაროსათვის.

ჩინურმა ეკონომიკურმა გამოცდილებამ დაგვანახა ის, რომ ეკონომიკური მეცნიერების აქამდე ურყევი მრავალი დებულება სარევიზიო გახდა. ჩინეთმა შექმნა სახელმწიფოს მიერ გაძღოლილი კაპიტალიზმის (state-guided capitalism) ერთობ ეფექტიანი მოდელი. ეს არის არა კეინსიანელობა, არამედ წმინდა ჩინური ეკონომიკური სპეციფიკა. ყოველმხრივ მხარდაჭერილია სამეწარმეო კაპიტალიზმი. ჩინეთი მსოფლიოს მეორე ეკონომიკაა და მალე აღმოჩნდება, რომ ცისქვეშეთი (ტიანსია) უკვე დიდი ხანია მსოფლიოს პირველი ეკონომიკა ყოფილა და ამას მალავდა. ეს იმიტომ, რომ ჩინეთის ეკონომიკური ზრდის არსებული ტემპები უმაგალითოა ისტორიაში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. http://faculty.arts.ubc.ca/lhao/essays/Ford.html
2. http://bpi.ge/chinetis-ekonomikuri-saswaulis-7-mizezi/
3. https://www.ge.emb-japan.go.jp/files/japan_fact_sheet/Economy.pdf
4. https://www.brookings.edu/on-the-record/is-china-an-economic-miracle-or-a-bubble-waiting-to-pop/
5. http://www.chinatoday.com.cn/ctenglish/2018/commentaries/201808/t20180811_800138031.html
6. შოთა ვეშაპიძე ,,ჩინეთის ეკონომიკა“

■■■■

თავისუფალი ინდუსტრიული ზონების ფუნქციონირების თავისებურებები საქართველოში

The peculiarities of functioning of free industrial zones in Georgia

ავტორი - **აკაკი წულაია, ვალერი დარსალია,** *ხელმძღვანელი* - პროფ. **თამილა არნანია-კეპულაძე,** აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

Author **- Akaki Tsulaia, Valeri Darsalia**, *Supervizor* – Prof. **Tamila Arnania-Kepuladze,** *Akaki Tsereteli State University.*

Abstract

Free industrial zone is a variety of free zone under the law of Georgia, where additional conditions and taxing benefits apply, which is a part of Georgian territory with fixed boundaries and special status granted by the law.

There are 4 free industrial zones in Georgian territory:

Poti free industrial zone;

Kutaisi free industrial zone;

Hualing Kutaisi free industrial zone;

Tbilisi technology park free industrial zone.

The purpose of our research is to review the peculiarities of functioning of free industrial zones in Georgia and analysing the hindering causes of their development.

In article we used analysing, dialectical, statistical observation, economic-statistical analysis and other methods.

The research showed us that until today Georgian free industrial zones (FIZs) are less successful. There are some causative factors. First of all, In Georgia taxing system is liberal itself, also entrepreneurial licenses and permissions are easily issued. accordingly, FIZs can not be very attractive. Besides there are some successful FIZs in our region, between them in our neighbouring Turkey, which are difficult to compete with. It should be noted here too that activating first FIZs in Georgia coincided with the next period of 2008 August war and world financial crisis period, which was a hindering circumstance of the development of FIZs. We can see from the article that development of FIZs hugely depends on the economic development of country. Political-economic environment existing in country is directly reflected on the development of FIZs.

Key words: Free industrial zone, taxing benefits, political-economic environment, hindering causes.

„თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, თავისუფალი ინდუსტრიული ზონა (თიზ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული თავისუფალი ზონის ნაირსახეობაა, სადაც დამატებითი პირობები და საგადასახადო შეღავათები მოქმედებს და რომელიც საქართველოს ტერიტორიის ნაწილს წარმოადგენს განსაზღვრული საზღვრებით და კანონით მინიჭებული სპეციალური სტატუსით.

თიზ-ში პირები სპეციალურ ეკონომიკურ და სამართლებრივ რეჟიმს ექვემდებარებიან და მასზე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების უფლებამოსილებანი არ ვრცელდება.

თიზ-ის შექმნა შეიძლება ნებისმიერ ტერიტორიაზე, რომლის ფართობი 10 ჰექტარზე დიდია, გარდა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული დაცული ტერიტორიებისა.

„თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შესახებ" საქართველოს კანონის მიხედვით, თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შექმნა შესაძლებელია:

ა) საქართველოს მთავრობის ინიციატივით;

ბ) ფიზიკური ან იურიდიული პირის - ორგანიზატორის მოთხოვნით.

ორგანიზატორი არის საქართველოში რეგისტრირებული პირი, რომელიც თიზ-ის ტერიტორიულად და ინფრასტრუქტურულად მოსაწყობად და განსავითარებლად სახელმწიფოსაგან იღებს თანხმობას და ნებართვას.

თიზ-ის შესასვლელსა და გასასვლელში საბაჟო გამშვები პუნქტები ეწყობა, რომლებიც ახდენენ თიზ-ში შემავალი და გამომავალი საქონლის საბაჟო კონტროლს და სასაქონლო ოპერაციის განხორციელებას.

თიზ-ში საქმიანობას ორგანიზატორის თანხმობით ახორციელებს თიზ-ის ტერიტორიაზე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებული საწარმოები. თიზ-ში საქმიანობის განხორციელება ასევე შეუძლია თიზ-ის გარეთ რეგისტრირებულ საწარმოებს თიზ-ში რეგისტრირებული მუდმივი წარმომადგენლების მეშვეობით.

თიზ-ში შეიძლება მოთავსდეს:

- უცხო ქვეყნიდან შეტანილი საქონელი;
- უცხოური საქონელი, რომელიც შეტანილია სხვა საბაჟო ტერიტორიიდან;
- უცხოური საქონელი, რომელიც მოქცეული იყო სასაქონლო ოპერაციაში, რომელიც თავისუფალ ზონაში საქონლის შეტანით დასრულდა;
- საქართველოს საქონელი.

თიზ-ში შესაძლებელია როგორც საქართველოს, აგრეთვე უცხოური საქონლის შეტანა. საქართველოს საქონლის შეტანა ექსპორტად განიხილება, ხოლო უცხოური საქონლის შეტანა თავისუფალი ზონის სასაქონლო ოპერაციას წარმოადგენს.

თიზ-იდან შესაძლებელია როგორც საქონლის საქართველოს ტერიტორიაზე შემოტანა, აგრეთვე მისი გატანა სხვა ქვეყნებში. თიზ-იდან საქართველოში საქონლის შემოტანა განიხილება საქონლის იმპორტად, ხოლო სხვა ქვეყნებში გატანა კი ექსპორტად.

თიზ-ში წარმოებული საქონლის საქართველოს ტერიტორიაზე იმპორტისას, მისი ოდენობის მიუხედავად მხოლოდ დამატებული ღირებულების გადასახადი გადაიხდევინება. ხოლო თიზ-ში საქართველოს ან უცხოური საქონლის შეტანისას გადასასახდელები არ გადაიხდევინება.

თიზ-ის საწარმო ანთავისუფლებულია:

- მოგების გადასახადისგან;
- ქონების გადასახადისგან;
- დამატებული ღირებულების გადასახადისგან;
- უცხოური ან თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში წარმოებული საქონლის იმპორტის გადასახადისგან.

მაგრამ, თიზ-ში წარმოებული საქონლის საქართველოს ტერიტორიაზე იმპორტისას დაწესებულია იმპორტის 4%-იანი გადასახადი. კანონმდებლობის მიხედვით ინვესტორს თიზ-ის ტერიტორიაზე არა აქვს უფლება საკუთრებაში მიიღოს ობიექტი და მას მხოლოდ იჯარით იღებს, რაც ამცირებს მის ინტერესს.

თიზ-ში დაშვებულია:

- ნებისმიერი საქონლის შეტანა/გამოტანა;
- შენახვა;
- გადამუშავება;
- მიწოდება ან/და მომსახურების გაწევა.

თიზ-ში აკრძალულია:

- იარაღის და საბრძოლო მასალების წარმოება და ვაჭრობა;
- ბირთვული, რადიოაქტიური ნივთიერებების წარმოება და ვაჭრობა;
- ნარკოტიკული და ფსიქოტროპული ნივთიერებების შეტანა, შენახვა, წარმოება ან/და რეალიზაცია;
- თამბაქოს ნაწარმის ან/და თამბაქოს ნედლეულის შეტანა, შენახვა, წარმოება, რეალიზაცია, გარდა ადგილზე მოხმარებისათვის განკუთვნილი საქონლის შეტანისა, რომელის საქონლის ექსპორტან განიხილება.

თიზ-ში ცალკეული საქმიანობის სახეობაზე შესაძლებელია დაწესდეს აკრძალვები და შეზღუდვები, მაგრამ თიზ-ზე მხოლოდ ის აკრძალვები და შეზღუდვები შეიძლება გავრცელდეს, რომლებიც მის შექმნამდეა დადგენილი.

საქართველოს ტერიტორიაზე 4 თავისუფალი ინდუსტრიული ზონაა:

- ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა;
- ქუთაისის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა;
- ქუთაისის ჰუალინგის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა;
- თბილისის ტექნოლოგიური პარკის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა.

დღევანდელ დრომდე საქართველოს თავისუფალი ინდუსტრიული ზონები ნაკლებად წარმატებულები არიან. არსებობს ამის გამომწვევი რამდენიმე ფაქტორი. პირველი ფაქტორი გახლავთ საქართველოს ლიბერალური საგადასახადო სისტემა და სამეწარმეო ლიცენზიების და ნებართვების გაცემის სიმარტივე, ყოველივე ეს კი აჩვენებს, რომ თიზი განსაკუთრებით მიმზიდველი ვერ იქნება. მეორე ფაქტორი გახლავთ ის, რომ წარმატებული თავისუფალი ინდუსტრიული ზონები ჩვენს რეგიონში უკვე არსებობს, მათ შორის ჩვენს მეზობელ თურქეთში, რომელთანაც რთულია კონკურენციის გაწევა. ასევე, საქართველოში თიზ-ებს კონკურენციას ხშირად სახელმწიფო პროგრამები უწევენ, რომლებიც კომპანიებს სხვადასხვა შეღავათებს სთავაზობენ. მსოფლიოში უამრავი წარმატებული თიზ-ი არსებობს, რომლებიც ძირითადად განვითარებულ ქვეყნებშია მოქცეული, მათ შორის ჩინეთში (ჰონგ-კონგი, შანხაი), არაბთა გაერთიანებულ საემიროებში (დუბაი) და ჩვენს მეზობელ თურქეთშიც, რომლებთანაც რთულია კონკურენციის გაწევა. წარუმატებელ თიზ-ებს კი ძირითადად განვითარებად ქვეყნებში ვხვდებით. მესამე ფაქტორი გახლავთ ის, რომ პირ-

ველი თიზ-ების ამოქმედება საქართველოში დაემთხვა 2008 წლის აგვისტოს ომის შემდგომ პერიოდსა და მსოფლიო ფინანსური კრიზისის პერიოდს, რაც ერთ-ერთი დამაბრკოლებელი გარემოება იყო თიზ-ების განვითარებაში. თიზ-ების განვითარება ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული. ქვეყანაში არსებული პოლიტიკურ-ეკონომიკური გარემო უშუალოდ აისახება თიზების განვითარებაზე. თიზ-ის განვითარება ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას ემთხვევა. ზოგადად, თიზ-ები ქვეყნის ეკონომიკის ზრდის ტემპს აჩქარებენ, მაგრამ ჯერ თავად ქვეყნის ეკონომიკა უნდა განვითარდეს რომ ამან გავლენა იქონიოს თიზ-ების განვითარებაზე. ინვესტორის მოსაზიდად საკმარისი არაა მხოლოდ შეღავათიანი საგადასახადო სისტემა, არამედ აგრეთვე აუცილებელია პოლიტიკურად და ეკონომიკურად სტაბილური გარემო.

ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა

ფოთის თიზ-ი შეიქმნა 2009 წელს ქ. ფოთში ნავსადგურის ყოფილი ექსტენსიური განვითარების ზონის ტერიტორიაზე (300 ჰა) 99 წლის ვადით. მისი ორგანიზატორი იყო არაბული კომპანია „რაკია საქართველო თავისუფალი ინდუსტრიული ზონა“. „რაკიამ“ ვერ შეასრულა თიზ-ის განვითარებისთვის ნაკისრი ვალდებულებები და დაეკისრა პირგასამტეხლო, რის ჩამოსაწერადაც 2016 წელს ინვესტორმა თიზ-ის საკონტროლო პაკეტის 85% სახელმწიფოს გადასცა. 2017 წლის სექტემბერში ფოთის თიზ-ის 75%-იანი წილი გადაეცა ჩინურ კომპანია China Energy Company Limited-ს. ის ერთ-ერთი უმსხვილესი ჩინური კონგლომერატია, რომელიც ენერგეტიკის, საფინანსო და სავაჭრო სფეროებში საქმიანობს. კომპანიამ უნდა განახორციელოს 150 მლნ დოლარის ინვესტიცია ფოთის თიზ-ში. თიზ-ის 10%-იანი წილი რჩება სახელმწიფოს საკუთრებაში.

ქუთაისის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა

ქუთაისის თიზ-ი შეიქმნა 2009 წელს 99 წლის ვადით და განთავსდა ყოფილი ავტოქარხნის ტერიტორიაზე 27 ჰექტარ ფართობზე, რომლის თითმის მესამედია ათვისებული ამჟამად. თიზ-ის ადმინისტრატორია „ჯორჯიან ინტერნეიშენალ ჰოლდინგი“. თიზ-ის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 37 საწარმო. მათ შორის შედარებით მსხვილი კომპანიებია: Fresh Georgia, ეგვიპტური კომპანიის შვილობილი, რომელიც აწარმოებს საოჯახო ტექნიკას (გაზქურები, სარეცხი მანქანები, წყლის ელექტროგამაცხელებლები); და Atlantic Georgia, რომელიც აწარმოებს დენის გამათბობლებს და წყლის გამაცხელებელ ავზებს. თიზ-ის ადმინისტრაციამ, Fresh Georgia-მ და Athlantic Georgia-მ ერთობლივად განახორციელეს დაახლოებით 100 მლნ დოლარის ინვესტიცია.

ქუთაისის ჰუალინგის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა

ქუთაისის ჰუალინგის თიზ-ს „თავისუფალი ინდუსტრიული ზონის“ სტატუსი საქართველოს მთავრობის დადგენილებით 2015 წელს 30 წლის ვადით მიენიჭა. ის ქუთაისში, ყოფილი ავტოქარხნის ტერიტორიაზე 36 ჰექტარ ფართობზე არის განლაგებული. თიზ-ის ორგანიზატორია „ჰუალინგ ჯგუფის“ წევრი „GEORGIAN HUASHUN INTERNATIONAL INDUSTRIAL INVESTMENT GROUP LTD“. თიზ-ი მუშაობს 25%-იანი დატვირთვით და ამჟამად მასში 70-მდე სამრეწველო/სავაჭრო/სერვისული კომპანიაა რეგისტრირებული. თიზ-ის ტერიტორიაზე ოპერირებენ შემდეგი ტიპის საწარმოები: ხის გადამმუშავებელი, სამშენებლო ქვის დამმუშავებელი, ავეჯის, მატრასების, ლითონკონსტრუქციების, მანქანა-დანადგარების ფილტრების მწარმოებელი ქარხანა, სპირტის მწარმოებელი ქარხანა და სხვა. დაგეგმილია მზის პანელების საწარმოს გახსნა. თიზ-ში ძირითადად ოპერირებენ უცხოური კომპანიები (ჩინური, ეგვიპტური, აზერბაიჯანული, ესპანური

და სხვა). ქუთაისის ჰუალინგის თიზ-ში დაახლოებით 10 მლნ აშშ დოლარზე მეტია ინვესტირებული.

თბილისის ტექნოლოგიური პარკის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა

თბილისის ტექნოლოგიური პარკის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა შეიქმნა 2015 წლის ოქტომბერში 49 წლის ვადით და განლაგებულია თბილისში გლდანის რაიონში მდებარე 17 ჰა არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე. მის ადმინისტრატორია მსოფლიო კრიპტოვალუტის - ბიტკოინის (ბლოკჩეინის) ტექნოლოგიების წამყვანი კომპანია BitFury-ის შვილობილი შპს „ჯორჯიან ტექნოლოჯი პარკი". მან ტერიტორია, სადაც თიზ-ია განლაგებული, სახელმწიფოსგან შეიძინა სიმბოლურ ფასად - 1 ლარად. მიწის გადაცემის საინვესტიციო ვალდებულებად განისაზღვრა მონაცემთა დამუშავების ცენტრის შექმნა, რაშიც უნდა განხორციელებულიყო მინიმუმ 11 110 000 აშშ დოლარის ინვესტიცია. 2015 წლის ბოლოს BitFury-მ თბილისის თიზ-ის ტერიტორიაზე გახსნა 40 მგვტ სიმძლავრის „დატა ცენტრი", რომელიც განთავისუფლებულია დღგ-ის გადასახადისგან და ამიტომაც ის ელექტოენერგიის საფასურს დღგ-ს გარეშე იხდის, რასაც კომპანიისთვის დიდი მოგება მოაქვს, რადგან სწორედ ელექტროენერგიაზე მოდის დატა ცენტრების დანახარჯების 90%-ზე მეტი. ამ ეტაპზე ათვისებულია თიზ-ის ტერიტორიის დაახლოებით 20% და დასაქმებულია 60-მდე ადამიანი. ამ დრომდე სხვა ინვესტორი თიზ-ის ტერიტორიაზე არ გამოჩენილა.

ყულევის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა

საქართველოს მთავრობამ 2012 წლის სექტემბერში მიიღო გადაწყვეტილება ხობის მუნიციპალიტეტში, სოფელ ყულევში კიდევ ერთი თიზ-ის შექმნის შესახებ. თიზ-ის ორგანიზატორობა მიენიჭა Socar Georgia Investment-ს. თიზ-ს ფუნქციონირება უნდა დაეწყო 2014 წლის სექტემბერში, მაგრამ მისი ამოქმედების ვადა ჯერ 2016 წლამდე, ხოლო შემდეგ 2017 წლის სექტემბრამდე გადავადდა.

საქართველოში მოქმედი თავისუფალი ინდუსტრიული ზონები მუშაობენ დაახლოებით 20-25%-იანი დატვირთვით. ფოთის თიზ-ის ორგანიზატორმა ვალდებულებები ვერ შეასრულა და სახელმწიფოს დაუბრუნა თიზ-ის საკონტროლო პაკეტი. 2009 წელს შექმნილ ქუთაისის თიზ-ში მხოლოდ 2 მსხვილი კომპანია ფუნქციონირებს. თბილისის თიზ-ში BitFury-ის გარდა სხვა კომპანია არ გამოჩენილა. ყულევის თიზ-ის შემთხვევა კარგად აჩვენებს იმას, თუ როგორი რთულია არათუ თიზ-ის განვითარება, არამედ მის ამოქმედებაც კი. საქართველოში მოქმედი თიზ-ებიდან შედარებით კარგად შეძლო განვითარება ქუთაისის ჰუალინგის თიზ-მა, რაზეც მასში ინვესტორების სიმრავლე მიუთითებს. მაგრამ ძნელად სავარაუდოა, რომ თიზ-ები ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში მნიშვნელოვან როლს ითამაშებენ.

დასკვნა

კვლევამ გვიჩვენა, რომ დღევანდელ დრომდე საქართველოს თავისუფალი ინდუსტრიული ზონები ნაკლებად წარმატებულები არიან. არსებობს ამის გამომწვევი რამდენიმე ფაქტორი. პირველი ფაქტორი გახლავთ საქართველოს ლიბერალური საგადასახადო სისტემა, ასევე სამეწარმეო

ლიცენზიების და ნებართვების გაცემის სიმარტივე, ყოველივე ეს კი აჩვენებს, რომ თიზ-ი განსაკუთრებით მიმზიდველი ვერ იქნება. გარდა ამისა, წარმატებული თავისუფალი ინდუსტრიული ზონები ჩვენს რეგიონში უკვე არსებობს, მათ შორის ჩვენს მეზობელ თურქეთში, რომელთანაც რთულია კონკურენციის გაწევა. უნდა ითქვას ისიც, რომ პირველი თიზების ამოქმედება საქართველოში დაემთხვა 2008 წლის აგვისტოს ომის შემდგომ პერიოდსა და მსოფლიო ფინანსური კრიზისის პერიოდს, რაც ერთ-ერთი დამაბრკოლებელი გარემოება იყო თიზების განვითარებაში.

სტატიიდან ჩანს, რომ თიზ-ების განვითარება ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული. ქვეყანაში არსებული პოლიტიკურ-ეკონომიკური გარემო უშუალოდ აისახება თიზების განვითარებაზე. ჯერ თავად ქვეყნის ეკონომიკა უნდა განვითარდეს რომ ამან გავლენა იქონიოს თიზ-ების განვითარებაზე. ამიტომაც, თიზ-ების ქვეყნის ეკონომიკაზე გავლენის შესახებ გადაჭარბებული მოლოდინები არ უნდა გაგვაჩნდეს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კანონი თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შესახებ http://www.rs.ge/common/get_doc.aspx?id=8741
2. თავისუფალი ზონა http://www.rs.ge/6290
3. თავისუფალი ინდუსტრიული ზონა http://rs.ac.ge/pluginfile.php/1426/mod_resource/content/2/%E1%83%97%E1%83%90%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A3%E1%83%A4%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98%20%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%A3%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98%20%E1%83%96%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%90.pdf
4. რა აფერხებს საქართველოში თიზების განვითარებას? http://forbes.ge/news/3229/ra-aferxebs-Tizebis-ganviTarebas
5. თავისუფალი ინდუსტრიული ზონები: ფოთის მაგალითი https://1tv.ge/analytics/tavisufali-industriuli-zonebi-fotis-magaliti/

■■■■

გლობალიზაცია და დეგლობალიზაცია თანამედროვე მსოფლიოში

Globalization and Deglobalization in the modern world

ავტორი - **ნათია ჩომახიძე,** *ხელმძღვანელი - ე.ა.დ.* მოწვეული სპეციალისტი, **ციცინო ძოწენიძე,** აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

Author **- Natia Chomakhidze**, *Supervizor – Inv. Spec. PHD* **Tsitsino Dzotsenidze,** *Akaki Tsereteli State University.*

In the topic, which was discussed by Natia Chomakhidze, the conversation is about Globalization and Deglobalization means. The short interpretation definition of it's past. Also there is a short conversation about Globalization and there are given some examples of this event. There are discussed different options about how Globalization is interpreted. In short, there is a talking about the united nations, the opinions of the famous sciencists- P. Herstry, G. Thompson Br: efly the conversation is about Evropean Union and the problems, which are related to the joining of Turkey in EU, as well as about the partnership between Georgia and EU about the reforms, about the Association agreement. The important attention is paid to the discussion of positive and the negative sites of significant.

საკვანძო სიტყვები: გლობალიზაცია, დეგლობალიზაცია, მათი განსაზღვრება, დადებითო და უარყოფითი თვისებები.

Keywords: Globalization, Deglobalization, ther definition, the positive and the negative sites.

გლობალიზაციის ფენომენი ფართო,ცვალებადი და მრავალფეროვანია,ამიტომ განსხვავებული მოსაზრებები არსებობს მისი ისტორიული ბუნების, მამოძრავებელი ძალების, საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროზე მისი ზემოქმედების შედეგების შეფასების თვალსაზრისით. მიუხედავად იმისა,რომ გლობალიზაციის პროცესი,რამდენიმე დეკადის წინ გახდა აქტუალური-,ერთიანი მსოფლიოს შექმნის იდეა ჯერ კიდევ ძვ.წ. IV საუკუნეში ალექსანდრე მაკედონელს ეკუთვნოდა,მაგრამ ისტორიამ მისი გარდაცვალების შემდეგ,დიადოხოსების ბრძოლის სახით გვიჩვენა,რომ ეს ჩანაფიქრი განუხორციელებელი დარჩებოდა (ყოველ შემთხვევაში,იმ ეპოქისთვის). ზემოთხსენებული შემთხვევისაგან განსხვავებით, თანამედროვეობაში გლობალიზაციამ ისე მყარად მოიკიდა ფეხი, რომ იგი ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელი ნაწილი გახდა,რამაც საზოგადოებაში, მისი არსის გაგების, აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია.

ვიდრე,უშუალოდ გლობალიზაციის ფენომენის განსაზღვრაზე გადავალთ , უნდა აღინიშნოს ,რომ მასთან ერთად არსებოს დეგლობალიზაციაც, რომელიც არის გარკვეული ნიშნის მიხედვით, გაერთიანებულთა დაშლა. გამოვყობ, რამდენიმე მაგალითს :

ისტორიას ახსოვს დეგლობალიზაციის ისეთი დიდი შემთხვევა , როგორიც იყო საბჭოთა კავშირის დაშლა 1991 წლის 26დეკემბრეს , 15 დამოუკიდებელ და 4 თვითგამოცხადებულ ან ნაწილობრივ აღიარებულ სახელმწიფოებად. რომელთა შორის გახლავთ საქართველო. ასევე, იყო იუგოსლავიური გაერთიანება , ის იყო მრავალეროვანი სახელმწიფო , რომელიც ცენტრალური ევროპიდან ბალკანეთის ნკ–მდე იყო გადაჭიმუყლი . იუგოსლავიის ეს სივრცე ეთნიკური კონფლიქტების მხრივ განსაკუთრებით მძიმე შემთხვევას წარმოადგენს მსოფლიო ისტორიაში. სულ რამდენიმე ათწლეულს გასტანა 6რესპუბლიკისა და 2 ავტონომიური რესპუბლიკის ერთობლიობამ.ხოლო , 1990წლიდან მოყოლებული ეთნიკური კონფლიქტების შედეგად ეს ფედერაციული გაერთიანება დაიშალა 6 სახელმწიფოდ.დეინტეგრაციის კიდევ ერთი შემთხვევა იყო,ჩეხოსლოვაკიის დაშლა. ეს გაერთიანება შეიქმნა პირველი მსოფლიო ომის შემდეგ და გასტანა 1993წლის 1იანვრამდე. მის

დაშლას "ხავერდოვანი რევოლუცია " ეწოდა , რადგან ის უსისხლოდ განხორციელდა , ხოლო ჩეხოსლოვაკია ორ რესპუბლიკად გაიყო : ჩეხეთად და სლოვაკეთად. თანამედროვე მსოფლიოსთვის ერთ–ერთი დეგლობალიზაციის საშიშ სახეს წარმოადგენს, სეპარატისტული მიმდინარეობები. სეპარატიზმი ნიშნავს,პოლიტიკურ მოძრაობას სახელმწიფოს შიგნით, რომელიც მიმართულია სახელმწიფოსაგან რომელიმე ტერიტორიული ნაწილის გამოყოფისაკენ. სეპარატიზმი შეიძლება ესწრაფვოდეს არა მარტო გამოყოფას, არამედ სხვა სახელმწიფოსთან შეერთებასაც.არსებობს სეპარატისტული მიმდინარეობების საკმაოდ მრავალრიცხოვანი სახესხვაობა.მათ შორის განსაკუთრებით უნდა გამოიყოს ეთნიკურ-რეგიონალისტურ საფუძველზე აგებული სეპარატისტული მოძრაობა.

ეს, მოკლედ, დეგლობალიზაციის მოვლენის შესახებ,ხოლო,რაც შეეხება გლობალიზაციას,როგორც ზემოთ ავღნიშნე, მისი არსის გაგებისას წარმოიშობა აზრთა სხვადასხვაობა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განმარტებით, ეკონომიკის გლობალიზაცია გულისხმობს ეროვნულ საზღვრებს მიღმა საქონლისა და მომსახურების მზარდი ნაკადების მოძრაობისა და შესაბამისი ორგანიზაციული სტრუქტურების ფორმირების პროცესს,რათა სათანადოდ იმართებოდეს საერთაშორისო ეკონომიკური გარიგებების სულ უფრო მზარდი ქსელი.

ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტის მთავარი ეკონომისტის შ. იუზუფისა და ეკონომიკაში ნობელის პრემიის ლაურეატის ჯ. სტიგლიცის განმარტებით, გლობალიზაცია ნიშნავს :სულ უფრო მჭიდრო ინტეგრაციას სავაჭრო, კაპიტალისა და იდეების ნაკადების ზრდისა და ტრანსნაციონალური კომპანიების საინვესტიციო საქმიანობის გავლენით საერთაშორისო საწარმოო ქსელების ჩამოყალიბების შედეგად.

კანადის საიმონ ფრეიზერის უნივერსიტეტის ეკონომიკის დეპარტამენტის პროფესორი რიჩარდ გლენჰარისი მიიჩნევს, რომ გლობალიზაცია არის საქონლისა და მომსახურების წარმოების, დისტრიბუციისა და მარკეტინგის მზარდი ინტერნაციონალიზაცია.

თანამედროვე ინტეგრაციისა და გლობალიზაციის პირობებში, რომელიმე რეგიონული თუ საერთაშორისო ეკონომიკური, პოლიტიკური თუ სამხედრო კავშირები არ შეიძლება იყოს მხოლოდ ძლიერი, მდიდარი ქვეყნების კავშირის გაერთიანება.

მეორე მხრივ, რეგიონულ ალიანსში, ვთქვათ, ევროკავშირში გასაერთიანებლად აუცილებელია ეკონომიკური და პოლიტიკური (დემოკრატიის თვალსაზრისით) განვითარების გარკვეული დონის მიღწევა, მაგრამ ეს დონე არ უნდა იყოს გაუმართლებლად მაღალი. განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების საშუალო ერთმანეთისაგან არსებითად განსხვავდება, მაგრამ სულ სხვა სიდიდეა განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების, როგორც ერთი მთლიანობის საშუალო მაჩვენებელი. ამ მაჩვენებელმა არ უნდა დააზარალოს ან დაამახინჯოს განვითარებადი მითუმეტეს ამორჩენილი ეკონომიკის ქვეყნები.

ამ თვალსაზრისით საყურადღებოა, ცნობილი მეცნიერების პ. ჰერსტისა და გ. ტომპსონის მოსაზრება ევროკავშირის შესახებ: “ისეთი პოლიტიკის გარეშე, რომელიც ამ ქვეყნებს არ განავითარებს ისეთ დონემდე, რომ თავისუფლად შევიდნენ კავშირში, ევროკავშირი კვლავ დარჩება, როგორც მდიდარი ერების კლუბი”.

ძალიან ბევრი პრობლემაა მოსაგვარებელი ინსტიტუციონალური მოწყობის თვალსაზრისით. ეს პრობლემა ევროკავშირში დღემდე არ არის გადაწყვეტილი, რაც გამოიხატება ერი–სახელმწიფოებისა და ერთიანი ევროპის შექმნის პრობლემის სირთულეებით.

აქ ძლიერად და ერთდროულად მოქმედებენ ცენტრისკენული და ცენტრიდანული ძალები. თუ პირველი ძალები ხელსაყრელ პირობებს ჰქმნიან ერთიანი ევროპის შექმნისათვის, მეორენი – პირიქით, აპირობებენერი–სახელმწიფოების, კავშირში შემავალი სახელმწიფოების ეროვნული ინტერესების დაცვის აუცილებლობას: ცხადია, ეს ორი მისწრაფება ხშირ შემთხვევაში ურთიერთ საწინააღმდეგო ხასიათისაა და ქვეყნებს შორის ურთიერთობის ინტეგრაციისა და გლობალიზაციის საწინააღმდეგო ტენდენციებს წარმოშობს.

ქვეყნებს შორის ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობების აუცილებლობა ინტეგრაციული და გლობალიზაციური პროცესების განვითარებისა და სრულყოფის გარდუვალობას აპირობებს. ქვეყნებს შორის ურთიერთობაში ტრადიციებისა და ათასწლეულებში ჩამოყალიბებული სტერეოტიპების ძალა ჯერ კიდევ ძლიერია და როგორც ყველაფრიდან ჩანს, კიდევ დიდხანს, თუ სამუდამოდ არა, შეინარჩუნებს წამყვან პოზიციებს სახელმწიფოთა ურთიერთობებში.

საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკური ორგანიზაციიდან იკვეთება, რომ ინტეგრაცია და დეინტეგრაცია, გლობალიზაცია და დეგლობალიზაცია ნაწილისა და მთელი, ცალკეულისა და მთლიანის დიალექტიკურ ურთიერთობაშია. ასეთი ურთიერთობა, ალბათ, ცალკეულ პერიოდებში, ტენდენციებს შორის ურთიერთობაში რევოლუციურ ნახტომებსაც არ გამორიცხავს, როგორც ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში დაგროვილი რაოდენობრივი ცვლილებებისთვის თვისებრივში ნახტომისებურად გადასვლის აუცილებლობას. ეს იქნება ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში დაგროვილი ენერგიის „აფეთქება“.

ვფიქრობთ, საზოგადოების განვითარების, მისი სოციალურ –ეკონომიკური მოწყობის და პოლიტიკური ორგანიზაციის მთელი ისტორია სწორედ ზემოთ აღნიშნულს ადასტურებს. საფიქრებელია, რომ ინტეგრაციისა და გლობალიზაციის პროცესები, როგორც საზოგადოების სოციალურ – ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების თანამედროვე ეტაპის უმნიშვნელოვანესი მახასიათებლები,საზოგადოების განვითარების ზოგად კანონზომიერებათა კონკრეტული გამოვლინებაა განვითარების თანამედროვე ეტაპზე და უახლოეს პერსპექტივაში. ინტეგრაციისა და გლობალიზაციის პროცესების, როგორც შედარებით ყველაზე სრულყოფილი ფორმის _ ევროკავშირის ფუნქციონირების დღევანდელი მდგომარეობა, მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები, ვფიქრობთ, მეტ –ნაკლებად ადასტურებს ყოველივე ზემოთქმულს.

რეალურ ვითარებაში გლობალიზაცია ძირითადად ეკონომიკური ინტერესების დაახლოებით ხასიათდება. ამავე დროს ცალკეულ რეგიონებში ინტეგრაციის განვითარება ვერ მიმდინარეობს ისევე ჰარმონიულად, როგორც ეს ევროპაში ხდება. ჯერჯერობით მწვავედ დგას ცივილიზაციების თანაარსებობის საკითხიც. [15, გვ.35-46] შეიძლება გავიზიაროთ სამუელ ჰანთინგტონის მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, ევროპული ინტეგრაცია ებრაულ–ქრისტიანული ცივილიზაციების დაახლოების პროცესია [107, გვ.56]. ასევე საგულისხმოა 1999 წელს ჰელსინკის ევროპული საბჭოს მიერ თურქეთის კანდიდატ ქვეყნად აღიარების საკითხიც. თურქეთის ევროკავშირში გაერთიანებას ეწინააღმდეგებიან ერთი მხრივ ევროპის ქრისტიან–დემოკრატიული ტიპის პარტიე-

ბი, მეორე მხრივ, თვით თურქეთის შიდა პოლიტიკური პროცესები, ისლამიზმისა და სეკულარიზმის ბრძოლა. ასევე, საფრანგეთის, გერმანიის, ავსტრიის და სხვა ევროპული ქვეყნების გავლენიანი პოლიტიკოსები ევროკავშირში თურქეთის გაწევრიანებას ეწინააღმდეგებიან. ანალიტიკოსების აზრით, თურქეთის ეკონომიკა და დიდი ბაზარი მიმზიდველია ევროკავშირისთვის, თუმცა ადამიანის უფლებების საკითხი ბრიუსელის შეშფოთების საგნად რჩება.

ასევე, რაც შეეხება ევროკავშირისა და ჩვენი ქვეყნის ურთიერთობას, ისტორიულად, 1992 წელს ევროგაერთიანებამ საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარა და მასთან თანამშრომლობა დაიწყო. თავდაპირველად ეს თანამშრომლობა დაბალი ინტენსივობით მიმდინარეობდა და ძირითადად შემოიფარგლებოდა საქართველოსთვის ჰუმანიტარული და ტექნიკური დახმარებებით.

1996 წლის 22 აპრილს ლუქსემბურგში ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების წარმომადგენლებმა, ევროკომისიისა და საქართველოს პრეზიდენტებმა ხელი მოაწერეს საქართველოსა და ევროკავშირს შორის პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმებას, რომელიც 1999 წელს შევიდა ძალაში. შეთანხმება დაიდო 10 წლის ვადით, ვადის ამოწურვის შემდეგ კი ავტომატურად გაგრძელდებოდა ყოველ წელს, თუ რომელიმე მხარე საწინააღმდეგო პოზიციას არ დააფიქსირებდა. ასევე , აღსანიშნავია ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროგრამა- TACIS ,რომელიც განხორციელდა , 1991 წელს, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, მის ყოფილ ტერიტორიაზე უზარმაზარი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ვაკუუმი შეიქმნა, რასაც ყოველმხრივი დახმარება ესაჭიროებოდა. ამ მოვლენათა სწრაფი ტემპისა და დახმარების საჭიროების გათვალისწინებით, ევროკავშირმა წამოიწყო თავისი პროგრამა **TACIS** – ტექნიკური დახმარების პროგრამა დამოუკიდებელი ქვეყნების თანამეგობრობისთვის (Technical Assistance to the Commonwealth of Independent States). ეს პროგრამა სხვა ქვეყნებთან ერთად ხორციელდებოდა საქართველოზეც.

შეთანხმება ევროკავშირსა და მის კანონმდებლობასთან დაახლოების იმდენად მაღალ დონეს მოიცავს, რომ მისი ეფექტიანი განხორციელება, ფაქტობრივად, შეუქცევადს ხდის ქვეყნის ევროპეიზაციის პროცესს. ასოცირების შესახებ შეთანხმება მიზნად ისახავს ევროკავშირთან პოლიტიკურ ასოცირებასა და ეტაპობრივ ეკონომიკურ ინტეგრაციას. ასოცირების შეთანხმებას ხელი მოეწერა 2014წლის 27 ივნისს ბიუსელში.

ჩვენი ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესია , რომ **2017** წლის 28 მარტს, საქართველოს მოქალაქეებისთვის ძალაში ოფიციალურად შევიდა ევროკავშირის/შენგენის ტერიტორიაზე უვიზოდ მოგზაურობა. ამიერიდან, საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს, რომელიც ფლობს ბიომეტრიულ პასპორტს, შეუძლია იმოგზაუროს ევროკავშირის/შენგენის ტერიტორიაზე უვიზოდ ნებისმიერი 180 დღის განმავლობაში მაქსიმუმ 90 დღე.

ზემოთ თქმული, ყოველივე ეს, ასახავს გლობალიზაციის პროცესში ჩვენს ჩართულობასა და მცდელობას გავხდეთ ისეთი ინტეგრაციული ორგანიზაციის წევრი, როგორიც არის ევროკავშირი.

გლობალიზაციას აქვს, თავისი ინდექსი, და გამოითვლება ისეთი მაჩვენებლებით როგორიცაა: კომერცია, პირდაპირი უცხოური ივესტიცია, შემოსავალი .თუმცა თანამედროვე დათვლის მეთოდებში ცდილობენ ასევე გაითვალისწინონ: პოლიტიკა, სოციალური მდგომარეობა, კულტურა და გარემოს დაცვითი საკითხებიც- KOF.

უდავოა, რომ გლობალიზაციის პროცესს ვერ შევაფასებთ დადებითად ან უარყოფითად, რადგან ის მოიცავს როგორც პოზიტიურს, ასევე ნეგატიურ მხარეებს . გლობალიზაციის ნეგატიურ მხარეზე საუბრისას გამოიყენებენ მეტაფორულ მსჯელობასაც : "გლობალიზაცია მატარებელია, რომელიც თავის გზაზე ანადგურებს ყველაფერს, რასაც ეროვნულ–სახელმწიფოებრივი ინდივიდუალობის ბეჭედი აზის ", სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გლობალიზაცია ხელს უწყობს ეროვნული და სახელმწიფოებრივი თვითარსებობისა და თვითყოფადობის შესუსტებასა და გაერთსახოვნებას. ასევე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ გლობალიზაციის პროცესი დიდსა და პატარა სახემწიფოებზე სხვადასხვანაირად აისახება. დიდი სახელმწიფოების შემთხვევაში არ არის რთულად საქმე მათ აქვთ მზარდი ეკონომიკა, ძლიერი პოლიტიკური თუ სოციალური გარემო და მოკლედ, ყველა პირობა, რომ თავისუფლად გაუძლონ ინტეგრაციის პროცესებს.

რაც შეეხება პატარა სახელმწიფოებს , ვიდრე მათ განვიხილავდე, განვსაზღვროთ თუ რას ნიშნავს ეს ტერმინი : "პატარაა ისეთი სახელმწიფო, რომელსაც არც მსოფლიო და არც რეგიონის მასშტაბით არ შეუძლია საკუთარი პოლიტიკური ნების ცხოვრებაში გატარება, ანუ საკუთარი ეროვნული ინტერესების ძალის პოლიტიკის მეშვეობით დაცვა ". უამრავი მაგალითი ცხადყოფს , რომ გლობალიზაცია პატარა სახელმწიფოების განვითარებაზე ნეგატიურ გავლენას ახდენს, თუმცა ,რა თქმა უნდა, ეს ყველა ქვეყანას არ ეხება, არსებობს პატარა სახემწიფოები ფართობით, თუ მოსახლეობით, მაგრამ მაღალი კეთილდღეობითა და ეკონომიკურად თუ სოციალურად ძალიან განვითარებული.

მაგალითად, საერთაშორისო სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების რაოდენობის ზრდა გლობალიზაციის თანმდევი პროცესია . ასეთი ორგანიზაციების არსებობა განაპირობებს პატარა ქვეყნების ჩართულობას საერთაშორისო სამშვიდობო ოპერაციებში , რაც სერიოზულ ადამიანურ თუ ეკონომიკურ რესურსს მოითხოვს . ამის ნათელი მაგალითია საქართველოს ჩართულობა ISAF–ის ჩატარებულ მისიებში ავღანეთში , სადაც მონაწილეობს 48ქვეყანა. საქართველოს სამხედრო კონტიგენტი ამ მისიაში, ბოლო მონაცემებით, შეადგენს ,1561კაცს , რაც საკმაოდ ბევრია , პატარა, მიტუმეტეს ნატოს არაწევრი ქვეყნისთვის . რამაც უდიდესი დანაკლისი მოუტანა საქართველოს 2013წელს ჰელმანდის პროვინციაში 7ქართველი ჯარისკაცის დაღუპვამ. ხოლო პოზიტიურ მხარეებზე საუბრისას ხაზს უსვამენ გლობალიზაციის როლს ინტეგრაციის გზით ერებსა და სახელმწიფოებს შორის პოლიტკური, ეკონომიკური, კულტურული და სხვა კავშირების გაღრმავებასა და განხორციელებაში . ეკონომიკური ასპექტით გლობალიზაციას, რაც გულისხმობს მსოფლიოს თავისუფალი ბაზრის შექმნას, უდავოდ მრავალი სიკეთის მოტანა შეუძლია თითოეული ქვეყნის ეკონომიკისთვის.

კულტურულ გლობალიზაციას კი მრავალი კუთხით აკრიტიკებენ, ერთი მხრივ, მკვლევართა უმეტესობა მიიჩნევს , რომ კულტურული გლობალიზაცია ამერიკანიზაციის (ვესტერნიზაციის ,ჰოლივუდიზაციის) მსგავსი მოვლენაა, რომელიც მიმართულია ერთგვაროვნებისა და ცხოვრების წესის სტანდარტიზაციისაკენ . ნეგატიური დამოკიდებულებით კულტურული თვალსაზრისით გამოირჩევა საქართველოც, მაგალითად, ერთ–ერთი მითის თანახმად, ევროკავშირი საფრთხეს უქმნის ქართულ ტრადიციებს. ამ აზრის მიხედვით ევროკავშირი "მისიონერული ხასიათის ინსტიტუტია", რომელიც ევროპული "ცხოვრების წესისა და კულტურის" გავრცელებას და თავს მოხვევას ემსახურება. ამ შემთხვევაში პრობლემა ევროპული კულტურის ცნების არასწორი ინტერპრეტაციაა. მნიშვნელოვანია იმის გააზრება, რომ ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში არ

არსებობს გაბატონებული ჰომოგენური ევროპული კულტურა. ლისაბონის ხელშეკრულებაში - თანამედროვე ევროკავშირის დამფუძნებელ დოკუმენტში, აღნიშნულია: „ევროკავშირი პატივს სცემს თავის კულტურულ და ლინგვისტურ მრავალფეროვნებას და ყველაფერს გააკეთებს ევროული კულტურული მემკვიდერობის შესანარჩუნებლად“. თუმცა, არსებობს მოსაზრება , რომ მსოფლიოში მიმდინარე ამ კულტურულმა ძვრებმა შეიძლება მათი შეჯახება გამოიწვიოს , რასაც რათქმაუნდა კონფლიქტების წარმოშობა მოყვება. სწორედ ამ საფრთხეზე საუბრობს ჰანგთინგთონი თავის კონცეფციაში "ცივილიზაციათა შეჯახება ". მეორე მხრივ, კი არსებობენ საზოგადოებები , რომლთათვისაც გლობალიზაცია წარმოადგენს განვითარებისა და მსოფლიოში საკუთარი ადგილის დამკვიდრების კარგ საშუალებას , ეს ძირითადად მცირე კულტურებს ეხებათ.

ამრიგად, შეგვიძლია დავასკვნათ , რომ XXI საუკუნის გამოწვევებზე ადეკვატური პასუხის გაცემა შუძლებელია მოვლენათა სწორი გააზრების გარეშე. ერთი რამ კი დანამდვილებით შეგვიძლია განვაცხადოთ : გლობალიზაციისგან , როგორც მოვლენის , იზოლირება შეუძლებელია.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Fukuiama F. “The End of History and the Last Man.” Free Press, 1992. ISBN 0-02-910975-2 pp.101-130 https://upload.wikimedia.org/wikipedia/commons/9/9c/The_End_of_History_and_the_Last_Man.jpg
2. Bakoup F., D. Tarr “ How Integration Into the Economic and Monetary Community Affects Economy: General Equilibrium Estimates”, World Bank, Development Research Group, 1998 pp.35-45 http://books.google.ge/books/about/How_Integration_Into_the_Central_African.html?id
3. ჰერსტი პ., ტომპსონი გ., “გლობალიზაცია, კრიტიკული ანალიზი.” “დიოგენე”, თბ. 2005, გვ. 279.
4. *Barbara, Christopher (2008*). International legal personality: Panacea or pandemonium? Theorizing about the individual and the state in the era of globalization. *Saarbrücken: Verlag Dr. Müller.* ISBN 3-639-11514-7.
5. von Braun, Joachim; Eugenio Diaz-Bonilla (2007). Globalization of Food and Agriculture and the Poor. Oxford: Oxford University Press.

■■■■

ინდოეთი - სიღარიბიდან განვითარებამდე

India- From Poverty To Development

ავტორი - მარიამ ობოლაძე, ანა კოპალაძე, ხელმძღვანელი - პროფ. თამილა არნანია-კეპულაძე, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

Author - Mariam Oboladze, Ana Kopaladze, *Supervizor – Prof.* ***Tamila Arnania-Kepuladze****, Akaki Tsereteli State University.*

Abstract

Introduction and Goal: India is the oldest civilization in the world and economic development here has a specific character. According to its area and population India is one of the largest country. Over the years, the country was a colony of Great Britain and was developed under its political and economic influence. At the end of the last century, India was a poorest country, whose economy was growing at a low pace. The situation has changed substantially over the past two decades, and India has become the leading country in the world of economic growth.

Our research aims are to review the causes of India's high growth economic and to analyse of the impeding factors of development.

Research Methodology: The study uses economic and statistical analysis and synthesis methods and research diagnostic methods.

Results and Implications: The study showed that the reasons of India's economic growth are: the growth of working-age population , changes in the legislative system and tax laws liberalization to attract investment , change autarchy economics to open economics, wage cost reduction, women`s involvement in labor activities , technological development, supporting business that is oriented on development, to support the large infrastructural projects, development of partnership ,opening scientific research centers and improving the quality of teaching

India's economic growth limits several important factors, including: poor infrastructure ,less qualified staff, low savings in GDP, relatively closed economy, high energy costs, high cost of transportation, low quality of life.

The study showed that despite the economic hindering factors, India's economic growth rate is growing annually and takes attention of the world's researchers.

Keywords: India, Gross Domestic Product, Economic Growth, Economic Growth Pace, Development.

ინდოეთი- სიღარიბიდან განვითრებამდე

ინდოეთის სუბკონტინენტი- ტერიტორია, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში იყო დიდი ბრიტანეთის კოლონია. ინდოეთი მსოფლიოს მოსახლეობის უდიდეს ნაწილს შეადგენს, სადაც 1.317 მლრდ კაცი ცხოვრობს 2017 წლის მონაცემებით, შესაბამისად, მათ გააჩნიათ მნიშვნელოვანი რაოდენების ადამიანური რესურსი, რაც განსაზღვრავს ქვეყნის განვითარების დონეს. მე-20 საუკუნის ბოლოს ინდოეთი იყო ქვეყანა, რომელიც ძალიან ნელი ტემპით ვითარდებოდა, მაგრამ მათ მოახერხეს ზრდის ტემპების მნიშვნელოვანი გაუმჯობესება. რის გამოც მსოფლიოს მკვლევართა და მეცნიერთა ყურადღება მიიპყრეს. მეცნიერთა აზრით, აღმოსავლური განვითარების ფენომენი

ორმაგად საინტერესოა, რადგან იგი გვასწავლის შრომას, დროისა და რაც მთავარია, ბუნებრივი პირობების სწორად გამოყენებას. ინდური ცივილიზაციური რესურსები პოლიტიკასა და ეკონომიკაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს. ინდოელებისათვის არაფერია იმაზე მნიშვნელობანი ვიდრე საკუთარი მოვალეობის შესრულება. ისინი მიიჩნევენ, რომ სტაბილურობის შესანარჩუნებლად აუცილებელია ქვეშევრდომთა და სახელმწიფოს ზნეობის მაღალი დონე.

ინდოეთი სოციალისტური გზით დიდხანს ვითარდებოდა, ეკონომიკაში სახელმწიფო სექტორის ხვედრითი წონა ძალიან მაღალი იყო, ტარდებოდა ქვეყნის საგარეო ეკონომიკური კავშირებისაგან დამოუკიდებლობის კურსი, ავტარკია. წინა საუკუნის ბოლოს ინდოეთს ახასიათებდნენ ქვეყნად, სადაც მოსახლეობის მეოთხედი ღარიბია და ამის გამო შეუძლებელია მყარი რეფორმების გატარება. ინდოეთის ეკონომიკური რეფორმების ინიციატორი რაო გახდა, რომელმაც რაჯივ განდის მკვლელობის შემდეგ დაიკავა ინდოეთის პრეზიდენტის პოსტი. რეფორმები დაიწყო ეკონომიკის ლიბერალიზაციით, რამაც მსოფლიო სამეურნეო კავშირებში ინდოეთის ინტეგრაციას შეუწყო ხელი, კერძო კაპიტალისთვის გაიხსნა გზები, რომლებიც ადრე სახელმწიფოს მიერ იყო დარეზერვებული. იმპორტირებულ საქონელზე დაიწყო საბაჟო ბარიერების შემცირება. 2003 წელს ქვეყანამ უარი თქვა იმპორტის რაოდენობრივ შეზღუდვაზე, რაც მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში მისი ვალდებულებით იყო გამოწვეული. მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტები განხორციელდა ენერგეტიკისა, საავიაციო სფეროსა და საავტომობილო გზების გაუმჯობესების საქმეში.1998 წლიდან 340 ჯგუფის საქონელზე მოიხსნა საიმპორტო შეზღუდვები, წარმოების საშუალებების ნომენკლატურა გაფართოვდა, რადგან ისინი ბაჟისგან გათავისუფლდა. „საგადასახადო არდადეგები“ გაიზარდა 10 წლამდე იმ დარგებისთვის, ვინც ექსპორტზე იყვნენ ორიენტირებულნი. ინდოეთსა და აშშ- შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლითაც ინდოეთმა გახსნა შიდა ბაზარი ამერიკული პროდუქციის ექსპორტისათვის.

მეოცე საუკუნის მიწურულს ახალმა მთავრობამ ჩამოაყალიბა 10 პუნქტიანი გეგმა, რომელიც ინდოეთის ეკონომიკის აღორძინებას ისახავდა მიზნად და რომელმაც პრიორიტეტულ მიმართულებად ინფრასტრუქტურა და საინვესტიციო რეფორმები, სამინისტროთაშორისო საკითხების სწრაფად გადაწყვეტა, ეფექტური პოლიტიკის გატარება და სტაბილურობა დასახელდა. ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური ამოცანების გადაწყვეტის მიზნით ინდოეთის მთავრობამ გამოყო დარგები, რომელთა განვითარებას პრიორიტეტული მნიშვნელობა აქვს ქვეყნისათვის, ესენია: ენერგეტიკა, შავი და ფერადი მეტალურგია, ნავთობის მოპოვება და გადამუშავება, ცემენტისა და სასუქების წარმოება, გზებისა და ხიდების მშენებლობა, ტელესაკომუნიკაციო ქსელის განვითარება.

ეკონომიკური რეფორმების მნიშვნელოვანი მიმართულებაა ეკონომიკაში სახელმწოფოს წილის შემცირება, განსაკუთრებით ეს ეხებოდა მრეწველობის სფეროს დარგებს, სადაც მოხდა სახელმწიფო საწარმოთა სრული ან ნაწილობრივი პრივატიზაცია, რამაც სახელმწიფო ბიუჯეტში სახსრების მობილიზაციას შეუწყო ხელი და სფეროს ეფექტიანობაც გაიზარდა. მაგრამ ამავდროულად სახელმწიფოსათვის სტრატეგიულად მნიშვნელოვან სფეროებში სახელმწიფოს წილის შემცირება არ მომხდარა. მშენებლობასა და მომსახურების სფეროში კერძო საწარმოები წამყვან როლ ასრულებენ. იზრდება მცირე ბიზნესის ხვედრითი წილიც ეკონომიკაში.

ინდოეთის ეკონომიკურ ზრდას სხვადასხვა ფაქტორი უწყობს ხელს, რომელთა შორის აღსანიშნავია: მოსახლეობის ასაკობრივ სტრუქტურაში შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის ხვედრი-

თი წილის ზრდის პოზიტიური ტენდენციები შეინიშნება, რაც იმაში გამოიხატება, რომ შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის ხვედრითი წილი 58 პროცენტიდან 64 პროცენტამდე გაიზარდა ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში. ამ ტენდენციას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი მოსახლეობის სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდამ 68.3 წლამდე. მნიშვნელოვანია ძლიერი საკანონმდებლო ბაზის არსებობა და ბევრი ინგლისურად მოლაპარაკე ადამიანი, რაც წარმოადგენს გასაღების ინვესტიციების მოზიდვისათვის. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ინდოეთში დაბალია ხელფასის ხარჯები, კვალიფიკაციის გამო. ქვეყანა წარმატებით ვითარდება ტექნოლოგიური ასპექტით, რაც ბიზნესში კლასტერების ჩამოყალიბებას უკავშირდება და რითაც ინდოელებმა გააძლიერეს თავიანთი კონკურენტული უპირატესობა სხვადასხვა სფეროში. ინდოეთი შეფარდებით უპირატესობას ფლობს ბევრ სერვისში, განსაკუთრებით ეს ბიზნესის პროგრამულ უზრუნველყოფას ეხება. ინდოეთმა, პირველ რიგში მნიშვნელოვანი რაოდენობის სამუშაო ძალა მიიზიდა დასავლეთის ქვეყნებიდან. დღეს ის სწრაფად ქმნის მსოფლიო დონის კომპანიებს ისეთ დარგებში, როგორიცაა პროგრამული უზრუნველყოფა, IT მომსახურება და ფარმაცია. ამ კომპანიების თანამშრომლები დასავლელი განვითარებული ადამიანები იყვნენ, ამიტომ დაინახა რა ინდოეთმა განათლების მნიშვნელობა, ის ათასობით სტუდენტს აფინანსებს, რომ განათლება მიიღონ ევროპაში.

ინდოეთის ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვანი ფაქტორია ქალთა ჩაბმა შრომით საქმიანობაში. თანდათანობით იზრდება ქალების რიცხვი, რომლებიც სწავლობენ და დასაქმებული არიან ეკონომიკის სხვადასხვა სექტორში. აღსანიშნავია რომ, 2005 წლიდან 2015 წლამდე საშუალო განათლებულ ქალთა რაოდენობა 10%-ით გაიზარდა. ეკონომიკურ ზრდას ხელს უწყობს სწავლების ხარისხის ზრდა და სამეცნიერო-კვლევითი ცენტრების დაარსება. შრომითი კანონების რთული სისტემის გამარტივება ზრდის ეკონომიკაში დასაქმებას და ხელს უწყობს ზრდის შენარჩუნებას.

ინდოეთის ავტარკიული ეკონომიკიდან შედარებით ღია ტიპის ეკონომიკად გარდაქმნამ მრავალი სასიკეთო შედეგი მოიტანა ქვეყნისათვის. აღსანიშნავია, რომ სავაჭრო ბრუნვა 2018 წლის სექტემბრის თვის მონაცემებით 400.49 მილიარდი დოლარია. ექსპორტის მაჩვენებელი საშუალოწლიურად 20.7%-ით იზრდებოდა და 2018 წლის აპრილ-აგვისტოში მხოლოდ 221.83 მილიარდ დოლარს მიაღწია. საქონლისა და მომსახურების გადასახადის დაწესებამ შექმნა ერთიანი ბაზარი შიდა ბარიერების შემცირებით და გამოიწვია ეკონომიკაში 1,3 მლრდ ადამიანის დასაქმება. ინდოეთში სამრეწველო პროდუქციის გამოშვება კი 2018 წლის აპრილ-ივლისში 5,4%-ით გაიზარდა წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით. მნიშვნელოვანია ისიც, რომ აღმოსავლეთის ფორუმის ფარგლებში ინდოეთი და იაპონია ინდოეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში განვითარების პროექტებზე იმუშავებენ, რაც ორ ქვეყანას შორის ურთიერთობებს კიდევ უფრო განამტკიცებს. აღსანიშნავია, რომ ინდოეთმა და პორტუგალიამ ხელი მოაწერეს ორმხრივ შეთანხმებას გარე სამყაროსთან, ორმაგ დაბეგვრასა და ნანო ტექნოლოგიებთან დაკავშირებით, რაც ხელს უწყობს ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური კავშირების განმტკიცებას.

ინდოეთის ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვანი ფაქტორია აგრეთვე საინვესტიციო სფეროში განხორციელებული რეფორმების პერმამენტული ხასიათი. კერძოდ, ინდოეთის ეკონომიკა მტკიცდება სცენარით, რომელიც გულისხმობს სხვადასხვა ინვესტიციებს ეკონომიკის სხვადასხვა სფეროში. პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს ეკონომიკის სხვადასხვა სექტორში დამოუკიდებლად შესვლის უფლება აქვთ, რაც „თავისუფალი მარშრუტის“ სახელითაა ცნობილი. ბიუროკ-

რატიული ზედამხედველობის შემცირება მნიშვნელოვნად გაზრდის ინდური ბაზრის ხელმისაწვდომობას უცხოელი ინვესტორებისათვის. იმისათვის რომ, შენარჩუნდეს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინება მნიშვნელოვანია სავაჭრო ბარიერების ამოღება, რაც მოიცავს:

- •სავაჭრო დოკუმენტაციის მოთხოვნებისა და პროცედურების შემცირებას.
- •ტარიფების შემცირებას
- •ბიზნესის კლიმატის გასაუმჯობესებლად მმართველობის ცვლილებას.

შედეგად, ინდოეთში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 2000 წლიდან 2018 წლის ივნისის ჩათვლით 389.6მლრდ დოლარი შეადგინა, რაც ძირითადად მომსახურების, კომპიუტერული პროგრამებისა და ტექნიკის, ტელესაკომუნიკაციო, საამშენებლო, სავაჭრო და საავტომობილო სფეროზე მოდის. ინდოეთმა მნიშვნელოვნად გაიუმჯობესა ადგილი მსოფლიოში ბიზნესის კეთების კუთხითაც.

მსოფლიო ბანკის 2018 წლის გამოცემის მიხედვით, ინდოეთში იქნება 100000 დამწყები ბიზნესმენი 2025 წელს და ისინი დაასაქმებენ 3,25 მლნ ადამიანს, ქვეყნის ეკონომიკას კი 500 მლრდ დოლარით გაამდიდრებენ. აღსანიშნავია, რომ ინდოეთს მესამე ადგილი უჭირავს მსოფლიოში უდიდესი სტარტაპერების სიაში, აქ 4750 ტექნოლოგიური სტარტაპია, რომელთაგან 1400 დაარსდა 2016 წელს. ინდოეთში მცირე ბიზნესის ხელშეწყობისათვის შემუშავებულია პროგრამები სხვადასხვა ინტერესის სფეროს ადამიანთათვის, მაგალითად: დამწყებთათვის, დიასახლისებისათვის, ქალებისათვის, მცირე ინვესტიციებისათვის, განათლებისთვის, საოჯახო ბიზნესისათვის, ინტერნეტ ბიზნესი და მცირე ბიზნესი. ბიზნესის სფეროში ახალგაზრდა კომპანიები არიან, მაგრამ მათთან ერთად არსებობს რამდენიმე მსხვილი კომპანია, რომლებიც ინვესტირებას ახორციელებენ ახალ საწარმოებში. ინდოეთის ინდუსტრიაში 1992 წლიდან უცხოურ ინვესტიციებზე ბარიერები მთლიანად მოიხსნა. 2012 წლიდან კი ეს პროცესი უფრო დახვეწილი გახდა, ჩნდება შრომის ნაყოფიერებისა და წარმოების მოცულობის მკვეთრი ზრდის საშუალება.

მაღალმწარმოებლური ინდური კომპანიები ინფორმაციული ტექნოლოგიების, პროგრამული, უზრუნველყოფის და ბიზნეს-აუტსორსინგის სფეროსი მუშაობს. აქ ასობით ათასი ახალი სამუშაო ადგილი შეიქმნა, სექტორის საექსპორტო შემოსავლების მოცულობა მილიარდობით დოლარს შეადგენს. როგორც ახალმა სექტორებმა, მათ თავიდან აიცილეს მკაცრი რეგულირება, სხვა დარგებისაგან განსხვავებით, სადაც ხდება სამუშაო დღის რეჟიმისა და სხვა ნორმების განსაზღვრა.

ინდოეთის საბანკო სისტემა გათავისუფლდა წარსულში არსებული პრობლემური სესხების უმეტესი ნაწილისაგან . საფონდო ბირჟის ფუნქციონირებაში დაინერგა ახალი ტექნოლოგიები , და ის 1994 წლიდან თანამედროვე კონკურენტუნარიან ორგანიზაციად იქცა.

მაღალი ეკონომიკური ზრდის მიღწევაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ე.წ საბაზისო მდგომარეობაც, ანუ ღარიბ ქვეყნებში უფრო იოლია მაღალი ზრდის მირ წევა გამოუყენებელი რესურსებისა და მცირე ეკონომიკის გამო, ვიდრე მდიდარ ქვეყნებში.

ეკონომიკური ზრდის ხელშემწყობ ფაქტორებთან ერთად მნიშვნელოვანია ზრდის შემაფერხებელი ფაქტორებიც, რომლებიც ნეგატიურად მოქმედებენ. ამ ფაქტორებს შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია:

•ცუდი ინფრასტრუქტურა განსაკუთრებით სატრანსპორტო და საკომუნიკაციო ქსელებში. შესაბამისად, ინდოეთში ისეთი კომპანიების პერსპექტივები, რომლებსაც „ზუსტად დროზე“ პრინციპით მუშაობა არ შეუძლიათ თანამედროვე საგზაო ინფრასტრუქტურის გარეშე, არც თუ ისე სახარბიელოა. მაგრამ დარგები, რომელთა განვითარება, არაა დამოკიდებული ენერგიისა და გზების ხარისხზე- უფრო ვითარდება. ინდოეთი კარგი მაგალითია იმისა, როგორ შეუძლია ცუდ ინფრასტრუქტურას ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონის შეფერხება. ქვეყანა ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად გეგმავს მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას. მთავრობა კერძო სექტორისაგან ელის თანხის ნაწილის დაფინანსებას, რაც ნაკლებ სავარაუდოა. ცუდი ინფრასტრუქტურა კი სერიოზულ გამოწვევად რჩება ინდოეთისთვის. ამ თვალსაზრისით სერიოზული პრობლემებია:

✓მაღალი ენერგეტიკული ხარჯები და არარეგულარული ენერგომომარაგება, რაც საფრთხეს უქმნის წარმოების სექტორის ნორმალურ ფუნქციონირებას.

✓ქვეყნის მასშტაბით პროდუქციის ტრანსპორტირება ძვირია და ქმნის დაბრკოლებებს საექსპორტო ბიზნესის განვითარებისათვის და ზრდის პროდუქციის თვითღირებულებას.

✓ცუდი ინფრასტრუქტურა ზიანს აყენებს ინდოეთის ტურისტულ პოტენციალსა და რეპუტაციას.

•შრომის დაბალი პროდუქტიულობა და არაკვალიფიციური ადამიანური რესურსი. სამწუხაროდ, ინდოეთი ჯერ კიდევ არის ქვეყანა, სადაც მოსახლეობის ნახევარზე მეტს საშუალო განათლებაც კი არ აქვს მიღებული.

•მაღალი ინფლაცია და სავაჭრო დეფიციტი. ქვეყანაში ინფლაციის წლიურმა დონემ 2018 წელს შეადგინა 4.75%. ქვეყანას აქვს უარყოფითი სავაჭრო ბალანსი, რომლის მაჩვენებელი შეადგენს 148.87 მლრდ დოლარს.

•დანაზოგების დაბალი წილი მშპ-ში, კაპიტალდაბანდებების დაბალი წილი. ინდოეთში შექმნილი დამატებული ღირებულება უმეტესწილად სამომხმარებლო ხარჯების დაკმაყოფილებას ხმარდება.

•შედარებით დახურული ტიპის ეკონომიკა ,რაც იმას გულისხმობს, რომ ინდოეთი მაინც სიფრთხილეს იჩენს ინვესტიციების მიმართ და ერევა ეკონომიკურ საქმიანობაში.

სამომავლო გეგმები ინდოეთისათვის ასეთია: ფინანსთა სამინისტროს განცხადებით, 2018 წელს მთავრობა ყურადღებას გაამახვილებს სოფლის მეურნეობის სექტორის გაჯანსაღებაზე, ჯანდაცვის ინფრასტრუქტურის გაძლიერებასა და განათლების ხარისხის გაუმჯობესებაზე. 2022 წელს ფერმერთა შემოსავლების გაორმაგების მიზნით 2019 წლის ბიუჯეტში ქვეყანა შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოსაწესრიგებლად 196,94 მლრდ დოლარის ინვესტირებას გეგმავს. მსოფლიო ბანკის რეკომენდაციით, ქვეყანას სჭირდება უკეთესი ინფრასტრუქტურა, აგრარული და საქალაქო განვითარება, ბიზნესის რეგულირების რეფორმა. მთავრობამ უკანასკნელი 5 წლის მანძილზე 7 ტრლნ დოლარი გამოყო გზების მშენებლობისათვის. 2019 წელს ინდოეთის საგადასახადო შემოსავლები 385 მილიარდი დოლარიდან 412 მლრდ დოლარამდე გაიზრდება, რაც ქვეყანას საშუალებას მისცემს გააფართოვოს ინფრასტრუქტურული პროექტები. ინდოეთი აპირებს ენერგიის გამომუშავებას განახლებული წყაროებით. 2030 წლისათვის წიაღისეულის მოპოვების გაზრდა იგეგმება 30%-დან 40%-მდე, რაც განახლებადი ენერგიის მოცულობას გაზრდის. ბოსტონის საკონსულტაციო ჯგუფის ანგარიშით ინდოეთი სავარაუდოდ მესამე უმსხვილესი სამომხმარებლო

ეკონომიკა გახდება 2025 წლისათვის და მისი სამომხმარებლო ხარჯები 4 ტრლნ დოლარამდე გაიზრდება, რაც მომხმარებელთა სამომხმარებლო ქცევის შედეგი იქნება.

ინდოეთის სამთავრობო ინიციატივაა გაზარდოს საშუალო ინდოელის სამომხმარებლო შესაძლებლობა, რაც გაზრდის მოთხოვნას და ხელს შეუწყობს ქვეყნის განვითარებას, ამავდროულად გაზრდის ინვესტორთა სარგებლიანობასაც. სამთავრობო ინვესტიციები ხელს შეუწყობენ წარმოების სექტორის წვლილის გაზრდასაც და მშპ- ში მისი როლის ზრდას 17%-დან 25%-მდე. რეფორმები უნდა შეეხოს საჯარო სექტორში მმართველობის გაძლიერებას, რაც ფინანსური სექტორის რეფორმებს შეავსებს. ფინასურ სექტორში გაიზარდა ბანკების დამოუკიდებლობისა და დაფინანსების ხარისხი.

დასკვნის სახით შეიძლება ვთქვათ, ყოველივე ზემოთაღნიშნულმა გამოიწვია ინდოეთში ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლის მოცულობის ცვლილება: 2005 წელს 750დოლარი იყო, 2015 წელს 1600დოლარი, ხოლო 2018 წელს კი მშპ-ის მოცულობა ერთ სულ მოსახლეზე 1976.09დოლარია. ინდოეთის ეკონომიკა ბოლო 10 წელია საშუალოდ 7.5%-ით იზრდება.

მიუხედავად მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული და სხვა პრობლემებისა, ინდოეთი არის ქვეყანა, რომელმაც დაინახა მეწარმეობის მნიშვნელობა და მისი დამოუკიდებელი განვითარების საშუალებას შეუწყო ხელი. ინდოეთმა მრავალი სხვა ქვეყნის მაგალითის გათვალისწინებით განვითრების საკუთარი მოდელი შექმნა. ინდოელები ამბობენ რომ, მათი ეკონომიკა განვითარებადი წარმოების გიგანტური ეკონომიკაა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. https://l.facebook.com/l.php?u=https%3A%2F%2Fwww.focus-economics.com%2F%3Ffbclid%3DIwAR0Ub6ntEnTRSkZMyAeLss7Ds72y1-fUloGIAy_oZaQ7EDmjh30dHGttnnI&h=AT3zBmOhTyspoGfkeb2rWEZ0GfP7fU3AGvKRprUiljeX6yzgx_xrOOoqbTVQNy-C_rKo9b_AJvhO_z8IpGeKgqp4itkhfRUU9uehduUbvWH8qAdWWQo6uO_hB0bUK3SHAd5_
2. https://l.facebook.com/l.php?u=https%3A%2F%2Fwww.statista.com%2F%3Ffbclid%3DIwAR1wLakbWfQZIjCMFPXo3sEJKBhJz-AX7uc51V1rW4GnhUpVnXKa8s-UsjE&h=AT3zBmOhTyspoGfkeb2rWEZ0GfP7fU3AGvKRprUiljeX6yzgx_xrOOoqbTVQNy-C_rKo9b_AJvhO_z8IpGeKgqp4itkhfRUU9uehduUbvWH8qAdWWQo6uO_hB0bUK3SHAd5_
3. https://l.facebook.com/l.php?u=https%3A%2F%2Fwww.statista.com%2F%3Ffbclid%3DIwAR1Y6eoj4tj8VhStKhCnrdWtamYCltFss_yZ2BvIWYi0QczQYwaTOXzVwY&h=AT2nvZSbA-Qd99poIgHWWLoG4KYFAMWvSb2yBELCeO0HTT2TGjt7_Jf00fYTsIjTvSldufuiVEz45vyrWK4L5tj9ryttsaT3S3SdVc9-GO00s60iP_MpVr3mIZm9OyaDZYQ
4. http://www.mospi.gov.in/?fbclid=IwAR3afQEdqKdWM29IKCtgWMXhqMArcLZ_KvN-a2PwpWaVAyFW212H2D312xc
5. https://l.facebook.com/l.php?u=https%3A%2F%2Fwww.google.com%2Furl%3Fsa%3Dt%26source%3Dweb%26rct%3Dj%26url%3Dhttps%253A%252F%252Fwww.imf.org%252Fen%252FNews%252FArticles%252F2018%252F08%252F07%252FNA080818-India-Strong-Economy-Continues-to-Lead-Global-Growth%26ved%3D2ahUKEwiyrq-

qgszeAhWM34UKHUyrD5YQFjAEegQIBRAB%26usg%3DAOvVaw2R0DMwJM-qEtnELJHuDfBz%26fbclid%3DIwAR0SJimdnMkzcE8PHI_k2cQ1_PkTWEDiiQdmYqtIaIDgsCQkJYMMN3gnC7Q&h=AT3zBmOhTyspoGfkeb2rWEZ0GfP7fU3AGvKRprUiljeX6yzgx_xrOOoqbTVQNy-C_rKo9b_AJvhO_z8IpGeKgqp4itkhfRUU9uehduUbvWH8qAdWWQo6uO_hB0bUK3SHAd5_

6. https://badri286.wordpress.com/2014/01/07/%E1%83%A9%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%97%E1%83%98-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%9D%E1%83%94%E1%83%97%E1%83%98-%E1%83%94%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%9B/

■■■■

სამხრეთ კორეის ეკონომიკის განვითარების საიდუმლო

South Korea's Economic Development Secret

*ავტორი - **თინათინ კვაჭაძე, მარიამ სანიკიძე,** ხელმძღვანელი -* პროფ. ***თამილა არნანია-კეპულა-ძე,*** აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

*Author - **Tinatin Kvachadze, Mariam Sanikidze**, Supervizor – Prof. **Tamila Arnania-Kepuladze,** Akaki Tsereteli State University.*

Abstract

South Korea takes the leading position among the "Asian Tigers" countries as well as in general the so-called New Industrial Countries. According to the Human Development Index the South Korea is the most developed country in East Asia; Its citizens enjoy a very high quality of life, they have the highest individual income and average salary in the Asian region; Also, it takes the eighth place in the world in terms of family income; The country is among the leading countries worldwide in terms of healthcare quality and ease of doing business.

Perhaps in 1960 no one could imagine South Korea's such future. The current country of skyscrapers and car factories was only Asian peasants' province in the past. Despite America's economic support, the country was dramatically far from development. In the 1950s, Korea's gross domestic product amounted to 64 US dollars per capita. The life expectancy was 57 years and 60% of the population lived absolutely beyond the poverty line. There was a seemingly unresolved task for the new government - to create everything from nothing. This task as we see has been solved. South Korea's economic growth has begun since 1961 when Park Chung-hee came into power after the military coup. His effort laid the foundation for the rapid development of Korea. Park Chung-hee's plan was complex and consistent, it was based on five year plan and the main focus was being made to transfer from human's non-productive sector to the productive one,South Korea had been implementing a country's industrialization policy for two decades, for the same process the other countries have taken centuries. The state was actively involved in ambitious planning of the economy, cooperating with strong business elites so called Che Boles. Educational and infrastructural projects were implemented throughout the country, used to ensure credit guarantees, and instead strictly demanded that all economic activity be in line with national interests of the country.

As we have noted, the main idea of Korean secret of development lies in the centrality of state intervention that puts national interests in the first place and not the narrow political or business interests. That is why the Korean economic development was not only fast but also equal and inclusive. In particular, in the South Korean development process, revenues were mostly equally distributed that is indicated by the lowest GINI index in dynamic context. The rapid development of South Korea was not without problems. In parallel with the dramatic economic growth, human rights were violated, the authoritarian regimes changed each other and corruption flourished.

But nowadays, over 70 years after South Korea's independence, the South Korean miracle became a reality. Currently economic development and democracy continue to exist side by side.

Study of South Korea's example proved that active involvement of the state brought a huge success to the country. In whole the success of this state shows that the state can play an important role in economic development of the country with promoting its industrialization and initiating specific programs and policies. The experience of reforms carried out in South Korea shows that if there is wish nothing is impossible. South Korea started carrying out reforms in more difficult conditions than Georgia is in today, but political will and aspirations for achieving the goal despite the obstacles are essential to carry out reforms.

Keywords: South Korea, economic miracle, economic development, reforms.

შეიძლება თუ არა აყვავდეს ქვეყანა, რომელსაც გააჩნია ღარიბი, გაუნათლებელი მოსახლეობა, მწირი ბუნებრივი რესურსები და არამეგობრულად განწყობილი მეზობლები? დიახ, ეს შესაძლებელია და ამის ნათელი მაგალითია სამხრეთ კორეა.

სამხრეთ კორეა მოწინავე პოზიციებს იკავებს როგორც „აზიის ვეფხვების" ქვეყნების ასევე ზოგადად ე.წ. ახალი ინდუსტრიულ ქვეყნებს შორის. ის ადამიანური განვითარების ინდექსის მიხედვითაც აღმოსავლეთ აზიის ყველაზე განვითარებული ქვეყანაა; მისი მოქალაქეები სარგებლობენ ცხოვრების ძალიან მაღალი ხარისხით, გააჩნიათ აზიის რეგიონში უმაღლესი ინდივიდუალური შემოსავალი და საშუალო ხელფასი; ასევე, მსოფლიოში მერვე ადგილზეა ოჯახური შემოსავალის მხრივ; ქვეყანა, მსოფლიო მასშტაბით, ჯანდაცვის ხარისხისა და ბიზნესის კეთების სიმარტივის მიხედვითაც წამყვან ქვეყნებს შორისაა.

ალბათ 1960წელს ვერავინ წარმოიდგენდა სამხრეთ კორეის ასეთ მომავალს. ახლანდელი ცათამჯენების, ავტოქარხნების ქვეყანა ადრე გლეხური აზიური პროვინცია იყო. მიუხედავად ამერიკის ეკონომიკური დახმარებისა ქვეყანა კატასტროფულად ჩამორჩებოდა განვითარებაში და მდგომარეობა სულ უფრო უარესდებოდა. 1945წელს ქვეყნის ორად გაყოფის მომენტში პრაქტიკულად მთელი მრეწველობა და ენერგეტიკა თავმოყრილი იყო ჩრდილოეთ ნაწილში. სამხრეთ კორეა ომმა მიწასთან გაასწორა:განადგურდა სამრეწველო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის 80%, საბინაო ფონდის ნახევარი,სამთავრობო შენობები3/4, ქვენას შერჩა ბუნებრივი რესურსები ისიც ძალიან მწირი რაოდენობით. 1950-იან წლებში კორეის მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე შეადგენდა 64 აშშდოლარს. სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 57 წელი იყო, ხოლო მოსახლეობის 60%-ი კი სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს მიღმა ცხოვრობდა.ახალი მთავრობის წინაშე იდგა ერთი შეხედვით გადაუჭრელი ამოცანა- ყველაფერი შეექმნათ არაფრისაგან. ეს ამოცანა როგორც ვხედავთ გადაიჭრა.

სამხრეთ კორეას ეკონომიკური აღმავლობა 1961 წლიდან იწყება, როდესაც ხელისუფლებაში სამხედრო გადატრიალების შედეგად მოვიდა პაკ ჩუნ ჰი. სწორედ მისი ძალისხმევით საფუძველი ჩაეყარა კორეის სწრაფ განვითარებას. ძალაუფლების ცენტრალიზაციამ სამხრეთ კორეის ხელისუფლებას უზარმაზარი ეკონომიკური რეფორმების წამოწყების საშუალება მისცა. პაკ ჩუნ ჰის გეგმა კომპლექსური და თანმიმდევრული იყო, იგი ეფუძნებოდა ხუთწლედებს და მთავარი აქცენტი კეთდებოდა ადამიანის არაპროდუქტიული სექტორიდან, პროდუქტიულ სექტორში გადაყვანაზე. პაკის მმართველობას ხშირად აფასებენ, როგორც ტექნოკრატიას, რომელიც აქცენტს აკეთებდა ცოდნაზე და ამ ცოდნის სახელწიფო მმართველობაში ინვესტირებაზე.პირველი ათწლედის რეფორმებში მკვეთრი ცვლილება არ მომხდარა, მოდერნიზაციას ეფექტი უცებ არ გამოუღია, მაგრამ კორეელებმა არ შეცვალეს ქვეყნის კურსი, უფრო სწორად იგი არ შეცვალა პრეზიდენტმა პაკმა. 1961-1979წლამდე ის ფაქტიურად ერთპიროვნულად მართავდა ქვეყანას. კორეაში ეკონომიკა შენდებოდა ხელისუფლების კონტროლის ქვეშ. პრეზიდენტი მართავდა როგორც დიქტატორი და ამან უზრუნველყო რეფორმებისათვის საჭირო სტაბილურობა. სამხრეთ კორეაში პაკ ჩონ ჰის ხელისუფლებაში მოსვლის მომენტში არ იყო არც ფინანსები,არც დანადგარები,არც კვალიფიციური კადრები ამიტომ პირველ ჯერზე ფსონი იდებოდა მარტივ მრეწველობაზე, რომელსაც არ სჭირდებოდა არც მსხვილი კაპიტალი, არც მაღალი ტექნოლოგიები,არც განათლებუ-

ლი კადრები. ასი ათასობით სოფლის მაცხოვრებელი გადავიდა ქალაქშიო, სადაც უამრავ სამრეწ-ველო სახელოსნოებში კერავდნენ ტანსაცმელს და ფეხსაცმელს, აკეთებდნენ პარიკებს და სათამა-შოებს, რომელსაც ექსპორტზე გზავნიდნენ დასავლეთი ქვეყნებში. შრომის პირობები იყო ძალიან მძიმე: ნორმად ითვლებოდა ერთი დასვენების დღე თვეში, სამუშაო დღის ხანგრძლივობა კი იშ-ვიათად იყო ათ საათზე ნაკლები. სამხრეთ კორეული ფირმების მმართველები ეკონომიას აკეთებ-დნენ ყველაფერზე:სანიტარულ ნორმებზე, ვენტილაციაზე, საწარმოო მოედნებზე,ხშირად ამ სა-წარმოო მოედნების ზომაზეც-ჭერის სიმაღლე ცეხებში 1,5მეტრზე ოდნავ მეტი იყო.

დროთა განმავლობაში ქვეყანა თანდათან გადაიქცა ერთ დიდ ფაბრიკად, რომელიც საზღვარგა-რეთიდან შემოტანილი ნედლეულის გადამუშავებას ახდენდა და საექსპორტო პროდუქციას ქმნიდა. ამან ფუნდამენტი შექმნა, შემდეგ დაიწყო კვალიფიციური კადრების მომზადება და ერ-თი მეორის მიყოლებით მეტალურგიის, გემთმშენებლობის, ქიმიური მრეწველობის განვითარე-ბა,შემდეგ ჯერი ავტომობილებსა და ელექტრონიკაზე მიდგა.

კორეელები მუშაობდნენ, და მუშაობდნენ, და მუშაობდნენ... ინვესტიციებს დებდნენ მეცნიერე-ბაში და მრეწველობაში. ისინი მიხვდნენ, რომ ქვეყნის ბედი მათ ხელში იყო, ისინი ქმნიდნენ მის მომავალს. ზებუნებრივი ძალისხმევის წყალობით სამხრეთ კორეელებმა მოახდინეს ეკონომიკუ-რი ნახტომი, აგრარული ქვეყანა გადააქციეს სამრეწველოდ. რაშიც სხვა ქვეყნებს საუკუნეები დას-ჭირდა, იგი სამხრეთ კორეამ რამდენიმე ათწლეულში შეძლო. განვითარების კორეული საიდუმ-ლო, სახელმწიფოს ჩარევის ცენტრალურობაშია, რომელიც პირველ ადგილზე აყენებს ეროვნულ ინტერესს და არა ვიწრო პოლიტიკურ თუ ბიზნესს ინტერესებს. სწორედ ამიტომაც, კორეული ეკონომიკური განვითარება იყო არა მხოლოდ სწრაფი, არამედ თანაბარი და ინკლუზიური. კერ-ძოდ, სამხრეთ კორეის განვითარების პროცესში შემოსავლები მეტწილად თანაბრად ნაწილდებო-და, რაზეც მიუთითებს ჯინის ინდექსის დაბალი მაჩვენებელი დინამიკურ ჭრილში.

სამხრეთ კორეის ეკონომიკური განვითარების საიდუმლოს ამოსახსნელად საჭიროა უპირველეს ყოვლისა მოკლედ მიმოვიხილოთ სამხრეთ კორეის განვლილი გზა, რომელშიც ბუნებრივი რე-სურსების ნაკლებობის მიუხედავად, ეკონომიკა დინამიურად ვითარდება სახელმწიფოში გან-ხორციელებული გონივრული ეკონომიკური პოლიტიკის წყალობით, რომელიც ასტიმულირებს ინოვაციებს და ქმნის ხელსაყრელ საინვესტიციო გარემოს. სახელმწიფოს წარმმართველი როლის გარეშე, შეუძლებელი იქნებოდა ინოვაციური პროექტების განხორციელება მეტად არახელსაყ-რელ პოზიციების პირობებში(დეფიციტური რესურსული პოტენციალი, მკაცრი კონკურენცია, ტექნოლოგიური ჩამორჩენილობა). მხოლოდ საბაზრო მექანიზმების იმედად ყოფნა სასურველ შედეგს ვერ გამოიღებდა, საჭირო იყო სახელმწიფოს მიერ მიზანმიმართული ეკონომიკური პო-ლიტიკის გატარება. სწორედ სახელმწიფომ შექმნა მყარი საფუძველი ინოვაციური გარღვევისათ-ვის შვიდი ხუთწლიანი გეგმის მიღებისა და მისი შესრულების მკაცრი კონტროლის პირობებში.

პირველ ხუთწლიან გეგმაში(1962წლიდან) ორიენტაცია აღებული იყო ინდუსტრიული ინფრას-ტრუქტურის, ქვეყნის ელექტროფიკაციისა და ეკონომიკის ცალკეული, პრიორიტეტული დარგე-ბის განვითარებაზე.

მეორეში აქცენტი კეთდებოდა იმპორტჩანაცვლებადი ინდუსტრიული კომპლექსების დაჩქარე-ბულ განვითარებაზე.

მესამეში, განხორციელდა ექსპორტზე ორიენტირებული ინდუსტრიისა და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის განვითარება, ასევე დაიწყეს საყოფაცხოვრებო ტექნიკის და ელექტრონიკის მასობრივი წარმოება.

მეოთხე (1977-1981წწ.) მიზნად ისახავდა საგარეო ბაზრებზე სამხრეთ კორეული პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას. აგრეთვე მოწინავე, ინტენსიური ტექნოლოგიების დანერგვას წარმოების ავტომატიზაციის ბაზაზე.

მეხუთე (1982-1986წწ.) განვითარდა ახალი ტექნოლოგიური და მართვის ავტომატიზებული სისტემები და ორიენტაცია იქნა აღებული ქვეყნის განვითარების ინოვაციურ მიდგომაზე.

ამავე პერიოდში, 1982წლიდან სამხრეთ კორეის მთავრობამ თავის თავზე აიღო კვლევებისა და პროექტების განხორციელება მრეწველობის საკვანძო დარგების განვითარების მიზნით, რომელიც მანამდე კერძო მეწარმეებისათვის მეტად ძნელი იყო.

უშუალოდ მრეწველობის განვითარებაზე ორიენტირებული პროექტები ხორციელდებოდა კერძო სექტორის, სახელმწიფო დაწესებულებების და მთავრობის ერთობლივი ძალისხმევით.

მთავრობამ სამეცნიერო-კვლევით სამუშაოების განხორციელება კერძო სექტორში წაახალისა სხვადასხვა შეღავათებით, ფინანსური სუბსიდიებით, გადასახადებისგან განთავისუფლებით, დაბალპროცენტიანი გრძელვადიანი სესხებით, სახელმწიფო მომარაგების გარანტიებით და სხვა. წახალისების ამ სისტემამ განაპირობა სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების მკვეთრი ზრდა.

მეექვსე ხუთწლედში(1987-1991წწ.) შეიქმნა ახალი ეკონომიკური ზონები, როგორც სამხრეთ კორეის ინოვაციური ზრდის დრაივერები. ამავე დროს ქვეყანაში გაძლიერდა სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ინტენსიფიკაცია.

მეშვიდე ხუთწლედმა(1991-1996წწ.) მოიტანა პირველი ინოვაციური შედეგები. ქვეყანა გავიდა საგარეო ეკონომიკურ ბაზარზე ისეთ ინოვაციურ სფეროებში, როგორიცაა მიკრო ელექტრონიკა, ბიო ინჟინერია, აეროკოსმოსური ტექნოლოგიები და მხოლოდ ასეთი მძლავრი ფუნდამენტის შექმნის შემდეგ თანდათანობით გადავიდა საბაზრო მოდელზე, თუმცა ზოგიერთ მომენტში ინარჩუნებდა სამეურნეო დაგეგმვის ელემენტებს.

კაპიტალის კონცენტრაციის და ცენტრალიზაციის პროცესმა განაპირობა ქვეყნის ეკონომიკაში მსხვილი ფინანსურ-სამრეწველო ჯგუფების (ჩებოლების) წარმოქმნა. სამხრეთ კორეა აქცენტს აკეთებდა ე.წ. „ჩებოლებზე“ რომლის უკან მსხვილი ოჯახები იდგნენ. მსხვილი წარმონაქმნები ქმნიდნენ მასშტაბებისა და მრავალფეროვნების ეკონომიას. „ჩებოლები“ იაფად და ხარისხიანად აწარმოებდნენ ინდუსტრიულ პროდუქციას და უფრო იოლად ნერგავდნენ ინოვაციებს. მთავრობისა და ბიზნესის კოორდინირებული მოქმედებით კორეული „ჩებოლები“ მსოფლიოს ბრენდებად იქცნენ. მსხვილ ბიზნესთან სახელმწიფო კომპრომისზე მიდიოდა, გარკვეული დათმობების სანაცვლოდ. მაგალითად, სახელმწიფო „ჩებოლებს“ აძლევდა გარკვეულ პრევენციებს, იმ შემთხვევაში, თუ ისინი გაზრდიდნენ ექსპორტს, დასაქმებას ან დანერგავდნენ მაღალტექნოლოგიურ წარმოებას.

„ჩებოლები“ გადამწყვეტ როლს თამაშობენ ქვეყნის ეკონომიკაში, რომელთაგან ყველაზე ცნობილები არიან Hyundai, Samsung, Daewoo, LG და სხვა, რომლებიც ჩვეულებრივი ბიზნესისგან იმით განსხვავდებიან, რომ დროის მოცემულ მომენტში ცდილობენ არა მხოლოდ მოგების მიღებას,

არამედ ბაზრის შენარჩუნებას და მის ახალ სეგმენტში შეღწევას სულ უფრო მაღალტექნოლოგიური პროდუქციით. სწორედ მათი გამოცდილებაა იმის დასტური, თუ რამდენად წარმატებული შეიძლება იყოს კაპიტალდაბანდებები მეცნიერებატევად დარგებში.

სამხრეთ კორეის სწრაფ განვითარებას პრობლემების გარეშე არ ჩაუვლია. დრამატულ ეკონომიკურ ზრდის პარალელურად ირღვეოდა ადამიანის უფლებები, ავტორიტატული რეჟიმები ერთმანეთს ცვლიდნენ და კორუფცია ყვაოდა. თუმცა უკვე დღეს სამხრეთ კორეის დამოუკიდებლობიდან 70წლის შემდეგ, სამხრეთ კორეული სასწაული რეალობად იქცა. დღეისათვის ამ ქვეყანაში განვითარება და დემოკრატია გვერდიგვერდ განაგრძობენ არსებობას.

სამხრეთ კორეა საერთაშორისო ასპარეზზე მოწინავე პოზიციებს იკავებს სხვადასხვა სფეროებში:

✓ სამხრეთ კორეა ღარიბია ბუნებრივი რესურსებით , მაგრამ მშპ მაღალია ვიდრე ნავთობის და გაზის მომპოვებელ ქვეყნებში, ისეთების როგორიცაა ნორვეგია და ირანი. ოდესღაც სამხრეთ კორეა იყო ღარიბი, აგრარული ქვეყანა, მაგრამ შეძლო ეკონომიკის მოდერნიზება;სამხრეთ კორეამ გეგმიური ეკონომიკის ფარგლებში შეძლო მშპ-ის მკვეთრად გაუმჯობესება და დღეს იგი დაახლოებით 1,5ტრილიონ დოლარს შეადგენს, ხოლო მშპ ერთ სულ მოსახლეზე 29156 დოლარს.



✓ სამხრეთ კორეას გამხდარიყო განვითარებული ქვეყანა დაეხმარა ექსპორტი. კორეული პროდუქციის ექსპორტი იზრდებოდა იმაზე სწრაფად ვიდრე მშპ-ი ბოლო 57 წლის განმავლობაში. კორეა იკავებს მერვე ადგილს მსოფლიოში პროდუქციის ექსპორტით. 2017წელს მან ექსპორტით გამოიმუშავა 573,9 მილიარდი დოლარი. მთავრობა ეხმარებოდა ექსპორტს დოტაციებით. ყოველწლიურად კორეელები ღებულობდნენ უფრო და უფრო მეტ ვალუტას, და ეს ფული ეხმარებოდათ მათ ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში.



✓ აგრარული ქვეყნიდან გადაიქცა სამრეწველო ქვეყნად. ქვეყნის ორად გაყოფის შემდეგ სამხრეთ კორეა იყო აგრარული სახელმწიფო, მაგრამ დღეს მრეწველობაში იქმნება მშპ-ის 39%, სოფლის მეურნეობაში კი - 2%, მომსახურებაში - 59% .საიდუმლო ასეთი გარდასახვის მდგომარეობს ისევ სახელმწიფოს მხარდაჭერაში. ახლა კორეული ეკონომიკა ხდება პოსტინდუსტრიული: მშპ-ში მომსახურების წილი იზრდება და გადაასწრო მრეწველობიდან მიღებულ შემოსავლებს.

✓ სამხრეთ კორეა შედის ტოპ ხუთ მაღალტექნოლოგიური პროდუქციის მომწოდებლების ქვეყნების ჯგუფში. ტექნოლოგიური პროდუქციის გაყიდვიდან კორეულმა კომპანიებმა თითქმის 140მლრდ.

✓ სამხრეთ კორეა იმაზე მეტ ინვესტიციებს დებს მეცნიერებაში ვიდრე ვიდრე მსოფლიოს სხვა ქვეყნები. მეცნიერებაში დახარჯული მილიონები ქვეყანას შესაძლებლობას აძლევს გამოიმუშაოს მილიარდები მაღატექნოლოგიური პროდუქციის ექსპორტით. 2014წელს ქვეყანამ მეცნიერებაზე გამოყო მშპ-ის 4,3%- მეტი ვიდრე იაპონიამ და აშშ-იმ. კორეელები არა მხოლოდ ხარჯავენ ბევრ ფულს კვლევით და საცდელ-საკონსტრუქციო სამუშაოებზე, არამედ ეფექტურადაც იყენებენ მას.

✓ „ეკონომიკური სასწაულის“ მისაღწევად კორეელები მუშაობდნენ თავდაუზოგავად. გასული საუკუნი 60-70წლებში სამუშაო დღეთა რაოდენობა წელიწადში 363 დღესაც კი აღწევდა. მსოფლიოს ვერცერთი ქვეყანა ვერ შეედრება კორეას, იაპონიაც კი, რომელიც ჩვენში ზეშრომისმოყვარე ხალხად ითვლება. მოკლედ დრეს კორეელები მუშაობენ იმაზე ცოტას ვიდრე ადრე, ყოველ წლიურად სამუშაო დრეების რაოდენობა მცირდება, მაგრამ ქვეყნის ეკონომიკაზე ეს ჯერ არ ასახულა, რადგან მუშაობის შედეგი დამოკიდებულია არა მხოლოდ სამუშაო დღეების რაოდენობაზე, არამედ, ასევე შრომის ორგანიზაციაზე, ტექნიკის გამოყენებაზე და სამუშაოს პროდუქტიულობაზე.

✓ თუ ქვეყანაში აწარმოებენ ბევრ ფოლადს, ის შეიძლება გაიყიდოს საზღვარგარეთ და მოიტანოს იოლი შემოსავალი, როგორც ამას აკეთებს საქართველო ან/და ააწყო მეტალისგან გემები , გაყიდო უფრო ძვირად და არ იყო დამოკიდებული ნედლეულის ფასზე- ასე გააკეთა სამხრეთ კორეამ. გემთმშენებლობის განვითარებასაც არ ჩაუვლია სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერის გარეშე, სამაგიეროდ ეხლა ქვეყანა აწარმოებს მსოფლიო გემების 35%, თითქმის ჩინეთის ტოლს.

✓ კორეული სკოლა-განათლების დონის მიხედვით მესამე ადგილზეა. სამხრეთ კორეა მეორე ადგილს იკავებს მსოფლიოში მაცხოვრებელზე საშუალო IQ მაჩვენებლით, და საქმე გენეტიკაში ან მემკვიდრეობაში არ არის.

✓ ჩვენ მივეჩვიეთ ჩავთვალოთ ქვეყანა განვითარებულად სადაც კორუფციის დაბალი დონეა, მაგრამ სამხრეთ კორეა კორუფციის დონით 37-ე ადგილზეა მსოფლიოს ქვეყნებს შორის. მოკლედ კორუფცია კორეულად ხელს არ უშლის მეწარმეებს მუშაობაში. Doing busines რეიტინგში ქვეყანა მეოთხე ადგილს იკავებს.

ქვეყნის ინოვაციური გარდაქმნების რეალიზაციის შედეგად სამხრეთ კორეა მსოფლიო ლიდერ ქვეყნებს შორის აღმოჩნდა. სამხრეთ კორეული ინოვაციური „სასწაული" კი ისეთი ფაქტორების ერთობლიობამ განაპირობა, როგორიცაა:

- ხელისუფლების განმსაზღვრელი და ეფექტური როლი რეფორმების ინიცირებასა და გატარებაში;
- საექსპორტო ორიენტაციის სტრატეგიის შემუშავება და განხორციელება;
- იაფი და კვალიფიცირებული სამუშაო ძალის არსებობა;
- ლიბერალური საპატენტო კანონმდებლობა;
- უცხოური მოწინავე ტექნოლოგიების გადმოტანა;
- დიდი დანახარჯები მეცნიერებაზე და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებზე;
- საქმიანი აქტივობებისათვის ხელსაყრელი საერთაშორისო კლიმატი და სხვ.

დასკვნა

პაკმა შექმნა ავტორიტარული რეჟიმი და მისი მმართველობის მეორე ნახევარში მან შეძლო ქვეყნის მოდერნიზება, ეკონომიკური განვითარების გზაზე გადაყვანა. 1962-1979წლებამდე მიმდინარე ინდუსტრიალიზაციის პროცესმა შექმნა ბაზა ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის, სახელმწიფოს მიერ მართულმა კაპიტალიზმმა სამხრეთ კორეას ბევრი სიკეთე მოუტანა, დღემდე კორეული ეკონომიკა ეყრდნობა ადგილობრივ წარმოებას და მაღალი ტექნოლოგიების ერთ-ერთი უმთავრესი ექსპორტიორია მსოფლიოში, მძიმე მრეწველობის განვითარების შემდეგ კორეელებმა წარმატებით აითვისეს კომპიუტერული ტექნოლოგიები და დაიმკვიდრეს თავი მსოფლიო ბაზარზე, უცხოური კაპიტალისათვის კორეაში შესვლა სახელმწიფოსათვის პრიორიტეტულ დარგებში თითქმის წარმოუდგენელია, რადგანაც ადგილობრივი პროდუქცია უმაღლესი ხარისხისაა, სახელმწიფოს როლი ეკონომიკურ სტაბილურობაში კვლავ დიდია.

სამხრეთ კორეის მაგალითის შესწავლით დამტკიცდა, რომ სახელმწიფოს აქტიურმა ჩარევამ ქვეყანას მოუტანა უზარმაზარი წარმატება. მთლიანობაში ამ სახელმწიფოს მაგალითი აჩვენებს, რომ სახელმწიფოს შეუძლია მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში მისი ინდუსტრიალიზაციის ხელშეწყობით და პოლიტიკების ინიცირებით.

სამხრეთ კორეაში გატარებული რეფორმების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ თუ სურვილი არის, შეუძლებელი არაფერია. ოდესღაც სამხრეთ კორეაც იყო საქართველოს მსგავსი ომგამოვლილი, ღარიბი აგრარული ქვეყანა, მაგრამ დღეს იგი საპატიო ადგილს იკავებს მსოფლიოს წამყვან ქვეყნებს შორის. რეფორმების გატარებისათვის საჭიროა პოლიტიკური ნება და მისწრაფება მიაღწიო დასახულ მიზანს, მიუხედავად დაბრკოლებებისა. მაგრამ აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ აზიელებს ღირებულებების სხვა სისტემა აქვთ, განსხვავებული მიდგომა შრომის, დისციპლინის, თავისუფლების, ინდივიდისა და კოლექტივის ურთიერთობის მიმართ, ყოველივე ამან კი მნიშვნელოვანი როლი ითამაშა სამხრეთ კორეის გარდასახვაში.

ქართველები აფასებენ თავიანთ მრავალსაუკუნოვან ტრადიციებსა და რელიგიურ მოძღვრებებს, მაგრამ „სისტემის მორჩილება" მათთვის უცხოა. ქართველთა თავისუფლებისადმი სიყვარული

გამოიხატება შეუდარებელ შემოქმედებაში, თუმცა არც ისე კარგი მენეჯმენტის გამო ქართველები სრულად ვერ ახერხებენ კომერციულ წარმატებად აქციონ ეს ყველაფერი.
უნივერსალური რეცეპტებისა და სხვა ქვეყნების გამოცდილების გამოყენებამ სასურველი შედეგი ვერ მოგვცა. თუ კარგად დავაკვირდებით დავინახავთ, რომ სამხრეთ კორეაში რეფორმატორებმა ადგილობრივი სპეციფიკა და მენტალიტეტის თავისებულებები გაითვალისწინეს და სწორედ ის მცირერიცხოვანი კოზირები გამოიყენეს ,რომელიც გააჩნდათ. ადრინდელი სამხრეთ კორეისგან განსხვავებით დღეს საქართველოს გაცილებით მეტი უნიკალური შესაძლებლობები გააჩნია, რომლის გონივრული და სწორი რეალიზება ის „ჯადოსნური რეცეპტი“ აღმოჩნდება ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის, რომელსაც ვეძებთ. როგორც აღვნიშნეთ პოტენციალი არსებობს და საჭიროა მისი გონივრულად გამოყენება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1) http://www.ttimes.ge/archives/30953
2) https://tradingeconomics.com/south-korea/gdp
3) https://businessviews.com.ua/ru/studies/id/14-grafikov-objasnjajuschih-korejskoe-ekonomicheskoe-chudo-1142/
4) http://fedin.org/ekonomika/chudo-yuzhnoj-korei.html
5) https://countryeconomy.com/gdp/south-korea
6) https://www.stlouisfed.org/on-the-economy/2018/march/how-south-korea-economy-develop-quickly
7) https://www.statista.com/statistics/263655/export-of-goods-from-south-korea/

■■■■

მევენახეობა მეღვინეობის განვითარების პერსპექტივები საქართველოში

Viticulture Winery Development Perspectives in Georgia

ავტორი - **ქრისტინა მოლაშხია, მარიტა ბობოხიძე,** *ხელმძღვანელი* - ასოც. პროფ. **ნაირა ვირსალაძე,** აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

Author **- Kristina Molashkhia, Marita Bobokhidze**, *Supervizor* – Assoc. Prof. **Naira Virsaladze,** *Akaki Tsereteli State University.*

In the topic discussed by Kristina Molashkhia and Marita Bobokhidze, it is a close connection of the history of the vine culture with the history of the Georgian nation. The impacts of Georgia's diverse natural

conditions include the development of viticulture as well as methods of formation of varieties of vines in Georgia. The attention is paid to grape varieties in Georgia, the high quality Georgian wine and vine varieties separated separately. It is briefly reviewed the way in which Georgian wine has passed - the periods of decrease and resurgence. Lists of Georgian wine producers and varieties of Georgian wine are listed in Georgia today. It is about the local wine market and foreign markets. The data about 2018 are exported to different countries, including the first five exporting countries. The focus is on the problems faced by winemaking and the deficiencies in regulation of viticulture and winemaking as to what measures are needed to solve existing problems. In the final part we speak about the role of the state in the competitive, high quality Georgian wine.

Keywords: wine, wine market, development, problems, challenges.

საკვანძო სიტყვები: ღვინო, ღვინის ბაზარი, განვითარება, პრობლემები, გამოწვევები.

მევენახეობა და მეღვინეობა — საქართველოს სოფლის მეურნეობის უძველესი და მნიშვნელოვანი დარგი. ვაზის კულტურის ისტორია მჭიდროდაა დაკავშირებული ქართველი ერის ისტორიასთან. ჩვენი ერის შემოქმედებითი ბუნება და განსაკუთრებული სიყვარული ვაზისა და ღვინისადმი გამოიხატება ქართულ კულტურაში, ტრადიციულ წეს-ჩვეულებებსი, არქიტექტურაში, ორნამენტში, ჭედურობაში, მხატვრობაში, პოეზიაში, სიმღერასა და ხელოვნების სხვა დარგებში.

საქართველოს ღვინის კულტურასთან რვაათასწლიანი უწყვეტი ისტორია აკავშირებს, რასაც უამრავი არქეოლოგიური აღმოჩენა და ისტორიული ფაქტი ადასტურებს. საქართველოს მუზეუმებში დაცულია მეღვინეობასთან დაკავშირებული, ათასწლეულებით დათარიღებული მრავალი ექსპონატი.

ქართველი ხალხი შორეულ წარსულში ვაზს „წმინდა“ მცენარედ თვლიდა. ამიტომაც, ბუნებრივია ქართველი ადამიანის განსაკუთრებული ყურადღება ვაზის მოვლა–გაშენებისთვის. ძველ დროში, საქართველოს ეკონომიკის ერთ–ერთი მნიშვნელოვანი საფუძველი მევენახეობა იყო. საქართველოდან ღვინის ექსპორტს აწარმოებდნენ მეზობელი ქვეყნები. უცხო დამპყრობლების მხრიდან (თემურ–ლენგი, შაჰ–აბასი), ვენახების გაჩეხვის მიზანს წარმოადგენდა ქვეყნის ეკონომიკურად დაქვეითება და შემოსავლის შემცირება.

საქართველოს მრავალფეროვანი ბუნებრივი პირობები საუკეთესო გარემოს ქმნის მევენახეობის განვითარებისთვის, რომლის თავისებურებათა მიხედვით ქვეყნის ტერიტორია ორ მაკროზონად (18 მიკროზონა) იყოფა: აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოდ. მევენახეობის თითოეული რაიონი გამოირჩევა თავისი დამახასიათებელი ვაზის ჯიშებით, რომლებიც საუკეთესოდ არის შეგუებული ამ რაიონების მიკროკლიმატს და მევენახეობის ტრადიციებს. კლიმატური და სხვა მახასიათებლებით გამოყოფილი მევენახეობა--მეღვინეობის ზონები საშუალებას იძლევა წარმოებულ იქნეს მრავალი სახის, დანიშნულების და ხარისხის ღვინოები.

საქართველოში ვაზის ფორმირების მეთოდები მრავალფეროვანი იყო: მაღლარი – ხეზე მზარდი ვაზი; დაბლარი – სარზე ან მავთულზე მზარდი ვაზი; ბაბილო – დიდი დიამეტრის მქონე ვაზი. ქართველმა ხალხმა საუკუნეების მანძილზე შექმნა ვაზისა და ღვინის მოხმარების კულტურა და

ტრადიცია, შეიმუშავა სუფრის მშრალი, ბუნებრივად ტკბილი და ნახევრად ტკბილი, სადესერტო და ცქრიალა, კახური და იმერული ტიპის ღვინოების დამზადების ტექნოლოგიური ხერხები.

მსოფლიოში ცნობილია ვაზის 4000-მდე ჯიში. საქართველოში 500-ზე მეტი ვაზის ჯიშია აღრიცხული, კერძოდ, კახური _ 80, ქართლური _ 72, იმერული _ 75, რაჭა-ლეჩხუმური _ 50, მეგრული _ 60, გურული _ 53, აჭარული _ 52, აფხაზური _ 58 და სხვ. საქართველოში 2.5-ჯერ მეტი ვაზის ჯიშია, ვიდრე აზერბაიჯანში (200), 5.5-ჯერ მეტი, ვიდრე სომხეთში (90), 2.5-ჯერ მეტი, ვიდრე შუა აზიაში (200), 3.5-ჯერ მეტი, ვიდრე დაღესტანში (150). საქართველოში არსებული ვაზის ჯიშებიდან სტანდარტულ ასორტიმენტში შეტანილია 62 ჯიში, მათ შორის 29 საღვინე და 9 სუფრის.

გამორჩეული მაღალხარისხოვანი ქართული საღვინე ვაზის ჯიშებია: რქაწითელი, მწვანე, ხიხვი, ქისი, ჩინური, გორული, ციცქა, ცოლიკაური, კრახუნა, საფერავი, თავკვერი, შავკაპიტო, ალექსანდროული, მუჯურეთული, ძველშავი, უსახელოური, ოცხანური, საფერე, ოჯალეში, ჩხავერი, ალადასტური და სხვა. გარდა აბორიგენული ვაზის ჯიშებისა საქართველოს თითქმის ყველა კუთხეშია გავრცელებული შემოტანილი ვაზის ჯიშები, რომლებმაც თითქმის მეორე სამშობლო ჰპოვეს უძველეს ქართულ მიწაზე, ესენია: ალიგოტე, პინო, შარდონე, კაბერნე სოვინიონი, შასლა, ხალილი.

ქართული მევენახეობის მწვერვალი XIX საუკუნის მეორე ნახევარში იყო. ქართული მეღვინეობის განვითარებაში უდიდესი წვლილი შეიტანა თავადმა ალექსანდრე ჭავჭავაძემ, რომელიც ფლობდა თელიანის მამულს. სწორედ იქ დაიწყო ადგილობრივი, სხვადასხვა სახის ღვინოების (რქაწითელი, მწვანე, საფერავი) დამზადება.

XX საუკუნის 30-იანი წლებიდან საქართველოში მევენახეობის და მეღვინეობის განვითარების ახალი ეტაპი დაიწყო. გაშენდა ახალი ვენახები, ღვინის დამზადებამ მძლავრი სამრეწველო ხასიათი მიიღო, ფართოდ გაიშალა სამეცნიერო-პრაქტიკული მუშაობა, რამაც საფუძველი შექმნა დარგის შემდგომი აღორძინებისა და განვითარებისათვის.

80-იანი წლებში ვენახების ფართობი 150 ათას ჰექტარზე მეტი იყო, ღვინის ქარხნები წლიურად 500-700 ათას ტონა ყურძენს ამზადებდნენ, მიღებული ღვინოპროდუქცია ძირითადად ყოფილი სსრკ-ისა და გარკვეული ნაწილი კი საექსპორტოდ საზღვარგარეთის ბაზრებზე იყიდებოდა.

90-იანი წლებიდან ქვეყანაში შექმნილმა მძიმე პოლიტიკურმა, სოციალურ-ეკონომიკურმა პირობებმა, აგრეთვე აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ომებმა, მევენახეობა-მეღვინეობას სერიოზული ზიანი მიაყენა, რამაც დარგის სამრეწველო-ეკონომიური პოტენციალი მნიშვნელოვნად შეამცირა.

უკანასკნელ პერიოდში დარგის განვითარებისათვის ქვეყანაში შეიქმნა საკანონმდებლო ბაზა, რამაც ხელი შეუწყო ქართული და უცხოური ინვესტიციების მოზიდვას. დაიწყო ვენახების გაშენება, ღვინის მრეწველობა აღიჭურვა მსოფლიო სტანდარტების შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, განახლდა უნიკალური ქართული ღვინოების წარმოება.

საქართველოში დღეისათვის ღვინოების მსხვილი მწარმოებლებიდან აღსანიშნავია შემდეგი კომპანიები:`შატო მუხრანი,თელავის ღვინის მარანი,მილდიანი ,ბადაგონი, კახური ტრადიციული მეღვინეობა,დუგლაძეების ღვინის კომპანია ,ზურაბ წერეთლის ღვინის კომპანია ,თბილღვინო, ბაგრატიონი ,მათრობელა ,ვაინზ ,საქართველოს ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების კომპანია, ღვინის კომპანია შუმი, თელიანი ველი, მეღვინეობა ხარება, კორპორაცია ქართული ღვინო და

სხვა. აქ ღვინის დაყენების უძველესი ქართული ტრადიციები შეხამებულია თანამედროვე ტექ-ნოლოგიურ მიღწევებთან. ეს კომპანიები თავიანთ პროდუქციას ძირითადად რუსეთის ბაზარზე ჰყიდიან, მაგრამ გარდა რუსეთისა, წარმატებით იყიდება აგრეთვე უკრაინაში, ბალტიისპირეთში, იაპონიაში, აშშ-ში, ნიდერლანდებსა და სხვა ქვეყნებში.

ქართული ღვინის ნაირსახეობებია: ქინძმარაული, წინანდალი, ხვანჭკარა, საფერავი, თბილისუ-რი, ახაშენი, ჰერეთი, მუკუზანი, კახეთი...

დღითიდღე უფრო მრავალფეროვანი ხდება ადგილობრივი ღვინის ბაზარი. ზოგიერთმა კომპა-ნიამ, რომლებსაც წლების წინ მხოლოდ ქვეყნის ფარგლებს გარეთ გაჰქონდათ ღვინო(ძირითადად რუსეთში), დღეს ქართული ბაზრის აქტიური ათვისებაც დაიწყეს. რაც დრო გადის, ქართველი ღვინის მწარმოებლები მით უფრო მეტად აცნობიერებენ ადგილობრივი ბაზრის მნიშვნელობას, თუმცა გაყიდვების საერთო რაოდენობა ჯერ-ჯერობით მაინც დაბალია. საქართველოში, ისევე როგორც ბევრ სხვა ქვეყანაში, ღვინოს დიდ კონკურენციას უწევს ლუდი (დაახლოებით 65მლნ. ლიტრი წელიწადში), არაყი (დაახლოებით 13მლნ. ლიტრი), და ბრენდი (დაახლოებით 2მლნ. ლიტრი), ხოლო ღვინის მოხმარება ერთ სულ მოსახლეზე წელიწადში დაახლოებით 15-20 ლიტრს შეადგენს, რაც არც ისე ბევრია, ანუ საშუალო ქართველი ნაკლებ ღვინოს სვამს ვიდრე ევროპელი მომხმარებელი.

ღვინის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, 2018 წლის პირველ ნახევარში საქართველოდან მსოფლიოს 48 ქვეყანაში ექსპორტირებულია 38.2 მლნ ბოთლი ღვინო (0.75 ლტ. მოცულობის), რაც 21 %-ით აღემატება 2017 წლის ამავე პერიოდის მაჩვენებელს. ექსპორტირებული ღვინის ღირე-ბულება 90.3 მლნ აშშ დოლარია – თანხის მიხედვით ზრდამ გასული წლის ანალოგიურ პერიოდ-თან შედარებით 28 % შეადგინა.

ქართული ღვინის ექსპორტი გაზრდილია ქართული ღვინის სტრატეგიულ ბაზრებზე როგორც ევროპისა და აზიის მიმართულებით, ისე აშშ-ში და სხვა ტრადიციულ ბაზრებზე. 2018 წლის იანვარ-ივნისის მონაცემებით ექსპორტის ზრდა აღსანიშნავია შემდეგ ქვეყნებში:

იაპონია – 200 % (სულ 2018 წლის პირველ 6 თვეში ექსპორტირებულია 130,638 ბოთლი ღვინო); ჩეხეთი – 134 % (30,456); ყირგიზეთი 81 % (140,370); სამხრეთ კორეა – 78 % (31,650); ნიდერლან-დები – 68 % (38,799); დიდი ბრიტანეთი – 67 % (46,782); გერმანია – 43 % (286,054); ყაზახეთი – 42 % (1,652,292); უკრაინა – 41 % (4,191,217); ლატვია – 32 % (905,982); პოლონეთი – 30 % (1,573,328); რუსეთი – 24 % (24,022,113); ესტონეთი – 22 % (294,900); ლიეტუვა – 9 % (188,052); აშშ – 7 % (188,762)…

ექსპორტიორი ქვეყნების პირველი ხუთეულია:

რუსეთი (სულ 2018 წლის პირველ 6 თვეში ექსპორტირებულია 24 022 113 ბოთლი ღვინო); უკრა-ინა (4,191,217); ჩინეთი (2 975 804); ყაზახეთი (1,652,292); პოლონეთი (1,573,328).

საანგარიშო პერიოდში სხვადასხვა მოცულობის ღვინის ექსპორტი 190-მა კომპანიამ განახორცი-ელა.

ქართული ღვინის მეწარმეებმა შეძლეს მემკვიდრეობით მიღებული უნიკალური ვაზის ჯიშების, ღვინის ტრადიციული კერების ამოქმედება და მსოფლიოს ბაზარზე გასვლა. ხარისხის გაუმჯო-ბესების გზით საქართველო ევროპულ და ამერიკულ ბაზრებს იზიდავს. დარგის განვითარების

მიზნით, ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ პროცედურების დაცვაზე (ყურძნის კრეფა, ტრანსპორტირება, გადამუშავება და სხვ.), რომლებიც აუცილებელია მაღალხარისხიანი ღვინის დამზადებისთვის.

ქართული ღვინის ხარისხი განსხვავდება მსოფლიოში აღიარებული ბრენდებისაგან, რასაც განაპირობებს რელიეფი, კარგი კლიმატი, მიწა, ყურძნის მრავალი ჯიშის არსებობა და საქმის კარგი ცოდნა. ქართული ღვინის ხარისხის გაუმჯობესებაზე ვერ ვისაუბრებთ, თუ მეღვინეობის წინაშე მდგარ პრობლემებს არ გავეცნობით:

1. რთველის თარიღის არაგეგმიური განსაზღვრა, რაც იწვევს არაკონდიციური ყურძნის, ან ზედმეტად მაღალშაქრიანი ყურძნის მიწოდებას წარმოებისათვის;

2. ყურძნის გადამუშავების დაგვიანება (დაკრეფილი ყურძენი უნდა გადამუშავდეს მოკრეფიდან არაუმეტეს 2-4 საათში, მაქსიმუმ 6 საათში). ხშირ შემთხვევაში ყურძნით სავსე სატვირთო მანქანები ერთ და ზოგჯერ სამ ღამეზე მეტსაც ათენებენ, სანამ საწარმოში მათი შესვლა ხერხდება. ამის მიზეზია არაორგანიზებული რთველის სეზონი: საწარმოებს არ აქვთ გაფორმებული წინასწარი ხელშეკრულებები მევენახეებთან და უმეტესად სპონტანურად ხდება ყურძნის კრეფა და მიწოდება საწარმოებისათვის;

3. ყურძნის ტრანსპორტირების წესების დარღვევა: ყურძნის ტრანსპორტირება საწარმოში პირდაპირ სატვირთო მანქანის ძარაზე დაყრილ მდგომარეობაში ხდება.შედეგად ყურძენი ზიანდება, იჭყლიტება, იწყება ლპობითი (ბაქტერიების ცხოველქმედების) პროცესი, ღირებული თვითნადენი გზაში ჩამოიდინება მანქანის ძარიდან.

4. არარეგულირებული ყურძნის ფასი;

6. ჯიშური არომატის ნაკლებობა-არარსებობა, რაც გამოწვეულია ღვინის დადუღებისას ტემპერატურული რეჟიმის უგულვებელყოფით.

7. ქვევრის ღვინის მიკრობიოლოგიური დაავადებები, რაც გამოწვეულია ჰიგიენური წესების დარღვევით.

მევენახეობა-მეღვინეობის რეგულირებისას არსებული ხარვეზებია ასევე: საოჯახო მცირე საწარმოებისათვის ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის პროცედურების სირთულეები, საოჯახო მცირე საწარმოებისათვის დარგობრივი განათლების მიღების შესაძლებლობის პრობლემა.

მევენახეების პრობლემებზე საუბრისას არ უნდა გამოგვრჩეს უმთავრესი: მათი პროდუქციის შესყიდვა ძირითადად ხდება ერთის მხრივ _ შუამავალი, გადამყიდველი პირებისა და კომპანიების, მეორეს მხრივ _ ღვინის ქარხნების მიერ, რომლებიც საკუთარი მოგების გაზრდის მიზნით დაინტერესებული არიან შეისყიდონ ყურძენი რაც შეიძლება დაბალ ფასებში. აღნიშნული მიზეზებიდან გამომდინარე, გაჩნდა სახელმწიფოს მხრიდან ყურძნის შესყიდვის იძულებითი სუბსიდირების პრაქტიკაც, რაც მძიმე ტვირთად აწვება ქვეყნის ბიუჯეტს. აღნიშნულთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ კომპენსაციის ის ფორმა, რომელიც დაწესდა ღვინის საწარმოებისათვის 2017 წლის რთველის პერიოდში (70 თეთრს+35 თეთრი) მისაღები ვარიანტია.

დღემდე განსაკუთრებულ პრობლემათა რიცხვს განეკუთვნება, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ, ქართული ღვინოების ფალსიფიცირება, რეგისტრირებული სასაქონლო

ნიშნების, ქართული ადგილწარმოშობისა და გეოგრაფიული აღნიშვნების უნებართვო გამოყენება, რის გამოც ქვეითდება ქართული ღვინის პრესტიჟი, იკარგება ტრადიციული ბაზრები, ზარალდება ქართული ღვინის მილიონობით მომხმარებელი, ეს კი ნეგატიურად აისახება არა მარტო მეღვინეობის, არამედ მისი საფუძვლის _ მევენახეობის განვითარებაზეც.

ფალსიფიცირების უარყოფითი მხარეა ისიც, რომ მთლიანობაში მომხმარებელი იხდის უფრო ძვირს, ვიდრე ღირს პროდუქტი. გარდა ამისა, პროდუქტი შეიძლება საშიში იყოს ჯანმრთელობისთვის და, რაც ყველაზე ცუდია, მომხმარებელი კარგავს ნდობას პროდუქტისადმი, რითაც ზარალდება პატიოსანი მწარმოებელი.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სარეკლამო კამპანია, რომლითაც ქართულმა ღვინომ მსოფლიო ბაზარზე საკუთარი ადგილი უნდა დაიმკვიდროს, სათანადო ფორმით არ მიმდინარეობს. ღვინის ექსპერტების აზრით, ქართულ ღვინოს ნაკლებად იცნობენ, რისთვისაც საჭიროა შესაბამისი კამპანიის განხორციელება, რათა უფრო გაიაზარდოს მოთხოვნა ქართულ ღვინოზე.

ქართულ ღვინოს პრობლემები ექმნება, როდესაც ექსპორტიორ ქვეყნებში არასტაბილური ეკონომიკური და პოლიტიკური პროცესები მიმდინარეობს. ბოლო ნახევარი წლის განმავლობაში რუსული რუბლისა და უკრაინული გრივნის გაუფასურების გამო, ქართული ღვინის ექსპორტიორები განსაკუთრებით დაზარალდნენ.

ამ პრობლემების გადასაჭრელად საჭიროა შემდეგი ღონისძიებების გატარება:

ყურძნის წარმოების, გადამუშავებისა და წარმოებული ღვინის რეალიზაციის ინტეგრირებული სისტემის (ერთიანი ციკლის) შექმნა, სადაც მევენახეები მიიღებენ გაზრდილ შემოსავლებს არა ყურძნის, არამედ ღვინის რეალიზაციიდან; მაღალხარისხიანი ყურძნისა და ღვინის წარმოება; პროდუქციის თვითღირებულების შემცირება; სამეწარმეო საქმიანობის მართვისა და ფუნქციონირების ცივილიზებული ფორმების დანერგვა და განვითარება; მოსახლეობის სამეწარმეო კულტურისა და განათლების დონის ამაღლება; სამუშაო ადგილების შექმნა და მიგრაციული პროცესების შეჩერება; სოფლად სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება. ქართული ღვინის უმთავრესი ღირსება „ბუნებრიობაა“, მხოლოდ „ნატურალობაა“, ამიტომ განსაკუთრებული სერიოზულობითაა საჭირო ბრძოლა ღვინის ფალსიფიკაციის წინააღმდეგ. მევენახეობა-მეღვინეობის ეროვნული ტრადიციების დაცვისათვის ბრძოლა უშუალოდ უკავშირდება ფალსიფიცირებული ღვინოების მავნეობის გამოვლენასა და ამგვარი ღვინოების დაყენების უარყოფის კამპანიას.

მევენახეობის სტიმულირებისათვის აუცილებელია სახელმწიფოს მხრიდან შესაბამისი ღონისძიებების გატარება და მათ შორისაა საგადასახადო შეღავათების დაწესება. აქვე უნდა ითქვას დაზღვევის შესახებაც. სასურველია, მევენახეობის სპეციალიზებულ ზონებში დაზღვევა სავალდებულო უნდა იყოს.

დასკვნა: მხოლოდ ქმედითი სახელმწიფო რეგულირებითა და კონტროლის განხორციელებით არის შესაძლებელი კონკურენტუნარიანი, მაღალხარისხოვანი ღვინის წარმოება, ფალსიფიცირებული და უხარისხო პროდუქციისაგან სამომხმარებლო ბაზრის დაცვა, მევენახეობა-მეღვინეობის, როგორც ეროვნული ეკონომიკის პრიორიტეტული, დარგის თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე განვითარება (მთავრობის როლის გააქტიურება უნდა გამოიხატოს მევენახეობა-მეღვინეო-

ბის დარგის სახელმწიფო მხარდაჭერის მიზნობრივი პროგრამის შემუშავებასა და განხორციელებაში). მითუმეტეს, რომ ღვინის მწარმოებელ აღმოსავლეთის ქვეყნებს შორის საქართველო წარმოადგენს ქვეყანას, რომელსაც გააჩნია ღვინის წარმოების საუკეთესო პირობები (ნიადაგი, კლიმატი, ყურძნის ჯიშები, ტრადიციები და ა.შ.) და კანონიერი უფლება ღვინის მსოფლიო ბაზარზე აღიარებისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. პაატა კოღუაშვილი- სსმმ აკადემიი აკადემიკოსი, პროფესორი - მევენახეობა-მეღვინეობის გამოწვევები და განვითარების პერსპექტივები: http://agronews.ge/mevenakheoba-meghvineobis-gamotsvevebi-da-ganvitharebis-perspeqtivebi/
2. http://georgianwine.gov.ge/Ge/Statistic?harvestYearId=5

■■■■

საქართველო და გლობალიზაცია

Georgia and Globalization

*ავტორი - **სოფიო გენებაშვილი,** ხელმძღვანელი - ასოც. პროფ. **თამარი დევიძე,** უ/ს ჯორჯია.*

*Author - **Sofio Genebeshvili,** Supervizor – Assoc. Prof. **Tamar Devidze**, High School Georgia.*

გლობალიზაციის გამო ნებისმიერი ტექნიკური მიღწევა უმოკლეს დროში შემოდის ჩვენს ქვეყანაში და უმალვე ინერგება. ინტეგრაცია გლობალიზაციის პროცესში და გლობალურ ეკონომიკაში აქტიური მონაწილეობის მიღება, შესაძლებლობას იძლევა ქვეყნებმა ნახონ სარგებელი, შეინარჩუნონ მაკროეკონომიკური სტაბილურობა, მიაღწიონ ეკონომიკურ ზრდას და ერთად იმოქმედონ გლობალური საფრთხეების აღმოსაფხვრელად.

საკვანძო სიტყვები: გლობალიზაცია, ეკონომიკა, კულტურა.

Globalization does not recognize nationality and is a priority for him only universal, absolute values. Any other value is _ cultural and civilizational differences, local, national peculiarities, it is secondary to him. It's the world monotony of the traditions of people, increases cultures and nationalities and ultimately the probability of their extinction. That's why we need to be in the foreground nationality. We respect our traditions.

გლობალიზაციის პროცესი შეიძლება შევადაროთ ჰორიზონტალურ ვექტორს, რომელიც დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ მიემართება და სივრცეს აერთგვაროვნებს - ყველგან ამკვიდრებს ერთსა და იმავე ღირებულებებს - დემოკრატიას, კანონის უზენაესობას, საბაზრო ეკონომიკას. ხოლო ის ქვეყნები, რომლებიც გლობალიზაციის ჰორიზონტალურ ტალღაში მოექცევიან, ამ პროცესს უნდა დახვდნენ ვერტიკალური ინტეგრაციით, ანუ საკუთარი კულტურის და საუკეთესო ტრადიციების წიაღში ჩაღრმავებით.

მსოფლიო გლობალიზაციის პროცესი სულ ახალ-ახალ სახელმწიფოს ითრევს თავის მორევში. დასავლეთის დემოკრატიულ სივრცესთან თანდათანობით დაახლოებით, დიდი საერთაშორისო პროექტების განხორციელებაში მონაწილეობით ამ პროცესში თავისთავად ებმება საქართველოც. სანამ სპეციალისტები ამ ახალ, ჯერ ბოლომდე შეუსწავლელ ფენომენს იკვლევენ, მის დეფინიციას იძიებენ და ნაირ-ნაირ კონცეფციებს ამუშავებენ, ის განუხრელად შემოდის ჩვენს ცხოვრებაში და დიდ გავლენას ახდენს თითოეული ჩვენგანის აზროვნებასა და ქცევაზე. ამიტომ, თუ ვფიქრობთ მომავალზე, ვალდებულნი ვართ ვიცოდეთ, რასთან გვაქვს საქმე, რა ჩრდილ-ნათელი გაჩნია და რას გვიქადის მომავალში.

გლობალიზაციაში იგულისხმება მსოფლიო მასშტაბით წარმოების განსაზოგადოება-ინტერნაციონალიზაცია. კაპიტალის თავისუფალი ბრუნვა, საერთო ბაზრის ჩამოყალიბება, ინფორმაციის, იდეების, თანამედროვე მენეჯმენტისა და მარკეტინგის გამოცდილების სწრაფი გაცვლა. აქედან გამომდინარე, ხელს უწყობს პოლიტიკურად, ეკონომიკურად, იდეოლოგიურად მოწესრიგებული სამყაროს ჩამოყალიბებას.

გლობალიზაცია დაეხმარება ქვეყნების, აღმასვლით განვითარებას, მსოფლიო მასშტაბით თავისუფალი, დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბებას. რა თქმა უნდა, ის დიდ სიკეთეს მოუტანს საქართველოსაც, ხელს შეუწყობს იმ დახურული სივრციდან გასვლაში, რომელიც ასწლეულების განმავლობაში აშორებდა პროგრესულ პროცესებს, უზრუნველყოფს მის უსაფრთხოებას და დემოკრატიული გზით განვითარებას. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ვაღიარებთ გლობალიზაციის სიკეთეს, რისკის ფაქტორიც უნდა გავითვალისწინოთ. უნდა გავაცნობიეროთ ისიც, რომ გლობალიზაცია არ ეფუძნება საყოველთაოდ აღიარებულ ფასეულობებს. არ უნდა დავუშვათ, რომ გლობალიზაცია გასასამართლებელი საბუთი გახდეს შემტევი, ზღვარდაუდებელი, ლიბერალური კაპიტალიზმის სასარგებლოდ, რომელსაც თან ახლავს კულტურების ნიველირება. გლობალიზაციის ფართო სივრცის შიგნით მაინც უნდა დარჩეს ხალვათი ადგილი აზრთა სხვადასხვაობისათვის, რომელსაც ანგარიში უნდა გაუწიოს კომპანიების მართვიდან დაწყებული, სკოლებისა და უნივერსიტეტების დაარსებით დამთავრებული. გათვალისწინებული უნდა იქნას კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი: ადამიანის უფლებისადმი პატივისცემა, ის ქმედითი ნორმაა, რომელიც საჭიროა პოლიტიკური, დიპლომატიური, ეკონომიკური და საერთასორისო ურთიერთობების წარმართვისათვის.

გლობალიზაცია, როგორც ზეეროვნული საერთაშორისო ინტეგრაციის პროცესი, დადებით ტენ-დენციებთან ერთად ნეგატიურსაც შეიცავს. დგება დრო, როცა შეიძლება ყველაფერი თავდაყირა დადგეს. ვერავინ ვიტყვით, როგორი იქნება ორი ათეული წლის შემდეგ ახლოაღმოსავლეთი, რომლის მილიონობით მოსახლეობა მეშვიდე საუკუნის ცხოვრების წესით ცხოვრობს და მათი "გადმობარგება" 21-ე საუკუნეში იოლი როდი იქნება. ჩვენი ქვეყანა ძალაუნებურად ჩართულია გლობალიზაციის პროცესში. თუმცა გამოსავალი როგორც ყველგან აქაც არსებობს. ჩვენი ვალია გავხადოთ გლობალიზაცია ჰუმანური_ ის არ უნდა იყოს დამანგრეველი ძალა. განვითარებადი ქვეყნებისათვის გლობალიზაციის ეს ფორმა ჩვენგან საჭიროებს იდენტურობის მრავალჯერად და ალბათობის მრავალგზისობის დაშვებას.

გლობალიზაცია თავისთავად გულისხმობს შევეგუოთ ახალი ტიპის მსოფლიოს. გასათვალის-წინებელია, რომ გლობალიზაცია თანამედროვე ცივილიზაციის კანონზომიერი განვითარების ბუნებრივი, თანმხლები პროცესია. ყველა პროგნოზით, მომავალში ის კიდევ უფრო მძლავრად განვითარდება. ამიტომ, უგუნურება იქნება, წინაღვუდგეთ ამ ყოვლისმომცველ პროცესს. ის აღ-გვის პირისაგან მიწისა ყველა დაბრკოლებას და რისხვად დაატყდება თავს მის ხელშემშლელებს. თუმცა ის, გარკვეულ ფარგლებში მაინც შეგვიძლია ვმართოთ. ამიტომ ვალდებულნი ვართ ისე წარვმართოთ საქმე, რომ გლობალიზაციის უპირატესობები გამოვიყენოთ ჩვენდა სასიკეთოდ და ამასთან ერთად მაქსიმალურად დავიცვათ თავი მისი უარყოფითი ზემოქმედებისაგან. გლობა-ლიზაციის იდეურ საფუძველს ინდივიდის აბსტრაქცია წარმოადგენს.

მსოფლიოს აღფრთოვანებს ჩვენი სიმღერაც და ცეკვაც, სწორედ იმიტომ რომ ქართულია. საქარ-თველომ საუკუნეების ქარტეხილს გაუძლო. ჩვენ უნდა შევინარჩუნოთ ჩვენი მამული, ენა, სარ-წმუნოება, ტრადიციები, ფოლკლორი, საერთოდ ჩვენი კულტურა. ე.ი. ეროვნულობა და ამ თა-ვისებურებებითა და კოლორიტით შევიდეთ მსოფლიო თანამეგობრობაში.

ჩვენ დიდი დაფიქრება გვმართებს. არ უნდა გადმოვიღოთ სხვათა გამოცდილება ბრმად. არამედ, მოვიძიოთ, გამოვიმუშაოთ და დავნერგოთ ეროვნულად ადაპტირებული დემოკრატიზმის ფორ-მები. ასეთი სახელმწიფოს საგარეო და საშინაო პოლიტიკა ერთმანეთისაგან გათიშულს კი არა, სახელმწიფო პოლიტიკის ერთიან ნაწილს უნდა წარმოადგენდეს და მიმართული იყოს შიდა პრობლემების გადაწყვეტაზე, ქვეყნისა და ხალხის მომავალზე.

გლობალიზაციის ეს ფორმა ჩვენგან საჭიროებს იდენტურობის მრავალჯერად და ალბათობის მრავალგზისობის დაშვებას. გლობალიზაცია თავისთავად გულისხმობს შევეგუოთ ახალი ტიპის მსოფლიოს. გასათვალისწინებელია, რომ გლობალიზაცია თანამედროვე ცივილიზაციის კანონ-ზომიერი განვითარების ბუნებრივი, თანმხლები პროცესია. ყველა პროგნოზით, მომავალში ის კიდევ უფრო მძლავრად განვითარდება. ამიტომ, უგუნურება იქნება, წინ აღვუდგეთ ამ ყოვლის-მომცველ პროცესს.

ჩვენი ქვეყანა მდებარეობს აზიისა და ევროპის გასაყარზე რის გამოც ის მუდამ ბრძოლებში იყო ჩართული, დღეს ის წარმოადგენს განვითარებად დემოკრატიულ სახელმწიფოს, რომელიც მი-ილტვის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისაკენ და ეკონომიკურად გაძლიერებისაკენ, ამი-სათვის მას სჭირდება ევროსივრცეში ინტეგრაცია და გლობალიზაციის გამოწვევებისათვის

მდგრადობის შენარჩუნება, მით უმეტეს რომ გლობალიზაცია საქართველოსთვის დადებითი შედეგების მომტანია ვინაიდან საქართველოს სულ უფრო მეტი ბაზრის ათვისება შეუძლია სხვადასხვა ქვეყანაში მათ შორის ამერიკის შეერთებულ შტატებშიც.

გამოყენებული ლიტერატურა:

1.აბრალავა ა. ეკონომიკისა და ბიზნესის გლობალურ-ინოვაციური პრობლემები. თბ., 2014.

2.მექვაბიშვილი ე. გლობალიზავიისა და მოდერნიზაციია ერთიანობა -- თანამედროვე ეკონომიკური სისტემის განვითარების პარადიგმა. ჟურნ. გლობალიზაცია და ბიზნესი. №6. 2016.

3.რატიანი გ. გლობალიზაციის ეკონომიკური პრობლემები. ჟურნ. გლობალიზაცია და ბიზნესი. №3. 2015.

■■■■

გლობალიზაციის პროცესები პატარა ქვეყნის განვითარებაში

Globalization processes in the development of a small country

ავტორი - **გურეშიძე გიორგი,** ივ. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელმძღვანელი - ასოც. პროფ. **თამარი დევიძე,** საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი.

Author - **Giorgi Gureshidze**, S*upervizor – Assoc. Prof.* **Tamar Devidze,** Georgian Technical University.

As far as Georgia is part of global economy, its fate depends on the ongoing process in world economy, so naturally the development of Georgia is determined with relations to the neighbor countries and their economics.

რადგან იქამდე შეიყვარა ღმერთმა სოფელი, რომ მისცა თავისი ერთადერთი ძე, რათა არავინ, ვინც მას ირწმუნებს, არ დაიღუპოს, არამედ ჰქონდეს საუკუნო სიცოცხლე.

(**იოანეს 3:16**)

თანამედროვე პირობებში საქართველომ თავისი განვითარების შესაძლებლობები ახლებურად უნდა დაინახოს და არა მხოლოდ გამოიყენოს, არამედ მსოფლიოს განვითარების ძირითად ფაქტორებს უნდა შეუხამოს.

გლობალიზაცია მრავალმხრივ რთული მოვლენაა, რომელიც თავს სხვადასხვა ხარისხზე იჩენს. ბევრი მას ეკონომიკას უკავშირებს. ეს გონიერია, რამეთუ ეკონომიკურ დონეზე, განსაკუთრებით ფინანსურ-ეკონომიკურ დონეზე, გლობალიზაციამ უკვე სწრაფ განვითარებას მიაღწია. მეტიც, ეკონომიკას ამა ქვეყნის ძლიერთათვის სტრატეგიული მნიშვნელობა გააჩნია, რადგან შეუძლია მისცეს და უზრუნველყოს ბატონობა დედამიწაზე, რომელიც ჩვენს დროში მსოფლიო ძლიერებასთანაა დაკავშირებული. მიუხედავად ამისა, გლობალიზაცია არ წარმოადგენს უპირატესად ეკონომიკურ მოვლენას, არამედ კაცთა ცხოვრების ყველა ხარისხზე ვრცელდება: პოლიტიკურ, ზნეობრივ, საზოგადოებრივ, მეცნიერულ, კულტურულ, სარწმუნოებრივსა და სულიერზე.

იმ საშუალებას, რომლის მეშვეობითაც გლობალიზაცია წარმატებას აღწევს ჩვენს დროში, წარმოადგენს ტექნოლოგია. თანამედროვეობის ინფორმაციულმა საშუალებებმა, ინტერნეტის ჩათვლით, მოგვცა კაცთა ცხოვრების ახალი მოდელები.

გლობალიზაციას დადებითი მხარეები გააჩნია, რომელთა შეუმჩნევლობაც არ შეიძლება. როგორც ადამიანების ორმხრივი დაახლოვების გამაადვილებელი ფაქტორი, იგი განასახიერებს ადამიანური ბუნების სიღრმისეულ მისწრაფებას. ამ თვალთახედვიდან, გლობალიზაცია არა მისაღები, არამედ აუცილებელიცაა.

პატარა სახელმწიფოს ერთ-ერთი უპირველესი მიზანი საერთაშორისო ასპარეზზე თავის წარმოჩენა, საკუთარი რაობის საერთაშორისო საზოგადოებისთვის გაცნობაა. განსაკუთრებით ეს ეხებათ ახალგაზრდა სუვერენულ სახელმწიფოებს, რომელთაც საერთაშორისო სისტემის წამყვან, უძლიერეს და უდიდეს სახელმწიფოებში ნაკლებად იცნობენ, ყოველი სახელმწიფოს მიზანი ხომ რეალურად საერთაშორისო ასპარეზზე თავის დამკვიდრებაა. დღეს კი ეს ასპარაზი, ასეა თუ ისე, გიგანტ სახელმწიფოებს უპყრიათ ხელთ და, აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ საკმაოდ მკაცრადაც აკონტროლებენ მას. დიპლომატიის და დიპლომატის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა კი სწორედ საკუთარი ქვეყნის წარმოჩენა, მის მიმართ კეთილგანწყობის შექმნა და მეგობრების მოძიებაა. ‘‘დიპლომატია საკუთარი სახელმწიფოსა და საკუთარი მოქალაქეების ინტერესების დაცვაა‘‘.

საქართველოს ეკონომიკური გლობალიზაციის მე-19 ადგილი მსოფლიოში, რაც ეკონომიკური თავისუფლების მაღალ დონეს ასახავს, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების იმ ინერციის წყაროა, რომელიც ამ საუკუნის დასაწყისიდან გვაქვს და თანდათანობით იკლებს. საქართველოს ბიზნესგარემოში ჩადებულია ის საძირკველი, რამაც შეიძლება ქვეყანა სწრაფად აქციოს განვითარებული ეკონომიკის მქონე მაღალშემოსავლიან ქვეყნად. ამისათვის, საჭიროა არა ამ ინერციის ბოლომდე ამოწურვა, არამედ ახალი რეფორმების გატარება და ხარვეზების გამოსწორება.

თუ ქვეყნებს, მაგალითად, ინგლისს, საფრანგეთსა და ჰოლანდიას საუკუნეები დასჭირდათ ეკონომიკური განვითარების მაღალი დონის მისაღწევად, ეკონომიკური გლობალიზაცია იძლევა შანსს, თანამედროვე ეკონომიკური მექანიზმებით იგივე გზა რამდენიმე ათწლეულში გავიაროთ. ამ შანსის გამოუყენებლობა რიგით პოლიტიკურ წაბორძიკებებზე ბევრად მძიმეა.

გლობალიზაციური პროცესები უბიძგებენ სახელმწიფოებს გლობალური პროცესების წინაშე ერთიანობისაკენ, ამასთან, მნიშვნელოვანი ცვლილებები შეაქვს სახელმწიფოთა საშინაო თუ საგარეო პოლიტიკაში.

გლობალიზაციას გარკვეულ პოზიტიურ სიკეთესთან ერთად თან ახლავს ნეგატიური შედეგებიც. საქმე გვაქვს, ამერიკელ მეწარმეთა სწრაფად მზარდი კაპიტალის გვერდით, ე. წ. მესამე სამყაროსა და პოსტსაბჭოთა ქვეყნებს შორის ეკონომიკურ დაპირისპირებასთან, რაც ანტიგლობალური მოძრაობის გამომწვევი მიზეზებია. მსოფლიოს ეკონომიკური სისტემის განვითარება და საერთაშორისო საფინანსო სისტემის მართვა ე. წ. განვითარებად ქვეყნებში არყევს ხალხის რწმენას გლობალიზაციის კეთილი მისიისა და მისი გავლენით ჩატარებული რეფორმების რაციონალურობაში.

პოლიტიკური ცხოვრების თანამედროვე ეტაპი ხასიათდება ეროვნული ინტერესების ცნების გართულებით. დღეს მსოფლიოს ქვეყნები ისეა ერთმანეთზე გადაჯაჭვული, რომ ეროვნული ეგოიზმის გამოვლინების არც ერთი ფაქტი არ რჩება რეაქციის გარეშე. გეოპოლიტიკური სივრცის სიმჭიდროვე განაპირობებს ძალთა ბალანსის მტკიცედ დაცვას. ეროვნული ინტერესები, ისე როგორც საერთაშორისო ურთიერთობის თეორიის სხვა საკითხები, ისტორიული კატეგორიაცაა. იგი განვითარების გარკვეულ სტადიებს გადის.

გლობალიზაციის პროცესების დაჩქარებისა და ზრდის პერიოდში განსაკუთრებული აქტუალობა შეიძინა კულტურებისა და ცივილიზაციების დიალოგის პრობლემამ. თვით ტერმინმა ,,დიალოგი'' უკანასკნელ ხანს გარკვეული ტრანსფორმაცია განიცადა. თუ კი ადრე ,,დიალოგი'' განიხილებოდა როგორც ინფორმაციის გაცვლა, დღეს იგი მიჩნეულია როგორც რთული შემოქმედებითი პროცესი ორი სხვადასხვა შეგნების, ღირებულებათა სხვადასხვა სისტემის, სხვადასხვა იდეური პოზიციების მქონე ურთიერთობისა, რომლის შედეგადაც, შესაძლოა, პრინციპულად ახალი კულტურული ფენომენის აღმოცენება. დიალოგის სუბიექტად გამოდის არა მხოლოდ ინდივიდები, არამედ თაობები, ეთნოსები, კონფესიები, სახელმწიფოები, კულტურები და ცივილიზაციები. დიალოგი განიხილება როგორც კულტურული მრავალფეროვნების დაცვის საშუალება.

შეუჩერებელი გლობალიზაციური პროცესების მიმდინარეობისას აუცილებელია თითოეული ერის საუკუნეებგამოვლილი ტრადიციების შენარჩუნება; შენარჩუნება იმ ყოველივე ფასეულისა, რაც ადამიანებს სხვადასხვა ფენომენის(ენა, სარწმუნოება, ფოლკლორი, კულტურის სხვადასხვა ორიგინალური კომპონენტი) სახით შეუქმნიათ. დღეს საქვეყნოდ აცხადებენ იუნესკოს ექსპერტების დასკვნას, რომ XXI საუკუნის ბოლოს ამჟამად არსებული 2000 ენიდან მხოლოდ 10% დარჩება. ეს მეტად მძიმე დასკვნაა, რაზეც სერიოზული ფიქრია საჭირო.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აბრალავა ა. ეკონომიკისა და ბიზნესის გლობალურ-ინოვაციური პრობლემები. თბ., 2014
2. აბრალავა ა. ეროვნული ეკონომიკა და გლობალიზაცია. თბ., 2005
3. აბრალავა ა. ეროვნული მეურნეობის უსაფრთხო და მდგრადი განვითარება გლობალიზაციის ეპოქაში. ჟურნ. „მაცნე“, № 3. 2003
4. ალექსიძე თ. გლობალიზაცია და მსოფლიო ინტეგრაცია ახალგაზრდა ეკონომისტის თვალით. თბ., 2007

5. ბასილია თ., სილაგაძე ა., ჩიკვაიძე თ., პოსტსოციალისტური ტრანსფორმაცია, საქართველოს ეკონომიკა XXI საუკუნის მიჯნაზე. თბ., 2001
6. გოგოხია რ. ეკონომიკის გლობალიზაციის ზოგიერთი პრობლემა. თბ., 2001
7. დევიძე თ. გლობალიზაცია და ეროვნული ეკონომიკის უსაფრთხოება. თსუ. საერთაშორისო საუნივერსიტეტთაშორისო სამეცნიერო შრომების კრებული. თბ., 2008
8. კლუმპი რ. ეკონომიკური პოლიტიკა. მიზნები, ინსტრუმენტები და ინსტიტუციები. თბ., 2015
9. ლუტიძე ბ. გლობალიზაცია, როგორც საყოველთაო ტენდენცია. თბ., 2002
10. ლუტიძებ. გლობალიზაცია: არსი, პრობლემები. თსუ. 2003
11. ჭანუყვაძევ. გლობალიზაცია და ეროვნული თვითმყოფადობა. გაზ. "განათლება, მეცნიერება, ბიზნესი", № 5. 2003

■■■■

იაპონური მენეჯმენტის წარმატების საიდუმლო

The Secret of Japanese Management Success

ავტორი - **ლაშა გონაშვილი, მარიამ მაჩიტიძე,** *ხელმძღვანელი* - პროფ. **ვალერი მოსიაშვილი,** საქ-რთველოს ეროვნული უნივერსიტეტი.

Author - **Lasha Gonashvili, Mariam Machitidze**, *Supervizor* –Prof. **Valeri Mosiashvili,** Georgian National University.

Japanese companies are working successfully in many parts of the world. They invest in foreign countries, the latest technologies and the new type of management systems that are approved in Japan. Japan as a very limited natural resource country effectively utilized its own human resources and managed to overcome the hardest succession of World War II and the unprecedented resurgence of the country in a short period of time. Japanese management became valuable in the world and many foreign companies started to introduce and implement its management system. Innovative Japanese management has been promoted by the governments of the local governments, as they were interested in local production, creating competitive products and promoting the economic growth of the country with the introduction of new markets. These processes are still intensive in different countries. The functioning and development of innovative, competitive enterprises in today's globalization is unimaginable without the use of modern innovative management. Economic development in Georgia depends on how comprehensive and proven management systems and management are in the business. From this point of

view, Japanese management transfer and adaptation will significantly contribute to the development of business and the economic prosperity. This topic is not new for the world, but it is important for Georgia, as long as the enterprises have not begun to introduce different methods of innovative management. They need further refinement, continuation and introduction of new methods in order to secure Georgia in the global economic space. Many works have been devoted to studying Japanese management issues in western scientific literature and debates over the years are whether the Japanese management methodology is transferred to other countries. Important share of Japanese management systems and methods has actually been transferred to other countries.As you know, Toyota is on the first place in the world in terms of volume of production and sales volume. The success of Toyota is associated with Sikichi Toyota. He was called "King of Japanese Inventors" and "Father of Japanese Industrial Revolution". In 1985, the Japanese Patent Bureau entered the list of the 10 most important and well-known inventors in the history of Japan. His most important invention was - Jidoka. The principle is one of the components of the method that has been based on the Toyota Corporation of the United States since the 1930s.The main tools of Japanese management are:"5 why" means the method of causing the cause of the problem. "5 Why" - is the methodology of basic tiata management; Why? Repeat the question five times in the question becomes clear, which makes it easier to find ways to solve it.Andon - Andon - Japanese "Paper Lamp". This is an industrial term and method that informs the workers, managers, management, and the problem of the product quality related to the product quality. Andon's system is the main element of quality control of Jidoka.Genchi Genbutu (Genchi Genbutsu) means "Go to the spot and see". This is the basic principle of Toyota production system and the main tool for solving the problemMoody, Moore, and Murah. The muda (muda) from Japanese means unnecessary, unnecessary, loss. The loss of losses is an effective way to increase profit.Just-in-time and Kaizen systems. The jazt-in-the-time method of warehouse is considered as a burden for production and a source of loss for the company. Therefore, according to this method it is better for the company not to have a warehouse or to have only the most necessary, crucial supplies.Lynn Management or Link Production. This is an approach that discusses all the expenses that do not create the value of the company and will reduce it to zero.Sigma Six sigma. The term "Six Sigma" originates from statistical studies that enable the modeling of manufacturing processes. It is a manufacturing process whereby the 99,99966 percent of the details made in the amount of statistical expectations of freedom from their defects, which means that the number of defects in a million separate product should be more than 3,4.

Keywords: Japanese management, globalization, management system, industrial revolution, lynn management

იაპონური მენეჯმენტის წარმატების საიდუმლო

მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში იაპონური კომპანიები წარმატებით მუშაობენ. ისინი უცხოეთის ქვეყნებში აბანდებენ ინვესტიციებს, უახლეს ტექნოლოგიებს და ნერგავენ ახალი ტიპის მენეჯერულ სისტემებს, რომლებიც აპრობირებულია იაპონიაში. იაპონიამ როგორც ძალიან მწირი ბუნებრივი რესურსების ქვეყანამ, ეფექტურად გამოიყენა საკუთარი ადამიანური რესურსები და შესძლო მისი მეცნიერულად გააზრებული, სწორი მართვით მეორე მსოფლიო ომის უმძიმესი მემკვიდრეობის გადალახვა და ქვეყნის არნახული აღორძინება დროის მოკლე პერიოდში. იაპონური

მენეჯმენტი ღირებული გახდა მსოფლიოში და მრავალმა უცხოურმა კომპანიამ დაიწყო მისი მენეჯმენტის სისტემის გადმოღება და დანერგვა. ინოვაციური იაპონური მენეჯმენტის იმპორტს ხელს უწყობდა ადგილობრივი ქვეყნების მთავრობები, რადგან ამ გზით ისინი დაინტერესებულები იყვნენ სრულყოთ ადგილობრივი წარმოება, შეექმნათ კონკურენტუნარიანი პროდუქცია და ახალ ბაზარზე დანერგვით ხელი შეეწყოთ ქვეყნის ეკონომიკურ გაძლიერებას. ეს პროცესები დღესაც ინტენსიურად მიმდინარეობს სხვადასხვა ქვეყანაში. დღევანდელი გლობალიზაციის პირობებში ინოვაციური, კონკურენტუნარიანი საწარმოთა ფუნქციონირება და განვითარება წარმოუდგენელია თანამედროვე ინოვაციური მენეჯმენტის გამოყენების გარეშე. საქართველოში ეკონომიკის განვითარება დამოკიდებული ხდება იმაზე, თუ რამდენად სრულყოფილი და აპრობირებული მართვის სისტემები და მენეჯმენტია დანერგილი ბიზნესში. ამ თვალსაზრისით, იაპონურ მენეჯმენტის ტრანსფერი და ადაპტირება საქართველოში მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ბიზნესის განვითარებას და ეკონომიკის სრულყოფას. ეს თემა ახალი არ არის მსოფლიოსთვის, მაგრამ აქტუალურია საქართველოსთვის, რადგან დიდი ხანი არ არის რაც საწარმოებმა დაიწყეს ინოვაციური მენეჯმენტის სხვადასხვა მეთოდების დანერგვა. მათ სჭირდებათ შემდგომი დახვეწა, გაგრძელება და ახალი მეთოდების შემოღება იმისათვის, რომ საქართველომ თავი დაიმკვიდროს გლობალურ ეკონომიკურ სივრცეში.

დასავლეთის სამეცნიერო ლიტერატურაში იაპონური მენეჯმენტის საკითხების შესწავლას მრავალი ნაშრომი მიეძღვნა და წლების განმავლობაში მიმდინარეობს დებატები თემაზე, არის თუ არა იაპონური მენეჯმენტის მეთოდოლოგია გადატანადი სხვა ქვეყნებში. იაპონური მართვის სისტემების და მეთოდების მნიშვნელოვანი წილი ფაქტიურად უკვე გადატანილია სხვა ქვეყნებში.

როგორც მოგეხსენებათ, მთელს მსოფლიოში ტოიოტა პირველ ადგილზე დგას ავტომობილების წარმოების რაოდენობით და გაყიდვების მოცულობით. ტოიოტას წარმატება დაკავშირებულია საკიჩი ტოიოდას სახელთან. მას უწოდებდნენ „იაპონელ გამომგონებელთა მეფეს“ და „იაპონიის ინდუსტრიული რევოლუციის მამას“. 1985 წელს იაპონიის საპატენტო ბიურომ იგი შეიყვანა იაპონიის ისტორიაში 10 ყველაზე მნიშვნელოვანი და ცნობილი გამომგონებელის სიაში. მისი ყველაზე მნიშვნელოვანი გამოგონება იყო - ჯიდოკა. პრინციპი ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია იმ მეთოდისა, რომელიც საფუძვლად დაედო 1930-იან წლებიდან ცნობილი ტოიოტას საწარმოების სისტემას.

იაპონური მენეჯმენტის ძირითადი ინსტრუმენტებია:

„5 რატომ“ - ანუ პრობლემის გამომწვევი მიზეზის აღმოჩენის მეთოდიკა. ,,5 რატომ''-ის მეთოდიკა არის საბაზისო ტიოტას მენეჯმენტში; რატომ? კითხვის ხუთჯერ გამეორებით პრობლემის არსი ცხადი ხდება, რაც აადვილებს მისი გადაჭრის გზებს.

ანდონი – Andon – იაპონურად „ქაღალდის ლამპარი“. ეს არის საწარმოო ტერმინი და მეთოდი, რომელიც ატყობინებს მუშებს, მენეჯერებს, ხელმძღვანელობას, პროდუქტის ხარისხთან დაკავშირებულ ამა თუ იმ საწარმოო პროცესის პრობლემას. ანდონის სისტემა არის ჯიდოკა (Jidoka) ხარისხის კონტროლის მთავარი ელემენტი.

გენჩი გენბუცუ - (Genchi Genbutsu) ნიშნავს „მიდი ადგილზე და ნახე“. ეს არის ტოიოტას საწარმოო სისტემის ძირითადი პრინციპი და პრობლემის გადაჭრის ძირითადი ინსტრუმენტი

მუდა, მური, მურა. მუდა (muda) იაპონურიდან ნიშნავს არასაჭიროს, უსარგებლოს, დანაკარგს. სწორედ დანაკარგების შემცირება არის მოგების გაზრდის ეფექტური გზა.

ჯასტ-ინ-ტაიმ (Just-in-time) და კაიზენის (Kaizen) სისტემები. ჯასტ-ინ-ტაიმ მეთოდი საწყობს განიხილავს როგორც ტვირთს წარმოებისთვის და დანაკარგების წყაროს კომპანიისთვის, ამიტომ ამ მეთოდის მიხედვით, ჯობია კომპანიას სულ არ ჰქონდეს საწყობი ან გააჩნდეს მხოლოდ ძალზე საჭირო, მიზერული მარაგები.

ლინ მენეჯმენტი ანუ ლინ წარმოება. ეს არის მიდგომა, რომელიც განიხილავს ყველა იმ დანახარჯს, რაც არ ქმნის კომპანიაში ღირებულებას და საჭიროა მის ნულამდე შემცირებს.

6 სიგმა Six sigma. ტერმინი „ექვსი სიგმა“ სათავეს იღებს სტატისტიკური კვლევებიდან, რომელიც საწარმოო პროცესების მოდელირების საშუალებას იძლევა. იგი არის ისეთი საწარმოო პროცესი, რომლის დროსაც დამზადებული დეტალების მოცემული 99,99966 პროცენტი რაოდენობისთვის არსებობს მათი დეფექტისგან თავისუფლების სტატისტიკური მოლოდინი, ანუ მილიონ ცალ მზა პროდუქტში დეფექტების რაოდენობა უნდა იყოს 3,4 ცალზე მეტი.

იაპონურ მენეჯმენტს არ აქვს მხოლოდ ეროვნული ხასიათი. ბოლო ოცდაათი წლის განმავლობაში დაფუძნებული იაპონურ საწარმოთა მრავალი ფილიალი, რომლებიც წარმატებულად მუშაობენ როგორც განვითარებად, ისე განვითარებულ ქვეყნებში, მეტყველებენ იმაზე, რომ იაპონური მენეჯმენტის სხვა ქვეყნებში გამოყენება არის შესაძლებელი. იაპონური მენეჯმენტის ეფექტიანობის პირობები, მართვის მეთოდების გამოყენების არეალი, მართვაში გამოყენებული სპეციფიური ინსტრუმენტები და ორგანიზაციული აქცენტების ერთობლიობა საშუალებას იძლევა დავასკვნათ,რომ მართვის იაპონური მეთოდები ცალ-ცალკე აღებული არის ტრივიალური საქმიანობა და მათი განყენებულად წარმოდგენა არ იძლევა მათი წარმატებული ინტერნაციონალიზაციის საშუალებას. მენეჯმენტის მეთოდების ინტეგრირება და მათი მიზანმიმართული გამოყენება ორიენტირებული უნდა იყოს ოპერაციულ მიზნებსა და მათ მონაცვლეობაზე.იაპონური მენეჯმენტის თავისებურებებს ქმნის ადამიანისეული რესურსების ტოტალური მონაწილეობა და მოქნილობა, რომლის ტრანსფერიც გარკვეული მოდიფიკაციით სხვადასხვა ქვეყნის კომპანიების სამეწარმეო საქმიანობაში წარმატებული გახდა.იაპონური მენეჯმენტის თავისებურება განსაზღვრულია სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის და ინვესტიციების მართვის სახელმწიფო პოლიტიკით, საგადასახადო შეაღავათების სისტემით და კომპანიების საკუთარი საქმიანობით. იაპონური მენეჯმენტის ჩამოყალიბების პირობებისა და განვითარების მიმართულებების, მისი სხვადასხვა ქვეყნების ტრადიციული მენეჯერული სისტემებთან შედარებისა და კვლევების ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ იაპონური მენეჯმენტის მახასიათებლები, ცვალებადობა ბიზნეს-გარემოს შესაბამისად, გუნდური მუშაობის პრონციპები, კაიზენი, ხარისხის ჯგუფები, ჯასტ-ინ-ტაიმ წარმოების სისტემა, კანბან სისტემა, ლოიალობა კომპანიის მიმართ და სხვ. არის ის საქმიანობები, რომელიც ღირებულია სხვა ეროვნული კომპანიებისათვის, ხოლო იაპონურისაგან განსხვავებული შედეგზე ორიენტირებული ანაზღაურების სისტემა, ელასტიურობაზე ორიენტაცია, სამუშაო ძალის მობილობის გაზრდა, შრომის ბაზრის აქტიური გამოყენება, დეცენტრალიზირებული ორგანიზაციული სტრუქტურები, ლიდერობის განვითარება მცირე ჯგუფებში და სხვ. რაც ნკლებად დამახასიათებელია იაპონური კომპანიებისათვის, ქმნის იაპონური მენეჯმენტის მოდიფიკაციის საშუალებას. იაპონურ მენეჯმენტი არის სიცოცხლისუნარიანი ცვა-

ლებადი ეკონომიკური გარემოს მიმართ და აქვს მაღალი ადაპტაციისა და ტრანსფორმაციის შესაძლებლობები. იაპონური მენეჯმენტი არ ემყარება უნიფიცირებულ მეთოდოლოგიას. მისთვის დამახასიათებელია ტრანსფორმაციული ბუნება და ახდენს არსებული ვითარებასა და გარემო ცვლილებებზე მყისიერ რეაგირებას. იაპონურ კომოანიებში ინერგება მართვის ის პრაქტიკა, რაც დროის მოცემული მომენტისათვისა არის გამოსადეგი ეკონომიკურ გარემოში სწრაფად შეგუების მიზნით. მისი ეს ბუნება გახდა მსოფლიოს მკვლევარების სხვა ქვეყნის მოდელებთან ადაპტირების ობიექტი. თანამედროვე ეკონომიკური კრიზისისა და მძაფრი კონკურენციის ფონზე მსოფლიოში იაპონური მართვისადმი დაინტერესება მცირდება, ამასთან ძლიერდება იაპონური კომპანიების ამერიკულ მენეჯმენტთან დაინტერესება, რაც ფაქტობრივად ახდენს იაპონური მენეჯმენტის პრაქტიკის ინდივიდუალიზაციას. მენეჯმენტის ინდივიდუალიზაცია ქმნის იაპონური და სხვა მართვის მოდელების დაახლოების საშუალებას. იაპონური მენეჯმენტის ტრანსფორმაცია არ არის მხოლოდ კულტურაზე მიბმული, არამედ არის კომპანიის საჭიროებიდან გამომდინარე ბუნებრივი განვითარების შედეგი. წარმატებული იაპონური კომპანიების მენეჯმენტის თეორიასა და პრაქტიკაში შეინიშნება ეკონომიკურ გარემოს ცვლილებებთან დაკავშირებული ინტერნაციონალური ხასიათის ცვლილებები.

იაპონურ კომპანიებში ტრადიციული მენეჯმენტი, რომელიც ემყარება ძირითადად ადამიანური რესურსების მართვას, ეფექტურია ცვალებად ეკონომიკურ გარემოში, ხოლო როცა ეს ცვალებადობა არ არის ძალიან მკვეთრი, მაშინ იგი რჩება სიცოცხლისუნარიანი, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლებელია პარალელურად კომპანიებში ხდება მისი მოდერნიზაცია. დადგენილია იაპონური მენეჯმენტის მთელი სისტემის და მისი ცალკეული ნაწილის ტრანსფერის შესაძლებლობა და ხარისხი, გამოვლენილია ამ მიმართულებით წინააღმდეგობები და აღნიშნულია, რომ: იაპონური მენეჯმენტის საერთაშორისო ტრანსფერი არის ხანგრძლივი პროცესი და დაკავშირებულია მრავალ ინსტიტუციონალურ ფაქტორთან და გარემოებასთან, მათ შორის შრომის ბაზრის მდგომარეობასთან. მისი ტრანსფერი წარმატებულია ისეთ ბაზრებზე, სადაც სამუშაო ძალა არის ჰომოგენური და იგი ნაკლებად შესაძლებელია ჰეტეროგენულ სამუშო ძალის გარემოში. გასათვალისწინებელია კულტურული ფასეულობების თავისებურებებიც. იაპონური მენეჯმენტის საერთაშორისო ტრანსფერის დროს ხდება მართვის ტრადიციული მეთოდოლოგიის და მენეჯმენტის ტრანსფერის ხარისხის ინტენსივობის ცვლილებაც. არ არსებობს იაპონური მენეჯმენტის შაბლონური მეთოდოლოგია და პრაქტიკა, რომელიც გამოიყენება საზღვარგარეთ;

დადგენილია, რომ ქართული სამეცნიერო აზრი და მკვლევართა ინტერესი იაპონური მართვის მეცნიერებისადმი წავიდა ორი მიმართულებით: ერთის მხრივ, ხდებოდა იაპონური მენეჯმენტის სახელმწიფოს მიერ მართვის შესწავლა და სხვა ქვეყნებზე მის ეფექტებზე დაკვირვება. მეორეს მხრივ კი, განისაზღვრა ადამიანის მართვის ფენომენი იაპონურ მენეჯმენტში და ორგანიზაციის მართვაში კულტურის როლის მნიშვნელობა; ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში არ არის ასხული ქართული კულტურული ფენომენის იაპონურ მენეჯმენტთან შეთავსებითობა და ამ გარემოებათა გათვალისწინებით არ მომხდარა იაპონური მენეჯმენტის ქართულ ეკონომიკურ სინამდვილეში ტრანსფერის შესაძლებლობის განსაზღვრა; კვლევები ფრაგმენტული ხასიათისაა, სადაც იაპონური მენეჯმენტი აღებული იყო როგორც ნიმუში, მაგრამ არა როგორც სისტემა.

არსებობს იაპონური მენეჯმენტის ადაპტაციის შესაძლებლობა საქართველოში. იაპონური მენეჯ-მენტის ტრანსფერის ხარისხი საქართველოში დამოკიდებულია კულტურათა განსხვავების გან-ზომილებებზე, პერსონალის 183 მართვის მახასიათებლებზე და ძალაუფლების გამოყენების თა-ვისებურებებზე. ტრანსფერი დამოკიდებულია ასევე ინსტიტუციური მშენებლობის პროცესზეც და ამ პროცესში რეგულაციური, ნორმატიული და კოგნიტური ხერხების გამოყენებაზე. მოცემუ-ლი ქვეყნის კომპანიაში შესაძლებელია გადაინერგოს იაპონური მენეჯმენტის არსებითი თვისე-ბები, თუ ჯეროვანი ყურადღება მიექცევა კომპანიაში ორგანიზაციული სტრუქტურისა და ორგა-ნიზაციული კულტურის ტრანსფორმაციის საკითხებს.

მართალია, კულტურული მახასიათებლები განსაზღვრავენ იაპონური მენეჯმენტის ტრანსფერის შესაძლებლობებს ნებისმიერ ქვეყანაში, მაგრამ იაპონურ მართვის მეთოდოლოგიის ტოტალური გადატანა მაინც შეუძლებელია ყველა ქვეყანაში და რამდენადაც საქართველოში იაპონიასთან თანხვედრი კულტურული ორიენტაციის თვისებები არსებობს, ამიტომ არსებობს იმის შესაძლებ-ლობებიც, რომ საქართველოში დაინერგოს და ადაპტირდეს იაპონური მენეჯმენტი, რომლის გან-ხორციელებაც შესაძლებელია შემდეგი ღონისძიებების გატარებით: იაპონური მენეჯმენტის და-ნერგვისათვის საქართველოს საწარმოებში, საჭიროა მეწარმეებმა შეისწავლონ იაპონურ კომპანი-ათა მენეჯმენტის მეთოდოლოგიის თეორია და პრაქტიკა, მართვის ისეთი ინსტრუმენტები, რო-გორიცაა ტოტალური ხარისხის მენეჯმენტი, კაიზენი, ხარისხის ჯგუფები, ჯასტ-ინ-ტაიმ წარმო-ების სისტემა, კანბან სისტემა და ა.შ. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია სწავლებას და მათი და-ნარგვის მიმართულებებს ხელი შუწყოს როგორც სასწავლო-კვლევითმა ინსტიტუტებმა და უნი-ვერსიტეტებმა, ასევე ინსტიტუციური დახმარება გაუწიოს ხელისუფლებამ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბარათაშვილ ე., ლიდერობა და გუნდური მუშაობა მენეჯმენტის ეფექტურობის განმსაზღვრე-ლი, ჟურნალი "სოციალური ეკონომიკა", 2009,

2. ბარათაშვილი ე., ინოვაციური მენეჯმენტის რეგიონული ასპექტები, ჟურნალი ,,სოციალური ეკონომიკა'', 2012,

3. ბარათაშვილი ე., ბერიკაშვილი ლ., ოთინაშვილი რ., აბრალავა ა... ბიზნესის ქსელური ორგანი-ზაცია: კლასტერული მენეჯმენტი და უსაფრთხოება, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტე-ტი, თბილისი, 2013.

4. https://www.insidejapantours.com/japanese-culture/

5. https://www.toyota.com/

■■■■

Development of Georgian marketing

ავტორი - **თეა ბოჭორიშილი, ამანდა ცუცქირიძე,** *ხელმძღვანელი* - ასოც. პროფ. **ნარგიზა ქარქაშა-ძე,** აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

Author - **Tea Botchorishvili, Amanda Tsutskiridze**, *Supervizor* – Assoc. Prof **Nargiza Karkashadze,** *Akaki Tsereteli State University.*

The marketing function plays the major role in establishing and maintaining contacts between a company and its markets. However,the scope of marketing activities is ratherbroad, and the role of various types of marketing activities heavily depends on the characteristics of a company and its strategy. On the other hand, their importance and role is a kind of a function of managerial perceptions about marketing. Given that the value of the marketing function contributes to perceived firm performance beyond that explained by an organization wide market orientation, the question then becomes: What types of knowledge and skills does a valued marketing function possess? We proposed that three distinct types of knowledge and skills, related to managing connections between customers and products, service delivery, and financial accountability, would improve marketing's contribution to the firm. Marketing encompasses not only determines consumer need, it also helps create consumer need.

Key Words : Georgia, Marketing, Advertising, Branding, Development

დღეისთვის არსებულ კონკურენტულ გარემოში კომპანიის წარმატებული არსებობისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია გამოირჩეოდეს კონკურენტებისგან დასამახსოვრებელი ნიშან-თვისებით, რომლითაც აღქმული და დასამახსოვრებელი იქნება მომხმარებლის გონებაში. ბრენდინგის საფუძველი არის ბრენდის იდენტობა, ეს არის კომპანიის ვიზუალური სახე, რომელიც კომპანიის სახელით ერთვება კომუნიკაციაში მომხმარებელთან. მნიშვნელოვანია, რომ მას შეეძლოს სწორი, ძლიერი და დასამახსოვრებელი მესიჯების გაგზავნა მომხმარებლისთვის.

ჩვენ, შეგვიძლია აღვნიშნოთ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი, რომ სუფთა ბიზნესსა და ქვეყნის ეკონომიკას შორის დამაკავშირებელი არის თავისუფალი ანუ კონკურენციული გარემო, რომლის განხორციელებადობა გამოიხატება მარკეტინგის განვითარებაში, ბოლო თავის მხრივ მარკეტინგის განვითარება ითვალისწინებს მომხმარებელთა ინტერესების გათვალისწინებას. ე.ი. როგორი განვითარების ეტაპიც გვაქვს მარკეტინგულ საქმიანობაში, ისეთივე მდგომარეობა აისახება ქვეყნის ეკონომიკაშიც.

თანამედროვე მარკეტინგი გულისხმობს გაცილებით მეტს, ვიდრე უბრალოდ პროდუქტის შექმნას და მიზნობრივი მომხმარებლის მოპოვებას. თანამედროვე მარკეტინგისთვის მნიშვნელოვანი ამოცანაა ბრენდსა და მომხმარებელს შორის ემოციური კავშირებისა და დამოკიდებულებების შექმნა და მათი შენარჩუნების სტიმულირება.

საქართველოში, განვითარებადი ქვეყნების მსგავსად, ცვალებადი გარემოა და ცვლილებების პროცესს პროფესიონალური მიდგომა სჭირდება, რათა ის უმტკივნეულოდ და ეფექტურად განხორციელდეს, მაქსიმალურად სწრაფად მოერგოს თანამედროვე საზოგადოების მოთხოვნებს და გააგრძელოს განვითარება.

ჩვენ შეგვიძლია ვისაუბროთ იმაზე, თუ რა პრობლემები აქვთ ქართულ ბაზარზე კომპანიებს:

- •მომხმარებელი კარგად არ იცნობს ბრენდს
- •განუსაზღვრელია პოზიციები - რა ნიშა უკავია, ან უნდა დაიკავოს ბაზარზე?
- •რით არის გამორჩეული, რატომ უნდა ენდოს მას მომხმარებელი
- •არ არის ფორმირებული ბრენდის გამომხატველი კორპორატიული ატრიბუტიკა - სახელი, სლოგანი, ლოგო, ბრენდ-ბუქი და ა.შ

თანამედროვე ბიზნესში ბრძოლა მიმდინარეობს მომხმარებლის გონებაში და ის, ვინც აქ გაიმარჯვებს შეძლებს გაიმარჯვოს ბაზარზეც.

მარკეტინგის განხორციელება არაბრენდირებული კომპანიისთვის იგივეა, რაც მდინარეში გაშვებული თევზების ძებნა, შესაძლოა თევზი იპოვოთ, მაგრამ ყოველ ჯერზე ეს იქნება სხვა თევზი, რომლის დასაჭერად ყოველ ჯერზე დაგჭირდებათ ერთნაირი ძალისხმევა.

სწორი ბრენდინგის 5 ოქროს წესი:

1.ორიგინალური დიზაინი- რომელიც გადმოსცემს მთავარ მესიჯს

2.ბრენდის რეპუტაცია- სანდოობის განცდა

3.ლოიალური განწყობის შექმნა. (ფასი, ფერი, დამოკიდებულება)

4.მომხმარებლის ემოციური დაკავშირება შესათავაზებელ პროდუქტთან.

5.ძებნის ხელსაწყოები ინტერნეტში, ძიების სიადვილე

მარკეტინგმა და მარკეტინგულმა კომუნიკაციებმა განვითარების რთული გზა განვლო და დღეისათვის განვითარების ახალ ეტაპზე გადავიდა. მწარმოებლებს საშუალება მიეცათ გამოიყენონ მარკეტინგული კომუნიკაციის ის საშუალებები, რომელთაც წლების წინ მხოლოდ ვიწრო სეგმენტი - რამდენიმე კომპანია იყენებდა. ძირითადად, დიდი შემოსავლების მქონე, ძლიერ კომპანიებს შეეძლოთ სატელევიზიო რეკლამით სარგებლობა. თანამედროვე რეალობაში სატელევიზიო რეკლამას ანაცვლებს სოციალური მედია, რაც, მსხვილი კომპანიების მსგავსად, მცირე კომპანიებსაც აძლევს საშუალებას - ეფექტურად, მცირე დანახარჯით გამოიყენონ მარკეტინგული კომუნიკაციები.

დღეს კარგი რეკლამით შორს "გაფდრინდები". მარკეტერები და პიარის სპეციალსიტები თვლიან, რომ ნახევარ საქმეს კარგად შეფუთული და მომხარებლამდე კარგად მიტანილი რეკლამა აკეთებს.

რეკლამა არც XX და არც XXI საუკუნის "მონაპოვარი" არ არის. ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე უძველეს ცივილიზაციებში სხვადასხვა ხერხით ავრცელებდნენ ინფორმაციას. II-III საუკუ-

ნეების ძველ საბერძნეთსა და რომში სავაჭრო განცხადებებს ხის დაფებზე, სპილენძის ფირფიტებსა და ძვლებზე წერდნენ და თვალსაჩინო ადგილზე აკრავდნენ. გარდა ამისა, დაქირავებული ადამიანები საზოგადოებრივი შეკრების ადგილებში ხმამაღლა კითხულობდნენ სავაჭრო თუ სხვა სახის განცხადებებს.

ნამდვილი თანამედროვე რეკლამის წარმოშობას XV-XVI საუკუნეებში ვენეციელ გამომცემელს - მანუცის მიაწერენ. ვენეციელმა წიგნის გამყიდველმა ა. მანუციმ მომხმარებლის მიზიდვის მიზნით, წიგნების სათაურების ქაღალდის ცალკე ფურცლებზე ბეჭდვა და თავისი მაღაზიის წინ ვიტრინებში გამოფენა დაიწყო.

XVII საუკუნეში ბეჭდვის საყოველთაო შემოღებამ და წერა-კითხვის მასობრივმა გავრცელებამ, ხელი შეუწყო რეკლამის განვითარებას. დროთა განმავლობაში რეკლამა მომგებიან ბიზნესად იქცა, შესაბამისად გიზარდა მასში ჩადებული ხარჯებიც.

XIX საუკუნის საქართველოში, ისევე როგორც რამდენიმე საუკუნის წინ ევროპაში, რეკლამის განვითარებას ბეჭდურმა მედიამ შეუწყო ხელი. თავდაპირველად გაზეთები გამოიყენებოდა რიგითი პოლიტიკური, სოციალური თუ კულტურული მოვლენების აღსაბეჭდად. თუმცა XIX საუკუნის მეორე ნახევარში მკაფიოდ იკვეთება გაზეთებში რეკლამების განთავსების ტენდენცია.

1861 წელს გამოდიოდა სასოფლო-სამეურნეო გაზეთი "გუთნის დედა", რომელშიც პირველი ქართული რეკლამა განთავსდა. გაზეთის გარეკანზე არც მეტი, არც ნაკლები, იმპორტული საქონელი იყო დაბეჭდილი და რეკლამა სასოფლო-სამეურნეო ხასიათს ატარებდა.

ამავე პერიოდში ძალიან ცნობილი იყო ლაღიძის სარეკლამო აბრები, რომლებიც მისსავე მაღაზიაში იყო გამოკრული. "თუ გინდა იყო ლამაზი ქალი, უნდა დალიო ლაღიძის წყალი". რეკლამა უკეთდებოდა ასევე უცხოური წარმოების ფეხსაცმელებს, ე. წ საკერავ და სათიბ მანქანებს, თერძებს, ძმები ჟორჟოლაძეების აბანოს და სხვა. სარეკლამო ტექსტები კი დაახლოებით ასეთი შინაარსის იყო: "ფასები შეუვაჭრებლად", " სლავიანსკი ნომრები როგორც ოჯახისთვის, ისე უცოლშვილოებისთვის"... როგორც ამ ტექსტებიდან ჩანს, პირველი ქართული რეკლამის ავტორები ნამდვილად შეთანხმდნენ, რომ ჩვენი ეროვნული რეკლამა მაქსიმალურად პოზიტიური და იუმორისტული უნდა ყოფილიყო.

საქართველოში პირველი სატელევიზიო რეკლამა 1950-იანი წლების ბოლოს გავიდა. მაშინ ქართულ ჯემს რეკლამირებას ტელეწამყვანი ჟანეტა არჩვაძე უწევდა. საბჭოთა კავშირში რეკლამა "ექსპლუატატორთა სოციალურ იარაღად" მიაჩნდათ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოეთში გავრცელებული იყო რეკლამის თავისებური სახე, რომელსაც საბჭოთა რეკლამას უწოდებენ. ის მოუწოდებდა მოსახლეობას შეენახა ფული შემნახველ სალაროებში, დაეცვათ საბჭოთა კავშირის საზღვრები, ჩაწერილიყვნენ მოხალისეებად და ა.შ.

დღეს კი საგაზეთო, რადიო და სატელევიზიო რეკლამებს ძლიერი კონკურენტი გამოუჩნდა ინტერნეტ-რეკლამის სახით, რომელიც მსოფლიოშიც და საქართველოშიც რეკლამის ყველაზე სწრაფად განვითარებადი სახეობაა.

“Guerilla marketing” კრეატიულობა თუ ეკონომიური გამოსავალი?

ამ ტექნიკას მსოფლიოში მრვალი წელია ბევრი ცნობილი და წარმატებული ბრენდი მიმართავს. მსგავსი ტიპის რეკლამა, როგორც წესი მომხარებელს ყოველთვის ამახსოვრდება და გარკვეულ შემთხვევაში სალაპარო თემაც იქმნება. . .

2012 წლის დასაწყისში ვაკის სოსისების არასტანდარტულმა გარე რეკლამამ, სწორედ ამ ტექნიკის გამოყენებით კომპანიას დიდი წარმატება მოუტანა.

2013 წელს ბაზარზე რეკლამის შედარებით ახალი საშუალება გამოჩნდა. კომპანია „თოლიამ“ მომ-ხმარებელს რეკლამა დირიჟაბლზე შესთავაზა.

“სიგიჟე”- სწორედ ასე შეიძლებოდა იმ დროს შეგვეფასებინა ქალაქგარეთ გახსნილი ჰიპერმარკე-ტი , იმავე პერიოდში როდესაც გუდვილი გაიხსნა, სახლთან მდგომ ჯიხურში გამყიდველი ნე-ბისმიერ პროდუქტს, თავისი ხელით გაწვდიდა. მომხმარებლის ქცევაც განსხვავდებოდა და ძი-რითადად მაღაზიაში ვიზიტიც ყოველდღიური იყო.

გუდვილი არასოდეს იყო პოზიციონირებული, როგორც იაფი ჰიპერმარკეტი , იგი მიმზიდველი იყო საშუალო და მაღალი შემოსავლების მქონე ადამიანებისათვის, ბაზარზე ახალი ძლიერი კონ-კურენტის Carrefour-ის გამოჩენის შემდეგ გუდვილის ქცევები “დაბნეული/შეშინებული” ადამი-ანის შთაბეჭდილებას ტოვებდა, და გაჩნდა გუდვილის “სიიაფის” მესიჯები “იაფია” „ყველაფერ-ზე 10% დასდაკლება“, და ა.შ

ამ სფეროში კონკურენცია ძალიან საინტერესო ხდება, აქტიურდება სხვადასხვა მწარმოებელი და შესაბამისად ცვლილებებია მოსალოდნელი ბაზარზე. ერთ-ერთი ასეთი სიახლე ნაბეღლავის გა-ნახლებული დიზაინი და „მკვეთრი გემოა“. 2017-2018 წლებში „ნაბეღლავმა“ მომხმარებლებს სი-ახლე შესთავაზა. მინერალური წყალი გაყიდვაში ლაიმისა და გრეიფრუტის ექსტრაქტით გამო-ვიდა. კომპანიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი ვიქტორია ჟიჟკო ამ-ბობს, რომ პროდუქტი ახალგაზრდა სეგმენტზე არის გათვლილი.

სიახლე შესთავაზა მაყურებელს ნატახტარმაც, მსოფლიო საფეხბურთო ჩემპიონატის განმავლო-ბაში „ნატახტარმა“ სახელი და შეფუთვა იცვალა და საფეხბურთო ლუდ „გოოოოლად“ მოგვევ-ლინა.

„როდესაც გაჩნდა იდეა, ბრენდის სახელი, საგანგებოდ ჩემპიონატის განმავლობაში, შეგვეცვალა და მისთვის „გოოოოლი“ (საფეხბურთო ნატახტარი) დაგვერქმია, ვიფიქრეთ, რომ ბრენდის ათ-წლიანი ისტორია და მაღალი ცნობადობა გვაძლევდა ასეთი თამამი ნაბიჯის გადადგმის საშუა-ლებას. ამ გზით, ლუდი „ნატახტარი“ ფეხბურთის ყველაზე სასიამოვნო მომენტთან დავაკავში-რეთ.“ (ანა ქარჩავა, „ნატახტარის“ უფროსი ბრენდ მენეჯერი).

ქართული ალკოჰოლური სასმელების ბაზარზეც გამოჩნდა სიახლე – 2017 წლიდან ლიმიტირე-ბული რაოდენობით, „სარაჯიშვილის სახლის“ უნიკალური ხაზის პროდუქტი TRILOGY („ტრი-ლოგია“) გამოვიდა ბაზარზე. როგორც კომპანიის წარმომადგენლები ამბობენ, მას საფუძვლად წარსულისა და აწმყოს გაერთიანების იდეა უდევს – ღვინის ბრენდი სამი (XIX, XX და XXI) საუ-კუნის, ყურძნის სამი ჯიშისა და საქართველოს სამი სხვადასხვა რეგიონის ჰარმონიული სინთე-ზით იქმნება. „ტრილოგია“ სულ 1000 ცალი გამოვიდა და მისი ფასი დაახლოებით 7000 ლარია.

სიახლეების შემოთავაზების რიტმს არც ციფრული ბაზარი ჩამორჩება.

ოპპა! საქართველოს ციფრულ ბაზარზე ახალი ბრენდი გამოჩნდა მისიით – დანერგოს ფულის ელექტრონულად მართვისა და მოწესრიგების თანამედროვე კულტურა საქართველოში და გაუადვილოს ადამიანებს ფულადი ტრანზაქციების შესრულება. ელექტრონული საფულის ძირითადი ფასეულობა სიმარტივეა. ბრენდმა OPPA-მ მარტივი საკომუნიკაციო ენა შეარჩია მომხმარებელთან საურთიერთოდ, რაც კამპანიასა თუ პროდუქტის ფუნქციონალებზეც აისახა.

ბოლოს, საინტერესოა თუ რა ადგილი უჭირავს საქართველოს „გლობალური კრეატიული რეკლამირების „ 2018 წლის რეიტინგში. საქართველო იყოფს 46-ე ადგილს ისეთ ქვეყნებთან ერთად როგორებიცაა : ლატვია, ესტონეთი, ბოლივია და სხვა...

ამრიგად, დღევანდელ განვითარებულ და ცივილიზებულ კაცობრიობას რეკლამა რომ აუცილებლად სჭირდება, ამაზე აღარავინ დავობს. ოღონდ მხოლოდ მომხმარებლის ინტერესებს უნდა ემსახურებოდეს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. დ. ვაშაყმაძე - ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციების თავისებურებები და განვითარების პერსპექტივები საქართველოში.
2. www.nplg.gov.ge - საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა
3. www.marketer.ge - Georgian Marketing magazine

■■■■

უმუშევრობა: სახეები და გამომწვევი მიზეზები

Unemployment: Types and Causes of Reasons

*ავტორი - **ლაშა გუმბერიძე, გუგა კაპანაძე,** ხელმძღვანელი -* მოწვ. სპეც. **ქეთო შონია,** აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

Author - Lasha Gumberidze, Guga Kapanadze , *Supervizor – Inv. Spec.* ***Keto Shonia,*** *Akaki Tsereteli State University.*

Unemployment, the term, is characterized by the unemployment of unemployed people who are not employed in the balance of labor market. A certain level of unemployment is inevitable in the real economy. The normal or unemployment rate of unemployment determines the share of the officially registered unemployed in the total number of working population, but this indicator does not give us a complete picture of the situation in this field. To assess the current situation correctly, we need to know not only the number of unemployed but also the duration of their unemployment.

Keywords: Frictional unemployment, Structural unemployment, Cyclical unemployment.

უმუშევრობა, მოცემული ტერმინი ახასიათებს იმ დაუსაქმებელ ადამიანთა ერთობლიობას, რომლებიც წონასწორობის შრომის ბაზარზე მოკლებულნი არიან დასაქმების შესაძლებლობას. უმუშევრობის გარკვეული დონის არსებობა გარდაუვალია რეალურ ეკონომიკაში. უმუშევრობის ნორმალურ ანუ ბუნებრივ დონეს განსაზღვრავს ოფიციალურად რეგისტრირებულ უმუშევართა ხვედრითი წილი შრომისუნარიანი ასაკის მქონე მოსახლეობის საერთო რიცხოვნობაში, მაგრამ ეს მაჩვენებელი არ გვაძლევს სრულ წარმოდგენას ამ სფეროში შექმნილ ვითარებაზე. არსებული მდგომარეობის სწორად შეფასებისთვის აუცილებელია ვიცოდეთ არა მარტო უმუშევართა რაოდენობა, არამედ მათი უმუშევრობის პერიოდის ხანგრძლივობა.

ამერიკის შრომის სტატისტიკური ბიუროს (შსბ) მონაცემებით განისაზღვრება დასაქმებული, დაუსაქმებელი და უმუშევარი პირები. იმისთვის, რომ შსბ-ს აღრიცხვაზე მოხვდეს, ის უნდა ეკუთვნოდეს არაინსტიტუციონალურ მოსახლეობას. აქ იგულისხმებიან 16 წელს მიღწეული და უფროსი ასაკის პირები, რომლებიც მოცემულ მომენტში ციხეებსა და საავადმყოფოებში არ იმყოფებიან. არაინსტიტუციონალური მოსახლეობა იყოფა შემდეგ კატეგორიებად: დასაქმებული, უმუშევარი და არათვითმოქმედი მოსახლეობა. უმუშევართა და დასაქმებულთა დონის განსაზღვრისათვის შსბ ეყრდნობა, როგორც საკუთარ კვლევებს (ეს უკანასკნელი ტარდება ყოველთვიურად), ასევე აშშ-ს სენსუს ბიუროს მიერ ჩატარებულ ორ კვლევას. უმუშევრობის დონე განისაზღვრება საერთაშორისო შრომის ორგანიზაციის მიერ დაწესებული სტნდარტების შესაბამისად. თუმცა, მიღებული მონაცემები ასევე გამოიყენება უმუშევრობის 5 სხვადასხვა დონის განსაზღვრისათვის, რომლებსაც მინიჭებული აქვთ შესაბამისი კოდები. კერძოდ კი: 1 - სამუშაო ძალის პროცენტი, რომელიც ვერ დასაქმდა 15 კვირის ან მეტი პერიოდის განმავლობაში; 2 - სამუშაო ძალის პროცენტი, რომელმაც კვლევის მომენტისთვის დაკარგა სამუშაო ან დაასრულა დროებითი სამუშაო; 3 - ოფიციალური უმუშევრობის დონე საერთაშორისო შრომის ორგანიზაციის განმარტებების შესაბამისად; 4 - სამუშაო ძალა, რომელსაც სურს მუშაობის დაწყება, მაგრამ შეწყვიტა ძიება, რადგან არსებული ეკონომიკური პირობებიდან გამომდინარე მიიჩნევს, რომ სამუშაო ადგილი არ არის ხელმისაწვდომი; 5 - ნახევარი განაკვეთით დასაქმებული პირები, რომლებსაც სურთ სრულ განაკვეთზე მუშაობა, მაგრამ არ შეუძლიათ გარკევული ეკონომიკრი მიზეზების გამო.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია იყენებს უმუშევრობის დათვლის 4 მეთოდს:

1. სამუშაო ძალის გამოკვლევის მოდელი უმუშევრობის განსაზღვრის ერთ-ერთი ყველაზე აპრობირებლი მეთოდია, ვინაიდან ის იძლევა შედარებით სრულყოფილ შედეგს და უმუშევრობის დონის ისეთი განსხვავებული ჯგუფების მიხედვით გამოთვლის შესაძლებლობას, როგორიცაა რასა, სქესი და ა.შ. აღნიშნული მეთოდი უველაზე მეტად ერგება საერთაშორისო სტანდარტებს.

2.ოფიციალური შეფასებებისათვის გამოიყენება ერთი ან მეტი მონაცემი გაანგარიშების სხვა სამი მეთოდიდან. ამ მეთოდის გამოყენება შესუსტდა სამუშაო ძალის გამოკვლევის მოდელის სასარგებლოდ.

3.საზოგადოებრივი დაზღვევის სტატისტიკა, როგორიცაა უმუშევრის შემწეობა, გამოითვლება დაზღვეული პირების მიხედვით, რომლებიც მიეკუთვნებიან მთლიან სამუშაო ძალას და იმ პირთა რიცხვის მიხედვით, რომლებიც იღებენ შემწეობას. ეს მეთოდი მკაცრად გაკრიტიკებულ იქნა შემწეობის ამოწურვის გამო, სანამ კონკრეტული პიროვნება იშოვის სამსახურს

4.დასაქმების სამსახურის სტატისტიკა ნაკლებ ეფექტური უწყებაა, ვინაიდან ის მოიცავს იმ პირთა მხოლოდ თვიურ რაოდენობას რომლებიც მიმართავენ დასაქმების სამსახურს. ეს მეთოდი ასევე მოიცავს ისეთი ტიპის უმუშევრებს, რომლებიც შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) განმარტებით არ არიან უმუშევრები.

თავის მხრივ უმუშევრობის შემდეგი სახეები არსებობს: ფრიქციული, სტრუქტურული და ციკლური

ფრიქციული- პროფესიისა და საქმიანობის სახეების არჩევის „თავისუფლების“ პირობებში გარკვეული მომუშავეები დროის გარკვეულ მომენტში უმუშევარ მდგომარეობაში აღმოჩნდებიან, ზოგიერთები ნებაყოფლობით იცვლიან სამუშაო ადგილს, ზოგი დროებით კარგავს სეზონურ სამუშაოს. ფრიქციული უმუშევრობა შეუმჩნევლად გადადის მეორე კატეგორიაში, რომელსაც „სტრუქტურული უმუშევრობა“ ეწოდება.

სტრუქტურული- დროთა განმავლობაში სამომხმარებლო მოთხოვნის სტრუქტურასა და ტექნოლოგიაში ხდება ცვლილებები, რომლებიც, თავის მხრივ ცვლიან სამუშაო ძალაზე ერთობლივი მოთხოვნის სტრუქტურას. ასეთ ცვლილებათა შედეგად მოთხოვნა ზოიერთ სახეობაზე (რომლებიც მანამდე არ არსებობდა) იზრდება. მოცემულ შემთხვევაში უმუშევრობა წარმოიშობა იმიტომ რომ სამუშაო ძალა სრულად ვერ პასუხობს ცვლილებებს სამუშაო ადგილების სტრუქტურაში. ზოგიერთი მომუშავე დაინახავს, რომ ის პროფესიული ჩვევები, რომლებიც მათ ახლა გააჩნიათ, უკვე აღარ შეესაბამება ბაზრის მოთხოვნებს. მათი უნარი და გამოცდილება მოძველდა და გამოუსადეგარი გახდა სამომხმარებლო მოთხოვნის ხასიათში ცვლილებათა გამო.

ციკლური-იგი წარმოიშვება დაქვეითების პერიოდში, ე.ი ეკონომიკური ციკლის იმ ფაზაში, რომელიც საერთო ანუ მთლიანი სარჯების უკმარისობით ხასიათდება.

უმუშევრობის დონის განსაზღვრა. უმუშევრობის დადგენა სრული დასაქმების დროს იმის გამო რთულდება, რომ პრაქტიკაში უმუშევრობის ფაქტობრივი დონის დადგენა საკმაოდ ძნელია. ამის გამო მოსახლეობა დაყოფილია 3 ნაწილად.

1. მოზარდები, რომელთაც ჯერ კიდევ არ მიუღწევიათ 16 წლამდე, ასევე ისინი, ვინც სპეციალურ დაწესებულებებში არიან მოთავსებულნი, მაგალითად, ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში ან გამოსასწორებელ დაწესებულებებში. ადამიანთა ეს კატეგორია არ განიხილება სამუშაო ძალის პოტენციური კომპონენტის სახით.

2. მას ეწოდება „სამუშაო ძალის შემადგენლობასი არ შემავალი“ ჯგუფი. ესენი არიან მოზარდები, რომლებსაც პოტენციურად მუშაობის შესაძლებლობა გააჩნიათ, მაგრამ ამა თუ იმ მიზეზი გამო არ მუშაობენ და არც სამუშაოს ეძებენ.

3. ეს ჯგუფი საკუთრივ სამუშაო ძალაა. იგი მოიცავს მათ, ვისაც შეუძლია და მზად არის მუშაობისთვის.

ზოგადად უმუშევრობის დონე საერთაშორისო სტანდარტებით განისაზღვრება უმუშევართა რაოდენობის შეფარდებით სამუშაო ძალის მთლიან რაოდენობასთან.

როგორც აღვნიშნეთ, შრომის ბაზარზე სრული დასაქმების მიღწევა თეორიულად შესაძლებელია, მაგრამ პრაქტიკაში დასაშვებია უმუშევრობის ბუნებრივი დონე, რაც განსხვავებულია სხვადასხვა ქვეყნისთვის და დამოკიდებულია ამ უკანასკნელის პრიორიტეტებზე. ამასთან ცნობილია, რომ უმუშევრობის ფაქტობრივი დონის 15%-ით გაზრდა იწვევს რეალური მთლიანი ეროვნული პროდუქტის (მეპ-ის) 2,5%-ით ჩამორჩენას პოტენციური მეპ-სგან. ამ მოვლენისგან თავის დასაღწევად სახელმწიფო უნდა ცდილობდეს უმუშევრობის ბუნებრივი დონის რეგულირებას.

უმუშევრობის ბუნებრივი დონე კი არის უმუშევრობის ნორმალური დონე, რომლის მიმართაც უმუშევრობის დონე იცვლება. ცნება „სრული დასაქმება“ არ გულისხმობს უმუშევრობის მთლიან აღმოფხვრას. ექსპერტები თვლიან, რომ ფრიქციული და სტრუქტურული უმუშევრობა გარდაუვალია, შესაბამისად, უმუშევრობის დონე, სრული დასაქმების დროს ტოლია სტრუქტურული და ფრიქციულლი უმუშევრობის დონეთა ჯამს.

უმუშევრობის ეკონომიკური მხარე ნიშნავს, რომ იგი ზარალს აყენებს ეკონომიკურ განვითარებას, ეკონომიკა არ ვითარდება შესაძლო ტემპებით, არ გაიცემა ხელფსი და შედეგად ბიუჯეტი საშემოსავლო გადასახადის სახით კარგავს შემოსავალს, საჭირო ხდება დარეგისტრირებულ უმუშევრებზე სასიცოცხლო მინიმუმის გაცემა. ხანგრძლივი უმუშევრობის პირობებში იკარგება მუშაკთა კვალიფიკაცია. უმუშევრობის პირობებში აქტიურდება ეკონომიკური არასტაბილურობის ფაქტორები : მსყიდელობითი მოთხოვნის შემცირება, დანაზოგების შემცირება, ინვერსტიციური მოთხოვნის კლება, მიწოდების შემცირება და წარმოების დაცემა. ამრიგად, უმუშევრობის პირობებში შეუძლებელი ხდება ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის სრულად გამოყენება და ეროვნული სიმდიდრის შესაძლო დონემდე გაზრდა.

აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ უმუშევრობის დადებითი და უარყოფითი შედეგები:

დადებითი შედეგები:

1. დასაქმებულთა სოციალური სტატუსის ზრდა

2. მომუშავეებს შორის კონკურენცია

3. სამუშაო ძალის რეზერვის მუდმივი შენარჩუნება.

4. შრომის მწარმოებლურობისა და ინტენსივობის სტიმულირობა.

უარყოფითი შედეგები:

1.მომუშავეთა მიერ კვალიფიკაციის დაკარგვა

2.შობადობის შემცირება

3.მოსახლეობის ჯანმრთელობის გაუარესება

4.სიკვდილიანობის მაჩვენებლის ზრდა

ასევე საინტერესოა, თუ უმუშევართა როგორი მაჩვენებელია ჩვენს ქვეყანაში.

წლები გადის, იცვლებიან მთავრობები და პრიორიტეტები, მაგრამ საქართველოში უმუშევრობა კვლავაც N1 პრობლემას წარმოადგენს.

ევროპის საბჭოს მიერ ჩატარებული კვლევების თანახმად, საქართველოს მოსახლეობას ყველაზე მეტად მოცემული საკითხი აწუხებს. გამოკითხულთა 1000 რესპოდენტიდან 51,9%-მა უმთავრეს პრობლემად სამსახურის უქონლობა დაასახელა. სტატისტიკის დეპარტამენტშიც კი არ უარყოფენ, რომ ჩვენს ქვეყანაში ბევრი დაუსაქმებელია. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის სტანდარტების შესაბამისად, ადამიანი, რომელიც მიწის მცირე ნაწილს მაინც ფლობს დაუსაქმებლად არ ითვლება. გასული წლების მონაცემებით საქართველოში 16,9% დაუსაქმებელია, ამ პროცენტში სოფლის მოსახლეობა არ შედის.

თუ გავითვალისწინებთ, რომ საქართველოს მოსახლეობის უმეტესი ნაწილი ფლობს მიწის გარკვეულ ნაწილს, გასაგები გახდება, თუ რამდენად მძიმე მდგომარეობაა. ეკონომიკის ექსპერტები ამ მონაცემებს არ ენდობიან, მათი თქმით საქმე გაცილებით რთულადაა.

საქართველოში უმძიმესი მდგომარეობა შეიქმნა, ძალიან ბევრი ადამიანია უმუშევარი. ყველაზე სამწუხაროა ის ფაქტი, რომ საქართველოში არანაირი სოციალური დაცვის მექანიზმი არ არსებობს, პრაქტიკულად არაფერი კეთდება, რომ ამ პრობლემას ეშველოს. ცვლილებები უნდა გახორციელდეს კანონით, სტრუქტურულად. საქართველოში უნდა შეიქმნას სამსახური, რომელიც დაკავდება უმუშევართა რეგისტრაციით და აღრიცხვით, ასევე უმუშევართა დასაქმებით და შემწეობის გაცემით.

საქართველოში უმუშევრობის გამომწვევი მიზეზები:

1.ფართომასშტაბიანი გლობალიზაციია პროცესი

2.გარკვეული სახის სფეროებში აქტიური სამუშაო ძალის კვალიფიკაციის დაბალი დონე.

3.შრომის ბაზრის მოწყობის არასწორი პოლიტიკა.

4.მზარდი ურბანიზაცია და სხვა.

პრობლემის გადაჭრამდე აუცილებელია:

1.ლიბერალური საგადასახადო პოლიტიკის ჩამოყალიბება.

2.ხარჯების ეკონომია

3.მცირე ბიზნესის ხელშეწყობა.

4.ინვესტირება განათლების სფეროში.

5.კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა.

6.საპენსიო კანონმდებლობის სრულყოფა.

7.ინვესტირება დაბალმწარმოებლურ დარგებში.

8.ხელისუფლებამ და საზოგადოებამ ერთად უნდა მიიღოს გადამჭრელი ზომები. მთავრობის ვალია გაატაროს საჭირო რეფორმები, რათა ხელი შეეწყოს ეკონომიკისა და ამ შემთხვევაში დასაქმების პოლიტიკის წარმატებას. საზოგადოებამ კი თავის მხრივ, უნდა იგრძნოს პასუხისმგებლობა ქვეყნის წინაშე. ისინი უნდა იყვნენ პატიოსნები და მომთხოვნები, როგორც მუშაკის, ასევე დამსაქმებლის როლში.

9.დღესდღეობით საქართველოში ბევრი წინაპირობაა იმისთვის, რომ უმუშევრობის დონე კვლავ გაიზარდოს. რა მექანიზმებით დაიძლევა ეს პრობლემა და საერთოდ დაიძლევა თუ არა ამას დრო გვიჩვენებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1.https://forbes.ge/news/

2. http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe

■■■■

ფირმის მარკეტ-სტრატეგია

Market Strategy for the Factory

ავტორი - **ნინო რევია,** *ხელმძღვანელი* - **ასოც. პროფ. თამარ დევიძე,** საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი.

Author - **Nino Revia,** *Supervizor – Assoc. Prof.* ***Tamar Devidze,*** Georgian Technical University.

აბსტრაქტი

სავაჭრო პროცესი საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ, რა სტრატეგიული პოზიცია აქვს ფირმას სხვადასხვა ბაზრებზე. აუცილებელია მომხმარებელთა დამოკიდებულება საქონლისა და ფასის მიმართ, რათა თავიდან იქნას აცილებული მიმწოდებლის შეცვლა მომხმარებლის მიერ. აქედან გამომდინარე, საჭიროა ვიცოდეთ მომხმარებელთა ქცევის დაკმაყოფილება ბაზარზე და სიახლისთვის შესაბამისი კორექტირების ხარისხი.

საკვანძო სიტყვები: მეწარმეობრივი ფირმა, მარკეტმართვა, სტრატეგია.

Abstract

Trade process gives us ability to define what kind of strategic position the firm occupies in various markets. It is necessary to determine customers's attitude toward goods and price in order to avoid change of supplier by a customer. Therefor, there is a need to know exacting the behavior of the customer on market and set appropriate adjustment quality to novelty.

სამრეწველო მეწარმეობრივი ფირმის წარმატება მთლიანად დამოკიდებულია გარემო პირობებზე, რადგან გარემოში მომხდარი და მოსალოდნელი ცვლილებები ერთმანეთს სწრაფად ენაცვლება, შემუშავებულმა მარკეტ სტრატეგიამაც შესაძლოა ვერ მოგვიტანოს სრულყოფილი წარმატება, ამიტომ საჭიროა ჩვენ თვითონ შევიტანოთ ცვლილებები, ვიდრე ის მოხდება ჩვენს გარეშე. თუ გავასწარით არსებულ მდგომარეობას, მაშინ ასეთი პოზიცია წარმატებული სტრატეგიის მთესველია. მომხმარებლები უფრო მომთხოვნი ხდებიან ფირმის პროდუქციის ხარისხის და მომსახურების დონის მიმართ, რის შემდეგაც ყალიბდება რეგულირების სხვადასხვა ინსტიტუტი, რომელიც ყურადღებას ამახვილებს ეკოლოგიაზე, უმუშევრობაზე, სიღარიბეზე, სხვადასხვა მანკიერ მიდრეკილებებზე და ა.შ.

ყოველი სამრეწველო მეწარმეობრივი ფირმა ფუნქციონირებს ღია სისტემაში, სადაც მენეჯერს უნდა შეეძლოს ეკონომიკური რისკის არა მხოლოდ შენელება და მისი დარტყმის შენელება, არამედ ამ საფრთხეში დამატებითი შესაძლებლობების აღმოჩენა და გამოყენება. ის ვალდებულია, მართოს არა მარტო ბაზართან ურთიერთობა, არამედ ყველა ის გარემო, რაც არსებობს ქვეყნის შიგნით და შეძლებისდაგვარად ქვეყნის გარეთაც, ე.ი საუბარია მიკრო და მაკრო გარემოზე. ფირმა ვალდებულია აწარმოოს ის დოვლათი, რომელიც საზოგადოებაშია აღიარებული და გაყიდოს იმ ფასად, რა მყიდველიც ჰყავს. მომხმარებელზე დაყრდნობით შესაძლებელია განვსაზღვროთ როგორი იქნება გაყიდვათა ოდენობა მომავალში, ხოლო ყიდვა-გაყიდვის პროცესი საშუალებას გვაძლევს გავარკვიოთ ფირმას რა სტრატეგიული პოზიციები აქვს ამა თუ იმ ბაზარზე. ამასთან, აუცილებლად უნდა განვსაზღვროთ საქონლისა და ფასის მიმართ მომხმარებლის დამოკიდებულება, რათა თავიდან ავიცილოთ მომხმარებლის სხვა მიმწოდებელთან გადასვლის შესაძლებლობა.

სამრეწველო მეწარმეობრივი ფირმის საქმიანობისადმი სისტემური მიდგომისას სისტემის უპირველეს მიზანს რესურსებით უზრუნველყოფა წარმოადგენს. გარდა ამისა გასათვალისწინებელია ისიც , თუ რამდენად სტრატეგიული და შენაცვლებადია ეს რესურსი, რათა გავიგოთ თუ, როგორ მიიღწევა მაღალეფექტიანი შედეგი ფირმის საქმიანობაში. აქ კი გადამწყვეტ როლს ასრულებს მიმწოდებლებსა და ფირმას შორის შემხვედრი ვალდებულებების შესრულების პუნქტუალურობა.

გარკვეული თვალსაზრისით, საბაზრო ეკონომიკა კონტრაქტების (გარიგების) ეკონომიკაა. სწორედ ამიტომაც ცივილიზებული საბაზრო გარემოს ჩამოსაყაიბებლად სახელმწიფო ვალდებულია შექმნას საკანონმდებლო ბაზა.

აქედან გამომდინარე უნდა ითქვას, რომ გარემოს მართვა და გადაწყვეტილებების მიღება ძირითადად უნდა ხორციელდებოდეს საბაზრო ურთიერთობებზე დაყრდნობით. ეკონომიკური გარემოს გავლენა შეიძლება იწვევდეს ფირმის საქმიანი აქტიურობის გაძლიერებას ან პირიქით, შესუსტებას, ამიტომ სახელმწიფოს დანიშნულებაა შექმნას აქტივიზაციის პოზიტიური გარემო, რაც ქვეყნის ეკონომიკური ზრდის საწინდარია.

ნებისმიერი ბიზნესის ორგანიზაცია აქცენტს პირველ რიგში ბაზრის მოთხოვნებზე უნდა აკეთებდნენ. ბიზნესი ჯერ ჩვეულებრივად სწავლობს თუ რა უნდა ბაზარს და ამის შემდეგ ქმნის პროდუქტს, რომელიც უნდა ბაზარს. უმეტეს წილად სიმულირებულ გარემოში მნიშვნელოვან გადაწყვეტილებათა სია ხუთ ძირითადამდე დადის, ესენია: ფასი; წარმოება; მარკეტინგი; ინვესტიციები და კაპიტალდაბანდებები; სამეცნიერო-კვლევითი და საცდელი სამუშაოები.

სწორედ, ამ გადაწყვეტილებებზეა დამოკიდებული, თუ რომელ სტრატეგიას ავირჩევთ და ამ გადაწყვეტილებათა თავისდროულობაზეა დამოკიდებული მისი ეფექტიანობა საბოლოო მიზნის მისაღწევად.

ჩვენ განსაკუთრებული ყურადღება უნდა გავამახვილოთ შემდეგ კრიტერიუმებზე:

მარკეტინგული საქმიანობის მართვა: მარკეტინგი წამყვანი რგოლია. ეს უდავოა. როგორც უკვე ავღნიშნეთ დღეს ბიზნესი ვერ გადარჩება მარკეტინგული ორიენტაციის გარეშე. თუ მან ისე არ მომართა მარკეტინგული არსენალი, რომ მაქსიმალური შედეგი მიიღოს. ისევე, როგორც რეალურ ბიზნესში, სიმულირებულ გარემოშიც მოთამაშის ხელშია რიგი ინსტრუმენტები, რომ შედეგზე ზეგავლენა მოვახდინოთ.

პროდუქტის მართვა: პროდუქტის მართვა თავის თავში მოიცავს გადაწყვეტილებათა მთელ სპექტრს დაწყებული პროდუქტების შემუშავებიდან, ბაზარზე პროდუქტების დატოვება არდატოვების ჩათვლით. საქმიანი ადამიანის საზრუნავი ისაა, რომ შექმნას, ბაზარზე გაიტანოს და გაყიდვაში იქნას პროდუქტების გარკვეული ასორტიმენტი.

კვლევითი საქმიანობის მართვა: იმისათვის, რომ ბაზარზე აგილი შეინარჩუნოთ საკმარისი არ არის გქონდეთ ,,საუკეთესო პროდუქტი''. ,,საუკეთესო პროდუქტი''-ს მიდგომა უსარგებლო გახდება, როგორც კი კონკურენტი ,,უკეთეს'' პროდუქტს გამოუშვებს. ბაზარზე საქმიანობის აუცილებელი პირობა მუდმივი გაუმჯობესების მიზნით, კვლევების შედეგად პროდუქტის უკეთესი მახასიათებლებით შექმნაა.

წარმოების ერთ-ერთი ქვესტრატეგიათაგანია წარმოების თვითღირებულების შემცირების გზა, ანუ მასშტაბის ეფექტი.

რაც მეტი პროდუქტი იწარმოება და იზრდება წარმოების გამოცდილება, მით მცირდება მისი წარმოების დანახარჯები. დიდ მასშტაბებზე გასვლა და თვითღირებულების შემცირება ერთ-ერთი გზაა კომპანიის მოგების ნორმის გასაზრდელად. თუ მიზნად ავიღებთ თვითღირებულების მაქსიმალურად შემცირებას, ამისთვის არსებობს სამი გზა: დავამუშაოთ მაქსიმალურად დაბალი

თვითღირებულების პროდუქტი; ან ვაწარმოოთ რაც შეიძლება მეტი; ან ორივე ერთად. სამივე გზას კი მოგების ნორმის გაზრდისკენ მივყავართ.

საყურადღებოა, რომ საშუალოდ როდესაც კონკრეტული პროდუქტის წარმოების მოცულობა ორმაგდება, თვითღირებულება 15%-ით მცირდება და ასე გრძელდება რაღაც ზღვრამდე, რომელიც ყველა პროდუქტისათვის ინდივიდუალურია. ამ ზღვარს ქვემოთ თვითღირებულება არ ჩამოდის. რეალურად ბიზნესში როცა თვითღირებულება ამ ქვედა ზღვარს მიაღწევს, მერე იწყება მისი ზრდა. სიმულირების ბიზნეს გარემოში, კი, არის დაშვება, რომ თვითღირებულება ამ ზღვარზე ჩერდება და ზრდას არ იწყებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1.ერქომაიშვილი გ., ხარაიშვილი ე. ფირმის ეკონომიკა.თბ., 2011.

2.გვაჯაია ლ. საბაზრო პირობებში ფირმის ინოვაციური სტრატეგიის თავისებურებანი. ჟურნ. სოციალური ეკონომიკა. №1. 2018.

3.გიგაური ი., ზურიკაშვილი ნ. მცირე და საშუალო ბიზნესის თანამედროვე პრობლემები და განვითარების პერსპექტივები. ჟურნ. ეკონომიკა. №2, 2017.

4.მამალაძე ი., გეგენავა ნ. კომპანიის ექსპრეს-ანალიზი და მისი ღირებულების მართვა. ჟურნ. ბიზნესინჟინერინგი. №3, 2017.

5.ნადირაშვილი ნ. მარკეტინგული პროცესების მართვაში სინერგეტიკული მიდგომის თავისებურებები. ჟურნ. ეკონომიკა. №11-12, 2016.

6.ძოწენიძე დ. მეწარმეობის თვითრეგულირების სტრატეგია. ჟურნ. სოციალური ეკონომიკა. №2. 2017.

■■■■

სოციალური სექტორის ეკონომიკური ანალიზი
Economic Analysis Of Social Sector

ავტორი - **ხატია ფახურიძე, ანა ლეჟავა,** *ხელმძღვანელი* - მოწვ. სპეციალისტი, **ქეთო შონია,** აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

Author - **Khatia Phakhuridze, Ana Lezhava**, *Supervizor – Inv. Spec.* ***Keto Shonia ,*** *Akaki Tsereteli State University.*

In modern conditions economic science is in the process of new awareness. Those global changes, which are happening in the world for drama, and in Georgia, have increased interest in economic science in Georgia. Economic theory is the social science that examines the economic relations between people and their economic behavior and the general principles of production, distribution, exchange and consumption. It is noteworthy that the priority of social issues is relatively large compared to economics in both developed and developing countries. The respondents are educated ahead of their financial well-being, access to health care and security. The role of the government is perceived as a responsibility for the improvement of social progress. Secondly, consider the development of the platform for economic opportunity and believe that it is the social progress that will automatically improve other values.

Health care is an important part of the social sector. Innovative mechanisms in the healthcare sector are introduced in order to receive the same or better results from new technologies with relatively few expenses. The primary health care system is the foundation of which is impossible to build anything. The quality of health of the population, the availability of services, and the cost of spending of the limited resources allocated for health care depends on the primary health care system.

In the XXI century the challenges faced by the Georgian education system are facing challenges. Today: globalization, computerization, Internet network, information streams, all of this has taken a vital importance. This is a new era and the knowledge and information of the source of wealth in this era. In this regard, education studies research, the investments made in them are of particular importance and are relevant. The current economic events in the world over the past two decades show that the processes based on the knowledge economy are the key to which the main driving force is man.

Insurance is also important nowadays. It is important for each of us and holds a vital place in the leading countries of the world. In the world, in the capital market, the main player is institutional investors as well as insurance companies. World practice demonstrates that insurance companies have a significant accumulation of financial resources. Thus, the insurance industry is one of the leading sectors for economic development.

სოციალური სექტორის ეკონომიკა

თანამედროვე პირობებში ეკონომიკური მეცნიერება იმყოფება ახლებური გაცნობიერების პროცესში. იმ გლობალურმა ცვლილებებმა, რაც ხდება დრეისათვის მსოფლიოში და სახელდობრ, საქართველოში კიდევ უფრო გაზარდა ინტერესი ეკონომიკური მეცნიერებისადმი. ეკონომიკური თეორია წარმოადგენს სოციალურ მეცნიერებას, რომელიც შეისწავლის ადამიანებს შორის ეკონომიკურ ურთიერთობებს და მათი ეკონომიკური ქცევის კანონზომიერებებს და საერთო პრინციპებს წარმოების, განაწილების, გაცვლის და მოხმარების სფეროში.

კლასიკური ეკონომიკური სკოლები ქვეყნის კეთილდღეობას მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებელს უკავშირებენ. ამ თეორიების მიხედვით სოციალურ პროგრესს ეკონომიკური ზრდა განაპირობებს. ტრადიციულად კი სოციალური აქტივობები მხოლოდ დანახარჯებთან ასოცირდება.

როგორც წესი, ეკონომისტები კრიტიკულად აფასებენ ან საერთოდ მიჯნავენ ეკონომიკურ და სოციალურ კეთილდღეობას ერთმანეთისგან. თუმცა არსებობს სხვა მოსაზრებებიც. უამრავი კვლევაა ჩატარებული, რომლებიც ეკონომიკურ ზრდასა და სოციალურ ინდიკატორებს შორის კავშირს ადგენს. განყენებულად ეკონომიკური ცვლადები სოციალური პროგრესის შესახებ სრულ სურათს არ გვაძლევს. უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვით, რომ სოციალური პროგრესი ეკონომიკური წინსვლის წინაპირობაა და მისმა უგულებელყოფამ შესაძლოა ისეთ შედეგებამდე მიგვიყვანოს, რომელთა წინაშეც არაბული სამყარო 2010 წელს დადგა. სოციალური უკმაყოფილებით გაჯერებული სამოქალაქო რევოლუციის ეს ტალღა "არაბული გაზაფხულის" სახელით არის ცნობილი, რომლის დროსაც ხალხის მოთხოვნა ძირითადად ადამიანის უფლებების, დემოკრატიის, ინფორმაციაზე წვდომის შესაძლებლობებს უკავშირდებოდა.

სწორედ ასეთი შემთხვევების სიმრავლის გამო დგება საკითხი, რომ არსებული მიდგომები, საზომები არ არის საკმარისი, ამიტომ ზუსტად უნდა განვსაზღვროთ და გვქონდეს სისტემური ხედვა იმისა, თუ რეალურად რა სურთ ადამიანებს, რა შესაძლებლობები აქვს საზოგადოებას ადამიანის ბაზისური საჭიროებების, ცხოვრების ხარისხის ჩამოყალიბების, განვითარებისა და შენარჩუნების დასაკმაყოფილებლად. ასეთ თემებს სოციალური პროგრესის ტერმინებში ვაქცევთ და ვამბობთ, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი გამოწვევა, რომლის წინაშეც ვდგავართ, არის ის, რომ ინდივიდებს მიეცეთ საშუალება მიაღწიონ საკუთარი რეალიზების მაქსიმალურ დონეს და ვუშვებთ, რომ გაცილებით უკეთესი შედეგი შეიძლება მივიღოთ, თუ აქტივობებისა და უნარების კონსოლიდაციას მოვახდენთ.

აღსანიშნავია, რომ სოციალური საკითხების პრიორიტეტულობა ეკონომიკურთან შედარებით მნიშვნელოვანად დიდია როგორც განვითარებულ, ასევე განვითარებად ქვეყნებში. გამოკითხულები ფინანსურ კეთილდღეობაზე წინ განათლებას, წვდომას ჯანდაცვაზე და უსაფრთხოებას აყენებენ. მთავრობის როლს აღიქვამენ, როგორც სოციალური პროგრესის გაუმჯობესებაზე პასუხისმგებელს. მეორეხარისხოვნად მიაჩნიათ ეკონომიკური შესაძლებლობისთვის პლატფორმის შექმნა და სჯერათ, რომ სწორედ სოციალურ პროგრესზე ორიენტირებას მოჰყვება ავტომატურად სხვა ფასეულობების გაუმჯობესება.

სოციალური პროგრესის იმპერატივის წლიურ ანგარიშში წერია, რომ ეს ინდექსი ემსახურება ცნობიერების ამაღლებას და გავლენას ახდენს პოლიტიკურ გადაწყვეტილებებსა და ინსტიტუციებზე მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ეს არის ობიექტური, შედეგზე დამყარებული საზომი ქვეყნის კეთილდღეობისა, რომელიც დამოუკიდებელია ეკონომიკური ინდიკატორებისგან.

ჯანდაცვა

ჯანდაცვის მინისტრის, დავით სერგეენკოს განაცხადებით, ჯანდაცვის სფერო კვლავ რჩება მთავრობის ერთ-ერთ ყველაზე პრიორიტეტულ მიმართულებად და ჯანდაცვაში დახარჯული თანხა ეკონომიკაში პირდაპირ ინვესტიციას წარმოადგენს.

2012 წელს ჯანდაცვის სამინისტროსთვის 1.8 მილიარდი ლარის დაფინანსება იყო გამოყოფილი, რაც სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებების 23%-ს შეადგენდა. მიმდინარე წლის ბიუჯეტით ჯანდაცვის სამინისტროსთვის გამოყოფილი დაფინანსების მოცულობა 2.9 მილიარდ ლარს შეადგენს, ხოლო მომავალ წელს აღნიშნული თანხის 3.2 მილიარდ ლარამდე ზრდაა დაგეგმილი, რაც სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებების 31%-ია. შესაბამისად, 2013-2016 წლის ბიუჯეტში ჯანდაცვის

სამინისტროს დაფინანსება მართლაც პრიორიტეტულ სფეროდ არის მიჩნეული. ჯანდაცვის სამინისტროს ბიუჯეტი 2012-16 წლებში ეკონომიკაში, ინვესტიციად ისეთი ხარჯები განიხილება, რომელიც ხელს უწყობს ახალი კაპიტალის შექმნას ან არსებული კაპიტალის ღირებულების ზრდას. კერძოდ, ახალი საავადმყოფოების მშენებლობაზე ან არსებულის განახლებასა და ტექნიკურ აღჭურვაზე გაწეული ხარჯები ნამდვილად არის ინვესტიცია ეკონომიკაში, ხოლო სოციალური ხასიათის ხარჯები მიმდინარე დანახარჯებია.

ხარისხიანი და ხელმისაწვდომი ჯანდაცვის სისტემა თავისთავად დადებით გავლენას ახდენს საზოგადოების ცხოვრების დონეზე. დაავადებათა რიცხვის შემცირება და სიკვდილიანობის დონის კლება რა თქმა უნდა დადებითი ფაქტორია და შესაბამისად, ჯანდაცვის სისტემის გაუმჯობესებისთვის გაწეული ხარჯი გარკვეული თვალსაზრისით ადამიანურ კაპიტალში ინვესტიციად შეიძლება განვიხილოთ.

ჯანდაცვის სამინისტროს ბიუჯეტის 25% (801.5 მლნ ლარი) ჯანდაცვის პროგრამების დაფინანსებისთვისაა გათვალისწინებული, საიდანაც ყველაზე მეტი ხარჯი 570 მლნ (71%) საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის დაფინანსებაზეა გამოყოფილი. ჯანდაცვის პროგრამების დაფინანსება 2012-16 წლებში.

2013 წლიდან ჯანდაცვის პროგრამების დაფინანსება ყოველწლიურად იზრდებოდა. 2016 წლის ბიუჯეტში ჯანდაცვის პროგრამების დაფინანსება 2012 წელთან შედარებით 468.7 მლნ ლარით (141%-ით) არის გაზრდილი. გაიზარდა სოფლის ექიმის და სასწრაფო სამედიცინო სამსახურის დაფინანსება, რაც, რა თქმა უნდა, დადებითი ნაბიჯია. ასევე, ამოქმედდა ცე-ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამა, რომლის ფარგლებშიც დაავადებული პირებისთვის მედიკამენტის საფასურის 60%-ით დაფინანსება, ხოლო 2015 წლიდან პირველადი გამოკვლევების დაფინანსებაც არის გათვალისწინებული. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ხარჯები თავისი არსით მიმდინარე ხარჯებია, თუმცა, რამდენადაც საზოგადოების ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებას ემსახურება, ის შეიძლება ადამიანურ კაპიტალში არაპირდაპირ ინვესტიციადაც განვიხილოთ.

ჯანდაცვის პროგრამებზე გამოყოფილი ხარჯების დიდი ნაწილი საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის დაფინანსებაზე მიემართება. საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა 2013 წლიდან ამოქმედდა და თანდათანობით ჩაანაცვლა სახელმწიფო დაზღვევის პროგრამა. სახელმწიფო დაზღვევის პროგრამისგან განსხვავებით, რომელიც უფასო სადაზღვევო პაკეტით მოსახლეობის მოწყვლად ჯგუფებს უზრუნველყოფდა, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით სარგებლობა ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია.

რატომ იზრდება ხარჯები ჯანდაცვაზე?

ჯანდაცვაზე ხარჯების ზრდა არამარტო საქართველოს, არამედ ბევრი ქვეყნის ჯანდაცვის პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა. იგი უმთავრესად დაკავშირებულია ჯანდაცვის სექტორისათვის დამახასიათებელ ტენდენციასთან. ბევრ ქვეყნებში ჯანდაცვის ხარჯების ზრდის ტემპი აღემატება მთლიანი ეკონომიკის ზრდის ტემპებს (1). ჯანდაცვის ხარჯების ასეთი ზრდა განპირობებულია იმ გარემოებით, რომ ეკონომიკის სხვა დარგებთან შედარებით, ჯანდაცვის სექტორ-

ში უფრო მეტად ინერგება ახალი ტექნოლოგიები, სამკურნალო-სადიაგნოსტიკო მოწყობილობა--დანადგარები, მედიკამენტები. შედეგად, ჯანდაცვის სექტორში სამედიცინო ფასები იზრდებოდა უფრო სწრაფად, ვიდრე ფასები მთლიანად ეკონომიკაში.

ცხადია, რაც უფრო მეტია ჯანდაცვაზე დანახარჯები, მით უფრო უმჯობესდება შედეგი, ანუ ჯანმრთელობის მდგომარეობა. თუმცა, ჯანდაცვაზე დანახარჯებსა და ჯანმრთელობის გამოსავლებს (შედეგებს) შორის არ არის ასეთი მარტივი კავშირი. ჯანდაცვაზე დანახარჯებსაც აქვს ზღვრული სარგებელი.

ჯანდაცვის ხარჯების ზრდის შემდეგი მიზეზები არსებობს: ფასების ინფლაცია, არასაჭირო სამედიცინო სერვისების წარმოება, მაღალი ადმინისტრაციული ხარჯები, ინოვაციური მექანიზმების დანერგვა.

ჯანდაცვაზე ხარჯების ზრდის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზია ფასების ინფლაცია. იგი გულისხმობს სამედიცინო მომსახურების საშუალო ფასის დონის ზრდას. ჯანდაცვის ბაზარზე, რომლისთვისაც დამახასიათებელია ოლიგოპოლიის ნიშნები, რამოდენიმე სამედიცინო პროვაიდერმა საკუთარი მოგების გაზრდის მიზნით, ე.წ. კარტელური გარიგებებით, შეიძლება გადაწყვიტოს სერვისებზე ფასების მომატება (ოლიგოპოლური ინფლაცია). ჯანდაცვის სექტორში ოლიგოპოლური ინფლაციის ერთ-ერთი გავრცელებული მაგალითია მედიკამენტებზე მაღალი ფასების დაწესება. ფონდ „კურაციოს“ მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით (4), საქართველოში მედიკამენტების ფასები მნიშვნელოვნად აღემატება იმავე მედიკამენტებზე ევროპის ქვეყნებში არსებულ ფასებს. ასევე, მედიკამენტების ფასნამატმა იმპორტიდან (საქართველოს ეკონომიკური საზღვრის გადაკვეთიდან) საცალო ქსელის დახლამდე შეადგინა 102%. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ საქართველოს ფასნამატის მარჟა სულ მცირე ორჯერ აღემატება ევროპის ქვეყნებში დაფიქსირებულ მარჟას.

ჯანდაცვის სექტორში ინოვაციური მექანიზმები ინერგება იმისათვის, რომ ახალი ტექნოლოგიების მეშვეობით შედარებით ნაკლები დანახარჯებით მიიღონ ჯანმრთელობის იგივე ან უკეთესი შედეგები. მაგალითად, ლაპაროსკოპიული ქოლეცისტექტომიის მეთოდის გამოყენებით მიიღება გაცილებით უკეთესი შედეგი. ამასთან, მნიშვნელოვნად მცირდება ჰოსპიტალში გატარებული საწოლ-დღეების ხანგრძლივობა და შესაბამისად დანახარჯებიც. მოყვანილი მაგალითი წარმოადგენს მკურნალობის ეფექტური მეთოდით ჩანაცვლების კლასიკურ შემთხვევას. თუმცა, არსებობს მეორე მხარეც. კვლევები აადასტურებენ რომ ლაპაროსკოპიული ქოლეცისტექტომიის მეთოდი შესაძლოა დაუნიშნონ იმ პაციენტებსაც, ვისაც გააჩნია ნაღველ-კენჭოვანი დაავადების მსუბუქი ფორმაც, რომელიც არ საჭიროებს ქირურგიულ ოპერაციას.ჯანდაცვაზე დანახარჯების ზრდას ხელს უწყობს არასაჭირო სამედიცინო სერვისები, დაუსაბუთებელი ლაბორატორიულ-დიაგნოსტიკური ღონისძიებები, რომელთაც არანაირი სარგებელი არ მოაქვთ ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებაში. მრავალი კვლევები ადასტურებენ, რომ ასეთი არასაჭირო სამედიცინო სერვისებზე გაწეული ხარჯები საკმაო წილს შეადგენენ ჯანდაცვის ხარჯებში.

როგორ შევაკავოთ ჯანდაცვის ხარჯები?

საქართველოში ჯანდაცვის ხარჯების შეკავების პრობლემა უფრო მძიმეა, იმ თვალსაზრისით, რომ პირველადი ჯანდაცვის სისტემა ნაკლებადაა განვითარებული. ამაზე მეტყველებს ის ფაქტი,

რომ ამბულატორიულ სამედიცინო დაწესებულებებში მიმართვათა რაოდენობა ერთ სულ მოსახლეზე 2.3-ს შეადგენს (ევროპის ქვეყნებში 7.5-მდე აღწევს). პაციენტები პირველადი ჯანდაცვის რგოლის გვერდის ავლით, ექიმის დანიშნულების გარეშე ყიდულობენ მედიკამენტებს და ეწევიან თვითმკურნალობას. შედეგად, კატასტროფულად მაღალია ჯანდაცვის მთლიან დანახარჯებში მედიკამენტების ხარჯების წილი (დაახლოებით 40%, მაშინ როდესაც ევროპის ქვეყნებში იგი 10-15%-ს აღწევს).

ჯანდაცვაზე დანახარჯების შეკავების ერთ-ერთ მექანიზმია ჯანდაცვის დაფინანსების კონკურენტული სისტემა, სადაც სახელმწიფო ჯანდაცვითი პროგრამების მართვას ახორციელებს არა ერთი ორგანიზაცია (მაგ., სოციალური დაზღვევის სახელმწიფო ფონდი, ან სოციალური მომსახურების სააგენტო საქართველოში), არამედ მრავალი გადამხდელი სუბიექტები (სადაზღვევო კომპანიები) მონაწილეობა. მრავალი გადამხდელით დაფინანსების სისტემაში სადაზღვევო ფონდებს შორის კონკურენციას განაპირობებს სადაზღვევო პრემიები, პაკეტები, შემოთავაზებული მკურნალობის ხარისხი, აგრეთვე დაზღვევის დამატებითი პაკეტისათვის გათვალისწინებული პრემიები და სარგებლები. კომპანიებს შორის კონკურენცია ხელს უწყობს სამედიცინო მომსახურების ხარისხის ამაღლებას და რესურსების ეფექტურად გამოყენებას. სახელმწიფო ჯანდაცვითი პროგრამების მართვის ასეთ კონკურენტულ მოდელს მართული კონკურენციის მოდელსაც უწოდებენ.

პირველადი ჯანდაცვა სისტემის ფუნდამენტია, რომლის გარეშე შეუძლებელია რაიმეს აშენება. მოსახლეობის ჯანმრთელობის ხარისხი, სერვისებისადმი ხელმისაწვდომობა, ჯანდაცვაზე გამოყოფილი მწირი სახსრების ეფექტიანი ხარჯვა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული პირველადი ჯანდაცვის გამართულ სისტემაზე.

განათლება

XXI საუკუნეში მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დგას საქართველოს განათლების სისტემა. დღეს :გლობალიზაცია, კომპიუტერიზაცია, ინტერნეტქსელი, ინფორმაციული ნაკადები, ყოველივე ამან სასიცოცხლო მნიშვნელობა შეიძინა. ეს ახალი ერაა და ამ ერაში სიმდიდრის შექმნის წყაროს ცოდნა და ინფორმაცია წარმოადგენს. ამ თვალსაზრისით განათლების სწავლების კვლევა, მათში განხორციელებული ინვესტიციები განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს და აქტუალურია . მსოფლიოში მიმდინარე ეკონომიკური მოვლენები ბოლო ორი ათწლეულია აჩვენებს, რომ უპირატესობა მოიპოვა ცოდნის ეკონომიკაზე დაფუძვნებულმა პროცესებმა, რომლის მთავარი მამოძრავებელი ძალა არის ადამიანი. ჯერ კიდევ მეოცე საუკუნის ორმოცდაათიან წლებში, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დანგრეული იაპონიის ეკონომიკის აღდგენის ერთ-ერთი ფაქტორი იყო განათლებაში ინვესტირება, რამაც დიდი წვლილი შეიტანა იაპონური სასწაულის აღმოცენებაში.საქართველოში განათლება ერთ-ერთ პრიორიტეტულ დარგად არის გამოცხადებული და წლიდან-წლამდე იზრდება ინვესტიციები განათლების სისტემაში, აგრეთვე ტარდება სხვადასხვა კვლევები როგორც სახელმწიფო, ასევე საერთაშორისო დონეზე. მაგალითად 2015 წელს

ხარჯები განათლებაზე შეადგენდა - 899 645,6 ათას ლარს, 2016 წელს - 1 056 066 ათას ლარს, 2017 წელს - 1 187 950 ათას ლარს, რაც 2015 წლის ბიუჯეტი დაახლოებით - 11%-ს, 2016 წელს ბიუჯეტის დაახლოებით12%-ს, 2017 წელს ბიუჯეტის დაახლოებით 13%-ს შეადგენს. ერთ მოსწავლეზე გათვლილი დაფინანსება საქართველოში ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ს 10 პროცენტს შეადგენს, როცა განვითარებულ ქვეყნებში ეს მაჩვენებელი 25 პროცენტამდეა.ზოგად განათ¬ლე¬ბა¬ზე სა-ხელ-¬მწი¬ფო სახ¬სრე¬ბი იხარ¬ჯე¬ბა რო¬გორც ცენ¬ტრა¬ლუ¬რი, ისე ად¬გი¬ლობ¬რივი ბი¬უ¬ჯე¬-ტი-დან. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში ხარჯები განათლების სფეროში იყოფა: ზოგადი განათლება (საშუალო ზოგადი განათლება), პროფესიული განათლება, უმაღლესი განათლება (უ-მაღლესი პროფესიული განათლება, უმაღლესი აკადემიური განათლება), უმაღლესისშემდგომი განათლება, განათლების სფეროს დამხმარე მომსახურება, გამოყენებითი კვლევები განათლების სფეროში, სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში. ზემოთ ჩამოთვლილ-თაგან განსაკუთრებით მაღალი მაჩვენებლით გამოირჩევა ზოგადი განათლება, რაც სახელმწიფო ბიუჯეტიდან განათლებაზე გათვალისწინებული ხარჯების 50%-ს შეადგენს ყოველწლიურად და რიგით მეორე მაჩვენებელს, უმაღლეს განათლებას დაახლოებით 4-ჯერ აღემატება. 1990-იანი წლებიდან მოყოლებული განათლების, და შესაბამისად ზოგადი განათლების, დაფინანსების წილი როგორც მშპ-ში, ისე ერთიან სახელმწიფო ბიუჯეტში საგრძნობლად გაიზარდა. ეს იმაზე მიუთითებს, რომ სახელმწიფოსთვის განათლების დაფინანსება პრიორიტეტულ მიმართულებად იქცა . ხშირად იყენებენ ზოგადი განათლების სისტემების შესაფასებლად პიზას ,რომელშიც მონაწილეობას იღებენ როგორც ორგანიზაციის წევრი ეკონომიკურად მაღალგანვითარებული ქვეყნები, ისე პარტნიორი ქვეყნები და ადმინისტრაციული ერთეულები . ევროპის თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციამ გააანალიზა კავშირი, ერთი მხრივ, სხვადასხვა ქვეყნის მოსწავლეების მიერ მიღებულ საშუალო ქულებსა და მეორე მხრივ, ამ ქვეყნების ეკონომიკური განვითარების დონესა და ამ ქვეყნების მიერ განათლებაზე დახარჯულ თანხებთან. ანალიზი ცხადყოფს, რომ დაფინანსების მოცულობასთან შედარებით უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორ იხარჯება განათლებაში ჩადებული ფული. ეს განსაკუთრებით კარგად ჩანს მდიდარი ქვეყნების შემთხვევაში. . თანამედროვე მსოფლიოში სახელმწიფოს ადგილი უპირველესად განისაზღვრება ადამიანური კაპიტალის ხარისხით, განათლების დონით, ცოდნიერებით და ცალკეული პრაქტიკული გამოყენებითა და ეკონომიკის ინოვაციური აქტივობით. ბოლო ორ ათეულ წელზე მეტია, მსოფლიოს ეკონომიკური განვითარების პროცესში აღინიშნება მეცნიერების როლის განვითარების აღმავლობა. საქართველოში ყოველ წელს იზრდება როგორც ინვესტიციები განათლების სისტემაში, აგრეთვე კვლევები როგორც სახელმწიფო, ასევე საერთაშორისო დონეზე ცოდნაში.. ცოდნა ახდენს ეკონომიკის ტრანსფორმაციას . ჩვენდა უნებლიედ ჩნდება კითხვა : განათლებაში ჩადებული ფული ინვესტიციაა თუ ფუჭად დახარჯული თანხები ? რა თქმა უნდა , განათლებაში ჩადებული ინვესტიცია ყველაზე დიდი ინვესტიციაა ქვეყნისთვის .

დაზღვევა

მსოფლიოში, კაპიტალის ბაზარზე, ძირითად მოთამაშე ინსტიტუციურ ინვესტორებს შორის წარმოდგენილია სადაზღვევო ორგანიზაციებიც. მსოფლიო პრაქტიკა ცხადყოფს, რომ სადაზღვევო კომპანიები ფინანსური რესურსების მნიშვნელოვან აკუმულირებას ახდენენ. ამდენად, სადაზღვევო ინდუსტრია ერთერთი წამყვანი სექტორია ეკონომიკური განვითარებისთვის. სადაზღვე-

ვო კომპანიების მიერ, ფინანსური რესურსების მობილიზება და შემდგომ, მათი გარდაქმნა ინვესტიციებად, სადაზღვევო სექტორს აქცევს მნიშვნელოვან ფინანსურ წყაროდ ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მოვსესიანი ა. გ., ოგნივცევი ს. ბ. -,, მსოფლიო ეკონომიკა“ 2003წ;
2. http://efageorgia.ge/wp
3. http://liberali.ge/articles/view/21815/sayoveltao-jandatsva-da-mosakhleobis-janmrtelobis-mdgomareoba
4. http://liberali.ge/articles/view/4111/pirveladi-jandatsva-sistemis-sadzirkvelia
5. http://forbes.ge/news/262/
6. http://www.mrdi.gov.ge/sites/default/files/1_sakartvelos_socialur-ekonomikuri_ganvitarebis_strategiis_-_sakartvelo_2020.pdf

■■■■

ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების სისტემის სრულყოფა და მისდამი ახლებული მიდგომა

Perfection of the State Regulation System of Economy and an approach to him

*ავტორი - **მაია გორდულაძე**, ხელმძღვანელი -* მოწვ. სპეც. **ქეთო შონია,** აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

Author - Maia Gorduladze , *Supervizor – Inv. Spec.* ***Keto Shonia ,*** *Akaki Tsereteli State University.*

The important and obvious for postindustrial level of community development is innovative processes, not only wealth growing but it's qualitative improvement, the basic rule of community improvement. Current reforms in our country, which's principal content serves moving on market economic demands the improvement Perfection of the State Regulation System of Economy and an Approach about that. The aim of state regulation is related to many social economic problems. Regulation objects in different countries are different under principal strategy, particular areas of national importance

ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე სხვადასხვა რეფორმა,რომელთა მთავარი შინაარსი საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლას ემსახურება,მოითხოვს ეკონომიკის რეგულირების სისტემის სრულყო-

ფას და მისდამი ახლებურ მიდგომას.იმისათვის, რომ ქყვეყნის ეკონომიკა თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად განვითარდეს, აუცილებელია წავიდეს ინოვაციური განვითარების გზით. ამისათვის კი საჭიროა პირველ რიგში ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების მოქნილი მექანიზმის ჩამოყალიბება. საბაზრო ეკონომიკის პირობებში სახელმწიფოს როლსა და ფუნქციონირებისადმი არსებობს ორი ძირითარი მიდგომა, რომელშიც მარეგულირებელ ფაქტორებს უპირატესად საბაზრო მექანიზმები წარმოადგენს და შერეულ ეკონომიკას, სადაც საბაზრო მექანიზმებთან ერათად სახელმწიფოც ასრულებს ეკონომიკის მარეგულირებლის ფუნქციას. საბაზრო ეკონომიკის პირობებში სამეურნეო სქმიანობაში მთავრობის ჩარევის მასშტაბები შეიძლება განისაზღვროს, როგორც ,,მინიმალურად აუცილებელი" . სახელმწიფოს ეკონომიკური როლის საკითხთან დაკავშირებით ბევრმა მეცნიერ-ეკონომისტმა დააფიქსირა საკუთარი პოზიცია: ჯ.მ. კეინზი წერს ,, სახელმწიფოს შეუძლია განსაზღრულ ფარგლებში დაეხმაროს ეკონომიკას, ხოლო მისი შესაძლებლობა ზიანი მიაყენოს მას, განუსაზღვრელია." გ.პაპავა აღნიშნავს,რომ ,, მსოფლიოში არც ერთი ქვეყანაში თავისუფლება არ გამორიცხავს რეგულირებას, რომელიც მოქმედებს მოწინავე საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში,როგორც სტატეგიული მართვის კომპონენტი... სახელმწიფო ახორციელებს ინდიკატურ დაგეგმავს და მის საფუძველზე სტატეგიულ მართვას" და სხვ.

თანამედროვე პირობებში სახელწიფო რეგულირების ძირითადი მიზანია ბაზრის მაღალეფექტიანი ფუნქციონირება, რომელიც გულისხმობს მოსახლეობის სოციალურ უზრუნნველყოფას, თავდაცვის უნარიანობის განმტკიცებას, განათლებასა და პროფესიული ცოდნის ამაღლების სისტემის რეფორმირებას, ეკოლოგიური პრობლემების გადაწყვეტას,მძლავრი სატრასპორტო და ინფორმაციული ინფრასტრუქტურის შექმნას, ეკონომიკის სტრუქტურულ გარდაქმნას მტპ-ის მიღწევათა საფუძველზე და ა.შ

სახელმწიფო რეგულირებამ უნდა განახორციელოს ორი ძირითადი ფუნქცია: ინდიკატორული და მასტიმულირებელი, რომელსაც სრულიად განსაზღრული როლი აკისრიათ ინოვაციურ განვითარების ცალკეულ ეტაპებზე.პირველი ემსახურება ინოვაციური განვიათარების სტრატეგიული და ტაქტიკური გეგმების ფორმირებას, ხოლო მეორე კი -ინოვაციური პოლიტიკის რეალიზაციას სიახლეთა შექმნის, დანერგვის, წარმოებისა და მომსახურების ყველა სტადიაზე. სახელმწიფო რეგურირების მიზანი საკმაოდ მრავალ სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემას უკავშირდება და რეგულირების ობიექტები სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვაა იმის მიხედვით, თუ რა არის აღიარებული ძირითად სტატეგიად, განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მიმართულებლად. სახელმწიფო რეგულირებისა და მართვის უნმიშვნელოვანესი ობიექტია ინოვაციური სფერო, ინოვაციური საქმიანობა. სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა შეიძლება პირობოთად წარმოვიდგინოთ, როგორც ორი კომპონენტისგან შედგარი: პირველი- ესაა საბაზრო სისტემის საფუძვლების ჩამოყალიბება და მეორე, საბაზრო სისტემის ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბება, საკუთრივ, სამეურნეო მექანზმის ჩათვლით. საბაზრო სისტემის საფუძვლებს შეიძლება მივაკუთნოთ, საკუთრება მის კონკრეტულ ფორმაში და მათი ადეკვატუტი სამერწამეო საქმიანობის ტიპები.მეორე კომპონეტს მიეკუთნება ფირმებს შორის, ფირმებსა და ფიზიკურ პირებს,სახელმწიფო და საშინაო მეურნეობებს შორის და ბოლოს, საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობების ლეგიტიმურობის წესები. იფრსატრუქტურას ასევე ეკუთნის მთელი ფინანსური სიტემა.

რამდენადაც ტექნიკური პროგრესი არის ციკლურიბის მნიშვნელოვანი ფაქტორი.XX-ში იგი ყველა ფორმით უნდა გაძლიერებულიყო,უფრო გაზრდილიყო ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩართვის მოთხოვნილება ასეც მოხდა. ამ მოთხვნის მკაფიო გამოვლინება იყო 1929-1933 წლების ,,დიდი დეპრესია'' მხოლოდ სახეკმწიფოს ჩარევამ მისცა აშშ-ს ეკონომიკას კრიზისიდან გამოსვლის საშუალება. ბიძნესი შეუზღუდავი თავისუფლების იდეები უარყოფილი იქნა ,, დიდი დეპრესიის'' რეალობვით,როდესაც სახელმწიფოს ისევ მოუწია გამოეყენებინა შესაბამისი ბერკტები ამ სიტუაციიდან გამოსასვლელად. სახელმწიფო და ბიზნესი ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთდამოკიდებული სისტემებია. ბიზნეის, მართალია, თავისუფალი უნდა იყოს გადაწყვეტილების მიღებისას, მაგრამ ეს უნდა ხდებოდეს სახელმწიფოს მიერ დადგენილი ჩარჩოების გათვალისწინებით. ასევე სახელმწიფოც არ შიძლება სრულიად თავისუფალი იყო თავისი გადაწყვეტილებაში. არის სფეროები და საკითხები, რომელებშიც სახელმწიფო არ უნდა ჩაერიოს. სახელმწიფო რეგულირება შეიძლება იყოს როგორც დადებითი ფაქტორი, ასევე უარყოფითიც ეს უკანასკნელი კი ანელებს სოციალური განვითარების პროცესს, თრგუნავს მეწარმეების ინტერესს მაღალეფექტიანი საქმიანობისადმი. კვლევები არჩვენებს, რომ არსებობს პირდაპირი დამოკიდებულლა სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკისა და საბაზრო ურთიერთობების განვითარების დონეს შორის. რაც მეტია ეს დონე, მით მძლავრი და მრავალმხრივია სახელმწიფოს გავლენა საბაზრო მექანიზნებსა და რეგულატორებზე. სახელმწიფო გადაიქცევა სამეურნეო-საფინანსო სისტემის მძლავრ მაკოორდინირებელ და მარეგულირებელ ცენტრად. ლოგიკის თანახმად,სახელმწიფოს შუძლია შექმნას საბაზრო ეკონომიკის რეგულირების მექანიზმი. სახელმწიფოს ეკონომიკური საქმიანობა შეიძლება გამოვყოთ სამი მთავარი ეკონომიკური ფუნქცია: ეფექტიანობის გადიდება, თანაბარუფლებიანობის უზრუნველყოფა და ზრდის მაკროეკონომიკური სტაბილურობის უზრუნველყოფა.

თანამედროვე მსოფლიოს ყველა ქვეყანას ახსიათებს საკუთრების, მეწარმეობის ფოემები ფორმები მრავალფეროვნება და ეროვბული ეკონომიკის მოდელი. მაგალითად აშშ გამოირჩევა სახელმწიფო საკუთრების მინიმალური გავლენით და ამიტომ ის მიეკუთნება საბაზრო განვითარების კლასიკურ ლიბერალურ ნინუშს, მაგრამ აშშ-ს მოუწუა გაეზარდა სახელმწიფოს საკუთრება გლობალური კრიზის გამო და ამით ბევრი ფირმა გაკოტრებასაც კი გადაარჩინა.

განვითარებული ქვეყნების უმრავლესობაში ინოვაციური საქმიანობობის რეგულირება და სტიმულირება მიმდინარეობს ეროვნული კვლევითი პროგრამებისა და სახელმწიფოს მონაწილების საფუძველზე. პროგრამათა დამუშავების კრიტერიუმებს მიეკუთნება სახელმწიფოს, კოორპორაციებისა და ფირმების ნებაყოფლობითი მონაწილეობა მასში. ამიტომ თითოეული მონაწილე საკუთარი ინერესებით ხელმძღვანელობს. იაპონური ეკონომიკის გამოცდილებამ აჩვენა ასეთი პროგრამის ეფექტურობა. იაპონიამ სამეცნიერო-ტექნიკური პოლიტიკა მიიჩნია საერთო ეკონომიკური სტიმულირებისა და ქვეყნის საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის ამაღლების უცვლელ საშუალებად, ვინაირად ეს ქვეყანა ღარიბია ბუნებრივი რესურსებით. იაპონიის პოლიტიკა კონცენტრირებულია პროდუქციის ექსპორტზე, რომელიც სამეცნიერო პროდუქციის სფეროში ლიდერიბას ითვალისწინებს. ინოვაციური პროცესების სახელმწიფო რეგულირება ხასიათდება სამცნიერპ- კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტურო სამუშაოების (სკსს) ინდიკატური დაგეგმვით, მაღალი საიმპორტო საბაჟო ტარიფით სამცნიერპ- კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტურო სამუშაოების დაფინანსებაში საგადასახადო და საკრედიტო შეღავათებით. ინოვაციური საქმიანობის აქტიურობის შედეგებით იაპონია პირველ ადგილს იკავებს. საფრანგეტში შეიმჩნევა

ინოვაციური საქმიანობის ცენტრალიზებული რეგულირების განსაკუთრებით მაღალი დონე, სადაც სამეცნიერო გამოკვლევა აღიარებულია ხუთ წლიანი სტრატეგიული გეგმების სახით. ინგლისში არაა ინოვაციური საქმიანობის რეგულირების ცენტრალიზებული სისტემა, მაგრამ არსებობს კარგად შემუშავებული ურთიერთქმედების მექანიზმი კერძოდ, ინოვაციათა დამუშავების კოორდინაციის ნებართვა.ა შშ-ში ეკონომისტები და სოციოლოგები გამოყოფენ ვენჩურულ ბიზნესს, სადაც მნიშვნელოვანია ,, კონდრატიევის ციკლი'', რომელიც ინოვაციური სტრატეგიის დამუშავებისას გამოიყოფა. თანამედროვე პირობებში ამერიკური,იაპონური და ევროპული კომპანიები გამოშვებუილი საქონლის მონოპოლიზაციის მიზნით მიდიან წარმოების კონცენტრაციისა დივერსიფიკაციის გაზზე. მსხვილი ფირმები ცდილობენ შენარჩუნონ თავიანთი პოზიციები წარმოებასა და ბაზარზე, რაც მოძველებული პროდუქციის გაუმჯობესებით მიმდინარეობს. მათვის სიახლე ნიშნავს მოგების გადიდებას ან ბაზრის გაფართოვებას, ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ მსხვილი ფირმები არ ცდილობენ მიიღონ ტექნოლოგიური და ტექნიკური სიახლე მანამ, სანამ არ დარწმუნდებაინ მის ეფექტიანობაში. საბაზრო ურთიერთობათა ფორმირების თანამედროვე ეტაპზე საქართველოში ინოვაციური საქმიანობა საკმაოდ დაბალ დონეზეა. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში ჯერ კიდევ არსებობს მაღალკვალიფიციური კადრები, შესაბამისი სამეცნიერო-საწარმოო ბაზა, მნიშვნელოვანი ტექნოლოგიური მარაგები და სხვა, უკიდურესად სუსტია ორიენტაცია ინოვაციური პოტენციალის, მეცნიერების მიღწევების წარმოებაში და საქმიანობის სხვა სფეროებში რეალიზაციისკენ.რაც შეეხება ინოვაციური აქტივობასთან დაკავშირებულ მდგომარეობას დარგობრივ ჭრილში, ნებისმიერი დარგის უპირველესი პრობლემა დაკავშირებულია საწარმოებში საკუთარი საშუალებების, როგორც ბიუჯეტური, ისე არაბიუჯეტური წყაროებით დაფინანსების უკმარისობასთან, მათ შორის მოზიდული სახსრების შეზღუდვასთან. წარმოების მოცულობის შემცირებისა და ფინანსების მუდმივი დეფიციტის პირობებში შეუძლებელი ხდება ფულადი რესურსების გამოყოფა ინოვაციური საქმიანობისთვის.ინოვაციური აქტივობის განსაკუთრებით დაბალი დონით გამოირჩევიან ის დარგები, რომლებიც ორიენტირებულნი არიან შიგა ბაზრის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, როგორიცაა მსუბუქი მრეწველობა, საშენ მასალათა, ხის დამამუშავებელი მრეწველობა. სამამულო სამომხმარებლო საქონლის დაბალი კონკურენტუნარიანობის გამო, რომელსაც თან ახლავს იმპორტის ინტერვენცია, მეტად დაბალია წარმოების, მისი ტექნოლოგიურობის, ტექნიკური გადაიარაღებისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დონე. განსაკუთრებით ეს ეხება მრეწველობის ხერხემალს - მაქანათმშენებლობასა და ლითონდამმუშავებელ მრეწველობას.ყოველივე აღნიშნული, ბუნებრივია, უარყოფით გავლენას ახდენს პროდუქციის ხარისხზე, მის კონკურენტუნარიანობაზე და წარმოების ეფექტიანობაზე.იმ დარგების რიცხვს, რომელთაც ინოვაციური აქტივობის სასურველი დონე გააჩნიათ, მიეკუთვნება ფერადი მეტალურგია, კვების, ქიმიური და ნავთობქიმიური მრეწველობა. მათ პროდუქციაზე სტაბილური მოთხოვნაა როგორც შიგა, ასევე გარე ბაზარზე.მიუხედავად არსებული მდგომარეობისა (საწარმოთა რთული ფინანსური ბაზა, დაბალი მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობა, რაც არ შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს და სხვ.), ინოვაციური საქმიანობის მხრივ, მეტნაკლებად აქტიურნი რჩებიან მანქანათმშენებლობის რიგი საწარმოები, სადაც შეიძლება გამოიყოს მათი ორგვარი ინოვაციური სტრატეგია. პირველი, როცა საწარმო ცდილობს თანამედროვე დასავლური ტექნოლოგიების გამოყენებით წარმოების განახლებას (ასეთი შემთხვევები იშვიათია), და მეორე, როცა საწარმო საკუთარი ინოვაციური რეზერვების ხარჯზე ახდენს არა ტექნოლოგიურად ახალი პროდუქტის ათვისებას, არამედ არსებული ტექნოლოგიის გამოყენებით, საბაზრო

სეგმენტების მოთხოვნილების შესაბამისად ითვისებს ახალ პროდუქციას. ამასთან, საკუთარ ინოვაციური გამოკვლევებს და დამუშავებებს საწარმოების უმრავლესობა არ აწარმოებს, ხოლო პროგრესული ინოვაციებით, რომლებიც დაკავშირებულია ახალი ტექნოლოგიური პროცესების დანერგვასთან, ან არსებულის სრულყოფასთან, დაკავებულია დარგის ინოვაციურად აქტიური საწარმოების ძალზედ მცირე რაოდენობა.მთლიანობაში, პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ ინოვაციური პროდუქტის წარმოება მნიშვნელოვნად ჩამორჩება ბაზრის ფორმირების პროცესს და მოთხოვნას, ხოლო შექმნილი მეცნიერულ-კვლევითი პროდუქტი იშვიათად გადაიქცევა საწარმოო, კომერციულ პროდუქტად.საქართველოში არ არის შექმნილი და განვითარებული ინოვაციური ინფრასტრუქტურა, რომელიც სიახლეებისთვის განსაკუთრებულ რეჟიმს უზრუნველყოფს: რისკების დაზღვევა, ვენჩურული ფონდები, ლიზინგური კომპანიები, ანუ ის აუცილებელი პირობები, რომელთა გარეშეც შეუძლებელია საწარმოებმა უზრუნველყონ ინოვაციური საქმიანობის მკვეთრი გაუმჯობესებაქ. მიუხედავად აღნიშნულისა და გარდამავალი პერიოდის სხვა სიძნელეებისა, შეიძლება ითქვას, რომ საქართველო ინარჩუნებს მაღალ მეცნიერულ-ტექნიკურ პოტენციალს, კვალიფიციურ სამეცნიერო და საინჟინრო კადრებს, აქვს მნიშვნელოვანი ბუნებრივი რესურსები, შიგა ბაზრის დიდი პოტენციალი. რეფორმების წლებმა უჩვენეს, რომ საქართველო ფლობს კიდევ ერთ მნიშვნელოვან რესურსს - მეწარმეთა მაღალ პოტენციალს.უკანასკნელ ათწლეულის განმავლობაში ინგლისში მიმდინარეობს ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის მინიმიზაცია ხოლო საფრანგეთში საწინააღმდეგო სურათია. უკლევბლივ ყველა შემთხვევაში სახელმწიფო იმისთვის, რომ იყოს საბაზრო და კონკურენტული მექანიზმის ეფექტიანად ფუნქციონირების გარანტი, ობიექტურად იკავებს გარკვეულ მდგომარეობას საზოგადოებაში, ეს მდგომარეობა მას ავალდებულებს, ჯერ ერთი, თავი მოუყაროს მთელი საზოგადოების ინტერესებს და იყოს მათი გამომხატველი, მეორე, ეროვნულ ეკონომიკაში შეინარჩუნოს მოქნილი, მაგრამ ერთიანი ,,თამაშის წესები'', მესამე იყოს საიმედო ,,ზურგი''. თითოეული ასპექტში საჭიროა გავითვალისწინოთ, რომ საზოგადოდ სახელმწიფო ცდილობს გავლენა მოახდინოს ეკონომიკაზე, ,, ეკონომიკურ მოძრაობაზე'' მისთვის ყველაზე ხელმისაწვდომი საკანონმდებლო და ადმინისტრაციული მეთოდებით. ამავე დროს იგი არც თუ ისე იშვიათად უკუზემოქმედებას ახდენს ეკონომიკურ განვითარების სულისკვეთებაზე, მაგარამ ეს კომფლიქტის მიზეზი არ ხდება სახელმწიფოსა და აკონომიკის განვითარებას შორის. იქ სადაც რომელიმე ქვეყნის შდა სახელმწიფო ხელისუფლება ანტაგონიზმში მოექცევა მის ეკონომიკურ განვითარებასთან, როგორც ეს აქამდე განვითარების ამა თუ იმ საფეხურზე ემართებოდა თითქმის ყველა პოლიტიკურ ხელისუფლებას.

აქედან გამომდინარე აუცილებელია ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირება ზომირებულად, მის ხელთ არსებული მექანიზმით, მაგარამ ამ რეგულირებამ არ უნდა მოუსპოს ან შეუზღუდოს ეკონომიკასა და ბიზნეს პროგრესული გზა. ქყვეყის ეკონომიკის განვითარება მხოლოდ საკუთარი გამოცდილებით შეუძლებლია ამიტომ საჭიროა განვითარებული ქვეყნების გამალითები და მათ მდაშვებული შეცდომები ჩვენს სასარგებლოდ გამოვიყენოთ საკუთარი ქვეყნის შესაფერისი გავნითარების გზის პოვნა და ამ გზაში მტავარ როლს ინოვაციები ითამაშებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. http://european.geზე განთავსებული სტატიაა ,, ეკონომიკის ინოვაციური განვითარების ფინანსური ინსტრუმენტები და წყაროები ევროკავშირსა და საქართველოში“28.02.2018

ავტორი: გიორგი სიგუა – ეკონომიკის დოქტორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი.

2. http://www.nplg.gov.geზე განთავსებული სტატიაა ,, ეკონომიკური ტრანსფორმაცია საქართველოში და საერთაშორისო საფინანსო-ეკონომიკური ორგანიზაციები“
3. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო ვებ გვერდი http://www.economy.ge განთავსებუ;ლი ინფორმაციები
4. ჟურნალ...
5. https://bsu.edu.geზე განთავსებული სტატიაა ,, ეროვნული ეკონომიკის განვითარების ტენდენციები და გლობალიზაციის გამოწვევები“ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი ბიზნესის ადმინისტრირების, მენეჯმენტის და მარკეტინგის დარგობრივი დეპარტამენტი ნათია ბეჟანიძე 2017 წელი

■■■■

მონოპოლია

Monopoly

ავტორი - **დიანა ვარდოსანიძე, გივი თევდორაძე,** *ხელმძღვანელი* - მოწვ. სპეც. **ქეთო შონია,** აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

Author - Diana Vardosanidze, Givi Tevdoradze*, Supervizor – Inv. Spec.* ***Keto Shonia,*** *Akaki Tsereteli State University.*

Abstract

Introduction to the Report and Purpose of Research: Monopoly is a distinguished right of any state or group. The monopoly right may be subject to absolutely different goods and services, say foreign trade, land or anything else. Monopoly in a market economy A particular economic subject or group of subjects can achieve a high concentration of capital and production, which, in turn, can be achieved by a deal or a merger between companies. Monopoly is a market structure that includes one company that produces unique products without close substitutes. Such a monopolist is the price-maker and therefore has full control over the market supply.

Research Methodology: When the company owns monopolistic power it sets the price that is high compared to the competitive price. In the high prices, consumers' demands are falling, and in comparison with competitive markets the production volume and consumption are falling. In other words, when the company has a monopoly power, the price is high and the production volume is low, there is an inefficient distribution of resources. Employment is largely driven by the volume of production, the reduced employment release can be low on the monopoly market where it would be in the competitive market.

Conclusion: Is Monopoly Always Bad? Sometimes the start of the process of production is so high that the monopoly's access to the market is economical. This is especially true in the electricity, gas and water sector where the state monopolies are often found. In such cases there is a need for regulation to protect the user's interest. This implies that we adapt monopoly but regulate it, because at least we have a social loss.

Because monopolistic power can not be controlled by strategic behavior of companies, the best decision is to control the price and quantity of the monopolist. Moreover, often the fragmentation of such a monopolist is connected to higher public expenditure rather than maintaining it.

Some industries need research and innovation to make high expenditures, which is easier to use than large companies. So depending on the industry, where there is no big potential for scale economy and where it is important that users have a choice of monopoly is ineffective and causes social loss

მონოპოლია და მისი წარმოქმნის მიზეზები

მონოპოლია არის რომელიმე სახელმწიფოს ან ჯგუფის გამორჩეული უფლება. მონოპოლიური უფლება შეიძლება ვრცელდებოდეს სრულიად სხვადასხვა საქონელსა და მომსახურებაზე, ვთქვათ, საგარეო ვაჭრობაზე, მიწაზე ან რაიმეს წარმოებაზე. მონოპოლიას საბაზრო ეკონომიკაში კონკრეტულმა ეკონომიკურმა სუბიექტმა ან სუბიექტების ჯგუფმა შეიძლება მიაღწიოს კაპიტალისა და წარმოების მაღალი კონცენტრაციის შედეგად, რაც, თავის მხრივ, მიიღწევა კომპანიებს შორის დადებული გარიგებით ან შერწყმით. მონოპოლია არის ბაზრის სტრუქტურა, რომელიც მოიცავს ერთ კომპანიას, რომელიც აწარმოებს უნიკალურ პროდუქციას ახლო შემცვლელების გარეშე. ასეთი მონოპოლისტი არის ფასის დამდგენი და შესაბამისად აქვს სრული კონტროლი ბაზრის მიწოდების ნაწილზე.

რატომ ჩნდება მონოპოლიები? ფირმა მონოპოლიაა, თუ თავისი საქონლის ერთადერთი გამყიდველია და ამ საქონელს ახლო შემცვლელები არა აქვს. მონოპოლიის ძირითადი მიზეზია ბაზარზე შესვლის ბარიერები: მონოპოლია ერთდერთ გამყიდველად რჩება თავის ბაზარზე, ვინაიდან სხვა

ფირმებს არ შეუძლიათ ამ ბაზარზე შესვლა და მონოპოლიისთვის კონკურენციის გაწევა. ბაზარზე შესვლის ბარიერებს, თავის მხრივ, სამი მიზეზი აქვთ:

•ძირითად რესურსს ერთი ფირმა ფლობს.
•მთავრობა ერთ ფირმას აძლევს რაიმე საქონლის წარმოების ექსკლუზიურ უფლებას.
•წარმოების დანახარჯები ისეთია, რომ ერთი მწარმოებელი უფრო ეფექტიანად მუშაობს, ვიდრე მწარმოებელთა დიდი რაოდენობა.

მოკლედ განვიხილოთ თითოეული მიზეზი.

მონოპოლიური რესურსები:

მონოპოლიის წარმოქმნის ყველაზე მარტივი გზაა ერთი ფირმის მიერ ძირითადი რესურსის ფლობა. მაგადითად, თუ ქალაქში მხოლოდ ერთი ჭაა და შეუძლებელია რომელიმე სხვა ჭიდან წყლის მიღება, მაშინ ამ ჭის მფლობელს მონოპოლია აქვს წყალზე. გასაკვირი არაა, რომ მონოპოლისტს უფრო მონოპოლისტს უფრო მეტი საბაზრო ძალაუფლება აქვს, ვიდრე კონკურენტულ ბაზარზე მოქმედ ნებისმიერ ცალკეულ ფირმას. ისეთი აუცილებელი საქონლის შემთხვევაში, როგორიცაა წყალი, მონოპოლისტს შეუძლია საკმაოდ დიდი ფასი დააწესოს.

მიუხედავად იმისა, რომ ძირითადი რესურსის ფლობა მონოპოლიის გაჩენის პოტენციური მიზეზია, პრაქტიკაში ასეთი მონოპოლია იშვიათად გვხვდება. რეალური ეკონომიკური სისტემები დიდია და რესურსებს მრავალი მფლობელი ჰყავს. იმის გამო, რომ მრავალი სახის საქონლით არაერთი ქვეყანა ვაჭრობს, ამ საქონელთა ბაზრები, ხშირად, მთელ მსოფლიოს მოიცავს. არსებობს მხოლოდ რამდენიმე ფირმა, რომლებიც ფლობენ ისეთ რესურსებს, რომელთაც ახლო შემცვლელები არ გააცნიათ.

ისეთი მონოპოლიის კლასიკური მაგალითი, რომელიც ძირითადი რესურსის ფლობის შედეგად ჩნდება, არის დე ბირსი, სამხრეთ აფრიკის ბრილიანტის კომპანია. დე ბირსი მსოფლიოში ბრილიანტების წარმოების თითქმის 80 პროცენტს აკონტროლებს.

მთავრობის მიერ შექმნილი მონოპოლიები

მრავალ შემთხვევაში მონოპოლია იმის შედეგად ჩნდება, რომ მთავრობა ერთ პიროვნებას ანფირმას აძლევს ესკლუზიურ უფლებას რომელიმე საქონლისა თუ მომსახურების გაყიდვაზე. ზოგჯერ მონოპოლია მხოლოდ მომავალი მონოპოლისტის პოლიტიკური მდგომარეობის გამო ჩნდება. მაგალითად, მეფეები ექსკლუზიური ლიცენზიებით საკუთარ მეგობრებსა და მოკავშირეებს ასაჩუქრებდნენ. ზოგჯერ კი მთავრობა ასეთ ლიცენზიებს გასცემს იმის გამო, რომ ეს სასარგებლოა საზოგადოებისთვის. პატენტისა და საავტორო უფლების კანონი ერთ-ერთი მაგალითია იმისა, თუ როგორ ქმნის მთავრობა მონოპოლიას საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე. ეს კანონები მონოპოლიას ანიჭებენ ერთ მწარმოებელს, ასები უპრო მღალია, ვიდრე კონკურენციის პირობებში იქნებოდა.

ბუნებრივი მონოპოლიები

დარგი ბუნებრივი მონოპოლიაა, როდესაც ერთ ფირმას შეუძლია საქონლისა თუ მომსაურების მოცემულ ბაზარზე მიწოდება უფრო მცირე დანახარჯებით, ვიდრე ორ ან მეტ ფირმას. როდესაც ფირმა ბუნებრივი მონოპოლიაა, მას ნაკლებად ემუქრება მონოპოლიური ძალაუფლების შემცირება ბაზარზე ახალი ფირმის შესვლის შედეგად. როგორც წესი, ფირმას უჭირს მონოპოლიური პოზიციის შენარჩუნება ძირითადი რესურსის ფლობისა და მთავრობის მხრიდან მისი დაცვის გარეშე. მონოპოლისტის მოგება ბაზარზე სხვა ფირმებსაც იზიდავს, რაც ბაზარს უფრო კონკურენტულს ხდის. მაგრამ ისეთ ბაზარზე შესვლა, სადაც ერთ ფირმას ბუნებრივი მონოპოლია აქვს, არ არის სხვა ფირმებისთვის მიმზიდველი. პოტენციურმა შემსვლელებმა იციან, რომ ვერ შეძლებენ ასეთივე დაბალი დანახარჯით მუშაობას, ვინაიდან, ბაზარზე შესვლის შემდეგ, თითოეულ ფირმას ბაზარზე მხოლოდ მცირე წილი ექნება.

მონოპოლია - როგორც პრობლემა

ბუნებრივია მონოპოლია თავისუფალი ვაჭრობის ერთ-ერთი მთავარი შემაფერხებელი პრობლემაა. მონოპოლი კომპანიები ახდენენ ფასთა ფიქსაციას , რაც ნიშნავს იმას რომ ისინი დაბალი ხარისხის პროდუქტს აფასებენ საოცრაად ძვირად. მომხმარებელს კი არ აძლევენ არჩევნის საშუალებას. ჯანსაღი კონკურენციის დროს ბაზარი თავად აწესებს ფასებს მოთხოვნა-მიწოდების პრინციპის გათვალისწინებით. ხოლო მონოპოლიის შემთხვევაში ბაზრის ამ ფუნქციას რომელიმე კონკრეტული კომპანია ითავსებს. თანაც ასეთ ვითარებაში ახალბედა კომპანიებისათვის მონოპოლიზირებულ ბაზარზე შეღწევა თითქმის შეუძლებელია, გარდა იმშემთხვევებისა , როდესაც საწყისი კაპიტალი ძალიან სოლიდურ თანხას შეადგენს. მონოპოლია რეალურად საშუალო და მცირე ბიზნესს ანადგურებ, და ამით არა მარტო მცირე კომპანიები არამედ ქვეყნის ეკონომიკაც კი ზარალდება რადგან სახელმწიფოს ეკონომიკის ძირითადი საყრდენი სწორედ საშუალო და მცირე ბიზნესებია. აგრეთვე არ შეიძლება არ ავღნიშნოთ ის ფაქტიც ,რომ მონოპოლიზირებული ბაზარი არა მარტო ქვეყნის ეკონომიკას არამედ მის ზოგად განვითარებას აფერხებს და შესაბამისად ცხოვრების დონეე სულ უფრო და უფრო დაბლა იწევს.

ზემოთ ხსენებული უარყოფითი მიზეზების გამო ჩნდება მოთხოვნილება ,რომ მსგავსი სიტუაციისგან კანონის მიერ ვიყოთ დაცული. ამ საკითხზე რამდენიმე საქართველოში მოქმედი კანონი შეგვიძლია მოვიძიოთ. ამჯერად თქვენი ყურადღების გამახვილება მსურს საქართველოს კანონზე- თავისუფალივაჭრობისა და კონკურენციის შესახებ. ეს კანონი ადგენს თავისუფალი და სამართლიანი კონკურენციის არამართლზომიერი შეზღუდვისაგაან დაცვის პრინციპებს, რაც თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენტუნარიანი ბაზრის განვითარების საფუძველია. კანონის მიზანია საქართველოში ბაზრის ლიბერალიზაციის, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის ხელშეწყობა.

არის თუ არა მონოპოლია ყოველთვის ცუდი?

1998 წელს აშშ-ს რაიონულმა სასამართლომ დაადგინა, რომ Microsoft-ი წარმოადგენდა უკანონო მონოპოლიას. კომპანიას დაევალა კონკურენტებისათვის მისი ოპერაციული სისტემის შესახებ ინფორმაციის გაზიარება, რომ ამ უკანასკნელებს საშუალება ჰქონოდათ ვინდოუსის პლატფორმის გამოყენებით განევითარებინათ ინოვაციური პროდუქტები.

ბევრი მიიჩნევს, რომ Google-ს გააჩნია მონოპოლიური ძალაუფლება ინტერნეტ საძიებო სისტემის ბაზარზე. მომხმარებლების 65% სწორედ Google-ის საძიებო სისტემას იყენებს,ეს მაშინ, როდესაც უახლოეს კონკურენტებს Bing და Yahoo-ს ჯამში ბაზრის მხოლოდ 34% უჭირავთ. Google ასევე აკონტროლებს საძიებო სისტემასთან დაკავშირებული რეკლამის 80%-ს.

2010 წლიდან Google-მა სამჯერ მიიღო უარი ევროპის მარეგულირებელი ორგანოსგან მის საძიებო სისტემასთან დაკავშირებული ანტიმონოპოლიურ შემთხვევაზე. რა იყო ევროპის მარეგულირებლების მოტივაცია? რა არის ცუდი იმაში, რომ კომპანია ფლობდეს მონოპოლიურ ძალაუფლებას ბაზარზე?

მონოპოლია არის ბაზრის სტრუქტურა, რომელიც მოიცავს ერთ კომპანიას, რომელიც აწარმოებს უნიკალურ პროდუქციას ახლო შემცვლელების გარეშე. ასეთი მონოპოლისტი არის ფასის დამდგენი და შესაბამისად აქვს სრული კონტროლი ბაზრის მიწოდების ნაწილზე. ქვემოთ განხილულია მონოპოლიების მიმართ უარყოფითი დამოკიდებულების მიზეზები:

როგორც უკვე აღინიშნა, როდესაც კომპანია ფლობს მონოპოლიურ ძალაუფლებას, ის აწესებს ფასს, რომელიც მაღალია კონკურენტულ ფასთან შედარებით. როდესაც კომპანიას აქვს მონოპოლიური ძალაუფლება, ფასი არის მაღალი, ხოლო წარმოების მოცულობა დაბალი, ადგილი აქვს რესურსების არაეფექტიან გადანაწილებას. დასაქმება დიდწილად განპირობებულია წარმოების მოცულობით, შემცირებული გამოშვების პირობებში მონოპოლიურ ბაზარზე დასაქმება შეიძლება იყოს დაბალი, ვიდრე ეს კონკურენტულ ბაზარზე იქნებოდა.

რადგან მონოპოლისტის მიერ წარმოებულ პროდუქციას ახლო შემცვლელები არ გააჩნია, მონოპოლისტმა შეიძლება ბაზარს მიაწოდოს დაბალი ხარისხის ნაწარმი. საქმე იმაშია, რომ ასეთი ტიპის ბაზარზე მომხმარებლისთვის არჩევანი შეზღუდულია. მაგრამ მყიდველს ყოველთვის მოსწონს როდესაც აქვს არჩევანის საშუალება, თუნდაც თუ ორი პროდუქტი ფუნქციურად არ განსხვდება ერთმანეთისგან და ბრენდინგი არის ერთადერთი მიზეზი რატომ ამჯობინებს მომხმარებელი ერთი პროდუქტის შეძენას ვიდრე მეორისას.

მონოპლისტს არ აქვს არანაირი მოტივაცია იყოს ინოვაციური, რომ ბაზარს შესათავაზოს ახალი და გაუმჯობესებული პროდუქტი. ამის საწინააღმდეგოდ, მაღალკონკურენტული ბაზარი იძლევა შესაძლებლობას და მოითხოვს კიდეც კომპანიების მხრიდან მუდმივ ინოვაციურობას. შესაბამისად, მონოპოლისტის წარმოება შეიძლება იყოს არაეფექტიანი, რადგან კონკურენტების არ არსებობის გამო მონოპოლისტს არ აქვს სტიმული მინიმალურ ზღვრამდე შეამციროს წარმოების საშუალო დანახარჯი.

არის თუ არა მონოპოლია ყოველთვის ცუდი? როგორც ზემოთ აღინიშნა Google ფლობს მონოპოლიურ ძალაუფლებას, მაგრამ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს კომპანია არის ნაკლებად ინოვაციური? ზოგჯერ წარმოების პროცესის დაწყება იმდენად მაღალ ხარჯებთან არის დაკავშირებული, რომ ეკონომიკურ აზრს იძენს მონოპოლიის დაშვება ბაზარზე. ეს განსაკუთრებით მართლდება ელექტრო, გაზ და წყალმომარაგების სექტორში, სადაც ხშირად გვხვდება სახელმწიფო მონოპოლიები. ასეთ შემთხვევებში მომხმარებლის ინტერესის დასაცავად ჩნდება რეგულაციის საჭიროება. რაც იმას გულისხმობს, რომ ვუშვებთ მონოპოლიას მაგრამ ვარეგულირებთ, რადგან მინიმუმზე დავიყვანოთ სოციალური დანაკარგი.

მსგავსი ვითარებაა „ბუნებრივი მონოპოლიების" შემთხვევაშიც, რომლის დროსაც მონოპოლისტს არ სჭირდება სტრატეგიული ქცევა, კონკურენტების ბაზრიდან გაძევების მიზნით. ამ შემთხვევაში, რადგან მონოპოლისტური ძალაუფლება ვერ იქნება ელიმინირებული კომპანიების სტრატეგიული ქცევის კონტროლით, საუკეთესო გადაწყვეტილება მონოპოლისტის მიერ დაწესებული ფასისა და წარმოებული რაოდენობის კონტროლია. უფრო მეტიც, ხშირად ასეთი ტიპის მონოპოლისტის დანაწევრება უფრო მაღალ საზოგადოებრივ ხარჯებთან არის დაკავშირებული, ვიდრე მისი შენარჩუნება.

ზოგიერთ ინდუსტრიას სჭირდება კვლევებისა და ინოვაციების მიმართულებით მაღალი დანახარჯების გაწევა, რისი განხორციელებაც მსხვილი კომპანიისგან უფრო მარტივია. ასე რომ დამოკიდებულია ინდუსტრიაზე, მიმართულებებში, სადაც არ არის მასშტაბის ეკონომიის გავნითარების დიდი პოტენციალი და სადაც მნიშვნელოვანია მომხმარებლებს ჰქონდეთ არჩევანის საშუალება მონოპოლია არაეფექტიანია და სოციალურ დანაკარგს იწვევს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ეკონომიკის პრინციპები - გრეგორი მენქიუ
2. http://sabazroekonomiacsb.blogspot.com/2013/05/blog-post_15.html
3. http://forbes.ge/blog/158/aris-Tu-ara-monopolia-yovelTvis-cudi

■■■■

რეკლამა - ჩვენი წარსული, აწმყო, მომავალი

Advertisement - Our past, present, future

ავტორი - **ლანა კოპალიანი , ლანა ტორაძე,** *ხელმძღვანელი* - ასისტ.- პროფ. **სოფო მიქაბაძე,** აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

Author - **Lana Kopaliani , Lana Toradze,** *Supervizor* – Assist.-Prof. **Sofo Mikabadze,** *Akaki Tsereteli State University.*

Modernity is unimaginable without marketing, and its main weapon and action are advertising. The simplest means of advertising were still in Christianity in ancient Greece and Rome. It masks the lie and tries to act as good as possible. The influence of advertising has psychological aspects and color psychology is successfully used in this industry. Each color corresponds to the hidden emotions that are well studied by marketers. The success of the business is largely dependent on advertising. The article describes the origin of advertising and its development stages. It is noteworthy that its signs are still in ancient times. In this article, we have tried to find out how the advertisement works for people, and we conducted a survey that showed that people are remembered for the advertising they are supposed to have.

საკვანძო სიტყვები: რეკლამა, მარკეტინგი, ბიზნესი, ზემოქმედება , პიარი.

Keywords: advertisement, marketing, business, impact, PR

თანამედროვეობა წარმოუდგენელია მარკეტინგის გარეშე,რომელიც მრავალმხრივია და საერთო ჯამში წარმოადგენს წმინდა გასაღებით საქმიანობას,რომელსაც ჩვენს რეალობაში განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა გააჩნია.

აღსანიშნავია,რომ მარკეტინგი უცებ არ ჩამოყალიბებულა და მან განვითარების დიდი გზა განვლო.თუ კი ისტორიას გადავხედავთ შევნიშნავთ,რომ ჯერ კიდევ სამი ათასი წლის უკან ბაბილონში გამოიყენებოდა პირველი სარეკლამო ნიშნები,რომლითაც გაქცეულ მონებს ჯილდოს ჰპირდებოდნენ.

როგორც ვხედავთ რეკლამა,როგორც მარკეტინგის ერთ-ერთი ძირითადი იარაღი და სამოქმედო საშუალება ჩამოყალიბდა და განვითარდა თავად მარკეტინგთან ერთად. მის დანიშნულებას წარმოადგენს სხვადასხვა საშუალებებით აცნობოს ადამიანებს რაიმეს შესახებ, პოპულარიზაცია გაუწიოს საქონელს, სანახაობას (კინო, თეატრი, სპორტული შეჯიბრი), მომსახურებას, რომელსაც ესა თუ ის დაწესებულება ეწევა (ვთქვათ საყოფაცხოვრებო მომსახურების დაწესებულებები, ორგანიზაციები) და ა.შ. რეკლამის გავრცელების თანამედროვე საშუალებებია გაზეთი, ჟურნალი, რადიო, ტელევიზია, ელექტროგანათება, ინტერნეტი და სხვ.

რეკლამას საკმაოდ დიდი ხნის ისტორია აქვს. მაგალითად, რეკლამის უმარტივესი საშუალებები ჯერ კიდევ ქრისტიანობამდე არსებობდა ძველ საბერძნეთსა და რომში.

რეკლამის პირველი სათავეების ძიებამ ისე შორს წაიყვანა მკვლევარები, რომ ერთ-ერთმა ფრანგმა კრიტიკოსმა სარკასტულად შენიშნა, რომ რეკლამის ხასიათის პირველი სცენა, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ სამოთხეში გათამაშდა და მასში სამი პერსონაჟი მონაწილეობდა: ადამი – კლიენტი, ევა – გამყიდველი და გველი – სარეკლამო ბიუროს აგენტი (თუ შედეგით ვიმსჯელებთ საკმაოდ წარმატებული), რომელმაც ევას უკარნახა ყველაზე საუკეთესო არგუმენტები, რომლითაც მას ადამის შეცდენა შეეძლო.

რაც შეეხება რეკლამის გავითარებას საქართველოში პირველი სატელევიზიო რეკლამა საქართველოში გავიდა 1950–იანი წლების ბოლოს. მაშინ ქართულ ჯემს რეკლამირებას ტელეწამყვანი ჟანეტა არჩვაძე უწევდა.ასევე აღსანიშნავია სარაჯიშვილის რეკლამა (ფოტოზე ბარბარე ბაგრატიონი, ფოტო XIX საუკუნის ბოლოსაა გადაღებული).

რეკლამა ათასგვარი ოსტატობით ნიღბავს სიცრუეს და ცდილობს რაც შეიძლება კარგად იმოქმედოს მომხმარებელზე - „ყველა საშუალება კარგია მიზნის მისაღწევად“ (იეზიგი დიდ გავლენას ნებისმიერი ასაკის ადამიანზე.კარგად შეფუთულმა და წარმოჩენილმა პროდუქტმა შესაძლოა მიიზიდოს სხვადასხვა ასაკისა და სეგმენტის ადამიანები.მათ შორის ბავშვები.გასაკვირი არაა, რომ ბავშვები და მოზარდები ბევრი მწარმოებლისა და რეკლამის დამკვეთისთვის "ტკბილი ლუკმაა". შესაძლოა, ბავშვი თვითონ არ იღებდეს გადაწყვეტილებას, მაგრამ შეუძლია გავლენა მოახდინოს და დაარწმუნოს მშობელი, რა უნდა იყიდოს. აღსაღნიშნავია, რომ თხოვნების 50% მიზანს აღწევს. ამის გამო ოჯახებში ხშირია კონფლიქტი: ბავშვი ითხოვს სწორედ იმის ყიდვას, რაც რეკლამაში ნახა, ხოლო მშობლებს არ შეუძლია ან არ უნდა მისი სურვილის შესრულება. როდესაც რეკლამაში გამოყენებულია მომხიბვლელი, ვარდისფერლოყება ბავშვის ან საზრიანი მოზარდის სახე, რეკლამირებული პროდუქტის ყიდვის ალბათობა რამდენჯერმე იზრდება. ყურადღების მიპყრობის თვალსაზრისით პირველ ადგილზე ქალის სახეა, მეორე ადგილზე - ბავშვის, მესამეზე - ცხოველების და მხოლოდ მეოთხეზეა - მამაკაცის სახე.

ბავშვი, უძველესი ტრადიციებიდან გამოდინარე, აღიქმება როგორც საყვარელი, უმწეო, არააგრესიული არსება და უმეტეს შემთხვევაში იწვევს დადებით ემოციებს და ასოციაციებს.

რეკლამაში ბავშვის სახეების გამოყვეყნება იწვევს იმას, რომ ბავშვისკენ მიმართული დადებითი განცდა გადადის მის მიერ რეკლამირებულ საქონელზეც.

ხშირად ბავშვიანი რეკლამა მოქმედებს იმ მშობლებზე, რომლებიც ცდილობენ თავის ბავშვებს მისცენ "ყველაფრი საუკეთესო", თუმცა მრავალი საქონლის რეალური თვისებები ანალოგიურია და ერთმანეთისგან მხოლოდ სახელწოდებით განსხვავდება.

უმცროსი ასაკის ბავშვებზე მოქმედებს შედარებით მოზრდილების სახეები. ისინი ცდილობენ მალე გაიზარდონ, დაიმსახურონ მეგობრების და მშობლების აღიარება და პატივისცემა. ამიტომ პატარები ცდილობენ დაემსგავსონ მოზარდებს (2 - 3 წლით უფროსებს) რეკლამიდან, ამისთვის იყენებენ ისეთივე ტანსაცმელს, საკვებს ან პირადი ჰიგიენის ნივთებს, რადგან ეს "მაგარია".

უფროსი ასაკის ბავშვებში და მოზარდებში დადებით რეაქციას იწვევს კერპები - ცნობილი ფეხბურთელები, მსახიობები, ან მუსიკოსები, რომელთა მიბაძვას ისისნი ცდილობნენ.

რეკლამის ეფექტურობისათვის კიდევ ერთ მნიშვნელოვან ნაწილე წარმოადგენს ფერები.ამ ყველაფერს თამამად შეიძლება ეწოდოს ფერების ფსიქოლოგია. მაგალითად,ფსიქოლოგებმა დაადგინეს,რომ ლურჯი,ოქროსფერი,თეთრი,შავი,წითელი ეს ის ფერებია,რომლებიც შეგიძლია გამოიყენო ელიტური სეგმენტის საქონლის შესაფუთად. წითელი და ყვითელი ფერები დაკავშირებულია სიხარულის, სითბოს,მხიარულების განცდასთან და სწორედ ამიტომ იყენებენ ამ

მიუხედავად მაღალი ეფექტურობისა რეკლამა მაინც არ წარმოადგენს გამონაკლისს და მასაც გააჩნია ორი მხარე: დადებითი და უარყოფითი.მაგალითისთვის

1.რეკლამა მოქმედებს ადამიანის ფსიქიკაზე და გარკვეული მიმართულებით წარმართავს მას-(თუნდაც არასწორი) .

2.აჩვენებ მომხმარებელს პროდუქციის დადებით მხარეებს და შეუმჩნეველს ხადის მის უარყოფით თვისებებს.

3.დაანახოს მომხმარებელს პროდუქციის დადებითი მხარეები და შეუმჩნეველი გახადოს მისი უარყოფითი თვისებები.

4.ხელს უწყობს კონკრეტულ გარემოში წარმატებულ საქმიანობას, ყოველთვის მზადაა, დროულად მიიტანოს პროდუქტი მომხმარებლამდე.

5.რეკლამა გვაძლევს საშუალებას შევადაროთ და ავირჩიოთ ყველაზე მისაღები ვარიანტი არსებული ბაზარზე. იგი გვაწვდის ინფორმაციას საქონლისა და მომსახურეობის ყველა განმასხვავებელი თვისებებზე

6.რეკლამა ხელს უწყობს გაიზარდოს გაყიდვები და, შესაბამისად, ვაჭრობაც.

ბიზნესის სამყაროში რეკლამას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს და შეიძლება ითქვას, რომ ამ სეგმენტზე დიდწილადაა დამოკიდებული ბიზნესის წარმატება თუ წარუმატებლობა.სტატიაზე მუშაობისას დავინტერესდით საინტერესო ფაქტებით და აღმოვაჩინეთ,რომ:

1.პირველი რეკლამა დაიბეჭდა 1477 წელს და ეს იყო ლოცვების წიგნის რეკლამა.

2. 1988 წელს საბჭოთა კავშირში პეპსის რეკლამა გაუშვეს,რომელშიც მაიკლ ჯექსონი მონაწილეობდა.ეს იყო პირველი შემთხვევა ამერიკული რეკლამის საბჭოთა ტელევიზიით

3.ჟურნალი ლაიფი იყო პირველი,რომელმაც რეკლამირებით 100 000 000 დოლარის მოგება ნახა.

4.ყველაზე ძვირადღირებული 30 წამიანი რეკლამა ტელეკომპანია ''ენ-ბი-სი-ში'' გაუშვეს და მისი ფასი 575 ათასი დოლარი იყო.

5.აშშ-ს მთავრობა ყოველ წელს რეკლამაში 100 000 000 $ ხარჯავს.

ასევე დავინტერესდით მარკეტინგის მხიარული თავგადასავლებით.მაგალითად:

1.შვედეთში, შამპუნის მწარმოებელ კომპანიას მოუწია სარეკლამო მესიჯის ცვლილება ''საღამოს შამპუნიდან'' ''დღის შამპუნზე, რადგან შვედები თავს დილით იბანან.

2. კოკა-კოლა საშინელ მდგომარეობაში აღმოჩნდა,როდესაც ფირმის სახელწოდება იაპონურად თარგმნა. კოკა-კოლა იაპონურად ნიშნავს ''მოკბიჩე ცვილის კურდღელი''.მრავალი მცდელობის შემდეგ მათ შეარჩიეს სახელი ''კოკუ კოლუ'' ,რაც ''პირის ბედნიერებას'' ნიშნავს.

3. ''ამერიქან ეარლაინსმა'' თვითმფრინავში ტყავის სავარძლები დაამონტაჟა და სლოგანიც შესაბამისი მოიფიქრა ''იფრინე ტყავში'', მააგრამ როდესაც ეს სლოგანი ესპანურად ითარგმნა მოხდა გაუგებრობა,რადგან ესპანურად ნიშნავს ''იფრინე შიშველმა''.

4.რამდენად სასაცილოა ცალკე საკითხია, თუმცა ფარმაცევტული კოპანიები <u>მარკეტინგზე</u> და რეკლამაზე ორჯერ უფრო მეტ თანხას ხარჯავენ, ვიდრე კვლევების ჩატარებაზე. შემოსავლების 24 % იხარჯება <u>მარკეტინგზე</u> ხოლო 13 % კი კვლევების ჩატარება საკვებისზე.

5.რეკლამაში არ იყენებენ ნამდვილ საკვებ პროდუქტებს .მაგალითას ლუდის რეკლამასი იყენებენ სადეზიმფექციო ხსნარს,რომელიც ლუდს აქაფებს.

და ბოლოს გადავწყვიტეთ მცირე გამოკითხვის ჩატარება იმასთან დაკავშირებით თუ

1) რისი რეკლამა ახსოვთ ადამიანებს ყველაზე მეტად და

2) შეუძენიათ თუ არა რაიმე ნივთი მასთან დაკავშირებული რეკლამისგამო.

გამოიკითხა 100 ადამიანი.

	№	რეკლამის დასახელება	‰
რომელი რეკლამა გახსოვთ ყველაზე მეტად?	1	მოლფიქსი	42
	2	კოკა-კოლა	33
	3	ტოფიტა	29
	4	სხვადასხვა	6

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ფილიპ კოტლერი - ''მარკეტინგის საფუძვლები''.
2. თსუ - '' მარკეტინგის საფუძვლები''
3. ''მიკრო კვლევები'' 2008
4. https://www.marketer.ge/reklamis-istoria/
5. https://l.facebook.com/l.php?u=https%3A%2F%2Fwww.marketer.ge%2Fcool-facts-fromadvertising%2F%3Ffbclid%3DIwAR0tp-o30TIHh0acJFgsQbC-X4D3K4CoWrG7lpi5CkSkwa0-90FrV58FxdA&h=AT3qZGkmSXapQU3Hq-

mHUlUHll6cV_HNXq3FSJmbwAzJfbPl7cFc5gwVf1fQYnHEeCW4MISSk3ldE982tZHS7XoIbUajOg2NrtQKTEwNRmNTaQShNACniQAdbbhHGwXBeK1CCQ

6. https://l.facebook.com/l.php?u=http%3A%2F%2Fb2p.ge%2F%25E1%2583%25A4%25E1%2583%2594%25E1%2583%25A0%25E1%2583%2594%25E1%2583%2591%25E1%2583%2598%25E1%2583%25A1-%25E1%2583%25A4%25E1%2583%25A1%25E1%2583%2598%25E1%2583%25A5%25E1%2583%259D%25E1%2583%259A%25E1%2583%259D%25E1%2583%2592%25E1%2583%2598%25E1%2583%2590-%25E1%2583%25A0%25E1%2583%2594%25E1%2583%2599%25E1%2583%259A%25E1%2583%2590%2F%3Ffbclid%3DIwAR2icDXTVyTYTduo9ScIzjXwLz5bMlaeVF8wVFIo2SMfFUI9AeEw_dOkiMs&h=AT3qZGkmSXapQU3Hq-mHUlUHll6cV_HNXq3FSJmbwAzJfbPl7cFc5gwVf1fQYnHEeCW4MISSk3ldE982tZHS7XoIbUajOg2NrtQKTEwNRmNTaQShNACniQAdbbhHGwXBeK1CCQ

■■■■

შენობების სერთიფიცირება-გამკაცრებული მოთხოვნები მათი დაპროექტებისას და ექსპლოატაციაში მიღებისას

CERTIFICATION FOR BUILDINGS – TOUGHENING OF REQUIREMENTS AT THEIR DESIGN AND OPERATION

ავტორი - ელინა ქრისტესიაშვილი, დავით ზაქაშვილი, ხელმძღვანელი - **პროფ. *რევაზ მახვილაძე,*** საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი.

Author **- Elina Kristesiashvili, David Zakashvili,** *Supervizor –Prof.* **Revaz Makhviladze,** Georgian Technical University.

რეზიუმე: *მზადდება კანონპროექტი 2020 წლიდან აგებული ობიექტების სერთიფიცირების თაობაზე. ექსპლოატაციაში არ მიიღება ობიექტი თუ არ დაკმაყოფილდება სამშენებლო კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნები ენერგოდამზოგველობაზე, სახანძრო უსაფრთხოებაზე და სხვა. საკითხებზე განიხილება საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანებასთან დაკავშირებით შენობა-ნაგებობების მშენებლობისას 2030 წლამდე ქვეყნის ენერგოდამზოგველობაში ევროპის პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სტანდარტების დანერგვისა და განხორციელების აუცილებლობის საკითხები.*

საკვანძო სიტყვები: *დაპროექტება, მშენებლობა, ობიექტების ექსპლუატაციაში მიღება, ენერგოდამზოგველობა, ენერგოეფექტურობა (EE), ენერგოეფექტურობის დირექტივა (EED), ენერგოეფექტურობის ვალდებულება (EEO), ენერგოდამზოგველი შენობა ან ნაგებობა, ინვესტიცია, ინოვაცია, ეკონომიკური ეფექტურობა.*

Abstract: *Is preparing the draft law on certification of objects built from 2020. The object will not be accepted of the operation if the requirements of the construction legislation are not met the requirements on energy saving, fire safety, etc. Are considered issues of the necessity for the implementation of European political, economic and social standards in the energy saving of the country since 2030 at construction of buildings related with Georgia's accession to the EU.*

Keywords: *design, construction, acceptance of objects in operation, energy saving, energy*

efficiency directive (EED), energy efficiency obligation (EEO), energy saving building or construction, investment, innovation, economic efficiency.

1. შესავალი

არქიტექტურულ-საპროექტო საქმიანობაში სამშენებლო-ტექნიკური პროგრესი სამშენებლო-დეველოპერულ ფირმებში და საქალაქო მეურნეობის საექსპლოატაციო ორგანოებში დასაქმებულ პერსონალს ოცდამეერთე საუკუნის შესაბამისი მოთხოვნილებების წინაშე აყენებს, ასევე გამკაცრებულია მოთხოვნები ევროკავშირის შემადგენლობაში შემავალი ქვეყნების მიმართ არსებულ და მშენებარე შენობა-ნაგებობებში ენერგოდამზოგველობის მიმართულებით ღონისძიებათა გატარებაზე.

2014 წლის 18 ივლისს საქართველოს პარლამენტმა რატიფიცირება გაუკეთა ევროკავშირში მისი ასოცირების წევრად მიღებაზე, მანამდე 2014 წლის 27 ივნისს ხელმოწერილ ხელშეკრულებაში საქართველომ 2030 წლამდე ივალდებულა ქვეყნის მაშტაბით თანდათანობით დანერგოს ევროპის პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სტანდარტები.

აღნიშნული ხელშეკრულებით ვალდებულებები ასევე ეხება საქართველოში სამშენებლო ობიექტებზე საპროექტო დოკუმენტაციის შედგენისას ენერგოდამზოგველობის ღონისძიებების გათვალისწინებასა და ახალი მშენებლობების განხორციელებას ევროპული სამშენებლო სტანდარტების დონეზე.

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს სპეციალისტებმა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) კონტრაქტის ფარგლებში შვედეთის საერთაშორისო განვითარების საagენტოს ფინანსური მხარდაჭერით შეადგინა და გამოიცა 350 გვერდიანი ნაშრომი ,,ენერგოეფექტურობის პირველი ეროვნული სამოქმედო გეგმა(ეესგ) 2017-2020 წლებში“. [1] ასევე ზაალ ხელაძის, არჩილ პაპავას, გვანცა ხელაძისა და ლალი გაგნიძის მიერ მომზადდა 150 გვერდიანი ნაშრომი ,,საქართველოს სამშენებლო სექტორში ჩასატარებელი გრძელვადიანი (2030 წლამდე) ენერგოეფექტურობის ღონისძიებების შემუშავება ევროგაერთიანების მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით“. [2]

2. ძირითადი ნაწილი

ევრო გაერთიანების მოთხოვნები საკმაოდ მკაცრია. 2020 წლის 31 დეკემბრისთვის ყველა ახალი ექსპლოატაციაში ჩასაბარებლად გამზადებული შენობა უნდა აკმაყოფილებდეს ნულოვანი ენერგომოხმარების პირობებს, არ უნდა ხდებოდეს სითბოს გადინება გარე სივრცეში, შენობებზე გაცემული სერთიფიკატები უნდა მოიცავდეს ინფორმაციას შენობის ენერგეტიკული მაჩვენებლის შესახებ.

უფრო მკაცრი მოთხოვნებია საჯარო დანიშნულების შენობების მიმართ. მათთვის ევროგაერთიანების მოთხოვნების ნიშა დაქვეითებულია 2018 წლის 31 დეკემბერზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველო ევროპული სამეზობლო პოლიტიკის (ესპ-ის) წევრია 2004 წლიდან. ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებები რატიფიცირებულია ევროპარლამენტის და ევროკავშირის წევრ ოცდარვავე ქვეყნის მიერ.

ევროგაერთიანების ძირითადი მოთხოვნაა ადმინისტრაციული, საცხოვრებელი და სხვა დანიშნულების კაპიტალური შენობები აკმაყოფილებდნენ თბო და ბგერა იზოლაციის მოთხოვნებს, რაც უზრუნველყოფილი უნდა იყოს ახლად აგებულ სახლებში, ხოლო ექსპლოატაციაში მყოფი შენობები საჭიროებენ რეაბილიტაციას.

სამწუხაროდ ზემოთ აღნიშნული ვალდებულებების შესასრულებელი ღონისძიებები სამშენებლო სექტორში ნელი ტემპით ხორციელდება. სამშენებლო სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოები შენობების ექსპლოატაციაში მიღებისას ამ საკითხებით ჯერ-ჯერობით არც კი ინტერესდებიან. ქალაქ თბილისის მერიის წარდგინებით თბილისის საკრებულომ მიიღო გენერალური გეგმა, მაგრამ ენერგოდამზოგველობის საკითხები თბილისის გენგეგმის მრავალჯერად განხილვებში არც კი დასმულა.

საპროექტო გადაწყვეტილებების მიღებისას შენობის რელიეფზე განთავსება ქვეყნის მხარეების მიმართ გააზრებული ორიენტაციით მნიშვნელოვან ფაქტორად გვევლინება ენერგოდამზოგველობის თვალსაზრისით.

ტოპოგეგმებში აზომილი მიწის ნაკვეთები ციფრობრივი წარწერებით ჩრდილოეთისკენაა მიმართული, ხშირად არქიტექტორებიც ასევე აპროექტებენ შენობებს და ცხადია მშენებლობაც ასე ხორციელდება. ამ შემთხვევაში შენობები გრძივი ფასადებით მიმართული არიან სამხრეთისა და ჩრდილოეთის მიმართულებით, რაც პროცენულად ჭარბობს ქალაქურ და სასოფლო განაშენიანებებში შენობათა რაოდენობებს. შენობებში სამხრეთის მხრიდან განლაგებული ფანჯრებიდან უხვად იფრქვევიან მზის სხივები, ხოლო ჩრდილოეთიდან მზის სხივის ნატამალიც კი არ არის.

მოქმედი სამშენებლო ნორმებითა და წესებით საქართველო მესამე გეოგრაფიულ ზონას მიეკუთვნება და შენობათა გენერალურ გეგმებზე ნორმატივების შესაბამისობით განთავსება ხელს შეუწყობს დღის სხვადასხვა პერიოდში მზის შენობის გარშემო ყველა ფასადზე შემოვლას და ოთახებში ხანგრძლივად დაბუდებას. ამ მხივ საქართველოში შენობების რელიეფზე დასმის ყველაზე ოპტიმალურ ვარიანტად ითვლება ჩრდილო-დასავლეთის ან ჩრდილო-აღმოსავლეთის ორიენტაციები.

გასული საუკუნის ორმოცდაათიან წლებში ვაჟა-ფშაველას გამზიის ბოლო მონაკვეთზე მე-7 კვარტალში გამზირისადმი ირიბი გეგმარებით ხუთსართულიანი საცხოვრებელი სახლები ,,ხრუშოვკები“ დაპროექტდა და აშენდა კიდეც. მოგვიანებით უკვე სამოციან წლებში წინა მხარეზე მათ მრვასართულიანი საცხოვრებელი სახლები ჩაუდგეს, რომლებიც გრძივი ფასადებით ასევე სამხრეთისა და ჩრდილოეთის მიმართულებითაა ორიენტირებული.

თბილისისთვის შესანიშნავი მაგალითია პეტრე მელიქიშვილის ქუჩაზე №2-ში 1948-1950-იან წლებში აგებული ხუთსართულიანი საცხოვრებელი სახლი, რომელიც გრძივი ფასადით მელიქიშვილის ქუჩას ჩრდილოეთიდან უდგება, ხოლო სამხრეთის ფასადით მთაწმინდისკენაა მიმართული. მელიქიშვილის ქუჩისკენ მეორედან მეხუთე სართულებს ფასადზე შენობიდან გამოწეული ერკერები მოუმატეს არა მათი გალამაზების მიზნით, არამედ მინიანი ფანჯრების გვერდული მხრიდან ოთახებში დილაობით აღმოსავლეთის, ხოლო დღის მეორე ნახევარში დასავლეთის მხრიდან მზის სხივები იფრქვევა. სამწუხაროდ არქიტექტურაში დასაქმებული არქიტექტორები ერკერებს ხუროთმოძღვრებაში პირდაპირი დანიშნულებით არ აღიქვამენ. ჩვენი ანალიზი ზემოთმოყვანილ მაგალითებში მრავალ მეტყველია, რაზედაც ნაშრომში [2] გვ. 41-ში ავტორები მიგვითითებენ შემდეგი რედაქციით:

,,შენობების ენერგოეფექტურობის ხარისხის ამაღლებას მნიშვნელოვნად უწყობს ხელს გააზრებული ქალაქგეგმარებითი გადაწყვეტა, განაშენიანების სწორი სტრუქტურის შერჩევა, შენობის სწორ ორიენტაციაზე განთავსება ქვეყნის მხარეების მიმართ, ქარის გაბატონებული მიმართულების და აერაციის კანონზომიერებათა გათვალისწინება“.

კარგი იქნებოდა ავტორებს მოქმედ სამშენებლო ნორმებსა და წესებზეც გაეკეთებინათ მინიშნება. ჩვენ მიერ სამეცნიერო ტექნიკურ ჟურნალში ,, მშენებლობა“ [5] (№3, 2018 წელი) განხილულია ენერგოეფექტური სამშენებლო მასალების გამოყენებით შენობებში ენერგოდამზოგველობის მიღწევის გზები. მშენებლობაში თანამედროვე მეიღწევები საშუალებას იძლევა ეფექტური საპროექტო გადაწყვეტილებებით მივიღოთ საუკეთესო შედეგები აღმშენებლობითი მიმართულებებით. თუ გვეამაყება ცივილიზირებულ სახელმწიფო გარემოში ცხოვრება და ჩვენი ვალდებულებების შესრულების აუცილებლობაც ევროკავშირისა და კაცობრიობის წინაშეც, ყველა ღონე უნდა ვიხმაროთ [1] და [2] დოკუმენტებში ჩამოყალიბებული მოთხოვნების შესასრულებლად. ჩვენი

ქვეყნის განვითარების თანამედროვე ეტაპზე მშენებლობები ძირითადად ინვესტიციური და კრედიტული სახსრებით ხორციელდება, თავისთავად ცხადია, რაც უფრო მოკლე დროში მოხდება ინვესტიციების ამოგება , მით მეტი იქნება კაპიტალდაბანდებათა ეფექტურობა.

ყოველწლიურად იზრდება ინვესტიციური დაბანდებები როგორც ახალი ობიექტების, ასევე ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების განახლება-რეკონსტრუქციის ხაზით, შენდება ახალი სამრეწველო ობიექტები, საკურორტო და სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსები. შორს მომავალი გეგმებია დასახული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების, ჰიდროტექნიკური, მელიორაციული და სხვათა მშენებლობების განხორციელების მიმართულებითაც.

სამწუხაროდ ინვესტორები მაქსიმალური მოგების მიზნით დამპროექტებლისგან მოითხოვენ ეკონომიური საპროექტო გადაწყვეტილების მიღებას. პირველ რიგში ეს ეხება შემომზღუდავ კედლებს, ნაცვლად 40 სმ სისქისა უმეტესად კედლებში გამოიყენება 20 სმ სისქის ბლოკები. მშენებლებიც ამართლებენ ასეთ გადაწყვეტილებებს და ასაბუთებენ, რომ მათ მიერ გამოყენებული ბლოკები მსუბუქი ბეტონისგანაა დამზადებული, 4-8 კგ-ის ნაცვლად ბლოკი ზომით 20X20X40 სმ იწონის 16-20 კილოგრამს, რაც კატასტროფულად არანორმირებული თბომაჩვენებლებით ხასიათდება. ექსპლოატაციის პირობებში გათბობა ჩართულ ოთახებში კედლებზე კონდენსატი ჩნდება ანუ ,,კედლები ტირიან", ასევე თუ იატაკები და შესაბამისად ჭერიც ზედა სართულებიდან არასაკმარისი მოთხოვნილებების მქონე მასალებითაა დათბუნებული, თუ ქვედა და ზედა ბინები არ თბება, ფუჭი იქნება მობინადრის მცდელობაც საკუთარ ბინაში სითბოს შენარჩუნებაზე. ,,ატირდება" ჭერიცა და დანესტიანდება იატაკიც.[4]

შენობა-ნაგებობების ექსპლოატაციის პირობებში ევროგაერთიანების სამშენებლო კოდექსები (სამშენებლო ნორმები და წესები) მოითხოვენ გარე შემომზღუდავი არამზიდი კონსტრუქციების მოწყობას თბური ნორმატიული პარამეტრების მქონე ნაკეთობებით, რათა ბინების გათბობაზე და კონდიცირებაზე მობინადრემ არ დახარჯოს ზედმეტი ფულადი სახსრები. ამავე მიზეზით ხელისუფლებაც იძულებული ხდება სხვა ქვეყნებდან დამატებითი ენერგოსიმძლავრეების გაზის, ელექტროენერგიისა და სხვა რესურსების მოძიებაზე იფიქროს.

ენერგოდამზოგველობა საცხოვრებელ და საზოგადოებრივი დანიშნულების სახლების დაუთბუნებელი კედლებიდან და არაგერმეტული ფანჯრებიდან ქუჩაში გადინებული სითბო უარყოფითად მოქმედებს ატმოსფერულ ბალანსზეც, ქალაქგარე ზამთრის ტემპერატურა 3-5 გრადუსით მაღალია ქალაქგარე ტერიტორიებთან შედარებით. აღნიშნული გარემოებები იწვევენ დედამიწის დათბუნებას.

ყველასთვის ცნობილია მოსალოდნელი უარყოფითი შედეგებიც-ხელი ეწყობა მსოფლიოში გლობალური დათბობის პროცესების განვითარებას კაცობრიობისთვის არასასურველი მოსალოდნელი შედეგებით.

შენობა-ნაგებობათა სერთიფიცირება ცხადია გააუმჯობესებს ექსპლოატაციაში მიღებული ობიექტების ხარისხობრივ მაჩვენებლებს, მაგრამ გაძვირდება მშენებლობის განხორციელების ხარჯები და მისი ღირებულებაც. სამაგიეროდ მობინადრეებს მოსახვით-მოსაპირკეთებელ სამუშაოთა შესრულებისას აღარ ექნებათ საზრუნავი კედლების, იატაკებისა და ჭერის დათბუნებაზე. აღნიშნული კომფორტულ საცხოვრებელ გარემოს უზრუნველყოფს.

3. დასკვნები

აუცილებელია სამშენებლო და საპროექტო დეველოპერულმა ფირმებმა დროულად მიაქციონ ყურადღება სერთიფიცირების დოკუმენტებში ჩამოწერილი მოთხოვნილებების შესწავლასა და გათვალისწინებას ახალი საპროექტო დოკუმენტაციის შედგენისას. სტატიაში მოცემული [1] და [2] ეროვნული სამოქმედო გეგმები სასწავლო დოკუმენტად ითვლება და მოსალოდნელია ქალაქების არქიტექტურის სამსახურებმა სამთავრობო დადგენილების მოქმედებაში შეყვანისთანავე მოითხოვონ მათი განხორციელება და მოუმზადებლები აღმოვჩნდეთ დასახული ამოცანების შესასრულებლად.

ასევე [1] და [2] დოკუმენტებში აღნიშნულია, რომ უახლოეს წლებში გათბობასა და კონდიცირების სისტემების მასიური გამოყენებისაგან საჭირო გახდება დამატებით 50%-ით მეტი ენერგიის მოხმარება ბინებში, საზოგადოებრივ დაწესებულებებში და საწარმოებში ნორმალური საყოფაცხოვრებო და სამუშაო პირობების შესაქმნელად. ზამთრის პერიოდში საქართველოში ელექტროენერგიის რესურსის მობილიზება გათბობის საჭიროებით გაძნელებულია, ხოლო საკუთარი ბუნებრივი აირი ქვეყანას არ გააჩნია.

თუ გვეამაყება ცივილიზებულ ევროპულ გარემოში ცხოვრება და მისი ვალდებულებები კაცობრიობის წინაშე, აუცილებელია ჩვენი ინჟინრული პოტენციალი მივმართოთ ევროგაერთიანების მოთხოვნათა შესასრულებლად.

გამოყენებული ლიტერატურა :

1. ენერგოეფექტურობის პირველი ეროვნული სამოქმედო გეგმა (ეესგ) 2017-2020 წლებში.
2. საქართველოს სამშენებლო სექტორში გასატარებელი გრძელვადიანი (2030 წლამდე) ევროგაერთიანების მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.
3. რ. მახვილაძე, დ.ზაქაშვილი. „მშენებლობაში და შენობების ექსპლოატაციაში ენერგოეფექტური მასალების გამოყენებით ენერგოდამზოგველობის ეკონომიკური და ეკოლოგიური სარგებლიანობის გამოკვლევა“, სამეცნიერო ტექნიკური ჟურნალი ,, მშენებლობა“, თბილისი, 2017 წელი, № 4(47), გვ 34-37.
4. СниП II-3-79* ,,Строительная теплотехника”, Москва, Строиздам, 1982.

■■■■

მრავალსართულიანი შენობებისათვის ენერგოეფექტური სამფენიანი სართულშუა გადახურვის ფილების ტექნიკურ-ეკონომიკური ეფექტურობა

TECHNICAL-ECONOMIC EFFICIENCY OF ENERGY EFFICIENT TOWER BUILDING FLOOR SLABS

ავტორი - რევაზ მახვილაძე, რევაზ სიხარულიძე, *ხელმძღვანელი -* **პროფ. *მურმან ბაქრაძე,*** საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი.

Author *- Revaz Makhviladze, Revaz Sikharulidze, Supervizor – Prof. Murman Bakradze,* Georgian Technical University.

რეზიუმე: *სტატიაში განიხილება საქპატენტის მიერ ერთ ავტორზე (რ. სიხარულიძე) ორი გაცემული პატენტის მოკლე აღწერილობა; გამახვილებულია ყურადღება ბინებში მყუდრო საცხოვრებელი გარემოს შექმნაზე და ბგერაგაუმტარობის ნორმატიული პარამეტრების შენარჩუნებაზე, მათ შორის ტექნიკურ-ეკონომიკურ ეფექტურობაზეც, ასევე სტატიაში განხილული საკითხები თანხვედრაშია საქართველოს სამშენებლო სექტორში 2030 წლამდე საცხოვრებელი და საზოგადოებრივი დანიშნულების შენობების ევროგაერთიანების მოთხოვნებთან.*

საკვანძო სიტყვები: *მშენებლობა, ინვესტიციები, ინოვაცია, ასაწყობ-მონოლითური ფილა, სრულტანიანი მონოლითური ფილა, სამფენიანი ფილა, თბოწინაღობა, თბოიზოლაცია, პენოპლასტი, რკინაბეტონი, ევროკავშირი, ევროგაერთიანება, ტექნიკურ-ეკონომიკური ეფექტურობა.*

Abstract: *In the article is considered a brief description of two issued patents on one author (R. Sikharulidze) by Sakpatenti; the attention is focused on the creation of a cozy living environment and the maintaining of sound insulation normative parameters, inmcluding their technical-economic efficiency, as well as the issues considered in the article are consistent with the requirements of the European Union for residential and public buildings up to 2030 in the construction sector of Georgia.*

Keywords: *construction, investments, innovation, precast concrete slab, continuous monolithic slab, sandwich slab, insolubility, heat insulation, foam plastic, einforced concrete, European Union, technical-economic efficiency.*

1. შესავალი

საქართველო სეისმური მახასითაებლებით 8-9 ბალიან ზონას მიეკუთვნება, რის გამოც 4-3 სართულებზე მეტი შენობები კარკასულ კონსტრუქციებში იგება. მათი დაპროექტებისას ძირითადი ყურადება ექცევა შენობების დაფუძნების, მდგარობისა და სეისმომედეგობის საკითხებს ანუ მზიდი კონსტრუქციების ამტანუნარიანობას. კარკასული სქემებით დაპროექტებულ შენობებში საძირკვლები, სვეტები, რიგელები, გადახურვისა და სახურავის ფილები მზიდ კონსტრუქციებად ითვლება და საექსპლუატაციო პარამეტრებით უცვლად კონსტრუქციულ ელემენტებად კლასიფიცირდება, ხოლო კედლები, ტიხრები, იატაკები, კარ-ფანჯრები თვითმზიდია და ექსპლუატაციის პირობებში მათი პერიოდული შეცვლა შენობის მდგრადობაზე უარყობით ზემოქმედებას ვერ მოახდენს, ისინი ცვლად კონსტრუქციულ ელემენტებად იწოდებიან.

ამიტომაც მობინადრეები საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების თვალსაზრისით ბინებში, შიგთავსის ხმაურისაგან დაცვისა და დათბუნების უზრუნველყოფის, ერთმაგ ფანჯრების ალათებს ორმაგით ცვლიან, გარე კედლებსაც კონდესანტის გაჩენისაგან დაცვის მიზნითაც ათბუნებენ, სამეზობლო ურთიერთობაში ბგერაგაუმტარობის საჭიროებით ბინებს შორის კედლებსაც და იატაკებსაც ბგერაგაუმტარი მასალებით ფარავენ.

ჩვენი ქვეყნის განვითარების თანამედროვე ეტაპზე მშენებლობები ძირითადად ინვესტიციური და კრედიტული სახსრებით ხორციელდება. თავისთავად ცხადია, რაც უფრო მოკლე დროში მოხდება ინვესტიციების ამოღება, მით მეტი იქნება კაპიტალდაბანდებათა ეფექტურობაც.

აღნიშნულთან დაკავშირებით ჩვენს შემთხვევაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება სამშენებლო პროდუქტის (შენობა, ნაგებობა, ბინა, ოფისი, კომერციული ფართი და ა.შ.) ხარისხობრივ მაჩვენებლებს კომფორტზე, თანამედროვე ტექნიკურ და ტექნოლოგიურ აღჭურვილობაზე და სხვა პარამეტრებსაც. ცუდი ანუ უხარისხოდ აგებულ შენობაში არც ბინები და არც კომერციული ფართები ადვილად აღარ იყიდება და ინვესტორიც მრავალმხრივი შემოწმებით არჩევს ვის მიანდოს თავისი საბრუნავი სახსრები.

სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი სახელმწიფო მეურნეობის ყველა დარგზე სასიკეთო ზემოქმედებას ახდენს და ამ მიმართულებით აღსანიშნავია სამფენოვანი გადახურვებისა და გარე კედლების მოწყობაზე ჩვენს მიერ შემოთავაზებული კონსტრუქციული გადაწყვეტები, რომლებზეც ბატონ რევაზ სიხარულიძეს საავტორო მოწმობები გააჩნია და ინერგება კიდევაც სამშენებლო საქმიანობაში.

ამჯერად სართულშუა და სახურავის გადახურვის კონსტრუქციებს შევეხებით.

2. ძირითადი ნაწილი

საცხოვრებელ და საზოგადოებრივი დანიშნულების მრავალსართულიან შენობებში საუკუნეების ხანგრძლივ პერიოდში გამოიყენებოდა ხის კოჭებზე მოწყობილი ხის აიტაკები, რომლის ქვეშაც ბგერაგაუმტარობის და თბოიზოლაციის საჭიროებით კოჭებზე შემაგრებულ ჭერსა და იატაკს შორის სივრცეში მიწა იყრებოდა, რაც მეტნაკლებად იცავდა ოთახებს ბგერაგადაცემისაგან ქვედა სართულებზე.

მე-19 საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლებიდან მშენებლობაში თანდათანობით ფეხს იკიდებს ბეტონი და გადახურვებიც შესაბამისად ეწყობა მონოლითური ან ასაწყობი რკინაბეტონით.

კარკასულ შენობებში მზიდი რკინაბეტონის კონსტრუქციები (სვეტები, რიგელები, გადახურვის ფილები) ხრეშოვან შემავსებლებით დამზადებულ ბეტონებზე ეწყობა, რომელთაც მაღალი მოცულობითი (კუთრი) წონები 1600-2200 კგ/მ^3) გააჩნიათ, რის გამოც სითბო და ბგერა გამტარობის მაღალი მაჩვენებლით ხასიათდებიან. შედარებით უკეთესი მაჩვენებლებით ხასიათდებიან მსუბუქ შემავსებლებზე დამზადებული ბეტონები მოცულობითი წონით 200-900 კგ/მ^3.

ცნობილია რკინაბეტონის გადახურვის ღრუტანიანი ფილები სისქით 22 სმ და სრული ტენიანი მონოლითური რკინაბეტონის ფილები სისქით 16-20 სმ.

რკინაბეტონის მზიდ კონსტრუქციებში გამოყენებული ბეტონების მოცულობითი წონების მიხედვით სნ და წ I.3-79* „სამშენებლო თბოტექნიკა“ [1] მოცემულია მათი თბოგაუმტარობის მაჩვენებლები, ანალოგიურად სნ და წ II 3.81*-ით „Звукоизоляция в зданиях и сооружених [2] დადგენილია ბგერა გამტარობის მაჩვენებლებიც“.

აღნიშნულიდან გამომდინარე დამპროექტებლები ყოველთვის ცდილობენ ორივე მაჩვენებელი საცხოვრებელ გარემოსთან შესაბამის ნორმატიულ მოთხოვნილებებს დაუახლოვონ იატაკებზე დამათბუნებელი და ბგერასაიზოლაციო საანგარიშო სისქის მსუბუქი გრანულოვანი მასალების დაყრით ან რულონური მასალების დაფენით, მაგრამ მშენებლები გრანულებს, რომლებსაც ფორებიც უნდა გააჩნდნენ, ვულკანური წითელი ფერის წიდის ფქვილით ცვლიან, რაც იგივე არ

არის. რულონური მასალები იშვიათად გამოიყენება, მაგარმ უფრო ნაკლ;ები სისქისა, ვიდრე პროექტებშია ხოლმე ნაგულისხმები, რაც თანხების ეკონომიისკენაა ორიენტირებული.

უკეთესი თბოტექნიკური და ბგერასაიზოლაციო მაჩვენებლებით ხასიათდებიან ღრუტანიანი ფილები ღრუების გამო. მონოლითურ რკინაბეტონის გადახურვის ფილებშიც ამავე მიზნით სხვადასხვა ავტორების მიერ რკინაბეტონის მონოლითურ ფილებში შუა ფენად ხშირად გამოიყენება პენოპლასტის ან სხვა მსგავსი მასალები. თბო და ბგერა საიზოლაციო თვისებების გასაუმჯობესებლად, ცნობილია რეზინოვანი ბურთულებიც.

ჩვენს შრომებშიცაა არაერთხელ გამახვილებულა ყურადღება აღნიშნულ საკითხებზე [3,4].

გადახურვის ფილებზე ორი საავტორო პატენტი აქვს (ავტორი რ. სიხარულიძე) მიღებული ერთის სახელწოდებაა „ასაწყობი-მონოლითური გადახურვა“, მეორისა „არმატურის კარკასი თბოიზოლირებული გადახურვის ფილისათვის“. ორივე პატენტში მონოლითურ რკინაბეტონის ფილის შუა სივრცეში ჩაყოლებულია პენოპლასტი“ [6,7].

ასაწყობ-მონოლითური გადახურვის კონსტრუქციის მოწყობის თანამიმდევრობა შემდეგია:

- •მონოლითურ რკინაბეტონის კარკასში სვეტების ამოყვანის შემდეგ გარე კონტურისა და შიდა, გრძივი მიმართულებით სვეტების გასწვრივ რიგელების მოწყობის საჭიროებითა და საპროექტო დოკუმენტაციის შესაბამისობით ეწყობა არმატურის კარკასები, ცხადია მათ ქვეშ სვეტებს შორის რიგელის ძირის მთელ სიგანეზე უნდა გაიდოს საყალიბე ქარგილებიც, ასევე ქარგილები მაგრდება რიგელების ქვედა კიდის გვერდებზე მოწყობილი გადახურვის ფილის კვეთის სისქე 23 სმ ვინრჩუნებთ ღია მდგომარეობაში იხილეთ სურათი 1;
- •მეორე ეტაპია რიგელების ძირის დაბეტონება საყალიბე გვერდულების სიმაღლეზე მონიშნულ დონემდე;
- •მესამე ეტაპია გრძივად განლაგებული რიგელების უკვე დაბეტონებულ ქვედა თაროებში წინასწარ დამზადებული რკინაბეტონის ძელების (ტრიგონების) შეწყობა ბიჯით 60-60 სმ;
- •მეოთხე ეტაპია ძელ-ტრიგონებს შორის 60სმ ბიჯში ასევე წინასწარ გამზადებული რკინაბეტონის ძირისა და მასში ჩასმული 14 სმ სისქის პენოპლასტის ბლოკების ჩაწყობა;
- •მეხუთე ეტაპია მიმდევრობით ჩაწყობილი ძელ-ტრიგონებისა და გადახურვის პენოპლასტით ამოვსებული ბლოკებით არმატურის ბადეებითდაფარვა და ერთიანობაში მათი დაბეტონება;



სურათი 1 სართულშუა ასაწყობ-მონოლითური გადახურვის კონსტრუქცია შუა მათბუ-ნებელი პენოპლასტის ფენით დასრულებულ მდგომარეობაში

ასეთი ფენობრივი თანამიმდევრობით გადახურვების მოწყობისას ნახევრად მცირდება რკინაბეტონით შედგენილი ფილის სისქე 18 სმ-დან 9 სმ-მდე, მისი საკუთარი წონაც 1მ2-ზე – 1X1X2,5X0,09=0,225 ტონით, რაც სვეტების ბადის 6X6 მეტრზე შემთხვევაში სვეტზე გადაცემული მუდმივ დატვირთვებში შეადგენს 6X6X0,225=8,1 ტონას, ხოლო 10 სართულიანი შენობის შემთხვევაში ერთ საძირკველზე ვერტიკალურ ძალას 81 ტონა აკლდება. ასევე თუ გრძივი და განივი რიგელები ტრადიციული ვარიანტით მიღებული იყო კვეთებით 40X60 სმ, გამოგონებით შესაძლებელია მათი შემცირება 50 ან 40 სმ-მდე. გადახურვებისაგან მათზე გადაცემულ შემცირებული დატვირთვების გამო, ასევე ნაკლები იქნება მოთხოვნილება საყალიბო შეფიცვრაზეც რიგელებისა და ფილების ფორმირების პერიოდში, იხილეთ ფოტო 2.

უფრო მნიშვნელოვანია თბოგამტარობის მაჩვენებლები, რომელიც დანართი 3 მიხედვით პოზიციები 142-149 პოლიმერული მასალების გამოყენების შემთხვევაში შეადგენს: პენოპოლისტიროლზე სამი სტანდარტის მიხედვით λ=0,05-0,06 ვტ/მ^{0}C; პენოპლასტის ორ სტანდარტზე λ=0,052-0,064 ვტ/მ^{0}C; პენოპოლიურეტანის სამ სტანდარტზე λ=0,04-0,05 ვტ/მ^{0}C.

აღნიშნული მაჩვენებლები 1979 წლის მასალებზეა გაანგარიშებული მას შემდეგ 30 წელზე მეტია გასული და უკეთესი მაჩვენებლების მქონე მსუბუქი მასალებიცაა შექმნილი, რომელთა გამოყენებაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ჩვენს მოსაზრებებს.

ცხადია თბოგამტარობის კოეფიციენტის სიდიდის დადგენაზე მნიშვნელოვნად ზემოქმედებს დამათბუნებელი მასალის სისქეც, მაგრამ ჩვენს შემთხვევაში ყველა მათგანი თანაბარ პირობებშია განხილული.

ასევე მსუბუქი მასალების გამოყენებით მიიღწევა ბგერაგამტარობის შემცირების ეფექტიც. ორივე თბოგაუმტარობისა და ბგერა გამტარობის მაჩვენებლების გაუმჯობესება სამეზობლო თანაცხოვრებაში სოციალური პირობების გაუმჯობესებასაც შეუწყობს ხელს – აღარ ან ნაკლებად შემაწუხებელი გახდება ხმაურის ფონი, შენარჩუნდება სითბოც.

ლევან სამხარაული სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს დავალებით შპს „“ეკოთბილ-მშენმა

მოამზადა დასკვნა ასაწყობ-მონოლითური პენოპლასტის შუა შრით თბოიზოლირებული გადახურვის ფილების თბომედეგობაზე. მთლიანი კონსტრუქციის სისქეზე თბომედეგობა შეადგენს 0,31 ვატ/მ^2, რაც კარგი მაჩვენებელია.

როგორც წინა გვერდებზე აღინიშნა მონოლითურ-ასაწყობ კარკასში გამოგონების მიხედვით საკმარისია რიგელები კონტურზე მოეწყოს არმატურის კარკასი ოთხმხრივი შეკვრით და გრძივი მიმართულებით, განივად კი მხოლოდ კიდეებში და კიბის უჯრედშია მათი მოწყობა საჭირო.

ტრადიციულად შედგენილ კონსტრუქციულ დოკუმენტაციაში 8 ბალიანი სეისმური პირობების გათვალისწინებით უპირატესობა ენიჭება სვეტებს შორის ორივე მიმართულებით რიგელების მოწყობას.

მეორე საპატენტო გამოგონებაზე საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულმა ცენტრმა „საქპატენტი“ 2018 წლის 13 ივლისის წერილით №2737/02 შეგვატყობინა შემდეგი: „ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზით დადგინდა, რომ განაცხადი აკმაყოფილებს ფორმალურ მოთხოვნებს. საქართველოს საპატენტო კანონის 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად „საქპატენტმა“ მიიღო გადაწყვეტილება ფორმალური მოთხოვნების ექსპერიზის დასრულების შესახებ“.

აღნიშნულიდან გამომდინარე უახლოეს პერიოდში ველოდებით საპატენტო მოწმობას. ნახაზი 2 მიხედვით გამოგონების არსი მდგომარეობს შემდეგში: კარკასი შეიცავს გრძივ ან განივ ღეროებს 1. ღეროებს შორის, შესაბამისად, განივად ან გრძივად განლაგებულია ბრტყელი ელემენტები; თითოეული ხსენებული ბრტყელი ელემენტი შესრულებულია ღეროვანი ფერმის სახით და შედგება ზედა და ქვედა სარტყლების 2. (იხ. ნახაზი 2) მიერთებული ტალღისმაგვარი ან ტეხილი ხაზის ფორმის კონტურის მქონე ცხაურისაგან 3. სადაც ხსენებული ცხაურა ნაღუნი 4-ის ადგილებში მიდუღებულია ხსენებულ ზედა და ქვედა სარტყელებთან.

კარკასი დამატებით აღჭურვილია საკიდი სისტემით, რომლის პირველი ნაწილი 5 განკუთვნილია კარკასის შიგნით ბრტყელ ელემენტებს შორის თბოსაიზოლაციო ბლოკების განსათვასებლად, ხოლო მეორე ნაწილი 6 -კი ხსენებულ ბრტყელ ელემენტებს შორის სივრცის ცენტრალურ ნაწილში დამატებითი არმატურის ღეროების 7 განლაგების უზრუნველსაყოფად.



ნახ. 2 გადახურვის ფილა არმატურის კარკასით ბთოიზოლირებული შუა პენოპლასტის ფენით დასრულებულ მდგომარეობაში

საპატენტო გადაწყვეტილებებით მიღებული ორივე კონსტრუქცია სახელწოდებით „ასაწყობ-მონოლითური გადახურვა“ და „არმატურის კარკასი გადახურვის თბოიზოლირებული გადახურვის ფილისათვის“ დანერგილია თბილისში, წყნეთში, ჭიათურაში, ბაკურიანში, მცხეთაში, ოზურგეთში საცხოვრებელი სახლების მშენებლობაზე.

ზემოთ მითითებული ჭრილებით სურათები 1 და 2 მოწყობილი გადახურვის სამფენოვანი ფილებში შედარებით ჩვეულებრივ 18 სმ სისქის მონოლითური რკინაბეტონის ფილისა, 20-40%-ით მცირდება ძირითადი სამშენებლო მასალების არმატურისა და ბეტონის ხარჯები, მათთან ერთად მცირდება კარკასის მოწყობის ღირებულებაც, გადახურვებიდან სვეტებზე, რიგელებზე და საძირკვლებზე გადაცემული შემცირებული დატვირთვის ხარჯზე.

3. დასკვნა

წარმოდგენილ სტატიაში განხილული საკითხები თანხვედრაშია საქართველოს სამშენებლო სექტორში 2030 წლამდე საცხოვრებელ და საზოგადოებრივი დანიშნულების შენობების ევროგაერთიანების მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანასთან [8].

სამეცნიერო სფეროში სამეცნოერო-ტექნიკური პროგრესი სამშენებლო-დეველოპერულ ფორმებში დასაქმებულ პერსონალს ოცდამეერთე საუკუნის შესაბამისი მოთხოვნილებების წინაშე აყენებს. ასევე გამკაცრებულია მოთხოვნები ევროკავშირის შემადგენლობაში შემავალ ქვეყნების მიმართ შენობა-ნაგებობებში ენერგოდამზოგველობის მიმართულებით ღონისძიებათა გატარებაზე, რომელიც გულისხობს შენობებში არასათანადოდ დათბულებული და თბოგამტარი გადახურვის ფილებით შენობების ექსპლუატაციისაში მიღებაზე, აგრეთვე დაუთბუნებელი კედლებიდან და ფარღაღალა ფანჯრებიდან სითბოს გადინების აღმოფხვრაზე, აგრეთვე სხვა ღონისძიებების გატარებაზე.

საქართველოს მთავრობამ 2017 წლის ნოემბერში მოამზადა დადგენილების პროექტი „საქართველოს ენერგოეფექტურობის 2017-2020 წლებში ეროვნული სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე“ [9] რომლის მოქმედების დაწყება ჩაფიქრებულია 2019 წლის მაისიდან. ამ დადგენილებით იქმნება შენობების სერტიფიცირების სისტემა, რომლითაც ვერც ერთი აგებული შენობა ვერ მიიღება ექსპლუატაციაში თუ არ იქნება დაკმაყოფილებული ევროკავშირიში მოქმედი სამშენებლო კოდექსების მოთხოვნები. ბინის ან შენობის ნაწილის შესყიდვისას მოქალაქემ უნდა მიიღოს სერტიფიკატი მის ვარგისიანობაზე ნორმატიულ დოკუმენტებთან და აქტებთან შესაბამისობაზე.

ამდენად სტატიაში განხილული საკითხები ინოვაციურია და ემსახურება საქართველოს სამშენებლო სექტორში დასაბუთებული ამოცანების განხორციელებას.

ასევე საინჟინრო-კონსტრუქციული გაანგარიშებებისა და ეკონომიკური ანალიზის საფუძველზე, დადგინდა რომ წარმოდგენილი რკინაბეტონის მონოლითურ-ასაწყობი და სრულტანიანი შუა პენოპლასტის ფენებით მოწყობილ რკინაბეტონის ფილების კარკასის გამოყენებით შენობების გადახურვის კონსტრუქციებში და შესაბამისად ბინებში უმჯობესდება ბგერა და თბოსაიზოლაციო მაჩვენებლები, რაც დადებითად უნდა აისახოს მრავალსართულიან შენობებში მოსახლეობის სამეზობლო კეთილდღეობაზე უხმაური გარემოში ცხოვრების პირობების უზრუნველყოფით.

ასევე თვალსაჩინოა ეკონომიკური ეფექტიც. მცირდება და 30-40%-ით მცირდება ძირითადი სამშენებლო მასალების არმატურისა და ბეტონის შესასყიდი ხარჯები, შესაბამისად შრომითი დანახარჯებიც შენობის კარკასის ამოყვანაზე.

მნიშვნელოვნად კლებულობს შენობის საკუთარი წონაც და შესაბამისად გრუნტზე დაწოლის სიდიდეც, რაც ასევე დადებითად იმოქმედებს მზიდი სამშენებლო კონსტრუქციების მოწყობის ღირებულებაზე.

გამოყენებული ლიტერატურა :

1. СНиП II-3-79*. Строительная теплотехника. Москва, 1982.

2. СНиП II-3-81*. Звукоизоляция в зданях и сооруженях. Москва, 1982.

3. ნ. ვერულავა, რ. მახვილაძე – საქართველოში მშენებლობის სფეროში ენერგოდამზოგველობის ამაღლების პრობლემის მოკლე ანალიზი, მოსაზრებები და წინადადებები, სამეცნიერო-ტექნიკურიჟურნალი „ენერგია", №3-4 (43-44), თბილისი 2007, გვ 43-51;
4. რ. მახვილაძე, ლ. ჯოგლიძე. შენობათა შემომზღუდავ კონსტრუქციებში სითბო და ბგერაგაუმტარობის მაღალი მაჩვენებლების უზრუნველყოფის გზები და მათი სოციალურ-ეკონომიკური ეფექტურობა, სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი „მშენებლობა" №2 (41), თბილისი 2016, გვ 63-68.
5. რ. მახვილაძე, რ. სიხარულიძე, ლ. ჯოგლიძე, ბ. სიხარულიძე. „შენობატა სართულშუა გადახურვის ფილებში სითბო და ბგერა/გაუმტარობის მაღალი მაჩვენებლების უზრუნველყოფის გზები და მათი სოციალურ-ეკონომიკური ეფექტურობა". სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი „მშენებლობა" №2 (45), თბილისი 2017, გვ 6-11.
6. რ. სიხარულიძე. „ასაწყობ-მონოლითური გადახურვა" საქპატენტის მიერ 2014 წლის 27 ოქტომბერს გაცემული პატენტი.
7. რ. სიხარულიძე. „არმატურის კარკასი თბოიზოლირებული გადახურვის ფილისათვის", აღნიშნული დასახელების პატენტზე საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტი" მიღებული დადებითი გადაწყვეტილება, იხილეთ წერილი №2737/02, 2018 წლის 13 ივლისი;
8. საქართველოს სამშენებლო საქტორში ჩასატარებელი გრძელვადიანი (2030) წლამდე ენერგოეფექტურობის ღონისძიებათა შემუშავება ევროგაერთიანების მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით (ინტერნეტიდან).

■■■■

ახალგაზრდების დასაქმების პრობლემები საქართველოში

Problems of youth employment in Georgia

ავტორი - **მარიამ კინწურაშვილი, შორენა შენგელია,** *ხელმძღვანელი* - ასოც.პროფ. **ნაირა ვირსალაძე,** აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

Author - **Mariam Kintsurashvili, Shorena Shengelia,** *Supervizor* – Assoc.Prof. **Naira Virsaladze,** *Akaki Tsereteli State University.*

The following Theme gives us information about the problems of youth employment in Georgia. The attention operates mainly on focus groups of 20-29 aged youthful, who are considered to make the most meaningful part of Georgian population. Besides, there are described the problems and challenges, faced up by young people, after graduating from universities and the ways of solving these problems are given. Which arrangements should be established by government to change the sorrowful picture of unemployment, witnessed among youngers, are included too.

Keywords: Employ, Unemployment, Economically active population, Education, Profession.

ახალგაზრდების დასაქმება 21-ე საუკუნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გამოწვევაა. უმუშევრობის პრობლემა სათავეს ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დანგრევის დროიდან იღებს.იმპერიის რღვევის პარალელურად მოიშალა სახელმწიფო წარმოებისა და მასთან დაკავშირებული დასაქმების სისტემაც, ქვეყანაში უმუშევრობამ ქრონიკული ხასიათი მიიღო.დღევანდელი მდგომარეობით შრომისუნარიანი მოსახლეობის დიდი ნაწილი არის დაუსაქმებელი, ასევე დიდია დაუსაქმებელი ახალგაზრედების ხვედრითი წილი. აღნიშნულის მიზეზი, სხვა პრობლემებთან ერთად, არის მოუწესრიგებელი დასაქმების ბაზარი. კერძოდ, არ არის დათვლილი და დაანგარიშებული სახელმწიფოს ფარგლებში საჭირო პროფესიული კადრის რაოდენობა. თუ რა სახის და სფეროს სპეციალისტებზე არსებობს მოთხოვნილება მოცემულ მომენტში და რა დარგები შეიძლება გახდეს მოთხოვნადი უახლოეს მომავალში. ასევე პრობლემად რჩება უკვე არსებული კვალიფიციური კადრისა და მისი პოტენციური დამქირავებლის ერთმანეთთან დაკავშირება. დასაქმების სფეროში არსებულ გამოწვევებთან გამკლავება განსაკუთრებულად უჭირს ახალგაზრდა თაობას. ისინი ჯერ კიდევ სათანადოდ ვერ ერკვევიან არსებულ რეალობაში, სრულად ვერ აფასებენ საკუთარ შესაძლებლობებს და პოტენციალს, არ აქვთ სამსახურის ძიების გამოცდილება და ამისათვის საჭირო უნარ-ჩვევები.

დღევანდელ ეპოქაში განათლების პრობლემა ნაკლებ წინააღმდეგობასთანაა დაკავშირებული.-განათლების მიღების პროცესი სასიამოვნო და ინფორმაციულია,მისი დასრულების შემდგომი პერიოდი კი,რომელსაც წესით დასაქმება უნდა ეწოდოს, ყველა წინამსწრებ ეტაპზე რთულია-

.ერთია დასაქმების პრობლემა და მეორეა საკუთარი პროფესიით დასაქმების შესაძლებლობა,-თუმცა საბოლოოდ ნებისმიერი კურსდამთავრებულის პროფესიული ამბავი ინდივიდუალური-ა.განსხვავებულია მცდელობები და საშუალებები.

პროფესიის არჩევა ადამიანის ცხოვრებაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპია.შეიძლება ითქვას-,ამით განისაზღვრება შემდგომი ცხოვრების დიდი ნაწილი,ამიტომ პროფესიის არჩევის დროს უნდა გავითვალისწინოთ:

-რა სჭირდება ბაზარს?

-ვის ვჭირდები მე?

-რა შემიძლია?

-რა მსურს?

-რისთვის მსურს?

როდის ვაკეთებთ საქმეს კარგად?

-როდესაც კვალიფიკაცია უფრო მაღალია,ვიდრე სამუშაოს სირთულე;

-როდესაც სამუშაოს სირთულე არ აღემატება ჩვენს გამოცდილებას;

-როდესაც ჩვენი შესაძლებლობა,გამოცდილება და სამუშაო თანაბარ დონეზეა.

პროფესიის არჩევის მოტივებია:

-საკუთარი ინტერესები;

-არჩევანის გაკეთება მასწავლებლების რჩევით;

-არჩევანის გაკეთება მშობლების რჩევით;

-შემოსავლის მიხედვით.

დღეს საქართველო იმ ქვეყნებს შორისაა, სადაც მიუხედავად მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერებისა, საკმაოდ დიდია ახალგაზრდა ასაკის მოსახლეობის ხვედითი წილი მოსახლეობის საერთო რიცხოვნობაში. .

ოფიციალური სტატისტიკით, 2017 წლის დასაწყისში საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობამ 3 718.2 ათ. კაცი შეადგინა.აქედან15-19 წლის ახალგაზრდები იყო214.5 ათასი, რაც მთელი მოსახლეობის 5.8 %.-ია.20-24 წლის ასაკის - 231,3 ათასი, ანუ 6,2%; ხოლო 25-29 წლისა – 278,3 ათასი, ანუ 7,5%. ამრიგად, 15-29 წლის ასაკის მოსახლეობა საქართველოს მოსახლეობის 19,5%-ს შეადგენს.

აღსანიშნავია, რომ ბოლო დროს ახალგაზრდებში გაზრდილია ცხოვრების ინტერესი, ბრძოლისუნარიანობა და აქტიურობა.ამის თვალსაჩინო მაგალითია, თუნდაც ის,რომ ყოველწლიურად 30-40 ათასი ახალგაზრდა ცდილობს დაეუფლოს სასურველ პროფესიას. უნივერსიტეტში მოხვედრის შემდეგ მათი ნაწილი ცდილობს ჰქონდეს საკუთარი შემოსავალი და ეძებს ისეთ

სამსახურს,რომელიც მის ჯიბეს რამდენადმე შეავსებს. ამ დროს კი თავს იჩენს ისეთი პრობლემები, როგორიცაა: სრული დატვირთვა ელემენტარული ანაზღაურების ხარჯზე, სწავლასთან შეუთავსებელი გრაფიკი, სამუშაოს დეფიციტი და უმთავრესი - სამუშაო,სადაც გამოუცდელ ახალგაზრდას ორ და მეტ წლიან შრომით გამოცდილებას თხოვენ, თუმცა არავინ არის ისეთი, რომელიც მათ შეკითხვას გასცემს პასუხს: როდის და როგორ უნდა შეიძინონ გამოცდილება? მართლაც, თუ დაუკვირდებით პრობლემის აქტუალურობას და თვალს რამდენიმე დასაქმების საიტს გადაავლებთ, ეს პრობლემა მით უფრო თვალშისაცემი ხდება, სხვა რომ არაფერი ითქვას იმ მოთხოვნებზე, რომელსაც პოტენციური დამსაქმებელი ითხოვს აპლიკანტისგან.ყველაზე რთულია, გქონდეს გამოცდილება, რომელიც ასეთივე პოტენციური სხვა დამსაქმებლებისგან უნდა მიიღო.

საქართველოსგან განსხვავებით, სტუდენტებს დასაქმების მეტი შესაძლებლობები აქვთ განვითარებულ ქვეყნებში. მაგალითად, ნორვეგიაში, სტუდენტებს აქვთ საშუალება სწავლასთან ერთად დღის მეორე ნახევარში იმუშაონ მაღაზიებში მიმტანებად, გაზეთების დამრიგებლებად და ა.შ. ნორვეგიელი სტუდენტებისთვის პრობლემას არ წარმოადგენს ლექციებზე დასწრება, რადგან მათი სამუშაო განაკვეთი მხოლოდ ოთხი საათია.

ერთ-ერთი პრობლემაა და ამას უნივერსიტეტებიც აღნიშნავენ, რომ დასაქმების ბაზარი ჰომოგენურია საქართველოში. ძირითადად, ჩვენთან ერთი ტიპის პროფესიებზეა მოთხოვნა. უნივერსიტეტებში კი ბევრ პროფესიას ასწავლიან. ბევრი სტუდენტი ამთავრებს უნივერსიტეტს და საბოლოოდ, არ არის იმდენი სამუშაო ადგილი, რამდენიც კურდამთავრებულია.სწორი მიდგომაა: მომეცი შეკვეთა, რა გინდა შენ და მე ამას მოგიმზადებ. ცოდნა ძველდება. ზოგიერთ სფეროში ძალიან მალე ძველდება ცოდნა და იქ საჭიროა პროფესიული გადამზადების პროგრამები.

ამასთან ერთად, უნივერსიტეტებში მიღებული ცოდნა ხშირად არ არის საკმარისი დასაქმებისთვის. დამსაქმებლები და უნივერსიტეტები თანხმდებიან ერთ რამეზე, რომ კურსდამთავრებულებს ტრანსფერული უნარების დეფიციტი აქვთ. თეორიული ცოდნა არ არის დაბალი დონის კურსდამთავრებულებში, მოთხოვნებს შეესაბამება, მაგრამ ტრანსფერული უნარების დეფიციტია, რაც, პირველ რიგში, თვითპრეზენტაციის უნარს გულისხმობს. დამსაქმებლები აკეთებენ აქცენტს ანალიტიკურ უნარზე, უცხო ენების ცოდნაზე, ჯგუფური მუშაობის უნარზე და ა.შ. ხოლო უნივერსიტეტები მაინც მოწოდებულები არიან თეორიული განათლების მიცემაზე.ქართული დიპლომით საზღვარგარეთ სწავლის გაგრძელება – არა, მაგრამ დასაქმება ძალიან რთულია.

ოფიციალურ სტატისტიკურ ინფორმაციაზე დაყრდნობით, საქართველოში უმუშევრობის საშუალო მაჩვენებელი 12 პროცენტია, მაგრამ 15-24 წლამდე ახალგაზრდებს შორის ის გაცილებით მაღალია - თითქმის 31%. მათ დიდ ნაწილს ერთი დღეც არ უმუშავნიათ, არა აქვთ შრომითი სტაჟი. თუმცა უმაღლესი განათლება აქვთ მიღებული:ზოგიერთს -აქ, ზოგიერთსაც უცხოეთში. უნდა მუშაობის დაწყება და ვერ იწყებს.ამერიკაში, მაგალითად, უმუშევრობის დონე 16-24 წლის ახალგაზრდებში დაახლოებით 2-ჯერ აღემატება უმუშევრობის საშუალო დონეს (4.5%), ანუ ის დონეა, რომელიც ზოგადად არა მარტო საქართველოსათვის, არამედ ბევრი ევროპული ქვეყნისათვის საოცნებოა არა თუ ამ ასაკობრივი ჯგუფისათვის, არამედ, ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის მთელი კონტიგენტისათვს. ამას გარდა, მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ გაცილებით მაღალი კორელაციაა განათლებასა და დასაქმებას შორის. ბიზნესი აძლევს შეკვეთას აშშ-ის უმაღლეს სასწავლებლებს და იქ ადამიანს აქვს არჩევანი, სად დაიწყოს მუშაობა.თუ

მიიღო უმაღლესი განათლება, 90 პროცენტზე მეტია ალბათობა, რომ მუშაობას დაიწყებს.იქ მუშაობის დაწყება უკავშირდება სწავლის საფასურის გადახდას,რომლის თანამონაწილეც ის ბიზნესია, სადაც აპირებს მუშაობის დაწყებას. ჩვენთან კრედიტს სწავლისათვის იღებენ კომერციული ბანკებისაგან,იქ კი-იმ ბიზნესისაგან, რომელსაც კადრი სჭირდება. ანუ პროცესი, ურთიერთობა, ინტერესების შეჯერება გრძელვადიან პეროდზეა გათვლილი. ისე რომ, თვით აშშ-შიც არა აქვთ იმის ფუფუნება, რომ უმუშევარი დარჩეს მომზადებული ადამიანი, რომლის სწავლაც ათეულ და ხანდახან, ასეულ ათასობით დოლარი დაჯდა.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ შემუშავებული კრიტერიუმებით, დასაქმებულად ითვლება ყველა, ვინც გამოკითხვის წინა 7-დღიან პერიოდში თუნდაც ერთი საათით მაინც იყო დასაქმებული ფულადი ან ნატურალური შემოსავლის მიღების მიზნით. ხოლო უმუშევრად ითვლება ის, ვინც გამოკითხვის წინა 7-დღის განმავლობაში ერთი საათითაც არ ყოფილა დასაქმებული ფულადი ან ნატურალური შემოსავლის მიღების მიზნით, მზად იყო მუშაობისთვის და ბოლო 4 კვირის განმავლობაში აქტიურად ეძებდა სამუშაოს.

საქართველოში 2016 წელს ებერტის ფონდის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით, 14-29 წლის ახალგაზრდების 19% სრული განაკვეთით არის დასაქმებული, ხოლო 7% დასაქმებულია ნახევარ განაკვეთზე ან თვითდასაქმებულია. დასაქმების შესაძლებლობები ბევრად მეტია დედაქალაქში, თბილისში, სადაც ახალგაზრდა მოსახლეობის 27% არის დასაქმებული სრულ განაკვეთზე, მაშინ როცა სოფლად ახალგაზრდების მხოლოდ 11%-ს აქვს იგივე სტატუსი, რაც იმას ნიშნავს, რომ თითქმის ყოველი მეორე (46%) ახალგაზრდა არის უმუშევარი.

საგულისხმოა ისიც, რომ კვლევის შედეგების მიხედვით, დასაქმებული ახალგაზრდების 31% საკუთარი პროფესიით მუშაობს ნაწილობრივ ან სრულად, ხოლო 35% არ არის პროფესიით დასაქმებული.

№1 გრაფიკიდან ჩანს, რომ უმუშევრობის ყველაზე მაღალი დონე 15-19 წლის მოსახლეობაშია (31.9%), შემდეგ 20-24 (30%) და 25-29 (21.6%) ასაკის მოსახლეობა მოდის. უმუშევრობის დონე ასაკის მატების პარალელურად იკლებს და ყველაზე ნაკლები – 1.5%, 65 წლიდან ზემოთ მოსახლეობაშია.

ყველაზე მეტი უმუშევარი (37 000 ადამიანი) 20- 24 წლამდე ასაკობრივ ჯგუფშია.

ამ ასაკობრივ ჯგუფში აქტიურობის დონეც საკმაოდ მაღალია, მის 57.6%-ს აქვს შრომის უნარი და მუშაობის სურვილი.

საქართველოში ახალგაზრდა 17-18 წლის ასაკში ამთავრებს სკოლას და უმეტესობა აგრძელებს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლას (ოფიციალური სტატისტიკით 2016-2017 წლებში სტუდენტთა რიცხოვნობის მაჩვენებელი ყველაზე მაღალი 20-21 წლის ასაკობრივ ჯგუფშია (ჯამში 48 286 ადამიანი). სავარაუდოა, რომ უნივერსიტეტის დამამთვრებელი კურსის სტუდენტები და კურსდამთავრებულები აქტიურად იწყებენ სამუშაოს ძებნას, რის გამოც ისინი ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის ნაწილი ხდებიან, რომელთაგან დაახლოებით ყოველი მე-3 სამსახურს ვერ იწყებს.

გრაფიკი №1



წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

20-24 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში უმუშევრობის დონე ყველაზე მაღალი 2009 წელს იყო – 39.9%, რაც ეკონომიკური კრიზისით იყო განპირობებული. 2010 წლიდან აღნიშნულ ასაკობრივ ჯგუფში უმუშევრობის კლების ტენდენციაა და მიუხედავად პრობლემის არსებობისა, 2016 წელს ბოლო ათი წლის მინიმუმს მიაღწია.

გრაფიკის №2

უმუშევრობის დონე 20-24 წლამდე ასაკობრი ჯგუფში



პრობლემის მოგვარების მიზნით საჭიროა კერძო სექტორის გაძლიერება და სახელმწიფო ინ-სტიტუტების ჩართულობის გაზრდა. მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება, რაც გაზ-რდის მოთხოვნას სპეციალისტებზე და ხელს შეუწყობს ახალგაზრდების დასაქმებას.

აუცილებელია, ქვეყანაში არსებობდეს დასაქმების სახელმწიფო სამსახური, რომლიც შეისწავ-ლის:შრომის ბაზრს, სამუშაო ადგილებისა და სამუშაო ძალის მოთხოვნილების პროგნოზირები-სათვის;სამუშაო ძალის შიდა და გარე მოძრაობას. მოახდენს სამუშაოს მაძიებელთა აღრიცხვას, უმუშევრობის დახმარების დანიშვნას კანონით გათვალისწინებული ოდენობით, მატერიალური დახმარების გაწევას უმუშევარი პირებისათვის, რომლებსაც უმუშევრობის დახმარების მიღების ვადა გაუვიდათ;

პრობლემების აღმოფხვრა დიდადაა დამოკიდებული სახელმწიფოს პოლიტიკაზე, კერძო სექტო-რის მიერ გადადგმულ ნაბიჯებზე და სხვა ღონისძიებებზე, რომელთა სიმრავლით ჩვენი ქვეყანა არ გამოირჩევა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. intermedia.ge
2. https://edu.aris.ge
3. fortuna.ge
4. http://geostat.ge/

■■■■

ტყიბულის რაიონის განვითარების პერსპექტივები თანამედროვე ეტაპზე

Tkibuli district development prospects in the modern stage

ნინო ჯინჭარაძე - ხელ.- ლი. ასოც. პროფ. ნაირა ვირსალაძე, **აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი**
Nino Jincharadze - Sup. Assoc. Prof. **Naira Virsaladze, Akaki Tsereteli State University**

Abstract
Tkibuli is one of the beautiful towns of Imereti region and is an administrative-territorial center of Tkibuli municipality. The Tkibuli municipality includes the historic Okruba. The municipality operates 347 enterprises. The core of the coal mining industry. Most of the employed are self-employed categories, and work in family farms are low oriented to meet food requirements and not to produce produce products. Underdeveloped farming and low level of modernization of agriculture, the region is an important factor in poverty growth in the region. The vast majority of the population is in heavy socio-economic conditions. The population in the municipality decreases catastrophically. In 2002 - 2014 it was reduced by 32% at the expense of birth rate and migration. The population of the municipality is demographic aging (27% pensioners). The number of socially vulnerable people has increased (41.2% is registered in the socially vulnerable population.

Based on existing problems, proper municipality development should be started. In order to increase economic potential and reduce unemployment, it is necessary to restore and develop traditional sectors (breeding, breeding, breeding, beekeeping). It is also a great potential for tourism development in the municipality.

,,ოკრიბის ''ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვანი ასპექტები

ტყიბული იმერეთის მხარის ერთ-ერთი ლამაზი ქალაქი და ტყიბულის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ცენტრია. ტყიბულის მუნიციპალიტეტი მოიცავს ისტორიულ ,,ოკრიბას'' და ზღვის დონიდან 600-800 მეტრ სიმაღლეზე მდებარეობს. ქალაქი გაშენებულია მდინარე ტყიბულას (მდ. ყვირილას მარჯვენა შენაკადი) ორივე ნაპირზე და შემოფარგლულია ტყით დაფარული მთაგორიანი ტერიტორიით. მუნიციპალიტეტს ჩრდილოეთიდან ესაზღვრება ამბროლაურის მუნიციპალიტეტი, სამხრეთ-აღმოსავლეთით ჭიათურის მუნიციპალიტეტი, სამხრეთით თერჯოლის მუნიციპალიტეტი, სამხრეთ-დასავლეთით ქალაქი ქუთაისი და დასავლეთით წყალტუბოს მუნიციპალიტეტი. საზღვრების საერთო სიგრძე 120 კმ-ს შეადგენს, მთლიანი ფართობი კი 470 კმ2-ს. მუნიციპალიტეტში 45 სოფელია.

ქალაქ ტყიბულის ცენტრალური ქუჩა

ტყიბულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაფიქსირებულია უძველესი ადამიანის ნასახლარები მდინარე წყალწითელას ხეობაში: ცუცხვათის მღვიმეში, ნაქერალას ქედის ფერდობზე, ახალსოფლის ტბის მიდამოებსა და მდინარე საბელასურის ხეობაში. ანტიკური ხანის ნასახლარების არსებობა დასტურდება სოფლებში გადაღმა წყალწითელა, სოჩხეთი, ჯვარისა, ოჯოლა, გელათი, კურსები, ოხომირა. მდინარე წყალწითელას ხეობაში არსებულ "ციხე-გორაზე" აღმოჩენილია ბრინჯაოსს იარაღის საწარმოები და ანტიკური ხანის კოლხური მონეტების ზარაფხანა.

სახელწოდება "ოკრიბა" ჩნდება 1071 წლის ნიკორწმინდის "იადიგარში" (საგალობელში), რომელიც მომდინარეობს ლაზური "კირიბ" სიტყვიდან, რაც საბატკნეს ნიშნავს. რაც შეეხება ტყიბულს (ტყვიბული) ის პირველად 1259-1293 წლით დათარიღებულ ისტორიულ წყაროში "შეწირულების დაწერილ გელათის დეკანოზ იაკობისა ხახულის ღვთისმშობლისადმი" იხსენიება.

ფეოდალურ ხანაში ოკრიბა ქუთაისის საერისთავოს ნაწილი ყოფილა და ხასიათდებოდა მჭიდრო დასახლებით. ამ ეპოქის ქართული არქიტექტურის ბრწყინვალე ძეგლებია: გელათის სამონასტრო ანსამბლი, მოწამეთის "ნაქალაქარი", ბუეთის "მთავარანგელოზების" ეკლესია და სხვა. ოკრიბაში მიწის უდიდესი ნაწილი მეფეს და ეკლესიას-მონასტრებს ეკუთვნოდა, თუმცა ადგილ-მამულებს და ყმა-გლეხებს ფლობდნენ აგრეთვე საბერძნეთსა და სირია-პალესტინაში არსებული ქართული მონასტრებიც. ოკრიბის სოფლების უმეტესობა მხეიძეების საგვარეულოს ეკუთვნოდა. იმერეთის სამეფოს სამხედრო–ადმინისტრაციული დაყოფით ოკრიბა მეოთხე სადროშოში შედიოდა. სასულიერო ხელისუფალი გელათის ეპისკოპოსი იყო. ოკრიბის მნიშვნელოვანი კულტურული ცენტრები იყო გელათის მონასტერი და მოწამეთა.

XIX საუკუნეში ოკრიბამ სამეურნეო-ეკონომიური და კულტურული თვალსაზრისით წინსვლა განიცადა, ამის საფუძველი გახდა 1825 წელს მის ტერიტორიაზე ქვანახშირის საბადოს აღმოჩენა, რომლის ექსპლუატაცია 1846 წლიდან დაიწყო (ტყიბულის ქვანახშირის ბალანსური მარაგი 307 მილიონ ტონას შეადგენს, საერთო გეოლოგიური მარაგი ერთ მილიარდ ტონამდე აღწევს). ამ პერიოდიდან ტყიბული სამრეწველო დაბა გახდა სადაც ინტენსიურად მიმდინარეობდა ქვანახშირის მოპოვება. ამდენად, ტყიბულის ეკონომიკის ძირითადი დარგი ქვანახშირის მრეწველობა იყო.ამ პერიოდში აქ ქვანახშირის მომპოვებელი 4 შახტი და ქვანახშირის გამამდიდრებელი ფაბრიკა ფუნქციონირებდა. საბადოში წელიწადში 3 მილიონ ტონა ნახშირს მოიპოვებდნენ. ქვანახშირის ძირითადი მომხმარებელი იყვნენ რუსთავის მეტალურგიული კომბინატი და ტყვარჩელის თბოელექტრო სადგური. ნახშირი წარმოადგენდა სამრეწველო საწვავს ფოლადისა და ცემენტის წარმოებაში.

საქართველოში ნახშირის წარმოების ყველაზე მაღალი დონე დაფიქსირდა 1958 წელს - 3 001.7 ათასი ტონა, საიდანაც 48% მოდიოდა ტყიბული-შაორის მაღაროებზე. ნახშირი ითვლებოდა ქვეყნის ენერგეტიკული ბალანსის განუყოფელ ნაწილად. გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან, საქართველოს ენერეგეტიკული ბალანსის სტრუქტურა თანდათან შეიცვალა, რაც ძირითადად გამოწვეული იყო გაზის მილსადენების ინტენსიური მშენებლობით. ბუნებრივი გაზის გაზრდილი მოთხოვნა აღმოჩნდა ენერგეტიკული ნახშირის შემცვლელი, რამაც უარყოფითი გავლენა მოახდინა მურა (ლიგნიტი) ნახშირის წარმოებაზე.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ შახტებში ქვანახშირის მოპოვება პრაქტიკულად შეწყდა, ქვანახშირის გამამდიდრებელი ფაბრიკა კი დაინგრა. მომპოვებელი ტექნოლოგიების სიძველის გამო დარგი საკმაოდ კარგა ხნის განმავლობაში იყო სტაგნაციაში.

2006 წლიდან ტყიბულის ნახშირის შახტები შპს „ჰოლდინგი საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის“ საკუთრება გახდა, რომელსაც მარშალის კუნძულებზე რეგისტრირებული კომპანია „ჩემექსიმ ინტერნეიშენალი“ ფლობს. ამავე კომპანიის მფლობელობაშია შპს “ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას” 25%-იან წილს. კომპანიამ მოახდინა ტყიბულის მაღაროების ნაწილობრივ რეაბილიტაცია და განაახლა ქვანახშირის მოპოვება. ამჟამად მოქმედებს ნახშირის ორი საბადო, მინდელისა და ძიძიგურის. ორივე წარმოადგენს ტყიბული-შაორის ქვანახშირის აუზის ნაწილს. კომპანია მოიპოვებს ქვანახშირს მიწისქვეშა ოპერაციების საშუალებით. ეს ნახშირი არის ბიტუმინოზური ტიპის ნახშირი ადვილად აქროლადი ნივთიერებების საშუალო შემცველობით, რომელიც მოიცავს მნიშვნელოვანი რაოდენობის მეთანს. სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებაზე ლიცენზიის შესაბამისად ნახშირის მთლიანი მოცულობა შეადგენს 331 მილიონ მეტრიკულ ტონას.

ნახშირის სტაბილური ხარისხის მიზნით 2009 წელს საქნახშირმა ააშენა ნახშირის გადამამუშავებელი და გამამდიდრებელი ქარხანა თანამედროვე აღჭურვილობით. ასევე 2015 წელს ამოქმედდა 13 მვტ-იანი ნახშირზე მომუშავე ელექტროსადგური და ქვანახშირის მოპოვება 350-დან 500 ათ. ტონამდე გაზარდა. ამჟამად ნახშირის ყოველწლიური გამოშვება დაახლოებით 350,0 ათ. ტონაა. მომავალში საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი აპირებს ნახშირის მოპოვება გაზარდოს 1 მილიონ მეტრიკულ ტონამდე წელიწადში. ამჟამად კომპნიის წლიური ბრუნვა 33 მილიონი ლარია. 1 ტონა გამდიდრებული ნახშირის მოპოვება კომპანიას 83 ლარი უჯდება. გაყიდვით კი 57 დოლარად ყიდის. ტყიბულის ნახშირი გამოიყენება ცემენტის ადგილობრივ წარმოებაში, მისი ყველაზე დიდი მომხმარებელი კასპის „ჰაიდელბერგცემენტია“. ხელმძღვანელობის ვარაუდით კომპანია პირველ მოგებაზე 2021 წლიდან გავა.

ტყიბულში ქვანახშირის მოპოვების განახლებამ დიდი როლი შეასრულა მუნიციპალიტეტის ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის დასაქმებაში და მნიშვნელოვნად შეამცირა უმუშავრობის დონე. მუნიციპალიტეტის დასაქმებული მოსახლეობის საერთო რიცხოვნობის 80.5% (1500 ადამიანი) ტყიბულის შახტებზე მოდის. ქვანახშირის საწარმოს შემოსავლები მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ადგილობრივი შემოსავლების 94,9 % შეადგენს. ტყიბულში ქვანახშირის მოპოვების აღგდენა მიიჩნევა მუნიციპალიტეტის აღორძინების დასაწყისად. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ შახტების მოძველებული ტექნოლოგიით მუშაობამ მრავალი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. ამოქმედების დღიდან შახტებში 484 ადამიანი დაიღუპა და 817 დაშავდა. მართალია საქნახშირმა უკვე შეისყიდა თანამედროვე და უსაფრთხო მოწყობილობა როგორიცაა სამთო კომბაინები, ლოკომოტივები, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. ამჟამად ის ინტენსიურად მუშაობს ახალ სპეციალურ სამთომადნო ტექნოლოგიებზე, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის მწარმოებლურობას მომუშავეების უსაფრთხოებას.

დღეისათვის ტყიბულის მუნიციპალიტეტში, ოფიციალური სტატისტიკის თანახმად, მოქმედია 347 საწარმო, რომელთაგან 2 არის მსხვილი, 10 საშუალო და დანარჩენი მცირე საწარმოები. მუნიციპალიტეტის ეკონომიკის ძირითადი დარგია ქვანახშირის მომპოვებელი მრეწველობა.

მუნიციპალიტეტში დასაქმებულთა უმეტესობა თვითდასაქმებულთა კატეგორიას განეკუთნება, საქმიანობენ ოჯახურ მეურნეობებში და დაბალმწარმოებლურობის გამო ორიენტირებული არიან სასურსათო მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე და არა სარეალიზაციო პროდუქციის წარმოებაზე. თვითდასაქმებულთა მაღალი მაჩვენებელი, ფერმერული მეურნეობების განუვითარებლობა და სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის დაბალი დონე, რეგიონში სიღარიბის ზრდის უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს. მართალია მოსახლეობის მცირე ნაწილმა ფეხი აუწყო საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნებს, მაგრამ მოსახლეობის დიდი ნაწილი კვლავ მძიმე სოციალუ-ეკონომიკურ პირობებშია. აღნიშნულის გამო მკვეთრად შეიცვალა მუნიციპალიტეტის დემოგრაფიული სურათი. სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, ბოლო ათწლეულში, მუნიციპალიტეტში მოსახლეობის კლების მაჩვენებელი კატასტროფულია (ყოველწლიურად 500-600 ადამიანით მცირდება). 2002 - 2014 წლებში მოსახლეობის რიცხოვნობა (31 000 -დან 21 000 - მდე) 10 000 კაცით, ანუ 32 %-ით არის შემცირებული, რაც შობადობის კლების და მიგრაციის ზრდის შედეგია. მუნიციპალიტეტის მოსახლეობის 27 % (5800 ადამიანი) პენსიონერია, რაც იმაზე მეტყველებს, რომ მოსახლეობა დემოგრაფიულად დაბერებულია. მოსახლეობის 41 % რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველთა ბაზაში.

აღნიშნულიდან გამომდინარე უნდა დაიწყოს რეგიონის სწორი სტრატეგიული განვითარება, რაც უზრუნველყოფს მოსახლეობის დამაგრებას ადგილზე, შეამცირებს უმუშევრობის დონეს და დაეხმარება მოსახლეობას სიღარიბის დაძლევაში. მუნიციპალიტეტში ამჟამად მისდევენ მესაქონლეობას, კარგად ვითარდება მეფუტკრეობა. ამასთა ერთად აუცილებელია მოხდეს ტრადიციული დარგების (მეხილეობა, მეჩაიეობა) აღდგენა და განვითარება. საკმაოდ დიდი პოტენციალია ტურიზმის განვითარების მიმართულებით.

გასული საუკუნის 80-იან წლებში ტყიბულის რაიონის ბიუჯეტის 70%-ს ხილის შეგროვება-გადამუშავებიდან შემოსული შემოსავალი შეადგენდა. თითქმის ყველა სოფელში იყო გახსნილი ხილის დამამზადებელი პუნქტები და აქ შეგროვილი ხილი ხრესილის და ქუთაისის საკონსერვო ქარხნებში გადამუშავდებოდა. ტყიბულის მუნიციპალიტეტში ამჟამადაც არსებობს ხილის წარმოების ტრადიცია, მაგრამ ხილის გადამუშავება აღარ ხდება. ინვესტორის მოძებნისა და პროექტის განხორციელების შემთხვევაში კი, ხილის შეგროვება-გადამუშავების პროცესით, შესაძლებელია მუნიციპალიტეტის მოსახლეობის დასაქმება. დღეისათვის არსებული მონაცემებით, შეიძლება გარეული ვაშლის, მსხლის და ტყემლის, მოცვისა და მაყვალის, ანწლის, ხურმა-კარალიოკის, ღოღნაშო-ქლიავის, კულტურული ვაშლისა და მსხალის დამზადება. ხილის გადამუშავებით კი შეიძლება მივიღოთ ეკოლოგიურად სუფთა მაღალხარისხიანი წვენები, ხილფაფები და ჩირი, სადაც მთლიანად იქნება შენარჩუნებული მაღალმთიანი რეგიონის ხილისთვის დამახასიათებელი თვისებები. ხილის გადამამუშავებელი საწარმოს დაფუძნება შესაძლებელია ტყიბულის მუნიციპალიტეტის მაღალმთიან სოფლებში სადაც ინვესტორს ექნება შესაძლებლობა, ისარგებლოს შესაბამისი საგადასახადო და სხვა შეღავათებით. ეფექტური პროგრამის შემუშავება და ხილის შეგროვება-გადამუშავების პროცესის დაწყება მნიშვნელოვან ბიძგს მისცემს მუნიციპალიტეტის ეკონიმიკის განვითარებას და ადგილობრივი მოსახლეობის შემოსავლის წყაროს გაჩენას.

საბჭოთა პერიოდში ტყიბულის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა დაკავებული იყო მეჩაიეობით. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ჩაის პლამტაციები გაველურდა. ამჟამად ჩაის

კულტურას 200 ჰა ფართობი უჭირავს. 1934 წელს დაფუძნებული ტყიბულის ჩაის ფაბრიკა ოთხმოცდაათიან წლებში გერმანულმა ფირმა მარტინ ბაუერმა შეისყიდა. მოგვიანებით იგი შპს "ტყიბულის ჩაი"-ს საკუთრებაში გადავიდა. მის საკუთრებაშია ზღვის დონიდან 1300 მეტრის სიმაღლეზე მდებარე 27 ჰა ჩაის პლანტაცია. კომპანია ყოველწლიურად კრეფს და ამუშავებს 200-250 ტონა 2-3 ფოთლიან, ნაზ და მაღალი კვებითი ღირებულების მქონე ეკოლოგიურად სუფთა ჩაის ნედლ ფოთოლს. კომპანიაში დასაქმებულია 140-მდე ადამიანი. საწარმო ორიენტირებულია შავი ბაიხის ჩაის წარმოებაზე. გარდა ადგილობრივი ბაზრისა პროდუქცია სარეალიზაციოდ გადის ინგლისსა და აშშ-ში. პროდუქცია იწარმოება კლასიკური ტექნოლოგიით.

ტრადიციულ დარგებთან ერთად მუნიციპალიტეტში თანდათანობით ფეხს იდგამს და ვითარდება ტურისტული ინდუსტრია.

გელათის სამონასტრო კომპლექსი

მუნიციპალიტეტს დიდი ტურისტული პოტენციალი აქვს, რაც უკეთ უნდა იქნეს გამოყენებული და ათვისებული ბიზნესსექტორის მხრიდან, რისთვისაც საჭიროა დაინერგოს და განახორციელდეს შესაბამისი ხელის შემწყობი პროექტები და ღონისძიებები. ტყიბულის მუნიციპალიტეტი განთქმულია ისტორიული ძეგლებით. ისინი ყურადღებას იქცევენ თავიანთი მოზაიკით, მოხატულობით, ფრესკული და ლაპიდარული წარწერებით. ისტორიული ძეგლებიდან უმნიშვნელოვანესია გელათის სამონასტრო კომპლექსი, ,,მოწამეთა'' და „ნაქალაქარი", ასევე ჯვარისის, ცუცხვათის და საწირის ციხეები. ბუნების საოცრებას წარმოადგენს ცუცხვათის კარსტული მღვიმე „მაღარა", რომელიც 13 სართულისაგან შედგება და რამდენიმე სართულშია წარმოქმნილი სტალაქტიტები და სტალაგმიტები. გარდა გელათისა და მოწამეთას სამონასტრო კომპლექსისა მასობრივი ტურიზმის ობიექტად გადაქცევის პერსპექტივა აქვს ცუცხვათის მღვიმოვანს (რომელიც 1974 წლიდან სახელმწიფო ნაკრძალადაა გამოცხადებული) და ცხრაჯვარს. ტურიზმისა და დასვენების ზონებს მიეკუთვნება ტყიბულისა და შაორის წყალსაცავების ტერიტორია.

მოწამეთა

მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარების მიმართულებით გარკვეული ნაბიჯები უკვე გადაიდგა: გელათის მონასტრიდან, ცუცხვათის მღვიმოვანის გავლით, ახალსოფლის წყალსაცავამდე 25 კმ. სიგრძის საფეხმავლო ტურისტული ბილიკი მოეწყო, დაგეგმილია: „ცხრაჯვარზე" ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება დაა. შ.

იმედს ვიტოვებთ, რომ ტრადიციული და არატრადიციული დარგების განვითარება ხელს შეუწყობს ტყიბულის მუნიციპალიტეტის ეკონომიკურ ზრდას, ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებას და მათთვის ალტერნატიული შემოსავლის წყაროს გაჩენას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ვალერიან ჯინღვილია - „მოგონებები წარსულზე" .
2. http://saunje.ge/index.php?id=1301&lang=en
3. https://emc.org.ge/ka/products/industrilogia-tqibuli
4. http://liberali.ge/news/view/38711/miukhedavad-amdeni-tragediisa-tyibuli-tsotskhlobs-da-tskhovrebas-agrdzelebs--tyibulis-meria
5. https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%9D%E1%83%99%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%91%E1%83%90

სამეწარმეო გარემოს განვითარების ტენდენციები საქართველოში

Trends of Entrepreneurial Environmental Development in Georgia

ავტორი - **ლიკა ნოზაძე,** *ხელმძღვანელი* - **პროფ. მურმან ბაქრაძე,** საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი.
Author - **Lika Nozadze,** *Supervizor – Prof.* **Murman Bakradze,** Georgian Technical University.

ბიზნესგარემო წარმოადგნეს სოცილურ, ტექნოლოგიურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ გარემოს, რომელიც ზეგავლენას ახდენს ორგანიზაციის გადაწყვეტილებებზე, სტრატეგიებზე, პროცესებსა და საბოლოო ჯამში განსაზღვარავს ბიზნესის განვითარების შესაძლებლობებს. ქვეყანაში წარმატებული ბიზნესგარემოს ფორმირებისათვის გრძელი გზაა გასავლელი. აუცილებლია ძლიერი ინსტიტუტების, სტაბილური საკანონმდებლო რეგულირებისა და, რაც, ალბათ, ყველაზე მთავარია, ბიზნესის ოპერირების ძლიერი კულტურისა და ტრადიციების არსებობა. საქართველოს ბიზნესგარემოს განვითარება დადებითი ტენდენციით ხასიათდება, რაც ძირითადად გამოწვეულია საკანონმდებლო რეფორმებით (საგადასახადო, საბაჟო, ლიცენზიები და ნებართვები და სხვა). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აუცილებელია საკანონმდებლო სფეროს პროცედურული ნაწილების მეტი დახვეწა/გამარტივება და შესაბამისი ინფორმირებულობის დონის გაზრდა.

The business environment represents a social, technological, economic and political environment that impacts the company's decisions, strategies, processes and ultimately determines business opportunities. There is a long way to form a successful business environment in the country. There is a need for strong institutions, stable legislative regulation, and perhaps the most important thing is the existence of strong culture and traditions of business. Development of Georgian business environment is characterized by a positive trend, mainly caused by legislative reforms (tax, customs, licenses and permits etc.). It should be noted here that it is necessary to improve / simplify the procedural parts of the legislative sphere and increase the level of relevant awareness.

„სამეწარმეო გარემოს განვითარების ტენდენციები საქართველოში“

ბიზნესგარემო წარმოადგნეს სოცილურ, ტექნოლოგიურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ გარემოს, რომელიც ზეგავლენას ახდენს ორგანიზაციის გადაწყვეტილებებზე, სტრატეგიებზე, პროცესებსა და საბოლოო ჯამში განსაზღვარავს ბიზნესის განვითარების შესაძლებლობებს. ქვეყანაში წარმატებული ბიზნესგარემოს ფორმირებისათვის გრძელი გზაა გასავლელი. აუცილებლია ძლიერი ინსტიტუტების, სტაბილური საკანონმდებლო რეგულირებისა და, რაც, ალბათ, ყველაზე მთავარია, ბიზნესის ოპერირების ძლიერი კულტურისა და ტრადიციების არსებობა. საქართველოს ბიზნესგარემოს განვითარება დადებითი ტენდენციით ხასიათდება, რაც ძირითადად გამოწვეულია საკანონმდებლო რეფორმებით (საგადასახადო, საბაჟო, ლიცენზიები და ნებართვები და სხვა). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აუცილებელია საკანონმდებლო სფეროს პროცედურული ნაწი-

ლების მეტი დახვეწა/გამარტივება და შესაბამისი ინფორმირებულობის დონის გაზრდა. ქყვეყნის ეკონომიკის წარმატების უზრუნველყოფისათვის, განსაკუთრებული როლი, ბუნებრივია სახლმწიფოს აკისრია, თუმცა წარმატების მისაღწევად მნიშვნელოვანია გარემოს გაუმჯობესებაში წვლილი შეიტანოს და ძალისხმევა გასწიოს საზოგადოების სხვა სექტორებმაც - მას-მედიამ, არასამთავრობო ორგანიზაციებმა და უშუალოდ კერძო სექტორმა. მიუხედავად ბიზნესგარემოს გაუმჯობესების ტენდენციებისა, საქართველოს ბიზნესკლიმატი კვლავაც მრავალი მნიშვნელოვანი გამოწვევის წინაშე დგას, რომელთა წარმატებით მიღწევისათვის აუცილებლია გამართული დიალოგის პრაქტიკის დანერგვა სახელმწიფოსა და კერძო სექტორს შორის. აუცილებელია საკანონმდებლო ბაზის დახვეწა და მისი მარტივად აღქმის უზურნველყოფა. ასევე საკმაოდ დაბალია მეწარმეობრივი უნარები, რაც ბუნებრივიცაა თუ გავითვალისიწინებთ, რომ ქვეყანაში საბაზრო ეკონომიკის პრინციპების არსებობას არც თუ ისე ხანგრძლივი ისტორია აქვს. პრობლემატურია შრომის ბაზარი - ერთი მხრივ, მაღალია უმუშევრობის დონე, მეორე მხრივ კი, დამქირავებელს ძალიან უჭირს სასურველი კადრის მოძიება და დაქირავება. ისევ გამოცდილების, ტექნოლოგიის, საჭირო ბიზნესუნარების ან/და უბრალოდ ინფორმაციის არქონის გამო მრავალი კომპანია ვერ ახერხებს ვერც ადგილობრივ ბაზრებზე ადგილის დამკვიდრებას და, მით უმეტეს, ვერც საერთაშორისო ბაზრებზე გასვლას.

საკანონმდებლო გარემო და ინფორმირებულობის დონე

ბიზნესმარეგულირებელი კანონმდებლობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა და გაცილებით ლიბერალური გახდა. გაუმჯობესების პროცესმა მოითხოვა კანონების ხშირი ცვალებადობა - ხდება ახალი კანონების მიღება, ასევე უამრავი ცვლილება შედის ძველ კანონებში. მაგალითად, საგადასახადო კოდექსში, რომლიც ძალაშია 2005 წლიდან, შესულია 36 ცვლილებათა პაკეტი და უნდა ვივარაუდოთ, რომ დაგეგმილია ახალი ცვლილებების პროექტების წარმოდგენა. ასევე, ბიზნესგარემოსათვის პრობლემატური შესაძლოა იყოს ქვენორმატიული აქტების სიმრავლე, რომლებიც თავის მხრივ ასევე ხშირად იცვლებიან.

ინფომირებულობის დონის ამაღლების მიმართულებით მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია მას-მედიას და არასამთავრობო სექტორს. სახელმწიფომ კი უნდა განაგრძოს ინტენსიური მუშაობა კანონდებლობის დახვეწის კუთხით. მნიშვნელოვანია, მეწარმეებს მიეწოდოს ისეთი განმარტებები და ინსტრუქციები, რომლებიც გამორიცხავს ინტერპრეტაციის შესაძლებლობას როგორც კერძო სექტორის, ასევე სახემწიფო მოხელეების მხრიდან.

აუცილებელია მეწარმეების ინფორმირებულობის დონის გაზრდა საგადასახადო კონტროლთან მიმართებაში მათი უფლებებისა და მოვალეობების შესახებ. მით უმეტეს, რომ საგადასახადო კოდექსით განისაზღვრა 11 სახის კონტროლის პროცედურა. ამასთან, არ არის გამჭვირვალე, თუ რა პრინციპით ხდება კონტროლის სახის შერჩევა და რის საფუძველზე დგინდება ერთი რომელიმე მეთოდის უპირატესობა მეორესთან შედარებით.

ბიზნესის დაწყება და დაფინანსება

ბიზნესის დაწყება საქართველოში, საკნონმდებლო კუთხით თუ განვიხილავთ, ძალიან მარტივია. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ფინანსური ან პროცედურული ბარიერები საწარმოს დარეგისტრირებისათვის თითქმის არ არსებობს, რაც თავის მხრივ ნამდვილად წარმატებული რეფორმის შედეგია. ბიზნესის გაფართოებისათვის და, მით უმეტეს, ბიზნესის დაწყებისათვის ფინანსურ რესურსებს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. რაც არ უნდა მარტივი იყოს კომპანიის დარეგისტრირება, თუ ფინანსები არ არის ხელმისაწვდომი, ყველაზე პერსპექტიული ბიზნესიდეაც კი განწირული იქნება.

შრომის ბაზრის განვითარება

არავინ დაობს, რომ უმუშევრობა ქართული ეკონომიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა, თუმცა, იმავდროულად ხელმისაწვდომობა ადამიანურ რესურსებზე კერძო სექტორის ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეული საკითხია. პროფესიონალიზმი პრობლემაა როგორც ტექნიკურ ასევე მენეჯერულ დონეზე. დღეს თითქმის შეუძლებელია საჭირო კვალიფიკაციისა და უნარების კადრის მოძიება. რეალურად, არც ერთი უმაღლესი სასწავლებელი სასწავლო პროცესის დაგეგმვისას არ შეისწავლის, თუ რა სპეციალობის სამუშაო ძალაზეა მოთხოვა. ბევრ ქვეყანაში ასეთი ტიპის კველვას პერიოდულად ატარებენ უნივერსიტეტები ან/და სახლემწიფო. შედეგად კი საგანმანათლებლო ორგანიზაციები შრომის ბაზარს აწვდიან სწორედ იმ კვალიფიკაციისა და იმ რაოდენობის პოტენციურ კადრებს, როგორიცაა მოთხოვნა.

შეიძლება ითქვას, რომ შრომის ბაზარი საქართველოში ნაკლებად განვითარებულია და აუცილებელია ისეთი ინსტიტუტებისა და მექანიზმების შექმნა, რომელიც საბოლოო ჯამში კერძო სექტორს უზურნველყოფს კვალიფიციური სამუშაო ძალით და იმავდროულად შემაცირებს უმუშევრობას. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ შრომის ბაზრის განვითარება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული უმაღლესი და პროფესიული განათლების სისტემებზე. ამდენად, აუცილებელია, რომ საგანამანათლებლო ორგანიზაციებმა გადაწყვეტილება სასწავლო კურსებისა და სპეციალობების შესახებ შრომის ბაზრის მოთხოვნის გათვალისწინებით მიიღონ.

ექპორტის ხელშეწყობა

ერთი შეხედვით, საქართველოში შექმნილია მრავალი პირობა იმისათვის, რომ მეწარმემ წარმატებით განახორციელოს ესპორტი - შეიცვალა საბაჟო კანონმდელობა და შესაბამისად ადმინისტრირება. საქართველო სარგებლობს პრეფერენციათა განზოგადებული სისტემით, რომელიც მართალაც რომ მნიშვნელოვანი შეღავათების შესაძლებლობას აძლევს ქართულ ბიზნესს. შედეგად საწარმოებს შესაძლებლობა აქვთ, მოახდინონ ჯამში 9000-მდე სახის პროდუქტის შეღავათიანი პირობებით (მათ შორის 7200 პროდუქტზე ნულოვანი განაკვეთით) ექსპორტირება 35-მდე ქვეყანაში. თუმცა, საწარმოების უმრავლესობა არათუ საერთაშორისო, ადგილობრივ ბაზრებზეც კი ვერ ახერხებენ თავის დამკვიდრებასა და კონკურირებას. ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, ისევ და ისევ, ინფორმირებულობის ძალიან დაბალი დონეა.

ეკონომიკური განვითარების სამინისტრო ახორციელებს ,,ექსპორტის წახალისების ქვეპორგრამას", რომლის ფარგლებშიც ექპორტზე ორიენტირებულ კომპანიებს შეუძლიათ შეღავათიანი პირობებით სესხის მიღება. ამგავარი პროგრამების განხორციელება, რა თქმა უნდა, ხელს შეუწყობს მოქმედ ექსპორტიორ კომპანიებს. თუმცა, აუცილებელია, პარალელურ რეჟიმში გატარდეს ღონისძიება, რომლის შედეგადაც (1) გაიზრდება მეწარმეების საერთაშორისო ბაზრებზე გასვლის უნარები; (2) მეტად ხელმისაწვდომი გახდება ინფორმაცია საერთაშორისო ბაზრების მოთხოვნებისა და საჭიროებების შესახებ. ხშირად ტარდება საერთაშორისო გამოფენები, ასევე არსებობს მრავალი სადილერო ვებ-გვერდი. ამგავარი და სხვა ხელშემწყობი ინფორმაციის ერთიანი ბაზის მომზადება მნიშვნელოვნად შეუწყობდა ხელს ქართველ მეწარმეებს, განსაკუთრებით კი აგარარულ სექტორში, სავაჭრო პარტნიორების მოძიებაში. დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ აუცილებელია კერძო სექტორის პრეფერენციათა განზოგადებული სისტემის შესახებ მეწარმეთა დეტალური ინფორმირებულობის უზრუნველყოფა.

მეწარმეობრივი ცოდნა და უნარები

ბიზნესგარემოს მიმზიდველობას მრავალი ფაქტორი განაპირობებს და სწორედ მასზეა დამოკიდებული ბიზნესის განვითარების შესაძლებლობები. თუმცა, რაც არ უნდა მიმზიდველი იყოს გარემო, თუ კომპანიის მენეჯერს არ გააჩნია არსებული შესაძლებლობების გამოყენების უნარები, ბიზნესი მაინც ვერ მიაღწევს წარმატებას. მით უმეტეს, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ქართულ ბაზარზე მუდმივად იზრდება კონკურენციის ხარისხი. ინფორმირებულობის, საკანონმდებლო გარემოსა და სხვა პრობლემებთან ერთად ქართული ბიზნესსექტორის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი დაბალი მეწარმეობრივი უნარებია. ძალიან უჭირთ განვითარება მიკრო და მცირე ბიზნესს, ამის ერთ-ერთი მიზეზი არის ამონაგები თანხის რეინვესტირების პრაქტიკის თითქმის არარსებობა. ქართველ მეწარმეებს არ გააჩნიათ საბაზრო ურთიერთობებისა და მომხმრებელზე ორიენტირებული წარმოების გამოცდილება, ასევე რთულია შესაბამისი ცოდნისა და, მით უმეტეს, უნარების მიღება. ნაკლებადაა განვითარებული ბიზნესსაკონსულტაციო მომსახურების ბაზარიც. საქართველოში წარმოდგენილია კონსალტინგური სერვისის მიმოწოდებელი კომპანიები, თუმცა მათი მომსახურება საკმაოდ ძვირადღირებულია და არაა ხელმისაწვდომი მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებისათვის.

მეწრამეობრივი უნარების გაზრდის მიმართულებით დიდი წვლილის შეტანა შეუძლია არასამთავრობო სექტორსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს. ქართულ ბიზნესს დღეს ესაჭიროება პრაქტიკული ტრენინგები, ხელმისაწვდომი ბიზნესკონსულტაციები და ინფორმაცია საბაზრო შესაძლებლობების შესახებ.

მას-მედია და არასამთავრობო სექტორი ბიზნესგარემოს გაუმჯობესებისათვის

მედიას, როგორც საზოგადოებრივი დაკვეთის შემსრულებელს, განსაკუთრებით დიდი პასუხისმგებლობა აკისრია. ის უნდა იყოს ობიექტური მოვლენების გაშუქებისას და აშუქებდეს იმ ინფორმაციას, რომლის ბიზნესისათვის საინტერესო და ხშირ შემთხვევაში აუცილებელიცაა. მნიშვნელოვანია ჟურნალისტების პროფესიონალიზმის გაზრდა ეკონომიკური კუთხით, რათა მათ

შეძლონ მეტი ანალიტიკური სახის ინფორმაციის მიწოდება ბიზნესისთვის. მედიას ასევე მნიშვნელოვანი როლი აკისრია იყოს შუამავალი ბიზნესსა და სახელმწიფო სექტორს შორის.

მედიის როლის მნიშვნელობას თვით კერძო სექტორიც აღიარებს, მით უმეტეს, რომ სწორედ მას-მედიაში ხედავენ რიგი პრობლემების გადაჭრის გზებს. კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ ბიზნესს მას-მედიის მიმართ 3 ძირითადი მოთხოვნა აქვს: 1. მიაწოდოს მეტი ინფორმაცია ბიზნესსაკანონმდებლო სიახლეების შესახებ; 2. გააშუქოს ბიზნესისათვის სხვადასხვა აქტუალურ საკითხები და შეთავაზოს ანალიზი; 3. შეასრულოს მედიატორის როლი და ხელი შეუწყოს სახელმწიფო ორგანოებსა და კერძო სექტორს შორის დიალოგის პრაქტიკის დამკვიდრებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გიორგი შუბლაძე, მანანა ნანიტაშვილი : „ბიზნესის საფუძვლები", 2011 წ.;

2. თეიმურაზ შენგელია: „ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები", 2008 წ.

3. Федорова, Шелопаев, Ермоленко: „Финансовая среда предпринимательства и предпринимательские риски", 2017г ;

■■■■

მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდასაჭერის ევროპული გამოცდილება

European experience of small and medium business support

ავტორი - **ხატია ღამბარაშვილი,** ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხათუნა ღამბარაშვილი, საქართველოს ტენიკური უნივერსიტეტი

ხელმძღვანელი - ასოც. პროფ. **მედეა ჭელიძე,** საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი.

Author – **Khatia Gambarashvili**, Ilia State University

Khatuna Gambarashvili, Georgian Technical University

Supervizor – Assoc. Prof. **Medea Chelidze,** Georgian Technical University.

Abstract

Small business is therefore small because it does not have enough resources, skills and finances to cope with the big challenges that the community develops. Several studies show that availability of finances among the factors that impede the development of the manufacturing sector is a major problem in small and medium business activities that prevent them from mobilizing and developing other resources.

The purpose of this article is to review the experience that has been accumulated and intensively used to facilitate the development of access to business, especially small and medium business finance, research and innovation in EU countries.

Keywords: Innovative financial instruments, Small and Medium business, Financial policy, Business plan.

ევროკავშირის საქმიანობის უმთავრესი მიმართულება მეწარმეობისა და ბიზნესის განვითარების ხელშეწყობაა, რასაც იგი მთელი რიგი პროგრამების მეშვეობით ახორციელებს. ყოველწლიურად მის მიერ დაფინანსებული ბიზნესის რაოდენობა 200 ათასს აჭარბებს.

დღეისათვის ევროკავშირის ყველაზე მასშტაბური პროგრამებია: პერსპექტივა 2020 (Horizon 2020); ევროპის სტრუქტურული და საინვესტიციო ფონდები (ESIF); საწარმოებისა და მცირე და საშუალო საწარმოების კონკურენტუნარიანობა (COSME).

თავისი პროგრამების დაფინანსებისა და ხელშეწყობისათვის ევროკავშირის მიერ ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენება ახალი არ არის თუმცა, ყოველი მომდევნო საბიუჯეტო პერიოდი ხასიათდება არა მარტო განვითარების ახალი მიმართულებების (იქნება ეს ინფრასტრუქტურა, ადამიანური რესურსების განვითარება, კლიმატის ცვლილება თუ გარემოს დაცვა) მრავალფეროვნებით, არამედ ბენეფიციარების მხარდამჭერი ფინანსური ინსტრუმენტების ნაირსახეობებითა და მათი გამოყენების მექანიზმების სრულყოფით. აღსანიშნავია, რომ 2014-2020 წლების საბიუჯეტო

პერიოდი გამორჩეულია ახალი თაობის ინოვაციური ფინანსური ინსტრუმენტების შეთავაზების თვალსაზრისით. ფოკუსირებულია რა ინოვაციებზე, მდგრად განვითარებასა და სამუშაო ადგილების შექმნაზე, წინა საბიუჯეტო პერიოდთან შედარებით ფინანსური ინსტრუმენტები: გამარტივდა და დაიხვეწა; უფრო გაადვილდა მათზე წვდომა; უფრო მოქნილია დამატებითი ფინანსების მოზიდვის თვალსაზრისით კერძო და სახელმწიფო სექტორებიდან; მინიმუმამდე დავიდა გრანტებზე დამოკიდებულება.

როგორც წესი, ევროკავშირის პრაქტიკაში ბიზნესის პირდაპირი დაფინანსება არ ხდება. ეს ხორციელდება ადგილობრივ, რეგიონალურ და ეროვნულ ორგანოებთან თანამშრომლობითა და ფინანსური შუამავლების მეშვეობით, რომლებიც სხვადასხვა ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებით ახდენენ ბიზნესის დაფინანსებას. თუმცა, თუ საქმე ეხება ევროკავშირის სპეციალური პროგრამების დანერგვასა და პოლიტიკის განხორციელებას, ასეთი პროექტების დაფინანსებას ევროკავშირი პირდაპირი წესით ახორციელებს.

გადაწყვეტილებას ევროკავშირის ფინანსების გამოყენებაზე ბიზნესის დასაფინანსებლად ადგილობრივი ფინანსური ინსტიტუტები იღებენ. ასეთი ამჟამად, წევრი ქვეყნების მასშტაბით, ათასამდეა. მათ ასევე შეუძლიათ, ევროკავშირის გარანტიით მობილიზება გაუკეთონ და გამოყონ დამატებითი სახსრები იგივე მიზნებისათვის. დაფინანსების პირობებს - თანხის მოცულობას, ხანგრძლივობას, საპროცენტო განაკვეთებსა თუ საკომისიობს ასევე ფინანსური ინსტიტუტები განსაზღვრავენ.

ამდენად, ევროკავშირის ფინანსებზე წვდომის მექანიზმი მკაფიოდაა განსაზღვრული და მოიცავს:

•ინსტიტუციურ ასპექტს- ევროპის საინვესტიციო ბანკისა (EIB) და ევროპის საინვესტიციო ფონდის (EIF) სახით, რომელთაც ეკუთვნით ცენტრალური როლი ახალი ფინანსური ინსტრუმენტების განვითარებაში ბიზნესის მხარდასაჭერად;

•თანამშრომლობას - რაც გულისხმობს ევროპის საინვესტიციო ბანკისა (EIB) და ევროპის საინვესტიციო ფონდის (EIF) მიერ ინოვაციებისა და მეწარმეობის დაფინანსების განხორციელებას ეროვნულ ორგანოებთან მჭიდრო თანამშრომლობით.

რა შინაარსის მატარებელია ევროკავშირის მიერ გამოყენებული ფინანსური ინსტრუმენტები? ეს შინაარსი მრავალმხრივია. კერძოდ:

•ითვალისწინებს გადახდას (უკან დაბრუნებას);

•არის განმეორებადი (განახლებადი), რაც იმას ნიშნავს, რომ დაბრუნებული თანხები შესაძლებელია კვლავ იქნეს გამოყენებული იგივე სფეროებში;

•მოხერხებულია ფინანსურად სიცოცხლისუნარიანი პროექტებისათვის, ე.ი. პროექტებისათვის, რომლებსაც შეუძლიათ შექმნან შემოსავალი/დანაზოგი, მიღებული მხარდაჭერის გადასახდელად;

•შექმნილია იმგვარად, რომ შეძლოს სხვა დამატებითი რესურსების მობილიზება, კერძო ინვესტიციების ჩათვლით;

•შესაძლებელია მიიღოს სესხის, გარანტიის ან კაპიტალის სახე;

•შესაძლებელია გრანტებთან ერთად კომბინირებული გამოყენება;

•ექვემდებარება მართვას ეროვნული და ადგილობრივი ბანკებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების, როგორებიცაა ევროპის საინვესტიციო ბანკი (EIB) და ევროპის საინვესტიციო ფონდი (EIF), ასევე ფინანსური შუამავლებისა და მმართველობითი ორგანოების მხრიდან.

წინა საბიუჯეტო წლების პროგრამებისაგან განსხვავებით, 2014-2020 წლების ფინანსური ინსტრუმენტები რიგი სიახლეებითა და უპირატესობებით ხასიათდება. ეს ნიშნავს, რომ:

•ფინანსური ინსტრუმენტები არ არის გაწერილი კონკრეტულ სექტორებზე, ბენეფიციარებზე, პროექტების ტიპებსა და საქმიანობაზე. წევრ ქვეყნებს და მათ მმართველობით ორგანოებს შეუძლიათ გამოიყენონ ისინი თემატური მიზნების მიხედვით;

•ფინანსური ინსტრუმენტების ახალი მექანიზმი მოიცავს მხარდაჭერის სხვა სახეობებთან (მაგ. გრანტებთან) მათი კომბინირებული გამოყენების კარგად განსაზღვრულ წესებს;

•გათვალისწინებულია ფინანსური ინსტრუმენტების მორგება ისეთ მოსალოდნელ შეფასებებზე, როგორებიცაა ბაზრის წარუმატებლობა, ნაკლებად ოპტიმალური საინვესტიციო გარემოება, კერძო სექტორის შესაძლო მონაწილეობა და სხვა.

ფინანსური ინსტრუმენტების ასეთ დიზაინს უფრო მეტი მოქნილობა შეაქვს მათ გამოყენებაში და მეტ თავისუფლებას აძლევს წევრ ქვეყნებს თავიანთი პროგრამების შემუშავებისას. ევროკავშირის 2014-2020 საბიუჯეტო პერიოდის ყველაზე მასშტაბური პროექტია „ჰორიზონტი 2020“ (H2020), რომელიც ამოქმედდა 2013 წლის დეკემბერში.იგი წარმოადგენს ჩარჩო პროგრამას კვლევებისა და ინოვაციების მხარდაჭერისათვის. მისი ბიუჯეტი 2014-2020 წლებისათვის 80 მლრდ ევროს შეადგენს, გარდა იმისა, რაც მან დამატებით უნდა მოიზიდოს კერძო ინვესტიციების სახით. ამ პროგრამას მძლავრი პოლიტიკური მხარდაჭერა აქვს ევროპელი ლიდერებისა და ევროპარლამენტის წევრების მხრიდან, რომლებიც ერთხმად აღიარებენ ინოვაციების უალტერნატივობას ევროპის მომავალი განვითარებისათვის. H2020 ღიაა ყველასათვის და მარტივია ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით. იგი მოიცავს 18 თემატურ სექციას, რომელთა შორის აღსანიშნავია მცირე და საშუალო ბიზნესის ინსტრუმენტი (SME ინსტრუმენტი) და სარისკო ფინანსებზე წვდომა, ანუ დაფინანსება, რომელიც უკუგების არმიღების დიდი ალბათობით ხასიათდება. SME ინსტრუმენტი სპეციალურადაა შექმნილი მაღალი ინოვაციური პოტენციალის მქონე მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური მხარდაჭერისათვის, რომელთაც აქვთ საერთაშორისო ამბიციები და ბაზრებზე ორიენტირებული ინოვაციური იდეები. ინსტრუმენტის მიზანია, შეავსოს გარღვევა დაფინანსებაში, რაც დამახასიათებელია მაღალი რისკის ინოვაციური იდეების დანერგვისათვის და მოიცავს სრულ ინოვაციურ ციკლს იდეიდან ბაზრისთვის ახალი პროდუქციის, მომსახურების თუ პროცესის მიწოდებამდე. SME ინსტრუმენტი ხორციელდება სამ ეტაპად: პირველი ეტაპი – ბიზნეს იდეის კონცეფცია და დაგეგმვა; მეორე ეტაპი – ბიზნეს გეგმის განხორციელება და დასაბუთება; მესამე ეტაპი – კომერციალიზაცია.

H2020-ის ფარგლებში მცირე და საშუალო ბიზნესის ინოვაციური საქმიანობის დაფინანსების კიდევ ერთი ინსტრუმენტი სარისკო ფინანსებზე წვდომაა, ანუ დაფინანსება, რომელიც ხასიათდება უკუგების არმიღების დიდი ალბათობით. მისი მიზანია, დაეხმაროს საწარმოებსა და სხვა ორგა-

ნიზაციებს განავითარონ თავიანთი შესაძლებლობები კვლევებისა და ინოვაციების მიმართულებით სესხების, გარანტიების კაპიტალის დაფინანსების მეშვეობით. ამ უკანასკნელის მიღების მექანიზმში ჩართულები არიან ევროპის საინვესტიციო ბანკი (EIB), რომელიც გამოყოფს ფინანსებს, და ევროპის საინვესტიციო ფონდი (EIF), რომელიც აცხადებს დაფინანსების პირობებს და შერჩევის კრიტერიუმებს.

ევროკავშირის კვლევებისა და ინოვაციების პროგრამათა შორის მნიშვნელოვნია ევროპის სტრუქტურული და საინვესტიციო ფონდები (ESIF). მისი თანადაფინანსებით შექმნილი ფინანსური ინსტრუმენტები ეფექტიანი გზაა ადამიანებისა და ბიზნესის ზრდისა და განვითარების დაფინანსებისათვის ევროკავშირის ფარგლებში. ეს ისეთი ფინანსური პროდუქტებია, როგორებიცაა: სესხები, გარანტიები, კაპიტალი და სხვადასხვა რისკების მატარებელი პროექტების დაფინანსება.

ევროპის სტრუქტურული და საინვესტიციო ფონდები (ESIF) ემსახურება დაფინანსების მიღებას ევროკავშირის 5 წყაროდან. ეს წყაროებია: ევროპის რეგიონალური განვითარების ფონდი (ERDF); ერთიანი ფონდი (CF); ევროპის აგრარული და სოფლის განვითარების ფონდი (EAFRD); ევროპის საზღვაო და მეთევზეობის ფონდი (EMFF); ევროპის სოციალური ფონდი (ESF).

2014-2020 წლების ევროპის სტრუქტურული და საინვესტიციო ფონდების (ESIF) ფინანსური ინსტრუმენტების მექანიზმში პირველად იქნა ჩართული ევროპის საინვესტიციო ბანკის ჯგუფი (EIB და EIF)ისეთი საქმიანობით, როგორებიცაა: ფინანსური ინსტრუმენტების ტექნიკური დახმარების პლატფორმა; ორმხრივ პროგნოზებზე დაფუძნებული დახმარება და საკონსულტაციო მომსახურება; შერეული აქტივობა; ფონდების მართვა.

გათვალისწინებულია, რომ ფინანსური ინსტრუმენტებისათვის განკუთვნილმა თანხებმა ESIF-იდან 2014-2020 წლებში უნდა შეადგინოს 30-35 მლრდ ევრო (ნაცვლად 12 მლრდ ევროსი 2007-2013 წლებში).

ფინანსური ინსტრუმენტების მართვა აქაც ევროკავშირის ფინანსებზე წვდომის ზოგადი მექანიზმის ანალოგიურია: ESIF-დან გამოყოფილ ფონდებს აკონტროლებს ეროვნული ორგანო, რომელიც მათ მიმართავს ფონდების ფონდში ან პირდაპირ ფინანსურ შუამავლებში, რომლებიც უშუალოდ აფინანსებენ ბენეფიციარებს.

ევროკავშირის კვლევებისა და ინოვაციების პროგრამათა შორის მნიშვნელოვნია ევროპის სტრუქტურული და საინვესტიციო ფონდები (ESIF). მისი თანადაფინანსებით შექმნილი ფინანსური ინსტრუმენტები ეფექტიანი გზაა ადამიანების და ბიზნესის ზრდისა და განვითარების დაფინანსებისათვის ევროკავშირის ფარგლებში. ეს ისეთი ფინანსური პროდუქტებია, როგორებიცაა: სესხები, გარანტიები, კაპიტალი და სხვადასხვა რისკების მატარებელი პროექტების დაფინანსება.

ევროპის სტრუქტურული და საინვესტიციო ფონდები (ESIF) ემსახურება დაფინანსების მიღებას ევროკავშირის 5 წყაროდან. ეს წყაროებია: ევროპის რეგიონალური განვითარების ფონდი (ERDF); ერთიანი ფონდი (CF); ევროპის აგრარული და სოფლის განვითარების ფონდი (EAFRD); ევროპის საზღვაო და მეთევზეობის ფონდი (EMFF); ევროპის სოციალური ფონდი (ESF).

2014-2020 წლების ევროპის სტრუქტურული და საინვესტიციო ფონდების (ESIF) ფინანსური ინსტრუმენტების მექანიზმში პირველად იქნა ჩართული ევროპის საინვესტიციო ბანკის ჯგუფი(EIB

და EIF)ისეთი საქმიანობით, როგორებიცაა: ფინანსური ინსტრუმენტების ტექნიკური დახმარების პლატფორმა; ორმხრივ პროგნოზებზე დაფუძნებული დახმარება და საკონსულტაციო მომსახურება; შერეული აქტივობა; ფონდების მართვა;

Fi-compass-ი თვალისწინებს: ე.წ. ჰორიზონტალურ დახმარებას, რაც გულისხმობს საუკეთესო გამოცდილების გაცნობას, ტრენინგებს, ერთიან პოლიტიკასთან დაკავშირებულ მარეგულირებელ ასპექტებს და ა.შ.

COSME გულისხმობს: გარანტიების დაფინანსებას ფინანსური შუამავლებისათვის, რათა მათ შეძლონ რაც შეიძლება მეტი სესხი გასცენ მცირე და საშუალო ბიზნესისათვის; საკუთარი კაპიტალის დაფინანსებას ზრდისა და გაფართოების ეტაპზე;

COSME-ს ფარგლებში მოქმედი ფინანსური ინსტრუმენტებია: *სესხების გარანტიის საშუალებები (LGF-The Loan Guarantee Facilities), საკუთარი კაპიტალის დაფინანსება ზრდის მიზნებისათვის (EFG-The Equity Facilities for Growth).*

ამდენად, ერთი რამ ნათელია, რომ ევროკავშირი წლიდან წლამდე განვითარებასა და ინოვაციებზე ხარჯავს სულ უფრო მეტს; აუმჯობესებს ფინანსური ინსტრუმენტების ხარისხს და სულ უფრო აიოლებს ფინანსებზე ხელმისაწვდომობის მექანიზმებს. აღნიშნულ სფეროში ევროპაში დაგროვილი გამოცდილების გამოყენება საუკეთესო საშუალება უნდა იყოს ჩვენი ქვეყნისათვის განვითარებისა და ინოვაციების ხელშეწყობისკენ მიმავალ გზაზე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გოგიაშვილი ო. მცირე და საშუალო ბიზნესის პრობლემები და მათი გადაჭრის გზები საქართველოში. თბილისი 2013.
2. საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020 წლებისთვის. თბილისი 2016.
3. საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია - მცირე და საშუალო ბიზნესი საქართველოში, თბილისი 2017.
4. www.allbanks.ru უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 14.11.2018.
5. www.bfm.ge უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 27.10.2018.
6. www.nbg.gov.ge უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 06.11.2018.
7. www.sabanko.com უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 06.11.2018.

■■■■

სათამაშო ბიზნესის ეკონომიკური და სოციალური ასპექტები

Economic and Social aspects of Gambling Business

ავტორი - **ჯემმა სააკიანი**, *ხელმძღვანელი* - ასოც. პროფ. **ლია ბერიკაშვილი,** საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი.

Author - **Jemma Saakyan**, *Supervizor – Assoc. Prof.* **Lia Berikashvili,** Georgian Technical University.

Gambling is an area where is no one certain view, instead multiple opinions constantly circling around it; in one side it is an important economic income and a source of budget, but on the other side it is a guaranteed legalized dependence on the game. Which obviously has negative impact on peoples live. According the world statistics, only 6% of the money consists profits which players win by occasionally, other players lose their moneys. On this issue, peoples form government always talks about it, and obviously this area needs some sort of regulations. Gambling business is more developed in Georgia this years than previous years. The development of this area has been a major contributor to the politics of our neighboring countries, which are expressed in certain regulations and restrictions on their citizens. The fee and taxes of Gambling business has been growing in Georgia periodically over the few past years. The marginal indicator of Gambling business fees has significantly increased since First January of 2017 years, which was reflected on the local budget.

Keywords: gambling, business, developed, economic.

აზარტული თამაშები მსოფლიოში დიდი პოპულარობით სარგებლობს, რასაც ამ ბიზნესთან დაკავშირებული სტატისტიკური მონაცემებიც თვალნათლივ ადასტურებს. ერთ-ერთი კვლევის მიხედვით, მსოფლიოს მოსახლეობის 51% წელიწადში ერთხელ მაინც მონაწილეობს ამ ტიპის თამაშებში. სათამაშო ბიზნესის მთავარი მახასიათებელი ის არის, რომ ის ადამიანებს აძლევს ფულის მოგების შესაძლებლობას და ეს შესაძლებლობა აგებულია შემთხვევითობის პრინციპზე.

მსოფლიოში ცნობილია აზარტული თამაშების საკმაოდ ბევრი სახეობა, მათ შორის: სათამაშო აპარატები, კარტით თამაში, რულეტკა, ლოტო/ბინგო/წამახალისებელი გათამაშება, ტოტალიზატორი და ა.შ.

სათამაშო აპარატები – შეიძლება იყოს როგორც სტაციონალური, ანუ პირდაპირ აპარატთან რომ თამაშობენ, ასევე ონლაინ ინტერნეტის მეშვეობით. თამაში შემდეგი პრინციპით მიმდინარეობს: თვითონ აპარატში არის ჩაწერილი პროგრამა, რომელიც განსაზღვრავს (გამოთვლის) შესაძლო მოგებას პროცენტებში.

კარტით თამაში – მსოფლიოში დიდი პოპულარულობით სარგებლობს პოკერი, ყველასთვის ცნობილია ყოველწლიური პოკერის ჩემპიონატები, სადაც ათასობით ადამიანია ჩართული.

რულეტკა – სამორინეების ყველაზე ცნობილი თამაშია. საქართველოში სათამაშო აპარატის, პოკერის, რულეტკის მოწყობა შესაძლებელია სამორინეში, მისი წლიური სანებართვო მოსაკრებლის ოდენობა 100,000-5,000,000 ლარის ფარგლებშია.

ლოტო/ბინგო/წამახალისებელი გათამაშება – როდესაც იყიდება სპეციალური ბილეთები, მათ მეშვეობით ხდება ფულის მოზიდვა, და მიღებული თანხის გარკვეული პროცენტი იგებს ადამიანთა გარკვეული ნაწილი, ძირიათადად მოთამაშეთა 2-5%.

ტოტალიზატორი – არის თამაში, რომლის მონაწილეებიც ფსონებს დებენ მოგებაზე, საბოლოო ზუსტ ანგარიშზე, შეჯიბრებზე(დოღი), ფეხბურთის თამაშზე, სადაც მათ შეაქვთ თანხა, მატჩების, ან ტურნირის დაწყებამდე. ხოლო დამთავრების შემდგომ ხდება თანხის განაწილება დადებული კოეფიციენტების შესაბამისად.

სათამაშო ბიზნესში ხშირად გვსმენია სიტყვა „კაზინო“, მაგრამ მისი წარმომავლობა ბევრმა არ იცის. Casino – იტალიური სიტყვაა და პირდაპირი მნიშვნელობით პატარა სახლს ნიშნავს, ხოლო XIX საუკუნეში შენობის მნიშვნელობა შეიძინა, სადაც გასართობის ღონისძიებები იმართებოდა: სიმღერის მოსმენა, ცეკვა, აზარტული თამაშები. ამ ბიზნესის ძირითადი მახასიათებელი ნიშანია ადამიანების ილუზიის ექსპლუატაცია, რომელიც შემთხვევითობის პრინციპით ჰპირდება მათ გამდიდრებას.

პირველი კაზინო ევროპაში ითვლება Ridotto, რომელიც გაიხსნა 1638 წელს ვენეციაში. საბჭოთა პერიოდში აზარტული თამაშები აკრძალული იყო, თუმცა არალეგალურად ეს თამაშები მუდმივად ხორციელდებოდა დაფარულ პირობებში. გარდაქმნის ეპოქის დადგომამ კაზინოს ლეგალიზაცია გამოიწვია და 1989 წელს მოსკოვში პირველი სამორინე გაიხსნა. ხოლო, საქართველოში 1990 წელს, შვედური ინვესტიციის შემწეობით გაიხსნა პირველი ლეგალური სამორინე.

დღეისათვის, საქართველოში აზარტული თამაშების ყველა სახეობა კარგადაა განვითარებული და ქვეყნის ეკონომიკის მნიშვნელოვანი კონტრიბუტორიც არის. ფინანსთა სამინისტროს მონაცემებით საქართველოში სულ რეგისტრირებულია 138 ბიზნესი რომელიც აზარტული თამაშების მოწყობით არის დაკავებული. 2017 წელს აღნიშნული კომპანიების მთლიანმა ბრუნვამ 4,3 მლრდ ლარი შეადგინა. შედარებისთვის, ამავე პერიოდში ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი 33 მლრ ლარი იყო. 2017 წლის პირველი იანვრიდან ძალაში შევიდა საგადასახადო ცვლილებები, რომელთა მიხედვითაც კაზინოებს გაზრდილი მოსაკრებლის გადახდა უწევთ. ამ ცვლილებების შედეგად წლის პირველ ნახევარში მობილიზებულია 145 მილიონი ლარის გადასახადები, რაც 2016 წლის სრულ მაჩვენებლის 33%–ით აღემატება.

სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის, გადასახადების და ერთჯერადი სანებართვო მოსაკრებლის ცვლილების ტენდენცია მლნ ლარებში 2011-2017 პერიოდში



წყარო: სახელმწიფო ხაზინა, შემოსავლების სამსახური

როგორც გრაფიკიდან ჩანს მოსაკრებლის სახით მიღებული შემოსავლების მოცულობა 2011–2017 წლებში პერმანენტულად იზრდებოდა, თუმცა 2017 წლის 1 იანვრიდან კანონში ცვლილებების შესვლის შემდგომეს მაჩვენებელი მნიშვნელოვნად გაიზარდა. საქართველოს საგადასახადო კოდექსის თანახმად საერთო სახელმწიფოებრივი გადასახადებისგან სათამაშო ბიზნესის ძირითადი ნაწილი გათავისუფლებულია. თუმცა სისტემურ ელექტრონული ფორმით მოწყობილ თამაშობათა გათვალისწინებით, რომელზეც შეღავათები არ ვრცელდება. ბიზნესის ამ სეგმენტიდან მიღებული შემოსავლები გადასახადების სახით ზრდადია. ამავედროულად სათამაშო ბიზნესისთვის სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლის შესახებ საქართველოს კანონის მე–7 მუხლის მე–10 პუნქტის თანახმად დაწესებულია ერთჯერადი სანებართვო მოსაკრებელი. აღნიშნულ განაკვეთებს ბოლო წლების მანძილზე არსებითი ცვლილება არ შეხებია. მისი ზრდა განპირობებულია სამორინეთა მზარდი რაოდენობით.

საქართველოში სათამაშო ბიზნესის განვითარებას დიდად ხელ უწყობს მეზობელი ქვეყნების პოლიტიკა. **თურქეთში** სათამაშო ბიზნესის ისტორია საკმაოდ საინტერესოა, 1997 წელს მიიღო გადაწყვეტილება რომ აეკრძალა სათამაშო ბიზნესი თურქეთის მოქალაქეებისთვის. აღსანიშნავია რომ ბევრი ბიზნესმენი გაკოტრდა ამ კანონმდებლობის გამო, მაგრამ თურქეთმა მოახერხა ამ რეფორმის განხორციელება. დღეისთვის თურქეთის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 20–მდე სამორინე ტურისტებისთვის, თურქეთის მოქალაქეებს სასტიკად აკრძალული აქვთ იქ შესვლა და თამაში. ამ რეფორმას რა თქმა უნდა თავისი დადებითი შედეგი მოჰყვა ქვეყნის მოსახლეობისთვის.

ანალოგიური სიტუაციაა **აზერბაიჯანში** 1998 წლიდან კანონით აკრძალულია სათამაშო ბიზნესი თავისი მოქალაქეებისთვის, რამდენიმე სამორინე არსებობს ბაქოსა და სუნგაითში რაც ფუნქციონირებს მხოლოდ და მხოლოდ ტურისტებისთვის.

რუსეთში სათამაშო ბიზნესი ლეგალიზებულია, ანუ კანონით არ არის აკრძალული, და ვითარდება ფინანსთა სამინისტროს მეთვალყურეობის ქვეშ. აღსანიშნავია რომ მხოლოდ 5 ქალაქისთვის აქვს მინფინ–ს მინიჭებული სრული თავისუფლება სამორინეების ყველა ტიპის გახსნაზე. ეს ადგილებია: ყირიმი, ალტაი, კრასნოდარი, კალინგრადი და პრიმორსკი, და ეს ზუსტად ის ქალაქებია სადაც ყველაზე მეტი რაოდენობის ტურისტი ჩამოდის რუსეთში. რაც შეეხება ტოტალიზატორებს და პოკერის, ლატარიების თამაშების ადგილმდებარეობის გახსნის უფლება რუსეთის ნებისმიერ ქალაქში შესაძლებელია.

სომხეთში თითქმის ისეთი მდგომარეობაა რაც საქართველოში, ფინანსთა სამინისტრო აკონტროლებს სათამაშო ბიზნესს, და ამ სეგმენტს სოლიდური თანხა შეაქვს ქვეყნის ბიუჯეტში. სამორინეები განლაგებულია სხვადასხვა ქალაქებში და მათი პოტენციური მომხმარებელია როგორც ადგილობრივი მოქალაქეები ასევე ტურისტები. კანონით აკრძალულია ერევანში ანუ ქვეყნის დედაქალაქში სამორინეს გახსნა.

საქართველოში, ისევე როგორც მრავალ ქვეყანაში, სადაც ლეგალურია აზარტული თამაშები, ხშირია საუბარი კაზინოების აკრძალვაზე. აკრძალვის მომხრეების არგუმენტებია - კაზინო ხალხს აღარიბებს, იწვევს თამაშისადმი დამოკიდებულებას, არ ქმნის რეალურ სიმდიდრეს. როდესაც საქმე ეხება რაიმეს აკრძალვას, საჭიროა გავაანალიზოთ არა მხოლოდ რას ვებრძვით, არამედ რას ვკარგავთ ახალი რეგულაციებით, და რა გრძელვადიან შედეგებს ვიღებთ. აზარტული თამაშები ზოგ ადამიანში მართლაც იწვევს დამოკიდებულებას. კაზინო ისეთივე ბიზნესია, როგორიც ყველა დანარჩენი. სათამაშო ბიზნესიდან მიღებული შემოსავლები 100 მილიონ ლარზე მეტია, რაც შემოსავლების თითქმის 1.5%-ს შეადგენს. კაზინოების შეზღუდვით საბიუჯეტო შემოსავლებს შესაძლოა მნიშვნელოვანი წილი მოაკლდეს. მნიშვნელოვანია სამუშაო ადგილების ფაქტორიც. 2017 წლის მაისის მდგომარეობით სათამაშო ბიზნესი 6480 ადამიანს ასაქმებს. რაც მთლიანი სამუშაო ძალის 2%-ია. აზარტული თამაშების აკრძალვა გაზრდის უმუშევრობას, რომელიც საქართველოში ისედაც მაღალია. კაზინოების აკრძალვას ექნება სხვა უარყოფითი ეფექტებიც: ვინაიდან ამა თუ იმ პროდუქტის ან სერვისის აკრძალვა მოთხოვნას არ აქრობს, ბიზნესი იატაკქვეშეთში გადაინაცვლებს. გაჩნდება ადგილები, სადაც აზარტული თამაშებით არალეგალური ფული გაკეთდება. ეს დამატებითი სტიმულია კრიმინალისთვის და დამატებითი დანახარჯები – სახელმწიფოსთვის, რადგან კრიმინალთან ბრძოლა ნებისმიერ ქვეყანას საკმაოდ ძვირი უჯდება.

აღსანიშნავია რომ, საქართველოს კანონმდებლობით, 2018 წლის 1 იანვრიდან ონლაინ კაზინოების მფლობელები ვალდებული არიან ელექტრონული ფორმით ორგანიზებულ თამაშებში მონაწილეობა მხოლოდ რეგისტრირებულ მოთამაშეს მოაღებინონ. საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტის მიხედვით, რეგისტრირებულად ჩაითვლება ის მოთამაშე, რომელსაც შემოსავლების სამსახური აღრიცხავს.

კაზინოებში თამაშის მსურველებს რეგისტრაციის გავლა შეეძლებათ, როგორც ელექტრონულად, ისე – შემოსავლების სამსახურში გამოცხადებით. შესაბამისად სათამაშოდ არ დაიშვებიან ის პირები რომლებსაც ჯერ კიდევ 21 წელი არ შესრულებიათ, ან დამოკიდებულების მქონე პირთა სტატუსით სარგებლობენ, დასჯადი იქნება.

ამრიგად, ჩვენს მიერ დამუშავებული და ზემოთაღწერილი მოსაზრებების საფუძველზე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ, რომ:

- საქართველოში სათამაშო ბიზნესი მაღალ დონეზეა განვითარებული. იგი ქვეყნის ეკონომიკის მნიშვნელოვანი კონტრიბუტორია. გადასახადების სახით ბიუჯეტში შესული თანხების მიხედვით ის მეორე ადგილზე დგას საბანკო სექტორის მერე. (2017 წელს საბანკო სექტორმა შეიტანა 79 მლნ ლარი, ხოლო სათამაშო ბიზნესმა – 66 მლნ ლარი)
- მაგრამ ამავედროულად აღსანიშნავია, რომ არსებობს საკმაოდ დიდი რისკი, ამ ბიზნესთან დაკავშირებით, როგორიცაა: არასრულწლოვანთა ჩართულობა, ადამიანთა გაკოტრება, ფულის გათეთრების საშიშროება. მეორე მხრივ ამ სფეროს აკრძალვით სოციალური

პრობლემა მოუგვარებელი დარჩება არსებული ინტერნეტ ვებ–გვერდების და ფარული თამაშების საშუალებით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ე. ბარათაშვილი, თ.თაკალანიძე, ნ. გრძელიშვილი , ბიზნესის კონკურენტუნარიანობა და ადმინისტრირება. თბ. 2010.
2. ე. ბარათაშვილი, ნ. ბაკაშვილი და სხვა, თანამედროვე ბიზნეს სტრატეგიები. თბ. 2011.
3. http://rs.ge/ – შემოსავლების სამსახური
4. http://www.geostat.ge/ – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

■■■■

საქართველოში პერსონალის დაქირავებისა და მასთან მუშაობის ტექნოლოგია საერთაშორისო სტანდარტებთან მიმართებაში

The technology of hire and working with personnel in Georgia in relation to international standards

ავტორი - **ბაქარი ქართველიშვილი,** *ხელმძღვანელი* - ასოც. პროფ. **თამარი დევიძე,** უ/ს ჯორჯია.

Author - **Bakari Kartvelishvili**, *Supervizor – Assoc. Prof.* **Tamar Devidze,** High School Georgia.

The only way to be developed is to take into consideration the experience of others and to develop ourselves too.

აბსტრაქტი

ნებისმიერ ორგანიზაციას მუდმივად აქვს მოთხოვნილება მაღალკვალიფიციურ პერსონალზე, ამიტომ პერსონალის სწორად შერჩევას ენიჭება უდიდესი მნიშვნელობა ორგანიზაციის წარმატებული საქმიანობისათვის, რადგან ნებისმიერ ქვეყანაში თუ საერთაშორისო პრაქტიკაში ორგანიზაციის საქმინობის მართვის ეფექტიანობა განპირობებულია მისი პერსონალის მუშაობის ეფექტიანობით. ამიტომ, ჩვენი აზრით, მიდგომა სწორად შერჩეული პერსონალი უმნიშვნელოვანესია და პირდაპირ დაკავშირებულია ნებისმიერი კომერციული თუ არაკომერცული ორგანიზაციის საქმიანობის სამომავლო პერსპექტივებთან ან საერთოდ მის სიცოცხლისუნა-

რიანობასთან. იქნება ეს საქართველო თუ ნებისმიერი ქვეყანა, მოცემული საქმიანობის მნიშვნელობა დიდ გავლენას ახდენს დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის სწორი საქმიანი კულტურის ჩამოყალიბების საკითხში.

საკვანძო სიტყვები: პერსონალი, პერსონალის მოზიდვა, შერჩევა, დაქირავება.

პერსონალის მოზიდვის გავლენის მნიშვნელობა იზრდება ყოველდღიურად და იხვეწება მასთან დაკავშირებული საქმიანობის მეთოდების გამოყენებაც, მარტივდება მისი სტრუქტურული ხასიათი და ამასთანავე, რთულდება სტრუქტურა და უფრო დეტალური ხდება მასთან მიდგომის მეთოდები. თავდაპირველად აუცილებელია ვიცოდეთ, რომ პერსონალის მოზიდვასთან დაკავშირებული საქმიანობა მოიცავს გარკვეულ საქმიანობას, რომელიც თავიდანვე იგეგმება და წესრიგში მოდის ორგანიზაციის მართვის საკითხების სტრატეგიასთან. კერძოდ, კი მოიცავს: 1.პერსონალის მოზიდვის სტრატეგიას; 2. მოზიდვის ვარიანტის შერჩევას(დრო, არხები, შრომის ბაზარი); 3.მეთოდების განსაზღვრას; 4.ახლის შეთავაზების პერსპექტივების დადგენას; 5. პრაქტიკულ საქმიანობას.

პერსონალის შერჩევა დაკავშირებულია ორგანიზაციის მოთხოვნებთან, რა კატეგორის პერსონალს ეძებს: ხარისხის, ცოდნის დონის, განათლების შესაბამისად და შემდეგ იგი მასთან მიდგომის წესს აყალიბებს. მაგალითად. იაპონიაში ყურადღება გამახვილებულია სწავლის ხარისხზე, ამერიკის შეერთებულ შტატებში(აშშ) კი ყურადღება გამახვილებულია პრაქტიკულ გამოცდილებაზე. კადრების შეკრების მეთოდი შეიძლება იყოს აქტიური და პასიური. 1.აქტიური მეთოდი გამოიყენება შრომის ბაზარზე მაშინ, როცა კვალიფიციურ კადრებზე მოთხოვნა მეტია მიწოდებაზე, 2.პასიური მეთოდი კი, როცა შრომის ბაზარზე ჭარბ მიწოდებასთან გვაქვს საქმე. კადრების მოძიების მეთოდები უკვე საკმაოდ გამარტივდა, რადგან სოციალურმა ქსელებმა და საერთოდ, ინტერნეტმა, ახალმა ტექნოლოგიებმა თითქმის შეცვალა ყოველდღიურობა და მეთოდების კოორდინაციის სტანდარტებიც. ხარჯებიც შეუმცირდათ ორგანიზაციებს, მაგრამ კვალიფიციური პერსონალის ნაკლები რაოდენობის გამო დასაქმების მაძიებელთა ხასიათზე დიდ გავლენას აპრობირებული მეთოდი ბეჭდვითი და ინტერნეტ მეთოდი(1.სპეციალური გამოცემები, რომლებიც მთლიანად ვაკანსიების რეკლამაზე მუშაობენ, 2.ჩეულებრივი გამოცემები კი თითქმის ყველგან ხვდება ადამიანს, რომელიც განკუთვნილია არასპეცალურ კადრებზე) ახდენს. სწორედ ამიტომ, ორგანიზაციას კადრების მოძიების ხარჯებიც ნაკლები უჯდება ახლი ტექნოლოგიების გავლენით.

პერსონალის შერჩევის მეთიდი წარმოადგენს მარავალ ეტაპობრივ განუწყვეტელ მუშაობას და მოითხოვს სპეციალურ უნარს, ხასიათს, ცოდნას და გამოცდილებას. ამ დარგის სპეციალისტი კარგად და ხშირ შემთხვევაში(როცა საქმე გვაქვს მაღალი კვალიფიკაციის მქონე კადრების მოძიებასთან) ძალიან კარგად უნდა ერკვეოდეს: ეკონომიკის, სამართლის, სოციოლოგიისა და ფსიქოლოგიის სფეროში. მოცემულ სფეროში კადრების შერჩევის სპეციალისტებზე აშშ–ში მაღალი თანამდებობის პირებზე ათასულობით დოლარი იხარჯება, ხოლო რიგით თანამშრომლებზე კი ათეულობით დოლარი. პერსონალის შერჩევის რაოდენობრივი მახასითებლის კოეფიციენტი შემდეგნაირად გამოანგარიშება:

$$K\,\text{შერ} = \frac{\text{შესარჩევ პირთა რაოდენობა}}{\text{პრედენდენტთა რაოდენობა}}$$

კადრების შერჩევა ხორციელდება რამდენიმე ეტაპად: 1.წინასწარ საუბარი, განცხადების ან ანკეტების შევსება; 2.დაქირავების დარგის მენეჯერთან გასაუბრება; 3.ტესტირება; 4.რეკომენდაციების და ნამსახურების ნუსხის შემოწმება; 5.სამედიცინო შემოწმება. პერსონალის შერჩევისას გასათვალისწინებელია ძირითადი პრინციპები: 1.კომპლექსურობა(კადრის ყოველმხრივი გამოკვლევა მის ბიოგრაფული მონაცების და კარიერული ინფორმაციის მიხედვით, მასზე კოლეგების შეხედულება და სხვ..); 2. ობიექტურობა(კანდიდატის თვისებათა შესწავლის შემდეგ მიმღების სუბიექტური შეხედულების მინიმუმამდე დაყვანა); 3.განუწყვეტელობა (მუდმივი მუშაობა მოზიდვა შერჩევაზე); 4.მეცნიერულობა(შერჩევის პროცესში უახლესი ტექნოლოგიების გამოყენება). აღსანიშნავია სპეციფიკური პრინციპები: ა)ორიენტაცია ძილიერ და სუსტ მხარეებზე; ბ)თავის შეკავება; გ)პრეტენდენტის ინდივიდულური თვისებების შესაბამისობა; გ)ორიენტაციის აღება ძლიერ კადრზე.

საერთაშორისო პრაქტიკაში კანდიდატების ვარგისიანობის თვისებებსაც განიხილავენ და კანდიტატებს ყოფენ სამ ჯგუფად: უვარგისი; პირობითად ვარგისი; შესაფერისად ვარგისი. კანდიდატის მოთხოვნების წაყენება აგრეთვე განისაზღვრება ე.წ. პროფესიოგრამით, ანუ კომპეტენტურობის რუკით, რომელიც თავის მხრივ ქმნის კანდიდატის სწორ პორტრეტს. სამუშაოზე მიღების 70% სწორედ ხორციელდაბა პირადი სიმპათიის საფუძველზე. ამიტომ, აუცილებელია გასაუბრების ჩატარება, რომელიც შეიძლება ჩატარდეს როგორც ერთი ერთზე ან პრეტენდენტთა ჯგუფთან, მაგრამ ერთი ერთზე საუბარი ფსიქოლოგიურად უფრო კონფორტულად ითვლება. გასუბრება თავიდან გაცნობითი ხასიათისაა, სადაც შეიძლება გამოვლინდეს კანდიდატის პიროვნული თვისებები. საკადრო გასაუბრების დროს კანდიდატებს წაეყენებათ შემდეგი მოთხოვნები: კითხვების ფორმულირება, სიტუაციის გაკონტროლება, პრეტენდენტთა კეთილგანწყობილად მოსმენა, მიღებული ცნობების საიდუმლოდ შენახვა, გასაუბრების დროს ეთიკის დაცვა როგორც საუბრის, ასევე ქცევის. გასუბრების გარემო ადგილი, სიტუაცია უნდა იყოს კონფორტული, გამსაუბრებელმა კარგად უნდა იცოდეს სამუშაოს პირობები და ხასიათი, უნდა მოხდეს დოკუმენტაციის გულმოდგინედ გაცნობა. გასუბრება შეიძლება ჩატარებულ იქნას სქემის მიხედვით ან სქემის გარეშე. სქემატურით ზოგჯერ მიიღება არასრული ინფორმაცია, არასქემატურის დროს კი აქცენტი ძირითად საკითხებზე გადადის და მოითხოვს სერიოზულ მომზადებას. ობიექტის თვალსაზრისით, გამოყოფენ საუბრის შემდეგ სახეებს: კანდიდატის ბიოგრაფიის მიხედვით; სიტუაციის მიხედვით; პროფესიული და პირადი თვისებების მიხედვით(რომელსაც გამოკითხვის დროს ეთმობა დროის 30% და კითხვები არის წინასწარ დადგენილი კრიტერიუმებით შედგენილი). კითხვების აღქმადომის მიხედვით აუცილებელია პრეტენდენტის მოქმედების ხარისხი განისაზღვროს, რომელიც შეეხება ისეთ კითხვებს რომელთა გამოკითხვა წინასწარ ნავარაუდებ პასუხს გულისხმობს. ასეთებია: შეზღულლი(როდის? როგორ?); მისახვედრი, ვიწრო სპეციალური(დაკავშირებილია პროფესიის დეტალებთან), ჰიპოტეზური(ქცევის ღირებულებათა გამოკვლევა); მაზონდირებელი(პრობლემის გადაწყვეტის საშუალებათა შესახებ). გასაუბრებისათვის აუცილებელია, პრეტენდენტს მივცეთ მოსამზადებელი დრო და დაუსვათ მისთვის საინტერესო კითხვები. პრეტენდენტს უნდა მიეცეს საშუალება დასვას კითხვები და გამოხატოს საკუთარი

აზრი. პერსონალის შერჩევა დოკუმენტთა მეთოდის საუძველზე ძირითადად ეყრდნომა ანკეტებს და პირადი ფურცლების მონაცემებს. ანკეტა უნდა შედგებოდეს არა უმეტეს 10–12 განყოფილებისაგან და კითხვების რაოდენობა -- 100. კითხვები უნდა იყოს კვალიფიკაციის დონის შესახებ, სპეციალური. ეკონომიკურ სამართობლივი ხასიათის. ანკეტა შეიძლება იყოს საერთო ან სპეციალური, აგრეთვე, ანკეტასთან ერთად საკადრო მუშაობაში ფართოდ გამოიყენება რეზიუმე. რეზიუმეს შესწავლა აადვილებს პრეტენდენტის შერჩევას, და პრეტენდენტებსაც ეძლევათ საშუალება დამქირავებელნი დააინტერესონ. რეზიუმე მოიცავს პიროვნულ მონაცემებს სამსახურის მიღების სურვილს მიზეზების მოკლე აღწერას(2–3 სტრიქონზე), წინა სამსახურიდან წამოსვლის მიზეზებს ყველა იმ უნარის ჩამონათვალს, რაც პრეტენდენტს გააჩნია და შეუძლია, მისი მოცულობა უნდა იყოს ერთი გვერდი, ხოლო დიდი მოცულობა პრეტენდენტის უცოდინარობაზე მიუთითებს.

I – გასაუბრებას ატარებს გამოცდილი კონსულტანტი, რომელმაც ზუსტად იცის, ვინ სჭირდება ორგანიზაციას.

II - ადმინისტრაციის წევრებთან გასაუბრება, ერთობლივად განიხილონ და გააკეთონ თავიანთი დასკვნები.

III - საუბარი მთავარ ადმინისტრატორთან, იგი გრძელდება 30 წუთი და უმეტესად საუბრობს პრეტენდენტი.

IV - ცნობების შეკრება კანდიდატზე, როდესაც უკვე თითქმის გადაწყდება მისი აყვანის საკითხი

V - კონსულტაცია ფსიქოლოგთან, კანდიდატისათვის მნიშვნელოვანია ფსიქოლოგიური ტესტირება, რომელიც მოიცავს: ფიზიკურ შესაძლებლობებს კონკრეტულ დასასაქმებელ ადგილზე მიმართებაში, ტესტებს გონებრივ შესაძლებლობებზე, იმიტაციურ ტესტებს, კომპლექსურ ტესტებს.

VI - შერჩევის ბოლო ეტაპია გასაუბრება ხაზობრივ ხემძღვანელთან, იგი ტარდება პერსონალის საკითხებში სპეციალისტთან, ფსიქოლოგის დახმარებით გასაუბრება ხდება საუკეთესო პრეტენდენტთა ჯგუფთან(2–3 კაცთან თითოეულ თანამდებობებზე).

მუშაკთა დაქირავების პროცესში ხდება შრომითი ხელშეკრულების გაფორმება და ყველა იმ მონაცემის აღნუსხცა(დასახელება, ადგილი, დაქვემდებარება, ხელფასის სიდიდე, მისი გაცემის წესი, შეღავათები, გამოსაცდელი პერიოდი). გამოსაცდელი პერიოდი არ უნდა არემატებოდეს 3 თვეს და ცალკეულ შემხვევაში 6 თვეს. გამოსაცდელ პერიოდში ახალ მიღებულზე ვრცელდება შრომითი კანონდებლობა. კანდიდატის გამოსაცდელი პერიოდის გავლა დაკავშრებულია მისი პიროვნული თვისებების გამოვლენაში სამუშაო გარემოში და შრომით კოლექტივთან ადაპტირებაში, რაც გულისხმობს ურთერთდაკავშირებულ ეკონომიკურ, სოციალურ, სამედიცონო, ფსიქოლოგიურ და პედაგოგიურ ღონისძიებათა სისტემას. კერძოდ, კი პროფესიულ კონსულტაციას(საპროფორიენტაციო სამუშაოს). კანდიდატის ადაპტირება ეს სწორედ, რომ გამოსაცდელი პერიოდის ძირითადი მნიშვნელობაა, რომელიც იყოფა პირველად და მეორად მიმართულებად. პირველადში იგულისხმება შეგუება ახალი თანამშრომლის, ხოლო მეორადში კი შრომით კოლექტივთან შეგუება. შრომითი ადაპტაციის სახეებია:

1.პროფესული ადაპტაცია(საქმესთან დადებითი დამოკიდებულების ფორმირება); 2.ფსიქოფიზიოლოგიური ადაპტაცია(ფიზიკური და ფსიქიკური დატვირთვა); 3.სოციალურ–ფსიქოლოგიური ადაპტაცია(მომუშავეთა ტრადიციების ნორმების ფასეულობების ერთობლიობა); 4.ორგანიზაციულ–ადამინისტრაციული ადაპტაცია(თანამდებობის ადგილის, საერთო თავისებურებების გაცნობა); 5.ეკონომიკური ადაპტაცია(ორგანიზაციის სტიმულირებისა და პრემიების შეგუება); 6.სანიტარულ-ჰიგიენური ადაპტაცია (კანდიდატი ითვისებს ტექნოლოგიურ და წარმოებრივ დისიპლინას შრომით განაწესს).

როდესაც პრეტენდენტი სრულად გაივლის გამოსაცდელ პერიოდს და დაკმაყოფილდება ორგანზაცია მისი ქმედებით და განუცხადებს ნდობას, მასთან ფორმდება შრომითი კონტრაქტი. კონტრაქტი ვადიანი შრომითი ხელსეკრულებაა, რომელიც იდება წერილობითი ფორმით, წარმოადგენს ვალდებულებას, რომელსაც იღებს ორივე მხარე მათი პირობების გათვალიწინებით, კონტრაქტი შედგება ძირითადი(კონტრაქტის სახე, ვადა, პირობები, ანაზღაურება) და დამატებითი(ორგანიზაციის სხვადასხვა ქმედებები) ნაწილისაგან, შრომითი ხელშეკრულების დადებით ადამიანი ექცევა შრომითი კანონდებლობის ქვეშ. არსებობს შრომითი ხელშეკრულების ორი ფორმა კონტრაქტი და საიჯარო ხელშეკრულება. რაც შეეხება კანდიდატების გათავისუფლებას ეს ხდება სამი სახით: 1.გათავისუფლება მომუშავის ინიციატივთ. ამ პროცესს სერიოზული პრობლემები არ ახლვს და არც ხშირ შემთხვევაში ადმინისტრაციაც არ ქმნის პრობლემებს. 2.გათავისუფლება დამქირავებლის ინიციატივით; ამ დროს ადმინისტრაციის ინიციატივით პერსონალის გათავისუფლება ხდება პერსონალის შემცირებით ან/თუ ის ვერ გაივლის გამოსაცდელ პერიოდს და ძირითადად იქმნება სამართობლივი პრობლემები შეუთანხმებლობის გამო, როცა ადმინისტრაციის აზრი არ ემთხვევა მომუშავის აზრს და ის მას უსამართლოდ მიიჩნევს. 3.პენსიაზე გასვლა.

რაც შეეხება საქართველოში პერსონალის დაქირავების და მასთან მუშაობის ტექნოლოგიას პერსონალის მართვის სისტემის განვითარების პრიორიტეტები განისაზღვრება ორგანიზაციული მოთხოვნებისა და სისტემის თანმიმდევრული განვითარების საჭიროებათა ანალიზის შედეგად. პრიორიტეტების განხილვა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება უნდა ხდებოდეს ორგანიზაციის დადგენილი წესის მიხედვით. მიღებული გადაწყვეტილების პრაქტიკაში გასატარებლად საჭირო მოქმედებები, ვადები და პასუხისმგებელი სამსახურები ან/და თანამდებობის პირები განისაზღვრება შესაბამის სამოქმედო გეგმებში. საქართველოში, როგორც პერსონალის მართვის სისტემის დანერგვის პროცესში წამოჭრილი საკითხები, რომელთა დასარეგულირებლად საჭირო იქნება ერთობლივი კოორდინირებული მოქმედება, შრომით კანონში ცვლილებები და კონტრაქტში გათვალისწინებული ვალდებულებების ზედმიწევნით შესრულება, განხილვა და გადაწყვეტა, უნდა ხდებოდეს ადამიანური რესურსების მართვის ტექნოლოგიის სრული დაცვით. პერსონალის მართვის სისტემის განვითარებისას, საერთაშორისო გამოცდილებისა და საუკეთესო პრაქტიკის მაქსიმალური გააზრების მიზნით, აქტიურად უნდა მიმდინარეობდეს პარტნიორი ქვეყნების ექსპერტებთან კონსულტაციები, რომელთა გამოცდილება საკმაოდ მაღალია და ხელს შეუწყობს პერსონალის მართვის სისტემის ცალკეული კომპონენტის შინაარსობრივ და ფუნქციონალური მხარის სათანადო დონეზე გააზრებისა და შესაბამისად მომზადების ხარისხს. სწორი კომუნიკაცია მოხდება სისტემაში დასაქმებულ ყველა მოხელესთან მაშინ, როცა მექანიზმებისა და პროცესების ჩამოყალიბებისას უზრუნველყოფილი იქნება ყველა შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის

დროული ჩართულობა, იმისათვის, რომ მხედველობაში იქნას მიღებული მნიშვნელოვანი ფაქტორები, მოსაზრებები და შენიშვნები.

ორგანიზაცია სახელმწიფო მართვის ინსტიტუტია, მისი აუცილებელი შემადგენელი კომპონენტი. ორგანიზაციის წარმატებული მუშაობა კი მასში დასაქმებული პროფესიონალთა ნიჭსა და უნარზეა დამოკიდებული. აქედან გამომდინარე, პერსონალის შერჩევის მაღალ დონეზე წარმართვის საკითხი თავად იძენს სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ადამიანური რესურსების მენეჯმენტი. ავტ. კოლ. ნ. პაიჭაძის რედაქტორობით. თბ., 2009.
2. ამყოლაძე გ., ბოკუჩავა დ., დევიძე თ. პერსონალის მენეჯმენტი. თბ., 2017.
3. ბარათაშვილი ე., თაკალანძე ლ. მენეჯმენტი და ადმინისტრირება. თბ., 2011.
4. ბარათაშვილი ე., თაკალანძე ლ. მენეჯმენტის საფუძვლები. თბ., 2010.
5. გურგენიძე ვ. პერსონალის მართვა თბ., 2011.
6. ოდეგოვი ი., აბდურახმანოვი კ., კოტოვა ლ. პერსონალთან მუშაობის ეფექტიანობის შეფასება. მოსკოვი., 2011.
7. amazon.com _nterMedia.ge www.nplg.gov.ge ttps://en.wikipedia.org

■■■■

HR - ბრენდინგი ბიზნესის წარმატების ძირითადი მნიშვნელოვანი ფაქტორი

HR maintaining is a major factor of success in business

ავტორი - **ლიანა აფაქიძე,** *ხელმძღვანელი* - **პროფ. ვალერი მოსიაშვილი,** საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი.

Author - **Liana apakidze,** *Supervizor –Prof.* **Valeri Mosiashvili,** Georgian National University.

HR branding is a deep process which is directly related with human resources and the quality of working with them. Employees implement the strategy of company and they are internal and external brand carriers.

HR branding is used in companies to select high qualified employees. It reduces number of inappropriate stream of resumes but number of high motivated candidates, who really wants to work in this company, rises. Candidates get full information about work to make a right choice and to choose employers who are appropriate for them.

HR branding reflects all processes and events which happens in the company, HR branding supports formation of an effective personnel management system and ignoring of this fact doesn`t get anything beneficial for company

Keywords: HR brand, employer, corporate culture, staff loyalty.

დღეს ორგანიზაციები იბრძვიან ძალიან იშვიათი საქონლის - კვალიფიციური მუშახელისთვის. სულ უფრო მეტი დამსაქმებელი თვლის, რომ აუცილებელია სისტემატური, მიზანმიმართული მუშაობა პერსონალთან და მის განვითარებაში სახსრების ინვესტირება. HR-ბრენდინგის ერთ-ერთი წამყვანი სპეციალისტი ბრეთ მინჩინგტონი წერს: „ნიჭიერი თანამშრომლების მოზიდვა და შენარჩუნება ბიზნესის წარმატების ძირითადი ფაქტორი ხდება". კვალიფიციური კადრების დეფიციტის პირობებში კომპანიის მნიშვნელოვანი კონკურენტული უპირატესობა ხდება ძლიერი HR-ბრენდის არსებობა.

რა არის HR-ბრენდი? ეს კონცეფცია, ისევე როგორც მრავალი სხვა პროგრესული პროცესი, დასავლეთიდან გავრცელდა. ყველაზე ცნობილი განმარტებით HR-ბრენდინგი არის კომპანიის როგორც მიმზიდველი დამსაქმებლის იმიჯის ფორმირება, და ასევე ეკონომიკური, პროფესიული და ფსიქოლოგიური სარგებელის ნაკრები, რასაც იღებს თანამშრომელი იწყებს რა კომპანიაში მუშაობას. ანუ, ეს არის ის, თუ როგორ გამოიყურება კომპანია თანამშრომლების, სამუშაოს მაძიებლების და კონკურენტების თვალში, როგორ ხვდებიან ახალბედებს, როგორ აფასებენ და პატივს სცემენ იმათ, ვინც უკვე მუშაობს, როგორია მათი მოტივაცია და მხარდაჭერა, როგორ ემშვიდობებიან თანამშრომლებს სამუშაოდან წასვლისას.[14]

ამერიკელი მკვლევარი დევიდ ლი წერს: „სანამ შრომის ბაზარს თავს შესანიშნავ დამქირავებლად წარუდგენდეთ, გაიღეთ საკმაო ძალისხმევა იმისათვის, რომ ეს სინამდვილე იყოს". [15]

HR-ბრენდის შექმნა მიზნად ისახავს ნიჭიერი სპეციალისტების მოზიდვასა და შენარჩუნებას. ამისათვის, ხაზგასმული უნდა იყოს კომპანიის უპირატესობა და განმასხვავებელი, გამორჩეული მახასიათებლები, მისი კორპორატიული კულტურა.[16]

HR-ბრენდზე სისტემური მუშაობა მოიცავს არა დამსაქმებლის იმიჯის გაუმჯობესების მიზნით განხორციელებული აქტიურობებისა და პროექტების უბრალო ნაკრებს, არამედ HR-ბრენდის აგების ხუთ საფეხურს, კერძოდ:

- ✓ HR სტრატეგიის შესაბამისი მიზნების განსაზღვრა. მიზნობრივი აუდიტორიის გამოყოფა. სამუშაო ჯგუფის ფორმირება, ბიუჯეტის და რესურსების განსაზღვრა.
- ✓ მიზნობრივი აუდიტორიის მიერ კომპანიის HR-ბრენდის აღქმა ან HR-ბრენდის აუდიტი. შიდა და გარე კვლევები.
- ✓ კონცეფციის შემუშავება. HR-ბრენდის ფორმულირება. კრეატიული კონცეფციის შექმნა. სხვადასხვა აუდიტორიისათვის HR-ბრენდის ტესტირება.

---

[14] Николаева Л. Строим HR-бренд – http://planetahr.ru/rubric/ (27.11.2012)
[15] http://www.ere.net/2007/10/02/before-you-waste-your-time-and-money-on-so-called-employer-branding (28.12.2012).
[16] Крокин А.В. Формирование HR-бренда – http://planetahr.ru/rubric/

- ✓ წინ წაწევის სტრატეგიის განსაზღვრა. ძირითადი არხების ამორჩევა. საკომუნიკაციო კამპანია და სპეციალური ღონისძიებები ორგანიზაციის შიგნით და შრომის ბაზარზე.
- ✓ ეფექტურობის შეფასება.

საკუთარი HR-ბრენდის შექმნაში პირველი ნაბიჯია მიზნობრივი აუდიტორიის იდენტიფიცირება, რომელზედაც ორიენტირებულია დამსაქმებლის ბრენდი:პოტენციური კანდიდატები;თანამშრომლები; თანამდებობიდან გათავისუფლებული თანამშრომლები.

თითოეული ამ ძირითადი აუდიტორიის შიგნით უნდა გამოიყოს ქვეჯგუფები (მაგალითად, კანდიდატებს შორის: სტუდენტები და ახალგაზრდა სპეციალისტები, კონკურენტი კომპანიების თანამშრომლები, ტოპ-მენეჯერები და ა.შ.) და ისინი განაწილდეს პრიორიტეტულობის ხარისხის მიხედვით.

მეორე ნაბიჯია ყოველი მიზნობრივი აუდიტორიის კოლექტიური სახის, იმიჯის შექმნა: ასაკის, სქესის, ინტერესთა სფეროს, ძირითადი საჭიროებების, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. პორტრეტის შედგენისას საჭიროა ფოკუსირება წარმატებულ ადამიანებზე, რომლებიც უკვე მუშაობენ აღნიშნულ კომპანიაში.

მესამე, მნიშვნელოვანია, გამოკვლეულ იქნას, თუ როგორ აღიქმება კომპანიის ბრენდი პრიორიტეტული სამიზნე ჯგუფების მიერ. კვლევის შედეგებზე დაყრდნობით უნდა განისაზღვროს პრობლემური ზონები, წარმატების ზონები.

მეოთხე ნაბიჯია ბრენდის თითოეული სამიზნე აუდიტორიისთვის ფასეული წინადადების ფორმულირება. საჭიროა, გამოიყოს კომპანიაში მუშაობის სწორედ ის უპირატესობები, რომლითაც შეიძლება დაინტერესდეს კონკრეტული მიზნობრივი აუდიტორია, დახასიათდეს ისინი მკაფიოდ და გასაგებად.

მეხუთე, კვლევის შედეგებსა და მიზნობრივი აუდიტორიის მოთხოვნილებებზე დაყრდნობით უნდა განისაზღვროს ბრენდის საკომუნიკაციო სტრატეგია და შემუშავდეს პრიორიტეტულ მიზნობრივ ჯგუფებთან მუშაობის ღონისძიებათა კონკრეტული გეგმა-გრაფიკი.

და ბოლოს, უნდა ჩაატარდეს კვლევა, რომელიც აჩვენებს, თუ როგორ შეიცვალა პრიორიტეტული მიზნობრივი ჯგუფების მიერ კომპანიის ბრენდის, როგორც დამსაქმებლის აღქმა.

ეს არის HR-ბრენდზე მუშაობის ძირითადი ეტაპები. რა თქმა უნდა, HR-ბრენდის ფორმირება მეტად რთული და ყოველდღიური საქმიანობაა. მაგრამ HR-ბრენდინგის ეფექტურობა უკვე დადასტურებულია მსოფლიოში.

ასოციაციის Greatplacetowork მონაცემებით, რომელიც ადგენს ჟურნალ «Fortune»-სთვის 100 საუკეთესო დამსაქმებლის რეიტინგს, ძლიერი HR-ბრენდის მქონე კომპანიებს აქვთ 7 მნიშვნელოვანი კონკურენტული უპირატესობა, კერძოდ:

1. შრომის უფრო მაღალი პროდუქტიულობა და რენტაბელობა.

2. მდგრადობა ეკონომიკური კრიზისების დროს.

3. უფრო მეტი კვალიფიციური კანდიდატის არსებობა.

4. პერსონალის დენადობის შემცირება.

5. თანამშრომლებზე სტრესის ნეგატიური გავლენის შემცირება.

6. კლიენტების კმაყოფილებისა და ლოიალობის დონის ამაღლება.

7. თანამშრომლების მხრიდან უფრო მეტი ინიციატივა, შემოქმედება და ინოვაციები.

მიუხედავად ცნების HR - ბრენდინგის გამჭვირვალობისა და მისი ფორმირების სიმარტივისა, ბევრი დამსაქმებელი ცდება მისი არსისა და მნიშვნელობის თაობაზე.

ცნობილი მკვლევარის ბრეტ მინჩინგტონის წიგნში «HR-ბრენდი: როგორ გავხდეთ ლიდერი. ვაგებთ ოცნებების კომპანიას" ჩამოთვლილია ბრენდინგის შესახებ დამსაქმებელის ყველაზე მეტად გავრცელებული მცდარი შეხედულებები და მოცემულია რჩევები მენეჯერებისადმი, თუ როგორ აიცილონ თავიდან დანახარჯები, კერძოდ:

•კომპანია არ ატარებს კვლევას უშუალოდ თანამშრომლებისა და დაინტერესებული მხარეების უშუალო მონაწილეობით და მიაჩნია, რომ ბრენდის ფასეულობის შესაქმნელად საკმარისია განაახლოს თავისი ლოგო, სიმბოლო, ინტერნეტ-საიტი და რეკლამა პრესაში. ძალიან ბევრი კომპანია ცდილობს დამსაქმებლის ბრენდინგის განვითარებას და აქვთ მხოლოდ ნახევარი იმ ინფორმაციისა, რაც საჭიროა სტრატეგიის შემუშავებისათვის.
•ადრე დამსაქმებლის ბრენდინგის შესახებ პროექტების დიდ ნაწილს აკეთებდნენ სააგენტოები, როლებიც რეკრუტირების რეკლამებზე იყვნენ სპეციალიზებული, მაგრამ ახლა ვითარება სწრაფად იცვლება. ხელმძღვანელები მოითხოვენ დამსაქმებელის ძლიერი ბრენდის შემუშავებისადმი სტრატეგიულად დასაბუთებული მიდგომის შემუშავებას. დღეს ბაზარზე ისეთი სიტუაციაა, რომ HR-ბრენდინგის სტრატეგიების განვითარებისათვის კომპანიები სულ უფრო ხშირად იზიდავენ სტრატეგიის საკითხებზე მომუშავე სპეციალისტებს.
•დამსაქმებლის ბრენდის გრძელვადიან პერსპექტივაში განხილვის შეუძლებლობა. ისეთი HR-ბრენდის აგება, რომელიც მეწარმეს კონკურენტული უპირატესობის მიღწევისა და აქციონერებისთვის ღირებულების შექმნის საშუალებას მისცემდა, დრო სჭირდება და ამ მხრივ ის არ განსხვავდება წამყვანი სამომხმარებლო ბრენდის აგებისაგან. თუ არის სურვილი, რომ დამსაქმებელის ბრენდინგმა ნაყოფი გამოიღოს და გავლენა მოახდინოს მიზნობრივ ჯგუფებზე, საჭიროა HR-ბრენდინგის სტრატეგიის შექმნაზე გამოიყოს მნიშვნელოვანი რესურსები.
•ნიჭიერი კადრების შერჩევის, მოზიდვის, მათი პროფესიული განვითარების, რეკრუტირების რეკლამისა და კორპორაციული რეპუტაციის ეფექტიანი მართვის უუნარობა. მრავალი ხელმძღვანელი ხარჯავს ძალიან ბევრ დროსა და ძალისხმევას, იმისათვის, რომ მოძებნონ კომპრომისი პარტნიორების მიზნებსა და პრიორიტეტებს შორის, გაუმკლავდნენ როგორც შიდა, ასევე გარე კორპორატიულ კონფლიქტებს, რაც ამცირებს სამუშაოების ეფექტიანობას და ხელს უწყობს მის ბიუროკრატიზაციას. პარტნიორ კომპანიებსა და მენეჯერებს უნდა ესმოდეთ, თუ მათი მუშაობა როგორ შეესაბამება კომპანიის მისიის შესრულებას და როგორ ქმნის კომპანიის HR-ბრენდინგის პროგრამებისათვის დამატებით ფასეულობას.
•HR-ბრენდინგის სტრატეგიის ფორმირებით უშუალოდ HR-განყოფილებაა დაკავებული. მაგრამ უმჯობესი იქნება, თუ პასუხისმგებლობა დაყოფილ იქნება მინიმუმ სამ - HR, მარკეტინგისა და კომუნიკაციის დეპარტამენტებს შორის.

•არათანმიმდევრულობა კომპანიის საერთო სტრატეგიასთან შესაბამისობის დაცვისას. თუ HR-ბრენდინგი არ იქნება ჩართული სტრატეგიულ პერსპექტივაში, მაშინ, კომპანია სავარაუდოდ, მიიღებს კორპორაციული კომუნიკაციების კარგ კომპლექტს, რომელიც არანაირ გავლენას არ მოახდენს კომპანიის კულტურაზე.

კომპანიები HR-ბრენდინგით ახორციელებენ უფრო მაღალი ხარისხის კადრების შერჩევას, აქ მცირდება შეუსაბამო რეზიუმეების ნაკადი, ხოლო იმ ადამიანების ნაკადი, რომლებიც ნამდვილად მოტივირებული არიან სწორედ ამ კომპანიაში მუშაობაზე - იზრდება. კანდიდატები, თავის მხრივ, იღებენ მაქსიმალურ ინფორმაციას სწორი გადაწყვეტილების მისაღებად და იმ დამსაქმებლების ამორჩევისთვის, რომელიც მათ შეესაბამება.

როგორ უნდა დაიწყოს კომპანიამ, როგორც დამსაქმებელმა მიმზიდველი იმიჯის შექმნა?

- პირველი ნაბიჯი - იმის გაგება, თუ როგორი დამსაქმებელია კომპანია, რა ფასეულობები უნდა რომ გადასცეს მან საკუთარ გუნდს და გარემომცველ გარემოს. ამ უკანასკნელში შედის სამუშაოს მაძიებელი კანდიდატები, კლიენტები, პარტნიორები და კონკურენტები. ეს პროცესი, ფაქტობრივად, ბიზნესის მფლობელის გადაწყვეტილებიდან იწყება, როდესაც ხდება პერსონალის სტრუქტურის ფორმირება. HR-ბრენდის შესაქმნელად იდეები მოდის კომპანიის რეალური საჭიროებებიდან, სურვილიდან, რომ შრომის ბაზრიდან მიიღოს საუკეთესო კანდიდატი, რომელიც აკმაყოფილებს კომპანიის მოთხოვნებს.

რა პრაქტიკული ნაბიჯები უნდა გადაიდგას HR-ბრენდის ფორმირებისათვის?

- პირველ ეტაპზე უნდა ჩატარდეს დამოუკიდებელი კვლევა კომპანიის იმიჯის შესახებ თანამშრომლებსა და კანდიდატებს შორის, გაანალიზდეს კომპანიის შესახებ მასმედიაში გამოქვეყნებული პუბლიკაციები, რა, სად და რა სახითაა ისინი დაწერილი.

კომპანიის სასურველი პორტრეტის შექმნის ყველაზე რეპრეზენტატიული წესი არის კანდიდატების გამოკითხვა. კომპანია განსაზღვრავს იმ კანდიდატისა და თანამშრომლის პორტრეტს, რომლის ხილვაც სურს საკუთარ გუნდში და, შესაბამისად, ირჩევს მიზნობრივ აუდიტორიას, რომლის მოზიდვასაც აპირებს განმცხადებელი. განსაკუთრებით ინტერესდება იმ კანდიდატების შეხედულებით, რომლებიც, სავარაუდოდ, შეესაბამება კომპანიის მოლოდინს და ვისთან თანამშრომლობაც სურს კომპანიას. მნიშვნელოვანი ნაბიჯია საკუთარ კომპანიაზე თანამშრომლების შეხედულებების შესწავლა და ანალიზი. ინტერვიუების, კითხვარებისა და სხვა გზებით უნდა გაირკვეს, თუ როგორი იყო მათი მოლოდინები და როგორ გამართლდა ისინი. ასეთი ანალიზის შედეგად კომპანია გამოავლენს საკუთარ „შიგა" და „გარე" იმიჯს და გაარკვევს, არსებობს თუ არა მათ შორის განსხვავებები.

ამგვარად, HR-ბრენდინგს მნიშვნელოვანი უპირატესობები აქვს, კერძოდ:

✓პერსონალის შერჩევაზე დახარჯული სახსრების არსებითი ეკონომია. იზოგება შესაფერისი კანდიდატის შერჩევაზე დახარჯული დრო, რადგან კანდიდატები უფრო აქტიურად რეაგირებენ იმ დამსაქმებლის ვაკანსიებზე, რომლებსაც უკვე მოხვეჭილი აქვთ „სახელი".

✓საკადრო რეზერვის პასიური ფორმირება. ვაკანსიის შესავსებად კანდიდატების მოძიება არც სჭირდება კომპანიას, ვინაიდან HR-ბრენდს რეზიუმეს უგზავნიან მიუხედავად იმისა, მას გამოცხადებული აქვს თუ არა განცხადება ვაკანსიის შესახებ (ვითარება, როდესაც ნებისმიერი

თანამშრომლის თანამდებობაზე არის ასობით განმცხადებელი, მიუხედავად იმისა, ის აპირებს თუ არა სამსახურიდან წასვლას).

✓თანამშრომლების ლოიალობის უზრუნველყოფა და მათი დენადობის შემცირება.

კომპანიის, როგორც მიმზიდველი დამსაქმებლის იმიჯის ფორმირება არის ყოვლისმომცველი გრძელვადიანი სამუშაო, რომელიც მოითხოვს მნიშვნელოვან ინვესტიციებს და ეს არის „ხანგრძლივი" ინვესტიციები, რომელიც ერთ დღეში ვერ მოიტანს უკუგებას, იმიტომ, რომ HR-ბრენდი არ არის პროდუქტი, რომელიც შეიძლება დაუყოვნებლივ იყიდოს ვინმემ. მისი დანერგვით კომპანია იღებს თვისებრივად გაუმჯობესებულ თანამშრომელთა კოლექტივს, დენადობის შემცირებულ მაჩვენებელს და თანამშრომელთა ლოიალობას. მეორე, იღებს შრომის ბაზარზე არსებულ საუკეთესო კანდიდატებს.

HR-ბრენდის მეშვეობით იზრდება ადამიანური რესურსების ღირებულება და ამით მაღლდება კომპანიის კაპიტალიზაცია.

ასე რომ დღეს კომპანიებს მოუწევთ იმ ფაქტორებზე დაუღალავი მუშაობა, რომლებიც გავლენას ახდენენ იმაზე, თუ როგორი იქნება კომპანიის HR-ბრენდი, კერძოდ: არსებული კორპორაციული კულტურა, მოტივაციისა და კარიერული ზრდის სისტემა, სოციალური პაკეტით შემოთავაზებული თავისებურებები, სწავლებისა და პროფესიული განვითარების სისტემა,საკომპენსაციო თანხების ოდენობა, სხვადასხვა პრიზები და პრემიები, სტაბილურობა, რასაც ყველა თანამშრომელი თავისებურად აღიქვამს და ხედავს.

ზოგიერთისთვის - ეს არის გარკვეული შიდა წესების არსებობა, სხვებისთვის - არსებითად ცხადი სამუშაო მოვალეობები, მესამესთვის - დროულად გაცემული ხელფასები.

HR-ბრენდის ფორმირება რთულ და ყოველდღიურ მუშაობას მოითხოვს. ნებისმიერი ორგანიზაციის თითქმის ყველა პროცესი და მოვლენა აისახება HR-ბრენდინგში, ამიტომ, ამ ფაქტის უგულებელყოფა არც ერთ ორგანიზაციას არ უქადის კარგს. HR-ბრენდი ხელს უწყობს პერსონალის მართვის ეფექტური სისტემის ჩამოყალიბებას და ისეთი შედეგების მიღებას, რომლებიც აღემატება მათ მოლოდინს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Николаева Л. Строим HR-бренд – http://planetahr.ru/rubric/
2. Бруковская О., Осовицкая Н. HR-Бренд. 5 шагов к успеху вашей компании. СПб.: Питер, 2011.
3. http://www.ere.net/2007/10/02/before-you-waste-your-time-and-money-on-so-called-employer უკანასკნელად გადამოწმებული იქნა 20.11.2018.
4. Крокин А.В. Формирование HR-бренда – http://planetahr.ru/rubric/ უკანასკნელად გადამოწმებული იქნა 15.11.2018.
5. Осовицкая Н. Что такое HR-бренд, и с чем его едят – http://planetahr.ru/rubric/264/24
6. Шеметова Н.К. Формирование HR-бренда компании как метод решения проблемы удержания персонала – http://planetahr.ru/rubric/
7. Бруковская О., Осовицкая Н. HR-Бренд. 5 шагов к успеху вашей компании. – СПб.: Питер, 2011.

■■■■

თანამედროვე მარკეტინგის პრობლემები

The Newest Problems Of Modern Marketing Systems

ავტორი **- მათე ივანიაძე,** *ხელმძღვანელი* - **პროფ. ვალერი მოსიაშვილი,** საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი.

Author **- Mate Ivaniadze,** *Supervizor –Prof.* **Valeri Mosiashvili,** Georgian National University.

Any company must use modern approaches, platforms, and software solutions to make the market competitive and maintain a continuous development. The existence of the Internet has enabled us to share the experiences of the best market participants in our field and to practice them in practice.

We are in a new era of marketing, where we should not be allowed to rely on old teachings and demand a big advertising budget to start a business. Today we can voice with the help of our target audience of modern advertising platforms.

Distinguish between Inbound and Outbound Marketing, which must be understood prior to commencement of activity. In case of outbound or outbound marketing, the user will see you through various paid ads. This type of approach can be regarded as a television, radio advertising, cold call, direct email and other means by which "we live in human life" and try to make them interested and transform into clients. This is calculated for a large number of listeners. Conversion, orientation as a client, is usually very low. At the same time there are some difficulties:

• Require large expenses.

• Communication is one-sided.

• It is difficult to specify the conversion rate according to sources, and accordingly accurately determine the effectiveness.

• 84% of site users leave the page due to disturbing, unreliable ads.

• 86% of TV advertisements on other channels.

• 44% of direct emails remain uninterrupted.

• Outbound marketing market is the most noisy of the audience's attention.

Inbound, ie incoming marketing works to get the target audience attention, and not to buy it. It creates a high quality content that captures their attention and brings you closer to your products. In this way, the communication obtained by the user's permission increases the likelihood of conversion to 750% by unauthorized interaction.

The main difference is that we will benefit from this and we try to gain trust in the long-term perspective of cooperation.

The decision is for you to use the cost-based approach, only if you try to create a brand that will provide you with a long-term prospect of free returns and will try to increase your sales through confidence.

Together with the above listed, we face a lot of new problems everyday in modern marketing:

- ✓Notability: No brand existence; Mentality - Not knowing when a person is buying a certain trade object in the first possible option is to agree with other proposals.
- ✓Avoid pricing policy - Study of product assortment and identification of advanced products that can be emphasized and optimal price selection.
- ✓Own Company Assessment - Unfortunately Unfortunately Today the problem of most companies is that it is wrong to assess your abilities. This problem is known as "Business blindness" in business areas.
- ✓Loyalty program - discounts, systematic, discount cards, always stimulates you to acquire yourself and not just elsewhere.
- ✓No Segmentation - The Company should clearly identify its targeted audience and should offer products based on this audience request.
- ✓Lack of assortment - There are moments when an assortment is insufficient or invalid formation.
- ✓No motivated staff - services, smiley faces, people who are ready to help you and your need will quickly be lifted.
- ✓Competition - Increasing competition, due to the emergence of new big players on the market, smaller stores have to put up positions.
- ✓Short term solutions - Long-term planning of company's development plan policy and marketing goals and goals are to be achieved.

The existence of problems makes us think about solving them. The most powerful weapon that helps SWOT analyze this time. The system itself demonstrates our "crimes" and strengths that help us. The following steps are: rebranding, organization of PR calendars and drawing up the Annual & Quarterly Marketing Plan. These three factors ultimately give us the opportunity to study and analyze competitive environment, which in itself requires the introduction of corporate standards in the company.

Modern marketing requires continuous thinking and analysis. In the course of technological development, it is impossible to carry out successful activities without daily and intensive labor, development and detailed analysis.

KEYWORDS: Marketing, Competition, Rebranding, Branding, Segmentation, SWOT Analysis.

ნებისმიერი კომპანია, ბაზარზე კონკურენტუნარიანობის შესანარჩუნებლად და განვითარების უწყვეტ მდგომარეობაში გადასასველად აუცილებლად უნდა იყენებდეს თანამედროვე მიდგომებს, პლატფორმებს და პროგრამულ გადაწყვეტილებებს. ინტერნეტის არსებობამ მოგვცა საშუალება გავიზიაროთ ჩვენ სფეროში ბაზრის საუკეთესო მონაწილეების გამოცდილებები და გავატაროთ ისინი პრაქტიკაში.

ჩვენ ვიმყოფებით მარკეტინგის ახალ ერაში, სადაც წარმატების მისაღწევად თავს არ უნდა მივცეთ უფლება დავეყრდნოთ ძველ სწავლებებს და მოვითხოვოთ დიდი სარეკლამო ბიუჯეტი ბიზნესის დასაწყებად. დღეს ჩვენ შეგვიძლია ხმა მივაწვდინოთ ჩვენს სამიზნე აუდიტორის თანამედროვე სარეკლამო პლატფორმების დახმარებით.

განასხვავებენ Inbound და Outbound მარკეტინგს, რომლის მნიშვნელობაშიც აუცილებლად უნდა ვერკვეოდეთ საქმიანობის დაწყებამდე. გამავალი ანუ Outbound მარკეტინგის შემთხვევაში მომხმარებელი გნახულობთ სხვადასხვა ფასიანი რეკლამის საშუალებით. ამ ტიპის მიდგომად შეიძლება ჩაითვალოს სატელევიზიო, რადიო რეკლამა, ცივი ზარი, პირდაპირი ელ.შეტყობინება და სხვა საშუალებები, რომლითაც „ვიჭრებით ადამიანის ცხოვრებაში“ და ვცდილობთ მათ დაინტერესებას და კლიენტად გარდაქმნას. ეს გათვლილია მსმენელთა დიდ რაოდენობაზე. კონვერსიის, ანუ კლიენტად გარდაქმნის მაჩვენებელი როგორც წესი ძალიან დაბალი აქვს. ამასთანავე გარკვეული სირთულეები ახლავს:

•მოითხოვს დიდ დანახარჯებს.

•კომუნიკაცია არის ცალმხრივი.

•რთულდება კონვერსიის მაჩვენებლის დაზუსტება წყაროების მიხედვით, შესაბამისად კი ეფექტურობის ზუსტად განსაზღვრა.

•საიტის მომხმარებელთა 84% ტოვებს გვერდს შემაწუხებელი, არარელევანტური რეკლამების გამო.

•86% სატელევიზიო რეკლამებისას რთავს სხვა არხზე.

•პირდაპირი ელ.შეტყობინებების 44% რჩება სამუდამოდ გაუხსნელი.

•Outbound მარკეტინგის ბაზარზე ყველაზე ხმაურიანები იპყრობენ აუდიტორიის ყურადღებას.

Inbound ანუ შემომავალი მარკეტინგი მუშაობს სამიზნე აუდიტორიის ყურადღების მოპოვებაზე, და არა მის ყიდვაზე. ის ქმნის ხარისხიან კონტენტს, რომლითაც იპყრობს მათ ყურადღებას და მეტად აახლოვებს თქვენს პროდუქციას. ასეთი სახით, ანუ მომხმარებლის ნებართვით მიღწეული კომუნიკაცია, ზრდის კონვერსიის ალბათობას 750%-ით, უნებართვო ჩარევასთან შედარებით.

მთავარი განსხვავება არის ის, რომ ჩვენ გავცემთ სარგებელს და თანამშრომლობის გრძელვადიან პერსპექტივაზე დაყრდობით ვცდილობთ ნდობის მოპოვებას.

გადაწყვეტილება თქვენზეა, გამოიყენებთ ძვირადღირებულ, მხოლოდ დღეს შემოსავლის მიღებაზე დაფუძნებულ მიდგომას, თუ შეეცდებით შექმნათ ბრენდი, რომელიც გრძელვადიან პერსპექტივზე დაყრდნობით მიაწვდის თქვენს მომხმარებლებს უფასო სარგებელს და ნდობის მოპოვების გზით შეეცდება გაყიდვების გაზრდას.

ზემოთ ჩამოთვლილთან ერთად თანამედროვე მარკეტინგში ყოველდღიურად უამრავ ახალ პრობლემასაც ვაწყდებით:

✓ცნობადობა: ბრენდის არ არსებობა; უნდობლობა - ცნობადობა როდესაც დაბალია ადამიანი ყიდვის განხორციელებისას კონკრეტულ სავაჭრო ობიექტს არ განიხილავს პირველ შესაძლო ვარიანტად, სხვა შემოთავაზებას თანხმდება.

✓ფასთა პოლიტიკის არ არსებობა - საჭიროა პროდუქციის ასორტიმენტის შესწავლა და იმ მოწინავე პროდუქციების გამოვლენა რომელზეც შეიძლება აქცენტის გაკეთება და ოპტიმალური ფასის შერჩევა.

✓საკუთარი კომპანიის შეფასება - დღეს სამწუხაროდ წარუმატებლები კომპანიების უმეტესობის პრობლემა იყო ის რომ საკუთარ შესაძლებლობებს არასწორად აფასებდენ. ეს პრობლემა ცნობილია როგორც "ბიზნეს სიბრმავე" ბიზნეს სფეროებში.

✓ლოიალურობის პროგრამა - ფასდაკლებები, სისტემატიური, ფასდაკლების ბარათები, ყოველთვის იძლევა იმის სტიმულირებას რომ მხოლოდ შენთან შეიძინოს და არა სხვაგან.

✓არანაირი სეგმენტაცია - კომპანიას მკაფიოდ უნდა ქონდეს განსაზღვრული მისი მიზნობრივი აუდიტორია და ამ აუდიტორიის მოთხოვნაზე დაყრდნობით უნდა შევთავაზოთ პროდუქცია.

✓ასორტიმენტის ნაკლებობა - არის მომენტები როდესაც ასორტიმენტი არასაკმარისია ან არასწორი ფორმიტაა მოწოდებული.

✓არა მოტივირებული მომსახურე პერსონალი - მომსახურება, ღიმილიანი სახეები, ადამიანები რომლებიც მზად არიან დაგეხმარონ და შენი საჭიროება სწრაფად აღმოგიფხვრან.

✓კონკურენცია - კონკურენციის ზრდის გამო, ბაზარზე ახალი დიდი მოთამაშეების გაჩენის გამო შედარებით პატარა მაღაზიებს უწევთ დათმონ პოზიციები.

✓მოკლევადიანი გადაწყვეტილებები - არ ხდება გრძელვადიანი დაგეგმვა კომპანიის განვითარების გეგმისა პოლიტიკის ასევე მარკეტინგული აქტივობების და მიზნების დასახვა რომლებსაც უნდა მიაღწიოს კომპანიამ.

პრობლემების არსებობა გვაიძულებს ვიფიქროთ მათ გადაჭრის გზებზე. ყველაზე ძლიერი იარაღი, რაც ამ დროს გვეხმარება SWOT ანალიზია. სისტემა თავისთავად გვიჩვენებს ჩვენს „დანაშაულებს“ და ძლიერ მხარეებს, რაც ძალიან გვეხმარება. შემდეგი ნაბიჯებია: რებრენდინგი, PR კალენდარის ორგანიზება და წლიური&კვარტალური მარკეტინგული გეგმის შედგენა. ეს სამი ფაქტორი საბოლოო ჯამში გვაძლევს კონკურენტუნარიანი გარემოს შესწავლისა და ანალიზის შესაძლებლობას, რაც თავისთავად მოითხოვს კორპორატიული სტანდარტების დანერგვას კომპანიაში.

თანამედროვე მარკეტინგი მუდმივად განვითარებაზე ფიქრსა და ანალიზს მოითხოვს. დღეს-დღეისობით ტექნოლოგიური განვითარების კვალდაკვალ შეუძლებელია წარმატებული საქმიანობის განხორციელება ყოველდღიური და ინტენსიური შრომის, განვითარებისა და დეტალური ანალიზის გარეშე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ფილიპ კოტლერი - მარკეტინგის საფუძვლები, 2010.
2. ფილიპ კოტლერი - მარკეტინგის მენეჯმენტი, 2010.
3. www.spec.ge
4. http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library
5. www.bpn.ge

■■■■

ტურიზმის ინდუსტრია - მოსახლეობის დასაქმებისა და შემოსავლების ზრდის ხელშემწყობი ფატორი

Tourism industry – as a main facilitating factory of growing incomes and employment of population

ავტორი - ნინო ჭანტურიძე, თამარ გელიაშვილი, ხელმძღვანელი - პროფ. **ვალერი მოსიაშვილი,** საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი.

*Author - **Nino Chanturidze, Tamar Geliashvili** , Supervizor –Prof.* **Valeri Mosiashvili, Georgian National University.**

Nowadays, tourism industry is one of the most developing and evolving field among world range. Especially, it's social and economic significance increased from the past century. Commonly, tourism is an economic activity, that ensures government by source of new incomes and foreign rate exchanges. The influence of tourism on economy is the biggest, because it creates new workplaces, assistances entrepreneurs and development of enterprises, decreases jobless rate, assistances changes and connection of cultures, also gives inducement to local food industry and agronomy, demands efficient communications and services, that causes better perception of countries, cities and in general the whole mankind.

In many countries, the leading branch keeps hold of tourism industry, because it is considered as one of the most important supplementary of budget. Consequently, we can consider, tourism is one of the most important social-economic catalyst of the country.

Generally, the first aim of developing tourism is to ensure its economic and social development. So, it is not astonishing, the most countries of world reckons tourism industry is the important and indivisible part of country's strategic development. The economic importance of tourism are first of all economic benefits, employment perspectives, growing incomes of population and direct and indirect incomes from tourism to the government exchequer.

Furthermore, tourism as an important sector of economic, takes incomes from other spheres activities for some reasons: firstly, tourism was and always will be the evolving industry; secondly there flows most of the investments from the richer and more development countries in the internationatl tourism; then international tourism is firm source of currency; next reason is that there are not commercial restirctions on tourism and finally tourism ensures to develop other industries of local economic.

In the modern world economic role and significance of tourism is growing every day, that is conditioned by growing incomes and improving standarts of living of people. Also the reason of developing tourism is that to start its business, there is no necessity big financial invetsments and resources for it.

Keywords: tourism, economy, income, employment, instrument.

ტურიზმი, როგორც ეკონომიკის მამოძრავებელი ძალა, თანამედროვე ეტაპზე, ქვეყნების უმრავლესობისათვის, სპეციალიზაციის მიუხედავად, განიხილება, როგორც: ეროვნული ეკონომიკის მამოძრავებელი ძალა, დივერსიფიკაციის ფაქტორი, დასაქმებისა და შემოსავლების ზრდის გენერატორი, კრიზისების დაძლევის ძირითადი ინსტრუმენტი. წარმოადგენს რა, ეროვნული მეურნეობის ცალკეული დარგების ერთობლიობას, მისი განვითარება ეკონომიკის მყისიერ სტიმულირებას ახდენს. იმავე პრინციპით, გარკვეული ჩავარდნები დარგში პირდაპირ აისახება ამ უკანასკნელის სასიცოცხლო ციკლზე, რის გამოც, ხშირად, მისი როლი ეკონომიკაში ნეგატიურად ფასდება. ეკონომიკურ სისტემაზე ტურიზმის გავლენის ძალის მიხედვით, შეიძლება გამოვყოთ ქვეყნების ორი ძირითადი ჯგუფი. პირველი ჯგუფის ქვეყნებისთვის გავლენის საერთო სტრუქტურაში ტურიზმის შედარებით მცირე წილის მქონე პირდაპირი გავლენა შედარებით დიდ, ირიბ და ინდუცირებულ გავლენას წარმოშობს. მეორე ჯგუფში ტურიზმს საკმაოდ სუსტი გავლენის ძალა გააჩნია და შედარებით დიდი წილის მქონე პირდაპირი გავლენა შედარებით მცირე ირიბ და ინდუცირებულ გავლენას წარმოშობს. თუმცა, არსებობს სპეციფიკური ეკონომიკური სისტემის და ტურისტული საქმიანობის მქონე ქვეყნები, რომლებშიც ტურიზმის გავლენის ძალა არ ხვდება არც ერთ ზემოთ ნახსენებ კატეგორიაში.

ტურისტული ინდუსტრია - ზოგადად, ყველა იმ საწარმოთა და ორგანიზაციათა ერთობლიობა, რომელთა საქმიანობაც ემსახურება მოგზაურობის დროს ტურისტის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. ტურიზმის ინდუსტრია შედგება მრავალი მომსახურე დარგისაგან, რომელთა ძირითადი დანიშნულებაა ტურიზმისათვის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის, წარმოების პროცესში სამუშაო ძალის მომზადების, საზოგადოების მატერიალური და სულიერი ფასეულობის შესწავლისა და ბუნებრივი სიმდიდრის გამოყენების საფუძველზე ტურისტული პროდუქტით და მომსახურების ტურისტული მოთხოვნილებების დაკმაყოფილება.

ტურიზმი:

- ხელს უწყობს ტურიზმის ზემოქმედების გზების გაგებას ბუნებრივ, კულტურულ და სოციალურ სფეროებზე;
- ხელს უწყობს შემოსავლებისა და ხარჯების სამართლიან განაწილებას. იგი ქმნის სამუშაო ადგილებს უშუალოდ ადგილობრივი ტურიზმისა და მის მონათესავე სფეროებში;
- ხელს უწყობს მომგებიანი ადგილობრივი დარგების განვითარებას - სასტუმროები და სხვა სარეკრეაციო ობიექტები, რესტორნები და კვების სხვა ობიექტები, სატრანსპორტო სისტემები, ხალხური რეწვა და საექსკურსიო-საინფორმაციო საქმე;
- ხელს უწყობს რეგიონში უცხოური ვალუტის შემოსვლას და ადგილობრივ ეკონომიკაში კაპიტალის დაბანდებას. ხელს უწყობს ადგილობრივი ეკონომიკის დივერსიფიკაციას, განსაკუთრებით სასოფლო რაიონებში, სადაც დასაქმებას შეიძლება ჰქონდეს სეზონური ან შემთხვევითი ხასიათი;
- მოითხოვს სივრცით დაგეგმვასა და ზონირებას, რომელიც შეესაბამება ადგილობრივი ეკოსისტემის გამტარუნარიანობას; გადაწყვეტილების მიღების პროცესში რთავს საზოგადოების ყველა ფენის წარმომადგენელს;
- ხელს უწყობს ადგილობრივი ინფრასტრუქტურის მოდერნიზებას;

○ ქმნის რეკრეაციულ ობიექტებს, რომლებითაც სარგებლობა შეუძლიათ როგორც ადგილობრივ მაცხოვრებლებს, ასევე ტურისტებს;

○ ბუნებრივი ტურიზმი ხელს უწყობს იმ მიწების პროდუქტიულ გამოყენებას, რომელთაც არა აქვთ სასოფლო-სამეურნეო მნიშვნელობა;

○ კულტურული ტურიზმი ხელს უწყობს ადგილობრივი მოსახლეობის თვითშეგნების ამაღლებას;

○ ეკოლოგიურად მდგრადი ტურიზმი ნათლად გვიჩვენებს ბუნებრივი და კულტურული რესურსების დიდ მნიშვნელობას სოციალ-ეკონომიკური განვითარების საქმეში და ხელს უწყობს მის დაცვას.

ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის რეკომენდაციების მიხედვით ტურიზმის მდგრადი განვითარების კონცეფციის ჩამოყალიბებისას აუცილებელია შემდეგი პრინციპების გათვალისწინება:

○ რესურსების მდგრადი მოხმარება (რამდენადაც ბუნებრივი, სოციალური და კულტურული რესურსების დაცვა და მდგრადი მოხმარება ხანგრძლივი და წარმატებული საქმიანობის საწინდარია);

○ ბუნებრივი და კულტურული მრავალფეროვნების შენარჩუნება (რამდენადაც ბუნებრივი და კულტურული მრავალფეროვნება ტურისტული საქმიანობის წარმატებისა და მიმზიდველობის განმსაზღვრელი ფაქტორია);

○ ტურიზმის ინტეგრირება დაგეგმვის პროცესში (სოციალ-ეკონომიკური კონცეფციის შემუშავებისას, ტურიზმის განვითარების ინტეგრირება გარემოსდაცვითი და ეკონომიკური საკითხების დაგეგმვის პროცესში უზრუნველყოფს ტურისტული საქმიანობის წარმატებას);

○ ადგილობრივი ეკონომიკის მხარდაჭერა (ტურიზმის მრავალფეროვანი ფორმები ხელს უწყობს ადგილობრივი ეკონომიკის კომპლექსურ განვითარებას, ითვალისწინებს გარემოზე მიყენებული შესაძლო ზიანის კომპენსაციას, თავის მხრივ იცავს და ამცირებს, როგორც კულტურის ძეგლებზე, ასევე ველურ გარემოზე უარყოფით ზემოქმედებას);

○ ადგილობრივი მოსახლეობის თანამონაწილეობა (რადგან ადგილობრივი თემის თანამონაწილეობას არა მარტო ეკონომიკური სარგებელი მოაქვს, არამედ გაცილებით უფრო საინტერესოსა და მიმზიდველს ხდის ტურისტულ პროდუქტს);

○ კონსულტაციები და თანამშრომლობა (რამდენადაც აუცილებელია ინტერესთა კონფლიქტების თავიდან აცილების უზრუნველყოფა);

საერთაშორისო ტურიზმს აქვს უდიდესი გავლენა ტურისტული ქვეყნების საგადამხდელო ბალანსზე, რადგანაც მოხმარება თან სდევს მომხმარებელთა გადაადგილებას. ზოგიერთი ქვეყნისათვის საგადამხდელო ბალანსის პუნქტი - „მოგზაურობა“ ერთ-ერთი უმთავრესი შენატანია საქონლისა და მომსახურების ბალანსში. ხშირ შემთხვევაში ამ პუნქტის წმინდა ღირებულება შესაძლებლობას იძლევა გადაწონილ იქნას ვაჭრობაში იმპორტისა და ექსპორტის უარყოფითი ბალანსი. ეს ეფექტები არ შემოიფარგლება მხოლოდ ტრადიციული ტურისტული საქონლის მოხმარე-

ბის ტიპებით (ბინა, ადგილობრივი ტრანსპორტი, კვება, ა.შ.), არამედ მოიცავს ნებისმიერ საქონელსა და სერვისს, რომელიც მოხმარებულია ვიზიტორთა მიერ გადაადგილების დროს, თუნდაც ეს გადაადგილება იყოს ქვეყნის შიგნით (უცხოური საკვები და სასმელი, შემოტანილი საქონელი).

უნდა ითქვას, რომ ტურიზმის განვითარება მეტად მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს ქვეყნისთვის,განსაკუთრებით იმ შემთხვევაში თუ ქვეყანა მდიდარია ბუნებრივი რესურსებითა და მნიშვნელოვანი,საინტერესო კულტურული მემკვიდრეობით. რაშიც თამამად შეგვიძლია შევიყვანოთ საქართველო. რამეთუ საქართველოს, ჩვენი ქვეყნის ბუნებრივი, კულტურული რესურსები და მემკვიდრეობები ცნობილია ძალიან ბევრ ქვეყნაში. საქართველო გამოირჩევა კურორტების სიუხვითაც .

ბოლო წლების განმავლობაში ტურიზმი ეკონომიკის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან სექტორად ჩამოყალიბდა. ვიზიტორების რაოდენობის მზარდი ტენდენციით დაიწყო 2018 წელი. იანვარში საქართველოს 444,2 ათასი ვიზიტორი ეწვია, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 14.8%-ით მეტია, ხოლო თებერვალში ვიზიტორების რაოდენობამ 440,8 ათასი შეადგინა და 2017 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 19.8 პროცენტით გადააჭარბა. ჯამურად, 2018 წლის იანვარ-თებერვალში საქართველოში 885 ათასი ვიზიტორი შემოვიდა, რაც 17.2 პროცენტით მეტია 2017 წლის იგივე პერიოდზე, ხოლო ტურიზმიდან მიღებულმა შემოსავალმა 325,6 მლნ აშშ დოლარი შეადგინა და 27.8 პროცენტით აღემატება წინა წლის ანალოგიურ პერიოდს.

წინასწარი მონაცემებით, 2017 წელს საერთაშორისო ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები 27.1 პროცენტით გაიზარდა, რაც 587.3 მლნ აშშ დოლარით მეტი უცხოური ვალუტის შემოდინებაა წინა წელთან შედარებით. ბოლო ათწლეულის მანძილზე, ტურიზმის სექტორი დაახლოებით 9-ჯერ არის გაზრდილი. 2016 წელს საერთაშორისო ტურიზმიდან მიღებულმა შემოსავლებმა პირველად გადააჭარბა 2 მილიარდ აშშ დოლარს. 2017 წელს, საქართველოს 7 555 ათასი ვიზიტორი ეწვია, რაც გასული წლის ანალოგიურ მონაცემს 18.8 პროცენტით აღემატება, ხოლო ტურიზმიდან მიღებულმა შემოსავლებმა 2 753 მლნ აშშ დოლარი შედგინა და წინა წელთან შედარებით 27.1 პროცენტით გაიზარდა.

გასული ექვსი წლის მანძილზე ვიზიტორის მიერ საშუალოდ დახარჯული თანხა მცირედით გაიზარდა, თუმცა გლობალურ საშუალო მაჩვენებელს ჯერ კიდევ მნიშვნელოვნად ჩამორჩება. ხარჯვის დაბალი ნიშნული ძირითადად ვიზიტორების წარმომავლობით არის განპირობებული. მათი დაახლოებით 88% მეზობელი ქვეყნებიდანაა და 85% სახმელეთო ტრანსპორტით შემოდის საქართველოში. საჰაერო ტრანსპორტით ვიზიტორების მხოლოდ 13% სტუმრობს ქვეყანას.

2018 წლის იანვარი-მარტის თვის მონაცემებით, საქართველოს 1,463,561 საერთაშორისო მოგზაური ეწვია, ზრდა წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით +15.5%-ია.





სულ აქტიური მოსახლეობა (სამუშაო ძალ	192,0	447,7	148,9	212,2	200,7	216,6	376,5	226,8	2021,5
დასაქმებული	180,7	352,0	135,5	192,2	170,4	189,5	343,5	216,1	1779,9
დაქირავებული	53,2	293,6	42,4	64,0	69,1	69,2	111,4	50,6	753,4
თვითდასაქმებული	127,4	58,4	93,1	128,1	101,1	114,9	229,8	165,2	1018,1
გაურკვეველი	0,1	0,0	0,0	0,1	0,2	5,4	2,3	0,4	8,4
უმუშევარი	11,3	95,7	13,4	20,0	30,3	27,1	33,1	10,7	241,6
მოსახლეობა სამუშაო ძალის გარეთ	77,1	342,7	61,5	79,2	82,7	90,3	155,2	69,7	958,3
უმუშევრობის დონე (პროცენტებში)	**5,9**	**21,4**	**9,0**	**9,4**	**15,1**	**12,5**	**8,8**	**4,7**	**12,0**
აქტიურობის დონე (პროცენტებში)	**71,4**	**56,6**	**70,8**	**72,8**	**70,8**	**70,6**	**70,8**	**76,5**	**67,8**
დასაქმების დონე (პროცენტებში)	**67,1**	**44,5**	**64,4**	**66,0**	**60,1**	**61,8**	**64,6**	**72,9**	**59,7**

2016 — ათასი კაცი

	კახეთი	თბილისი	შიდა ქართლი	ქვემო ქართლი	აჭარის ა.რ	სამეგრელო-ზემო სვანეთი	იმერეთი*	დანარჩენი რეგიონები**	საქართველო
სულ აქტიური მოსახლეობა (სამუშაო ძალ	192,7	440,1	149,4	209,7	189,4	211,4	376,7	229,0	1998,3
დასაქმებული	182,3	343,1	135,6	191,7	164,9	190,2	335,9	219,6	1763,3
დაქირავებული	49,7	290,1	41,9	61,0	75,2	66,4	108,9	52,2	745,4
თვითდასაქმებული	132,5	53,1	93,6	130,6	89,7	118,9	225,4	167,2	1010,9
გაურკვეველი	0,1	0,0	0,1	0,2	0,0	4,9	1,6	0,2	7,0
უმუშევარი	10,4	96,9	13,8	17,9	24,5	21,2	40,8	9,4	235,1
მოსახლეობა სამუშაო ძალის გარეთ	71,6	335,7	63,5	90,9	86,0	86,5	155,1	73,8	963,2
უმუშევრობის დონე (პროცენტებში)	**5,4**	**22,0**	**9,2**	**8,6**	**13,0**	**10,0**	**10,8**	**4,1**	**11,8**
აქტიურობის დონე (პროცენტებში)	**72,9**	**56,7**	**70,2**	**69,7**	**68,8**	**71,0**	**70,8**	**75,6**	**67,5**
დასაქმების დონე (პროცენტებში)	**69,0**	**44,2**	**63,7**	**63,8**	**59,9**	**63,8**	**63,2**	**72,5**	**59,5**

*რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის ჩათვლით
** სამცხე-ჯავახეთი, გურია, მცხეთა-მთიანეთი
ცხრილებში მოცემული მაჩვენებლები მიღებულია შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევიდან.

Sheet1





გამოყენებული ლიტერატურა:

1. www.forbes.ge (გადამოწმებულ იქნა 20.11.2018).
2. www.nplg.gov.ge (გადამოწმებულ იქნა 20.11.2018).
3. www.geostat.ge (გადამოწმებულ იქნა 20.11.2018).
4. www.economy.ge (გადამოწმებულ იქნა 20.11.2018).
5. www.atsu.edu.ge (გადამოწმებულ იქნა 20.11.2018).
6. www.gnta.ge (გადამოწმებულ იქნა 20.11.2018).

■■■■

ტურიზმის გავლენა ქვეყნის ფინანსურ მაჩვენებლებზე

Tourism impact on the country's financial indicators

ავტორი - **შორენა გოლიაძე,** *ხელმძღვანელი* - პროფ. **ვალერი მოსიაშვილი,** საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი.

Author - **Shorena Goliadze,** *Supervizor – Prof.* **Valeri Mosiashvili,** Georgian National University.

Tourism has the great influence on the development of the country and its particular region, it promotes the currency inflows, improves the infrastructure and others. The countries create Tourism politics, which is the part of the social-economic politics, to gain the maximum result from Tourism. Tourism politics of the country is based on the tourist strategy (targeted programs and the development of the unified concept, which implementation reqires time and considerable financial resources) and tactics (using concrete measures and methods in the particular situation to achieve the goal).

Tourism, as the important lever for the economic development of the country, has the important potential, but it is not panacea and it may be accompanied with the economic and other types of flaws.

Keywords: Travel Policy, Tourist product, Tourism potential, Tourism industry, The multiplier effect.

ძირითადი ნაწილი. ზოგადად ქვეყნის ტურისტული პოლიტიკის მიმართულებები შესაძლოა შემდეგნაირად ჩამოვაყალიბოთ:

- მოგზაურთა უფლებების დაცვა;
- ტურისტული პროდუქტების ეროვნული მწარმოებლების ინტერესებთა დაცვა;
- შიდა და შემომავალი ტურიზმის სრული მხარდაჭერა, რომელმაც შესაძლოა მიიღოს შემდეგი სახე (რომელიც შეიძლება ამ სახით წარმოგვიდეგს): ა) პირდაპირი ინვესტიციების გაცემა ტურისტული ინფრასტრუქტურის ფორმირებაში; ბ) ეროვნული ტურისტული პროდუქტის სამეცნიერო და სარეკლამო-საინფორმაციო მხარდაჭერა და ხელჭეწყობა მსოფლიო ბაზრაზე; გ) საინვესტიციო ნაკადების საგადასახადო და საბაჟო შეღავათების განხორციელება.

სახელმწიფოს ტურისტული პოლიტიკა ეფუძნება სტრატეგიასა და ტაქტიკას:

ტურისტული სტრატეგია - მიზნობრივი პროგრამების და განვითარების ერთიანი კონცეფციის შემუშავება, რომელთა განხორციელება მოითხოვს დროს და სოლიდურ ფინანსურ რესურსს.

ტურისტული ტაქტიკა - კონკრეტულ სიტუაციაში, კონკრეტული ზომებისა და მეთოდების გამოყენება დასახული მიზნების მისაღწევად (მაგალითად "ეროვნული ტურიზმის განვითარების სტრატეგია 2025"[17]).

კონცეფციის ძირითადი მიზანია თანამედროვე მაღალეფექტური და კონკურენტუანარიანი კომპლექსის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს საქართველოს და უცხოეთის მოქალაქეების ეფექტიან ტურისტულ მომსახურებას, და მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში. აღნიშნული მიზმის რეალიზაციისთვის (უზრუნველსაყოფად) ვფიქრობთ საჭიროა რიგი ღონისძიებების გატარება (ტურიზმის ტაქტიკა), რომელთა შორის მნიშვნელოვანია: საერთაშორისო პრაქტიკასთან შესატყვისი ტურიზმის განვითარების ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზის შექმნა; პირდაპირი ინვესტიციების ხელშემწყობი მექანიზმების შექმნა შიდა და შემომავალი ტურიზმის განვითარებისთვის; ტურისტული საქმიანობის სერთიფიკაციისა და ლიცენზირების მკაცრი სისტემის დანერგვა და სხვ.

ნებისმიერი სახელმწიფო, რომელიც ანვითარებს ტურიზმს, მიისწრაფვის, რომ მისგან მიიღოს მაქსიმალური ეკონომიკური ეფექტი. ტურიზმის ეკონომიკური ეფექტიანობა ნიშნავს, მიიღოს მოგება (ეკონომიკური ეფექტი) ტურიზმის ორგანიზაციისაგან სახელმწიფო მასშტაბით, რეგიონის მოსახლეობის მომსახურების მასშტაბით, ტურიზმის სფეროში დასაქმებული ფირმების მასშტაბით.

ტურიზიმი, როგორც მომსახურებით ვაჭრობა, მსოფლიო ბაზარზე შესაძლოა მოვიხსენიოთ როგორც უჩინარი ექსპორტი, რომელსაც შეაქვს თავისი წილი ქვეყნის საგადასახდელო ბალანსში.

პოზიტიურად უნდა იქნას მიჩნეული სიტუაცია, როდესაც ტურისტების მიერ ქვეყანაში ვალუტის შემოდინება აღემატება ქვეყნიდან ნაღდი ვალუტის გადინებას.

თანამედროვე პერიოდში, როდესაც არც თუ ისე დიდი ხნის წინ (ფაქტობრივად მიმდინარე წლის მარტის დასაწყისამდე), საქართველოს ეროვნული ვალუტა ლარი განიცდიდა დევალვაციას აშშ დოლარის და სხვა ქვეყნების ვალუტების მიმართ, უცხოური ვალუტა იძენს მეტ მსყიდველობით უნარს. ეს შესაძლოა ზოგადად მოსახლეობაში იწვევს უკმაყოფილებას (გასაგები მიზეზების გამო: მსყიდველობითი უნარის დაცემა, ფიქსირებულშემოსავლიანი მოსახლეობის რეალური შემოსავლის შემცირება, ეროვნულ ვალუტაში არსებული დანაზოგების კლება, ნეგატიური დამოკიდებულება ეროვნული ვალუტის მიმართ და სხვ), მაგრამ უნდა გახდეს უცხოელი ტურისტებისთვის სტიმულის მიმცემი, შედეგად გაზარდოს ტურისტული ნაკადების მოდინება (ტურიზმის ექსპორტი), რაც თავის თავად უნდა გახდეს მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ხელისშემწყობი ფაქტორი. როგორც ყველა ქვეყანაში ზოგადად, მათ შორის კონკრეტულად საქართველოში ტურიზმის ექსპორტის ზრდა პოზიტიურ გავლენას იქონიებს საგადასახდელო ბალანსზე, შემლებს მზარდი უარყოფითი წმინდა ექსპორტის შემცირებას. მაგრამ უნდა ითქვას, მიმდინარე ეტაპზე საქართველოს მთლიან შიდა პროდუქტში ტურიზმი წარმოდგენილია მოკრძალებული ხვედრი-

[17] http://www.economy.ge/ge/media/news/saqartvelos-mtavroba-da-msoflio-banki-quoterovnuli-turizmis-ganvitarebis-strategia-2025quot-s-seimusavebs გადამოწმებული იქნა 08.10.2018.

თი წილით (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, 2017 წელს, წინასწარი მონაცემებით ტურიზმის წილი ეკონომიკის მთლიან გამოშვებაში შეადგენს 7.3 პროცენტს, ნაცვლად 7.2 პროცენტისა 2016 წელს[18]).

ნახ. 1 ტურიზმის წილი ქვეყნის მთლიან გამოშვებაში[19]



ასევე უნდა ითქვას, რომ ეს სტატისტიკური მონაცემები არ გვაძლევს საშუალებას გავაკეთოთ უფრო მეტად არგუმენტირებული და კონკრეტული დასკვნები ტურიზმის განვითარების შესახებ რეგიონალურ ჭრილში, რაც საშუალებას მოგვცემდა ანალიზი გაგვეკეთებინა რომელი რეგიონი და ტურიზმის რომელი სეგმენტი (სფერო) იძლევა მეტ შემოსავალს, შეასაბამისად, რომელი სფერო საჭიროებს მეტ დახმარებას. კვლევის პერიოდში სამწუხაროდ ვერ მოვიძიეთ ოფიციალური ინფორმაცია თუ რა წილითაა წარმოდგენილი ამა თუ იმ რეგიონის მთლიან შემოსავლებში ტურიზმიდან შემოსავალი, რაც შეეხება ე.წ. ექსპერტულ შეფასებებს და სტატისტიკა, არც თუ ისე იშვიათად მას ტენდენციური ხასიათი აქვს და ნაკლებ სარწმუნოდ მიგვაჩნია.

ის თუ რა გავლენას ახდენს საგადასახდელო ბალანსის მდგომარეობა ქვეყნის მშპ-ზე, განისაზღვრება შემდეგი ფორმულით:

$$\text{მშპ} = \text{ხსმ} + \text{ინ} + \text{სმთ} + (\text{ექსპ} + \text{იმპ})$$

სადაც, ხსმ არის სამომხმარებლო ხარჯი; ინ - ინვესტიციები; სმთ - სამთავრობო დანახარჯი; ექსპ - ექსპორტი; იმპ - იმპორტი.

მოყვანილი ფორმულად კარგად ჩანს, რომ თუ იმპორტი აღემატება ექსპორტს, მაშინ ქვეყნის მშპ-ს ექნება ნაკლები მაჩვენებელი. ამიტომ საქართველოს ეკონომიკისთვის ხელსაყრელია მოვიზიდოთ რაც შეიძლება მეტი ტურისტი ქვეყანაში, და დავაინტერესოთ ისინი დახარჯონ მეტი ფულადი რესურსი, ვიდრე ქვეყნიდან გასული ტურისტი (საქართველოს მოქალაქე, რეზიდენტი) დახარჯავს საზღვარგარეთ მოგზაურობისას.

[18] http://geostat.ge/index.php?action=page&p_id=118&lang=geo გადამოწმებული იქნა 10.10.2018.
[19] http://geostat.ge/index.php?action=page&p_id=118&lang=geo გადამოწმებული იქნა 08.11.2018.

ტურიზმის პირდაპირი გავლენა ზოგადად ქვეყნის ეკონომიკაზე და კონკრეტულად რეგიონზე - ეს არის ტურისტიდან შემოსავალი, რომელსაც იგი შეიძენს ქვეყანაში ტურიზტული პროდუქტის და მომსახურებისთვის. პირდაპირი გავლენა გაიგება, როგორც ტურისტების ფულადი შენატანი ტურისტული კომპანიის მუშაკთა მატერიალური უზრუნველყოფის და ახალი სამუშაო ადგილების შექმნაში. ტურისტების დანახარჯები ზრდის ტურისტული რეგიონის შემოსავლებს, რომელიც თავის მხრივ ქმნის შემდეგ ჯაჭვს „ხარჯი - შემოსავალი - ხარჯი" და ა.შ. აქედან გამომდინარე მთლიანი შემოსავლის გაანგარიშება ტურიზმიდან საკმაოდ რთულია, რამდენადაც აქ ასევე გასათვალისწინებელია არაპირდაპირ, ირიბი გავლენა რეგიონის ეკონომიკაზე.

ირიბი გავლენა („მულტიპლიკატორის ეფექტი"), გამოიხატება რეგიონში ტურიზმიდან შემოსული თანხების ცირკულაციაში. შემოსავლებიდან მულტიპლიკატორის ეფექტი შესაძლოა გამოვლინდეს სხავადსხვა კუთხით, მაგალითად რეგიონის ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები (გადასახადები, მოსაკრებლები) გაიზრდება ტურიზმის სფეროში დასაქმებული კომპანიების მიერ ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდილი თანხიდან, ტურიზმის სფეროში დასაქმებული კომპანიები (იქ დასაქმებული მოსახლეობის ნაწილი), შეიძენს მეტი რაოდენობის ადგილობრივი წარმოების პროდუქტსა და მომსახერებას, როგორც უცხოელი ტურისტების, ასევე საკუთარი მოთხოვნილების დაკმაყოფილებისთვის და სხვ.

შემოსავლები ტურიზმიდან, ბევრად დიდი პოზიტიური შედეგის მომტანია იმ შემთხვევაში, როდესაც ტურისტული კომპანიები თავიანთი საქმიანობის განხორციელების პერიოდში შეიენენ ადგილობრივ (რეგიონალურ) პროდუქტსა და მომსახურებას. ამ პროდუქტისა და მომსახურების გამყიდველები, თავის მხრივ გასცემენ ხელფასს მის მიერ დაქირავებულ ადამიანებზე, რომლებიც ასევე შემოსავალს ხარჯავენ საქონლისა და მომსახურების შეძენაზე, წაახალისებენ ეკონომიკის სხვა სფეროს დარგებს. მაგრამ თუ დასაქმებული მათ მიერ გამომუშავებული ხელფასის მნიშვნელოვან ნაწილს დახარჯავენ იმპორტირებული პროდუქციის შეძენაზე, მაში ჩვენს მიერ მოყვანილი ზემოთ ციკლი, ჯაჭვი („ხარჯი - შემოსავალი - ხარჯი"), იქნება მოკლე და საბოლოო ჯამში ადგილი ექნება რეგიონიდან, მთლიანობაში ქვეყნიდან ნაღდი ფულის გადინებას. პირდაპირი და ირიბი შემოსავლები კომბინაცია დიდ გავლენას ახდენს, როგორც კონკრეტული რეგიონის, ასევე მთელი ქვეყნის ეკონომიკაზე.

დასკვნის სახით შესაძლებელია აღვნიშნოთ, რომ ტურიზმი არსებით გავლენას, როგორც ზოგადად ქვეყნის, ასევე კონკრეტულად მისი რეგიონის ეკონომიკურ განვითარებაზე, ხელს უწყობს ქვეყანაში უცხოური ვალუტის შემოდინებას, აუმჯობესებს ინფრასტრუქტურას და ა.შ. ტურიზმიდან მაქსიმალური შედეგის მიღებისათვის ყოველი სახელმწიფო ამუშავებს ტურისტულ პოლიტიკას, რომელიც წარმოგვიდგება სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის შემადგენელ ნაწილად.სახელმწიფოს ტურისტული პოლიტიკა თავის მხრივ ეფუძნება ტურისტულ სტრატეგიასა (მიზნობრივი პროგრამების და განვითარების ერთიანი კონცეფციის შემუშავება, რომელთა განხორციელება მოითხოვს დროს და სოლიდურ ფინანსურ რესურსს) და ტაქტიკას (კონკრეტულ სიტუაციაში, კონკრეტული ზომებისა და მეთოდების გამოყენება დასახული მიზნების მისაღწევად).

ტურიზმს გააჩნია მნიშვნელოვანი პოტენციალი, როგორც ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვან ბერკეტს, მაგრამ ის არ არის პანაცეა და შესაძლოა თან ახლდეს ეკონომიკური და სხვა სახის მანკიერებები.

ტურიზმის განვითარების უპირატესობას ქვეყნისთვის და მისი რეგიონისთვის მიეკუთვნება: რეგიონში ფულადი ნაკადის, მათ შორის უცხოური ვალუტის ზრდა; ეროვნული შემოსავლის ზრდა; ახალი სამუშაო ადგილების შექმნა; გასართობი და დასასვენებელი ინფრასტრუქტურის რეფორმირება, რომელიც შესაძლოა გამოყენებული იქნას როგორც ტურისტების ესე ადგილობრივი მოსახლეობის მიერ; კაპიტალის, მათ შორის უცხოურის ზრდა; მოცემული რეგიონის ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების ზრდა.

ტურიზმის განვითარების ნეგატიური გავლენა შესაძლოა მდგომარეიობდეს იმაში, რომ ტურიზმის განვითარება: გამოიწვევს ფასების ზრდას ადგილობრივ საქონელსა და მომსახურებაზე, სასოფლო სამეურნეო პროდუქტზე, სხვა ბუნებრივ რესურსებსა და უძრავ ქონებაზე; ხელს შეუწყობს ნაღდი ფულის გადინებას საზღვარგარეთ ტურიზმის იმპორტის შემთხვევაში; იწვევს ეკოლოგიურ და სოციალურ პრობლემებს; შესაძლოა ზიანი მიაყენოს ეკონომიკის სხვა დარგების განვითარებას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. http://www.economy.ge/ge/media/news/saqartvelos-mtavroba-da-msoflio-banki-quoterovnuli-turizmis-ganvitarebis-strategia-2025quot-s-seimusavebs__ გადამოწმებული იქნა 11.10.2018.
2. http://geostat.ge/?action=page&p_id=133&lang=geo გადამოწმებული იქნა 12.10.2018.
3. http://geostat.ge/index.php?action=page&p_id=118&lang=geo გადამოწმებული იქნა 08.10.2018.
4. http://tourlib.net/books_tourism/kvartalnov_tourism10.htm გადამოწმებული იქნა 08.10.2018.

■■■■

დანაკარგები მშენებლობაში და მათი საგადასახადო ხარჯად აღიარების პრობლემები

Losses in construction and the problems of recognizing them as tax expenses

ავტორი - **ნინო მამისაშვილი,** *ხელმძღვანელი* - **პროფ. ელინა ქრისტესიაშვილი,** საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი.

Author - Nino Mamisashvili*, Supervizor –Prof.* ***Elina Kristesiashvili,*** Georgian Technical University.

რეზიუმე:*აღნიშნული სტატიის მიზანია საინვესტიციო-სამშენებლო პროექტის განხორციელების ამა თუ იმ სტადიაზე ისეთი ხარჯების მიმოხილვა, რომელნიც სამშენებლო საქმიანობის თანმდევი პროცესია და წარმოადგენს ბუნებრივ დანაკარგებს. ამასთან, დღეისათვის მოქმედი საკანონმდებლო და ნორმატიული აქტები, რიგ შემთხვევაში, მათი არასრულყოფილებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვან დაბრკოლებებს ქმნის ამდაგვარი დანაკარგების (ზარალის) საგადასახადო ხარჯად აღიარების პროცესში.*

ქვეყანაში არსებული სამეწარმეო გარემო და მოქმედი სამართლებრივი აქტები აღნიშნულ დანაკარგებს უნდა აღიქვამდეს, როგორც გაწეულ გონივრულ დანახარჯებს და სამართლიანი მოგების პრინციპებიდან გამომდინარე, შესაძლებელი უნდა იყოს მათი საანგარიშგებო პერიოდის საგადასახადო ხარჯებში (როგორც გაწეული დანახარჯების) აღიარება.

საკვანძო სიტყვები: *პროდუქცია, დანახარჯი, საწარმოო პროცესი, სამშენებლო რესურსები, ბუნებრივი და ნორმატიული დანაკარგები, საგადასახადო ხარჯი,სამართლიანი მოგება, საინვესტიციო პროექტი.*

Abstract:*The goal of this article is to review the expenditures at some stage of implementation of the Investment-Construction Project, which is an accompanying process of construction activities and represents natural losses. In addition, applicable legislative and normative acts, based upon their incompatibility, constitute significant obstacles in the process of recognizing such losses as tax expenses.*

The entrepreneurial environment and applicable legal acts existing in the country must perceive these losses as the reasonable expenses incurred and based upon the fair profit principles, it should be possible to recognize them in tax expenses of the reporting period (as expenses incurred).

Keywords:*production, expenditure, production process, construction resources, natural and normative losses, tax expense, fair profit, investment project.*

ნებისმიერ დარგსა თუ სფეროში პროდუქციის შექმნის, ან გაწეულიმომსახურებისპროცესი დაკავშირებულია შრომითი, ფინანსური და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების განსხვავებული დოზით გამოყენებასთან. ამასთან, ერთგვაროვანი პროდუქციის წარმოების შემთხვევაშიც კი არსებითად არის განსხვავებული ერთეულ პროდუქციაზე გაწეული თითოეული სახის დანახარჯი,

რაც განპირობებულია ცალკეული საწარმოო პროცესების არაერთნაირიტექნოლოგიური გადაწყვეტებით, კომპანიის საწარმოო სიმძლავრეების დატვირთვის კოეფიციენტის, ტექნიკური პროგრესისა და შრომის ნაყოფიერების მიღწეული დონის განსხვავებული მაჩვენებლებით, ურთიერთშემცვლელი,იაფფასიანი სამშენებლო რესურსების მოძიებითა დამათი მეტი ინტენსივობით ჩანაცვლებით, ცალკეული რესურსების სამშენებლო მოედნამდე მიწოდების განსხვავებული რადიუსით.

სამშენებლო პროდუქციის შექმნის პროცესი მრავლის მომცველი, ურთულესი საინჟინრო გადაწყვეტილებების მიღების შედეგია. შესრულებული სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების ღირებულებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ, ერთმანეთისაგან ხარისხითა და ფასით მკვეთრად განსხვავებული, გამოყენებული სამშენებლო რესურსები, სამშენებლო ტექნოლოგიები და მოწყობილობები.სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების განხორციელების პროცესში მოიხმარება ასი ათასობით დასახელების ერთჯერადი გამოყენების სამშენებლო მასალები. აღნიშნული რესურსების სამშენებლო მოედნამდე მიწოდება (დატვირთვა-ტრანსპორტირება-გადმოტვირთვა), მათი დასაწყობება და შემდგომ მოხმარება დაკავშირებულია მნიშვნელოვან დანაკარგებთან. ქვეყანაში არსებული სამეწარმეო გარემო და მოქმედი სამართლებრივი აქტები აღნიშნულ დანაკარგებს უნდა აღიქვამდეს, როგორც გაწეულ გონივრულ დანახარჯებს და სამართლიანი მოგების პრინციპებიდან გამომდინარე, შესაძლებელი უნდა იყოს მათი საანგარიშგებო პერიოდის საგადასახადო ხარჯებში (როგორც გაწეული დანახარჯების) აღიარება. აღნიშნული დანახარჯები, როგორც სამშენებლო კომპანიის ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის, მინიმალური ხარჯების პრინციპის შესაბამისად გაწეული ხარჯი, ყველა დანარჩენი იდენტიფიცირებადი ხარჯების მსგავსად, ჩართული უნდა იყოს სამშენებლო სამუშაოთა შესრულების პროცესში გაწეულ საოპერაციო და კაპიტალურ დანახარჯებში და ნეიტრალური მესამე მხარისათვის უნდა წარმოადგენდეს დასაბუთებულ დანახარჯებს.

აღნიშნული სტატიის მიზანია მშენებლობის განხორციელების პროცესში ისეთი ხარჯების მიმოხილვა, რომელნიც სამშენებლო საქმიანობის თანმდევი პროცესიადა წარმოადგენს ბუნებრივ დანაკარგებს საინვესტიციო-სამშენებლო პროექტის განხორციელების ამა თუ იმ სტადიაზე. ამასთან, დღეისათვის მოქმედი იმ საკანონმდებლო და ნორმატიული აქტების შეფასება, რომელნიც რიგ შემთხვევაში, მათი არასრულყოფილებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვან დაბრკოლებებს ქმნიანამდაგვარი დანაკარგების (ზარალის) საგადასახადო ხარჯად აღიარების პროცესში.

სამშენებლო პროცესში ვხვდებით ბუნებრივ, კომერციულ, ტექნოლოგიურ და მასალებისა და ნედლეულის გაფუჭებიდან მიღებულ დანაკარგებს. აღნიშნული დანაკარგები გამოწვეულია სამშენებლო რესურსების ფიზიკო-ქიმიური თვისებებიდან გამომდინარე და ამ დანაკარგების თავიდან აცილება პრაქტიკულად შუძლებელია. რიგ შემთხვევაში დანაკარგების სიდიდეზე გავლენას ახდენს კლიმატური პირობებიც, რომელიც სამშენებლო წარმოების თავისებურებებიდან გამომდინარე ასევე გარდაუვალია. სამშენებლო რესურსების ბუნებრივ დანაკარგებს შეიძლება ადგილი ჰქონდეს მათი ტრანსპორტირებისას და ასევე შენახვისა და მოხმარების პროცესში. აღნიშნული თვალსაზრისით მნიშვნელოვანი დანაკარგებით ხასიათდება ცემენტის, კირის, ცარცის, თაბაშირის, მინის, მოსაპირკეთებელი ფილების, ინერტული მასალებისა და ლაქ-საღებავების, ასევე საკუთარი მოხმარებისათვის რეზერვუარებში დასაწყობებული ყველა სახის ნავთობპროდუქტები.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის №303 ბრძანება შემოსავლების სამსახურს ავალებს უზრუნველყოს საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიზნებისათვის, საწარმოო პროცესთან დაკავშირებული ტექნიკური ნორმების შემმუშავებელი კომისიის მიერ შემუშავებული საწარმოო დანაკარგების მაქსიმალური ზღვრული ოდენობების, საქონლის გამოსავლიანობისა და საწარმოო პროცესთან დაკავშირებული სხვა ტექნიკური ნორმების დადგენა. საქართველოს მთავრობის 2011 წლის 27 დეკემბრის №2547 განკარგულების საფუძველზე ამავე სამსახურს დაევალა ზემოაღნიშნული ტექნიკური ნორმების შემმუშავებელი კომისიის შექმნა.

მიუხედავად მთავრობის ზემოაღნიშნული დადგენილებიდან განვლილი ხანგრძლივი პერიოდისა, სამშენებლო ბიზნესისათვისკვლავაც პრობლემატურ საკითხად რჩება საწარმოო დანაკარგების თემა, სამთავრობო კომისიის არაეფექტური მუშაობის პირობებში დღემდე ვერ ხერხდება მრავალი სახის საწარმოო დანაკარგების საგადასახადო ხარჯად აღიარება. მოცემულ შემთხვევაში, საქართველოს საგადასახადო კოდექსიდან გამომდინარე, საგადასახადო მიზნებისათვის ბუნებრივი დანაკარგების მაქსიმალური ზღვრული ოდენობების და საწარმოო პროცესთან დაკავშირებული ტექნიკური ნორმების საწარმოო დანაკარგების მაქსიმალური ზღვრული ოდენობების, საქონლის გამოსავლიანობისა და საწარმოო პროცესთან დაკავშირებული სხვა ტექნიკური ნორმების განმსაზღვრელ უფლებამოსილ ორგანოს წარმოადგენს შემოსავლების სამსახური, რაც არაერთი მეცნიერ-ეკონომისტის მიერ მიჩნეულია უმართებულოდ იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ბუნებრივი დანაკარგების ზღვრული ნორმების დადგენა არ შეიძლება ეფუძნებოდეს სუბიექტურ მოსაზრებებს და შესაბამისად არ უნდა ემსახურებოდეს ერთი უწყების სუბიექტურ ინტერესებს.

სამშენებლო რესურსებზე ბუნებრივი დანაკარგების ზღვრული ნორმა უნდა დგინდებოდეს სათანადო კვლევების ჩატარების საფუძველზე, რაც სპეციალურ ცოდნასა და ტექნიკურ აღჭურვილობას მოითხოვს. ბუნებრივი რესურსების ზღვრული ნორმები უნდა დგინდებოდეს სამშენებლო რესურსების ცალკეული ჯგუფებისათვის მათი გადაადგილების, დასაწყობების, საწარმოო პროცესებში გამოყენებისდამახასიათებელი პირობებისა და ამ რესურსების ფიზიკური და ქიმიური თვისებებიდან გამომდინარე და არა გადასახადის გადამხდელი, ცალკეული ფიზიკური თუ იურიდიული პირების შემოსავლების სამსახურისადმი მიმართვის საფუძველზე, როგორც ეს განსაზღვრულია მოქმედი საგადასახადო კოდექსის მიხედვით. ცალკეული რესურსების მოხმარებაზე საწარმოო ნორმების განსაზღვრა უნდა ეფუძნებოდეს სამშენებლო სფეროში დანერგილი ტექნოლოგიური პროცესების თავისებურებებს და უნდა უზრუნველყოფდეს ახალი ტექნოლოგიური პროცესების დანერგვის სტიმულირებას, რაც მოითხოვს მაღალ საინჟინრო-ტექნოლოგიურ ცოდნასა და გამოცდილებას.

სახელმწიფო ზედამხედველობისა და მონიტორინგის შესაბამისი სამსახურები, რომელთაც ევალებათ სამშენებლო-საწარმოო პროცესებიდან გამომდინარე, ცალკეულ სამშენებლო რესურსებზე ნორმატიული დანაკარგების დადგენა, აღნიშნული ნორმების მიღებამდე, ფაქტობრივ დანაკარგებს უნდა აღიქვამდნენ, როგორც ნორმატიულ დანაკარგს, ვინაიდან აღნიშნული ნორმატიული დანაკარგების არ არსებობის პირობებში სამშენებლო კომპანია ცალმხრივად უძლურია დაარწმუნოს მესამე მხარე კომპანიის მიერ მომზადებული ფინანსური ანგარიშგების სისწორეში.

გამოყენებული ლიტერატურა :

1. „საქართველოს საგადასახადო კოდექსი“ (კოდიფიცირებული ტექსტი).თბ., 2017.

2. როგავა ზ.“საგადასახადო სამართალი“, წიგნი მესამე. თბ., 2017.

3. ბახტაძე ლ. კაკულია რ. ჩიკვილაძე მ. „საგადასახადო საქმე“. თბ., 2007.

4. მიქელაშვილი მ. „საგადასახადო პოლიტიკა“, თეორია და პრაქტიკა. თბ., 2013.

5. ცინცაძე გ. „მშენებლობის ეკონომიკა“, თბ., 2008.

6. ელიავა შ. „პრაქტიკული ბუღალტერია მშენებლობაში“. თბ., 2017.

■■■■

ურბანული მიწის ნაკვეთების ღირებულებითი მართვის ასპექტები მშენებლობისდარგის მდგრადი განვითარებისათვის და ეფექტური ეკონომიკური მართვის გადაწყვეტილებისათვის

Valuation management of urban land plots for sustainable development of the field of civil engineering and making effective economic management decision

ავტორი - **ლანა მჭედლიშვილი,** *ხელმძღვანელი* - **პროფ. გრიგორ ხოფერია,** საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი.

Author - **Lana Mchedlishvili,** *Supervizor – Prof.* **Grigor Khoperia,** Georgian Technical University.

The authors of the article "The General Plan of Tbilisi Land Usage", that processed the economic part of the project, developed effective solution of the city a land usage according to the results: the city lands which are less engaged at social spatial development including small town lands (developed by an effective indicator management system) Which is the basis for a joint partnership between the construction business and the state, to implement joint projects: Including recycling of unused land plots in industrial zones, as well as involving public spaces throughout the year, etc. In planning direction.

სტატიის ავტორებმა მათ მიერ დამუშავებული „ქ.თბილისის მიწათსარგებლობის გენეგმა“-ის პროექტის ეკონომიკური ნაწილის,შედეგებისხარჯზე შეიმუშავეს ქალაქის მიწის ნაკვეთების ეფექტური გამოყენების პრობლემების გადაჭრის გზები: ქალაქის სოციალური სივრცითი განვითარების დაგეგმარებაში ნაკლებად და მცირე გამოყენების მქონე ქალაქის მიწის ნაკვეთების ჩართვით, შემუშავებული ეფექტური ინდიკატორული მართვის სისტემის საშუალებით,რაც საფუძველია სამშენებლო ბიზნესსადა სახელმწიფოს შორისმჭიდრო პარტნიორობისა,განახორციელონ

ერთობლივი პროექტები: საწარმოო ზონებში გამოუყენებელი მიწის ნაკვეთების რედეველოპმენ-ტის, ასევე საზოგადოებრივი სივრცეების მთელი წლის მანძილზე ჩართვის და ა.შ.დაგეგმარების მიმართულებით.

ურბანული მიწის ნაკვეთების ღირებულებითი მართვის ასპექტები მშენებლობისდარგის მდგრადი განვითარებისათვის და ეფექტური ეკონომიკური მართვის გადაწყვეტილებისათვის

წინაპირობები. სტატიის ავტორებმა მიიღეს აქტიური მონაწილეობა ქ. თბილისის მიწათსარგებ-ლობის გენერალური გეგმის შემუშავებაში, კერძოდ ქ. თბილისის ურბანული მიწის ნაკვეთების ღირებულების დადგენაში. მიღებული მიწის ნაკვეთების მაჩვენებლებით ჩამოყალიბდა წინაპი-რობები, ქმედითი ინსტრუმენტის სახით,მიზნობრივი მართვის ინდიკატორი ქალაქის მიწების ეფექტური გამოყენების შეფასებისათვის. მიღებული შეფასების შედეგები უზრუნველყოფენ, თა-ნამედროვე განვითარების ეტაპზე მწვავე პრობლემის , ნაკლებად ან არაეფექტურად გამოყენებუ-ლი მიწის ნაკვეთების ღირებულების შეფასების შესახებ, დასაბუთებულ მონაცემებს. ამ გზით მიღებული შედეგები საჭიროა ოპტიმალური მმართველობითი კონცეფციისა და ადეკვატური გა-დაწყვეტილებების მიღებისათვისიმიტომ , რომ თანდათანობით ქალაქის მიწის ნაკვეთები უძრა-ვი ქონების სახით, გარდაიქმნან სრულფასოვან კაპიტალში, რომელიც რეალური შემოსავალია ქალაქისთვის , ასევე ამ პროცესში ჩართული მოქმედი დეველოპერებისა და ინვესტორებისათვის.

პრობლემა. დღეს - დღეობით ქალაქის მიწის ნაკვეთების დიდი ნაწილი კარძო საკუთრებაშია, ხოლო დანარჩენი - სახელმწიფო და მუნიციპალიტეტის საკუთრებაშია . ქალაქის მიწის ნაკვეთე-ბი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლებში, მათზე სხვა-დასხვა ოპერაციების შემდეგ: მიწის ნაკვეთების გადაცემა საკუთრებაში ან იჯარით, ასევე მოგება გადასახადების აღებისაგან (ეს უკანასკნელი საქართველოში მკაფიოდ არ არის გაწერილი საგა-დასახადო კანონმდებლობაში, რომელიც არ შეესაბამება განვითარებულ ქვეყნების მიერ მიღე-ბულ საკანონმდებლო პრაქტიკას).

ავტორების შეფასებით ქ. თბილისის მიწის ნაკვეთების (შემდგომში - რესურსები) ეფექტური გა-მოყენება დაბალ დონეზე, როგორც კერძო, ასევე მუნიციპალურ საკუთრებაში მყოფი (ამაზე მეტყ-ველებს მათი დაბალი ღირებულიბა იგივე გეოგრაფიულ რაიონში მომიჯნავე საკმარისად გამო-ყენებული მიწის ნაკვეთის ღირებულებასთან შედარებით). უფრო დეტალურმა კვლევამ აჩვენა, რომ მიწის ნაკვეთების მსგავსი დაბალი ღირებულება დაკავშირებულია:

- •არაეფექტური მესაკუთრის მიერ მიწის ნაკვეთების განვითარებაზე არასათანადო ზრუნ-ვასთან;
- •ქალაქის რაიონების დიდი ტერიტორიებისსაწარმოო დანიშნულების შენობების, ხშირ შემთხვევაში საწყობებად ქცევასთან;
- •არა მომუშავე საწარმოებისა და სამეურნეო ნაგებობების არსებობასთან;
- •გამოუყენებელი რკინიგზის ან მათი ჩიხების არსებობასთან;
- •მიწის ნაკვეთებზე მდგარი საცხოვრებელი შენობების ფიზიკურამორტიზაციასთან და უმეტეს შემთხვევაში მორალურ ცვეთასთან, ასევე მათი შეუსაბამობა ახალ სეისმურ ნორ-მებთან.

დღესდღეობით არაა დამუშავებული და მიღებული ქალაქის მიწის ნაკვეთების ეფექტური გამოყენებისა და ტერიტორიების ზონირების ერთიანი კომპლექსურიმაჩვენებელთა მეთოდები .

გამომდინარე აქედან , ქალაქის მიწის ნაკვეთების ეფექტური გამოყენების მეთოდი დაფუძნებული იქნება თანამედროვე ტექნოლოგიებზე, უზრუნველყოფენ მიწის ნაკვეთების ეფექტიანი გამოყენების კომპლექსურ ანალიზს . ეს უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. ჩვენმა კვლევებმა (მოყვანილი არაა ამ სტატიაში დიდი მოცულობის გამო) გამოავლინა ქ. თბილისის მიწის ნაკვეთებისეფექტიანი გამოყენების ძირითადი პრობლემები;

1.მიწის ნაკვეთების ნებადართული გამოყენების ცვლილება სხვა სახეობებზე სამართლებრივად არასაკმარისად რეგულირდება ;
2.არასაკმარისად და გამოუყენებელი მიწის ნაკვეთებზე მონაცემთა ცენტრალიზებული ბაზის არარსებობა;
3.საჭიროა, რომ მუნიციპალტეტის მიდგომა მიწის ნაკვეთების ეფექტური გამოყენების შეფასების მიმართ შეიცვალოს მათი ბიუჯეტის შედეგობრივობაზე;
4.ქალაქის მიწის ნაკვეთების, განსაკუთრებით დაშორებულ საბინაო რაიონებში არაეფექტური გამოყენების საკმარისი დონეები.

ქალაქის მიწის ნაკვეთების ეფექტური გამოყენება. ამაში იგულისხმება მათი გამოყენების შესაბამისობის ხარისხი ქალაქში მაცხოვრებელების მიმართ , როგორც რთული სოციალური სისტემის. ქალაქის მიწებზე სხვადასხვა სახის ობიექტების განთავსება, ადგილმდებარეობის სპეციფიკურობიდან, მიწის ღირებულებიდან, ასევე ქალაქის სხვადასხვა რაიონების განვითარების დონიდან გამომდინარე.

ტერიტორიის განვითარების თვალსაზრისით მიწის ნაკვეთების ეფექტური გამოყენების ანალიზი აუცილებელია ჩატარდეს რამდენიმე ასპექტით : როგორც ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლის წყარო; როგორც ქალაქის ტერიტორიის განვითარებისათვის სივრცითი განლაგების პირობების შესაქმნელად; როგორც ფასიანი და ბუნებრივ - ისტორიულ ლანდშაფტის შემნარჩუნებლად , რაც ძლიერ ცვლის ადგილობრივი მოსახლეობის სიცოცხლის პირობებსა და ხარისხს .

საქალაქო ტერიტორიების ეფექტური გამოყენების მახასიათებლის დადგენა გრძელვადიანი გეგმების რეალიზების საფუძველია . მაგრამ პრაქტიკაში წარმოიქმნება რიგი სერიოზული დაბრკოლებები:

•წინამოსამზადებელი სამუშაოებისა და დანახარჯების მაღალი ღირებულება ორგანიზაციების , საწარმოო სამძლავრეების აუცილებელი გადატანის , მიწების რეკულტივაცისა და საინჟინრო ქსელების რეკონსტრუქციის პირობებში ;
•მიწის ნაკვეთის ცვლილებებისას ნორმატიულ-სამრთლებრივი ბაზის არარსებობა, რაც პროექტს ახანგრძლივებს ;
•პოტენციური და რეალური მესაკუთრეების , ასევე მიწის ნაკვეთების სამართალმემეკვიდრეებს შორის ერთიანი მიზნების არარსებობა . ყოველი მათგანი ისწრაფვის საკუთარი ინტერესების დაცვისაკენ .
•აღამასრულებელი ხელისუფლების არასათანადო აქტივობა . ხშირად ასრულებენ დამკვირვებლებისა და არა ზედამხედველების როლს .

საქალაქო მიწის ნაკვეთების ეფექტური გამოყენებისათვის აუცილებელია სასტემური მიდგომა , რომელიც გვთავაზობს კომპლექსურ შეფასებას ეფექტურობის შემდეგი სახეობებისათვის: სოციალური; საბიუჯეტო; კომერციული; ეკონომიკური; საინვესტიციო და ეკოლოგიური ეფექტურობა

პრობლემების გადაჭრის გზები.სტატიის ავტორების აზრით პრობლემის გადაჭრაა,პერველ რიგში მართვის პოლიტიკის შეცვლით , ანუ დირექტივული მართვის ნაცვლად გადასვლა ინდიკატურ მართვაზე.ამ მიზნით, ჩვენს მიერ ქ.თბილისის ადმინისტრაციული რაიონების ჭრილში შემუშავდა შემდეგი ინდიკატორების ჯგუფი, ტერიტორიების ნაკლებად ეფექტური გამოყენების მქონე: რაიონის საერთო ფართი-მ²; ნაკლებად გამოყენებული ტერიტორიის ფართი-მ²; ნაკლებად გამოუყენებული ტერიტორიის წილი რაიონის საერთო ფართიდან-%; მცირე ეფექტური გამოყენების ტერიტორიების ფართი- მ²; მცირე ეფექტური გამოყენების ტერიტორიების წილი რაიონის საერთო ფართიდან - %; მცირე და ნაკლებად ეფექტური გამოყენების მქონე ტერიტორიების ჯამი -მ² ; არაეფექტური გამოყენების მქონე ტერიტორიების წილი რაიონის საერთო ფართიდან -%.

შემდგომ თითოეული ადმინისტრაციული თუ საცხოვრებელი რაიონისათვისშემუშავდა ხარისხობრივი ინდიკატორების ჯგუფი, რომლებიც ეხმარება ექსპერტებს მცირე და ნაკლებად გამოყენების მიწის ნაკვეთების ეფექტურობის შეფასებაში, ესენია: ტერიტორიის ხელმისაწვდომობა; უსაფრთხოება; ტერიტორიის კეთილმოწყობა; სამუშაოების დაკვირვების შესაძლებლობა; რელიეფური შესაძლებლობა, სივრცის მრავალფუნქციურობა. ამ შეფასების საფუძველზე დადგინდება ქალაქის სივრცის გამოყენების ეფექტურობა.

შემდგომ შემუშავდა ეკონომიკური ინდიკატორების ჯგუფი ნაკლებად და მცირე გამოყენების მიწის ნაკვეთების ღირებულების დადგენისათვის, ესენია: რაიონის ტერიტორიის მიწის ნაკვეთების საერთო სამართლიანი (საბაზრო) ღირებულება- ლარი; ნაკლებად გამოყენებული მიწის ნაკვეთების ღირებულება- ლარი; ნაკლებად გამოყენებული მიწის ნაკვეთების ღირებულების წილი რაიონის საერთო ღირებულებიდან -%; მცირე ეფექტური გამოყენების მიწის ნაკვეთების ღირებულება-ლარი; მცირე ეფექტური გამოყენების მიწის ნაკვეთების ღირებულების წილი რაიონის საერთო ღირებულებიდან-%; მცირე და ნაკლებად ეფექტური გამოყენების მიწის ნაკვეთების ღირებულებების ჯამი - ლარი; არაეფექტური გამოყენების მიწის ნაკვეთების ღირებულების წილი რაიონის საერთო ღირებულებიდან- %.

ნაშრომში აისახა პრობლემების გადაჭრის გზები, რომლებიც ჩამოთვლილია ამავე ნაშრომში, აუცილებელად ჩასატარებელი ღონისძიებების სახით. სტატიის მოცულობის შეზღუდვის გამო, მთლიანად ის დაიბეჭდება მომავალში.

გამოყენებული ლიტერატურა :

1. Cozzani, V., Antonioni, G., Tugnoli, A., Bonvicini, S., Spadoni, G., Landucci, G. Quantitative assessment of domino and natech scenarios in complex industrial areas // Journal of Loss Prevention in the Process Indus

2. Gantulga, G., Chinbat, B. Urban land use classification and functional zoning of Ulaanbaatar city, Mongolia // Nature and Science. 2010. No. 8 (2).

3. Maksimov, S. N., Vasileva, N. V., Bachurinskaya, I. A. Land-Property Complex of Saint-Petersburg and Its Development in Present Situation // Asian Social Science. Vol. 11. No. 14. June 2015.

■■■■

უძრავი ქონების განვითარებისათვის(დეველოპმენტისათვის) ფინანსირების მიზნებისათვის შეფასება 2017 წლის საერთაშორისო შეფასების სტანდარტების საბჭოს მიერ გამოქვეყნებული შსს-410-ს „დეველოპმენტის პროცესში მყოფი უძრავი ქონება“-ს ცალკეული სტანდარტის მოთხოვნების ჩარჩოებში

Assessment for financing purposes for development of real estate in the framework of separate standards requirements of SAB-410 – "Real Estate in Development Process" published by the International Standards Assessment Board of 2017 year

ავტორი - **გიორგი ლეჟავა,** *ხელმძღვანელი* - პროფ. **გრიგორ ხოფერია,** საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი.

Author - **Giorgi Lezhava,** *Supervizor – Prof.* **Grigor Khoperia,** Georgian Technical University.

The number of unfinished immovable property or the completed and unsold facilities is increasing more and more by the side of development. Additional funds for the completion of facilities, developers should bring from banks who abstain from giving credit to such facilities for lack of insufficient assessment.In order to solve these problems, the Council published the assessment standard 410 in 2017. The article reviews assessment models that provide a confirmed assessment.

დეველოპმენტის მხრიდან სულ უფრო იზრდება დაუსრულებელი უძრავი ქონების ან დასრულებული და გაუყიდავი ობიექტების ფართების რიცხვი. დამატებითი სახსრები ობიექტების დასრულებისათვის დეველოპერებმა უნდა მოიზიდონ ბანკებიდან-კრედიტორებიდან, რომლებიც თავს იკავებენ კრედიტის გაცემაზე მსგავსი ობიექტებისათვის არასათანადო შეფასების გამო. ამ პრობლების გადაჭრისათვის საბჭომ 2017 წელს გამოაქვეყნა შეფასების სტანდარტი 410. სტატიაში განხილულია შეფასების მოდელები, რომლებიც უზრუნველყოფენ დადასტურებულ შეფასებას.

მოთხოვნები განვითარებას დაქვემდებარებუ უძრავი ქონების შესახებ პირველად გაჟღერდა 2010 წლის საერთაშორისო შეფასების გამოქვეყნებულ სტანდარტებში საერთაშორისო შეფასების წესებში (სშწ-ში)17 „საინვესტიციო უძრავი ქონება მშენებლობის სტადიაში“, რომლებიც აისახა 2011 და 2013 წლებში გამოცემულ სტანდარტებში, როგორც შსს 233 „საინვესტიციო უძრავი მშენებლობის სტადიაში“, ხოლო 2017 წელს იქნა მიღებული ახალი სტანდარტი შსს410 „დეველოპმენტის

პროცესში მყოფი უძრავი ქონება“, რაც მეტყველებს ამ თემის მნიშვნელობაზე შემფასებლობითი საქმიანობაში.

პრობლემის განხილვა. უძრავი ქონების განვითარება ან/და დეველოპმენტი, ერთის მხრივ, არის დეველოპმენტის საქმიანობის ისეთი მატერიალური პროცესი, რომელიც მიზნად ისახავს მიწის ნაქვეთის პროდუქტიულობის გაზრდას ახალი გაუმჯობესებების აგების ან არსებული გაუმჯობესებების გარდაქმნის ხარჯზე და, მერეს მხრივ, თამაშობს უზარმაზარ როლს უძრავი ქონების ბაზრის ფუნქციონირებაში, რადგანაც ის გვევლინება არა მარტო, როგორც ბაზარზე გაყიდვის ან იჯარით გაცემის ობიექტი, არა მეტ, როგორც საწარმოებისა და მეწარმეების ერთადაერთი საშუალება საქმიანობის განსახორციელებლათ.

ამგვარად, უძრავი ქონების განვითარებისაკენ მიუბრუნდებიან მაშინ, როდესაც ბაზარზე, ერთის მხრივ, არ იძებნება არსებული უძრავი ქონების ობიექტი ან, მეორეს მხრივ, არსებულ უძრავ ქონების ობიექტზე არ გააჩნია მოთხოვნა. მაშინ დეველოპმენტი უზრუნველყოფს უძრავი ქონებისათვის მოთხოვნად გამოყენებას, რაც ნიშნავს იმას, რომ დეველოპმენტის კიდევ ერთი ფუნქციაა აღმოფხრას შეუთანხმებლობა წარმოქმნილ შესაძლებლობებსა და მოთხოვნას შორის.

იმ თვალსაზრისით, რომ უძრავი ქონების განვითარება, თავისი არსით, არის საინვესტიციო-სამშენებლო პროექტი, რომელიც ითხოვს დიდი თანხების დაბანდებას. მათმა მოცულობამ შეიძლება მნიშვნელოვნად გადააჭარბოს დეველოპერის ფინანსურ შესაზლებლობას, რაც ითხოვს გარეშე დაფინანსების მოზიდვას. ბუნებრივია, რომ დაფინანსების თავისებურებები უძრავი ქონების განვითარების მიზნით განაპირობებენ ამ მიზნით შეფასების ჩატარების სპეციფიკას, რომელიც არის ზოგადი პრობლემა და განიხილება ამ ნაშრომში ახალი სტანდარტ შსს 410 „დეველოპმენტის პროცესში მყოფი უძრავი ქონება“-ს ჩარჩოებში.

ნაშრომის მიზანი არის განვიხილოთ თუ რა მიზნებისათვის საჭიროა ჩატარდეს განვითარებას დაქვემდებარებული უძრავი ქონების შეფასება. სტანდარტ შსს 410-ს მიხედვით ეს მიზნები არის შემდეგი: შეთავაზებული პროექტების ფინანსური მიზანშეწონილობის განსაზღვრის დროს; კონსულტაციების ჩატარების და გაყიდვების ზედამხედველობის, ასევე გირაოს საშუალებით დაკრედიტების მიზნით, როგორც ზოგადი დავალების ნაწილი; საგადასახადო ადვალური გადასახადების ანალიზის მიზნითი; სასამართლო დავების დროს აქციონერებს შორის ან ზარალის კომპენსაციის დადგენის მიზნით; ფინანსური ანგარიშგების მიზნით ბიზნესის გაერთიანებისა ან აქტივების შეძენის ან გაყიდვის, ასევე გაუფასურების ანალიზის შემთხვევაში; კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებისათვის.

სტანდარტები გირაოს უზრუმველყოფის მიზნით შეფასების დროს განსაზღვრავს ძირითად მოთხოვნებს განვითარებას დაქვემდებარებული უძრავი ქონების შეფასებისაკენ:

1). განვითარების დაფინანსების მიზნებისათვის შეფასების დროს შეფასების ბაზა წარმოდგენილია საბაზრო ღირებულების სახით;

2). შეფასებამ უნდა ასახოს მოსალოდნელი საბაზრო ტენდენციები განვითარების მთლიან პერიოდზე და გაითვალისწინოს რისკები დაკავშირებული ამ პროცესთან, ასევე ტექნიკური და იურიდიული მოთხოვნები დეველოპერის პროექტის შემოსავლის და გასავლის ნაწილებზე;

3).ყველა ხელშეკრულებები, რომლებიც დაკავშირებული არიან უძრავი ქონების განვითარებისთან უნდა გადაიხედოს დეველოპერული პროექტის მონაწილეებს შორის არსებულ განსაკუთრებულ ურთიერთობების წარმომნის კუთხით. დასაბუთებულად დადგენილი რისკები განხილულ უნდა იყოს ბაზრის მონაწილეების თვალსაზრისით, რათა შესრულდეს კრედიტორის რისკების ინდენტიფიკაცია.

4).შეფასება უნდა შესრულდეს ფულადი ნაკადების მოდელირების გზით, განვითარების ფაზებისა და დროებითი დაფინანსების სქემების გათვალისწინებით და უნდა ითვალისწინებდეს უძრავი ქონების საბაზრო ღირებულების პერიოდულ შეფასებას და/ან გადაფასებას.

შესადარისი მონაცემები უძრავი ქონების შეფასებისას. ძირითად ამოცანას განვითარებას დაქვემდებარებული უძრავი ქონების შეფასების დროს წარმოადგენს უძრავ ქონებაზე არსებული უფლებების საბაზრო ღირებულების დადგენა. მსგავსი შეფასება შეიძლება ეხებოდეს ნებისმიერ განვითარებას დაქვემდებარებულ უძრავი ქონების ობიექტის, როგორც ვაკანტური, ასევე განაშენიანებული მიწის ნაკვეთისათვის და რეალიზებისას ზრდიდეს ობიექტის ღირებულება. ამგვარად დღევანდელი ფასეულობა დამოკიდებული იქნება მომავალ გამოყენებაზე და დროზე, ასევე გასაწევ დანახარჯებზე ახალი გამოყენების მისაღწევათ, რაც ერთობლივობაში იძლევა საშუალებას განისაზღვროს უძრავი ქონების ობიექტის ნარჩენი ღირებულება.

ღირებულების ნარჩენი ბუნება უძრავი ქონების ობიექტისათვის განვითარების პოტენციალით ავლენს შემდეგ კონკრეტულ მოთხოვნებს, როგორებიცაა:

1). შესადარებელი ობიექტების შერჩევაზე, რომლებიც უნდა იყვნენ არა მარტო მსგავსი არსებულ მდგომარეობის პირობებში, არამედ სავარაუდოა განიცადონ ანალოგიური გაუმჯობესება მომავალში. ამიტომ ტრადიციული შედარების ელემენტებთან ერთად, აუცილებელია მხედველობაში მივიღოთ დაპროექტებული გაუმჯობესების ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები, ასევე დრო და დანახარჯების მოცულობა საჭირო პროექტის განხორციელებისათვის;

2). სპეციალური დაშვებები, რომლებიც თავისი ბუნებით ეხებიან დასრულებული განვითარებით უძრავი ქონების ობიექტის მდგომარეობას და სტატუსს. მაგალითად: იმის შესახებ, რომ განვითარება უკვე დასრულებულია ან იქნება დასრულებული მიღებული დროის გრაფიკის და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესაბამისად, ან იმაზე, რომ უძრავი ქონება გაყიდულია ან მთლიანად გაქირავებულია.

3).შედარების ელემენტთა წრის გაფართოება, რომლებიც უნდა მოიცავდნენ ყიდვა-გაყიდვის ფასებს ან/და გაქირავების განაკვეთებს განვითარებით დასრულებული უძრავი ქონების ობიექტზე, საიჯარადო სამუშაოების ფასების და მომსახურეობის ფასების, განვითარების ვადას, დაფინანსების დანახარჯებს, რისკების დონეს და დეველოპერის მოგებას.

4). უძრავი ქონების ობიექტის ნარჩენი ღირებულების განსაზღვრისათვის ადექვატური შეფასების მოდელის ჩამოყალიბებას, რომელშიც აისახება მისი ურთიერთკავშირი განვითარებით დასრულებული ობიექტის ღირებულებასთან, საიჯარო სამუშაოების ფასთან, დაფინანსების ღირებულებასთან და დეველოპერის მოგებასთან.

შემფასებლობითი პრაქტიკაში ცნობილია რამდენიმე მოდელი ნარჩენი ღირებულების დადგენისათვის განვითარებას დაქვემდებარებული უძრავი ქონების ობიექტისათვის:

1) დაჯამების მოდელი, რომლის ჩარჩოებში რეალიზდება ნარჩენის ტრადიციული მეთოდი:

$$P_L = P_O - (P_C + P_F + P_D),$$

სადაც: P_L - განვითარებას დაქვემდებარებული უძრავი ქონების ღირებულება;

P_O - დასრულებული უძრავი ქონების ღირებულება;

P_C - სამშენებლო პროცესების და მომსახურეობის ღირებულება;

P_F – ფინანსირების ღირებულება;

P_D - დეველოპერის მოგება

2).დისკრეტული ფულადი ნაკადების მიდელი

$$PL = \frac{P_0 - \sum_{i=1}^{m} P_c * (1+i_k)^{m-1}}{(1+i_k)^m},$$

სადაც: i_k -საპროცენტო განაკვეთია დისკრეტული ფულადინაკადებისათვის, რომლებსაც გააჩნიათ წლის განმავლობაში კ-გადარიცხვის პერიოდები:

$$i_k = (1+i)^{1/k} - 1.$$

3). ბრიტონის მოდელი, რომელიც მოიცავს დროით შემადგენელს:

$$P_L = P_O - P_C \ x \ (1+i))^{0,5} / \ (1+i),$$

სადაც: i -საპროცენტო განაკვეთია, რომელიც ითვალისწინებს ინვესტორის და დეველოპერის ინტერესს.

4). უწყვეტი ფულადი ნაკადების მოდელი

$$P_L = P_O - P_C * e^{0,5r} / \ e^r,$$

სადაც: r -უწყვეტი ფულადი ნაკადების სააპროცენტო განაკვეთია.

$$r = Ln\ (1+i).$$

ამა თუ იმ შეფასების მოდელის შერჩევა დამოკიდებული იქნება შეფასების მიზნისაგძლივობისაგან.

დაფინანსების მიზნისათვის შეფასებას განვითარებას დაქვემდებარებული უძრავი ქონებისათვის ხშირად გამოიყენებენ დისკრეტული ფულადი ნაკადების მოდელებს, რომლებსაც გააჩნიად წარმოდგენითი სხვადასხვაგვარი ფორმები. მაგრამ ისინი უნდა ასახავდნენ ორ ძირითად დაშვებას:

- •შეფასებული ფულადი ნაკადების სიდიდე დაფუძნებულია ღირებულებებზე, რომლებიც არიან მიმდინარე შეფასების თარიღისათვის, იმ გარემოების დაშვებით, რომ პროექტი უკვე დასრულებულია მიღებული გრაფიკის შესაბამისად და საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის სრული დაცვით, ან
- •შეფასებული ფულადი ნაკადების სიდიდეები დაფუძნებულია ღირებულებებზე, რომლებიც მოსალოდნელია პროექტის რეალიზების განმავლობაში, იმ დაშვებით, რომ პროექტი განხორციელდება გრაფიკისა და საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტების შესაბამისად.

მიუხედავად ორი აღწერილი შემთხვევებისა, ფულადი ნაკადების სიდიდემ უნდა ასახოს ბაზრის მონაწილეების მოლოდინები, რომელიც დაფუძნებული იქნება ხელმისაწვდომ ინფორმაციაზე შეფასების თარიღისათვის. მაგრამ საბაზრო ღირებულების შესაძლებლობები შეზღუდულია იმის გამო, რომ ის წარმოგვიდგება ბაზარზე ჩამოყალიბებული ფასების ცენტრალურ ტენდენციად და არა ფასების სრულ ვარიაციად, არამედ მათ ტიპურ, ყველაზე სავარაუდო დონეთ, რაც დამახასიათებელია გატანილი ობიექტების ნაწილისათვის და მასში გამორიცხულია არა დამახასიათებელი დაბალი ან მაღალი ფასის მქონე ობიექტები.

გამოყენებული ლიტერატურა :

1. International Valuation Standards Council, 2017. ed.by (IVSC)

2. Wyatt. P. Property Valuation: Second edition – Oxford: Wiley – Blackwell , 2013.

3.The Appraisal of Real Estate.13th ed.-Chicago: Appraisal Institute, 2008